ISSN 0132—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

9-10

1992

# მნათობი

წელიწადი 68-ე    № 9-10    სექტემბერი-ოქტომბერი 1992 წ.

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

## შინაარსი

ბიბლია, ძველი აღთქმა. გაგრძელება . . . . . . . . . . . 3

### პროზა, პოეზია

არჩილ სულაკაური — თეთრი ცხენი. რომანი. დასასრული . . . . . . . 31
დარეჯან ჩატიაშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . 79
იმირა მამედლი — ლექსები . . . . . . . . . . . 82
ნელი ხატიაშვილი — მთლიანი. მოთხრობა . . . . . . . . . . . 84
ბელა ჭალვაშვილი — ლექსები . . . . . . . . . . . 95
ორი უნგრული ბალადა. უნგრულიდან თარგმნა დალილა ბედიანიძემ . . . . . . . 100

### მოგონებები, ფაქტები

ლადო სულაბერიძე — ცხადსიზმარიანა. გაგრძელება . . . . . . . . . . . 105

### მეცნიერება

ნოდარ კანდელაკი, გურამ ცერცვაძე — ფუნდამენტალური პერიოდული დამოკიდებულებები და კალენდრული სიზუსტეები ქართულ ასომთავრულ ანბანში . . . . . . . . . . . . . 157

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

გუკა ჩუბინიძე — მინდვრის ბატონის ლეგენდა . . . . . . . . . . . . 169
აპოლონ ცანავა — უკვდავი ფესვები . . . . . . . . . . . . 177
დავით კოჟოტიძე — „თურქი მესხები" და მათთან დაკავშირებული პრობლემები . . . . . . . . . . . . 185
ლორდ რაგლანი — ტრადიციული გმირი. ინგლისურიდან თარგმნა როსტომ ჩხეიძემ 193

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, გ. გვერდწითელი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, გ. კალანდია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბიბლია, ძველი აღთქმა

## იობი

### თავი პირველი

1. იყო ერთი კაცი ყუცის ქვეყანაში, სახელად იობი. ალალი, წრფელი, ღვთისმოშიში და ბოროტებას განრიდებული იყო ეს კაცი. 2. ჰყავდა მას შვიდი ვაჟი და სამი ასული. 3. ჰყავდა საქონელი — შვიდიათასი სული ცხვარი, სამიათასი აქლემი, ხუთასი უღელი ხარი, ხუთასი დედალი ვირი, უამრავი მსახური. აღმოსავლელთა შორის ყველაზე სახელოვანი იყო ეს კაცი. 4. სტუმრობდნენ ერთმანეთთან მისი ვაჟები და მორიგეობით მართავდნენ ლხინს, იწვევდნენ თავიანთ სამ დას, რომ ერთად ეჭამათ და ესვათ. 5. როცა ჩამოთავდებოდა ლხინის დღეები, გაგზავნიდა იობი და განწმედდა მათ. ადგებოდა დილაადრიანად, აღავლენდა აღსავლენ მსხვერპლს მათი რიცხვისამებრ, რადგან ფიქრობდა იობი, იქნებ რამე შესცოდესო ჩემმა ვაჟებმა და დაჰგმესო ღმერთი თავიანთ გულში. მუდამ ასე იქცეოდა იობი. 6. ერთ დღეს მივიდნენ ღვთისშვილები უფლის წინაშე წარსადგომად. სატანაც მივიდა მათ შორის. 7. უთხრა უფალმა სატანას: საიდან მოდიხარ? მიუგო სატანამ უფალს და უთხრა: ქვეყნად წანწალიდან და ხეტიალიდან. 8. უთხრა უფალმა სატანას: თუ შეგინიშნავს ჩემი მსახური იობი? ხომ არავინ არის მისი მსგავსი ამ ქვეყანაზე? ალალი, წრფელი, ღვთისმოშიში კაცია, ბოროტებას განრიდებული. 9. მიუგო სატანამ უფალს და უთხრა: მერედა ტყუილუბრალოდ არის იობი ღვთისმოშიში? 10. განა შენ არ გყავს დაცული მთელი მისი სახლ-კარითა და საბადებლითურთ? მისი ხელით ნაქმარი შენგან არის კურთხეული, მისი საქონელი გამრავლებულია ქვეყნად. 11. აბა, გაიწოდე ხელი და შეეხე მთელს მის საბადებელს, თუ პირში არ დაგიწყოს გმობა. 12. უთხრა უფალმა სატანას: აჰა, შენს ხელთ იყოს მთელი მისი საბადებელი! ოღონდ თავად მას ნუ შეეხები. და გავიდა სატანა უფლისაგან. 13. ერთ დღეს, როცა მისი ვაჟები და ასულები ჭამდნენ და ღვინოს სვამდნენ უფროსი ძმის სახლში, 14. მოვიდა მაცნე იობთან და უთხრა: ხარები ხნავდნენ, სახედრები კი ძოვდნენ მის გვერდით. 15. დაეცნენ შებაელები და გაირეკეს, მსახური ბიჭები კი მახვილით ამოხოცეს. მე ერთი გადავრჩი ამბის მომტანი. 16. ამის ლაპარაკში იყო, რომ მოვიდა სხვა და ამბობს: ღვთის ცეცხლი ჩამოვარდა ციდან, გადაწვა ცხვარი და მსახური ბიჭები, შთანთქა ისინი, მე ერთი გადავრჩი ამბის მომტანი. 17. ამის ლაპარაკში იყო, რომ მოვიდა სხვა და ამბობს: ქალდეველები დაეწყვნენ სამ რაზმად, დაეცნენ აქლემებს და წაასხეს, და მახვილით ამოხოცეს მე ერთი გადავრჩი ამბის მომტანი. 18. ამის ლაპარაკში იყო, რომ მოვიდა სხვა და ამბობს: შენი ვაჟები და ასულები ჭამდნენ და ღვინოს სვამდნენ უფროსი ძმის სახლში. 19. ამ დროს დაბერა

გაგრძელება, იხ. „მნათობი“ № 7—8.

საქართველოს
ეროვნული

უდაბნოდან დიდმა ქარმა, ეძგერა სახლის ოთხსავე კუთხეს, ჭერი თავზე დაემხო ყმაწვილებს და დაიხოცნენ. მე ერთი გადავრჩი ამბის მომტანი. 20. ადგა იობი, შემოიხია მოსასხამი, გადაიპარსა თავი, დაეცა მიწაზე და თაყვანი სცა. 21. თქვა: შიშველი გამოვედი დედის მუცლიდან და შიშველი დავბრუნდები იქ. უფალმა მომცა, უფალმა წაიღო. კურთხეულ იყოს უფლის სახელი. 22. მაინც არ შეუცოდავს იობს და ღვთის აუგი არ დასცდენია.

## თავი მეორე

1. ერთ დღეს მივიდნენ ღვთისშვილები უფლის წინაშე წარსადგომად. სატანაც მივიდა მათ შორის უფლის წინაშე წარსადგომად. 2. უთხრა უფალმა სატანას: საიდან მოდიხარ? მიუგო სატანამ უფალს და უთხრა: ქვეყნად წანწალიდან და ხეტიალიდან. 3. უთხრა უფალმა სატანას: არ შეგინიშნავს ჩემი მსახური იობი? ხომ არავინ არის მისი მსგავსი ამ ქვეყანაზე? ალალი, წრფელი, ღვთისმოშიში კაცია, ბოროტებას განრიდებული. დღემდე სიალალით ინახავს თავს, შენ კი მაქეზებდი, უმიზეზოდ დამეღუპა იგი. 4. მიუგო სატანამ უფალს და უთხრა: ტყავს ტყავის წილ, მაგრამ სიცოცხლის წილ ყველაფერს გაიღებს კაცი. 5. აბა, გაიწოდე ხელი და შეეხე თავად მას — მის ძვალსა და ხორცს, თუ პირში არ დაგიწყოს გმობა. 6. უთხრა უფალმა სატანას: აჰა, შენს ხელთ იყოს, ოღონდ მის სიცოცხლეს გაუფრთხილდი. 7. გავიდა სატანა უფლისაგან და შეჰყარა იობს საშინელი ქეცი ფეხის ტერფიდან თხემამდე. 8. აიღო იობმა კეცის ნატეხი მოსაქავებლად და ნაცარში ჩაჯდა. 9. უთხრა ცოლმა: ახლაც ეჭიდები შენს სიალალეს? ბარემ დაგმე ღმერთი და მოკვდი! 10. მიუგო: ერთი უგუნური დედაკაცივით ლაპარაკობ! სიკეთეს კარგად ვიტანთ უფლისაგან, ავის ატანა კი აღარ გვინდა! არც ახლა სცოდა იობმა თავისი ბაგეებით. 11. შეიტყო იობის სამმა მეგობარმა ყველა ეს უბედურება, რაც თავს დაატყდა იობს, და მივიდნენ თავთავიანთი ადგილებიდან ელიფაზ თემანელი, ბილდად შუხელი და ცოფარ ნაყამათელი. შეიყარნენ ერთად, რომ მისულიყვნენ მისასამძიმრებლად და სანუგეშებლად. 12. შორიდან გახედეს და ვერ იცნეს, ხმა აიმაღლეს და ატირდნენ. შემოიხია თითოეულმა თავისი მოსასხამი და თავს ზემოთ ცისკენ აპნევდნენ მტვერს. 13. ისხდნენ მის წინ მიწაზე შვიდი დღე და შვიდი ღამე, არავის არაფერი უთქვამს მისთვის, რადგან ხედავდნენ, რომ მეტისმეტი იყო მისი სატანჯველი.

## თავი მესამე

1. მაშინ გახსნა იობმა ბაგე და დასწყევლა თავისი დღე. 2. ალაპარაკდა იობი და თქვა: 3. დაიქცეს ის დღე, როცა მე გავჩნდი, და ღამე, როცა ითქვა, კაცი ჩაისახაო! 4. დაბნელდეს ის დღე, აღარ მოხედოს მას უფალმა ზეგარდამო, აღარ ინათოს მასზე ნათელმა. 5. მოიცვას წყვდიადმა და აჩრდილმა სიკვდილისა, ღრუბელი გადაეფაროს თავზე და დღის სიშავემ შეაძრწუნოს! 6. ბნელმა წაიღოს ის ღამე! არ გაიხაროს წლის დღეთა შორის! თვეთა რიცხვში აღარ ითვლებოდეს! 7. აჰა, გაბერწდეს ის ღამე, აღარ ეღირსოს სიხარული! 8. შეაჩვენონ დღის მაწყევართა, ლევიათანის გამღვიძებელთა! 9. დაბნელდნენ მისი განთიადის ვარსკვლავები, ელოდოს ნათელს და არ ჩანდეს, ვერ იხილოს ცისკრის წამწამები! 10. რომ საშოშივე არ ჩამიკეტა კარი და არ განმარიდა ამ სატანჯველს! 11. რატომ არ მოვკვდი დედის მუცელშივე? რატომ არ გავთავდი გამოსვლისთანავე? 12. რისთვის ამიქვეს მე მუხლებმა, რა იყო ის ძუძუ, რომელსაც ვწოვდი? 13. ახლაც ვიწვებოდი დამშვიდებული, ძილ-

ში ვიქნებოდი მოსვენებით! 14. მეფეებთან და ქვეყნის მრჩევლებთან, აკლდამებს რომ იშენებენ თავისთვის. 15. ან მთავრებთან, რომელთაც ოქრო აქვთ, ვერცხლით რომ ივსებენ სახლებს. 16. რატომ არ ვარ მკვდარნაშობივით გადამალული, ჩვილივით, რომელსაც სინათლე არ უნახავს! 17. ბოროტეულნი იქ აღარ მძვინვარებენ, დამაშვრალნი იქ განისვენებენ. 18. იქ მშვიდად არიან ტყვეები, მჩაგვრელთა ყვირილი მათ არ ესმით. 19. იქ არიან დიდნი და მცირენი, იქ მონა ბატონისგან თავისუფალია. 20. რისთვის ეძლევა სინათლე ტანჯულს და სულგამწარებულს — სიცოცხლე, 21. სიკვდილის მონატრულთ და ვერმპოვნელთ, დამარხულ განძზე მეტად რომ ეძებენ. 22. უზომოდ გახარებულს, აღტაცებულს, საფლავის პოვნით, 23. კაცს, გზაგადაკეტილს, ღვთისაგან ალყაში მოქცეულს? 24. რადგან ოხვრა მაქვს საზრდოდ და წყალივით იღვრება ჩემი ქვითინი! 25. რადგან მეწია შიშისზარი, მე რომ მზარავდა. რასაც ვუფრთხოდი, თავს დამატყდა! 26. აღარც სიმშვიდე, აღარც შვება, არც მოსვენება, მოვიდა ვაება.

## თავი მეოთხე

1. მიუგო ელიფაზ თემანელმა და უთხრა: 2. რომ ვცადოთ შენთან ლაპარაკი, ვაითუ დაგიმძიმდეს სატკივარი. მაგრამ ვის ძალუძს დადუმება? 3. შენ ხომ ბევრს არიგებდი ჭკუას და დაუძლურებულ მკლავებს განამტკიცებდი, 4. წაქცეულს ფეხზე აყენებდი შენი სიტყვით და ჩაკეცილ მუხლებს ალონიერებდი. 5. ახლა შენ დაგიდგა ჯერი და ილაჯი გაგიწყდა, შენ გეწია და შეძრწუნდი! 6. განა მოშიშება არ გქონდა სასოდ? განა შენი სიალალის იმედი არ გქონდა? 7. გაიხსენე, თუ ვინმე დაღუპულა უდანაშაულო, მართალნი თუ ამომწყდარან? 8. როგორც მინახავს, სიავის მხვნელნი და სიცრუის მთესველნი მასვე მოიმკიან. 9. უფლის სუნთქვაზე დაიღუპებიან და მისი რისხვის ქარში გაწყდებიან. 10. ლომის ღრიალი მიწყდება და მხეცის კბილები შეიმუსრება, 11. ლომი უნადავლოდ დაიღუპება, ძუ ლომის ბოკვერნი გაიფანტებიან. 12. იდუმალ მომეპარა სიტყვა და ჩურჩული ჩამესმა ყურში. 13. ღამეულ ჩვენებებში ფიქრების დროს, როცა ძილ-ბურანს მიაქვს კაცი, 14. შიშმა შემიპყრო და ყოველი ძვალი ჩემი შეაძრწუნა. 15. წინ ჩამიქროლა სულმა და ტანზე თმები ამებურძგლა. 16. შედგა, მაგრამ ვერ გავარჩიე მისი სახე, რაღაც ხატება იყო ჩემ თვალწინ. დუმილი და აჰა, მერე ხმა გავიგონე: 17. ღმერთზე მართალია ადამიანი? თავის შემქმნელზე წმიდაა კაცი? 18. აჰა თავის მსახურებში შეაქვს ეჭვი და თავის ანგელოზებშიც კი პოულობს ნაკლს! 19. რაღა ითქმის თიხის სახლებში მცხოვრებლებზე, მტვერში რომ უდგათ საფუძველი? მღილებზე უმალ რომ იჭყლიტებიან? 20. დილასა და მწუხრს შორის რომ იღუპებიან, სამარადისოდ ქრებიან უსახელოდ? 21. აჰა, გაჰყდება მათი სიცოცხლის ძაფი და უაზროდ დაიხოცებიან.

## თავი მეხუთე

1. შეჰღაღადე, ვინ გიპასუხებს? წმიდათაგანს ვის მიმართავ? 2. უგუნურს ღუპავს ბრაზი, ბრიყვს შური კლავს. 3. მე ვნახე ფესვგადგმული უგუნური და მეყსეულად შევაჩვენე მისი ბინა. 4. შორს არიან მისი შვილები ხსნისაგან, კარიბჭესთან სცემეს მათ და არავინ იყო მშველელი. 5. რასაც მოიმკის, მშიერი შეუჭამს, ეკლებიდანაც კი აალიან. მწყურვალი კაცი შთანთქავს მათ დოვლათს. 6. რადგან სატკივარი მტვერიდან არ ამოდის და მიწიდან არ აღმოცენდება სატანჯველი. 7. ადამიანი სატანჯველად იბადება და ნაპერწკლები მაღლა მიისწრაფვის.

8. ისევ ღმერთს დავეკითხები და ღმერთს მივანდობ ჩემს საქმეს, 9. შემოქმედს სიადიადეთა და გამოუკვლეველ საკვირველებათა, რომელთაც არა აქვს რიცხვი, 10. მაწვიმებელს მიწის პირზე და წყლის გამომგზავნელს ყანების პირზე. 11. რათა მდაბალნი აამაღლოს და დამწუხრებულნი ხსნად აღზევდნენ. 12. ის ფუშავს ცბიერთა ზრახვებს და მათი ხელები ველარ ასრულებნენ ჩანაფიქრს. 13. ის იჭერს ბრძენკაცებს მათივე ცბიერებით და ხრიკიანთა თათბირი ფუჭი ხდება. 14. დღისით უკუნეთს აწყდებიან და ხელისცეცებით დადიან შუადღისას, როგორც ღამეში. 15. ის იხსნის ლატაკს მახვილისგან, მათი პირიდან და მაგარი ხელიდან. 16. ბეჩავი კაცი იმედით ცოცხლობს, უკეთურება კი პირს მუწავს. 17. აჰა, ნეტარია კაცი, რომელსაც ამხილებს ღმერთი! ყოვლადძლიერის შეგონებას ნუ უკუაგდებ! 18. ის წყლავს და ისევ უხვევს ჭრილობებს, ის ჰგვემს, მაგრამ კურნავს თავისივე ხელით. 19. ექვს განსაცდელში დაგიფარავს და მეშვიდეგზის ბოროტება არ შეგემთხვევა. 20. შიმშილობის დროს სიკვდილისგან გიხსნის და ომში — მახვილისგან, 21. ენის შოლტს დაემალები და არ შეგეშინდება განადგურებისა, როცა კი მოვა. 22. განადგურებაზე და შიმშილზე გაგეცინება და მიწის მხეცებისა არ შეგეშინდება. 23. რადგან ყანის ქვებთან აღთქმა გექნება და ველის მხეცებთან მშვიდობაში იქნები. 24. დაინახავ, რომ მშვიდობაა შენს კარავში, თვალს მოავლებ შენს საცხოვრებელს და დანაკლისი არ გექნება. 25. დაინახავ, რომ გამრავლდა შენი მოდგმა და მიწის ბალახივითაა შენი ნაშიერი. 26. სისრულით ჩახვალ სამარეში, როგორც პურის ძნა შემოდის თავის დროზე. 27. აჰა, ეს არის, რაც გამოვიკვლიეთ, ეს ჭეშმარიტებაა! შეისმინე და იცოდე შენთვის!

## თავი მეექვსე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. მიუგო იობმა და უთხრა: 2. რომ აწონილიყო ჩემი წუხილი და ჩემი ტანჯვა ერთბაშად დადებულიყო სასწორზე, 3. ახლა ზღვის ქვიშაზე უფრო მძიმე იქნებოდა. ამიტომაც სიმწრით არის სავსე ჩემი სიტყვები. 4. რადგან ჩარჭობილი მაქვს ყოვლადძლიერის ისრები და შხამს წოვს ჩემი სული. ღვთის საშინელებებმა შემომიტიეს. 5. ყროყინებს გარეული ვირი საბალახოზე? თუ ბღავის ხარი თავის თივის წინ? 6. თუ ჭამენ უგემურს, უმარილოს? თუ არის რაიმე გემო კვერცხის ცილაში? 7. გული არ მიმდის, ისეთი საძაგელია ჩემი პური. 8. ნეტავ ახდებოდეს ჩემი ნატვრა და გამიმართლებდეს იმედს ღმერთი! 9. ნეტავ ინებებდეს ღმერთი და დამლეწავდეს, აუშვებდეს ხელს და გამკვეთავდეს. 10. იქნებოდა კიდევ ნუგეში და უწყალო სატანჯველში ვინეტარებდი, რომ არ უარმიყვია წმიდის სიტყვები. 11. რა არის ჩემი ძალა, რომ დავენდო? რა არის ჩემი ბოლო, რომ დავითმინო? 12. განა ქვის ძალაა ჩემი ძალა, განა სპილენძია ჩემი ხორცი? 13. აღარ არის იმედი ჩემში, წარკვეთილი მაქვს გადარჩენის სასო. 14. გაწამებულს მეგობრისგან აქვს წყალობა, თუნდაც დაივიწყოს ყოვლადძლიერის შიში. 15. ჩემი მოძმენი მუხანათობენ ხევებივით, ხევების ღვარივით მიედინებიან. 16. ყინულისგან ჩაშავებულან მათ ქვეშ თოვლი იმალება. 17. გადნებიან და გაქრებიან, დაცხუნებს და ადგილზევე აორთქლდებიან. 18. იცვლიან კალაპოტებს, გადიან უდაბნოში და იკარგებიან. 19. თემას გზები გაჰყურებენ, შებას სავალნი ელოდებიან მათ. 20. შერცხვებიან, იმედი რომ ჰქონდათ, მივლენ იქ და გაფითრდებიან. 21. რადგან ახლა არარაობა ხართ, იხილეთ საშინელება და შეძრწუნდით. 22. ხომ გითხარით, მომიტანეთ-მეთქი, თქვენი დოვლათიდან გაი-

ლეთ-მეთქი ჩემი გულისთვის, 23. დამიხსენით მტრის ხელიდან და მძლავრთა ხელიდან გამომისყიდეთ, 24. მასწავლეთ და დავდუმდები, გამაგებინეთ ჩემი ბრალი-მეთქი. 25. როგორ ჭრის მართალი სიტყვა! მაგრამ რა ძალა აქვს თქვენს საყვედურებს? 26. როგორ შეთხზავთ სასაყვედურო სიტყვებს! ქარს მიაქვს სასოწარკვეთილის ნათქვამი. 27. ობოლზეც კი წილსა ყრით და ძირს უთხრით თქვენ მეგობარს. 28. ახლა კი მომხედეთ მე, თუ ვიცრუო თქვენს წინაშე. 29. მობრუნდით, არ იქნება ტყუილი! ჰო, მობრუნდით, ჩემი სიმართლეა აქ! 30. აბა თუ არის ჩემს ენაზე ტყუილი? თუ ვერ ხვდება ჩემი სასა ბოროტებას?

## თავი მეშვიდე

1. კაცის ცხოვრება ჯარის სამსახურია ამქვეყნად, მისი დღეები ქირისკაცის დღეებია. 2. როგორც მონას სწყურია ჩრდილი, და როგორც ქირისკაცი ელის გასამრჯელოს, 3. ასე მხვდა წილად ფუჭი თვეები და მძიმე ღამეები მომეთვალა. 4. თუ ვწევარ, ვამბობ როდის ავდგები? გრძელია ღამე და გამძღარი ვარ ფორიაქით განთიადამდე. 5. მატლებით არის ჩემი ხორცი შემოსილი და მიწის მტვერით, სკდება ჩემი კანი და იხრწნება. 6. ჩემი დღეები ჯარაზე სწრაფია და უიმედოდ იწურებიან. 7. გახსოვდეს, ქარია ჩემი სიცოცხლე, არ მობრუნდება ჩემი თვალი სიკეთის სანახავად. 8. ვეღარ მიხილავს ჩემი დამნახველი თვალი. თვალს მომკრავ და, აჰა, აღარა ვარ. 9. განქარდება ღრუბელი და მიდის, ასე ჩადის შავეთში და აღარ ამოდის, 10. აღარ ბრუნდება თავის სახლში და ვეღარ ცნობილობს მას მისი ადგილი. 11. მეც აღარ დავაყენებ ჩემ პირს, ვილაპარაკებ სულშეჭირვებული, ვიღაღადებ სიცოცხლეგამწარებული. 12. განა ზღვა ვარ ან გველეშაპი, ყარაული რომ დამიყენე? 13. როცა ვიტყვი, მანუგეშებს ჩემი საწოლი-მეთქი, ამატანინებს მწუხარებას ჩემი სარეცელი-მეთქი, 14. მაშინ მაფრთხობ სიზმრებით და მოჩვენებებით მაშინებ, 15. დახრჩობას ირჩევს ჩემი, სული და სიკვდილს — ჩემი ძვლები !16. მომძულდა! არ ვიცოცხლებ სამარადისოდ. დამეხსენი, რადგან ფუჭია ჩემი სიცოცხლე. 17. რა არის ადამიანი, რომ ასე განადიდე და მისკენ მიგიპყრია გულისყური? 18. რომ მოინახულებ ყოველ დილით და გამოსცდი ყოველ წამს? 19. როდის მომაშორებ მზერას, როდის მომეშვები, რომ ნერწყვი მაინც გადავყლაპო? 20. თუ შევცოდე, შენ რა დაგიშავე, ადამის მოდგმის მცველო? რისთვის დამისვი შენს სამიზნედ, რისთვის შევიქენი ტვირთად ჩემივე თავისთვის? 21. რატომ არ მომიტევებ შეცოდებას და არ წარმიხოცავ დანაშაულს? რადგან ახლა მიწაში რომ ვიწვე, დილით დამიწყებდი ძებნას და აღარ ვიქნებოდი.

## თავი მერვე

1. მიუგო ბილდად შუხიელმა და უთხრა: 2. როდემდე უნდა ლაპარაკობდე ასე? ამოვარდნილი ქარია შენი ბაგის სიტყვები. 3. შეცვლის ღმერთი სამართალს? შეცვლის ყოვლადძლიერი სიმართლეს? 4. შენმა შვილებმა შესცოდეს მას და მანაც ხელში ჩაუგდო ისინი მათსავე დანაშაულს. 5. თუ შენ ღმერთისკენ მიისწრაფი და შეწყალებას ევედრები ყოვლადძლიერს, 6. თუ სუფთა და წრფელი ხარ, ის ახლავე იფხიზლებს შენთვის და შენი სიმართლის საცხოვრებელს აღგიდგენს. 7. და თუ შენი დასაბამი მცირე იყო, შენი საბოლოო დიდად გაიზრდება. 8. ერთი შეეკითხე გარდასულ თაობებს და ყურად იღე მამა-პაპის სიბრძნე, 9. რადგან გუშინდელნი ვართ ჩვენ და არაფერი ვიცით, რადგან ჩრდილია ჩვენი დღეები ამ ქვეყანაზე. 10. განა არ დაგმოძღვრავენ

და არ გეტყვიან, და გულიდან არ აღმოუტევებენ სიტყვებს? 11. აბა, თუ იზრდება ლერწამი უჭაობოდ? აბა, თუ ამოდის შამბნარი უწყლოდ? 12. ვიდრე ნედლია, არ ჭრიან და ყველა ბალახზე ადრე ჭკნება. 13. ასეთი ბოლო აქვს ყველას, ღვთის დამვიწყებელს, და უკეთურის მოლოდინი გაქარწყლდება, 14. მისი სასო წარიკვეთება და მისი იმედი ობობას სახლია. 15. დაენდობა თავის სახლს და ვერ გაუძლებს, მოეჭიდება და ვერ დაიჭერს. 16. ამწვანებულია მზის გულზე და მთელს ბაღზე გადმოშლილი აქვს ტოტები. 17. ქვების გროვაში იხლართება მისი ფესვები, ლოდებს შორის დაუდევს ბინა. 18. თუ ამოგლჯეს თავისი ადგილიდან, უარყოფს მას, არასოდეს მინახიხარო. 19. აჰა, წარხდა სიხარული მის გზაზე! მიწიდან კი სხვა აღმოცენდება. 20. იცოდე, ღმერთი არ შეიძულებს უმწიკვლოს და ხელს არ აღუპყრობს ბოროტისმოქმედით! 21. კიდევ აგივსებს პირს ღიმილით და ბაგეებს მხიარული ყიჟინით. 22. შენი მოძულენი სირცხვილს შეიმოსენ და უკეთურთა კარავი განქარდება.

## თავი მეცხრე

1. მიუგო იობმა და თქვა: 2. ნამდვილად! ვიცი, რომ ასეა. როგორ უნდა ემართლებოდეს ადამიანი ღმერთს? 3. თუ ვინმე გაუმართავს დავას, ათასიდან ერთზეც კი ვერ გასცემს პასუხს. 4. გულბრძენია და ძალამორჭმული, ვინ გაჯიუტებია მას და მრთელი დარჩენილა? 5. მან შეძრა მთები ისე, რომ არავინ უწყის, მან დაამხო ისინი თავისი რისხვით. 6. მან მოარყია დედამიწა თავისი ადგილიდან და ირხევიან მისი სვეტები. 7. ეტყვის მზეს და არ ამოდის, ვარსკვლავებს ეფარება. 8. მან ერთმა გაშალა ცა და მიაბიჯებს ზღვის ხერხემალზე. 9. მან შექმნა გუთანი, ორიონი და ხომლი და სამხრეთის პალატები, 10. მან შექმნა გამოუკვლეველი დიდებულებანი და ურიცხვი საკვირველებანი. 11. აჰა, გადაივლის ჩემს თავზე და მე ვერ ვხედავ, ჩაივლის და ვერ შევამჩნევ. 12. აჰა, მოიტაცებს და ვინ არის დამკავებელი? ვინ ეტყვის: რას აკეთებ? 13. ღმერთი არ შეაბრუნებს თავის რისხვას, მის ქვეშ ემხობიან რაჰაბის თანამდგომნი. 14. როგორ შევეპასუხო, როგორ შევარჩიო მისთვის სათქმელი? 15. მართალიც რომ ვიყო, არ შევეპასუხები, მხოლოდ შევევედრები ჩემს მსაჯულს. 16. თუ შევღაღადებდი და პასუხს გამცემდა, არ დავიჯერებდი, რომ მან ყურად იღო ჩემი ხმა. 17. გრიგალივით მლეწავს და უმიზეზოდ მიმრავლებს ჭრილობებს. 18. სულს არ მათქმევინებს, არამედ მაძღობს სიმწარით. 19. თუ ძალაზე მიდგა, აჰა, ძლიერია! თუ სამართალზე — ვინ მოსთხოვს პასუხს? 20. მართალიც რომ ვიყო, ჩემივე ბაგეები გამამტყუნებენ. უმწიკვლო რომ ვიყო, გამაშავებენ. 21. უმწიკვლო ვარ, მაგრამ არად ვაგდებ ჩემს თავს: სიცოცხლე მომძულდა. 22. სულერთია, ამიტომაც ვამბობ: უმწიკვლოს და ბოროტს ერთნაირად ღუპავს იგი. 23. როცა კლავს შოლტი ანაზდეულად, უბრალოთა განსაცდელს დასცინის იგი. 24. ქვეყანა ბოროტის ხელშია, ის უფარავს სახეს მის მსაჯულებს, თუ ის არ არის, აბა, ვინღა არის? 25. ჩემი დღეები მორბედის უსწრაფესია, გარბიან, სიკეთე არ უნახავთ. 26. მიქრიან ლერწმის ნავებივით, არწივივით საკვებისკენ რომ მიისწრაფის. 27. თუ ვიტყვი, მოვეშვები ჩემს ჩივილს, უკუვიყრი მწუხარებას და გავმხნევდებიმეთქი, 28. მაინც მაშინებს ყველა ჩემი სატანჯველი, ვიცი, მაინც არ გამამართლებ. 29. მე გავმტყუნდები! რისთვის უნდა დავშვრე ამაოდ? 30. თუნდაც თოვლის წყალში განვიბანო თავი, თუნდაც ნაცარტუტით გავითეთრო ხელები, 31. მაშინაც კი წუმპეში ჩამ-

ძირავდი და ჩემსავე სამოსელს შევზიზღდებოდი. **32.** რადგან ის ჩემსავით ადამიანი კი არ არის, რომ პასუხი მივაგო და ერთად წავიდეთ სამსჯავროზე. **33.** არ არის ჩვენს შორის შუამავალი, რომ ორივეს დაგვადოს თავისი ხელი. **34.** გამარიდოს თავის კვერთხი და ნულარ შემზარავს მისი შიშისზარი! **35.** მაშინ ვილაპარაკებდი და არ შემეშინდებოდა მისი. მაგრამ ასეთი არა ვარ ჩემს თავთან.

## თავი მეათე

**1.** მოსძაგდა ჩემს სულს სიცოცხლე, უნდა ვიგლოვო ჩემი თავი, უნდა ვილაპარაკო სულგამწარებულმა. **2.** ვეტყვი ღმერთს: ნუ მადანაშაულებ! მაცოდინე, რისთვის მედავები? **3.** კარგია შენთვის, რომ თრგუნავ, რომ მოიძულე შენ ხელთა ქმნილება და ბოროტეულთა რჩევით ანათებ? **4.** ნუთუ შენც ხორციელი თვალები გაქვს? ნუთუ შენც ადამიანივით იყურები? **5.** განა ადამიანის დღეებივითაა შენი დღეები? განა შენი წლები კაცის დღეებივითაა? **6.** რად ეძებ ჩემს დანაშაულს? ჩემს ცოდვებს რას კითხულობ? **7.** ხომ იცი, რომ არ შემიცოდავს, მაგრამ შენი ხელიდან ვერავინ მიხსნის. **8.** შენმა ხელებმა გამომსახეს და შემქმნეს მე ყველაფერთან ერთად, რაც გარს მარტყია, და შენვე გამანადგურე. **9.** გაიხსენე, თიხასავით შემქმენი და მტვრად გადამაქცევ! **10.** განა რძესავით არ გადმომღვარე და ყველივით არ შემადედე? **11.** ტყავითა და ხორცით შემმოსე, ძვლებითა და ძარღვებით მომქსოვე. **12.** სიცოცხლე და წყალობა მოავლინე ჩემზე და შენი ზრუნვა ინახავდა ჩემს სულს. **13.** ეს გქონდა დაფარული გულში, მივხვდი, რომ ეს შენთან იყო. **14.** როცა შევცოდე, დამიდარაჯდი და არ მომიტევე დანაშაული. **15.** თუ დამნაშავე ვარ, ვაიმე ჩემს თავს! თუ მართალი ვარ, თავს ვერ ვწევ მაღლა, რადგან სავსე ვარ სირცხვილით. ნახე ჩემი სივაგლახე! **16.** წამოვიწევი და ლომივით მედევნები, კვლავ და კვლავ სასწაულებს ახდენ ჩემზე. **17.** განაახლებ მტერს ჩემს წინააღმდეგ და უფრო და უფრო მრისხანებ ჩემზე, ჯარი მოდის და მოდის ჩემს წინააღმდეგ. **18.** რისთვის გამომიყვანე დედის საშოდან? მოვმკვდარიყავი, რომ არავის არ ვეხილე! **19.** ვყოფილიყავი როგორც არყოფილი, საშოდან საფლავში ჩავსულიყავი. **20.** ხომ დღემოკლე ვარ? დამაყენე, მომეშვი, რომ გავიხარო ცოტათი მაინც, **21.** სანამ წავიდოდე უკანმოუქცევლად ბნელეთისა და შავეთის ქვეყანაში, **22.** წყვდიადის ქვეყანაში, როგორც შავეთის უკუნეთში, სადაც არ არის წესრიგი და ნათობს უკუნი.

## თავი მეთერთმეტე

**1.** მიუგო ცოფარ ნაყამათელმა და უთხრა: **2.** განა ბევრ სიტყვას პასუხი არ გაეცემა? განა მჭერმეტყველება კაცს ამართლებს? **3.** შენი ფუჭსიტყვაობა ჩააჩუმებს ადამიანებს? დაცინვას მოჰყვები და არავინ იქნება შემარცხვენელი? **4.** შენ ამბობ მართლად განვსჯიო და სუფთა ვარო მის თვალში. **5.** ნეტავ ღმერთი ალაპარაკდებოდეს და გახსნიდეს ბაგეებს შენს მიმართ! **6.** გაგიცხადებდა სიბრძნის საიდუმლოებებს, რადგან ორგემაგეა სიბრძნე. იცოდე, რომ დაივიწყა ღმერთმა ზოგიერთი შენი შეცოდება. **7.** ჩასწვდები შენ ღვთის სიღრმეს? ჩასწვდები ყოვლადძლიერის სრულყოფილებას? **8.** ცათა მწვერვალებია, რა გამოგივა? ქვესკნელზე უღრმესია, რას

შეიცნობ? 9. დედამიწაზე გრძელია ზომით და ზღვაზე ვრცელი. 10. თუ ჩაივლის, დაატუსაღებს და მსჯავრს დასდებს — წინ ვინ აღუდგება? 11. რადგან ის ცნობს ცრუ ხალხს, ის ხედავს ბოროტებას და იმახსოვრებს. 12. ქარაფშუტა კაცი განისწავლება და ველური ვირის ჩოჩორიც კი ადამიანად იქცევა! 13. თუ შენ განაწყობ შენს გულს და განაპყრობ ხელებს მის მიმართ, 14. თუ ცოდვა აქვს შენს ხელს, განიშორე და არ დაასადგურო უკეთურება შენს კარვებში, 15. მაშინ აღმართავ შენს სახეს უმწიკვლოდ, განმტკიცდები და შიში არ გექნება. 16. რადგან დაგავიწყდება ტანჯვა-წამება, როგორც ჩავლილ წყალს, ისე გაიხსენებ. 17. შუადღესავით ინათებს წუთისოფელი და ბნელი დილასავით იქნება. 18. დამშვიდდები, რადგან არის სასო, დასადგურდები და იმედიანად დაიძინებ. 19. იწვები და არავინ შეგაშინებს, მრავალნი დაგიწყებენ პირფერობას. 20. ბოროტმოქმედთა თვალნი დაივსებიან, დაეკარგებათ თავშესაფარი და გაქარწყლდება მათი იმედები.

## თავი მეთორმეტე

1. მიუგო იობმა და უთხრა: 2. ნამდვილად! რადგან ხალხნი ვართ, თქვენთან ერთად მოკვდება სიბრძნეც. 3. მეც თქვენსავით მაქვს გონება, თქვენზე ნაკლები არც მე ვარ. ვის არ გაუგონია მსგავსი ამბები? 4. მოყვასის დასაცინი შევიქენი მე, ღვთის მხმობელი და მისგან პასუხნაცემი. დასაცინი შევიქენი მართალი, წრფელი. 5. სირცხვილის მაშხალა ამპარტავნის ფიქრებს! სიმტკიცე ფეხმობარბაცეს! 6. სიმშვიდე სუფევს მძარცველთა კარვებში და უშიშრად არიან ღვთის მგმობელნი, ვინც ღმერთი მოიყვანა თავისი ხელით. 7. ერთი ჰკითხე პირუტყვს და გასწავლის, ცის ფრინველს — და გამცნობს. 8. ანდა შესჩივლე მიწას და გასწავლის, მოგახსენებენ ზღვის თევზები. 9. ვინ არ იცის ყველა ამათ შორის, რომ ღვთის ხელმა შექმნა ეს? 10. ვის ხელშიც არის ყოველი სულდგმულის სამშვინველი და მთელი კაცთა მოდგმის სული? 11. განა ყური არ განიცდის სიტყვას და სასა არ გრძნობს საჭმლის გემოს? 12. განა მოხუცებშია სიბრძნე და დღეგრძელებში ჭკუა? 13. მასთან არის სიბრძნე და ძალი, მისია რჩევა და ჭკუა, 14. აჰა, დაანგრევს და ველარ აშენდება, ჩაკეტავს კაცს და ველარ დაიხსნება. 15. დააკავებს წყლებს და დაშრებიან, გაუშვებს და მიწას დალარავენ. 16. მასთან არის ძალი და ძლევა, მისია ცთუნებული და მაცთუნებელი. 17. მრჩეველნი ტყვედ მიჰყავს, მსაჯულებს აბრიყვებს. 18. მეფეებს სარტყელს შემოახსნის და წელზე ძონძებს შემოარტყამს. 19. ტყვედ მიყავს მღვდლები და ამხობს ძალმოსილთ. 20. ართმევს მეტყველებას სარწმუნო ხალხს და გაგების უნარს მოხუცებულებს. 21. თავსლაფს ასხამს დიდებულებს და ძლიერებს სარტყელს უმსუბუქებს. 22. აცხადებს იდუმალებებს წყვდიადიდან და სინათლეზე გამოჰყავს ბნელი, 23. აძლიერებს ხალხებს და ანადგურებს, განავრცობს ხალხებს და უძლვება. 24. ჰკას ურევს ქვეყნის ერის თავკაცებს და უგზო-უკვლო უდაბნოში ახეტიალებს. 25. ხელის ცეცებით დადიან ბნელში უსინათლოდ, მთვრალებივით ახეტიალებს.

## თავი მეცამეტე

1. ეს ყველაფერი იხილეს ჩემმა თვალებმა, ისმინა ყურმა და მიხვდა. 2. რაც თქვენ იცით, მეც ვიცი, არც მე ვარ თქვენზე ნაკლები, 3. მაინც მინდა ველაპარაკო ყოვლადძლიერს და მსურს მოვახსენო ჩემი სამხილი.

4. თქვენ კი სიცრუის მთხზველები ხართ, უვარგისი მკურნალნი ხართ ყველანი. 5. დადუმდებოდეთ მაინც! ეს იქნებოდა თქვენი სიბრძნე 6. ისმინეთ ჩემი სამხილი და ჩემს ბაგეთა საჩივარი გაიგონეთ! 7. ღვთის გამო ლაპარაკობთ ტყუილს, მის გამო ლაპარაკობთ სიცრუეს? 8. მას უნდა მიკერძოებოდით, ღმერთს უნდა გამოსარჩლებოდით? 9. მოგეწონებათ, რომ გამოგჩხრიკოთ? ისე მოატყუებთ, როგორც ადამიანები ტყუვდებიან? 10. ის მაინც გამხილებთ, მალულადაც რომ პირმოთნეობდეთ. 11. ნუთუ მისი სიდიადე არ გაშინებთ და მისი შიშის-ზარი არ დაგცემიათ თავზე? 12. თქვენი შეგონებები ნაცრის არაკებია, თქვენი საყრდენი თიხის საყრდენია. 13. დადუმდით და მე მალაპარაკეთ, მერე რაც მომივა, მომივიდეს! 14. რისთვის უნდა ვზიდო ჩემი ხორცი ჩემივე კბილებით, რისთვის მეჭიროს ჩემი სული ჩემივე ხელებით? 15. კიდეც რომ მომკლას, მასზე ვარ დანდობილი — მაინც დავიცავ ჩემს გზებს მის წინაშე. 16. ისიც ხსნა იქნება ჩემთვის, რომ ულვთო კაცი არ მივა მის წინაშე. 17. გაიგონეთ ჩემი სიტყვა და ყური უგდეთ ჩემს ნათქვამს. 18. აჰა, განმიცხადებია ჩემი სარჩელი: ვიცი, რომ გავმართლდები. 19. ვინ არის ჩემი მოდავე? რადგან მაშინ დავდუმდებოდი და გავთავდებოდი. 20. ოღონდ ამ ორს ნუ მიზამ და შენს სახეს არ დავემალები: 21. შენი ხელი მომარიდე და შენი ზარი ნუ შემაძრწუნებს. 22. მიხმე და მოგიგებ, ან მე ვილაპარაკებ და შენ მიპასუხე. 23. რამდენი დანაშაული და ცოდვა მაწევს? მაცოდინე ჩემი ბრალი და ცოდვა! 24. რისთვის მიმალავ სახეს და რისთვის შეგირაცხივარ შენს მტრად? 25. მოფარფატე ფოთოლს აფრთხობ და გამხმარ ჩალას სდევნი? 26. რადგან მწარე ამბებს მაწერ თავზე და სიყმაწვილის დროინდელ ცოდვებს მითვლი. 27. ხუნდებში გამაყოფიე ფეხები და ჩემს გზასავალს ყარაულობ. 28. ის კი იხრწნება, როგორც მძორი, როგორც ჩრჩილისაგან შეჭმული სამოსელი.

## თავი მეთოთხმეტე

1. კაცი, ქალის ნაშიერი, დღემოკლეა და სავსეა მღელვარებით. 2. ყვავილივით გამოდის და ჭკნება, ჩრდილივით გარბის და კვალს არ ტოვებს. 3. და მაინც თვალს აპყრობ მას და განსასჯელად მიგყავარ შენთან? 4. ვინ შექმნის წმიდას უწმიდურისგან? არავინ. 5. თუ დასაზღვრულია მისი დღეები, თუ დათვლილი გაქვს მისი თვეები, თუ საზღვარი დაუდგინე და ვერ გადავა, 6. დაეხსენი, ნებაზე მიუშვი, რომ ქირისკაცივით გაიხაროს თავისი დღით. 7. რადგან ხესაც აქვს იმედი — თუ მოჭრიან, კვლავ განახლდება და ყლორტები არ მოაკლდება. 8. თუ დაუბერდა მიწაში ფესვი და ღერო ჩაუკვდა ნიადაგში, 9. წყლის სუნზე კვლავ აყვავდება და ყლორტებს გამოიყრის როგორც ახალნერგი. 10. მაგრამ კაცი კვდება და ძლეულია, სულს ამოუშვებს ადამიანი და სადღა არის? 11. წყალი გაედინება ზღვიდან, მდინარე იწრიტება და შრება. 12. ადამიანიც დაწვება და ველარ ადგება. ცათა აღსასრულამდე ვერ გაიღვიძებენ, ვერ გამოიფხიზლებენ ძილისაგან. 13. ოჰ, ნეტავ ქვესკნელში დამმალავდე, შემინახავდე, ვიდრე შენი რისხვა გადაივლიდეს! დროს დამინიშნავდე და მერე გამიხსენებდე! 14. თუ მოკვდა კაცი, განა კვლავ გაცოცხლდება? მთელი ჩემი მაშვრალობის დღეები დაველოდებოდი ჩემი ფერისცვალების დადგომამდე. 15. დამიძახებდი და მეც ხმას გაგცემდი, შენ ხელთა ქმნილება მოგენატრებოდა. 16. თუ ახლა ჩემს ნაბიჯებს ითვლი, მაშინ ჩემს ცოდვებს აღარ დაუდარაჯდებოდი. 17. დაიბეჭდებოდა გრაგნილში ჩემი შეცოდება და წარხოცავდი ჩემს დანაშაულს. 18. მაგრამ დაცემული მთა ხომ ირღვევა

და კლდე ცურდება თავის ადგილიდან! 19. ქვებს აცამტვერებს წყალი, ნიაღვარი გადარეცხავს მიწას, ადამიანის იმედს კი შენ წარხოცავ. 20. ძლევ მას საბოლოოდ და მიდის ის, სახეს შეუცვლი და გაისტუმრებ. 21. პატივში იქნებიან მისი შვილები, მან კი არ უწყის, დამცირდებიან, ვერაფერს მიხვდება. 22. მხოლოდ თავისი სხეული სტკივა მას და საკუთარ თავზე გლოვობს.

## თავი მეთხუთმეტე

1. მიუგო ელიფაზ თემანელმა და უთხრა: 2. ფუჭ რჩევას უნდა იძლეოდეს ბრძენი? აღმოსავლეთის ქარით უნდა ივსებდეს მუცელს? 3. უნდა უცილობლობდეს უსაფუძვლო ლაპარაკით და ფუჭი სიტყვებით? 4. შენ აქარწყლებ ღვთისმოშიშებას და ამცრობ ლოცვას მის წინაშე. 5. რადგან უკეთურება წვრთნის შენს ბაგეებს და ცბიერთა ენა აგირჩევია. 6. შენივე ბაგე გდებს ბრალს, მე კი არა, შენი პირი იმოწმება შენს წინააღმდეგ. 7. პირველშობილი ხომ არა ხარ კაცთა შორის, ბორცვებზე უწინარეს ხომ არ შექმნილხარ? 8. ღვთის საიდუმლო ხომ არ მოგისმენია და სიბრძნე ხომ არ მოგიხვეჭია? 9. რა იცი ისეთი, რაც ჩვენ არ ვიცით? რას მიხვდი ისეთს, რაც ჩვენთან არ არის? 10. თმათეთრიც და მოხუცებულიც არის ჩვენს შორის, მამაშენზე უხნესი. 11. გეცოტავება ნუგეში ღვთისგან? ან იქნებ რაღაც საიდუმლო სიტყვაა შენთან? 12. საითკენ გეწევა გული და რას ახამხამებ თვალს? 13. რას მიგიმართავს შენი სული ღვთის წინააღმდეგ და რა სიტყვები ამოდის შენი პირიდან? 14. რა არის კაცი, რომ სუფთა იყოს ან მართალი იყოს დიაცის ნაშობი? 15. აჰა, თავისი ანგელოზებისაც არა სწამს მას და ზეცაც კი არ არის სუფთა მის თვალში! 16. რამდენად ბილწი და გახრწნილია კაცი, წყალივით რომ სვამს უკეთურებას! 17. გეტყვი და მომისმინე, გიამბობ, რაც ვნახე, 18. რაც ბრძენებს შეუტყვიათ და [illegible] თავიანთი მამა-პაპის[illegible] 19. მხოლოდ მათ მიეცათ ქვეყანა და უცხოს არ გაუვლია მათ შორის. 20. იტანჯება ბოროტი მთელი სიცოცხლე და წელთა რიცხვი დაფარულია მძლავრთათვის, 21. შიშისზარია მათ ყურებში, მშვიდობიანობის დროს ესხმის თავს მძარცველი. 22. იმედი არა აქვს, რომ გაექცევა წყვდიადს და შემართულია მასზე მახვილი. 23. ლუკმა პურისათვის დახეტიალობს, მაგრამ სად არის? იცის, შავი დღე შერჩება ხელში. 24. აშინებს მას გასაჭირი და იწროება, თავს ესხმის ომში გასულ მეფესავით. 25. რადგან ღვთის წინააღმდეგ აღმართა ხელი და ყოვლადძლიერს აუჯანყდა. 26. ექრებოდა მას ქედმაღლურად თავისი ფარების სქელი ზურგებით. 27. რადგან თავისი ცხიმით დაიფარა სახე და ქონი მოიდო თირკმელებზე. 28. მკვიდრობს დაქცეულ ქალაქებში, მიტოვებულ სახლებში, რომლებიც განწირულია დასანგრევად. 29. ვერ გამდიდრდება, ვერ შენარჩუნდება მისი დოვლათი, ვერც დაადენს ჩრდილს მიწაზე. 30. ვერ გაექცევა წყვდიადს, ალი გამოშრობს მის ყლორტებს და ქარისგან დაცვივა ყვავილი. 31. ამაოდ ნუ ერწმუნება გზადაკარგული, რადგან ამაოება იქნება მისი საზღაური. 32. უდროოდ გათავდება და მისი რტო ამწვანებას ვერ მოასწრებს. 33. როგორც ვაზს ჩამოგლეჯენ მკვახე ყურძენს და ზეთისხილივით დააბერტყნინებენ ყვავილს. 34. რადგან ბერწია ულვთოთა საკრებულო და ცეცხლი შეჭამს მექრთამეთა კარვებს, 35. მუცლადიღო ტანჯვა და დაბადა სიავე, ახლა მუცელი მათი სიცრუეს ამზადებს.

## თავი მეთექვსმეტე

1. მიუგო იობმა და უთხრა: 2. ბევრი მსმენია ამისთანები, ფუჭი ნუგე-

შისმცემლები ხართ ყველანი, 3. თუ აქვს დასასრული ქარიან სიტყვებს? რამ გაგამწარა, ასეთ პასუხს რომ იძლევი? 4. მეც თქვენსავით ვილაპარაკებდი, ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავით? დაგიხვავებდით ამდენ სიტყვებს და თავის ქნევას დაგიწყებდით? 5. გაგამხნევებდით ჩემი პირით და ჩემ ბაგეთა მოძრაობა განუგეშებდათ. 6. თუ ვლაპარაკობ, ტკივილი არ მიამდება. ვდუმვარ და არ მშორდება? 7. მაგრამ ახლა შემალონა მან. შენ დამიქციე ერთიანად ჩემი სახლი! 8. ნაოჭები გამიჩინე და მოწმედ მყვანან, ჩემი სიგამხდრე ჩემი პირისახით მემოწმება. 9. მფლეთს თავისი რისხვით და მძულვარებს. კბილებს მიხრჭიალებს, მტერი თვალს ლესავს ჩემზე. 10. პირი აქვთ დაღირებული ჩემზე, მაგინებენ და სახეში მცემენ, ხროვად შეთქმულან ჩემს წინააღმდეგ. 11. უკეთურს შემატოვა ღმერთმა და ჩამაგდო ბოროტეულთა ხელში. 12. უზრუნველად ვიყავი და დამლეწა, კისერში ჩამავლო ხელი და გამაცამტვერა, თავის სამიზნედ დამსვა. 13. გარს შემომეხვივნენ მისი მშვილდოსნები, გამიგლიჯა გულღვიძლი, არ შემიბრალა, მიწაზე დამინთხია ნაღველი. 14. გამანგრია და გამანგრევს და მანგრევს, მეომარივით გამორბის ჩემსკენ. 15. ჯვალო გადავიკერე კანზე და მტვერში ამოვთხვარე ჩემი დიდება, 16. სახე დაწითლებული მაქვს ტირილისგან და ჩემს წამწამებზე სიკვდილის აჩრდილია. 17. თუმცა მოძალადე არ ვყოფილვარ და ჩემი ლოცვაც სუფთა იყო! 18. მიწავ, ნუ დაფარავ ჩემს სისხლს და ჩემი მოთქმა ნუ დაბრკოლდება! 19. ახლაც კი, აჰა, ზეცაშია ჩემი მოწმე და ჩემი მეოხე ზესკნელშია! 20. ჩემო დამცველნო, ჩემო მეგობრებო! ღვთისკენ მიმართ იღვრება ჩემი ცრემლი, 21. რომ ადამიანი ღმერთთან დაიცვას, როგორც კაცი თავის მოყვასთან. 22. რადგან ჩამოთავდებიან წლები და უკანმოუქცეველ გზას დავადგები.

## თავი მეჩვიდმეტე

ეროვნული

1. შემემუსრა სული, ჩამიქრა დღეები, საფლავი მზადაა ჩემთვის. 2. მხოლოდ მქირდავნი მარტყიან გარს და მათგან სიმწრით ალამებენ ჩემი თვალები. 3. მომხედე, გამიწიე თავდებობა შენს წინაშე! ხელს ხელზე სხვა ვინ დამკრავს? 4. რადგან დახურე მათი გული გონიერებისთვის, ამიტომაც არ აღაზევებ მათ. 5. ვინც მეგობრებს გასცემს ანგარებით, მათ შვილებს თვალის ჩინი აკლდება. 6. ხალხის საარაკოდ გამხადა და პირში საფურთხებლად ვიქეცი. 7. დარდისაგან თვალი გამევსო და დამიჭლევდა სხეულის ასოები. 8. გაოგნდებიან ამის გამო წრფელნი და უბრალონი ურვთოებს აუმხედრდებიან. 9. მართალი თავის გზას დაიჭერს და ხელწმიდა კაცის ძალას მოიცემს. 10. თქვენ კი მობრუნდით, მოდით ყველანი. ბრძენს მაინც ვერ ვპოვებ თქვენს შორის, 11. ჩაიარეს ჩემმა დღეებმა, გამიქარწყლდა ზრახვები — ჩემი გულის მონაგარი. 12. ისინი ღამეს დღედ აქცევენ: მიადგა ნათელი წყვდიადის პირს. 13. თუ მოველი რასმე — ქვესკნელს, ჩემს სახლს. წყვდიადში გავშალე ჩემი სარეცელი. 14. საფლავს ჩავძახე: მამა ხარ ჩემი! ჭიაღუებს — ჩემი დედა და ჩემი და ხართ-მეთქი! 15. სადღაა ახლა ჩემი იმედი? ვინღა დაინახავს ჩემს იმედს? 16. ჩავა ქვესკნელის კარიბჭეებისკენ, სადაც ერთად გვექნება სავანე მტვერში.

## თავი მეთვრამეტე

1. მიუგო ბილდად ხუშელმა და უთხრა: 2. როდისღა დაუდებთ სამანს თქვენს სიტყვებს? იფიქრეთ და მერე ვილაპარაკოთ. 3. რატომ შევირაცხენით პირუტყვებად და გავუწმიდურდით თქვენს თვალში? 4. ო, თავის მტანჯველო საკუთარი ბოღმით! შენს გამო ხომ არ უნდა გაუკაცრიელდეს

მიწა და ადგილიდან დაიძრას კლდე? 5. ბოროტეულთა ნათელიც ჩაქრება და აღარ იელვებს მისი ცეცხლის ნაპერწკალი. 6. სინათლე დაბნელდება მის კარავში და სანათური ჩაქრება მის თავზე. 7. დაუმოკლდება ძლიერი ნაბიჯები და დაამხობს საკუთარი რჩევა, 8. რადგან ჩავარდნილი აქვს ფეხი ბადეში და ხლართებში დაიარება. 9. ხაფანგს ქუსლით ჰყავს დაჭერილი, მოჭერილი აქვს საკვრელები. 10. იდუმალად დაგებულია მახეები მიწაზე და ხაფანგები ბილიკებზე. 11. საშინელებები აფრთხობენირგვლივ და ფეხდაფეხ ედევნებიან. 12. დაიმშევა მისი ძალა და დაღუპვა მზად არის მისი ფერდებისთვის. 13. ნაწილ-ნაწილ შეუჭამს კანს, ასოებს შეუჭამს სიკვდილის პირმშო. 14. ამოიძირკვება მისი საიმედო კარვიდან და წაათრევენ მას საშინელებათა მეუფესთან. 15. მისიანი არავინ დასახლდება მის კარავში, გოგირდი გადაეყრება მის საცხოვრებელს. 16. ძირს ფესვები გაუხმება და მაღლა ტოტები დაუჭკნება. 17. მისი სახსენებელი გაქრება ქვეყნად და სახელი აღარ ექნება მოედანზე. 18. განდევნიან ნათლიდან ბნელში და ქვეყნიერებას მოაშორებენ. 19. არც ნაშიერი ეყოლება, არც შთამომავალი თავის ხალხში და არც ნატამალი დარჩება საცხოვრებელზე. 20. მისი დღის გამო გაოგნდებიან დასავლელნი და აღმოსავლელებს შეიპყრობს ძრწოლა. 21. ნამდვილად, ასე დაემართება უკუღმართთა საცხოვრებელს და იმათ ადგილს, ღმერთს რომ არ სცნობენ!

## თავი მეცხრამეტე

1. მიუგო იობმა და უთხრა: 2. როდემდის უნდა მიშფოთებდეთ სულს და მგვემდეთ სიტყვებით? 3. უკვე მეათეჯერ შეურაცხმყავით მე და გამიუცხოვდით ურცხვილოდ? 4. თუ მართლა შევცდი, ჩემთანვე დარჩება ჩემი შეცდომა. 5. თუ თქვენ მართლა ელირსად მთვლით და მწამებთ [illegible] 6. იცოდეთ, რომ ღმერთმა [illegible] მე და გამხვია თავის ბადეში. 7. აჰა, ძალადობას ვჩივი და პასუხს არავინ მაძლევს. შველას ვითხოვ და არ არის სამართალი. 8. გზა გადამილობა და ველარ გადავდივარ, ბნელი დაამკვიდრა ჩემს ბილიკებზე. 9. დიდება წამართვა და თავზეით ამხადა გვირგვინი. 10. ყოველი მხრივ დამაქცია და წასული ვარ, ხესავით ამომიძირკვა იმედი. 11. თავისი რისხვა დააგზნო ჩემს თავზე და შემრაცხა თავის მტრებს შორის. 12. ერთად მომადგნენ მისი ურდოები და მოასწორეს ჩემსკენ მომავალი გზები, ჩემი კარვის გარშემო დაიბანაკეს. 13. მოძმენი მომაშორა და ჩემი მცნობელნი გამიუცხოვდნენ. 14. მახლობელნი განმიდგნენ და მეგობრებმა დამივიწყეს მე. 15. ჩემი სახლის მდგმურები და მხევლები უცხოდ მიყურებენ, უცხო თესლი შევიქენი მათ თვალში. 16. მსახურს ვეძახი და ხმას არ მცემს, ბაგით ვევედრები. 17. ჩემი სუნთქვა შესძაგდა ჩემს ცოლს და ჩემი სუნი — ჩემს ნაშიერთ. 18. ბავშვებმაც შემიძულეს, წამოვდგები და შეურაცხმყოფენ. 19. მომიძულეს ჩემმა გულითადმა მეგობრებმა და ვინც კი მიყვარდა, მტრად გამიხდნენ. 20. ტყავში და ხორცში ჩამილპა ძვლები, კბილების ტყავიღა შემრჩა. 21. შემიბრალეთ, შემიბრალეთ, მეგობრებო, რადგან ღვთის ხელი შემეხო მე! 22. რატომ მდევნით ღმერთივით და რატომ არ ძღებით ჩემი ხორცით? 23. ოჰ, ნეტავ დაიწერებოდეს ჩემი სიტყვები, ნეტავ ჩაიბეჭდებოდეს წიგნში! 24. რკინის საჭრეთელით ამოიკვეთებოდეს ტყვიაზე ან კლდეზე სამარადისოდ! 25. მაგრამ ვიცი, ცოცხალია ჩემი გამომხსნელი და საბოლოოდ აღიმართება მიწაზე! 26. და როცა დაიშლება ეს ჩემი კანი, უსხეულმყოფელიც ვიხილავ ღმერთს. 27. მე თავად დავინახავ მას და ჩემი თვალები იხილავენ, არა სხვისნი! გული დამელია

მკერდში მოლოდინით! 28. თუ იტყვით: „რას ვდევნით მას?“ და „ბრალის ფესვი მასში იპოვება?“ 29. მახვილს მოერიდეთ, რადგან რისხვაა მახვილის სასჯელი, რათა იცოდეთ, რომ იქნება განკითხვა!

## თავი მეოცე

1. მიუგო ცოფარ ნაყამათელმა და უთხრა: 2. ჩემი ფიქრები მაიძულებენ პასუხს და ამის გამო ვიჩქარი. 3. ჩემს შეურაცხყოფას ვისმენ და ჩემი გონებიდან მპასუხობს სული: 4. ხომ იცი, ასე ყოფილა უკუნითიდან, რაც რომ კაცი დადგინდა ქვეყანაზე: 5. ბოროტეულთა სიხარული ხანმოკლეა და ულვთოს ლხენა წამიერი. 6. თუნდაც ცამდე ამაღლდეს მისი დიდება და მისი თავი ღრუბლებს მისწვდეს, 7. თავისი განავალივით გაქრება საბოლოოდ, იკითხავენ მისი მნახველნი: სად არისო? 8. გაფრინდება როგორც სიზმარი და ვერავინ იპოვნის, ღამის ჩვენებასავით გაუჩინარდება. 9. თვალი, რომელიც ხედავდა მას, ველარ იხილავს. ველარც მისი ადგილი იხილავს მას ვერასოდეს. 10. მისი შვილები შეუვარდებიან გლატაკებულთ და თავისი ხელით დაუბრუნებენ დოვლათს. 11. სიჭაბუკით სავსე მისი ძვლები მასთან ერთად ჩაესვენებიან მიწაში. 12. თუმცა ბოროტება ეტკბილება პირში და ენის ქვეშ ინახავს მას. 13. თუმცა ენანება გადმოსაგდებად და სასაში იჩერებს, 14. უნასის შხამად ექცევა საჭმელი ნაწლავებში. 15. ყლაპავს დოვლათს და ისევ ამოარწყევს, მუცლიდან გამოუდევნის მას ღმერთი. 16. უნასთა შხამს მოსწოვს ის, იქედნეს ენა მოკლავს მას. 17. ვერ იხილოს მან თაფლისა და რძის ნაკადულები, მდინარეები და ნიაღვრები! 18. დააბრუნებს ნაჭირნახულევს და ვერ გადაყლაპავს, გაიღებს თავისი დოვლათის ფასს და ვერ გაიხარებს. 19. რადგან ჩაგრავდა, არ ახსოვდა ღარიბ-ღატაკები, ძარცვავდა სახლებს, რომლებიც არ უშენებია. 20. რადგან მოსვენებ[illegible] და თავის შიგანში, [illegible] რაფერს გადაარჩენს. 21. ნამცეციც არ დარჩენია შეუჭმელი, ამიტომაც ვერ გასტანს მისი კეთილდღეობა. 22. თავის სიუხვეში ვიწროდ იქნება, ყოველი მაშვრალის ხელი მისწვდება მას. 23. მუცლის ამოსავსებად თავისი რისხვის ცეცხლს ჩამოუგზავნის და საჭმელად აწვიმებს მასზე. 24. გაექცევა რკინის იარაღს და განგმირავს მას სპილენძის მშვილდი. 25. შუბი გაალწევს მის გვამში, ელვარე მახვილი — მის გულ-ბოყვში, და შიშის ზარი დაეცემა მას. 26. მთელი წყვდიადი მის საგანძურად ინახება, შეჭამს მას დაუნთებელი ცეცხლი, წახდება მის კარვებში ნატამალი. 27. ამხილებს ცა მის დანაშაულს და მიწა აღდგება მის წინააღმდეგ. 28. წალეკავს წარღვნა მისი სახლის დოვლათს და ნიაღვრები — ღვთის რისხვის დღეს, 29. ეს არის ხვედრი ბოროტეულისა ღვთისაგან და მემკვიდრეობა, ღვთის ნაანდერძევი.

## თავი ოცდამეერთე

1. მიუგო იობმა და უთხრა: 2. კარგად მოისმინეთ ჩემი სიტყვა და ეს იყოს თქვენგან ნუგეშისცემა: 3. ჯერ მე დამაცადეთ ლაპარაკი და, როცა ვიტყვი სათქმელს, დამცინეთ. 4. განა ადამიანს ვუჩივი მე? როგორ შევძლო, რომ სულმოკლე არ ვიყო? 5. შემომხედეთ და შეძრწუნდით, პირზე დაიდევით ხელი. 6. ამის გაფიქრებაც კი მზარავს, შიშისზარი იპყრობს ჩემს ხორცს. 7. რატომ არის, რომ ბოროტეულნი ცოცხლობენ, ბერდებიან და უფრო მძლავრდებიან? 8. მათი მონაგარი მყარად დგას მათ წინაშე და მათი შთამომავლობა მათ თვალწინაა. 9. მათი სახლები შიშისგან დაცულია და არც ღვთის კვერთხია მათზე დაღირებული. 10. მისი ბუღა ბუღობს, არ ააცდენს. მისი ფური იგებს, არ უკვდება. 11. ცხვრებივით გარეკავენ თავიანთ

ბავშვებს და კუნტრუშობენ მათი შვილები. 12. უკრავენ დოლსა და ქნარს და მხიარულობენ სალამურის ხმაზე. 13. განლევენ განცხრომით თავიანთ დღეებს და ანაზდეულად ჩახდებიან შავეთში. 14. ღმერთს ეუბნებიან: ჩამოგვეცალე! არ გვსურს ვიცოდეთ შენი გზებიო. 15. რა არის ყოვლადძლიერი, რომ ვემსახუროთ? რას გვარგებს, რომ ვეხვეწოთ? 16. აჰა, მათ ხელში არ არის მათი კეთილდღეობა? ბოროტეულთა რჩევა შორს არის ჩემგან! 17. რამდენგზის ჩამქრალა ბოროტეულთა ლამპარი? რამდენგზის დასტეხიათ უბედურება? ის ანაწილებს ხვედრს თავის რისხვის ჟამს. 18. იქნებიან ჩალასავით ქარის წინაშე და ქარბორბალასგან მოტაცებულ ბზესავით. 19. განა ინახავს ღმერთი მის სატანჯველს მისი შვილებისთვის? მხოლოდ მას მიუზღავს და ეცოდინება. 20. მისმა თვალებმა იხილონ მისი თასი და თავად შესვას ყოვლადძლიერის რისხვა. 21. რადგან რაღა საზრუნავი ექნება თავის სახლში სიკვდილის შემდეგ, რადგან მისი თვეები უკვე დათვლილია? 22. განა ღმერთს ესწავლება ჭკუა როცა ის ანგელოზებს ასამართლებს? 23. ზოგი სრულ სიმრთელეში კვდება, ყოვლად მშვიდი და უზრუნველი. 24. მისი შიგანი სავსეა ქონით და მისი ძვლები ტვინით არის დაპოხილი. 25. ზოგი სულგამწარებული კვდება და არ უნახავს სიკეთის გემო. 26. ერთად წვანან ისინი მიწაში და ჭიაღუებით არიან დაფარულნი. 27. აჰა, მიგიხვდით ფიქრებს და მზაკვრობას, რასაც მიმზადებთ. 28. რადგან ამბობთ: სად არის ქველი კაცის სახლი და სად არის ბოროტეულთა კარავ-სადგომიო? 29. შეეკითხეთ გზაზე ჩამვლელებს და მათ მოწმობებს ნუ უარყოფთ. 30. დაღუპვის დღეს დაცულია ბოროტი კაცი, გარიდებულია რისხვის დღეს. 31. ვინ აშხილებს მას პირში მისი საქციელის გამო? ვინ მიუზღავს ნამოქმედარისთვის? 32. სასაფლაოზე წაასვენებენ და მცველად დაუდგება საფლავის თორს ცვი. 33. ეამება ხევის კო[illegible] ყოველი კაცი მას მიჰყ[illegible] სათვალავი არა აქვთ, ვინც მის წინ იყვნენ. 34. როგორღა მანუგეშებთ ამაოებით? მტკნარი სიცრუეა თქვენი პასუხები.

## თავი ოცდამეორე

1. მიუგო ელიფაზ თემანელმა და უთხრა: 2. რას არგებს ღმერთს კაცი, როცა ბრძენიც კი თავისი თავისთვის არის სასარგებლო. 3. რაში სჭირდება ყოვლადძლიერს შენი სიმართლე? ან რა გამორჩენა ექნება, თუ შენ წრფელი გზებით ივლი? 4. განა შენი მოშიშების გამო დაგიწყებს მხილებას და წავა შენთან ერთად სამსჯავროზე? 5. განა დიდი არ არის შენი სიბოროტე? განა აქვს ბოლო შენს შეცოდებებს? 6. რადგან ტყუილუბრალოდ ჰგირაობდი შენი მოძმისაგან და ტანისამოსს ხდიდი შიშველ-ტიტველს. 7. მწყურვალს წყალს არ ასმევდი და მშიერს პურს უკავებდი. 8. მძლავრისაა ეს ქვეყანა და ალზევებული მკვიდრობს იქ, 9. ქვრივები ხელცარიელი გაგისტუმრებია და ობლებს მკლავები მოსწყვეტია. 10. ამიტომ არის შენს ირგვლივ ხაფანგები და ანაზდეული შიში გაძრწუნებს, 11. წყვდიადი გიშლის ხედვას თუ წყლის ნიაღვარმა გადაგფარა? 12. განა ღმერთი ცაზე მაღლა არ არის? შეხედე ვარსკვლავთა თავანს, რა მაღალია! 13. შენ ამბობ, რა უნდა იცოდეს ღმერთმა, ბურუსიდან რა უნდა განსაჯოსო? 14. ღრუბელი აქვს საფარველად და ვერ იხედება, ცარგვალს უვლისო გარშემო. 75. ნუთუ ძველ გზას ადგახარ, ავკაცები რომ დადიოდნენ? 16. რომლებიც უდროოდ წარიტაცნენ, ღვარმა გადარეცხა მათი საძირკველი. 17. ღმერთს ეუბნებოდნენ: გაგვეცალე! რას გვარგებსო ყოვლადძლიერი? 78. მან კი სახლები აუვსო დოვლათით. შორს იყოს ჩემგან ბორო-

ტეულთა რჩევა! 19. უყურებდნენ მართალნი და ხარობდნენ, დასცინოდა მათ უმწიკვლო კაცი: 20. ხომ გაცამტვერდა ჩვენი მტერი და მათი ნატამალი ხომ ცეცხლმა შეჭამა! 21. შეეთვისე მას და მშვიდობით იქნები — ამით მოვა შენთან ნეტარება. 22. მიიღე მისი ბაგიდან რჯული და გულში ჩაიდევი მისი სიტყვები. 23. თუ მიიქცევი ყოვლადძლიერისკენ, აშენდები, მოაშორე უკეთურება შენს კარვებს, 24. მტვერში დაფანტე ოქრო და რიყის ქვებში გაურია ოფირის ბაჯაღლო. 25. ყოვლადძლიერი იყოს შენი ოქრო და შენი ვერცხლის ხვავი. 26. რადგან მაშინ ყოვლად ძლიერში ჰპოვებ ნეტარებას და ღვთისკენ აღმართავ სახეს. 27. ილოცებ მის მიმართ და მოგისმენს, და შეასრულებ შენს აღთქმებს. 28. რასაც ჩაიფიქრებ, აგიხდება და შენს გზებზე ნათელი იბრწყინებს. 29. თუ დაამცირეს, შენ მის აღზევებას იტყვი. თვალდახრილს იხსნის იგი. 30. ბრალიანსაც კი გადაარჩენს — შენი უმწიკვლო ხელით გადარჩება.

## თავი ოცდამესამე

1. მიუგო იობმა და უთხრა: 2. დღესაც მწარე იქნება ჩემი სიტყვა. ჩემი სატანჯველი უფრო მძიმეა, ვიდრე კვნესა ჩემი. 3. ნეტავ მაცოდინა, როგორ ვიპოვო იგი, როგორ მივიდე მის სამყოფლამდე? 4. წინ დავუდებდი ჩემს სარჩელს და მხილებებით ავივსებდი პირს. 5. გავიგებდი მის საპასუხო სიტყვებს და მივხვდებოდი, რასაც მეტყოდა. 6. მთელი ძალით ხომ არ დამიწყებდა დავას? არა! მომისმენდა მხოლოდ. 7. იქ დაიწყებდა მართალი მის მხილებას, მე კი საბოლოოდ თავს დავიხსნიდი ჩემი მსაჯულისგან. 8. აჰა, წინ მივდივარ, არა ჩანს. უკან მივდივარ და ვერ ვაგნებ მას. 9. მარცხნივ საქმეშია და ვერ ვხედავ, მარჯვნივ იმალება და ვერ ვამჩნევ. 10. მაგრამ მან იცის ჩემი ასავალ-დასავალი, გამომცადოს და ოქროსავით გამოვალ. 11. მის კვალზე იდგა ჩემი ფეხი, მის გზას ვიცავდი განუხრელად. 12. მისი ბაგეების მცნებათაგან არ გადამიხვევია. უბეში დავიუნჯე მისი პირის სიტყვები. 13. ის ერთადერთია — ვინ გადაათქმევინებს? რასაც მოისურვებს მისი სული, იმას გააკეთებს. 14. ბოლომდე შეასრულებს ჩემს წილხვედრილს — ასეთი ბევრი აქვს მას. 15. ამიტომაც ვძრწივარ მის წინაშე, ჩავუფიქრდები და მეშინია მისი. 16. ღმერთმა დაამძაბუნა ჩემი გული და შემაძრწუნა ყოვლადძლიერმა. 17. ბარემ დავილუპო უკუნეთში და ბნელმა დამიფაროს სახე!

## თავი ოცდამეოთხე

1. რატომ არ არის დაფარული ყოვლადძლიერისათვის დროჟამი, მისნი მცოდნენი კი ვერ ხედავენ მის დღეებს? 2. ბოროტეულნი მიჯნებს ანაცვლებენ, ფარას და მწყემსებს იტაცებენ, 3. ობლებს ვირს ართმევენ, ქვრივოხერისგან ხარს იგირავებენ, 4. გაჭირვებულებს გზიდან აგდებენ, მიიმალნენ, ქვეყნის ჩაგრულნი ერთიანად. 5. აჰა, კანჯრებივით უდაბნოში გადიან საშოვარზე, ტრამალი პურს იძლევა მათი ბავშვებისთვის. 6. სხვის ყანაში მკიან და ბოროტეულთა ვენახებს იმცვრევენ. 7. შიშვლად ათევს ღამეს უმოსასხამოდ, არა აქვს ყინვაში გადასახური. 8. მთის ნიაღვარში ილუმპებიან და შესაფარებლად კლდეებს ეკვრიან. 9. მკერდიდან გლეჯენ ობოლს და ღარიბ-ღატაკისაგან თგირავებენ. 10. შიშველი დაწანწალებს უპერანგოდ და მშივრები დაათრევენ ძნებს, 11. მათ შემორაგულში ხდიან ზეთს, საწნახელებში სწურავენ ღვინოს, თავად კი სწყურიათ. 12. ქალაქიდან მომაკვდავთა კვნესა ისმის და დაჭრილთა სული შველას ითხოვს, ღმერთი კი უყურებს ვედრებას. 13. ზოგნი ნათლის მოჯანყენი არიან, არ ცნობენ მის გზებს



საქართველოს

და არ ჩერდებიან მის ბილიკებზე. **14.** დილიდანვე მზადაა კაცისმკვლელი ჩაგრულის და ღატაკის მოსაკლავად, ღამით კი ქურდივითაა. **15.** მემრუშე ბინდის მოლოდინში ფიქრობს, არავინ მოკრასო თვალი, და სახეზე საფარველს იფარებს. **16.** ბნელში ტეხენ სახლებს, დღისით თავისთვის იკეტებიან, არ უწყიან ნათელი, **17.** რადგან დილა ბნელეთია მათთვის, რადგან შეეთვისნენ ბნელეთის საშინელებებს. **18.** მსუბუქად წაიღებს მათ წყალი, დაწყევლილია მათი ხვედრი მიწაზე, არავინ დაადგება ვენახის გზას. **19.** გვალვა და სიმხურვალე შთანთქავს თოვლის წყალს. შავეთი კი — ცოდვილებს, **20.** დაივიწყებს მას საშო, ჭიაღუები ატკბარუნებენ მას. უკვე აღარავინ გაიხსენებს, ხესავით გადატყდება უკეთურება. **21.** ვინც ძარცვავს ბერწ ქალს, შვილდაუბადებელს, და ქვრივ-ობერს სიკეთეს არ უკეთებს! **22.** სიცოცხლეს უხანგრძლივებს, მოძალადეს თავისი ძალით, აჰა, ფეხზე დგას იგი და არ სჯერა, რომ ცოცხალია. **23.** აძლევს სიმშვიდეს და იმედს, **23.** და თვალს არ აშორებს მის გზებს. **24.** მცირე ხანს აღზევდებიან და, აჰა, აღარ არიან! დაჭკნებიან როგორც ბალბა და გახმებიან, თავთავებივით მოიცელებიან! **25.** თუ ასე არ არის, ვინ გამამტყუნებს და ვინ გამიაბათილებს სიტყვებს?

## თავი ოცდამეხუთე

**1.** მიუგო ბილდად შუხელმა და უთხრა: **2.** ხელმწიფება და შიში მის ხელთაა, ვინც მშვიდობა დაამკვიდრა თავის ზესკნელში. **3.** თუ აქვს რიცხვი მის მხედრობებს და ვის არ უნათებს მისი ნათელი? **4.** რა გაამართლებს კაცს ღვთის წინაშე და რა განწმედს დიაცის ნაშობს? **5.** აჰა, მთვარე რომ მთვარეა, ისიც ბნელდება და ვარსკვლავებიც არ არიან სუფთანი მის თვალში! **6.** მით უფრო კაცი, რომელიც ჭიაა, და ადამის ძე, რომელიც მატლია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი ოცდამეექვსე

**1.** მიუგო იობმა და უთხრა: **2.** როდის შეწევნიხარ უძლურს? როდის აგიპყრია მკლავი უწყლოსთვის? **3.** რა რჩევა მიგიცია სიბრძნენაკლულისთვის და რა ბევრი ჭკუა გისწავლებია? **4.** ვისით გითქვამს სიტყვა და ვისი სული გამოდიოდა შენგან? **5.** აჩრდილები ძრწიან ქვეშეთში, წყლები და მისი მკვიდრნი. **6.** გაშიშვლებულია მის წინაშე სულეთი და არა აქვს საფარველი ქვესკნელს. **7.** განართხა ჩრდილოეთი სიცარიელეზე. არარაზე დაჰკიდა დედამიწა. **8.** ღრუბლებში შეანივთა წყალი და ფსკერი არ ერღვევა მათ ქვეშ ღრუბელს. **9.** შებურა მთვარის პირისახე, თავის ნისლი შემოაცვა ირგვლივ. **10.** შემოავლო წრე წყლის ზედაპირს ნათლისა და ბნელის საზღვრამდე. **11.** ცის სვეტები ირყევიან და ძრწიან მის მუქარაზე. **12.** თავისი ძალით დააცხრო ზღვა და თავისი გამჭრიახობით მოკლა გველეშაპი. **13.** მისი ქარით გაბრწყინდა ცა, განგმირა მისმა ხელმა გაქცეული გველი. **14.** აჰა, მისი გზების კიდეები! რა ჩურჩული გვსმენია მისგან? ვინ გაიგებს მისი ძლიერების გრგვინვას?

## თავი ოცდამეშვიდე

**1.** განაგრძო იობმა თავისი იგავების თხრობა და თქვა: **2.** ღმერთს ვფიცავ, რომელმაც წამართვა სამართალი, და ყოვლადძლიერს, რომელმაც გამიმწარა სიცოცხლე! **3.** ვიდრე ვსუნთქავ და ღვთის სული მიდგას ნესტოებში, **4.** თუ ჩემმა ბაგეებმა თქვან სიცრუე და ჩემს ენას დასცდეს ტყუილი, **5.** შორს ჩემგან, თუ გაგამართლოთ, სიკვდილამდე თუ გავწირო ჩემი უმწიკვლოება! 6. ჩემს სიმართლეზე ვდგავარ მტკიცედ და არ მოვეშვები. არ დავუგ-

მივარ ჩემს გულს ჩემი დღე და მოსწრება! 7. შეირაცხოს ჩემი მტერი როგორც ბოროტეული და ჩემი წინააღმდგომი — როგორც უკეთური! 8. რადგან რისი იმედი ექნება ქღვთოს, როცა გაჰკვეთს, როცა ამოართმევს სულს ღმერთი? 9. განა მის ჩივილს შეისმენს ღმერთი, როცა გასაჭირი დაადგება თავზე? 10. ყოვლადძლიერის სასოება ექნება, ღვთის ხსენებაში იქნება გამუდმებით? 11. მე გასწავლით თქვენ რა არის ღვთის ხელი და, რაც ყოვლადძლიერთან არის, არ დავმალავ. 12. თქვენ თვითონ გინახავთ ყველას და რაღ გინდათ ფუჭი ლაპარაკი? 13. ასეთია ბოროტი კაცის წილი ღმერთთან და მჩაგვრელთა ხვედრი, ყოვლადძლიერისგან რომ ერგებათ. 14. თუ შვილები გაუმრავლდება — მხოლოდ მახვილისთვის, და მისი შთამომავლობა პურით ვერ გაძღება. 15. მისი დანარჩომნი სიკვდილში დაიმარხებიან და მათი ქვრივები არ დაიტირებენ მათ. 16. თუ ქვიშასავით დააგროვებს ოქროს და ზვინებად დაყრის შესამოსელს — 17. დაყრის, მაგრამ მართალი შეიმოსება და ვერცხლი უდანაშაულოს შეხვდება წილად. 18. ჩრჩილივით აშენებს თავის სახლს და დარაჯის ხულასავით აკეთებს. 19. მდიდარი წვება დასაძინებლად, მაგრამ როდემდის? გაახელს თვალს და გამქრალია ყოველივე. 20. ნიაღვარივით დაატყდება საშინელებანი, ღამით მოიტაცებს მას ქარიშხალი. 21. წაიღებს აღმოსავლეთის ქარი და წავა, ადგილიდან აზვეტავს მას. 22. მოისვრის მას და არ შეიწყალებს, ამაოდ ეცდება, დაუსხლტეს მის ხელს. 23. ხელს ხელზე შემოჰკრავს მის გამო და სტვენას დაუწყებს მისი ადგილიდან.

## თავი ოცდამერვე

1. ხომ აქვს ვერცხლს საბადო და ოქროს — ადგილი, სადაც წმედენ მას. 2. რკინას მიწიდან იღებენ და სპილენძი გადამდნარი ქვაა. 3. ადამიანმა საზღვარი მიუჩინა სიბნელეს და ქვეყნის კიდემდე ეძებს ბნელეთისა და წყვდიადის ქვას. 4. მაღაროს თხრის უკაცრიელში, კაცის ფეხთაგან მივიწყებულ ადგილებში. 5. მიწაა, პურს რომ აღმოაცენებს, მისი ქვეშეთი კი თითქოს ცეცხლისგან არის სახეცვლილი. 6. საფირონის საბადოა მისი ქვები და მასთან ოქროს ქვიშა იპოვება! 7. მისი ბილიკი არ იცის ონავარმა ფრინველმა და ქორის თვალსაც არ დაუნახავს. 8. ამაყ მხეცებს იქ ფეხი არ დაუდგამთ, ლომს არ გაუვლია. 10. კაჟისკენ გაიშვერს ხელს, ფესვებიანად აყირავებს მთებს. 10. კლდეებში ღარები გაჰყავს და ყოველივე ძვირფასს ჰვრეტს მისი თვალი. 11. მდინარეთა ნიაღვარს აკავებს და დაფარული სინათლეზე გამოაქვს. 12. სად იპოვება სიბრძნე და სად არის შემეცნების ადგილი? 13. მისი გზა არ იცის ადამიანმა და ცოცხალთა ქვეყნად ის არ იპოვება. 14. უფსკრული ამბობს: ჩემთან არ არისო. ზღვა ამბობს: ჩემთან არ არისო. 15. არ გაიცვლება ოქროს ზოდში და ვერ აიწონება ვერცხლი მის ფასად. 16. არ შეფასდება ოფირის ოქროდ, არც ძვირფასი ონიქსით და არც საფირონით. 17. ვერ გაუსწორდება მას ოქრო და ბროლი, წმიდა ოქროს ჭურჭელი მისი სალირალი არ არის. 18. არ არის სახსენებელი მარჯანი და ბროლი — მარგალიტზე ძვირფასია სიბრძნე. 19. ვერ გაუსწორდება მას ქუშის ტოპაზი, წმიდა ოქროთი არ აიწონება. 20. საიდან მოდის სიბრძნე და სად არის შემეცნების ადგილი? 21. უხილავია ყოველი ცოცხალის თვალისათვის და დაფარულია ცის ფრინველთათვის. 22. ქვესკნელი და სიკვდილი ამბობენ: ყური კი მოგვიკრავს მისთვის. 23. ღმერთმა იცის მისი გზა და მან უწყის მისი ადგილი. 24. რადგან ის თვალს ავლებს ქვეყნის კიდეებს, მთელს ცისქვეშეთს ხედავს. 25. როდე-

საც ქარს წონას უწესებდა და წყალს დონეს უსაზღვრავდა, 26. როდესაც წვიმას წესს უდგენდა და მეხის გვრგვინვას გზას უკაფავდა. 27. მაშინ იხილა ის და გამოაცხადა, დააფუძნა და კიდეც გამოსცადა. 28. უთხრა ადამიანს: აჰა, უფლის შიშია სიბრძნე და ბოროტისგან განდგომაა შემეცნება.

## თავი ოცდამეცხრე

1. განაგრძო იობმა თავისი იგავების თხრობა და თქვა: 2. ნეტავ ისე ვიყო, როგორც იმ წარსულ თვეებში, როცა ღმერთი მიფარავდა მე! 3. როცა მისი ლამპარი მინათებდა თავზე და მის შუქზე დავდიოდი ბნელში! 4. როგორც ვიყავი ჩემი სიყმაწვილის დღეებში ღვთის საფარველით ჩემს კარავზე! 5. როცა ჯერ კიდევ ჩემთან იყო ყოვლადძლიერი და ჩემი ყმაწვილები გარს მეხვივნენ! 6. როცა ჩემი ტერფები ძეში იბანებოდა და კლდიდან ზეთის ნაკადულები მოსჩქეფდა ჩემს წინაშე! 7. როცა კარიბჭიდან ქალაქში გავდიოდი და მოედანზე ვიმზადებდი დასაჯდომელს! 8. დამინახავდნენ ყმაწვილები და იმალებოდნენ, მოხუცებულნი წამოდგებოდნენ და ფეხზე იდგნენ. 9. მთავარნი კრინტს არ ძრავდნენ და პირზე ხელი ჰქონდათ მიტანილი. 10. დიდებულებს ხმა უწყდებოდათ და სასაზე ეკრობოდათ ენა. 11. ყური მისმენდა და ნეტარად მრაცხდა, თვალი მხედავდა და მემოწმებოდა. 12. რადგან მიხსნია გაჭირვებული, შველას რომ ითხოვდა, და ობოლი, შემწე რომ არ ჰყავდა. 13. დასალუპად განწირულის კურთხევა ჩემზე გადმოსულა და ქვრივის გული გამიხარებია. 14. მე სიმართლით ვიმოსებოდი და ის ჩემით იმოსებოდა. მოსასხამად და თავსაკვრელად ჩემი სამართალი მქონდა. 15. უსინათლოსთვის თვალები ვყოფილვარ და ფეხები — ხეიბრისთვის. 16. გაჭირვებულთათვის მამა ვყოფილვარ და უცნობის საქმე გამომიკვლევია. 17. ავკაცისთვის ყბა ჩამიმტვრევია და კბილებიდან მსხვერპლი გამომიგლეჯია, 18. [illegible] სიბერეში მოვკვდებოდი და ქვიშასავით ურიცხვი იქნებოდა ჩემი დღეები. 19. ჩემი ფესვი გაიშლებოდა წყალში და ჩემ რტოებზე ღამეს გაათევდა ცვარი. 20. კვლავ აღმიდგებოდა ჩემი დიდება და მშვილდი განმიახლდებოდა ხელში. 21. მისმენდნენ და იყვნენ მოლოდინში, დუმდნენ ჩემს რჩევაზე. 22. ჩემი სიტყვის შემდეგ აღარაფერს დასძენენ. თავზე ეწვეთებოდათ ჩემი ნათქვამი. 23. როგორც წვიმას, ისე მელოდნენ და, როგორც ისხარს, პირს მიშვერდნენ. 24. გავუღიმებდი და არ სჯეროდათ, ჩემი სახის ნათელი არასოდეს მოუღრუბლავთ. 25. გზებს ვურჩევდი და მთავრად ვიჯექი. ვემკვიდრე, როგორც მეფე ლაშქარში, როგორც მგლოვიარეთა ნუგეშისმცემელი.

## თავი ოცდამეათე

1. დამცინიან ჩემზე უმრწემესნიც, რომელთა მამებსაც ჩემი ფარის ძაღლებში არ გავრევდი. 2. რაღაში მარგია მათი მკლავის ძალა? სიბერე ეწია მათ. 3. შიმშილისგან გაძვალტყავებულნი გარბიან გვალვიან უდაბნოში, დიდი ხნის მიტოვებულ ტრამალებში. 4. ქათანაცარას წიწკნიან ბუჩქებთან და კუროდლისცოცხას ფესვებია მათი პური. 5. ადამიანთაგან აძევებენ და, როგორც ქურდს, ისე მიჰყვებიან, 6. რომ ხევ-ხუვებში და მიწის მღვიმეებში იცხოვრონ. 7. ბუჩქებს შორის ყროყინებენ და ჯაგნარების ქვეშ იყუჟებიან. 8. არამზადებივით, უგვან ბრბოსავით, განიდევნენ ქვეყნიდან. 9. ახლა მათი სამღერელი და სალაპარაკო გავხდი. 10. ვეზიზღები, გარბიან ჩემგან და წამდაუწუმ მაფურთხებენ სახეში, 11. რადგან ახსნეს ჩემი თოკი და შემაჭირვეს, ლაგამი დამიგდეს წინ. 12. მარჯვნივ ნაბიჭვარი აღმიდგა და ფეხებში მცემენ, ჩემი დამღუპველი

გზები მოასწორეს. 13. დამინგრიეს გზა-სავალი ჩემს დასამხობად, შემწეც არ უნდათ. 14. თითქოს ფართე ხვრელით მოდიან, გრიალით მოექანებიან. 15. საშინელებები დამატყდა თავს, ქარივით გაიქროლა ჩემმა დიდებამ და ღრუბელივით გადავიდა ჩემი დოვლათი. 16. და ახლა იღვრება ჩემი სული, გაჭირვების დღეები მეწევიან მე. 17. ღამით მტეხავს ძვლები და მოსვენება არა აქვს ჩემს სახსრებს. 18. ძლიერძლიერობით მეხდება ტანსაცმელი, პერანგის საყელოსავით მაქვს შემოჭერილი. 19. ტალახში მისროლა და მტვერსა და ნაცარს დავემსგავსე. 20. შველას გთხოვ და ხმას არ მცემ, ვდგავარ შენს წინაშე და ვერ მამჩნევ. 21. მტარვალად მექეცი, შენი ძლიერი მკლავით მებრძვი. 22. ამწიე და ქარზე შემაგდე, ქარიშხალს მიმეცი გასაცამტვერებლად. 23. ვიცი, სასიკვდილოდ მიგყევარ ყოველი ცოცხალის შესაკრებელ სახლში. 24. განა ნანგრევიდან არ იწვდიან ხელს და უბედურებაში არ ითხოვენ შველას? 25. განა არ მიტირია ბედშავზე? განა არ მიწუხნია გაჭირვებულზე? 26. ჰოდა, სიკეთეს ველოდი და ბოროტება მოვიდა, ნათელს ვთესავდი და ბნელი მოვიდა. 27. შიგნეული მიდუღს შეუწყვეტლივ, ვაების დღეები დამიდგა. 28. ჩაშავებული დავდივარ — არა მზისგან, კრებულში ვდგავარ და შველას ვითხოვ. 29. ტურებს ძმად გავუხდი და მეგობრად — სირაქლემებს. 30. კანი გამიშავდა და ამეტყავა, სიცხისაგან მივარვარებს ძვლები. 31. მოთქმად იქცა ჩემი ქნარი და მოტირალთა ხმად ჩემი სალამური!

## თავი ოცდამეთერთმეტე

1. აღთქმა მივეცი ჩემს თვალებს, რომ ქალწულისთვის არ შემეხედა. 2. რა არის ღვთის წილი მაღლიდან და ხვედრი ყოვლადძლიერისა ზესკნელიდან? 3. განა დაღუპვა არ არის უკეთურთათვის და სატანჯველი ბოროტმოქმედისთვის? 4. განა არ ხედავს ის ჩემს გზებს და არ ითვლის ყოველ ჩემს ნაბიჯს? 5. თუკი სიცრუით მივლია და სამზაკვროდ აჩქარებულა ჩემი ფეხი, 6. ამწონოს მართალ სასწორზე და გაიგოს ღმერთმა ჩემი უმწიკვლოება. 7. თუკი ოდესმე გზიდან გადაეხვიოს ჩემს ნაბიჯებს, თვალებს აჰყოლოდეს ჩემი გული და ბიწი მოსცხებოდეს ჩემს ხელებს, 8. მაშინ სხვამ ჭამოს ჩემი დათესილი და ამოიძირკვოს ჩემი მონაგარი! 9. თუკი ოდესმე ჩემი გული მოცთუნებულიყოს დედაკაცით ან ჩემი მეზობლის კართან მეთვალთვალოს, 10. მაშინ სხვა უფქვას ჩემმა დედაკაცმა და სხვებმა ჩაიმუხლონ მასზე! 11. რადგან ეს გარყვნილებაა და სამსჯავრო დანაშაული. 12. რადგან ცეცხლია ეს, რომელიც ჭამს საბოლოო გაცამტვერებამდე და ამოძირკვავს მთელს ჩემს საბადებელს. 13. თუკი ოდესმე აბუჩად ამეგდოს ჩემი მონისა და მხევლის სამართალი, როცა დავა ჰქონიათ ჩემთან, 14. რა ვქნა მაშინ, როცა აღგება ღმერთი? როცა დამკითხავს, რა ვუპასუხო? 15. განა ვინც მე შემქმნა მუცელში, მანვე არ შექმნა იგი? განა ერთმა არ გამოგვსახა საშოში? 16. თუ ოდესმე მეთქვას უარი ღარიბ-ღატაკის სათხოვარზე და ქვრივის თვალები მოლოდინით დამექანცოს, 17. ანთუ მარტოს გამეტეხოს ლუკმა და ობოლს არ ეჭამოს ჩემთან ერთად, — 18. რადგან ჩემი ყრმობიდანვე ჩემთან იზრდებოდა, როგორც მამასთან, და დედაჩემის მუცლიდანვე ვუძღვებოდი, — 19. თუკი ოდესმე დამენახოს სიკვდილს მიწყურვილი კაცი უსამოსლოდ და საჰყარი უმოსასხამოდ, 20. და არა დაელოცოს ჩემი საზარდული, არ გამთბარიყოს ჩემი ცხვრის მონაპარსით. 21. თუკი ოდესმე ხელი აღმემართოს ობოლზე, მსაჯულთა მხარდაჭერის მოიმედეს, 22. ზურგს მოწყდეს ჩემი მხრები და იდაყვში გადამიტყდეს მკლავი! 23.

რადგან მაშინებს ღვთის რისხვა და მის სიდიადეს ვერ გავუძლებდი. 24. თუ ოდესმე მიმეჩნიოს ოქრო ჩემს სასოდ და ბაჯაღლო ჩემს იმედად დამესახოს! 25. თუ ოდესმე შეამაყოს, რომ დიდძალი მაქვს სიმდიდრე და ბევრი მოიხვეჭა ჩემმა ხელმა! 26. თუ ოდესმე მზის ხილვისას მის ბრწყინვალებაში და დიდებულად მოარული მთვარისა 27. იდუმალ მოცთუნებულყოს ჩემი გული და მეკოცნოს ჩემი ხელისათვის! 28. ესეც სამსჯავრო დანაშაული იქნებოდა, რადგან მაღლა ღვთის უარმყოფელი ვიქნებოდი. 29. თუ ოდესმე გამხარებოდეს ჩემი მოძულის უბედურება და მეზეიმოს მის ცუდ ამბავზე! 30. არ ჩავადენინე ცოდვა ჩემს ენას, რომ წყევლით მოესწრაფა მისთვის სიცოცხლე. 31. თუ არ ეთქვას ჩემი კარვის ხალხს, ვინ არ გამძღარა მისი ხორცით? 32. მწირს გარეთ არ გაუთევია ღამე, კარი ღია მქონდა მგზავრისათვის. 33. თუ ოდესმე დამეფაროს ადამივით ჩემი შეცოდება, რომ საიდუმლოდ შემენახა ჩემი დანაშაული! 34. რადგან მზარავდა ხალხის სიმრავლე და ნათესავთა ზიზღი მაშინებდა, ვდუმდი, კარში არ გავდიოდი. 35. ნეტავ მომისმენდეს ვინმე! აჰა, ჩემი ნიშანიც! მიპასუხოს ყოვლადძლიერმა და დაწეროს საბუთი ჩემმა მოსარჩლემ. 36. ზურგით ვატარებდი, გვირგვინივით შემოვიხვევდი! 37. გავუზომელდი ჩემს ყოველ ნაბიჯს და, როგორც მთავარს ვისმე, მივეახლებოდი. 38. თუკი ოდესმე მიწას დაეჩივლოს ჩემზე და მისი თუნდაც ერთი ხნული ატირებულიყოს, 39. თუკი ოდესმე მუქთად მეჭამოს მისი დოვლათი და მისი მუშაკნი შემეწუხებინოს, 40. ხორბლის ნაცვლად ეკალი ამოვიდეს და ქერის ნაცვლად ღვარძლმა იხაროს! დასრულდა იობის სიტყვები.

## თავი ოცდამეთორმეტე

1. შეწყვიტა ამ სამმა კაცმა პასუხის გაცემა იობისთვის, რადგან გამართლა მან თავი. 2. მაშინ განრისხდა ელიჰუ, ძე ბუზელი ბარაქიელისა, რამის საგვარეულოდან. იობზე განრისხდა იმის გამო, რომ მან ღმერთზე მართლად ჩათვალა თავი. 3 თავის სამ მეგობარზეც განრისხდა იმის გამო, რომ პასუხი ვერ გასცეს იობს და ამით გაამტყუნეს ღმერთი. 4. ელიჰუ აცლიდა იობს ლაპარაკს, რადგან რადგან მასზე უფროსები იყვნენ ასაკით. 5. დაინახა ელიჰუმ, რომ არ გამოვიდა პასუხი ამ სამი კაცის პირიდან, და განრისხდა. 6. მიუგო ელიჰუმ, ბუზელი ბარაქიელის ძემ, და უთხრა: წლებით უმრწემესი ვარ მე, თქვენ კი მოხუცებულნი. ამიტომაც მოვერიდა და ვერ გავბედე მომეხსენებინა თქვენთვის ჩემი აზრი. 7. ვიფიქრე, დღეებმა ილაპარაკონ და წელთა სიმრავლემ ასწავლოს-მეთქი სიბრძნე. 8. ნამდვილად კი, კაცში მყოფი სული და სუნთქვა ყოვლადძლიერისა განასწავლის მას. 9. დღეგრძელნი ყოველთვის არ არიან ბრძენნი და მხოლოდ მოხუცებულნი არ მიხვედრილან სიმართლეს. 10. ამიტომ ვამბობ: მომისმინეთ, მეც გამოვთქვა ჩემი აზრი. 11. მე ვუცდიდი თქვენს სიტყვებს, ყურს ვაპყრობდი თქვენს მსჯელობას, როცა ეძებდით სათქმელს. 12. გაკვირდებით და, აჰა, არ არის თქვენს შორის მამხილებელი, რომ პასუხი მიაგოს იობს. 13. ნუ გგონიათ, სიბრძნისათვის მიგვეგნოთ, როცა ფიქრობთ, ღმერთმა გააწბილოს იგი და არა ადამიანმაო. 14. ჩემს წინააღმდეგ არ მოუმართავს სიტყვები და მეც თქვენსავით არ ვუპასუხებ. 15. გაოგნდნენ, ველარ უპასუხეს, დაელიათ სათქმელი. 16. მეც ველოდებოდი, როდის შეწყვეტდნენ ლაპარაკს, რაკი დადგნენ და აღარ პასუხობენ, 17. მეც გავცემ ჩემს წილ

პასუხს, მეც გამოვთქვამ-მეთქი ჩემს აზრს. 18. რადგან სავსე ვარ სიტყვებით და შიგნიდან მაწვება სული. 19. აჰა, თავმოუხდელ ღვინოსავით არის ჩემი შიგანი, გასკდომაზეა ახალი ტიკივით. 20. ვილაპარაკებ, რომ სული მოვითქვა, გავხსნი ბაგეებს და პასუხს გავცემ. 21. პირფერობას არ დავუწყებ კაცს და ადამიანს არ მიველაქუცები, 22. რადგან მე ლაქუცი არ ვიცი — უმალ ღმერთმა წამიღოს აქედან!

## თავი ოცდამეცამეტე

1. აბა, მოისმინე, იობ, ჩემი სიტყვები და ჩემს ყოველ სიტყვას მიუგდე ყური. 2. აჰა, დავძარი ბაგე, ალაპარაკდა ჩემი ენა ჩემს სასაში. 3. გულწრფელია ჩემი სიტყვები და ჩემი ბაგე ნათლად გამოაცხადებს ცოდნას. 4. ღვთის სულმა შემქმნა მე და ყოვლადძლიერის სუნთქვამ მომანიჭა სიცოცხლე. 5. თუ შეგიძლია, მიპასუხე! მოემზადე, დაიცავი თავი! 6. აჰა, მეც შენი მსგავსი ვყავვარ ღმერთს, მეც თიხისგან ვარ მოზელილი. 7. ჩემი შიში შენ არ გაშინებს და ჩემი ხელი შენ არ გამძიმებს. 8. ჩემს გასაგონად ლაპარაკობდი და მე მესმოდა შენი სიტყვების ხმა: 9. სუფთა ვარ, უცოდველიო, არა მაქვსო ბრალი. 10. ჯავრი აქვს ჩემი, თავის მტრად შემრაცხაო, 11. ხუნდებში გამაყრევინა ფეხები, ჩემს ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებსო. 12. აი, ამაში არა ხარ მართალი, მე გეუბნები, რადგან ადამიანზე დიდია ღმერთი. 13. რატომ ედავები? ის ხომ პასუხს არ აგებს თავის ნამოქმედარზე. 14. ღმერთი ხომ ასეც ლაპარაკობს და ისეც, ვერავინ მიუხვდება. 15. სიზმარში, ღამეულ ჩვენებაში, როცა ძილი წაიღებს ადამიანს, როცა თვლემს თავის საწოლზე, 16. მაშინ აღებს ღმერთი ადამიანთა ყურებს და თავისი შეგონებებით ბეჭდავს, 17. რომ აარიდოს კაცი ავ საქმეს და დაიცვას ამპარტავნობისგან, 18. რომ იხსნას მისი სული წარწყმედისგან და მისი სიცოცხლე — მახვილით დალუპვისგან. 19. სატკივარით ისჯება საწოლზე და ეწამება მისი ძვლები. 20. მის სიცოცხლეს შესძაგდება პური და მის სულს — გემრიელი საჭმელი. 21. დადნება ხორცი მისი, უხილავი გახდება. გამოჩნდებიან მისი ძვლები, უხილავნი რომ იყვნენ. 22. მიაწევს საფლავამდე მისი სული და მისი სიცოცხლე — სიკვდილის წყლებამდე. 23. თუ აღმოჩნდა ათასში მისი მეოხე ერთი ანგელოზი, რომ ადამიანის სიწრფელე გამოაცხადოს, 24. შეიბრალოს და თქვას: „ნუ გასწირავ საფლავად ჩასვლისთვის, ნაპოვნი მაქვსო გამოსასყიდი“, 25. განუახლდება ხორცი ადრინდელზე უფრო და სიყმაწვილის ხანას დაუბრუნდება. 26. ის ლოცვას აღუვლენს ღმერთს, ღმერთი კი შეიწყალებს მას და სიხარულით შეხედავს მის სახეს, დაუბრუნებს მის სიმართლეს. 27. ის იმღერებს კაცთა წინაშე და ეტყვის: ვცოდე მე, სწორი გავამრუდე, მაგრამ არ მომაგო საკადრისად. 28. იხსნა ჩემი სული საფლავში ჩასვლისაგან და, აჰა, ჩემი სიცოცხლე ნათლის ჭვრეტაშია. 29. აჰა, ყველაფერს ამას ორგზის, სამგზის უკეთებს ღმერთი ადამიანს, 30. რომ გამოაბრუნოს მისი სული საფლავიდან და სიცოცხლის ნათლით გაანათლოს. 31. ყური დამიგდე, იობ, მომისმინე, დადუმდი და მე ვილაპარაკებ. 32. თუ სათქმელი გექნება, მიპასუხე, რადგან მწადია შენი გამართლება. 33. თუ არა და, მე მისმინე, დადუმდი, მე გასწავლი სიბრძნეს.

## თავი ოცდამეთოთხმეტე

1. კვლავ მიუგო ელიჰუმ და უთხრა: 2. ისმინეთ, ბრძენებო, ჩემი სიტყვები! ყური მომაპყარით, გაგებულნო! 3. რადგან ყური გამოსცდის სიტყვებს და სასა გემოს უგებს საჭმელს. 4. ავირჩიოთ, რაც სამართლიანია და ვი-

ცოდეთ ჩვენს შორის, რა არის უკეთესი. 5. კი თქვა იობმა, მართალი ვარო და ღმერთმა წამართვაო სამართალი, 6. მართალი გავმტყუნდი, უდანაშაულოდ მჭირსო ეს წყლული. 7. თუ არის ვინმე იობის მსგავსი, წყალივით რომ სვამდეს გმობას? 8. ავისქმნელებთან შეთქმულებას ესწრაფოდეს, რო ბოროტეულ ხალხთან დადიოდეს? 9. რადგან ამბობს: რას არგებს კაცს ღვთისმოსავობაო? 10. ამიტომ მისმინეთ, გულისხმიერნო! შორს იყო ღმერთი ბოროტებისგან და ყოვლადძლიერი უსამართლობისგან! 11. რადგან საქმისამებრ მიუზღავს ადამიანს და მისი საქციელისამებრ შეამთხვევს კაცს, 12. ჭეშმარიტად, არ ბოროტობს ღმერთი და არ ამრუდებს სამართალს ყოვლადძლიერი! 13. ვინ ჩააბარა მას მიწა და ვინ მიანდო მას მთელი სამყარო? 14. თუ თავისკენ მიაბრუნა თავისი სული და უკანვე წაიღო თავისი სუნთქვა, 15. ერთიანად გაწყდება ყოველი ხორციელი და მიწად მიიქცევა ადამიანი, 16. თუ გაგების უნარი გაქვს, მოისმინე ეს, ყური უგდე ჩემს სიტყვებს: 17. იხელმწიფებს განა სამართლის მოძულე? ბრალს დასდებ განა მართალს, ძალმოსილს? 18. ვინც ეუბნება მეფეს: არამზადავ! და დიდებულებს: ბოროტეულო! 19. ვინც მთავრებს არ მიჰკერძავს და ვინც არ განარჩევს მდიდარს და ღარიბს, რადგან ყველანი მისი ხელით არიან შექმნილნი. 20. წამში იხოცებიან — შუაღამისას შებარბაცდება კაცი და ილუპება. ძლიერნი წარიტაცებიან არა კაცის ხელით. 21. რადგან მისი თვალი კაცის გზებს დაჰყურებს და ხედავს მის ყოველ ნაბიჯს. 22. ვერც ბნელში, ვერც შავეთში ვერ დაიმალება ბოროტმოქმედი, 23. რადგან კაცისთვის არ დაუწესებია ჟამი ღმერთთან მისასვლელ სამსჯავროზე. 24. ის მუსრავს ძლიერებს გამოუკითხავად და სხვებს წამოსწევს მათ ადგილზე. 25. რადგან მან უწყის მათი ნამოქმედარი, ღამით დაამხობს მათ და შეიმუსრებიან. 26. როგორც ბოროტეულთ, შემოჰკრავს ყველას დასანახად, 27. [illegible] ზურგი შეაქციეს მას და არ შეიმეცნეს მისი გზები, 28. რადგან მის ყურამდე მიიტანეს ბედშავთა კვნესა და დაჩაგრულთა კვნესა ესმის მას. 29. როცა დუმს ის, ვინ არის მისი მბრალდებელი? როცა იფარავს სახეს, ვინ არის მისი მხილველი? ხალხი იქნება თუ ერთი კაცი? 30. რომ არ იხელმწიფოს ულვთომ, რომ მახე არ დაუგოს ხალხს. 31. რადგან ღმერთს უნდა ეუბნებოდეს კაცი: დავაშავე, აღარ შევცოდავ. 32. შენ მასწავლე, რასაც მე ვერ ვხედავ. თუ ცოდვა მაქვს ჩადენილი, აღარ ჩავიდენ. 33. შენგნით მიუზღავს ის სამართალს? როგორც შენ დაგიგმია, როგორც შენ აგირჩევია და არა როგორც მე? ილაპარაკე, რაც იცი! 34. გაგებული ხალხი ჩემსავით იფიქრებს და ბრძენი კაცები დამეთანხმებიან. 35. იობი უგუნურად ლაპარაკობს და სიბრძნე აკლია მის სიტყვებს. 36. ოჰ, ერთი გამოიცდებოდეს იობი საბოლოოდ, უკეთურთა მსგავსად რომ პასუხობს! 37. რადგან თავის ცოდვას ახალი დანაშაული მიუსართა: ხელი ხელს შემოჰკრა ჩვენს შორის და გაამრავლა სიტყვები ღვთის წინააღმდეგ.

## თავი ოცდამეთხუთმეტე

1. კვლავ მიუგო ელიჰუმ და უთხრა: 2. ნუთუ სამართლიანად მიგაჩნია, რომ ამბობ, ღმერთზე მართალი ვარო? 3. რომ ამბობ, რას მარგებს, რას მომიტანს ჩემი უცოდველობაო? 4. მე შეგიბრუნებ სიტყვას შენ და შენს მეგობრებსაც: 5. ახედე ცას და დაინახე, შეხედე ცარგვალს — ხომ შენზე მაღალია? 6. რას დაუშავებ მას შენი შეცოდებით? რაც უნდა იმრავლოს შენმა დანაშაულმა, რას ავნებ მას? 7. რას შემატებ მას შენი სიმართლით ან რას უნდა გამოელოდეს

შენი ხელიდან? 8. მხოლოდ კაცს, შენივე მსგავსს, ეხება შენი უკეთურება და ადამის ძეს — შენი სიმართლე, 9. ბევრი ჩაგვრისაგან კვნესიან, შველას ითხოვენ ძლიერთა მკლავებიდან. 10. არავინ ამბობს: სად არის ღმერთი, ჩემი შემქმნელი, ღამით გალობათა მომმადლებელი? 11. რომელმაც განგვასწავლა მიწის მხეცებზე მეტად და ცის ფრინველებზე მეტად განგვაბრძნო? 12. იქ კვნესიან ისინი და პასუხს არ სცემს ღმერთი უკეთურთა ამპარტავნების გამო. 13 ჭეშმარიტად სიცრუეს არ მოისმენს ღმერთი და არ მოხედავს მას ყოვლაძლიერი. 14. თუმცა შენ ამბობ, რომ ვერ ხედავ მას, მაგრამ სამართალი მის წინაშეა, დაელოდე. 15. თუ ახლა არა, ოდესმე მაინც გამოაჩენს თავის რისხვას და არად ჩააგდებს მეტისმეტ სიამპარტავნეს. 16. ამაოდ გახსნა პირი იობმა და უაზროდ ახვავებს სიტყვებს.

## თავი ოცდამეთექვსმეტე

1. განაგრძო ელიჰუმ და თქვა: 2. ცოტა მაცალე. და გაგიცხადებ, რომ კიდევ არის სიტყვები ღვთის გასამართლებლად: 3. შორიდან წამოვიღებ ჩემს აზრს და ჩემს გამჩენს მივაგებ სიმართლეს. 4. რადგან, ჭეშმარიტად, არ არის სიცრუე ჩემს სიტყვებში, წრფელია ჩემი ფიქრები შენს წინაშე. 5. აჰა, ძლიერია ღმერთი, მაგრამ არავინ სძულს, ის სიბრძნის ძალით არის ძლიერი. 6. ის არ აცოცხლებს ბოროტეულს და დაჩაგრულებს სამართალს აძლევს. 7. მართალს თვალს არ არიდებს, მეფეებთან ერთად ტახტზე სვამს მათ სამარადისოდ და ამაღლდებიან ისინი. 8. თუ ვინმეს ადევს ბორკილები და სივაგლახის საკვრელებით არის შეკრული, 9. გამოუცხადებს მათსავე ნამოქმედარს და ცოდვებს, თუ რამდენ დამძიმდნენ ისინი. 10. გაუხსნა ყურებს შეგონებისთვის და ეტყვის, რომ განერიდონ უკეთურებას 11. თუ გაუგონებენ და დაემორჩილებიან, დღეებს სიკეთეში დაასრულებენ და წლებს ნეტარებაში. 12. თუ არ გაუგონებენ, მახვილით დაილუპებიან და უგუნურად დაიხოცებიან. 13. გულხენეშნი რისხვით არიან ატანილნი, შველას არ ითხოვენ, როცა ბორკავს მათ. 14. სიყრმეშივე კვდება მათი სული და გარყვნილებაში გადის მათი სიცოცხლე. 15. ის იხსნის გაჭირვებულს გასაჭირითვე და სატანჯველით ყურს უხსნის მათ. 16. შენც გამოგიყვანდა სივიწროვიდან სიფართოვეში, გაშლილ ადგილზე, და შენი სუფრა სავსე იქნებოდა ნუგბარი საჭმელებით. 17. შენ კი სავსე ხარ ბოროტეულის ბრალით, ხოლო ბრალი და სასჯელი კი ერთმანეთს არიან მოჭიდებულნი. 18. ბრაზმა სასაცილოდ არ გაგხადოს, დიდმა გასამრჯელომ არ გადაგხაროს. 19. თუ გიშველის ყვირილი გასაჭირში ან მთელი შენი ძალისხმევა? 20. ნუ ესწრაფვი ღამეს, როცა ხალხები აიყრებიან თავიანთი ადგილებიდან. 21. ფრთხილად იყავი, არ მიიქცე ბოროტისკენ, რადგან ამით სატანჯველს ირჩევ. 22. აჰა, ღმერთი ზეობს თავისი ძლიერებით. ვინ არის მისი მსგავსი მოძღვარი? 23. ვის დაუწესებია მისთვის გზები? ვის უთქვამს, ბოროტება გაქვსო ჩადენილი? 24. გახსოვდეს, რომ ადიდო მისი საქმენი, რომელთაც უგალობენ ადამიანები. 25. მთელი კაცთა მოდგმა ხედავს მათ და შორიდანვე ამჩნევს კაცი. 26. აჰა, მაღალია ღმერთი და ვერ შევგიცვნია, აღურაცხელია მისი დროჟამი. 27. შემოიკრებს წყლის წვეთებს და წვიმად და ორთქლად აფრქვევს მათ. 28. რაც ღრუბლებიდან ილვრება, ხალხთა სიმრავლეს ესხურება. 29. თუ მიხვდება ვინმე ღრუბელთა ხლეჩას, ჭექა-ქუხილს მისი კარვიდან? 30. აჰა, გამოუტევებს ნათელს თავის გარშემო და ჩამალავს ზღვის უფსკრულებში. 31. რადგან მით განსჯის ხალხებს და უხ-

ვად იძლევა საზრდოს. 32. ელვა ფარავს მის ხელებს და გზავნის მას მტრების წინააღმდეგ. 33. თავისი გრგვინვით აცხადებს თავს. ჯოგი წინაგრძნობს მის მოახლოებას.

## თავი ოცდამეჩვიდმეტე

1. ამის გამოც მიფრთხის გული და საგულედან ამოვარდნას ლამობს. 2. უსმინეთ, კარგად უსმინეთ გრგვინვაში მის ხმას და ქუხილს, მისი პირიდან გამომავალს! 3. მთელს ცისქვეშეთში აჭექებს მას და მისი ელვა ქვეყნიერების კიდეებს სწვდება. 4. მის მერე დაიქუხებს, დაიგრიალებს დიდებულ ხმაზე და არ შეწყვეტს ელვას, როცა ისმის მისი ქუხილი. 5. გრგვინავს ღმერთი თავის საკვირველ ხმაზე, ქმნის სიდიადეთ, რომელთა შეცნობა ჩვენ არ ძალგვიძს. 6. რადგან თოვლს ეუბნება: დაეფინე მიწას! წვიმის თავსხმას და თავისი წვიმების თქეშს: გაძლიერდი! 7. ის ბეჭდავს ყოველი ადამიანის ხელს, რომ მთელმა ხალხმა იცოდეს მისი ნამოქმედარი. 8. მხეცები გარბიან ქვაბულებში და თავიანთ ბუნაგებში იყუჟებიან. 9. სამხრეთიდან მოდის ქარიშხალი და ჩრდილოეთიდან — ყინვა. 10. ღვთის სუნთქვა ბადებს ყინულს და წყალთა სიფართე ვიწროვდება. 11. წყლით ბერავს ღრუბელს და მისი ელვა ჯანღებს ფანტავს. 12. ყველაფერი მისი განგებით ბრუნავს, რომ ყოველი მისი ნაბრძანები აღსრულდეს დედამიწის ზურგზე. 13. თუ დასასჯელად, თუ მიწისთვის, თუ წყალობისთვის გამოაჩენს მას. 14. ყურადღე ეს, იობ! დადექი და ჩასწვდი ღვთის სასწაულებს! 15. თუ იცი, როგორ განაგებს მათ ღმერთი და როგორ გამოაშუქებს ელვას თავისი ღრუბლიდან? 16. თუ იცი ჯანღების ასავალ-დასავალი — ყოვლადბრძენის საკვირველებანი? 17. თუ იცი, რატომ ხურდება შენი სამოსელი, როცა მყუდროვდება ქვეყანა სამხრეთის ქარში? 18. თუ აიჭრები მასთან ერთად ცის მყარში, სარკესავით რომ არის ჩამოსხმული? 19. გვასწავლე, რა ვუთხრათ მას? ვერაფერი მოგვიფიქრებია სიბნელისგან. 20. თუ მოხსენდება მას, რომ ლაპარაკი მსურს? თუ ინატრებს კაცი, რომ შთაინთქას? 21. ვერ უსწორებენ თვალს ცაზე მოკაშკაშე მნათობს, როცა ქარი გადაივლის და გადაწმედს ცარგვალს. 22. ჩრდილოეთიდან მოდის ნათება, რა საშინელია ღვთის ბრწყინვალება! 23. ვერ ვწვდებით ყოვლადძლიერს, ის აღმატებულია ძალით და სიმართლით. მრავალმოწყალეა, არავის ჩაგრავს. 24. ამიტომაც მისი ეშინია ხალხს. ბრძენებს ის არად აგდებს.

## თავი ოცდამეთვრამეტე

1. მიუგო უფალმა იობს გრიგალიდან და უთხრა: 2. ვინ არის, რომ აბნელებს განგებას უგუნური სიტყვებით? 3. წელი შემოისარტყლე, მეომარივით. მე შეგეკითხები და შენ მიპასუხე; 4. სად იყავი, როცა დედამიწას ვაფუძნებდი? ამიხსენი, თუ გაქვს გაგება. 5. ვინ დასაზღვრა მისი ზომები, თუ იცი? მასზე ბაწარი ვინ გადაჭიმა? 6. რაზე დგას საძირკვლები ან ვინ დადო მისი ქვაკუთხედი, 7. როცა გალობდნენ დილის ვარსკვლავები და ყიჟინობდნენ ღვთისშვილები? 8. ვინ ჩაუკეტა ზღვას კარიბჭენი, როცა საშოდან ამოხეთქა? 9. როცა ნისლი მივეცი სამოსელად და წყვდიადი — სახვევებად? 10. როცა დავუდგინე ჩემი წესი და დავუტანე ურდული და კარიბჭენი — 11. და ვთქვი, აქამდე მოდი, იქით აღარ, აქ შეწყდეს შენი ტალღების აზვირთება-მეთქი? 12. თუ გიბრძანებია შენს სიცოცხლეში დილისათვის, თუ გიჩვენებია ცისკრისათვის მისი ადგილი, 13. რომ ეპყრა ქვეყნის კიდეები და ბოროტეულნი განეფერთხა მისგან? 14. გადაიქცევა საბეჭდავ თიხად და სამოსელივით აჭრელდება.

15. წაერთმევა ბოროტეულთ მათი ნათელი და აღმართული მკლავი შეიმუსრება. 16. თუ ჩაგიღწევია ზღვის წყაროებამდე? თუ გივლია უფსკრულის სიღრმეებში? 17. თუ გაღებულა შენს წინაშე სიკვდილის კარიბჭენი და შავეთის კარიბჭენი თუ გინახავს? 18. თუ განგიცდია დედამიწის სიგრძე და განი? მითხარი, თუ იცი ეს ყველაფერი? 19. სად არის გზა ნათლის სამყოფელისკენ და სად არის ბნელეთის ადგილი, 20. რომ დაიჭირო თავის საზღვართან და მიაგნო მისი სახლის ბილიკებს? 21. თუ იცოდი, რომ ოდესმე დაიბადებოდი და მრავალჟამიერი იქნებოდი? 22. თუ შეგიღწევია თოვლის საგანძურში და სეტყვის საგანძური თუ გინახავს, 23. რომელსაც ვიმარაგებ ძნელბედობისთვის, ომისა და ბრძოლის დღისათვის? 24. რა გზით ნაწილდება ნათელი, როგორ ვრცელდება აღმოსავლეთის ქარი დედამიწაზე? 25. ვინ გაუხსნა ნიაღვარს სადინარი და გზა — ჭექა-ქუხილს, 26. რომ აწვიმოს უკაცრიელ მიწაზე, უდაბნოში, სადაც ადამიანი არ ჭაჭანებს, 27. რომ მორწყას უდაბური ხრიოკები და აღმოაცენოს მწვანე ბალახი? 28. თუ ჰყავს წვიმას მამა ან ვინ დაბადა ნამის წვეთები? 29. ვისი საშოდან გამოვიდა ყინული და ციური ჭირხლი ვინ დაბადა, 30. როცა ქვასავით მკვრივდება წყალი და იკვრის უფსკრულის ზედაპირი? 31. თუ შეკრავ ხომლის საბელებს ან ორიონის საკვრელებს თუ გახსნი? 32. თუ ამოიყვან ზოდიებს თავ-თავის დროზე და დიდ დათვს თავისი ბელებითურთ თუ წარუძღვები? 33. თუ იცი ცათა კანონები ან თუ დაადგენ მის წესს ქვეყანაზე? 34. ღრუბლებს თუ მიუწვდენ ხმას, რომ დაგფაროს წყლის თქეშმა? 35. თუ დაიბარებ ელვას, რომ მოვიდეს და გითხრას? აქა ვარ! 36. ვინ ჩადო გულში სიბრძნე ან ვინ მისცა გონებას გამჭრიახობა? 37. ვინ დათვლის ღრუბლებს სიბრძნით და ცის კოლოტებს ვინ გადმოცლის, 38. როცა შედუღებულია მიწა და კოლბოხებმა ერთმანეთს ეწეპება? 39. ლომს შენ უნადირებ მსხვერპლს, შენ უკლავ შიმშილს ლომის ბოკვერებს, 40. როცა ბუნაგებში განაბულან, როცა წვანან თავიანთ საფარში? 41. საზრდოს ვინ უმზადებს ყორანს, როცა მისი ბახალები ღმერთს შესჩხავიან და მშივრები დაბორიალობენ?

## თავი ოცდამეცხრამეტე

1. თუ იცი ჯიხვთა დაბადების ჟამი? ფურირმის მყვირალობა თუ შეგინიშნავს? 2. თუ დაგითვლია მისი მაკეობის თვეები? ან თუ იცი ჟამი მოგებისა? 3. ჩაიმუხლებენ, გამოაგდებენ ნაშიერთ, უამდებათ შობის ტკივილები. 4. მაგრდებიან მათი შვილები, იზრდებიან ტრიალ მინდორზე, იფანტებიან და უკან აღარ უბრუნდებიან. 5. ვინ გაუშვა ნებაზე კანჯარი და ველურ ვირს საბელი ვინ გაუხსნა, 6. რომელსაც უდაბნო მივეცი სახლად და სამყოფელად — მლაშობი? 7. ქალაქის ხმაურს არად აგდებს და გამრეკის შეძახილებს არ უსმენს. 8. მთებზე საძოვრად დაეხეტება და ყოველგვარ სიმწვანეს დაეძებს. 9. თუ ისურვებს მარტორქა შენს სამსახურს? შენს ბაგეებთან თუ დაილამებს? 10. ბაწრით თუ დააკავებ მარტორქას ხნულთან? თუ დაფარცხავს ნახნავებს შენს უკან? 11. თუ დაენდობი მის ძლიერებას და შენს საშრომელს თუ მიანდობ? 12. თუ გექნება იმედი, რომ თესლს დაგიბრუნებს და კალოზე დაგიხვავებს? 13. ხალისობენ სირაქლემას ფრთები, მაგრამ სიყვარულის ნაკრტენი და ბუმბულია ისინი? 14. რადგან მიწაზე დებს თავის კვერცხებს და ქვიშაში ათბობს მათ, 15. ავიწყდება, რომ ფეხით გაიჭეჭყება და ველის, მხეცი გათელავს მას. 16. სასტიკად ექცევა თავის ბარტყებს, თითქოს მისნი არ არიან. ამაოა

მისი გარჯა სიფრთხილის გარეშე, 17. რადგან ღმერთმა დაუკავა მას ჭკუა და წილად არ არგუნა გონება. 18. რაჟამს შეიმართება გასაფრენად, დასცინის ცხენსა და მხედარს 19. შენ მიეცი ცხენს სილაღე, შენ შეუმოსე კისერი ფაფრით? 20. შენ ახტუნებ კალიასავით? მისი დიდებული ჭიხვინი ზარდამცემია! 21. მიწას თხრის ველზე და ხარობს. ძლიერი ჰენებით მახვილს ეგებება. 22. შიშს დასცინის. არ ფრთხება და მახვილისგან პირს არ აბრუნებს. 23. მის თავზე ჟღრიალებს კაპარჭი, ელავს შუბისწვერი და ჰოროლი. 24. გრიალ-დგანდგარში ყლაპავს მიწას და ბუკის ხმა ვერ აკავებს. 25. ბუკის ცემაზე, იტყვის: აჰა! და შორითვე იყნოსავს ბრძოლას, სარდლის შეძახილებს და ყიჟინას, 26. შენს ჭკუაზე ნავარდობს ქორი და სამხრეთისკენ მიფრინავს ფრთაგაშლილი? 27. შენს ბრძანებაზე ალმაფრენს არწივი და იკეთებს მაღლა თავის ბუდეს? 28. კლდეზე სახლობს და ათევს ღამეს; კლდის ქიმია მისი ციხე-სიმაგრე. 29. იქიდან ეძებს საკვებს, შორიდანვე ჰვრეტს მისი თვალი, 30. მისი მართვენი სისხლს ხვრეპენ და სადაც ლეშია, იქ გაჩნდება.

## თავი მეორმოცე

1. მიუგო უფალმა იობს და უთხრა: 2. რას ედავება ყოვლადძლიერს შარიანი კაცი? ღვთის მამხილებელი ამაზე პასუხს აგებს. 3. მიუგო იობმა და უთხრა: 4. აჰა, ნამცეცი ვარ, რა გიპასუხო? პირზე მაქვს ხელი მიდებული. 5. ერთხელ ვთქვი და მეტს აღარ ვიტყვი, მეორეჯერაც და დავდუმდები. 6. მიუგო უფალმა იობს გრიგალიდან და უთხრა: 7. შემოისარტყლე წელი მამაკაცურად, შეგეკითხები და გამაგებინე: 8. გინდა გააუქმო ჩემი სამართალი, გამამტყუნო, რომ თავად გამართლდე? 9. იქნებ ღვთისდარი მკლავი გაქვს და მისი ხმით გრგვინვა შეგიძლია? 10. აბა, შეიმკე დიდებით და სიდიადით, შეიმოსე ნათელი და შარავანდედი. 11. [illegible] გადმოაფრქვიე შენი რისხვის ცეცხლი! დახედე განდიდებულს და დააკნინე! 12. დახედე განდიდებულს და დაამდაბლე, ადგილზევე გააცამტვერე ბოროტეულნი! 13. მტვერში ჩამარხე ერთიანად და შავეთში მობურე მათი პირისახე. 14. მაშინ მეც დაგიჯერებ, რომ შენს მარჯვენას ძალუძს შენი გადარჩენა. 15. აჰა, ბეჰემოთი, შენთან ერთად რომ შევქმენი, ჭამს ხარივით ბალახს. 16. აჰა, ძალა მისი მის წელშია, მისი სიმაგრე მუცლის კუნთებშია. 17. ნაძვივით დრეკს თავის კუდს, თეძოების ძარღვები გადაგრეხილი აქვს. 18. მისი ძვლები სპილენძის მილებია, მისი სახსრები — რკინის წნელები. 19. ის პირველია ღვთის ქმნილებებში, მხოლოდ მისი გამჩენი თუ დაჰკრავს მახვილს. 20. მთები აძლევს მას საზრდოს და ველის ყოველი მხეცი იქ ერთობა. 21. ლაქაშებში წვება, ლერწმის საფარში და ჭაობებში. 22. ლაქაშები ჩრდილს აფენს მას, ღელის ძეწნები გარს ახვევია. 23. აჰა, ბობოქრობს მდინარე, ის კი არ ფრთხება, მშვიდად არის, იორდანეც რომ მიუღვაროს პირში. 24. თვალით ვინ დაიჭერს მას, მახით ვინ გავხვრეტს ცხვირს? 25. თუ ამოათრევ ანკესით ლევიათანს და ბაწრით თუ დაუბამ ენას? 26. ცხვირში თუ გაუყრი კაუჭს და ყბაში ჩანგალს თუ მოსდებ? 27. თუ დაგიწყებს ბევრ ვედრებას ან თუ ტკბილი სიტყვით დაგეუბნება? 28. თუ დაგიდებს აღთქმას ან თუ სამუდამო ყმად გაიხდი? 29. თუ დაუწყებ თამაშს, როგორც ჩიტს რასმე, თუ დააბამ შენი გოგონებისთვის? 30. თუ მოივაჭრებენ მას მოვაჭრენი? თუ დაანაწილებენ ქანაანელთა შორის? 31. თუ დაუფარავ კანს ჰოროლებით და თავს — ბარჯებით? 32. დაადე მას ხელი და გახსოვდეს ბრძოლა, მეტს აღარ ეცადო.

## თავი ორმოცდამეერთე

1. აჰა, უმტყუნებს მას იმედი, მის ერთ შეხედვაზე დაეცემა. 2. მის აღძვრას ვერავინ ბედავს და მე ვინღა დამიდგება წინ? 3. ვისი რა მმართებს, რომ გადავუხადო? ყველაფერი ჩემია ცისქვეშეთში. 4. არ შევწყვეტ სიტყვას მისი სხეულის ასოებზე, მის ძლიერებაზე და მისი აღნაგობის სილამაზეზე. 5. ვინ გახდის მას ზედა სამოსელს? მის ორ ყბას შუა ვინ შეაღწევს? 6. მისი პირისახის კარს ვინ გააღებს? მის კბილთა ირგვლივ საშინელებაა! 7. მისი ზურგი ფარების წყებაა, მჭიდრო რგოლებით შეკრული. 8. ერთი მეორეზეა მიჯრილი და ქარი არ ატანს მათ შორის. 9. ერთმანეთს შეეწებნენ, შედუღდნენ და აღარ სცილდებიან. 10. მისი დამცხიკვება შუქს აფრქვევს, მისი თვალები განთიადის წამწამებია. 11. მისი პირიდან მაშხალები გამოდის, ცეცხლის ნაკვერცხლები ცვივიან. 12. ნესტოებიდან კვამლს უტევებს, როგორც მდუღარე ქვაბი, როგორც ნახანძრალი ლერწამი. 13. მისი სუნთქვა მუგუზლებს აღვივებს და მისი პირიდან ალი გამოდის. 14. მის ქედზე ძალაა დავანებული და მის წინაშე როკავს შიში. 15. ხორცის ნაკვთები მისი შენივთებულია ერთმანეთთან, მკვრივად აფენია, შეუძვრელად. 16. ქვასავით მკვრივია მისი გული, მკვრივია ქვედა დოლაბივით. 17. წამოიმართება და ფრთხებიან ძლიერნი, თავზარდაცემისგან გონს კარგავენ. 18. მახვილი ვერ უძლებს მას, ვერც შუბი, ვერც ჰოროლი, ვერც ჯავშანი. 19. რკინა ჩალად უჩანს და ფუტურო ხედ — რვალი. 20. ვერ გააქცევს მას მშვილდის ნასხლეტი, თივის ბულულია მისთვის შურდულის ქვები. 21. ბზედ უჩანს ლახტი და ლახვრის შხუილზე ეღიმება 22. წამახული ქვები აქვს მუცლის ქვეშ, განრთხმულია კევრივით ჰონჭყოში. 23. ქვაბივით ადუღებს უფსკრულს, ზღვას საცხებლის ქოთბად აქცევს. 24. თავის უკან ასხივებს ბილიკს, ჭაღარად ჩნდება ზღვის მორევი. 25. არ არის მიწაზე მისი მსგავსი, უშიშრად არის გაჩენილი. 26. ყოველი მაღლის მჭვრეტელია, მეფობს ყოველ ამპარტავანზე.

## თავი ორმოცდამეორე

1. მიუგო იობმა უფალს და უთხრა: 2. ვიცი, რომ ყოვლისშემძლე ხარ და არც-ერთი ზრახვა შენი არ დაბრკოლდება. 3. ვინ არის რომ მალავს რჩევას უგუნურებით? რადგან ვლაპარაკობდი და არაფერი გამეგებოდა, ჩემთვის საკვირველზე — და ვერაფერს ვხვდებოდი. 4. მომისმინე, მე ვიტყვი, შეგეკითხები და მაცოდინე. 5. ყურმოკვრით ვსმენოდი შენზე, ახლა კი ჩემი თვალით გიხილე. 6. ამიტომაც ვკიცხავ ჩემს თავს და ვინანიებ მტვერში და ნაცარში. 7. მას შემდეგ, რაც წარმოთქვა უფალმა ეს სიტყვები იობის მიმართ, უთხრა უფალმა ელიფაზ თემანელს: აინთო ჩემი რისხვა შენ მიმართ და შენი ორი მეგობრის მიმართ, რადგან ჩემი მსახური იობივით გულწრფელად არ ილაპარაკეთ ჩემზე. 8. ახლა წაიყვანეთ შვიდი ხარი და შვიდი ცხვარი და მიდით ჩემს მსახურ იობთან, აღავლინეთ აღსავლენი თქვენს საოხად და ჩემი მსახური იობი ილოცებს თქვენთვის, რადგან შევიწყნარებ მას და ავად არ მოგექცევით, რომ ჩემი მსახური იობივით წრფელი არ მელაპარაკეთ. 9. წავიდნენ ელიფაზ თემანელი, ბილდად ხუშელი და ცოფარ ნაყამათელი და ისე მოიქცნენ, როგორც უთხრა მათ უფალმა. და შეიწყნარა უფალმა იობი. 10. და აღუდგინა უფალმა იობს მისი დოვლათი,

როცა ილოცა იობმა თავისი მეგობრებისთვის. ერთი იმდენი მიუმატა უფალმა იობის საბადებელს! 11. მივიდნენ მასთან მისი ძმები და დები, მისი ძველი ნაცნობები და ჭამეს მასთან ერთად პური მის სახლში. მიუსამძიმრეს და ანუგეშეს ყველა იმ განსაცდელის გამო, რაც უფალმა მოუვლინა მას. თითოეულმა მისცა მას თითო კესიტა და თითო ოქროს ბეჭედი. 12. უკურთხა უფალმა იობს დარჩენილი დღეები წინანდელზე უფრო მეტად: შეეძინა თოთხმეტი ათასი ცხვარი, ექვსი ათასი აქლემი, ათასი უღელი ხარი და ათასი სახედარი. 13. [illegible] შვიდი ვაჟი და სამი [illegible] 14. [illegible] სახელად დაარქვეს იემიმა, მეორეს — კეციყა, მესამეს — კერენ-ჰაფუქი. 15. არ მოიძებნებოდნენ მთელს ქვეყანაზე იობის ასულებისთანა ლამაზი ქალები, და მამამ მისცა მათ სამკვიდრო მათ ძმებს შორის. 16. იცოცხლა ამის შემდეგ იობმა ასორმოცი წელი და მოესწრო თავის შვილებს და შვილთაშვილებს მეოთხე თაობაში. 17. მოკვდა იობი მოხუცებული და დღესრული.

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არჩილ სულაკაური

# თეთრი ცხენი

რომანი

## წიგნი მეორე

### 11

ვალიკო და მე ზუსტად იმ დროს მივედით, სტუმრები გაჩირაღდნებულ დიდ ოთახში სუფრას რომ უსხდებოდნენ. თბილისელები ხუთნი იყვნენ: ორი გოგო და სამი ბიჭი, ხუთივეს პირველად ვხედავდი, უნივერსიტეტში როგორღაც არ შევხვედრივარ. გაცნობისას ორივე თბილისელმა გოგომ მითხრა, შორიდან გიცნობთო. ჩემი არ იყოს, ბიჭები ალბათ პირველად მხედავდნენ და ერთმანეთი ჩვეულებრივად გავიცანით. თუმცა ვერ ვიტყვი, ოჯახში ჩემმა გამოჩენამ თბილისელ ბიჭებს დიდი სიხარული მოჰგვარა მეთქი. მათმა ხაზგასმულმა თავდაჭერილობამ მაგრძნობინა, თითქოს ჩემი იქ ყოფნით რაღაცნაირად ვაუფასურებდი დედაქალაქიდან საქმიანი ვიზიტით ჩამოსულთა უპირატესობას და მათ კუთვნილ პატივს დაუმსახურებლად ვინაწილებდი თუ ვითვისებდი.

ამ გრძნობამ ღიმილი კი მომგვარა, მაგრამ ცოტათი შემაწუხა კიდეც. გულწრფელად რომ ვთქვა, სულაც არ მსიამოვნებდა ამ ნაადრევად გაბღენძილი ვაჟბატონების საზოგადოებაში დარჩენა და თუ მაინც დავრჩი, მხოლოდ იმიტომ, რომ მე ვალიკო ზანგურაშვილის სტუმრად ვთვლიდი თავს და უმისოდ აქაურობას ვერ მივატოვებდი. მასპინძელმა, თელავის კომკავშირის რაიკომის მესამე მდივანმა, ვალიკო თამადად გამოაცხადა, გვერდიდან ამაცალა და სუფრის თავში დააბრძანა.

თამადა წამითაც არ დაფიქრებულა, დანიშვნისთანავე შეუდგა მოვალეობის შესრულებას. მაგიდას გადახედა და უკმაყოფილოდ გაშალა ხელები, ასე გაფანტულად, კანტი-კუნტად რატომა სხედხართ, ჩემკენ ჩამოიწიეთ და შემჭიდროვდითო. ვინც დაიგვიანებს, ის დაჯდეს სუფრის ბოლოში და ჯარიმაც იმან მიიღოსო.

— აბა, აიშალეთ! — ბოლოს დასჭექა ზანგურაშვილმა.

ხმაურით ავიშალენით, ავირიეთ და სკამების ხრიგინ-ხრიგინით შემჭიდროვებულად დავსხედით. ამ გადაადგილება-გადმოადგილებისას მე ერთერთი თბილისელი გოგონას გვერდით მოვხვდი, მოვხვდი სრულიად შემთხვევით, ამისთვის წინასწარ არ მიზრუნვია. სხვებისა რა მოგახსენოთ, მე ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს სუფრის ყველა წევრი თამადის ხელის დაქ-

* დასასრული. იხ. „მნათობი", № 7-8.

ნევას ელოდებოდა, უცებ წამოიშალნენ და თავიანთი ნება-სურვილის მიხედვით დალაგდნენ, ვის გვერდითაც სურდათ ჯდომა, იქ მოკალათდნენ: ზოგი თანამდებობრივად უფროსის სიახლოვეს ელტვოდა, ზოგი თანამზრახველსა და თანამოსაუბრეს ეძებდა, ზოგს კი, ცხადია, ყველაფერს ქალიშვილებთან ახლოს ყოფნა ერჩია. მაგიდას მშვენიერი გოგოებიც უსხდნენ, თეთრაველი და ვარდისუბნელი ქალიშვილები.

უცნაურია, თამადის ერთი შეძახილი და სუფრის აშლა საბედისწერო აღმოჩნდა ჩემთვის, რამდენიმე სკამით გადანაცვლებამ გულზე სამუდამო დაღი დამიტოვა... თუმცა წინ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს...

ვალიკო ზანგურაშვილმა თამადის უფლებამოსილება გაინაღდა და ოჯახში არსებული ყველა ყანწი, განსხვავებული ფორმისა და ტევადობის ყველა სასმისი მოითხოვა. ეს მოთხოვნა რა თქმა უნდა, უმალვე დაკმაყოფილებულ იქნა, თამადას წინ დაუხვავეს ყანწები და ათასგვარი ჯამ-ჭურჭელი, რაშიც ღვინის ჩასხმა და დალევა შეიძლებოდა. მაშინვე მივხვდი, აქ რა ამბავიც დატრიალდებოდა და გადავწყვიტე, ვალიკოს დედის ბრძნული რჩევა ყურადმელო: ამათ ნუ აჰყვები, ესენი გიჟები არიანო. ბევრს მაინც ვერ დავლევდი რადგან ხვალ დილით ადრე ვაპირებდი ადგომას და სოფელში გამგზავრებას.

ჩემ წინ ერთნაირი ყალიბისა თუ იერის ბიჭები ისხდნენ, ვიფიქრე, მომღერლები იქნებიან მეთქი. ვარაუდმა გამიმართლა, მალე ისეთი „მრავალჟამიერი" დააგუგუნეს, სახლს ჭერი აზადეს. მარჯვნივ ვარდისუბნელი ბიჭი მეჯდა, ჩუმი, წყნარი, წესიერი, რომელსაც სუფრაზე ჯდომის ესთეტიკა გენებით ჰქონდა წინაპართაგან გადმოცემული. მარცხნივ — სალომე ცინცაძე, უცხო ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი, ამავე ფაკულტეტის კომკავშირული ორგანიზაციის მეორე მდივანი. [illegible]ვან გოგოს ეს კომკავშირი[illegible] ჩაოხრობად უნდა მეთქი, გაცნობისთანავე გავიფიქრე და მართლაც მშვენიერი გოგო აღმოჩნდა: თბილი, მიმნდობი, უშუალო, კეთილად მომღიმარი და კეთილად მოსაუბრე. რამდენიმე წუთის შემდეგ მის გვერდით უკვე ისე ვგრძნობდი თავს, თითქოს ბავშვობიდანვე ვიცნობდით ერთმანეთს. ბათუმში ყოფილა დაბადებული, მშობლები ადრევე გადმოსახლებულან თბილისში და სალომე ორბელიანების უბანში გაზრდილა. თვითონ სალომემ არ იცოდა, რომ იმ ადგილს, სადაც ცხოვრობდა, ორბელიანების უბანი ერქვა, მე ვუთხარი და, გაუკვირდა თუ გაუხარდა, ვერ გავიგე.

— დიდ სტალინს გაუმარჯოს! — თამადა ფეხზე წამოდგა და ნახევარჩარექიანი ყანწი ღვინით გაივსო. — ეს ყანწი სავალდებულოა, დიდი ბელადისა და მასწავლებლის სადღეგრძელო ყველამ უნდა დალიოს! — გაუმარჯოს დიდ სტალინს!

— გაუმარჯოს! — შეეხმიანა მთელი სუფრა. და ერთსულოვნად წამოიშალა.

სალომე ცინცაძე უცნაურად ფერადოვანი გოგო იყო. სპილენძისფერი, მბზინავი და მსუბუქი თმა ჰქონდა, ორად გაყოფილი, მხრებზე დაყრილი, ნუშისებური მწვანე თვალები, სახის კანი — რძისფერ-ვარდისფერი, ოდნავ, თითქმის შეუმჩნევლად მზემოკიდებული. საუბრისას თითქოს გეღუღუნებოდა, თანაც ისეთი ღიმილით შემოგცქეროდა, გეგონებოდა, ჩემზე სასურველი მოსაუბრე ქვეყნად მეორე არ ეგულებაო. სალომეს მეტყველებას ცოტათი დასავლური, უფრო ზუსტად, გურული კილო-კავის ელფერი დაჰკრავდა, რაც ამ კახურ გარემოცვაში ჩემთვის უჩვეულოდ და ამავე დროს ძალზე სასიამოვნოდ ჟღერდა.

— მეგობრებო, დავლიოთ საქართველოს კომუნისტური პარტიისა და

მისი ნაცადი ხელმძღვანელის სადღეგრძელო! ესეც სავალდებულო სადღეგრძელოა!

— გაუმარჯოს!..

ვიდრე მე ჩემს უახლოეს მეზობლებს ვაკვირდებოდი, რამდენიმე სავალდებულო სადღეგრძელო შეისვა და სუფრა ახლა უკვე თავისი გზით მიემართებოდა. დუმილი, რომელიც მოშიებულთა მადიანად დანაყრებისას თავისთავად ჩამოვარდა, დასანაყრებელი კი ღვთის წყალობით თავზე საყრელი იყო, თანდათან დაირღვა და სუფრა გამოცოცხლდა, ახმაურდა. მე ცოტას ვსვამდი. უფრო — ცოტ-ცოტას ვწრუპავდი. თამადა ჩემდამი ლმობიერებას იჩენდა. ერთხელაც არ დაუძალებია ღვინო. რასაც სხვაზე ვერ ვიტყვი.

და მაინც ღვინო საკმაოდ მომეკიდა. სალომე ცინცაძეს გულისტკივილით ვეუბნებოდი, დღემდე ზღვა არ მინახავს მეთქი. სალომეს გაუკვირდა, თვითონ მთელი ბავშვობა და ბავშვობის შემდეგ ყველა ზაფხული ზღვის ნაპირზე ჰქონდა გატარებული და წელსაც აგვისტოს უსათუოდ ბათუმში გაატარებდა. როცა ვუთხარი, თორმეტი დღით მეც ციხისძირში ვაპირებ მეთქი დასვენებას, გულწრფელად გაუხარდა, ნუ დავიზარებთ, ერთმანეთი ვინახულოთო.

ქეიფი გახურდა. ვალიკო ზანგურაშვილი ყანწებსა და განსხვავებულ სასმისებს მიეძალა. ამასობაში თელაველებმა კახური „მრავალჟამიერი" დააგუგუნეს. ეს სიმღერა სხვა დროსაც ათასჯერ მქონდა მოსმენილი, მაგრამ ამჯერად გამაოგნა და დამარეტიანა, გულით, სულით, თვალებით, მთელი სხეულით... ძმის აშლილი ღერებითაც კი ვუსმენდი.. ვუსმენდი და ამ სუფრაზე მსხდომთაგან ყველა მიყვარდა, ის გაბღენძილი კომკავშირელი ვაჟბატონებიც, რომლებიც უკვე დაიჩუტნენ და სხვებისაგან არაფრით განსხვავდებოდნენ.

ერთადერთი, ვისაც ყველასაგან ვახვავებდი, სალომე იყო. გვერდით მეჯდა და ათას სისულელეს მეჩურჩულებოდა, იცინოდა, მღეროდა, დრო-დადრო მეკამათებოდი... მე ბედნიერად ვგრძნობდი თავს და გუნებაში ვლოცავდი იმ წუთს, როცა ვარდისუბნის შარა-გზაზე ვალიკო ზანგურაშვილს შევხვდი.

— ხაშლამა გადაიღე. სანამ ცხელია, — მეუბნება თელაველი თუ ვარდისუბნელი ვაჟი, რომლის სახელი სამწუხაროდ არ მახსენდება.

— მადლობელი ვარ, ახლა არ მინდა.

— ჩვენებურ ღვინოს საჭმელი უყვარს. — მოკლედ და გასაგებად მისაბუთებს ჭამის აუცილებლობას და ჩემს თეფშზე ჩანგლით გადმოაქვს ხაშლამის თანთალა ნაჭერი.

ხაშლამისთვის ხელი არ მიხლია, არც ოხშივარავარდნილი, დიდ-დიდი ხორჩებით შემოტანილი ხინკლისათვის, სიამოვნებით შევყურებდი, მადიანად როგორ შეექცეოდნენ სხვები ორთქლიან ხინკალს. მე არაფერი მინდოდა, ნასვამი კი ვიყავი, მაგრამ მაინც ვიგრძენი, ჩემ თავს რომ აღარ ვგავდი. სულის სიღრმეში რაღაცას ვზეიმობდი, რაღაც უცნობ, ბუნდოვან განცდის აღმოჩენას, კი არ ვზეიმობდი, ჩემს არსებაში მე თვითონ ვკუნტრუშობდი იმ სულელ ხბოსავით, მწვანე მდელოზე პირველად რომ გაინავარდა.

მალე დოლ-გარმონიც გაჩნდა, დასცხეს და ცეკვა-თამაშიც გახურდა. თბილისელებმა თავი ისახელეს, ერთმანეთს არ აცლიდნენ ვარდისუბნელ გოგოებთან ცეკვას. ახლა ვარდისუბნელი ბიჭი გადმოხტა და საცეკვაოდ თბილისელი გოგო — სალომე გაიწვია. რატომღაც მეგონა, უარს ეტყოდა, სალომე კი მაშინვე წამოდგა. ხელები გაშალა და გაჰყვა. ვუყურებდი და ვტკბებოდი, თან ვფიქრობდი, ეს გოგო ნამდვილად ცეკვისთვის არის დაბადებული მეთქი. საოცრად პლასტიკური იყო, მსუბუქი, ჰაეროვანი... თუმცა მისი

ცქერით ტკბობა არ დამცალდა, უცებ ვალიკო ზანგურაშვილის ხმა გავიგონე, ოზო, ოზო აცეკვეთო. გალიმებული სალომე ხელებგაშლილი წამოვიდა ჩემკენ. დავიღუპე მეთქი, გავიფიქრე და დურმიშხან წილოსანი გამახსენდა, უფრო ამ გარეწრის სიტყვები:

— მაშინ წახდა ბიჭი, საცეკვაოდ რომ უხმეს!..

მეც წავხდი, მაგრამ სალომემ გადამარჩინა შერცხვენას, თითქოს შორიდანვე მიხვდა, ცეკვა რომ არ ვიცოდი და მაშინვე სკამზე დაჯდა, როგორც კი უარის ნიშნად თავი გავიქნიე. ამან სულ გამაგიჟა, რა დახვეწილი გრძნობა ჰქონია, სიტყვის უთქმელად როგორ მიმიხვდა მეთქი, ვფიქრობდი სალომეს საქციელით აღტაცებული.

უკვე ხვალინდელ გეგმებსაც ვაწყობდი, ხვალინდელ დღისთვის ვზრუნავდი. რახან ვალიკომ თქვა, სუფრა ჩვენთანაც გაიშლებაო, ეტყობა, თბილისელი სტუმრები დარჩენას აპირებდნენ. ვალიკო ჩემი დატოვებისათვის, ვიცოდი, ძალლონეს არ დაიშურებდა და მე ამ წუთიდანვე ვცდილობდი, დარჩენა—არდარჩენის ურთულესი პრობლემა როგორმე, ან ასე ან ისე, გადამეწყვიტა. ბევრი ფიქრის შემდეგ საკითხი ბოლოს და ბოლოს ვალიკო ზანგურაშვილის სასარგებლოდ გადავწყვიტე: რადგან თავს იკლავს, გულით და სულით მეხვეწება, დარჩიო, მეგობარს ხომ არ გავაწბილებ-მეთქი. სოფელში არ მელოდნენ და დღეს ჩავიდოდი თუ ხვალ, ამის გამო საყვედურს არავინ მეტყოდა.

შუა ღამით სუფრამ ეზოში გადაინაცვლა, ახლა იქ გახურდა დოლ-გარმონი და ცეკვა-თამაში. მოქეიფეები უკვე გიჟებს ჰგავდნენ, მუსიკის დაუნდობელ რიტმს აყოლილები გაშმაგებულნი ცეკვავდნენ. შეკრულ წრეს უკნიდან მივადექი, რა თქმა უნდა, იქ, სადაც სალომე იდგა და ტაშს უკრავდა. რამდენჯერაც დავაპირე სიტყვის თქმა, იმდენჯერვე გაიწვიეს [illegible] ცეკვაოდ. ბოლოს, როგორც [illegible], ხვალ რის აპირებთ მეთქი — [illegible] ჯაანში მივდივართო, მიპასუხა მშვიდად. ვალიკო ზანგურაშვილი რომ ემზადება თქვენს დასახვედრათ მეთქი, ეგ საქმე არ გამოვიდაო.

იმედგაცრუებულმა ზეზეურად მთვლემარე ვალიკოს მივაგენი. წამოიშინ წავიდეთ, აქ უკვე აღარაფერი გვესაქმება მეთქი, მხარზე მოვხვიე ხელი და შინისაკენ წავაბარბაცე. როგორი თამადა ვიყავი, წამდაუწუმ მეკითხებოდა ძილ-ღვიძილში, ხომა ვარ შეგარიო. მაგარი ხარ მეთქი, მაგარი. იმ ჩემისას რა ეგონა, იმ ბოლო ყანწს ეგრევე შევარჩენდიო. ვალიკოს თავისი სადარდებელი ჰქონდა, მე—ჩემი. მაგრამ ასე დაუფიქრებლად მაინც რატომ წამოვედი, რა მეჩქარებოდა? მით უმეტეს, სტუმრები ხვალ მიემგზავრებიან და შემოდგომამდე სალომეს ალბათ ველარ ვნახავდი.

დილით კარგ გუნებაზე გამეღვიძა. სულაც არ ვგავდი წუხანდელ ნაქეიფარს, თითქოს თავი არ მიბრუოდა და გონებაც ნათელი მქონდა. ავდგე თუ არ ავდგე მეთქი, ვფიქრობდი, თან იქაურობას ვათვალიერებდი; დიდ სასტუმრო თუ სასადილო ოთახში ტახტზე ვიწექი. ირგვლივ ყველაფერს კრიალი გაუდიოდა, იატაკსაც, ჭერსაც, კედლებსაც, ავეჯი უხმარი და ხელუხლებელი იყო, თითქოს მაღაზიიდან გუშინ გამოუტანიათო. ამ უჩვეულო გარემომ უცებ დისკომფორტი მაგრძნობინა და მივხვდი, გაფუებულ ლოგინში წოლასა და ნებივრობას ველარ შევძლებდი. წუხანდელი განწყობილების ინერციით ჯერ კიდევ ყველაფერი საათივით აწყობილი მეგონა, მაგრამ სალომეს ნათქვამი გამახსენდა, გურჯაანში მივდივართო და გუნება მომეშხამა და იქვე გადავწყვიტე, ადგომისთანავე სოფელში გავემგზავრები მეთქი.

წამოვდექი. სწრაფად ჩავიცვი და აივანზე გავედი. მთელი ოჯახი ფეხზე

დამხვდა, ყველანი ეზოში ფუსფუსებდნენ. მე აივნიდან მივესალმე მასპინძლებს და ვალიკოს დედამ მითხრა, რა ადრიანად ამდგარხარ, შვილო, კარგად ვერ მოისვენეო. მერმე უმცროსი დაიკოს ხმაც შემომესმა, აკი ქალაქელები გვიან ილვიძებენო.

საუზმის შემდეგ ვალიკოს ფრთხილად ვუთხარი, მეტს ველარ მოვიცდი, ახლავე უნდა გავემგზავრო მეთქი. მასპინძელი გაგიჟდა, როგორ თუ უნდა გაემგზავრო, მა, წუხელ რას მპირდებოდიო. მე აღარ მახსოვდა, წუხელ როდის შევპირდი, დავრჩები მეთქი, და თავის მართლებას ველარ ვახერხებდი, ვერც წასვლის აუცილებლობას ვუსაბუთებდი. შეურაცხყოფილი ვალიკო თავისდებიანად უკან დამდევდა და მარწმუნებდა, ოლონდ დარჩი, ამაღამ უკეთეს დროს გაგატარებინებო. ვარდისუბნელი გოგოები სხვაზე ნაკლები ხომ არა გგონია, ამაღამ მოვრეკავ, ნახე, რა კარგები არიან ეგ დალოცვილებიო. ჩემი შეჩერება უკვე აღარავის შეეძლო.

— სულ იმ გოგოს ბრალია, წუხელ რომ მიუცუცქდი, ეგეთი რა გაჭამა იმ...

ვალიკო ზანგურაშვილმა პირობა მაინც შეასრულა, ოთხთვალა კარზე მომაყენა. ჩემს კეთილსა და გულუხვ მასპინძლებს დავემშვიდობე, უმცროს დაიკოს თურამაულის ლოყაზე ვაკოცე და დავპირდი, შენს მოკითხვას ატი შელიას უსიკვდილოდ გადავცემ მეთქი. გოგონამ მორცხვად გაიღიმა და გაწითლდა.

ოთხთვალას კოფოზე ვიჯექი და კახეთის მტვრიან გზაზე მივჩაქჩაქებდი. რა თქმა უნდა, ვგრძნობდი; უზნეოდ რომ მოვიქეცი, ვალიკოცა და მთელი ის ოჯახიც გავაწბილე, გარკვეულწილად შეურაცხვყავი კიდეც. ჯერ ლავაიმედე, მერმე კი, როცა გაირკვა, ისინი — თბილისელი სტუმრები გურჯაანში მიემგზავრებოდნენ, აღარც მე დავრჩი. ვერ მოვიფიქრე ჩემი უეცარი წასვლის მიზეზი, რომელიც ოდნავ მაინც გამამართლებდა. საქმეც ის არის, ამაზე ფიქრით თავი არ შემიწუხებია, თითქოს არ ჰქონდა მნიშვნელობა... ჩემი საქციელის გამო რა გუნებაზე დავტოვებდი მასპინძლებს, რას იფიქრებდნენ ჩემზე. რალაცნაირად დამეხშო გონება და შეგრძნებები დამიჩლუნგდა. ერთადერთი სურვილი მაწვალებდა, მე მინდოდა სალომე ცინცაძის გვერდით ყოფნა, მისი სიახლოვე, მისი ხმის გაგონება... სხვა ყველაფერი ჩემს გარშემო გაუფასურდა და აზრი დაჰკარგა.

რომელილაც სოფელთან მეეტლემ ცხენები დააწყულა და დაასვენა. მგზავრები წყაროსთან კაკლის ჩრდილს შევეფარეთ. ჩემს გარდა ოთხნი იყვნენ, ოთხივე ჩვენი სოფლის მკვიდრი. ერთმანეთი ვერ ვიცანით და გამოცნაურება არც გვიცდია. მთელი გზა ისე გავიარეთ, ხმა არ ამოგვილია, კოფოზე ბუსავით ვიჯექი. ისინი სოფლის ავ-კარგზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ ისეთი არაფერი უთქვამთ, ჩემთვის რომ საინტერესო ყოფილიყო.

ჩაქჩაქ-ჩაქჩაქით ჩვენს სოფელს მივუახლოვდით. მეეტლემ უკან მიიხედა და თითქოს სხვათაშორის იკითხა, ამბობენ, სოფლიდან ამას წინათ ვილაც წაუყვანიათ, მართალია თუ არაო. მართალიაო, უპასუხა ოთხივემ ერთად. რათაო, კაცო? მაგისი რა მოგახსენოთ, არაფერი ვიცითო. მერმე ყველანი გაჩუმდნენ, სოფლის ცენტრამდე ისე მივედით, სიტყვა არავის დასცდენია.

ფულის გადახდა დავაპირე, მაგრამ მეეტლემ მითხრა, გადახდილიაო. ჩემი ზურგჩანთა ცალ მხარზე გადავიკიდე და ანანოს სახლისკენ გავწიე. ნაცნობი ორღობით მივდიოდი, საშინლად ცხელოდა და კაცის ჭაჭანება არ იყო. მეეტლის წელანდელმა შეკითხვამ ეჭვიანი ფიქრებით ამავსო. მომეჩვენა, მეეტლემაც იცოდა, ვინ ვიყავი და იმ მგზავრებმაც, თავს რომ იკატუნებდნენ, ვითომ ვერა გცნობთო. ყველაზე საეჭვო ეს იყო, მეეტლემ თუ მართლა არ იცოდა, ვინ დააპატიმრეს,

მერმე რატომ აღარ დაინტერესდა დაპატიმრებულის ვინაობით?

ანანოს თუთის ხეები შორიდანვე დავინახე და ნაბიჯს ავუჩქარე.

ჭიშკარი, როგორც ყოველთვის, ახლაც ოდნავ გაღებული დამხვდა. ჭრიალით შევაღე და ეზოში შევედი, ხასხასა ბალახზე მჯდარმა ბავშვმა გაკვირვებით ამომხედა, უმალ ვიცანი , ეს იყო ჩემი უმცროსი ძმა. ზურგჩანთა იქვე მივაგდე და ბიჭი ხელში ავიყვანე, რა გქვია მეთქი, ვკითხე. გაიტრუნა. ამ დროს ოთახიდან აივანზე ქალი გამოვიდა, თეთრი, ფაშფაშა. ისიც ვიცანი — კარიაულის ერთერთი ასული, ჩემი დედინაცვალი.

— ჩამოხვედი, ოზო? — მკითხა შინაურულად, თანაც ისე, თითქოს მელოდებოდა, იცოდა, რომ უნდა ჩამოსულიყავი.

ორივე ხელით აივნის მოაჯირზე დაყრდნობილი ნაღვლიანი ღიმილით მიმზერდა. ამ სევდიან ღიმილში ტკივილმა და სასოწარკვეთილებამ გამოჟონა. ცხადია, მივხვდი, საქმე ცუდად იყო. ისევ მეეტლის ნათქვამი გამახსენდა, სოფლიდან ვიღაც წაუყვანიათო და ამ ვიღაცაში ნამდვილად მამაჩემი იგულისხმებოდა. ამიტომაც არ დააზუსტეს წაყვანილის ვინაობა. ბავშვი ისევ ბალახზე დავსვი და აივანზე ავედი, დედინაცვალი მომეხვია და აქვითინდა.

— ოზო, სანდრო წაიყვანეს!

დარეჯანმა ანუ ჩემმა დედინაცვალმა ნამტირალევი ხმით მიამბო: ორი კვირის წინ მამაჩემისთვის სოფლის საბჭოში უთქვამთ, სასწრაფოდ თელავში უნდა წახვიდე, სამხედრო კომისარიატში გიბარებენო. მამაჩემს გაჰკვირვებია, რაღა დროს ჩემი სამხედრო კომისარიატიაო, მაგრამ მაინც წასულა. წასულა და წასულა! მამა კარიაული თელავში სამხედრო კომისარს ჰხლებია, კომისარს მხრები აუჩეჩია, სანდრო ბოლდაველი ჩემთან არ არის აღრიცხული და რატომ დავიბარებდითო, კითხვა-კითხვით, ძებნა-ძიებით დაუდგენიათ, მამაჩემი [illegible]ვე დაუჭერიათ და თბილისში წაუყვანიათ.

გულისამრევად მეცნო მაგათი გაცვეთილი, საზიზღარი მეთოდები, ვითომ სამხედრო კომისარიატში დაბარება, ამ საბაბით შინიდან გატყუება და დაჭერა, თითქოს პირდაპირ რომ დაეჭირათ, ხელს ვინმე შეუშლიდა ან ქუჩებში გაიმართებოდა საპროტესტო მანიფესტაციები.

— რატომ არ შემატყობინეთ? — ვკითხე დარეჯანს.

— აკი გამოგიგზავნე წერილი, — მიპასუხა გაკვირვებლმა.

— ფოსტით გამოგზავნეთ თუ ვისმე გამოატანეთ?

— ფოსტით.

— ა, გასაგებია! წერილი არ მიმიღია.

— მე მეგონა, მიიღე და იმიტომ ჩამოხვედი. მიკვირდა, რატომ არაფერს იწერება ან რატომ არ ჩამოდის მეთქი.

ეზოში მიტოვებული ბავშვი ატირდა. ორივენი აივანზე გამოვედით, მე კიბე ჩავირბინე და ბავშვს ზურგჩანთიდან სათამაშოები ამოვულაგე: რეზინის ჭრელი, პატარა ბურთები და ავტომანქანის რაღაც სულელური მოდელები, შეღებილი ხისაგან დამზადებული. ეტყობა, ბავშვი მაინცადამაინც არ იყო სათამაშოებით განებივრებული და ამდენი ერთად რომ დაინახა, სიხარულით გადაირია, ალტაცების კივილიც კი აღმოხდა.

დარეჯანმა როგორც კი მითხრა, უმალვე მივხვდი, მამაჩემი რისთვისაც დაიჭირეს. მახსოვს, მაშინაც ცუდ გუნებაზე დამაყენა იმ წერილმა, რომლითაც გაზაფხულზე საბასთან შეხვედრის ამბავს იტყობინებოდა. მამაჩემს ეს ამბავი ჩემთვის რომ არ მოეწერა, ახლაც გარეთ იქნებოდა და სოფელში ჩამოსულს თავის ოჯახში დამხვდებოდა. საიდან გაიგებდნენ,

მთვრალ კაცს სასაფლაოზე ვინ შეხვდა და რა ელაპარაკა. დარეჯანს ჩემი იმედი ჰქონდა, საქმეს მიხედავს და იქნებ რამე ეშველოსო. მე კი საშველს ვერ ვხედავდი. რა შემეძლო? არაფერი! ჩემი უმწეო და უსუსური ფიქრები ლამარას გარშემო უნუგეშოდ იყრიდა თავს. ვთქვათ, ლამარას ვუთხარი, ჩემი საქმე ასე და ასეა მეთქი. ლამარა მამამის ეტყოდა ან არ ეტყოდა. გაუბედავდა ან არ გაუბედავდა თქმას. ერთად ერთი, რასაც გავიგებდი, ცხადია, თუ კი ეტყოდა, ის იქნებოდა და რომ ლამარას მამა მოგვახსენებდა, ეგ კაცი ამის და ამის გამო დაიჭირეს და მე ვერაფერში წაგადგებითო.

დარეჯანს გულახდილად ვუთხარი, რისი გაკეთება შემეძლო და რისი — არა, მთავარი იმედი ჩემზე რომ არ დაემყარებინა. შინაგანად ისე იყო შეძრწუნებული და მოტეხილი, თვალს ვერ ვუსწორებდი, თითქოს მისმა ტკივილმა ჩემი ტკივილი და საწუხარი დამავიწყა.

ჩამოსვლის წუთიდან ჩვენ შორის ისეთი ურთიერთობა დამყარდა, თითქოს ყოველ ჩამოსვლაზე დასაბამიდან აქ მხვდებოდა. ძალზე უშუალოდ ეჭირა თავი, მოსიყვარულე და მზრუნველი ჩანდა. მაგრამ კარიაულების ოჯახზე ჩემი ყრმობისდროინდელი შთაბეჭდილებები ისევ ღრმად მქონდა მეხსიერებაში ალბეჭდილი და ახალი ურთიერთობის დაწყებას ერთგვარად ხელს უშლიდა. თანაც სიტყვა „დედინაცვალი“, ეტყობა მაინც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდა ჩემზე და შინაგანად მბოჭავდა.

სუფრა სასწრაფოდ გამიშალა. მასადილა. ამასობაში კარიაულის ქვრივიც მობრძანდა პირქუშად მომესალმა, თითქოს ვერ მიცნო. დარეჯანმა უთხრა, ვერ იცანი, სანდროს ბიჭია, შენი ნამოწაფარიო. კარიაულის ქვრივს წარბიც არ შეუხრია, ჰოო, თქვა და პატარა ბიჭს მიხედა. აშკარად არ ესიამოვნა ამ სახლში ჩემი [illegible]

ღამით შემთხვევით მ[illegible] [და]რეჯანისა და კარიაულის ქვრივის დიალოგი, რამაც საბოლოოდ განსაზღვრა ჩემი დამოკიდებულება დედინაცვალთან. რა თქმა უნდა, კარიაულის ქვრივთანაც, თუმცა იმ დღის შემდეგ ეს ბნელი დედაკაცი აღარასოდეს შემხვედრია.

დასაძინებლად მეორე სართულზე გამიშალა დარეჯანმა ლოგინი. მაინც ცხელოდა და აივანზე გასასვლელი კარი ღია დავტოვე. მამაჩემზე ვფიქრობდი და აღარ დამეძინა. რა უაზროდ ჩაიგდო თავი განსაცდელში, ერთი მოუფიქრებელი ნაბიჯი და კაცი ჯურღმულში აღმოჩნდა ჩაკეტილი. მაგრამ უცნაური ის იყო, რომ მე მაინც მამაჩემს ვადანაშაულებდი, საბასთან შეხვედრის ამბავი არ უნდა მოეწერა მეთქი. ტვინი, აზროვნება დასაჭურისებული მქონდა და იმას აღარ ვფიქრობდი, საერთოდ, ეს შემთხვევითი შეხვედრა სასაფლაოზე იყო კი დანაშაული? გარეთ გამოვედი. ღამის სიჩუმეში მანამდეც მესმოდა, მაგრამ ახლა გარკვევით გავიგონე ქალების ლაპარაკი, ისინი პირველი სართულის აივანზე იყვნენ გამოსულნი, ეტყობა მძინარე ბავშვს მოერიდნენ, არ გავაღვიძოთო. დიალოგი რით დაიწყო არ ვიცი, მე მხოლოდ მათი საუბრის ნაწილი გავიგონე.

— რად გინდა, მაგ ბიჭს ეგრე რომ ელოლიავები? — ეს კარიაულის ქვრივია.

— როგორ თუ ველოლიავები?! ეგ ბიჭი სანდროს შვილია, ჩემი თედოს უფროსი ძმაა!

— გეუბნები, ნუ შემოიჩვევ და ნუ გაიშინაურებ!... მაგათი ამბავი დამთავრდა. — კარიაულის ქვრივი რატომღაც გაწიწმატებულია.

— დამთავრდა? როგორ დამთავრდა?! რას ამბობ ქალო?!

— ეს სახლი უკვე კარიაულების

სახლია, მამას ნაყიდია!.. ის კაცი აღარ ჩამოვა, ამიტომ...

— ვინ აღარ ჩამოვა, ქალო?! — გააწყვეტინა სიტყვა დარეჯანმა.

— ქვეყანამ იცის, იქ ვინც წაიყვანეს, უკან აღარ დაუბრუნებიათ.

ორივენი გაჩუმდნენ. სიჩუმემ კარგა ხანს გასტანა.

— ამიტომ გეუბნები, მაგ ბიჭს ნუ შემოიჩვევ მეთქი. ეს სახლი კარიაულებისაა და კარიაულებს უნდა დარჩეს! თედოც კარიაულების გვარზე გადმოიყვანე.

— მე რომ აღარა ვარ კარიაული?!

— მაშ, ვინა ხარ?

— ვინა ვარ და — ბოდაველი! ეს სახლი ბოდაველებისა იყო და ბოდაველებს დარჩებათ. მეც ბოდაველი ვარ, ოზოც და თედოცა! სანდრო ხომ არის და არის! შენ კი, ქალო, თავი რომ კარიაულად მოგაქვს, რომელი კარიაული შენა მყავხარ?! საცოდავ ჩემ ძმას შორიდანაც არ უნახავხარ და იმისი ქვრივი ვარო, ქვეყანას ატყუებ. ეგ ცოდვა ღმერთმა გაპატიოს! ახლა გინდა ადრიანად მეც დამაქვრივო, თავზე ყვავილით დამჩხავი, სანდრო აღარ დაბრუნდებაო, ბავშვებსაც აობლებ... ეგ რა სიტყვაა, ქალო, არ დაბრუნდებაო, ეგ როგორ ამოგცდა მაგ აყროლებული პირიდან, ჰა?! სანდროც დაბრუნდება და თედოსაც ოზოს ღვიძლ ძმად გავზრდი! მე მაგათ ვერ დავაშორებ, ეგენი ძმები არიან, რა აქვთ ქვეყანაზე გასაყოფი...

გული ამიჩუყდა და ოთახში დავბრუნდი. დარეჯანისგან ასეთ თავგამოდებას ნამდვილად არ ველოდი, მის მიმართ უდიდესი სითბოთი და სიმპატიით გავიმსჭვალე. თანაც რაღაცის იმედი მომეცა, რისი? არ ვიცი. ისე, საერთოდ ამევსო გული იმედით. ქალების ლაპარაკი ოთახში გარკვევით აღარ ისმოდა და მათი შერკინება როგორ დასრულდა, ვერ გავიგე. მე მგონი, დარეჯანმა იმ ღამით კარიაულის ქვრივი სულაც გააძევა შინიდან. ღამის სიჩუმეში ჰიშკარმა გაიჭრიალა, ხოლო დილით ეზოში ჩავედი და ის ბნელი დედაკაცი იქ აღარ დამხვედრია.

დარეჯანს ვუთხარი, დღესვე უნდა გავემგზავრო მეთქი. პატიჟი არ დაუწყია, იქნებ ის მაინც გავიგოთ, სად არის, რომ საჭმელი როგორმე მივაწოდოთო. მერმე ჩემი ნაყიდი ტანსაცმლით გამოწყობილი ბავშვი გამომიყვანა, კმაყოფილი იღიმებოდა, ნახე, ყველაფერი როგორ მოუხდაო. ხალათიც დიდი ჰქონდა, შარვალიცა და ფეხსაცმელებიც, მაგრამ რახან დედას მოსწონდა, რა მექნა, უსიტყვოდ დავეთანხმე. ეს კი ვუთხარი, გაისად უფრო კარგად ექნება მეთქი. თავად ბიჭი მშვენიერი იყო, ჯანმრთელი, ლოყებდაბრაწული, მამასაც ჰგავდა და დედასაც, თითქოს მშობლების ჯიში განგებას თანაბრად გაენაწილებინა.

სოფლიდან ისევე ჩუმად წამოვედი, როგორც ჩავედი. არავინ მომიკითხავს, არავის შევხვედრივარ. წამოსვლის წინ დარეჯანმა ფული გამომიტანა, სტუდენტი ხარ, ქალაქში ცხოვრება ხომ გინდაო, ისე ბუნებრივად მითხრა, უარი არ მითქვამს, გამოვართვი და წამოვედი.

სალამომდე ჯერ თელავში ვიხეტიალე, მერმე მატარებლის გასვლამდე სადგურის ბაქანზე დავდიოდი, რატომღაც გულუბრყვილოდ მჯეროდა, სალომე ცინცაძეს შევხვდებოდი და თბილისამდე ერთად ვიმგზავრებდით.

## 12

კიბე ავიარე და აივანზე ელდანაცემი შევჩერდი: ჩვენი შუშაბანდის კარი ღია იყო. კარგად მახსოვს, კარი დავკეტე და ისე გავემგზავრე კახეთში. გაოცებულმა და შემკრთალმა აქეთ-იქით მიმოვიხედე და ფრთხილად გადავდგი ნაბიჯი. ჯერ შუშაბანდს მოვავლე თვალი, მერმე — ოთახს. სასადილო მაგიდას მამაჩემი უჯდა. მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილს ორივე

ხელი თავზე წაუვლო და ცარიელ ფინჯანს ჩასცქეროდა.

— მამა! — გაუბედავად დავუძახე, თითქოს იმის შესამოწმებლად, ეს ყველაფერი ხომ არ მეჩვენება მეთქი.

მამა წამოხტა, ხელებგამოწვდილი გამოქანდა ჩემკენ, მომეხვია, თავი ვეღარ შეიკავა და აქვითინდა. ისევ სკამზე დავსვი და ცოტათი დავამშვიდე. წუხელ შინ რომ არ დამხვდი, კინაღამ გავგიჟდი, შენც დაჭერილი მეგონეო. მეუბნებოდა და თვალებს იმშრალებდა. უძილო, გაფითრებული, გასაცოდავებული შემომცქეროდა, თითქოს სჯეროდა და არცა სჯეროდა, ცოცხალს რომ მხედავდა. რა თქმა უნდა, მეც ავღელდი, მაგრამ შინაგანად გამაგრება მაინც შევძელი, როგორღაც ძალა მოვიკრიბე, გავმხნევდი. სხვა რა გზა მქონდა, როცა ვხედავდი, რომ მამაჩემს ახლა ჩემზე უფრო მეტად უჭირდა.

სასწრაფოდ ვუამბე სოფელში ჩემი ყოფნის ამბავი. გულწრფელად ვუთხარი, დარეჯანი ნამდვილად მაგარი ქალია და ამ მხრივ გაგვიმართლა მეთქი. ისიც ვუამბე, თედოს სათამაშოები რომ ჩავუტანე, როგორ გაუხარდა, როგორ აჭყიპინდა. ძალიან საყვარელი ბიჭია, ორივეს გგავთ, მაგრამ უფრო შენკენ არის გადმოხრილი მეთქი. ისიც ვუთხარი, არ ვაპატიე, ხბოს მოგება რომ შემატყობინე. ძმის დაბადება რატომ არ მომწერე მეთქი. მამამ მორცხვად გაიღიმა, რა უნდა მომეწერა, ჩემი ასაკის კაცს უკვე შვილიშვილები უნდა ჰყავდესო.

თან ველაპარაკებოდი, თან საქმით ვიყავი გართული: ჩაიდანი ავადუღე, ზურგჩანთიდან ამოვალაგე დარეჯანის გამოტანებული საგზალი: შოთი პური, ყველი, მრგვლად მოხარშული დედალი, კვერცხები (ესეც მოხარშული) და ახალი ნიორი, ფოჩიანი. სუფრა გავშალე და მამაჩემს გვერდით მოვუჯექი.

— მაშ, კარგად არიან? — შეეკითხება მამა და საუზმეს შეუქცევა.

— დარეჯანს ერთი წუთითაც არ დაუკარგავს იმედი, სულ იმას ამბობს, სანდრო დაბრუნდებაო.

— მე კი თქვენმა ჯავრმა მომინელა.

—საბას გამო დაგიჭირეს?

— ღმერთო, ეს რა ღამე გავათენე! წუხელ რომ დავბრუნდი და კარი დაკეტილი დამხვდა, ვიფიქრე ესეც წაუყვანიათ მეთქი.

— ეგ ხომ უკვე მითხარი, მამა.

— როგორც დავეგდე ამ სკამზე, დილამდე ეგრევე დავრჩი, წელი ველარ ავითრიე.

— ის წერილი არ უნდა გამოგეგზავნა. ვითომ არ იცი, რა ქვეყანაში ვცხოვრობთ.

— ამაღამვე წავალ სოფელში. რახან ყველაფერი რიგზე ყოფილა, დღესვე გავემგზავრები.

— გეკითხები, საბას გამო დაგიჭირეს მეთქი.

— არ გინდა, ოზო,.. ნურაფერს შემეკითხები.

— ალბათ გაგაფრთხილეს. უსათუოდ გაგაფრთხილებდნენ, არაფერი წამოგცდეს, თორემ ამას გიზამთ და იმასო.

— სულერთი არ არის, ვის გამო დამიჭირეს, პეტრესი თუ პავლესი?! დამიჭირეს და მორჩა! ამ ლაპარაკს იმიტომ კი არ ვარიდებ თავს, რომ რაღაცის მეშინია, არ მსიამოვნებს ამაზე ლაპარაკი. მეზიზღება იქაურობა! არ შემიძლია იმათი გახსენება!

— არ მეგონა, გულს თუ ასე გატკენდი, მაპატიე.

— სასაფლაოზე მოვიდა უცნობი ვიღაც, არც გვარი უთქვამს, არც — სახელი, დამელაპარაკა, ორიოდე სიტყვა გადმომიგდო და წავიდა. მისი ასავალ-დასავალი არც მანამდე და არც მას შემდეგ ვიცი. სიბნელეში სახეც ვერ გავარჩიე, ვერ დავინახე, ჩემ წინ ვინ იდგა. მე რა, დარწმუნებით მოგწერე, ის კაცი, გინდა თუ არა, სა-

ბა იყო მეთქი?! მხოლოდ ვივარაუდე.

— ისე მელაპარაკები, თითქოს მე მგასამართლებდე. — მორიდებით გავულიმე, — ის თუ გითხრეს, საბამ რა დააშავა, რისთვის დასდევენ ასე გამწარებულები?

— ეგ არ უთქვამთ. მე მგონი ხელჩასაჭიდი ბრალდება არცა აქვთ. მე მითხრეს, არც სოფელშია ჩაწერილი, არც ქალაქში, თუ კაი კაცია, რითი არსებობს, რით ცხოვრობსო?

— შენ რაღას გერჩოდნენ, რატომ დაგიჭირეს ან რატომ გაგათავისუფლეს?

— მე არ გავუთავისუფლებივარ, მე გამომიშვეს.

— თუ არ გაუთავისუფლებიხარ, როგორღა გამოგიშვეს? — გაკვირვებული მივჩერდი მამაჩემს, ეს რას მეუბნება მეთქი.

— პირობით გამომიშვეს — ამბობს დაბნეულად.

— რას ჰქვია, პირობით გამოგიშვეს?! — ვკითხე დაეჭვებულმა.

— რაღაც პირობით რომ გამოგიშვებენ, იმას ჰქვია.

— რა პირობით გამოგიშვეს?

— ჩავალ სოფელში, ვითომც არაფერი მომხდარა, ჩვეულებრივად შევუდგები საქმეს, ვიცხოვრებ ჩემს ოჯახში. მაგრამ თუ სადმე საბა გამოჩნდა ანდა როგორღაც გავიგე მისი ადგილსამყოფელი.... — მამა ცოტა ხნით შეყოვნდა და ირიბად შემომხედა. — სასწრაფოთ შეგვატყობინეო, ასეთი პირობით გამომიშვეს.

— მერმე?

— რა, მერმე?!

— მაგ პირობით გამოხვედი საპატიმროდან?

— მაშ, რა მექნა, იქ დავრჩენილიყავი?

— ის კაცი რომ მართლა გამოჩნდეს ანდა რაღაცნაირად გაიგო მისი ადგილსამყოფელი, შეატყობინებ?

— ის კაცი არ გამოჩნდება! რაც არ არსებობს, ის არც გამოჩნდება!

— როგორ თუ არ არსებობს?! გუშინ წინ ჩემი თვალით დავინახე თეთრ ცხენზე ამხედრებული საბას, ჩემსას არ დავუჯერებდი, მაგრამ ლუკამაც დაინახა.

— სუ!.. ეგ არ თქვა შვილო! — მამაჩემი უცებ გაფითრდა და ხელების მტვრევა დაიწყო, მერმე წამოდგა და შუა ოთახში გაშტერებული და გულხელდაკრეფილი დიდხანს იდგა. მერმე თითქოს სხვას წასჩურჩულა, — ეგ არა, ეგ არა, შვილო!

— ხომ არ მოგატყუებ, როგორც შენ გხედავ, იმასაც ისე ვხედავდი.

— თქვი, რომ მოგეჩვენა.

— არც იმას ვამბობ და არც ამას, მე მხოლოდ შენ გითხარი.

— ლუკაც გააფრთხილე, სიტყვა არ წამოსცდეს.

— ლუკას არ უნდა გაფრთხილება.

— ძალიან კარგი, თუ არ უნდა გაფრთხილება. — მამა დაჯდა და გაციებული ჩაით სავსე ფინჯანი გვერდზე გადადგა. — საკანში მარტო რომ ვიჯექი, უსაქმობის გამო ბევრს ვფიქრობდი. ადამიანებზეც, ქალაქზეც, სოფელზეც... შენზეც ბევრს ვფიქრობდი და დარეჯანზეც, პატარა თედოზეც... რა თქმა უნდა საბაზეც ბევრი ვიფიქრე და იცი, რას მივხვდი, ოხო? ეგენი საბას იქ კი არ ეძებენ, სადაც არის, ვთქვათ, ტყე-ღრეში, სოფელში ან ქალაქში, საბას ეძებენ შენში ანუ ადამიანში, პიროვნებაში. მე ისე მომეჩვენა, რომ მაგათთვის მთავარი სწორედ ეგ არის, შენში იპოვნონ საბა. ამიტომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს, აღიარებ თუ არ აღიარებ, გჯერა თუ არ გჯერა საბას არსებობისა. მე თითქმის დავარწმუნე, საბა არ არსებობს მეთქი, მაინც პირობათ გამომიშვეს, იქნებ გამოჩნდესო, იქნებ ვინმემ იცოდესო მისი ადგილსამყოფელი. შენ გგონია მარტო მე ვარ პირობით გამოშვებული? შენც, ლუკაც, სხვა შენი მეგობრებიც, ასობით, ათასობით ადამიანი, თითქმის ყველანი პირობითა ვართ საპატიმროდან

გათავისუფლებულნი, თუ ვაღიარებთ საბას არსებობას, საკანში დაგვაბრუნებენ უმალვე. იქ დაბრუნება კი, იცი, რას ნიშნავს?! მე იმდენი რამ მინახავს და თავს იმდენი რამ გადამხდენია, ვფიქრობდი, ქვეყნად არაფერი გამიკვირდება მეთქი. სამჯერ დავიჭერი სასიკვდილოდ, სამჯერ ჩამხედა სიკვდილმა თვალებში და ვერ შემაშინა. სიკვდილი შავფრთიანი ანგელოსია. კი, ანგელოსია — ოღონდ შავფრთიანი. თუ შეებრძოლები, შეიძლება, გაიმარჯვო კიდეც ან ღირსეულად დაეცე. მაგრამ იმათთან ვერაფერს გახდები. ადამიანის ბედს თავისი ნება-სურვილის მიხედვით წარმართავენ. იმათთან ვერ გაიმარჯვებ, ვერც ღირსეულად დაეცემი: გაგათახსირებენ, დაგამდაბლებენ, სულში ჩაგაფურთხებენ, ლაფში ამოგსვრიან, არარაობად გაქცევენ, ადამიანობაზე და კაცობაზე უარს გათქმევინებენ...

მე ხმა აღარ ამომიღია, პირდაღებული ვუსმენდი და უცებ წარმოვიდგინე, რა გზა უნდა გაიაროს ადამიანმა რომ ასეთი რამ იფიქროს. მართალი გითხრათ, მამაჩემისაგან ამგვარ საუბარს არ მოველოდი. ალბათ კარგად არ ვიცნობდი იმ ტრადიციულად ზერელე ურთიერთობის გამო რითაც დღემდე ვარსებობდით.

— მე უფრო შენზე ვფიქრობდი, შენი მეშინოდა. ყოველთვის მაგარი მეგონე, მაგრამ იმათ მზაკვრობას, იმათ დაწოლას, ვაი-თუ, ველარ გაუძლოს მეთქი, ვდარდობდი და კედლებს შუბლით ვეხეთქებოდი.

— ნუ გედარდება, მეც ბოდაველი ვარ! — ვთქვი და მე თვითონ გამიკვირდა ჩემი ნათქვამისა. არასოდეს მიტრაბახია ჩემი გვარითა და წარმომავლობით, ერთხელაც არ გამხსენებია ჩემი ბოდაველობა. მაგრამ უცებ მივხვდი, ეს იმ ღამის ანარეკლი იყო, ჩემი დედინაცვალი კარიაულის ქვრივს რომ ებრძოდა და ბოდაველობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

— დედაშენის საფლავზე თუ იყავი? — მოულოდნელად მკითხა მამამ.

— არა, არ ვყოფილვარ.

— ხვალვე წადი.

— უსათუოდ წავალ.

— მიაგნებ?

— რა თქმა უნდა!

იმ დღეს შინიდან არ გავსულვარ მამა აბანოში წავიდა. თავიდანვე შინაგანად დათრგუნული და გატეხილი ჩანდა, მაგრამ მე რომ შინ დამიგულა, თანდათან დამშვიდდა, ძველი იერი დაუბრუნდა, თითქოს ამ ერთი თვის მანძილზე არაფერი დაუკარგავს, პირიქით, შეუძენია ისეთი რამ, რაც მომავალში ცხოვრებას გაუადვილებდა, თუნდაც უარეს მოულოდნელობას წასწყდომოდა. მისმა სიმხნევემ მეც გამამხნევა და ერთგვარი სიხარულიც მომგვარა.

მამაჩემი თვალს მიეფარა და ლუკაც მოვიდა. მე აივანზე ვიდექი და ეზოს ჩავცქეროდი, ლუკა გაჩქარებული მოდიოდა, ღიმილით ამომხედა და ხელიც დამიქნია. მეგონა, ქუჩაში მამაჩემი შეხვდა, დაელაპარაკა და იმიტომ არის კარგ გუნებაზე მეთქი. მაგრამ აივანზე ამოსულმა პირდაპირ მომახალა, წერილი მივიღეო. ცხადია, მივხვდი. რა წერილიც მიიღო. სხვა რამ ასეთ დიდ სიხარულს ვერ მოჰგვრიდა. წერილი ნანი ინაშვილს ვიღაც ნაცნობისათვის გამოუტანებია ყაზახეთიდან.

ინაშვილები რამდენიმე რეპატრირებულ ქართულ ოჯახთან ერთად ალმა-ატიდან ასიოდე კილომეტრით დაშორებულ პატარა ქალაქში დაუსახლებიათ. არა უშავთ, თავს როგორმე გაიტანენო, უთქვამს ნანის ნაცნობს, წერილი დაუტოვებია და წასულა. სიტყვაუხვობით მაინცადამაინც არ გამოირჩეოდა თურმე, სხვა ვერაფერი დავაცდენინეო, ამბობდა ლუკა. მაინც კმაყოფილი იყო, რადგან ხელში ნანის წერილი ეჭირა.

არ არსებობდა ქვეყნად ძალა, რო-

მელიც ახლა ლუკას შეაჩერებდა. მე კი ვცადე შეჩერება, პირველ ხანებში ერთი კვირით წასვლა ვურჩიე, იქაურობას ჯერ თვალი გადაავლე მიიხედ-მოიხედე, ყველაფერი აწონ-დაწონე და საბოლოოდ მერმე გადაწყვიტე მეთქი. მაგრამ ჩემი „სიბრძნე“ და „სიდარბაისლე“ ლუკას სასაცილოდ არ ეყო. ასეთი რამ მას უკვე ნაფიქრი და უარყოფილი ჰქონდა. ლუკა დარწმუნებული იყო გამგზავრება-გამომგზავრება, წინ და უკან ხეტიალი კარგს არაფერს უქადდა.

— ხომ შეიძლება, ერთ „მშვენიერ“ დღეს დაგიბარონ იქ, სადაც ჯერ არს და გითხრან, ამხანაგო, რომ დაგიდვია თავი ლლონტის ლორივით და ამ აკრძალულ ზონაში დაუკითხავად მიდიმოდიხარ, ვინ მოგცა ამის უფლებაო. ესეც არ იყოს, რატომ უნდა ვიწვალო, დაუსრულებლად აქეთ-იქით რატომ უნდა ვიხეტიალო, ერთხელ წავალ და ისე ვიცხოვრებ, როგორც ისინი ცხოვრობენ.

ლუკა თავის შინაგან ლოგიკას ემორჩილებოდა და როგორც ჩანს, არჩეულ გზიდან აღარ გადაუხვევდა. რახან ვერაფერი გავაწყე, შევპირდი, დაგეხმარები მეთქი. ლუკა სახლიდან ნივთების გატანასა და გაყიდვას აპირებდა, რადგან ფულის შოვნის სხვა გზა არ ჰქონდა. თუ საჭირო რაოდენობის ფული ვერ დავაგროვე, ბინასაც მივაყიდიო, მითხრა.

ჩვენ საუბარს აბანოდან დაბრუნებული მამაჩემი შემოესწრო. ლუკას ეგონა ჩვენ ერთად ჩამოვედით სოფლიდან და მეც არაფერი მითქვამს, დე, ასე ეგონოს მეთქი. მამა სწრაფად გაერკვა საქმის ვითარებაში და პირდაპირ ურჩია, ჯერჯერობით. ბინას ნუ გაყიდი, ბინის გაყიდვას ნუ იჩქარებო.

— ჩადი ყაზახეთში, დაბინავდი, იქაურობას მოერგე, მერმე ცოტა დრო გაივლის, იმ შენს გოგოზე დაქორწინდი, თუნდაც ფიქტიურად. მთავარია, გვარი შეუცვალო, შენს გვარზე გადმოიყვანო. მერმე კიდევ [illegible] რამდენიმე თვე... ამის [illegible] სუფლად შეგიძლია [illegible] მეუღლითურთ საქართველოსკენ გამოემგზავრო.

— რა საჭიროა ამდენი თვალთმაქცობა, უკეთესი არ არის, ჩასვლისთანავე იქორწინოს და წამოიყვანოს?! — ვკითხე მამაჩემს.

— არა, არა! არავინ უნდა დაეჭვდეს, რომ გოგოს წამოსაყვანად ხარ ჩასული, თორემ შეიძლება შენც იქ დაგტოვონ სამუდამოდ, შერცხვებით, სინდისი შეაწუხებთ, თუ რა?! ისე მოიქეცი, როგორც მე გეუბნები.

ლუკა ჩაფიქრდა. ვერ გავიგე ჰკუაში დაუჯდა თუ არა მამაჩემის რჩევადარიგება. რას ფიქრობ მეთქი, მხარი გავკარი.

— თუკი ეს შესაძლებელი იქნება...

— შენ რალაც გაეჭვებს, ლუკა? — ჰკითხა მამაჩემმა.

— მე არ ვიცი, მშობლები რას იტყვიან, უცხო მიწაზე გადახვეწილები გასძლებენ კი უმისოდ?!

— უმცროსი და ხომ იქ დარჩება! — ამას მე ვამბობ და მაშინვე ვხვდები რომ სისულელე ვთქვი და ვჩუმდები.

— წესით, მშობლებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ შვილები გადაარჩინონ. თუ ქალიშვილები საქართველოში დაბრუნდებიან, თავის სამშობლოში იცხოვრებენ, მშობლები ამაზე რატომ იტყვიან უარს? არ მესმის. ყოველ შემთხვევაში, ლუკა, ბინის გაყიდვას ნუ იჩქარებ.

მამაჩემი იმავე ღამეს გაემგზავრა სოფელში.

მეორე დღეს სასაფლაოზე ლუკა წამომყვა. დედაჩემის საფლავს ადვილად მივაგენით, ზედმეტი ბალახი მოვაცილეთ, დავწმინდეთ, დავასუფთავეთ იქაურობა. ლუკა გუშინდელი საუბრით თითქოს კმაყოფილი იყო, მაგრამ რალაცნაირად ვგრძნობდი, ბოლომდე მაინცადამაინც არ სჯეროდა, ნანის დაბრუნებას საქართველოში ასე

იოლად თუ შესძლებდა. სულ უნდოდა ამაზე ელაპარაკა, რომ შინაგანად მყარად ყოფილიყო დარწმუნებული, ამის განხორციელებას, ადრე თუ გვიან, შევძლებთ. როცა გავეხუმრე, შენ და ნანის საახალწლოდ შინ გელოდებით მეთქი, გაუხარდა, ალბათ დაიჯერა კიდეც, ახალ წელს თბილისში ნანისთან ერთად შევხვდებით.

მაგრამ მე ჩემიც მჭირდა, ჩემი სატკივარიც მტკიოდა. სასაფლაოზეც, იქიდან წამოსულმაც რამდენჯერმე დავაპირე სალომეზე ჩამომეგდო სიტყვა. თავი შევიკავე, რადგან ჩემ სადარდებელზე ამჯერად ლუკასთან ლაპარაკი აბსურდად მომეჩვენა. არადა უკვე ორი დღეა მოსვენება მაქვს დაკარგული.

არ ვამხელდი, თორემ სალომეზე სასოწარკვეთამდე მისული ვფიქრობდი. ვფიქრობდი სოფელშიც, როცა გამწარებული დარეჯანი ჩვენს საერთო უბედურებაზე ალელვებით მელაპარაკებოდა, თბილისში დაბრუნებულიც, როცა მამაჩემი მოულოდნელად შინ დამხვდა და გაშტერებული შევყურებდი. ვგრძნობდი, ამ დიდ სატკივარსა და საფიქრალს მიღმა კიდევ რაღაც მაწუხებდა და ეს საწუხარი სალომე იყო.

სიცხესა და ხვატში ორბელიანების უბანში მოვუხშირე სიარული. სალომეს ზუსტი მისამართი არ ვიცოდი, ისე კი წარმოდგენილი მქონდა, დაახლოებით სად ცხოვრობდა. დილიდან საღამომდე სიცხით გათანგული და გასავათებული ვწრიალებდი იმ უბანში. სალომე არ გამოჩენილა. ვიღაც-ვიღაცეებს ვეკითხებოდი. ასეთი და ასეთი გოგო აქ. ახლო-მახლო ხომ არ ცხოვრობს მეთქი. ვერავინ ვნახე უბნელთაგან, ვინც მისი ასავალ-დასავალი იცოდა.

ამასობაში ლუკას ძველი, გერმანული პიანინო მეზობელს მივყიდეთ და ჭაღიც ჩამოვხსენით.

იმ დღეს შინიდან გასვლას არ ვაპირებდი, მაგრამ გულმა რაღაცნაირად მაგრძნობინა, გარეთ თუ გავიდოდი, უსათუოდ შევხვდებოდი სალომეს. თანაც ეს წინათგრძნობა იმდენად ნათელი და ხელშესახები იყო, თითქმის წინდაწინვე ვიცოდი სად უნდა ვმდგარიყავი, საიდან გამოჩნდებოდა სალომე და როგორ შევეგებებოდით ერთმანეთს. შინ ნახევრადშიშველი დავტანტალებდი და არ მეგონა, ქალაქში თუ ასეთი ბული და ხვატი იდგა. გამალებულმა გავიარე ჩვენი ქუჩა, მერმე მუხრანის ხიდიც გადავირბინე. სახლშივე წინასწარ მონიშნულ ადგილზე დავდექი, აქედან ამ პატარ-პატარა ქუჩებს, ჩიხებს, შესახვევებს შესასვლელ-გამოსასვლელებს კარგად ვაკონტროლებდი. ბედნიერი წინათგრძნობით ატანილი ვერც სიცხეს ვგრძნობდი, ვერც ასფალტისა და ვერც კედლების სიმხურვალეს. ქუჩაში ცოტა ხალხი რომ ირეოდა, ესეც ნიშანდობლივად და კანონზომიერად მეჩვენებოდა, სალომეს გამოჩენისთვის ხალხს ხელი არ უნდა შეეშალა.

უცებ ხორშაკი ამოვარდა, საშინელი ცხელი ქარი. მე გაფიქრებაც ვერ მოვასწარი, ეს რა ხდება მეთქი, ქარმა სახეში მტვერი თუ სილა შემომაყარა და დამაბრმავა. მე თვალებზე ხელები ავიფარე და სიმწრისაგან ამოვიგმინე, ვიგრძენი, ყველა ქუჩიდან, ყველა შესახვევიდან და ჩიხიდან, ყველა შესასვლელ-გამოსასვლელიდან და ეზოდან სტვენითა და ღრიანცელით გამოვარდა ქარი. თითქოს ქუჩის ბიჭები დამესიენ, ჯერ თვალებში მიწა შემაყარეს, მერმე აქეთ-იქიდან მირტყამდნენ. მცემდნენ, სახეში სილას მიტყლაშუნებდნენ, პერანგს მხდიდნენ, შარვლის ჯიბეებში ხელებს მიფათურებდნენ. ვიღაც ყელშიც მწვდა და ხელი წამიჭირა, ველარ ვსუნთქავდი, ლამის გავიგუდე. სახეზე ხელებაფარებული ვიდექი და თავბედს ვიწყევლიდი. ეს ჯოჯოხეთი სულ ერთი წუთი გაგრძელდა. მერმე თვალები მოვისრისე და თითებშორის გავიჭვრიტე: ქუჩის ბიჭები ალარსად ჩანდნენ... რა თქმა უნდა, ქარი ჩამდგარიყო. ორივე თვალი კარგად ამოვიწმინდე და

ირგვლივ მიმოვიხედე. ქარხორმაკის კვალი არაფერს ეტყობოდა, მხოლოდ მე ვიდექი გალახული და დარბეული, თვალებდავსებული და სუნთქვადახშული. ლოდინს აზრი არ ჰქონდა, კაცმა რომ თქვას, აღარც შემეძლო იქ დგომა და შინისაკენ წავლასლასდი.

მივხვდი, ამ უბანში ხეტიალითა და დადარაჯებით არაფერი გამომივიდოდა, თანაც ჩემი ცრუ წინათგრძნობის გამო გვარიანად დავისაჯე და ახლა გუმანით რასაც ვგრძნობდი, იმის გამხელა უკვე მეშინოდა. ციხისძირში გამგზავრება მეჩქარებოდა: დარწმუნებული ვიყავი, სალომე ბათუმში ისვენებდა. ციხისძირიდან ბათუმამდე ერთი ნაბიჯი იყო და ბედი ალბათ იქ მიმზადებდა შეხვედრას, აკი თვითონაც მითხრა, ერთმანეთი ბათუმში ვინახულოთო.

ციხისძირში წასვლამდე გოგი ზედელაშვილისა და ატი შელიას ნახვა გადავწყვიტე. არც ატი დამხვდა შინ და არც გოგი, ქალაქიდან ორივენი წასულიყვნენ. გოგისთან რომ მივედი, ვილაც ლამაზმა გოგომ გამიღო კარი და შინაურივით გამიღიმა. ავრორა ღიმილით ვიცანი და გამიკვირდა გოგის ნაცვლად ამან რომ გამიღო კარი. გოგი დიდი ხანია არ მინახავს და გუშინ გამოვუარეო, მითხრა. გოგი კახეთში წასულა ამ ერთი კვირის წინ, მარტო დარჩენილი დედა ავად გამხდარა, სიცხე მიუცია და ლოგინში მწოლიარე დახვედრია ავრორას. რა ვქნა, ხომ ვერ მივატოვებდი, ექიმი მოვუყვანე, წამლებიც მოვუტანე და ვასმევო. ავადმყოფი ქალის შეწუხება არ მინდოდა და ოთახში შესული უკანვე გამოვბრუნდი, მით უმეტეს, რომ ავრორამ მითხრა, წუხელ ძალიან ცუდად იყო, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს და ახლახან ჩაიძინაო.

— რამე დახმარება ხომ არ გჭირდება? — ვკითხე.

— არა, არაფერი.

— აბა, შენ იცი, ავრორა! ნახვამდის!

— მე ავრორა აღარ მქვია. ატიმ შემიცვალა სახელი.

— მაინც რა დაგარქვა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლიუ.

— ლიუ? ლიუ რა სახელია?!

— რა ვიცი მე კი ძალიან მომწონს.

— ვახ, რა ტიპია ეს ატი! მაინც ვერ მოისვენა, სანამ სახელი არ გამოგიცვალა!

— ლიუ! — სიამაყით წარმოსთქვა ავრორამ, — ხომ კარგი სახელია?!

— შესანიშნავია! ნახვამდის, ლიუ!

— ნახვამდის!

ატის შერქმეული სახელი თანდათან მომწონდა და მერმე, ზღვიდან რომ დავბრუნდი, ნათლიას ვკითხე, ლიუ რას ნიშნავს მეთქი. ატიმ გაიცინა, გადასარევი გოგოა და კრეისერის სახელი რატომ უნდა ერქვას, თანაც იმ კრეისერისა, რომელმაც კაცობრიობას ახალი ერის დაწყება ზათქით აუწყაო. იქნებ კრეისერის სახელი არ ერქვა მეთქი. ეგ დავაზუსტეო. თანაც განმიმარტა, ლიულიუ მეგრულად ავრორას ანუ განთიადის ერთერთი სინონიმია, ბოლო ნაწილი მოვაშორე და მშვენიერი სახელი გამოვიდაო. მერმე უცნაური რამ მითხრა, ლიუ ძალიან მიყვარს, იშვიათი ხასიათის გოგოაო. თუ არა ვცდები, მოწყალების დის კომპლექსით არის დაბადებული, ოღონდ იმათ კი არა ჰგავს, მედდა და სანიტარი რომ ჰქვიათ, ლიუ უფრო ძველ, ქრისტიანულ, უფრო მონასტრულ მოწყალების დას მაგონებსო. მეტსაც გეტყვი, იმ გოგოებს იმიტომ კი არ იყო აყოლილი, რომ დროსტარება და თან ფულის შოვნა უნდოდა, არა, მისი გაუცნობიერებელი შინაგანი მოთხოვნილებაა, ვინმეს ოდნავ მაინც შეუმსუბუქოს ტკივილი... ამიტომაც მიყვარდა ატი, ადამიანის სულში მოულოდნელად მარგალიტების აღმოჩენა იცოდა.

13.

ლიუს დავემშვიდობე და სოლოლაკში წავედი ჩემს უნივერსიტეტელ

მეგობართან. მერაბ ყანჩაველი თითქმის ყოველ წელს დადიოდა ბათუმში დასასვენებლად და, როგორც თვითონ ამბობდა, ბათუმსა და მის შემოგარენს ძალიან კარგად იცნობდა. იქაურ ამბებს გამოვკითხავ მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ შინ არ დამხვდა. და გაწბილებული გამოვბრუნდი უკან.

იმ დღეს ბედი არ მწყალობდა, თუმცა ერთი დიდი საქმე მაინც გავაკეთე, ბათუმის მატარებელზე ციხისძირამდე ვიყიდე ბილეთი.

ციხისძირში დილით ადრე ჩავედი. მატარებელი წავიდა და ბაქანზე სამნი დავრჩით, სამივე უნივერსიტეტის სტუდენტი. ბაქნის პირდაპირ თითქმის ლიანდაგიდან იწყებოდა მწვანე ხვიარებით დაფარული მაღალი ფერდობი. ბაქნიდან ზღვა არ ჩანდა, ზღვა ზურგს უკან, სადღაც ქვევით ქშინავდა, კიპარისებისა და ჰორტენზიების მაღალი ბუჩქების იქით. არც მარჯვნივ, არც მარცხნივ შენობის მაგვარი არაფერი დაგვინახავს, მაგრამ ჩვენ გუმანით გავყევით გაცვეთილ ბილიკს და სულ მალე მწვანე ხეებში ჩაფლულ უნივერსიტეტის დასასვენებელ სახლს მივადექით.

სახლი ალბათ მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს იყო აშენებული და ერთი შეხედვით ძველებური ციხე-კოშკის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ეტყობა, შენობა ოდესღაც მდიდარ კაცს ეკუთვნოდა, მაგრამ რევოლუციის შემდეგ ჩამოართვეს და დასასვენებელ სახლად გადააკეთეს, სასადილო და რაღაც სათავსოები ახალ მიშენებულ-მოშენებულს ჰგავდა. შენობა იდგა ზღვის ნაპირიდან ამოზრდილ საკმაოდ მაღალ კლდეზე, საიდანაც ზღვის უზარმაზარი სივრცე მოჩანდა — ბათუმიდან ქობულეთამდე.

რატომღაც მეგონა, ზღვის პირველი ხილვა უფრო ამაღელვებდა, ჰაერმა და სივრცემ ოდნავ გამაბრუა, სხვა მხრივ, თითქოს ეს ყველაფერი ადრევე მქონდა ნანახი და განცდილი.

ახალი დამსვენებლები სასწრაფოდ გაგვაფორმეს და მოგვათავსეს [illegible]რა ოთახში, სადაც სამი [illegible] ერთი კარადა რაღაც თილისმისა და შელოცვების წყალობით იყო დატეული. ჩემი მეზობლები მოჭადრაკეები აღმოჩნდნენ, უნივერსიტეტის ნაკრები გუნდის წევრები. ზღვაზე ადრიანად ჩადიოდნენ, ნაპირზე ვარჯიშობდნენ, დარბოდნენ, მერმე ზღვაში შედიოდნენ და ბანაობდნენ. ამის შემდეგ მთელი დღე მაგნოლიის ჩრდილში ისხდნენ და ჭადრაკს თამაშობდნენ. ვიღაცამ თქვა, საქალაქო ოლიმპიადისთვის ემზადებიანო.

სტუდენტებს გარდა პროფესორ-მასწავლებლებიც ისვენებდნენ, მათ შორის ერთი პროფესორი ხარკოველი ფიზიკოსი იყო — რაბინოვიჩი, რომელსაც თან თერთმეტ-თორმეტი წლის ვაჟიშვილი წამოეყვანა. პატარა რაბინოვიჩმა იმდენი უტრიალა ჩვენს მოჭადრაკეებს, რომ ორივეს ეთამაშა და ორივე სასტიკად დაამარცხა. ცოტა მეტი უნდა ივარჯიშონო, თქვა უფროსმა რაბინოვიჩმა. მეტი რაღა უნდა ევარჯიშათ, მთელი დღე ჭადრაკის დაფას უსხდნენ, თამაშობდნენ და პარტიებს არჩევდნენ, პატარა რაბინოვიჩი კი დილიდან საღამომდე ზღვის ნაპირზე დატანტალებდა.

სულ მალე ვიგრძენი, აქ ყოფნა გამიჭირდებოდა. არა იმიტომ, რომ დამსვენებლები არ მომწონდა და ვერ ვეგუებოდი, პირიქით, მშვენიერი საზოგადოება იყო შეკრებილი, შინაურული ატმოსფერო სუფევდა, ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ და კარგადაც ისვენებდნენ. სწრაფად მოვშინაურდი, მაგრამ ხშირად სალომეზე ფიქრი მომეძალებოდა და უკვე აღარ მაინტერესებდა ის, რითიც დამსვენებლები ერთობოდნენ და დროს ატარებდნენ. თანაც სულ მახსოვდა, სალომემ ვარდისუბანში რომ მითხრა, ერთმანეთი ბათუმში ვინახულოთო და ესეც არ მასვენებდა, იქით მექაჩებოდა.

ცხადია, ერთ მშვენიერ დღეს ბათუმს ვეახელი.

დილით ადრე გავიპარე დასასვენებელი სახლიდან და მატარებელს გავყევი. ბათუმის ვაგზალშივე აჭარული ხაჭაპურით ვისაუზმე, მერმე მარტოდ მარტო დავეხეტებოდი სრულიად უცნობ ქალაქში. ბათუმი რატომღაც პატარა და სუფთა ქალაქი მეგონა, სუფთა კი აღმოჩნდა, მაგრამ არც ისეთი პატარა იყო, როგორიც წარმოდგენილი მქონდა.

შუა დღე მოახლოვდა. დაცხა. სასტუმრო „ინტურისტის" მახლობლად ზღვისპირა პარკში შევედი. მაგნოლიებითა და ჩემთვის უცნობი ხეებით დაბურულ პარკში საკმაოდ გრილოდა და ერთგვარი შვება ვიგრძენი.

პლაჟი შემოღობილი იყო და შესასვლელი ბილეთები იყიდებოდა. აქ ისევ არაადამიანურად ცხელოდა, შუადღის მზით გათანგული ხალხი უკვე ტოვებდა ნაპირს, მაგრამ ბევრიც ვერ თმობდა ზღვას: ფანჩატურებისა და ქოლგების ჩრდილში ნებივრობდა... ბილეთი ვიყიდე და შევედი. შესვლისთანავე უამრავი ნაცნობი ვნახე: უნივერსიტეტელები, კონსერვატორიისა და სამხატვრო აკადემიის სტუდენტები. თითქმის მთელ თბილისს აქ მოუყრია თავი და სალომესაც უსათუოდ აქ შევხვდები მეთქი, ვინუგეშებდი თავს. ჩვენ შემოგვიერთდით, შემომთავაზეს უნივერსიტეტელებმა და მეც შევუერთდი მათ საზოგადოებას, თან ვივარაუდე, ამათ უსათუოდ ეცოდინებათ სალომეს ასავალ-დასავალი, რადგან მათ შორის უცხო ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტებიც შევნიშნე.

ტანსაცმელი გავიხადე და დავჯექი. სიგარეტი გავაბოლე. ზღვა მშვიდი იყო და ლურჯად კამკამებდა. ზღვიდან ნაცნობი სილუეტი ამოვიდა. ხელებგაშლილი მოდიოდა. ქვებზე ფრთხილად ადგამდა ნაბიჯს, წონასწორობის შენარჩუნებას ცდილობდა. ათიოდე მოკლე ნაბიჯი გამოიარა და შეჩერდა, პირსახოცს დასწვდა, სველ ტანზე შემოიხვია. მომეჩვენა, თითქოს მე[illegible]და მიღიმოდა. მზის მხარე[illegible] ვერ ვხედავდი, ვერ ვიცანი, ვინ იყო, ხელი დამიქნია...

გოგომ ხელი დამიქნია და, რა თქმა უნდა, წამოვდექი, მისკენ გავეშურე. სამიოდე ნაბიჯი გადავდგი და უმალ მივხვდი, ვისაც ვუახლოვდებოდი. უცებ გამახსენდა, ზიზი კინოს გადამღებ ჯგუფთან ბათუმში რომ იყო ჩამოსული. შემეგება, გადამეხვია, გადამკოცნა. მერმე თავის პირსახოცზე დაჯდა და გვერდით მომისვა. ზღვიდან დაგინახე, როგორც კი პლაჟზე შემოხვედი, მაშინვე გიცანიო, მითხრა გახარებულმა. თან დაინტერესდა, სად ვისვენებდი, ბათუმში თუ ბათუმის მახლობლად, ველურად ვიყავი ჩამოსული თუ საგზური მქონდა შეძენილი. თვითონ რეკვიზიტიანად „ინტურისტის "ერთი ოთახი ჰქონდა დაკავებული და ბედის დიდად კმაყოფილი ჩანდა. მერმე უცებ მკითხა, როგორი „ზაგარი" მაქვსო, მაგარი მეთქი, ვუთხარი და ათასი სულელური ქათინაურიც გამომტყუა. პირსახოცზე ახლა გულაღმა დაწვა და დიდხანს მელაპარაკებოდა თავის გადამღებ ჯგუფზე, მთავარ რეჟისორსა და ოპერატორზე, რომელიც კიევიდან ჰყავდათ საგანგებოდ ჩამოყვანილი. სულ არ მაინტერესებდა მაგათი გადამღები ჯგუფის ამბავი, მეც ვიბანავებ, თორემ დავიწვი მეთქი, ვუთხარი და ზღვაში შევცურე.

შევცურავ და ზღვიდან მანამდე არ გამოვალ, სანამ ზიზი ნაპირს არ დატოვებს მეთქი, გადავწყვიტე. მართლაც, რამდენი ხანი დარჩებოდა მზის გულზე, ადგებოდა და წავიდოდა. წყალში გამახსენდა, კინოსტუდიაში გამწარებული ვეძებდი და ახლა უკვე მაკვირვებდა ის ვნება, რომელმაც იმ დღეს დილიდანვე გამომაგდო შინიდან და ზიზის საძებნელად მახეტიალა კორონცოვის მოედნიდან კინოსტუდიამდე, ახლა კი თითქმის შიშველს დავცქერო-

დი ჩემ წინ გულაღმა გაშოტილს და ერთი ნერვიც არ ამთრთოლებია, იმას ვფიქრობდი, რაც უფრო მალე გავეცლები აქაურობას, მით უკეთესი მეთქი.

ნელ-ნელა, მშვიდად მივცურავდი. გაგონილი მქონდა, ზღვაში არ უნდა აჩქარდეო და მეც არ ავჩქარებულვარ. ნაპირს თანდათან ვშორდებოდი, ლურჯი, კრიალა და მარილიანი წყალი მსიამოვნებდა. წინ სამი-ოთხი მედუზა შემხვდა, და ხელით მოვიცილე. არ ვიცი, რამდენი ხანი მივცურავდი. როცა მოვბრუნდი და ნაპირს გავხედე, რა თქმა უნდა, გული არ გამხეთქვია, მაგრამ ნაპირი მაინც საკმაოდ შორს მომეჩვენა, ადამიანები პაწაწინა თოჯინებით მოძრაობდნენ ნაპირზე. თანაც, ეტყობა, ზღვის დინებამ გვერდზე წამიღო, ის წერტილი, საიდანაც შევცურდი, თვალით ძლივს მოვძებნე, სადღაც მარჯვნივ დარჩენილიყო.

მტკვრის ნაპირზე გაზრდილი, ცხადია, ზღვის ზნესა თუ ხასიათს სულაც არ ვიცნობდი.

ისევ იქ მივცურდები, საიდანაც წამოვედი მეთქი, გავიფიქრე გულუბრყვილოდ. მალე ვიგრძენი, ადგილიდან არ ვიძროდი, წინ ვერ მივდიოდი, მიჭირდა დინების საწინააღმდეგოდ ცურვა. ამიტომ პირდაპირ ნაპირისაკენ ავიღე გეზი, მთავარია, მიწაზე დავდგე, ტანსაცმელს ფეხით მივაკითხავ მეთქი. ჩვეულებრივად მივცურავდი, მაგრამ უცებ მომეჩვენა, ამაოდ ვამოძრავებდი ხელებსა და ფეხებს, ნაპირს კი არ ვუახლოვდებოდი, თითქოს უფრო და უფრო ვშორდებოდი. გულის სიღრმეში შევცრკი და ამ უეცარმა შიშმა ხელ-ფეხი მომიდუნა. ნაპირს ვეღარ მივაღწევ მეთქი, გამიელვა შემკრთალმა ფიქრმაც. მე მაინც ვიბრძოდი, ნაპირისკენ ვისწრაფოდი, დაღლილი ზურგზე გადავბრუნდებოდი და ვისვენებდი, მერმე ისევ თავიდან ვიწყებდი ბრძოლას.

ნეტავი რა მანძილით ვიყავი ნაპირს დაშორებული? აქედან გარკვევით ვხედავდი მოფუსფუსე თოჯინებს, რომლებიც თავის ბარგი-ბარხანიანად ტოვებდნენ ნაპირს და მშვიდად მიდიოდნენ. პლაჟის იქით ხეებსაც ვხედავდი, ხოლო კენწეროებს მიღმა სახლებიც მოჩანდა, ოღონდ ზედა სართულები. ბათუმის პორტში უზარმაზარი თეთრი ხომალდი შედიოდა. წელან ნაპირიდან ზღვას რომ გავხედე, სილურჯეში მიმოფანტული ნავები დავინახე. ახლა თვალსაწიერზე ერთი ნავიც არ ჩანდა. მომეჩვენა, თითქოს ქვეყანამ ზურგი შემაქცია, გამწირა ანდა თუ ზურგი არ შემაქცია, გულგრილად მადევნებდა თვალს, განწირული როგორ ვფართხალებდი შუა ზღვაში.

ზურგზე გადავბრუნდი. ზევიდან უფერული ცა დამყურებდა, მზე დასავლეთისაკენ გადახრილიყო, მზის ელვარებას ველარ გავუძელი და თვალები დავხუჭე. ზღვის ზედაპირზე ხელებგაშლილი უმოძრაოდ ვიწექი და ვისვენებდი. ახლაღა აღმოვაჩინე, რომ ზღვაზე ხელ-ფეხის გაუნძრევლად შემეძლო წოლა. ვიფიქრე, ასე ვიწვები, სანამ არ ჩავიძირები მეთქი.

წყალზე გაწოლილმა ვიგრძენი, მიწა მენატრებოდა, რაღაც სხვანაირად მენატრებოდა მიწა. მიწაზე დგომა მინდოდა, გავლა, სირბილი, ხტომა, მიწაზე წოლა მენატრებოდა, ბალახის სუნით გაბრუება. მიწის ნოსტალგიამ ამიჩუყა გული და ცრემლი მომერია.

გულაღმა მწოლი გადმოვბრუნდი და ნაპირს გავხედე, მიწა სულ ახლოს დავინახე და უნებურად გამეღიმა. დავიძაბე, უკანასკნელი ძალა მოვიკრიბე და მკლავეურით მოვუსვი ისე, თითქოს მტკვარში ვცურავდი. ნაპირს ხუთიოდე მეტრით რომ მივუახლოვდი, ზღვის ფსკერს მივაწვდინე თითის წვერები. მერმე ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწევდი ნაპირისაკენ. წყლიდან ამოზრდილი სხეული თანდათან მიმძიმდებოდა, ტყვიასავით მძიმე მქონდა მხრები, მკლავები, მუხ-

ლებამდე ამოსულმა საკუთარი ტანი ველარ ვზიდე და ნაპირზე დავეცი.

ათი წუთის შემდეგ ფეხზე დადგომა შევძელი და ნაპირ-ნაპირ გავყევი ზღვას, ცხადია, გეზი ჩემი ტანსაცმლისაკენ ავიღე. როდის-როდის მივედი, შარვალ-ხალათი და ფეხსაცმელები ხელუხლებელი დამხვდა, ოღონდ აღარც ზიზი იყო და თბილისელი სტუდენტებიც ერთიანად გაკრეფილიყვნენ, ახლო-მახლო კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მარტო ვიდექი და სულ არ მქონია იმის განცდა, თითქოს დაღრჩობას გადავურჩი. მაგრამ იმის მიმართ, რაც ზღვის აქეთ იყო მოქცეული, რასაც მიწა ერქვა, ნამდვილად რაღაც ახალი გრძნობა თუ დამოკიდებულება გამიჩნდა.

ტანსაცმელი ჩავიცვი და პარკში გავედი. ზიზი მაგნოლიის მსუყე ჩრდილში მწვანე მერხზე ნებივრად იჯდა და სიგარეტს აბოლებდა. ეტყობა, მე მელოდებოდა, რადგან მისვლისთანავე მისაყვედურა, ლამის დამტუქსა კიდეც, რა ცურვა აგიტყდა, სტამბოლის სანახავად ხომ არ იყავი, ამდენი ხნით რატომ მიმატოვეო, დინებამ გამიტაცა და ნაპირზე ძლივს გამოვედი მეთქი. ვიმართლე თავი მოწაფესავით.

— წამო, სასტუმროს კაფეში ყავა დავლიოთ! — შემომთავაზა.

წავყევი. სასტუმროს ეზოში შევედი და მარჯვნივ გავუხვიეთ. შორიდანვე მოხალული ყავის სასიამოვნო სუნი მეცა. ღია ფანჯრების მიუხედავად კაფეში ცხელოდა, ჰაერიც დახუთული იყო. თბილისელები, რომლებიც წელან ზღვის ნაპირზე ვნახე, ყველანი აქ დამხვდნენ, ზიზისა და ჩემს გამოჩენას ყიჟინით შეეგებნენ. ჩვენ მაინც განცალკევებით დავსხედით. ასე მირჩევნიაო, თქვა ზიზიმ, მერმე შინაურულად დატრიალდა და მალე ორი ყავა მოიტანა. ეს ხალხი მალე გაიკრიფება და მერმე ვისადილოთო, მითხრა ჩურჩულით. ზიზი დარწმუნებული იყო, ბათუმში მის სანახავად ჩაველი და სხვა არაფერი მაწუხებდა. მე კი ერთი სული მქონდა აქედან როგორ დამეძვრინა თავი, ძალზე მაღიზიანებდა ზიზის საიდუმლო ჩურჩული და შეთქმულის გამომეტყველება.

— ჩვენ რომ ვისადილებთ, მერმე ჩემთან ავიდეთ. მე სართულის მორიგეს მოველაპარაკები და ღამითაც დაგტოვებ.

— არა ზიზი, მე უსათუოდ უნდა დავბრუნდე ციხისძირში. არავინ გამიფრთხილებია, არ იციან, სადა ვარ.

— ნეტაი შენ! ამაღამ თუ არ დაბრუნდი, გგონია თავს მოიკლავენ?!

ზიზის ვაწყენინე, შეურაცხყოფილადაც კი იგრძნო თავი, როცა ვუთხარი, საღამომდეც ვერ დავრჩები, ახლავე უნდა წავიდე მეთქი. ცივად დავშორდით ერთმანეთს, იქვე კაფეში დავტოვე და წამოვედი უგუნებობით დამძიმებული. ბათუმში ჩემი ჩამოსვლა სრული კრახით დამთავრდა, ვერც სალომეს შევხვდი და, ეტყობა, ზიზიც სამუდამოდ დავკარგე. დავკარგე არა იმის გამო, რომ გამიბრაზდა და აღარ მიმიკარებდა, არა, მე თვითონ აღარ მინდოდა ძველი ურთიერთობის გახსენება და აღდგენა.

დარჩენილი დღეები ციხისძირში გავატარე, ბათუმში აღარ ჩავსულვარ.

14

ბოლოს და ბოლოს მივხვდი, ასე ქალაქ-ქალაქ და ქუჩა-ქუჩა სალომეს ძებნას აზრი არ ჰქონდა. უნდა დავმშვიდებულიყავი და დასასვენებელი სახლის შინაგანაწესს დავმორჩილებულიყავი. როგორც ვთქვი, ბათუმისაკენ აღარ გამიხედავს. დამსვენებლები ქალაქის დასათვალიერებლად ექსკურსიაზე წაიყვანეს და იმათაც კი არ წავყოლივარ. ზღვას გავუშინაურდი, მის ზნეს სწრაფად ავუღე ალღო. ზღვასაც თავისი ხასიათი და ცხოვრების წესი აქვს, თუ გაუგებ, კეთილი და ლმობიერია, თუ არა და — საშინლად დაუნდობელი.

ყველაზე მეტად მახსენდებოდა მაინც ის წუთები, როცა ზღვიდან იმედიანად გამოვცქეროდი ნაპირზე მოფუსფუსე ნაცნობ ადამიანებს, რატომღაც მეგონა, თვალს მადევნებდნენ, ადრე თუ გვიან შემამჩნევდნენ გაჭირვებაში ჩავარდნილ, დასაღრჩობად განწირულ კაცს და საშველად გამოეშურებოდნენ. ისინი კი თითო-თითოდ ტოვებდნენ ნაპირს, ზღვისკენ არც გამოუხედავთ, არავის გახსენებია, რომ ზღვაში შევიდა ადამიანი და უკან აღარ დაბრუნებულა. მაშინ თავზარი დამცა ამ გულგრილობამ, ისიც კი მომეჩვენა, თითქოს მიხვდნენ, ცუდად მქონდა საქმე და მიიპარებოდნენ უბედურების შემთხვევაში სინდისის წინაშე თავი რომ ემართლებინათ.

მერმე, როცა ყველაფერი კეთილად დასრულდა, ჩემ თავზე მეცინებოდა, მე თვითონ ხმა არ ამომიღია, მშველელისთვის არ მომიხმია, განგაში არ ამიტეხია და იმათ რას ვემართლები მეთქი. თუმცა გაუმხელად მაინც მაწუხებდა მათი გულგრილობა.

ციხისძირიდან გამომგზავრების დღეს თითქოს განგებამ გამომცადა: ნაპირიდან ექვსი-შვიდი ნაბიჯის დაშორებით დავინახე, ზღვაში ვიღაც საეჭვოდ ფართხალებდა. ჯერ ხუმრობს მეგონა, მერმე წყლიდან თავი ამოჰყო და ჩვენი დამსვენებელი ვიცანი. შეშლილის თვალებით გამოხედა ნაპირს და ისევ ჩაიძირა. განწირული უაზროდ იქნევდა ხელებს. უცებ წამოვხტი და ნაპირზე წამოწოლილ ბიჭებს გავძახე, ლალი იღრჩობა მეთქი. მეგონა, წამოიშლებოდნენ. საშველად შეცვივდებოდნენ ის ორმეტრიანი კალათბურთელები მაინც, რომლებსაც უბედურების ადგილას ზღვა მკერდამდე ძლივს შესწვდებოდათ. იქ სხვა ბიჭებიც იწვნენ, თავიანთი ცურვით რომ ტრაბახობდნენ თუ ამაყობდნენ. ბიჭებმა თითქოს ვერ გაიგონეს ჩემი ყვირილი, თავიც არ მოუბრუნებიათ. დაყოვნება წამითაც არ შეიძლებოდა და მე თვითონ შევარდი ზღვაში, ვიფიქრე ალბათ წამომეშველებიან მეთქი.

ეროვნული

არ ვიცი, ლალი როგორ გამოიყვანეს ზღვიდან, ის კი მახსოვს, ძალიან გამიჭირდა, ცოტათი შორს რომ ყოფილიყო, ნამდვილად ვერ მოვერეოდი, ვერ გადავარჩენდი. ნაპირთან ახლოს ვიღაც ხმელ-ხმელი, მაღალი ვაჟი მომეხმარა, ტანსაცმლიანად მუხლებამდე შემოვიდა ზღვაში და ლალი ნაპირზე ამაყვანინა და საოცარი სიმარჯვით აღმოუჩინა პირველი დახმარება. ბონდო კანდელაკი, მე რომ სტუდენტად და დამსვენებლად ვთვლიდი, თურმე დასასვენებელი სახლის ექიმი ყოფილა. გონებადაკარგული გოგო სულ რამდენიმე წუთში მოასულიერა და ფეხზე დააყენა.

ამასობაში მთელი ნაპირი დაგვესია, გოგოები ლალის გადარჩენას ულოცავდნენ, მე კი მეხვეოდნენ და მკოცნიდნენ, ბიჭები უკბილო ხუმრობითა და სულელური ქილიკით ცდილობდნენ ამ შემთხვევის მიფუჩეჩებას, თან თავსაც იმართლებდნენ, ვითომ მოგვეჩვენა, შენ და ლალი წყალში ღლაბუცობდით თო..., მაგრამ მე ხომ ზღვაში შესვლამდე ერთხელაც მივიხედე უკან და მათი ცივი მზერა დავიჭირე. უმალვე მივხვდი, ამ საცოდავი გოგოს გადარჩენა მარტოს მომიწევდა. კიდევ კარგი, ჩემი საგზურის ვადა გაილია და წამოვედი, თორემ მათი თვალთმაქცობის ატანა ძნელი იქნებოდა. იმავე საღამოს ციხისძირის ბაქნამდე გოგოებმა გამაცილეს, გოგოებმა და ბონდო ექიმმა.

საღამოს ბინდ-ბუნდში მატარებლის ფანჯრიდან იისფერ ზღვას გავცქეროდი, ისეთი მშვიდი და თვინიერი, მიმზიდველი და იდუმალი ჩანდა, ლამის გული დამწყვეტოდა, აქაურობას რომ ვტოვებდი. თანდათან დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მეუფლებოდა, მომეჩვენა, თითქოს ზღვას ბევრი რამის მოცემა შეეძლო, რაღაც დაფარულის გამჟღავნება, მე კი რატომღაც ცდა დავაკელი, არ ვიზრუნე, ამ უცნაურ არ-

სებასთან უფრო ახლო ურთიერთობა რომ დამემყარებინა; მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, შინაგანად მოუმზადებელი შევხვდი. გარდა ამისა, ათასი ფიქრითა და საწუხარით ვიყავით დათრგუნული. აქ სალომესთან შეხვედრის იმედმა ჩამომიყვანა, თორემ შეიძლება სულაც არ წამოვსულიყავი, სხვა თუ არაფერი, ლუკას ნივთების გაყიდვისას რაღაცით მაინც მივეხმარებოდი.

ჩემს აქ არ ყოფნაში ლუკას გაუყიდია ყველაფერი რის გაყიდვასაც აპირებდა და ალმა-ატამდე მატარებლის ბილეთიც შეუძენია. ცარიელ ოთახში ორი ძველი სკამი და ასევე ძველი ტახტი იდგა. ხვალ საღამოს მივემგზავრებით, მითხრა აღელვებულმა, თუმცა ცდილობდა აღელვება არ შემემჩნია. ატის ელოდებოდა, ძალიან სერიოზულ საქმეზე წავიდა და არ ვიცი, რა პასუხს მოიტანსო. ალბათ ამ წუთას გაურკვეველი პასუხის მოლოდინი უფრო აღელვებდა, ვიდრე უცხო მხარეში გამგზავრებაზე ფიქრი. ატის ჩამოსვლა გამიხარდა, თბილისში ყოფნას უკვე აზრი მიეცა. მაგრამ ის „სერიოზული საქმე", რომელსაც ახლა ატი აგვარებდა, მაინცადამაინც სერიოზულად არ მომეჩვენა.

ლუკას შუა აზიაში გამგზავრების წინ თავის ყოფილ რაყიფებთან — რეზო კილაძესა და ვილაც შოთასთან შეხვედრა გადაუწყვეტია. სწორედ ამათ გაუმწარეს ნანი ინაშვილს სიცოცხლე, თბილისის ქუჩებში ნაცნობ ბიჭთანაც არ გაატარეს. ლუკა ან მიმალავდა ანდა თვითონაც კარგად არ იცოდა, რატომ უნდა შეხვედროდა ამ ბიჭებს.

— როგორ გითხრა, ოზო, რაღაცნაირად სინდისი მქენჯნის.. მაგათაც თავისებურად უყვარდათ ნანი, თავს იკლავდნენ და სხვებსაც ხოცავდნენ ნანის გულისთვის. მე მგონია, სხვის სიყვარულსაც უნდა სცე პატივი. კაცმა რომ თქვას, მეც ვერაგულად მოვიქეცი. ჩუმად დავდიოდი ნანისთან, მივიპარებოდი, თან აქეთ-იქით ვიხედებოდი, არ დამინახონ მეთქი.

— დაგინახავდნენ და კარგად დღესაც გაგითენებდნენ!

— მოსახდენი მოხდებოდა! ბოლოს და ბოლოს მართლა მკვლელები ხომ არ არიან?! ეგენი, ოზო, ვერ შემაჩერებდნენ, მე მაინც ჩემსას გავიტანდი, ამიტომ ახლაც არ მინდა გავიპარო, მაგათგან დაფარულად, ჩუმად ვიმოქმედო. მე ჩემსას ვეტყვი და მერმე, რაც უნდათ, ისა ჰქნან. წასვლას ხომ ვერ დამიშლიან! ადრე თუ გვიან მე უკან დავბრუნდები და ნანისაც ჩამოვიყვან... ყოველ შემთხვევაში ვეცდები, ჩამოვიყვანო. დე, მაგათაც იცოდნენ, რას ვაპირებ, დასამალი არაფერი მაქვს, თანაც მომავალში ყოველგვარ გაუგებრობას თავიდან ავიცილებ.

— რა მაგათი საქმეა, რას აპირებ?! თუ მაგრები იყვნენ და ასე უყვარდათ ნანი, იქ წასვლა რატომ თვითონ არ მოიფიქრეს?!

— არ ვიცი, ოზო, მე მხოლოდ ის მინდა, რომ სინდისის წინაშე მართალი ვიყო.

მე და ლუკას საუბარი არ დაგვიმთავრებია, ოთახში ატი შელია შემოიჭრა, მზით გარუჯული, სიცოცხლით სავსე, თვალებგაბრწყინებული. მე რომ დამინახა, ხმამაღლა გაიცინა, მომეხვია და ბეჭებზე ხელი მიტყაპუნა. მერმე ლუკას უთხრა, საქმე მოგვარებულია, ხვალ თორმეტ საათზე რეზო კილაძე „დეკას" საბილიარდოსთან მოვა და შოთასაც მოიყვანსო.

— გასაგებია, — თქვა ლუკამ.

— რას იზამ, მარტო მიხვალ თუ სამივე ერთად მივიდეთ? — ჰკითხა ატიმ.

გადაწყდა, სამივე ერთად მივიდოდით.

თორმეტი საათისთვის ლუკა, ატი და მე „დეკასთან" ვიდექით, ეზოში შესასვლელი გვირაბის წინ. ეზოს სიღრმეში მკრთალად განათებული საბილიარდოს ღია კარი და ფანჯარა მოჩანდა. ალბათ რეზო კილაძე აქედან გამოვიდოდა,

იმიტომ აირჩია შესახვედრად ეს ადგილი.

რეზო კილაძეს არ ვიცნობდი, შორიდანაც არ მომიკრავს თვალი. ისე კი, როგორც ჩემი თაობის ყველა თბილისელს, გაგონილი მქონდა მისი სახელიცა და გვარიც. იმ დროისათვის ძალზე ცნობილი პიროვნება იყო, თუმცა მე არ მესმოდა და არც მიცდია გამეგო, რითი მოიპოვა ასეთი პოპულარობა. ზოგჯერ გავიგონებდი, რეზო კილაძემ ბილიარდსა თუ ზარში ამდენი და ამდენი მოიგო ან წააგო, რეზო კილაძემ რესტორან „თბილისში" მეზობელ სუფრას ერთი ყუთი შამპანური გაუგზავნაო, რეზო კილაძემ რუსთაველზე ვიღაც-ვიღაცეები ცემით დაასიაო... მისი სახელი ყოველთვის აზარტულ თამაშებთან, რესტორნებში ქეიფთან, ქუჩაში ჩხუბთან იყო დაკავშირებული. მე ეგ სამყარო არ მაინტერესებდა.

შეხვედრის დრო ახლოვდებოდა. სამივენი ჯიბეებში ხელებჩაწყობილები ვიდექით და რეზო კილაძის მოსვლას ველოდებოდით. მე მეჩვენებოდა, რომ სასაცილოდ გამოვიყურებოდით, შესაძლებელია, საცოდავებიც კი ვიყავით... მალიზიანებდა ამ შეხვედრის აზრი, რომელიც სამომავლოდ გამიზნულ თავის დაზღვევას ჰგავდა. თანდათან ვიბოლმებოდი კიდეც, რადგან დათქმული დრო გავიდა და საბილიარდოს წინ დაბნეული თუ გაურკვეველი დგომაც, გაჭიანურებული ლოდინიც დამამცირებლად მეჩვენებოდა.

საბილიარდოდან ვიღაც მაღალი ტიპი გამოვიდა და საქმიანი ნაბიჯით ჩვენკენ გამოეშურა. ეცვა კუბოკრული პერანგი, რომელსაც შინდისფერი ელფერი გადაჰკრავდა. გაწკეპილი მოდიოდა, თავის თავში დაჯერებული. მაშინვე მივხვდი, ვინც იყო და ატიმაც თითქოს დამიდასტურა, ხმადაბლა თქვა, მოდისო. სახის ნაკვთები სწორი ჰქონდა, წაბლისფერი, ოდნავ ტალღოვანი თმა — საგულდაგულოდ გვერდზე გადავარცხნილი. რატომღაც გავიფიქრე, კირომსახიობს ჰგავს მეთქი, მის პოპულარობას, ეტყობა, გარეგნობამაც დიდად შეუწყო ხელი. მოსვლისთანავე გამომცდელად გადაგვავლო თვალი და მომეჩვენა, თითქოს ერთ წამში შეგვაფასა სამივე.

სანამ პარტია არ დავამთავრეთ, ის იხერი არ მომეშვაო, თითქოს მოიბოდიშა რეზო კილაძემ და ატის გაუწოდა ხელი, მერმე ჩვენც მოგვესალმა. შოთა არ მოვა, შემოთვალა, ვისაც ჩემი ნახვა უნდა, მოვიდეს და მნახოსო, ესეც ატის უთხრა ისე, რომ ჩვენკენ არ გამოუხედავს. უხერხულად გაჩუმებულები ვიდექით დიდხანს, ვიდრე მოთმინებადაკარგულმა რეზო კილაძემ არ იკითხა, ახლა რა ვქნათო. ატიმ თვალით ანიშნა ლუკას, თუ ლაპარაკს აპირებ, ბარემ დაიწყეო.

— თქვენ ალბათ იცით, ნანი ინაშვილი მთელ ოჯახთან ერთად რომ გადაასახლეს? — ჰკითხა ლუკამ რეზო კილაძეს.

— ვიცი. — სწრაფად უპასუხა რეზო კილაძემ და ეჭვიანად შეხედა რატომღაც ჯერ ატის და მერმე — ლუკას, თითქოს დაიბნა კიდეც.

— ახლა მე გეტყვით იმას, რაც არ იცით და ძალიან გთხოვთ სწორად გამიგოთ.

— გისმენ.

მომეჩვენა, ჩასაფრებულივით დაძაბა სმენა.

— პირდაპირ გეტყვით: ნანისა და მე ერთმანეთი გვიყვარდა და ახლაც გვიყვარს. მე, რა თქმა უნდა, გაგონილი მქონდა, რომ ნანი თქვენც გიყვარდათ. თქვენს გრძნობას ნანისადმი მე ყოველთვის პატივსა ვცემდი და გარკვეულ ანგარიშს ვუწევდი, ეს იციან ჩემმა მეგობრებმა. უფრო მეტიც, მე მუდამ მაწუხებდა, ჩემი და ნანის ურთიერთობა თქვენთვის ცნობილი რომ არ იყო, მინდოდა ეს ყველაფერი გამხელილი და გამჟღავნებული ყოფილიყო, მაგრამ მოვლენები ისე სწრაფად განვითარდა, ამისთვის დრო არ მეყო, გამხელა ვერ მოვასწარი .ამიტომ ჩემი და ხანის ურ-

თიერთობა თითქმის ყველასთვის უცნობი დარჩა, ახლა ისიც მინდა გითხრათ, რას ვაპირებ: მე გავყიდე ყველაფერი, რაც მებადა და ყაზახეთში მივდივარ საცხოვრებლად. წავალ, ვიცხოვრებ იქ, როგორც ისინი ცხოვრობენ. მერმე თუ საშუალება მომეცა უკან დავბრუნდები და ნანისაც წამოვიყვან თუ არა და, რა გაეწყობა, სამუდამოდ იქ დავრჩები.

ლუკა ოდნავ შებოჭილი, მისთვის უცხო და უჩვეულო, ჩემთვის კი გაუგებარი ტონით ლაპარაკობდა. მონოლოგი რომ დაასრულა, ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. რეზო კილაძე დაძაბული უსმენდა, მერმე დარცხვენილიც მომეჩვენა, თავდახრილი იდგა და მარცხენა ხელის თითებზე შერჩენილ ცარცს იშორებდა, როგორც დაფასთან მდგარი მოწაფე, რომელმაც მაგალითი ვერ გამოიყვანა.

— ყაზახეთში გაასახლეს? — იკითხა ისე, თავი არ აუწევია.

— ყაზახეთში. წერილი მომწერა.

— როდის მიდიხარ?

— დღეს საღამოს.

— ბაქოს მატარებლით?

— კი, ბაქოს მატარებლით.

რეზო კილაძემ რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ თავის შეკავება ამჯობინა. მერმე ძლივსშესამჩნევად გაიღიმა, ატის მხარზე მოუთათუნა ხელი შინაურულად, ჩვენ თავი დაგვიქნია და გატრიალდა. საბილიარდოს კართან მისული შეჩერდა, თითქოს ყოყმანობდა, შევიდე თუ არაო. შევიდა. შესვლის წინ უკან მოიხედა გაღიმებულმა.

მე ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა ამდენი ღიმილი, ყოველ შემთხვევაში არ მომეწონა და ვთქვი კიდეც, ამდენს რას იღიმება მეთქი. გაიღიმოს, რა გენაღვლებაო, მიპასუხა ატიმ. შეთანხმებულებივით „ლაღიძის წყლებისკენ" გავწიეთ, გზაში ატიმ გვითხრა, ცოტა წავიხემსოთო. ოპერის თეატრთან გამხირი გადავჭერით და უკან დავბრუნდით, „თბილისში" გადავწყვიტეთ შესვლა.

ბიჭები ხმას არ იღებდნენ, მე კი ძალიან მაინტერესებდა, რა შთაბეჭდილება დატოვა მასზე რეზო კილაძემ. ისე წავიდა არსებითი არაფერი უთქვამს. წელანდელი „ამდენს რას იღიმება მეთქი" სწორედ ამ უკმაყოფილებას გამოხატავდა. ლუკა გარეგნულად დამშვიდებული ჩანდა, ეტყობა, რეზო კილაძეს სათქმელი უთხრა და ამით მოათავა საქმე, მოათავა კი? კაცმა არ იცის, რას ფიქრობდა თვითონ რეზო კილაძე, რა ზრახვებს ნალბავდა მისი ორჭოფული ღიმილი.

„თბილისში" შევედით. სასმელზე სამივემ უარი ვთქვით. ოფიციანტი ვიდრე სუფრას გაშლიდა, ატიმ თქვა: მე მგონი, დღევანდელი შეხვედრა კარგად დამთავრდაო. ლუკა დაეთანხმა, მე კი ჩემი ეჭვები გამოვთქვი, კარგად რომ დამთავრებულიყო, რაღაცას მაინც გვეტყოდა მეთქი.

— პირიქით, — თქვა ატიმ. — რაღაცას მაშინ გვეტყოდა, რამე თუ არ მოეწონებოდა. რეზო კილაძე ის ტიპი არ არის, ხვალისთვის გადაგვიდოს სათქმელი.

მე გავჩუმდი. შეიძლება ატი მართალი იყო იმ სამყაროს ხალხს საერთოდ არ ვიცნობდი და ამიტომ გაჩუმება ვარჩიე.

ცარიელ რესტორანში მხოლოდ ჩვენ ვისხედით და უხმოდ შევექცეოდით საჭმელს. მე ვგრძნობდი, ეს სიჩუმე მაინც დაძაბულობისა იყო, შინაგანად ყველას რაღაც გვაფორიაქებდა და არ ვამხელდით. ატი სულ საათზე იხედებოდა, ერთ კაცს უნდა შევხვდე და მეჩქარებაო, ახლაც არ თქვა, სად მიდიოდა და ვის უნდა შეხვედროდა. ვის ხვდები ასე საიდუმლოდ, ბოლოს და ბოლოს გამაცნობ თუ არა იმ კაცს მეთქი; ვეღარ მოვითმინე და, ცოტა არ იყოს, ნაწყენმა ვუთხარი, უსათუოდ გაგაცნობო, გაიცინა. ხუთიოდე წუთი კიდევ იჯდა ჩვენთან, მერმე ფული გადაიხადა და წავიდა. სადგურზე გამო-

ვალ და გაგაცილებო, წასვლისას უთხრა ლუკას.

მზის ჩასვლისას მე და ლუკა დაბარგულები მივედით სადგურზე. ატი შელია ბაქანზე დაგვხვდა, წინ და უკან ნერვიულად დადიოდა, შორიდანვე დაგვინახა და შემოგვეგება, ლუკას ერთი ჩემოდანი გამოართვა. მოწყენილი და დაღლილი მომეჩვენა. ბარგი ვაგონში ავიტანეთ და ისევ ბაქანზე დავბრუნდით. შიგნითაც ისევე ცხელოდა, როგორც გარეთ. მზით გახურებულ ვაგონებს, ასფალტსა და ლიანდაგს ვარვარი გაუდიოდა, სიცხის განცდას შპალების სუნი უფრო ამძაფრებდა.

მე ახლა-ღა, განშორების ჟამი რომ დადგა, მივხვდი, მთელი დღე რატომ ვდუმდით და რატომ ვიყავით შინაგანად აფორიაქებული. რასაც ვგრძნობდით და რასაც განვიცდიდით, იმ ტკივილის გამოხატვა სიტყვით ნამდვილად არ შეგვეძლო. რა უნდა მეთქვა მე ლუკასთვის, რომელმაც, ქვეყანაზე რაც კი ებადა, ყველაფერი გაყიდა და, შესაძლებელია, სამუდამოდ ტოვებდა სამშობლოს. ანდა რა გულით, რა სიტყვებით უნდა მეცა ნუგეში?!

მატარებლის გასვლამდე თხუთმეტიოდე წუთია დარჩენილი. ჩვენ ბაქანზე ვდგავართ, სიგარეტს ვაბოლებთ და ვდუმვართ. მგზავრების სიმცირე არ იგრძნობა, არც—გამცილებლებისა, დროის ჩვეულებრივი დინება ბაქანზე თითქოს ნელდება იმათთვის, ვინც მატარებლის გასვლას ელოდება. ლუკა გვპირდება, ჩასვლისთანავე ორივეს ცალცალკე მოგვწერს წერილს, ჩვენც, რა თქმა უნდა, თუ რამე დასჭირდა, უმალვე გავუგზავნით.

— ბიჭებო, გინდათ, გაგახაროთ? — ირონიულად გვეუბნება ატი. — რეზო კილაძეს მოვკარი თვალი. მგონი, ჩვენ გვეძებს.

— მოვიდეს, რა ვქნა! — განურჩევლად თქვა ლუკამ.

— კი, ის არის! — დავუდასტურე ატის, — თან ვიღაც ტიპი მოჰყვება.

— ეგ შოთა იქნება, — თქვა ლუკამ.

— რა იცი? — ვკითხე

— გული მიგრძნობს, — ხუმრობით ამბობს ლუკა და იღიმება.

რეზო კილაძემ დაგვინახა და შინაურულად დაგვიქნია ხელი. მოვიდა, ყველას საღამო მშვიდობისა გვისურვა. თან მოყვა შავგვრემანი, მასზე უფრო მაღალი, ჯან-ღონით სავსე ვაჟი, რომელსაც ხელში მსუბუქად ეჭირა პატარა ჩემოდანი. ეს შოთა არისო, გაგვაცნო რეზო კილაძემ. შოთა ჭარბი თავაზიანობით მოგვესალმა, ყველას სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი და თავი დაგვიკრა. ჰორებითა და მითქმა-მოთქმით ვიცოდი, ესენი — რეზო და შოთა — ნანის გამო ერთმანეთს მტრობდნენ და სათოფედ არ ეკარებოდნენ, ამ საღამოს კი ძმაკაცებივით ერთად მოვიდნენ ლუკას გასაცილებლად. კი, რეზო კილაძემ ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე თქვა, მე და შოთა ლუკას გასაცილებლად მოვედითო.

— დღეს ვნახე შოთა და, რაშიც არის საქმე, ვუთხარი. შოთამაც მოინდომა შენი გაცნობა. ნაღდი სიტყვა თქვა, მაგ კაცს ლუკა კი არა ცოტნე უნდა ერქვასო... მეც ეგრე ვფიქრობ. — რეზო კილაძე ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა, ეტყობოდა, სიტყვებს ეძებდა თუ არჩევდა. — კარგი და ლამაზი გოგო რომ იყო ვხედავდი, მაგრამ ასეთი ჭკვიანი და მაგარი თუ იქნებოდა, არ მეგონა. მაინცადამაინც შენ გამოგარჩია. არ ვიცი, რა ვთქვა, თუ გინდა, მადლობას გეტყვი?!

— მადლობას?! რისთვის?! — გულწრფელად გაუკვირდა ლუკას.

— იმისათვის, რომ ამ ნაბიჭვრების ქვეყანაში კაცი ხარ! ახლა რას გეტყვი ლუკა· ამხელა გზაზე მიდიხარ, იქ რა ცხოვრება დაგხვდება, კაცმა არ იცის... მოდი, ეს პატარა საჩუქარი ჩვენგან მიიღე, იქნებ გამოგადგეს...

შოთამ ჩემოდანი გაუწოდა, ლუკამ უნებურად უკან გადადგა ნაბიჯი.

— ამას არ უნდა ბევრი ლაპარაკი,

დღეიდან ჩვენ ძმები ვართ და შენც უნდა ძმურად გაგვიგო. აქ არაფერია შეურაცხმყოფელი. რეზო კილაძემ შოთას გამოართვა ჩემოდანი და ატის შეაჩეჩა ხელში. ჩვენ რომ წავალთ, მერმე მიეცი.

ლუკა უხერხულობისაგან შეიშმუშნა და ყურებიანად გაწითლდა.

— მე მინდა, ერთი რამე იცოდე, ლუკა. ყაზახეთი მაინც სხვა ქვეყანაა, ძალიან ჭრელი ხალხი ცხოვრობს. რა იცი, რა მოხდება, როგორ აეწყობა ცხოვრება. — ამას შოთა ეუბნება. — თუ ვინმემ ცუდი თვალით შეგხედა ან უკადრებელი იკადრა, ამ კაცს დაურეკე ალმა-ატაში. — დაკეცილი რვეულის ფურცელი გაუწოდა ლუკას, — ყაზახია, მაგარი ბიჭია და ყველაფერს უცებ მოგიგვარებს. თუ ყაზახს ვერ მიაგენი, შენს ძმაკაცებს შეატყობინე. ოღონდ ხმა მომაწვდინონ და მერმე მე ვიცი, ისე მოვუვლი იქაურობას, თბილისიდან ფეხს არ მოვიცვლი. ნუ მოგერიდება ნურც იმისი და ნურც ჩემი. აი, ეს მინდოდა მეთქვა.

— დიდი მადლობა!

ორივე მოეხვია ლუკას და კიდევ ერთხელ გაამხნევა ორივემ. ჩვენც დაგვემშვიდობნენ და წავიდნენ. რეზო კილაძე უცებ მობრუნდა, ლუკას საჩვენებელი თითი მიაშვირა და მისგან მოულოდნელი არტისტულობით მიმართა:

— შენ დიდი ბიჭი ხარ, ლუკა!

ეს ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, ჩვენ რეაგირება და გააზრება ვერ მოვასწარით. თან მატარებელი რამდენიმე წამიც და დაიძრებოდა ჩვენი განშორების დროც მოვიდა, თქვა ატიმ და ნიკაპი ნერვიულად აუთამაშდა. ცრემლს მეც ვიკავებდი, მაგრამ გამოსამშვიდობებლად როცა ერთმანეთს გადავეხვიეთ, სამივენი ბავშვებივით ავტირდით. ვაჟკაცებად მოგვქონდა თავი, ისე კი, ეტყობა, მაინც ბავშვები ვიყავით, დაბნეული, უმწეო, გამოუცდელი ბავშვები... ცრემლს მუჭებით ვიწმენდდით და უხმოდ ვემშვიდობებოდით ერთმანეთს.

მერმე მატარებელი [illegible] მეგონა, ლუკა ფანჯრიდან გადმოიხედავდა, არ გადმოუხედავს. შეიძლება, ვერ მოახერხა. შეიძლება, სხვებივით ხელის დაქნევა და ცრემლნარევი გაღიმება არ მოინდომა. მერმე გამცილებელთა ყაყანი და ხმაური ბორბლების დაგა-დუგმა დაახშო. მერმე მატარებელმა კუდი მოიქნია და საღამოს ბინდ-ბუნდში გაქრა. ბოლოს ყველაფერი მიწყნარდა, ბაქანზე მხოლოდ ორნი ვიდექით, ატი და მე, მოწყენილები, დათრგუნულები...

15

შინ გვიან დავბრუნდი. დაღლილი და დაქანცული მოვედი. მეგონა, მივეგდებოდი ჩემს საწოლზე, გამოვიძინებდი. ოთახში გულისამრევად დაგუბებული ჰაერი დამხვდა — სიგარეტის ნამწვავებისა და წიგნების მტვრის სუნით გაჟღენთილი. კარიც ღია დავტოვე და ფანჯრებიც გამოვაღე, იქნებ ოთახი განიავდეს მეთქი.

სადგურიდან ატი და მე ფეხით წამოვედით. არასოდეს მინახავს ატი ასეთი სევდიანი და მოწყენილი, ასეთი მოყუყმანე. ქუჩაში ხეტიალი არ უნდოდა და არც შინ მიდიოდა. ლაპარაკის თავი არა მაქვსო და მაინც ბევრს ლაპარაკობდა. ამ ბიჭების მოსვლით კმაყოფილიც იყო, თან უკმაყოფილოდ იმუშნებოდა. აქებდა, ბიჭურად მოიქცნენო, თან იმასაც ამბობდა, მაგათი არაფერი მჯერაო, თუმცა რატომ არ სჯეროდა, არ დაუსაბუთებია. ესეც თქვა, რასაც ეგენი გმირობად თვლიან, ჩემთვის დიდი ტკივილი და სულიერი ტრავმა არისო. რა თქმა უნდა, ლუკას საქციელში გმირობასაც და თავგანწირვასაც ხედავდა, მაგრამ მის აყრასა და საქართველოდან გადასახლებას ვერაფრით ურიგდებოდა.

მე კი უცნაური რამ დამემართა, ფიქრებს, შთაბეჭდილებებს, ყოველდღიურ განცდებს შინაგანად უკვე ვე-

ლარ ვაწესრიგებდი. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც სალომე გავიცანი, მასთან ერთი საღამოს სიახლოვემ ყველაფრის მიმართ დამოკიდებულება შემიცვალა, სულის სიღრმიდან მანამდე უცნობი ვნებები ამოზარდა.

ზიზი, რომელსაც ამ ერთი თვის წინ გაფივით ვეძებდი, თუნდაც ორიოდე საათით შინ რომ მიმეყვანა, ბათუმის სანაპიროზე ვნახე თითქმის შიშველი, მზის გულზე ნებივრად გაწოლილი, ნერვიც არ ამთრთოლებია, ცვედანივით დავცქეროდი. სურვილი არ დამბადებია ხელი მეხლო ამ შიშველი, ქალური სრულყოფილებისათვის, ხოლო როცა ლუკას ვაცილებდი, მეგობართან განშორების წუხილისა და ტკივილის მიღმა, მეც მზად ვიყავი, ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით მოვესროლე განგებას, ოღონდ სალომეს გვერდით, სალომეს ახლოს დავესახლებინე... გინდაც უდაბნოში.

იმ ღამითვე გავუმხილე ატის ჩემი გასაჭირი. ქუჩაში ხეტიალისას წვრილად მოვუყევი, როგორ შემხვდა ვარდისუბნის გზაზე ვალიკო ზანგურაშვილი. შინ როგორ წამიყვანა და ბოლოს, სუფრაზე როგორ გავიცანი სალომე. ისიც ვუამბე, რაც ზღვაზე გადამხდა. ერთი სიტყვით, ვუთხარი, ამ ზაფხულს რა დამემართა და რა მჭირდა. ატი ისედაც გალიზიანებული იყო და პირდაპირ მომახალა, შენ რა, გაგიჟდიო. მე დავეთანხმე, კი, გავგიჟდი მეთქი.

მერმე ვალიკო ზანგურაშვილის პატარა დაიკო გამახსენდა. ატი შელია როგორ არისო, ზუსტად ასე მკითხა მეთქი. ატი ცოტათი გამხიარულდა, გაიცინა კიდეც, რა ტიპია ეს ვალიკო ზანგურაშვილიო. ამის შემდეგ უკვე ადამიანურად მელაპარაკებოდა. სალომეს მისამართი მომეცი, მე გამოგიყვან და შეგახვედრებო. მისამართი რომ მცოდნოდა, მე თვითონაც შევხვდებოდი, ამიტომ ეს საქმე პირველი სექტემბრისთვის გადავდეთ. იმ ღამეს ასე დავშორდით ერთმანეთს მე და ატი.

ეროვნული

შინიდან მხოლოდ პირველ სექტემბერს გამოვედი და ერთერთი პირველთაგანი მივეახლე უნივერსიტეტს. სულ მალე სტუდენტებით გაივსო ეზო, უცებ გამოცოცხლდა იქაურობა, წარმოუდგენელი ჟრიამული და ჟრიამული ატყდა. მე ზევით ვიდექი, მთავარი კორპუსის შესასვლელთან და იქიდან გადავყურებდი ეზოსაც და ალაყაფის კარსაც, საიდანაც დაუსრულებლად შემოდიოდნენ სტუდენტები. გაფაციცებით ვადევნებდი თვალს, ყოველი შემომსვლელი ალნუსხული მყავდა. სტუდენტებს შორის ატი და გოგი დავინახე, ლაპარაკ-ლაპარაკით შემოვიდნენ ეზოში. გოგი ვილაცამ გააჩერა, ატი პირდაპირ ჩემკენ გამოემართა. კარგი სათვალთვალო პოზიცია გიჭირავსო, მითხრა მოსვლისთანავე. ჯერ არ გამოჩენილა მეთქი, ვუთხარი. სად წავა, აქ არ უნდა გამოიაროსო, ამის თქმა ძლივს მოასწრო. საგულეში რაღაც ამიფეთქდა, მეგონა, გული გამისკდა მეთქი.

— რომელია? — მკითხა ატიმ.

— აი ის, მარტო რომ მოდის.

— მარტო ბევრი მოდის... დაწყნარდი ნუ ღელავ! შენ ის მითხარი, რა აცვია.

— წითელი კაბა... არა, შინდისფერი, მოკლესახელოებიანი.

— ჰოო... მაგ გოგოს ვიცნობ!

— საიდან?

— რა ვიცი, ვიცნობ და მორჩა! ოღონდ სახელი არ მახსოვს.

— სალომე.

— კი, ვიცნობ. მე სულ სხვა გოგო წარმოვიდგინე.

სალომემ სწრაფად გამოიარა ეზო და ჩვენკენ წამოვიდა. აღელვების შენიღბვა ვცადე, მისასალმებლად მოვემზადე. მოგვიახლოვდა. სულ ახლოს მოვიდა, შემოგვხედა. ატის მიესალმა და შენობისკენ გაუხვია. ატიმ გაოცებული მზერა გააყოლა, და ვიდრე შენო-

ბაში შევიდოდა, დაუძახა სალომემ მოიხედა და გაიღიმა.

— ასე ცივად რატომ ჩაგვიარე?

— მაპატიე, ატი, მეჩქარება.

— შენ რა იზოს არ იცნობ?

სალომე დაბნეული შეჩერდა.

— ამ ზაფხულს ერთად არ იქეიფეთ ვარდისუბანში?! — ხუმრობის კილოთი უთხრა ატიმ.

— აა... როგორ არა, ერთად ვისხედით, ცისფერი პერანგი გეცვათ... მთელი საღამო გვერდიდან გიყურებდით და „ეტყობა,... — უჩვეულოდ გაიღიმა.

— ახლა ხომ ანფასში უყურებ, — გაიცინა ატიმ. — იმედია დაიმახსოვრებ.

— რა თქმა უნდა... მაპატიეთ... — კიდევ ერთხელ მოგვიბოშიდა სალომემ და შენობაში შევიდა.

ასეთი მძიმე წუთები არასოდეს დამდგომია. მაშინაც კი, როცა ბათუმის სანაპიროსთან ზღვაში ვიღრჩობოდი. სალომემ უნივერსიტეტის კარი რომ მიხურა, მომეჩვენა, თითქოს შიგნიდან ჩაკეტა კიდეც და მე ამ ზღურბლს ვერასოდეს გადავაბიჯებდი. უმწეობისა და უძლურების გრძნობა დამეუფლა, მეჩვენებოდა, თითქოს წყალში ვიძირებოდი და, იმის ძალაც კი არ მქონდა, რომ ხავსს მაინც მოვჭიდებოდი.

— ღმერთმანი, ასეთი რამე ჯერ არ გამიგია! მთელი საღამო შენს პროფილს ვხედავდი და ვერ დაგიმახსოვრეთ. წინ რატომ არ დამიჯექი, აი, ჩემს პირდაპირ რომ მჯდარიყავი, ალბათ დაგიმახსოვრებდით.

ატის ქილიკმა უცებ მომაგო გონს, ალბათ წონასწორობა მქონდა დაკარგული და როგორმე უნდა აღმედგინა. მაინც სალომეს გამოვესარჩლე. მთლად ეგრე არ უთქვამს მეთქი. ვცადე ატის შეჩერება.

— რა არ უთქვამს?! — ახლა მე შემომიტია — შენც გვერდიდან არ უყურებდი, შენც ხომ მაგის პროფილს ხედავდი. მაშ, როგორღა დაიმახსოვრე?! დაიმახსოვრე კი არა, ჭკუაზე აღარა ხარ! ცისფერი პერანგი გეცვათ, პერანგის ფერი გაიხსენა. კაცი კი — ვერა! საინტერესოა, დღეს [illegible] პერანგი გცმოდა, რას იზამდა? რა — თქმა უნდა, მიესალმებოდა: გამარჯობა ჩემო ცისფერო პერანგოო.

— კარგი, რა, ატი, არ გინდა! — თითქმის შევევედრე.

— გავჩუმდები. გავჩუმდები... ოღონდ ეს იცოდე, ამიერიდან ბევრჯერ მოგიწევს კომკავშირულ კრებებსა და რაიკომის ბიუროს სხდომებზე დასწრება.

იქვე კი ვუთხარი, ბიუროს სხდომებზე მე ვინ დამასწრებს მეთქი, მაგრამ მოგვიანებით მივხვდი, ატი რასაც მეუბნებოდა. ამ კრებებისა და სხდომების დამთავრებას ხშირად ვუცდიდი: ხან უნივერსიტეტის ეზოში, ხან ზემელზე — რაიკომის შენობასთან ვიდექი და სალომეს გამოსვლის საათობით ველოდებოდი. ადრე გამოვიდოდა თუ გვიან, სალომეს ყოველთვის ვიღაც აცილებდა. მე შორი-ახლო მივყვებოდი და ვუთვალთვალებდი. სახლამდე რომ მიაცილებდნენ და სალომე შინ მშვიდობით შევიდოდა, მეც დამშვიდებული და დაწყნარებული ჩემი გზით გავწევდი.

დარწმუნებული ვიყავი, სალომე გრძნობდა, ფეხდაფეხ რომ დავდევდი, მაგრამ ამის შესახებ ერთხელაც არ დასცდენია სიტყვა. ლოდინმა ერთ მშვენიერ ღამეს მეც გამიმართლა: რაიკომის შენობიდან კომკავშირელი მუშაკების მთელი ჯგუფი გამოვიდა, იქვე კარგა ხანს იდგნენ და საუბრობდნენ. მერმე ამ ჯგუფს სალომე გამოეყო და მარტო წავიდა. მე ისე მოვაწყვე, ვითომ შემთხვევით შევხვდი.

სალომე სიხარულით შემეგება, შინ მიდიხარო, მკითხა. კი მეთქი, ვუპასუხე და ფეხით გავყევით რუსთაველის პროსპექტს. ყოველთვის ასეთი სიხარულით მხვდებოდა ქუჩაშიც და უნივერსიტეტშიც. შთაბეჭდილება მრჩებოდა, თითქოს შეხვედრიდან შეხვედრამდე მხოლოდ ამ წუთს ელოდა. მეც

შინაგანი შებოჭილობისაგან მათავისუფლებდა და მათამამებდა, მასთან ურთიერთობაში ერთგვარი სილაღითაც კი მავსებდა.

ამგვარი შეხვედრები უკვე აღარ მაკმაყოფილებდა და გათამამებულმა პაემანზე მოსვლა ვთხოვე. ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ დამთანხმდა, კარგი, მოვალო. ზუსტად ერთი თვე გავიდა პირველი სექტემბრიდან, კარგად მახსოვს ის დღე, როცა სალომემ ვერ მიცნო და გვერდით ჩამიარა.

პირველი ოქტომბერია, ჩემი პირველი პაემანის დღე.

ლექციებზე დასწრების თავი არ მქონდა და მე და ატიმ ლექციებისთვის განკუთვნილი დრო უნივერსიტეტის ეზოში გავატარეთ.

— სალომე ძალიან კარგი გოგოა, იშვიათი ბუნებ[ის]... — მეუბნება ატი, — მაგრამ ვერ გამიგია, რა ჯანდაბად უნდა ეს კომკავშირული კარიერა! ხანდახან ეჭვი მეპარება, თუ ნამდვილად ასეთი ბუნებისაა — ფაქიზი, მოსიყვარულე, მიმნდობი, მაშინ კომკავშირულ-პარტიულ მოღვაწეობას არ უნდა ელტვოდეს, წესით იქით არ უნდა იქაჩებოდეს. ის გზა მკაცრი, დაუნდობელი და მზაკვრულია. ეს საშინელი გზაა და თუ შენ ნამდვილად გიყვარს სალომე, ეცადე, კომკავშირულ საქმიანობას იქნებ როგორმე ჩამოაშორო. თუ არ ჩამოშორდა, იცოდე, არაფერი გამოგივა.

ატიმ რაც მითხრა, ის მეც მიფიქრია, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი შემეძლო, დღეს მივდიოდი პირველ პაემანზე და ჩვენი ურთიერთობა ალბათ დღესვე გაირკვეოდა. ახლა მთავარია, დრო მალე გავიდეს.

ატი სულ საათზე იხედება, ეს იმას ნიშნავს, რომ ატიც პაემანზე მიეშურება, უნდა შეხვდეს ჩემთვის იდუმალებით მოცულ ვიღაც პიროვნებას, რომელიც ამდენი ხანი ვერა და ვერ გამაცნო. დღეს დრო რომ გქონდეს, წაგიყვანდი და იმ კაცს გაგაცნობდიო იქ, სხვათა შორის, გოგოც იქნებაო, მეუბნება ატი. დაფიქრებული [illegible] ლიანი, სულ ლუკას ის[illegible] რატომ არაფერი შეგვატყობინაო. ასეთი ატი იშვიათად მინახავს ხოლმე, თვითონ რაღაცით დათრგუნულია და მეც მთრგუნავს. ახლა მარტო ყოფნა მირჩევნია, ატი ისევ საათზე იხედება და მეუბნება, იცოდე, არაფერი გამოგივა, იმ გოგომ კომკავშირული საქმიანობა თუ არ მიატოვაო. მერმე დიდ ხანს მაკვირდება, თითქოს მამოწმებს, როგორ გამოვიყურები, პაემანზე ღირს თუ არა ჩემი გაშვება. მერმე ნაღვლიანად გამიღიმებს, მხარზე ხელს მომითათუნებს და თავის გზით წავა.

მიდის დათრგუნული, მხრებჩამოყრილი, ჩამქრალი, მე არ ვაჩერებ და არ ვეკითხები, ატი, რა გიჭირს, რა მოგივიდა მეთქი, რადგან მეც პაემანზე მეჩქარება, სალომეს უნდა შევხვდე და ეს არის ჩემთვის ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანი. შემდეგ ვინანებ ამ წუთს, ძალიან მწარედ ვინანებ, რადგან ატი არ შევაჩერე და თვალებში არ ჩავხედე, რადგან ვერ ვიგრძენი მოახლოებული უბედურება.

წინათგრძნობა ყველას დაჩლუნგებული გვაქვს. სიტყვა „წინათგრძნობა“ არსებობს, მაგრამ შინაარსი გამოცლილი, უგულებელყოფილი და დავიწყებულია, როგორც ცრუ და დრომოჭმული განცდა... და ატი მოწყენილი, ჩვეული სილაღით მხრებს არ მიარხევს, მე კი გახარებული ვარ, რომ სალომესთან შეხვედრის დრო თანდათან ახლოვდება.

შორიდანვე დავინახე, სალომე გამალებული მოდიოდა. დღეს ცოტათი დავიღალე და თუ შეგიძლია, სახლამდე მიმაცილეო, მოსვლისთანავე ისე მითხრა, თითქოს შემთხვევით შემხვდა ქუჩაში. შინ დაბრუნება რუსთაველის პროსპექტის გავლით არ მოინდომა და ძნელაძის ქუჩას გავყევით ორბელიანების უბნისაკენ. საღამო ხანს რუსთაველი სტუდენტებით ივსებოდა, ეს სალომე-

მაც იცოდა და ნაცნობებთან შეხვედრას ალბათ თავი აარიდა. ჩემთვის სულ-ერთი იყო, ვინ შემხვდებოდა და რომელი ქუჩით ვივლიდით, რა თქმა უნდა, თუ კი სალომე ჩემს გვერდით იქნებოდა. ამიტომ უსიტყვოდ დავემორჩილე სალომეს ნებას და აუჩქარებლად, ნელი ნაბიჯით მივსეირნობდით თითქმის უკაცრიელ ქუჩაზე, რომლის მყუდროებას დრო და დრო ტრამვაის გაქროლება არღვევდა.

გულწრფელად გავუმჟღავნე სიყვარული. სალომემ, ცხადია, წინდაწინვე იცოდა, რასაც ვეტყოდი და მაინც ბოლომდე მისმენდა გულისყურით. ჩემი სათქმელი ვთქვი და ახლა გულისფანცქალით ველოდი განაჩენს. დიდ ხანს დამჭირდა ლოდინი, ვიდრე სალომე ხმას ამოიღებდა. როდის-როდის მითხრა, ძალიან მიხარია შენთან შეხვედრა და შენს გვერდით ყოფნა, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა ჯერჯერობით ასევე უნდა დარჩესო. მე დღეს იმიტომ მოვედი რომ გითხრა, პაემნებზე სიარული არ შემიძლია, ვიმეგობროთ ისე, როგორც აქამდე ვმეგობრობდითო.

ორბელიანების უბანში შებინდებისას მივედით. ობლად დარჩენილ სამრეკლოსთან კიდევ ცოტა ხანს ვისაუბრეთ და საბოლოოდ ეს გავარკვიეთ: მე სალომე მიყვარდა, სალომეს კი მხოლოდ უხაროდა და სიამოვნებდა ჩემთან შეხვედრა, ჩემს გვერდით ყოფნა, მაგრამ ეს შეხვედრები წინასწარ არ უნდა ყოფილიყო დაგეგმილი. ერთი სიტყვით, სალომე ყოველგვარ პაემანზე უარს ამბობდა.

იმ საღამოს ასე დავშორდით ერთმანეთს. ჩვენი საუბარი საქმიან გარიგებას უფრო ჰგავდა, ვიდრე სიყვარულის ახსნასა თუ გამჟღავნებას. შინ მოტყუებულივით თუ გაძარცულივით მივდიოდი და სიცარიელის ამოვსებას არარსებული იმედებით ვცდილობდი. არ ვიცოდი, სალომეს როდის შევხვდებოდი, ეტყობა, ისევ უნივერსიტეტის დერეფნებში უნდა მეძებნა ან სხდომების დამთავრებას უნდა დავლოდებოდი, რომ შორიდან მაინც მომეკრა თვალი.

ოქტომბრის პირველი [illegible] გავიდა, სალომე არ მინახავს, შორიდანაც არ მომიკრავს თვალი. ყოველი დღის ფუჭად განისაზღვრება იმით, სალომეს ვნახავ თუ არ ვნახავ. უნივერსიტეტშიც მხოლოდ იმისთვის დავდივარ, სალომეს შევხვდები და დაველაპარაკები მეთქი. სალომე კი არ ჩანს. ვერ გავიგე, სად დაიკარგა, რა დაემართა? მემალება თუ საქმით არის დაკავებული? იქნებ ავად გახდა? რატომღაც მერიდება, სალომეს თანაკურსელებს ვერაფერს ვეკითხები. ლექციებს ლექციებზე ვაცდენ, გამუდმებით კიბის თავში ვდგავარ, სიგარეტს ვაბოლებ და სალომეს გამოჩენას ველოდები. აღარც ატი ჩანს და აღარც გოგი, მერაბ ყანჩაველი უკვე სამი თვეა არ მინახავს. ასე მგონია, მეგობრებმაც ზურგი შემაქციეს და მიმატოვეს.

ხუთი ოქტომბერი დადგა. კარგად მახსოვს ეს დღე. უნივერსიტეტში ტრამვაით მოვედი, ვაგონიდან ფეხი ჩამოვდგი და უნივერსიტეტის შესასვლელთან მდგარი სალომე დავინახე. აღელვებული მომეჩვენა, გაფაციცებული იხედებოდა მელიქიშვილის ქუჩისკენ. მერმე დაძრულ ტრამვაის მოხედა, უცებ თვალები გაუბრწყინდა და პატარა ბავშვივით ხელებგაშლილი გამოქანდა ჩემკენ. გადამეხვია, თან მეუბნებოდა, ოზო, ოზო, რა კარგია, რომ დაგინახეო. მერმე მკლავში ხელი წამავლო და ვარაზის ხევისაკენ წამიყვანა. უკან მივიხედე, უნივერსიტეტის ეზო ცარიელი იყო, არც ქუჩაში ირეოდნენ სტუდენტები.

რა ხდება, არ ვიცი, მაგრამ უნებურად განსაცდელის გრძნობა მეუფლება. სალომე აშკარად აღელვებულია, სახე ალეწილი აქვს და ხელებიც უთრთის. ვარაზის ხევში ჩავუხვიეთ, მიწაყრილებს ვეფარებით, ვიმალებით, ვცდილობთ, არავინ დაგვინახოს. ველარ ვითმენ და სალომეს ვეკითხები, გა-

მაგებინე, რა მოხდა მეთქი.

— წუხელ ატი შელია და გოგი ზედელაშვილი დაუჭერიათ, პირდაპირ სახლიდან წაუყვანიათ.... მარტო ეგენი არა, მთელი ჯგუფი... მე მეგონა, შენც დაგიჭირეს, კიდევ კარგი, დაგინახე! ღმერთო! რა გადავიტანე!

16

ვარაზის ხევში აბალახებულ მიწაყრილზე ვიჯექი, სალომე თავზე მადგა და მთხოვდა, უნივერსიტეტში ნუ შეხვალ, შინ წადიო. რატომღაც მირჩევდა, რამდენიმე დღე ქუჩაში არ გამომედგა ფეხი, სანამ ბიჭების დაჭერის გამო ამტყდარი მითქმა-მოთქმა ჩაცხრებოდა. მე კი სრულიად გამოშტერებული ვიჯექი და შურისძიებაზე ვფიქრობდი, დურმიშხან წილოსანის დასჯის გეგმებს ვაწყობდი. ახლაღა ვხვდებოდი რა სერიოზული იყო ლამარას გაფრთხილება, ჩვენი ზერელეობისა და ქარაფშუტობის გამო ყურადღება არ მივაქციეთ იმ განგაშს, რომელიც ლამარამ ატეხა.

სალომემ არ იცის რამდენნი არიან, ათნიო, დაახლოვებით მითხრა, მაგრამ რახან მეც დაპატიმრებული ვეგონე, შეიძლება, დაჭერილთა რაოდენობა ზუსტი არ იყოს. მინდა სალომეს პატარა ცეცხლი გამოვტყუო და იმედის ნაპერწკალი ავინთო გულში. ამაოდ! ატი და გოგი ნამდვილად დაჭერილები არიანო.

როგორ მივიდე ატის მშობლებთან, როგორ შევხედო თვალებში ქალბატონ დოდოსა და ბატონ ვანოს, რა ვუთხრა, რითი ვანუგეშო?! ბოლოს და ბოლოს რა სიტყვებით ვიმართლო თავი, როგორ ავუხსნა, ატი რომ დაიჭირეს, მე რატომ დავრჩი გარეთ?! ჩვენ ხომ დღე და ღამ ერთად ვიყავით, ერთ კურსზე ვსწავლობდით, ერთად ვაბარებდით გამოცდებს, თანამოაზრეები და თანამზრახველები ერთი სულისკვეთებით ვსულდგმულებდით.

სალომე უნივერსიტეტში დაბრუნდა. მე შევპირდი, შინ წავალ მეთქი, მაგრამ ჩემდაუნებურად სოლოლაკისკენ გავწიე, მერაბ ყანჩაველს შიუკითხე, დედამისმა მითხრა, სულ ახლახანს წავიდა, ერთი ფეხით გაგასწროო. ესე იგი, არ დაუპატიმრებიათ. იქნებ ისინიც გარეთ არიან, იქნებ სალომე შეცდა? ისევ წყალწაღებულივით ხავსს ვეჭიდები. სოლოლაკიდან პატარა, ვიწრო ქუჩებით ვერაზე გადავედი და ატის სახლს მივადექი.

სახლი დაკეტილი დამხვდა. შტერივით ვიდექი ქუჩაში და არ ვიცოდი რა მექნა, სად წავსულიყავი. არ მახსოვს, რამდენი ხანი ველოდებოდი ატის მშობლებს, თითქმის ერთი კოლოფი „პრიმა" მოვწიე. თამბაქოს ბოლით გაბრუებული ლიუს შეძახილმა გამომარკვია, გაგიჟებული მოვარდა, მომეხვია და სახე დამიკოცნა. მადლობა ღმერთს, გარეთა ხარ, შენც დაჭერილი მეგონეო, თან ტიროდა, თან იცინოდა.

— გოგისთან იყავი?

— ადრიანად მივედი, ავადმყოფს დავხედავ მეთქი და მეზობლებმა დამახვედრეს ეს ამბავი. გოგის დედამ ჯერ არაფერი იცის, მშვიდად წევს ლოგინში. თუ გაიგო, ნამდვილად ვერ გადაიტანს.

— მარტოა?

— არა, შინ გოგის ძმაა, მა, რა ეგონა, წვერი რომ მოუშვაო.

— იდიოტი! ახლა სად მიდიხარ?

— სად წავალ, ტექნიკუმში.

აღარ მახსოვდა, ლიუს ატიმ ურჩია და სამედიცინო ტექნიკუმში დაიწყო სწავლა, თუ არა ვცდები, ბატონი ვანო მიეხმარა და ჩაარიცხვინა კიდეც.

ლიუმ და მე მელიქიშვილის ქუჩამდე ერთად ვიარეთ, გამუდმებით წუხდა, ღმერთო, რა ეშველებათ, რა მოელით, ან ციხეში როგორ უნდა გაძლონო. მერმე დავშორდით. ქუჩის კუთხეში კარგა ხანს ვიდექი და ვყოყმანობდი, ბოლოს დავძლიე ყოყმანი და უნივერსიტეტისკენ გავეშურე, ვის და რას ვემალები, უნივერსიტეტში რა-

ტომ არ უნდა მივიდე, მეთქი. თუ დამი-ჭერდნენ, მზად ვიყავი, დაჭერის შიში არ მქონია, მე მაწუხებდა და შიგნიდან მანგრევდა გაურკვევლობის მძიმე, გუ-ლის შემაღონებელი განცდა.

ვიგრძენი, ვიღაც ფეხდაფეხ მომ-ყვებოდა. დაძაბულმა მივიხედე: თვალცრემლიანი ლიუ იდგა ჩემ წინ.

— მეშინია! — მეუბნება ლიუ.

— რისი? — ვეკითხები.

— შენც არ დაგიჭირონ... — ცრემლს იწმენდს ლიუ და დამნაშავესავით ილი-მება. — ასე მგონია, გაგშორდები თუ არა, მაშინვე მოვლენ და წაგიყვანენ.

— ნუ გეშინია, ლიუ, — ვამშვი-დებ, — თუ ჩემი დაჭერა უნდათ, შენი არ მოერიდებათ, ისინი მოკრძალებით მაინცადამაინც არ გამოირჩევიან.

ქუჩის გადაღმა, უნივერსიტეტის შე-სასვლელთან სტუდენტების ჯგუფი დგას, ერთერთი მათგანი ლაპარაკობს, და-ნარჩენები გულისყურით უსმენენ. ერ-თი სული მაქვს, ქუჩა გადავჭრა და მათ შევუერთდე, გავიგო, რას ფიქრო-ბენ, რას ლაპარაკობენ. თავს ვიკავებ, შორიდან მზვერავივით ვუთვალთვალებ.

— წადი, ლიუ, შენს საქმეს მიხედე.

— კარგი, წავალ. — მორჩილად მე-უბნება. — საღამოს გოგის დედას ვი-ნახულებ, მერმე ატის მშობლებთანაც მივალ... რა ვქნა, არ ვიცი. ტექნიკუმ-ში რა გამაძლებინებს, გავგიჟდები!

ლიუ მარტო გაჰყვება ქუჩას. მიდის, მაგრამ ფეხები უკან რჩება. ვიდრე თვალს მიეფარება, რამდენჯერმე მო-იხედავს ჩემკენ, ალბათ ისევ ეშინია, ჰგონია, თავს დამესხმებიან, ხელებზე ბორკილს დამადებენ და წამიყვანენ.

მე იქვე ვდგავარ, ფეხმოუცვლელად. უნივერსიტეტში შესვლა მინდა, მაგ-რამ სალომეს რახან ვუთხარი, შინ წავალ მეთქი, ნაბიჯი ველარ გადამიდ-გამს. ამ დროს მერაბ ყანჩაველი და-ვინახე, გოგოებთან ერთად უნივერსი-ტეტის ეზოდან გამოდიოდა, ორი უც-ნობი გოგო მოჰყვებოდა. დავუძახე. მაშინვე მიატოვა გოგოები და ქუჩა გადმოჭრა. გადამეხვია და მითხრა, დი-ლიდან შენ დაგეძებდი.

— მეც გეძებდი. [illegible]ამ-ოვედი და ერთი ფეხით გამასწარი.

თავზარდაცემული იყო. არ იცოდა, ატისა და გოგის გარდა კიდევ ვინ იყ-ვნენ დაპატიმრებულები. სავარაუდო გვარები ჩამოთვალა. მაგრამ დაბეჯი-თებით ვერ თქვა, ნამდვილად დაჭე-რილები არიანო. ჩამოთვლილი გვარე-ბის მიხედვით ზოგს ვიცნობდი, ზოგს— არა. იმათაც კი, ვისაც ვიცნობდი, ვერ-აფრით ვუკავშირებდი ატი შელიასა და გოგი ზედელაშვილს, ისინი ერთმანეთ-თან დალაპარაკებულებიც კი არ მი-ნახავს. უცებ გამახსენდა, ჩემთვის იდუმალებით მოცული პიროვნება, რო-მელთანაც ატი სისტემატურად დადი-ოდა და მე არ გამაცნო თუმცა სულ მპირდებოდა, უსათუოდ გაგაცნობო. ბოლოს კი მითხრა, გოგიც იქ იქნება და წამოდიო, მაგრამ მე სალომესთან პირველი პაემანი მქონდა დანიშნული. და ვერ წავყევი. ვინ იყო ეს კაცი, რა-ტომ იკრიბებოდნენ მასთან ბიჭები?

მერაბ ყანჩაველი დამუნჯებულივით იდგა. საშინლად გაფითრებული იყო. მკერდზე ხელი მიიჭირა და რამდენჯერ-მე ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი. მეც ხმა-გაკმედილი ვიდექი, ყოვლად უმწეო, ქვეყნად რა ხდებოდა, არაფერი ვიცო-დი, ერთი წამით ისიც კი განვიზრახე, სადმე ლამარა მომეძებნა. იქნებ მამა-მისის წყალობით რაღაც გამერკვია, რაღაცა მაინც დამედგინა.

— მალე მიტინგი დაიწყება, — თქვა მერაბ ყანჩაველმა. — ატისა და გო-გის გადაუვლიან და მიწასთან გაასწო-რებენ.

— სად არის ეგ მიტინგი?

— საქტო დარბაზში. კომკავშირის კომიტეტი აწყობს.

— რას აპირებ?

— რა უნდა დავაპირო? იქ ხომ არ შევალ და მაგათ ზეიმს არ დავესწრები.

— მე უნდა დავესწრო!.. უსათუ-ოდ! — ვთქვი დაბეჯითებით.

— გაგიჟდი?! ეგ კი არადა, მე იმასაც კი ვფიქრობ, ამ დღეებში სულაც გავერიდოთ აქაურობას, ამ აუტანელ მითქმა-მოთქმასა და ჭორებს, საეჭვო თვალთვალსა და გაუგებრობას. ჩვენს გარშემო საზიზღარი სიტუაცია შეიქმნა. მე და შენ წავიდეთ ქუთაისში, დეიდაჩემს იქ მშვენიერი ძველი სახლი აქვს. ურიგო აზრი არ იყო, მით უმეტეს, რომ სალომემაც მირჩია, ცოტა ხნით აქაურობას გაერიდეო. მაგრამ მიტინგს, რომელიც სააქტო დარბაზში ჩატარდებოდა, უსათუოდ უნდა დავსწრებოდი. ლუკასი არ იყოს, რაც ხდება, ეს ყველაფერი ჩვენი ისტორიაა და მეც ამ ისტორიის მონაწილე ვარ.

— თუ გინდა, წინასწარ გეტყვი, ვინ რას იტყვის. — მიპასუხა მერაბმა, როცა ვუთხარი, მიტინგს ვერ გავაცდენ მეთქი.

— ერთხელ უკვე შევცდი, არ დავესწარი და ახლა აღარ შევცდები.

მერაბ ყანჩაველი გარეთ დავტოვე და უნივერსიტეტის შენობაში შევედი. სწრაფად გავიარე ვესტიბიული, კიბეც ავირბინე. სააქტო დარბაზის კართან მითხრეს, მიტინგი დაწყებულიაო. მაინც შევაღე კარი. დარბაზი არ იყო ხალხით გადაჭედილი, სადღაც რიგებშორის მოვნახე ცარიელი ადგილი და დავჯექი. სცენას გავხედე: გრძელ მაგიდას, რომელსაც წითელი მაუდი ჰქონდა გადაფარებული, მრავლად უსხდნენ კომკავშირის მესვეურნი. მაგრამ ჩემი მზერა, თითქოს განგებ, პირველად სალომეს მზერას შეეფეთა, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე უკან იჯდა. მომეჩვენა, თითქოს ოდნავ წამოიწია და შეკრთა კიდეც. გამახსენდა, წელან როგორ მთხოვდა: შინ წადიო და უნებურად გავიფიქრე, ნუთუ იმისთვის მეხვეწებოდა მეთქი, თვითონ ამ მიტინგისა თუ კრების პრეზიდიუმში მჯდარი რომ არ მენახა. კიდევ ერთხელ გავუსწორე თვალი, აშკარად გამოხატული საყვედურით მიმზერდა.

თავმჯდომარე შესავალ სიტყვას ამთავრებდა. მე მალე დავძლიე პირველი უხერხულობა და ადამიანებისა და საგნების გამორჩევა დავიწყე. პრეზიდიუმში მსხდართაგან უმალ ვიცანი ისინი, ვისაც ვარდისუბანში სუფრაზე შევხვდი. ყველანი იქ, ზევით ისხდნენ, ვითომ სერიოზულად დაფიქრებულები და საქმიანად შეწუხებულები. თავმჯდომარემ ატი შელია შეთქმულთა ბანდის მეთაურად გამოაცხადა და სამშობლოს მოღალატე უწოდა. შეთქმულთა ბანდა თურმე მიზნად ისახავდა არსებული ხელისუფლების დამხობას და ახალი რეჟიმის დამყარებას. მაგრამ დროზე აღკვეთეს გარეწრების მზაკვრული ჩანაფიქრი და მოახდინეს მათი იზოლირება. შემდეგ ჩამოთვალა შეთქმულთა გვარები. სულ თორმეტნი იყვნენ, უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები. სხვისი რა მოგახსენოთ და კრების თავმჯდომარეს ნამდვილად ხელთ ექნებოდა დაპატიმრებულთა დაზუსტებული სია. ვუსმენდი და დურმიშხან წილოსანზე ვფიქრობდი, ნუთუ ეს ყველაფერი მისი ხელით იყო გაკეთებული? რატომღაც მეგონა, ამისათვის მას ჭკუა და გამოცდილება არ ეყოფოდა. ეტყობა, ამ საქმეს ლამარას მამამ მოჰკიდა ხელი.

მერმე დაიძრა მოხალისე გამომსვლელთა ნიაღვარი, მაგრამ ყველას მაინც ჰიჰი დავითაიამ დაასწრო, შეიძლება, განგებაც შეარჩიეს, როგორც ატის თანაკურსელი, ნაფრონტალი, რომელსაც ყველა მედალი ახლაც მკერდზე ჰქონდა მიბნეული. ჰიჰი დავითაიას თურმე ძალზე შერცხვა აქ გამოსვლისა, რადგან სწავლას გადაყოლილმა თანდათან დაჰკარგა კომუნისტური და ფრონტული სიფხიზლე, თანაკურსელთა შორის ვერ შენიშნა და ვერ გამოავლინა ხალხის მტერი, სამშობლოს მოღალატე ატი შელია, თანამზრახველთა ბანდის მეთაური. თავხედი, გათამამებული და გაზულუქებული სისტემატურად აცდენდა ლექციებს, გან-

საკუთრებით სამხედრო სწავლებას იგდებდა აბუჩადო...

ამ დროს მერაბ ყანჩაველმა შემოაღო კარები და შემოიხედა, ალბათ მე მეძებდა. ვერ დამინახა და ისევ მიხურა კარი.

ჭიჭი დავითაიას უკვე დიდი ური ეჭირა და თავში მიხათქუნებდა. ამის ატანა აღარ შემეძლო, ერთხელაც შევხედე სალომეს, თითქოს თვალებით რაღაცას მანიშნებდა, ალბათ თავშეკავებასა და დამშვიდებას მთხოვდა. გარეგნულად სიმშვიდეს ვინარჩუნებდი, მაგრამ საფეთქლები ლამის დამსკდომოდა, გული მერეოდა. საშინლად მცხელოდა, ოფლად ვიღვრებოდი და პერანგი გასწური მქონდა.

უკანა რიგიდან მითხრეს, დაჯექიო. არ მახსოვს როდის ავდექი. ან დაჯექი ან წადიო, ისევ მეუბნება ვიღაც. მივდივარ. რიგებშორის გავლა მიჭირს, ვიღაც-ვიღაცეები კი მეუბნებიან, ნუ წახვალო, გზას მილობავენ, მექაჩებიან, მე მაინც მივდივარ, არკი მივდივარ, რიგს მივარღვევ — ჭიჭი დავითაია ისევ მიხათქუნებს ურონს...

— ჩვენს შორის არიან ადამიანები, რომლებიც ატი შელიას განუყრელი მეგობრები იყვნენ. ერთერთი მათგანია, მეგობრებო... იგი ახლა ტოვებს დარბაზს. რატომ ტოვებს დარბაზს, თუ იცით? იმიტომ, რომ არ იზიარებს ჩვენს აზრებს და შეხედულებებს, სხვა პლატფორმაზე დგას და ძირს უთხრის ჩვენს სწრაფვას ნათელი მომავლისაკენ...

დარბაზი გასუსულია, მეჩვენება, მარტო ეს დარბაზი კი არა, მთელი ქვეყანა გასუსული მომჩერებია. როგორც იქნა, რიგებს დავაღწიე თავი და კარისკენ მივეშურები.

— სად მიდიხარ შენ, ამხანაგო! — მომძახა კიდევ ერთი ური ჭიჭი დავითაიასი.

კართან მისული შევჩერდი, სცენას მივხედე. ყველანი გაშტერებულნი მომჩერებოდნენ. ისიც შევნიშნე, სალომე ფეხზე იდგა შეძრწუნებული.

— შენა ხარ გარეწარი, ჭიჭი დავითაია! — სხვა ვერაფერი მოვიფიქრე და ეს მივაძახე ხმამაღლა. კარი გავაღე და გარეთ გავედი.

სირბილით დავტოვე შენობა. ეზოშიც გავრბოდი, ქუჩაშიც, თითქოს უკან ვიღაც მომდევდა. პეტრიაშვილის ქუჩის კუთხეში შევჩერდი, უნივერსიტეტისკენ მივიხედე, სული მოვითქვი და აღმართს შევუდექი. ატი შელიას სახლში ვაპირებდი მისვლას, უსათუოდ უნდა მენახა ატის მშობლები. ჯერ ნახევარი გზა არ მქონდა გავლილი, წინ თეთრად გამოწყობილი მოხუცი დავინახე, ჩალის ქუდიანი, ხელჯოხიანი. მოხუცი საერთო იერით მეცნო, მაგრამ რატომღაც ვერ მივხვდი, სანამ არ მომიახლოვდა, რომ ეს უჩვეულო ბერიკაცი ბატონი ლადო ესაკია იყო, ისედაც თავგზადაბნეული უცნაურად ავღელდი ამ მოულოდნელი შეხვედრისას.

ბატონი ლადო შელიებთან ყოფილა და მასპინძლები შინ არ დახვედრიან. ეს პირველი შემთხვევაა, შინ რომ არ მხვდებიანო, წუხდა. მე ვერ ვუთხარი, დავუმალე, ამ ოჯახს რა უბედურებაც დაატყდა თავს. ვცდილობდი, მშვიდად დამეჭირა თავი, მაინც შემამჩნია აფორიაქება და მითხრა, აღელვებული ჩანხარ და რამე ხომ არ შეგემთხვაო. წუხელ თორმეტი სტუდენტი დააპატიმრეს და ახლა მათი განმკითხავი მიტინგიდან მოვდივარ მეთქი, ვუთხარი, უცებ გაფითრდა კედელს მიეყუდა, თან ორივე ხელით დაეყრდნო ხელჯოხს. მე მომეჩვენა, თითქოს მუხლმა უმტყუნა და ხელი შევაშველე. თვითონ არ ვიყავი დამშვიდებული და მთლად დალაგებული, მაინც მივხვდი, ამ კაცის მარტო დატოვება არ შეიძლებოდა, უსათუოდ სახლამდე უნდა მიმეყვანა. თან დასაწყნარებლად ვუთხარი, ალბათ შემთხვევით გაუგებრობა მოხდა მეთქი არც კი დაფიქრებულა ისე მიპასუხა, ამ ქვეყანაში შემთხვევით არა-

ფერი ხდება, ყველაფერი წინასწარ არის დაგეგმილი. ეს ჩვენ გვეჩვენება გაუგებრობად, თორემ მათთვის ყველაფერი გასაგები და დღესავით ნათელია.

— ეტყობა, ოცი მილიონი კატორღელი აღარ ჰყოფნით.

მკლავში ხელი მოვკიდე და ნელნელა მელიქიშვილის ქუჩისკენ დავეშვით. კიდევ კარგი, ატიზე სიტყვა არ დამცდენია, ატი იმდენად უყვარდა, არ ვიცი, ამ ელდას როგორ გაუძლებდა. ბატონი ლადო გზაში თანდათან მყარად დადგა ფეხზე და მიტინგის ამბავი მოვუყევი, ჭიჭი დავითაიას გამოხდომა.

— არასოდეს არ უნდა ჰკითხო აზრი იმას, ვისაც ეს არ მოეკითხება... მერმე ამ არაკომპეტენტურ აზრს ხალხის ნება-სურვილის გამოხატულებად ასაღებენ. ხალხმა ასე ინებაო, ამბობენ და ყოველგვარი ზნეობრივი ულლისაგან თავისუფლდებიან. — მეუბნებოდა ბატონი ლადო ესაკია.

გულწრფელად რომ ვთქვა, იმ წუთებში ბატონი ლადოს სენტენციების მოსმენის თავი არ მქონდა. სააქტო დარბაზიდან გამოქცეული ჯერ არ ვიყავი დამცხრალი, გამწარებული ჯერ კიდევ შინაგანად ვებრძოდი ჭიჭი დავითაიას, მთელ დარბაზს, სცენას, სადაც შეძრწუნებული სალომე ფეხზე ამდგარი დავტოვე.

— ჩვენ დაავადებულები ვართ არაკომპეტენტურობის სინდრომით. ამ სენს რუსეთის იმპერია საქართველოს დაპყრობის დღიდან ავრცელებდა და ესენიც იმავე გზით მიდიან.

ბატონ ლადო ესაკიას შინ რომ მივაცილებ, ისევ უნივერსიტეტში დავბრუნდები. უსათუოდ უნდა ვნახო სალომე. ნუთუ იქაურობას იმიტომ მოაშორა, რომ თვითონ მშვიდად დაჯდეს პრეზიდიუმში და უდრტვინველად უსმინოს ჭიჭი დავითაიას მსგავს გარეწრებს?

— იმთავითვე მეთქი, ვთქვი და ასეც იყო. რუსეთის „ხელგაშლილი“ იმპერატორი უცებ ვინმე თავადს გენერლობას მიანიჭებდა და მკერდზე ჯვარ-მედლებსაც დაჰკიდებდა. მერმე ამ სულელ თავადს, რომელსაც თავისი მამულის მოვლაც კი არ შეეძლო, თავი ნამდვილი გენერალი ეგონა და მიაჩნდა, რომ ყველაფერი დამსახურებულად მიეზღო, გაბღენძილი დადიოდა და ყველასაგან შესაბამის პატივს მოითხოვდა. რუსთ ხელმწიფე უშურველად არიგებდა ჩინებსა და ხარისხებს და ყველა ისე იფერებდა ამ ჯილდოს, როგორც კუთვნილს, როგორც საკუთარი ღირსებით მოპოვებულს...

ვინ იფიქრებდა, ასე რომ მოხდებოდა, თორემ იმ დღეს პაემანზე არ წავიდოდი. წავყვებოდი ატის და გავიცნობდი იმ კაცს, რომელსაც მთელი წლის მანძილზე იდუმალების ბურუსში ხვევდა. ახლა მეც მათთან ერთად ვიქნებოდი, ანდა ის მაინც მეცოდინებოდა, იმ შეხვედრებისა თუ სხვა რამ მიზეზის გამო დააპატიმრეს ბიჭები.. აუ, როგორ უნდა შევხედო ატის დედას თვალებში!

— ამ სენის გავრცელება დღემდე გრძელდება, ოღონდ უფრო მასშტაბურად, ყოვლისმომცველად, რათა ერი დააკნინონ, გადააგვარონ, შეაჩვიონ უსაქმურობას, უშრომელად წარმატების მიღწევას. ცხოვრებაში უკვე დაამკვიდრეს საზოგადოების ახალი ფენა, რომელიც ნაკლები შრომით სხვებზე გაცილებით უკეთესად ცხოვრობენ. ესენი არიან ეგრეთ წოდებული ხელმძღვანელები ანუ პარტიული მუშაკები, მათ არაკომპეტენტურობას საზღვარი არა აქვს და მაინც ხელმძღვანელობენ, ესენი დანაშაულის გამო არ ისჯებიან, პირიქით, სხვა სამუშაოზე გადაჰყავთ და აწინაურებენ კიდეც. ამიტომ ხალხის გარკვეული ნაწილი აქეთკენ ისწრაფვის, ეს უნდათ, ასეთი ცხოვრება, რომელსაც ხელმძღვანელობა ჰქვია...

ბატონმა ლადომ ფეხით სიარული ინება. ტრანსპორტით მგზავრობა შევთავაზე, უარი მითხრა, ცოტა ფეხით გავიაროთ, ასე მირჩევნიაო. დინჯად, აუჩქარებლად გავიარეთ მელიქიშვილის ქუჩა. გზაში რამდენიმე სტუდენტს ჩემი დანახვისას თვალები გაუფართოვდა და გაოცებული მზერა გამომაყოლა. ალბათ დაჭერილი ვეგონე და ამ მოხუც კაცთან მოსეირნე რომ დამინახა, გაუკვირდა. საშინელებაა!.. დაჭერილი ჰგონიხარ და შენ კი გარეთ დასეირნობ. ზოგს ექვიც ეპარება, თუ პატიოსანი კაცი გქვია, იმათთან ერთად რატომ არ ზიხარო.

— ერი კნინდება, როცა ქვეყანაში ადამიანი თავის საქმეს არ აკეთებს. საყოველთაო სწავლება გამოაცხადეს, მაგრამ ნამდვილი სწავლებისათვის არავინ ზრუნავს. სკოლასაც და უმაღლეს სასწავლებელსაც ყველა ერთნაირად ამთავრებს — მცოდნე და უვიცი. უვიციც იმ დიპლომს ღებულობს, რასაც მცოდნე და გზა ყველგან ხსნილი აქვს. მცოდნენი ერთეულები არიან, უვიცნი კი მრავალნი და სწორედ ისინი, უვიცთა სითავხედის წყალობით, ცხოვრების სადავეებს ეპატრონებიან, რადგან მათ ზემოდან ადვილად მართავენ. და ეს ყველაფერი წინასწარ არის გათვლილი და დაგეგმილი... ჰიჰი დავითაიას წარმოდგენა არა აქვს, რა მოხდა, რა დააშავეს იმ სტუდენტებმა და მაინც ეს უვიცი და ვიგინდარა საჯაროდ გამოდის, რათა წინდაწინ განაჩენი გამოუტანოს იმ ადამიანებს, რომელთა დანაშაული ჯერ არ არის დამტკიცებული. ეს ყველაფერი შემდეგ ხალხის ნება-სურვილად გამოცხადდება..., აი კიდევ ერთი განზომილება არაკომპეტენტურობის სინდრომისა, რომლითაც დაავადებულები ვართ...

— მე ხომ ვიცი, ბატონო ლადო, ეგეთები ბოლოს და ბოლოს მართლები გამოდიან.

— მართალი ის არის, ვისაც მომავალი აქვს. მაგათ არა აქვთ მომავალი, მიუხედავად იმისა, რომ სულ ნათელი მომავლის მწვერვალებისკენ იხედებიან. ადრე თუ გვიან ნაგუბარში ჩადგება წყალი. უფრო — გვიან, ცხადია, ვიდრე მე მგონია, მე ვერ მოვესწრები ამას, მაგრამ თქვენ უსათუოდ უნდა მოესწროთ.

რუსთაველის მოედანზე მივედით, იქ თითქმის ცარიელ ავტობუსში ჩავსხედით და ბერიას (ახლანდელი თავისუფლების) მოედნამდე ხმისამოუღებლად ვიარეთ. ბატონი ლადო დაფიქრებული იჯდა, ორივე ხელით ხელჯოხს დაყრდნობილი. ცხოვრებაგამწარებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მისი ჩამქრალი თვალებიდან უსაზღვრო სევდა მოჟონავდა. მერმე სახლამდე მივაცილე, შინ შემიპატიჟა, მაგრამ უარი ვკადრე, ახლა უსათუოდ ერთი მეგობარი უნდა ვინახულო მეთქი. დამშვიდობებისას მითხრა:

— ატის გადაეცით, უსათუოდ გამომიაროს, დიდი ხანია არ მინახავს და მომენატრა. ძალიან მიყვარს ატისთან საუბარი. ბატონო ოზო, უკეთესი იქნება, თუ ერთად მოხვალთ. ასე გადაეცით ატის.

გამოსამშვიდობებელი ღიმილი პირზე შემაცივდა. რატომღაც არ მოველოდი, თუ ატისთან სიტყვას დამაბარებდა. დაბნეული ავწრიალდი, გავწითლდი და სახეზე ოფლმაც დამასხა. წელან მოხუცს მოვერიდე და ატის დაჭერის ამბავი დავუმალე. ახლა არ ვიცი, როგორღა ვუთხრა, თქვენს დანაბარებს უსათუოდ გადავცემ მეთქი, ასეთი სიცრუის თქმა ბატონი ლადოსათვის მე არ შემეძლო. უცებ შევტრიალდი, თითქოს წასვლა დავაპირე, ისევ მოვბრუნდი. გაკვირვებულმა ბატონმა ლადომ მკითხა, რა მოგივიდათო.

— ბატონო ლადო, იცით.. — სუნთქვა შემეკრა, ჩემდა უნებურად თვალებში ცრემლმა გამოჟონა. — ბატონო ლადო, წელან დაგიმალეთ...

— ეგ არა, ოღონდ ეგ არ მითხრა, შეილო!

იმავე საღამოს მივედი მერაბ ყანჩაველთან. ამჯერად შინ დამხვდა, მარტო იყო და ვახშმობდა, მთელი დღის უჭმელ-უსმელი მეც მივუჯექი მაგიდას. მიტინგი როგორ დამთავრდაო, მისვლისთანავე მკითხა. როგორ დამთავრდა, არ ვიცი, მაგრამ მე ასე და ასე მოვიქეცი მეთქი, მერმე ერთხანს მდუმარედ შევექცეოდით ჩაის, მერაბის აზრი მაინტერესებდა, ის კი ხმას არ იღებდა. ალბათ ასეთ გამოხდომას არ მაპატიებენ მეთქი, ველარ მოვითმინე და ვკითხე. ფეხებსაც ვერ მოგჭამენო, მოკლედ მიპასუხა, ოღონდ ის არ უთქვამს, თუკი ამას მოინდომებდნენ, ხელს რა შეუშლიდა.

მერმე ბატონ ლადო ესაკიასთან შეხვედრაც ვუამბე. როგორ მინდა მაგ კაცის გაცნობა და აქამდე ვერ მოვახერხეო, ამბობდა სინანულით. მე გაგაცნობ მეთქი, შევპირდი. მერაბ ყანჩაველთან უფრო ადრე მოვიდოდი, მაგრამ ბატონმა ლადომ ატის დაპატიმრება რომ გაიგო, აღარ გამომიშვა. მე მგონი, გული გაუხდა ცუდად, მეუღლემ რაღაც წვეთები გამოუტანა და დაალევინა. ჩემი არ იყოს, ბატონმა ლადომაც დაუმალა მეუღლეს ატის დაპერის ამბავი და ამით ერთგვარად გამათავისუფლა სინდისის ქენჯნისაგან. თითქმის ერთი საათი დავყავი მათთან და ბატონი ლადო ქრისტიანობის არსსა და სახარებაზე საუბრობდა.

— ადამიანები თავისავე ცოდვების ქაობში ჩაიხრჩვებოდნენ, ეს ცოდვები ქრისტეს რომ არ ეტვირთა. — დასძინა ბოლოს.

ეს იყო ტრადიციული აზრი: იგი მოვიდა, რათა ჩვენი ცოდვები ეტვირთა. იქნებ მაცხოვარს თავდაპირველად სხვა მისია ჰქონდა დაკისრებული? ღმერთმა მანამდე საზარელი ცოდვების გამო მრავალგზის დასაჯა ადამიანები, კაცობრიობას წარღვნაც კი მოუვლინა, მაგრამ მათ უზნეობას მაინც ვერ დაუდო საზღვარი. ქრისტე ცოდვილ მიწაზე მოვიდა, ვითარცა კაცი და ღმერთი, წმინდა და სრულყოფილი, ისეთი, როგორიც ღმერთს სურდა ყოფილიყო ადამიანი. იგი მოვიდა დახვეწილი მცნებებით აღჭურვილი და ქადაგებდა ჭეშმარიტებას, რომელსაც კაცობრიობა ზნეობრივად უნდა გადაერჩინა. იგი იყო ღმერთის მიერ მოვლენილი ღმერთი, ცოცხალი, ხორცშესხმული, პერსონიფიცირებული იდეა, ადამიანებს თავისი თვალით რომ ეხილათ და თავისი ყურით მოესმინათ ზნეობრივი სრულყოფილება, ერწმუნათ ღვთისმიერი სიბრძნე და ჭეშმარიტების გზას დასდგომოდნენ... მაგრამ ადამიანებმა უარყვეს, შეურაცხყვეს და ჯვარს აცვეს იგი. იქნებ მაცხოვარმა სწორედ ადამიანებთან ურთიერთობის შემდეგ გადაწყვიტა, მათ ცოდვებს ვიტვირთავო, რადგან კაცობრიობის გადარჩენა სხვა გზით აღარ შეიძლებოდა.

ბატონი ლადოსთვის მინდოდა ჩემი ნაჯახირები მოსაზრება მეთქვა, მაგრამ მომერიდა, შეიძლება, მკრეხელობადაც კი ჩაეთვალა, ამასობაში ქალბატონმა ბაბომ მურაბიანი ჩაი შემოგვთავაზა, მე უკვე ნათქვამი მქონდა, მეჩქარება მეთქი და აღარ დავრჩენილვარ. ბატონი ლადო შემეცოდა, მეუღლეს ატის ამბავი არ გაუმხილა და თავის საფიქრალთან და სატკივართან მარტო დარჩა — დაღლილი და გულმოკლული.

მერაბ ყანჩაველმა მაინც თავისი გაიტანა, ქუთაისში წასვლაზე დამიყოლია. შინ აღარ დავბრუნებულვარ, მერაბის სახლიდან გავედით სადგურზე და გავემგზავრეთ, ერთი კვირით გავერიდეთ მითქმა-მოთქმას, ეჭვიან მზერასა და შეკითხვებს, თვალის დევნებასა და მოყურადებას.

კათოლიკეთა ქუჩაზე მშვენიერ ძველებურ სახლში ვცხოვრობდით. მერაბის დეიდა გვივლიდა, როგორც იტყვიან, ცივ ნიავს არ გვაკარებდა. სათნო,

მუდამ კეთილადმომლიმარი ქალბატონი მერაბის ყოველ სურვილს უსიტყვოდ გრძნობდა და ასევე უსიტყვოდ უსრულებდა. მაგრამ მე ორი დღეც ველარ გავძელი, აწრიალებულსა და აფორიაქებულს უცხო ჰერქვეშ უძილობა დამჩემდა და ამ უძილობისას შემომიჩნდა გაურკვეველი დარდი, ეს იყო ჩემთვის სრულიად ახალი განცდა, მანამდე ასეთი რამ ნამდვილად არ მქონდა განცდილი. ვდარდობდი, მაგრამ არ ვიცოდი რის. არადა დარდი მილრღნიდა გულს, მოსვენებას მიკარგავდა, იქ მინდოდა ყოფნა, თბილისში. არც ეს ვიცოდი, რატომ მექაჩებოდა გული თბილისისაკენ, მაგრამ არ ცოდნა ჩემს მდგომარეობას არ ცვლიდა, პირიქით, ყოველწუთიერად მიღრმავდებოდა ტკივილი და თუ მალე არ გავემგზავრებოდი, გული გამისკდებოდა. მეჩვენებოდა თითქოს თბილისში უჩემოდ რაღაც უბედურება დატრიალდა... და მესამე დღეს დილაადრიან თბილისის ვაგზლიდან შინისაკენ მივეშურებოდი.

მისვლისთანავე ტახტზე მივეგდე, ცოტას დავისვენებ მეთქი და სწორედ ამ დროს კარის კაკუნი გავიგონე. შუშაბანდის კარი ღია იყო და დავუძახე, რომელი ხარ შემოდი მეთქი. არავინ შემოსულა. კარის კაკუნი განმეორდა, წამოვდექი და სტუმარს გავეგებე. გულმა რეჩხი მიყო: ღია კარში ლამარას მეუღლე იდგა, შევხედე და მაშინვე ვიცანი. ის ვაჟი, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დურმიშხან წილოსანთან რომ მოვიდა და თავისი ცოლი იკითხა. მობრძანდით მეთქი, ვუთხარი და ავისმომასწავებელი, ცუდი წინათგრძნობა დამეუფლა.

— მაპატიეთ, თქვენ ალბათ არ მიცნობთ, მე ვარ ლამარას მეუღლე — ზაზა სანებლიძე.

ზაზა სანებლიძე ოთახში შემომყვა და მომეჩვენა, დღეს უფრო მეტად კოჭლობდა, ვიდრე მაშინ, დურმიშხან წილოსანთან რომ მოვიდა. უცებ შემაშფოთა მისი სახის გამომეტყველებამ, ახლაღა დავაკვირდი, წუხილს, ტკივილს ან სასოწარკვეთილებას [illegible]ტავდა, სახეზე უბედ[illegible]ნი ჰქონდა აღბეჭდილი. სკამი შევთავაზე, არ დაჯდა, ახლა დაჯდომის დრო არ არისო.

— რა მოხდა?! — სულის მოთქმა არ დავაცადე.

— მოხდა უბედურება, ლამარამ თავი მოიკლა! — პირდაპირ მომახალა.

— როგორ თუ თავი მოიკლა?!

— გოგირდის მჟავა დალია... უკანასკნელ წუთებს ითვლის.

— ნუთუ ვერ უშველეთ?!

— ვერა, სამწუხაროდ ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა. — ზაზა სანებლიძეს თვალები ცრემლით აევსო.

17

ლამარა მარტო იწვა პალატაში. ერთმანეთს შევხედეთ და გული შემეკუმშა. ტკივილისაგან კინაღამ შევყვირე. ლამარა ადამიანს აღარ ჰგავდა, თავის ქალაზე მოშავო-მონაცრისფრო კანი ჰქონდა გადაჭიმული. მხოლოდ თვალები ციცხლობდნენ და მოძრაობდნენ მკვდარი სხეულისაგან დამოუკიდებლად, არაჩვეულებრივად დიდი თვალები. ლამარამ მე რომ დამინახა, ცრემლი ღვარივით წამოვიდა და ბალიში დაუსველა. ზაზა თავთან უდგა და ცრემლს ცხვირსახოცით უშრალებდა. ლამარა, როგორა ხარ მეთქი, უაზროდ ვკითხე. ლამარამ თვალები დახუჭა და ისევ გაახილა, თითქოს მანიშნა, შენი ნათქვამი გავიგონეო. მტკივანი გული ყელში მომებჯინა და გარეთ გავვარდი, ფანჯარასთან მივდექი და ბავშვივით ავტირდი, ცრემლს ველარ ვიკავებდი. მალე ზაზაც გამოვიდა და მხარზე მომხვია ხელი, კარგი, დაწყნარდით, მითხრა.

ახლაღა დავინახე, დერეფანში კოტიტა ქალბატონები იდგნენ, ლამარას დეიდები, იდგნენ და ტიროდნენ. რა თქმა უნდა, მე ვერ მიცნეს და არც

მინდოდა, რომ ვეცნე. დედას ლამარას გამო გული გასკდომია, მიოკარდიის ინფარქტით რომელიღაც საავადმყოფოში წევს და მეუღლე უვლის. ეს ყველაფერი ცოტა ხნის შემდეგ ზაზამ შემატყობინა.

ისევ შევდივარ ლამარას პალატაში, დიდ თვალებში, სადღაც შიგნით, სიღრმეში რაღაც გაკრთება პაწაწინა ნაპერწკალივით. მე ამას ვამჩნევ, არ ვიცი ზაზაც ამჩნევს თუ არა, მგონი ამჩნევს, რადგან შემომხედავს და გაიღიმებს. მე ვნანობ, რომ მოვედი, ლამარა ვინახულე. მერჩია, ისეთი მხსომებოდა, როგორიც იყო, როგორიც აქამდე მახსოვდა. მაგრამ ლამარამ ისურვა სიკვდილის წინ ჩემი ნახვა და სხვა რა გზა მქონდა. ჩემი ნახვა სიკვდილის წინ — შემზარავია! იქნებ ლამარასაც უნდა ჩემი დამახსოვრება, იქნებ სიკვდილის შემდეგაც არსებობს მეხსიერება, მარადიული.

ამ პატარა, მოუხერხებელ პალატაში ადგილს ვერ ვპოულობ. რაღაცნაირად ზაზა სანებლიძის მერიდება კიდეც. ლამარა გამუდმებით მომჩერებია, უაზროდ გაშტერებული თვალებით თითქოს რაღაცას მეუბნება, მე კი არაფერი მესმის. ზაზა ხან მე შემომხედავს, ხან — ლამარას, დაფიქრებულია და ხმას არ იღებს.

ისევ გავდივარ პალატიდან. აქედან გაქცევა მინდა, აქაურობის მიტოვება, ჯანდაბის იქით გადახვეწა. მაგრამ ვერ ვახერხებ, დერეფანს გავივლი და ისევ მოვბრუნდები, პალატის წინ ვწრიალებ. ტკივილისაგან ახლა უკვე თავი მისკდება. ქუთაისიდან წამოსვლას წამით ვინანებ და ისევ შევაღებ პალატის კარს. თვალების სიღრმეში ძლივს შესამჩნევი პაწაწინა ნაპერწკალი ისევ გაიელვებს. ახლა უკვე ვიცი, ჩემი დანახვა ლამარას სიხარულსა ჰგვრის, უნდა, აქ ვიყო, ახლოს, მის გვერდით ვიტრიალო.

ზაზა სანებლიძის მიმართ უდიდესი პატივისცემით გავიმსჭვალე, ღირსეულ პიროვნებად მიმაჩნია. გზაში მაჩვენა რვეულის ფურცელი, რომელზედაც აჩხა-ბაჩხად ეწერა ჩემი გვარი და სახელი, მისამართი. აჩხა-ბაჩხად კი იყო ნაწერი, მაგრამ ლამარას ხელი მაინც ვიცანი. შენი ნახვა და მოყვანა მთხოვაო, მეუბნებოდა ზაზა. გონიერი და დაფიქრებული ბიჭი ჩანდა და მე ვგრძნობდი, ყველაფერს ხვდებოდა, ყველაფერი იცოდა. მე კი თავს ველარ ვერეოდი, ჩავცქეროდი ლამარას დიდ თვალებში და სხვას უკვე ვერაფერს ვამჩნევდი, გარდა ამ დიდი და ლამაზი თვალებისა. ეს მზერაც უკვე ისე უაზროდ აღარ მეჩვენებოდა, მას შემდეგ, რაც სიღრმეში პაწაწინა ნაპერწკალი აღმოვაჩინე.

ზაზა და მე დერეფანში, გამოღებულ ფანჯარასთან ვეწეოდით სიგარეტს. ლამარას დეიდები კედელთან იდგნენ და ჩუმად ტიროდნენ, პალატაში რატომღაც არ შედიოდნენ, თითქოს ვინმე უკრძალავდა იქ შესვლას.

ლამარას როგორც კი სტუდენტების დაჭერის ამბავი გაუგია, მამასთან მისულა. ზაზა სანებლიძემ ყურმოკრულადაც არ იცის, რაზე ისაუბრეს მამაშვილმა. სამაგიეროდ იცის, რა თქვა მამამ, როცა ქალიშვილის ამბავი შეიტყო, ვინც სამშობლოს მოღალატე სტუდენტების გამო თავს იკლავს, ის ჩემი შვილი არ არისო. არ მოსულა, არ უნახავს მომაკვდავი შვილი. დაუჯერებელი ამბავია, შეიძლება კაცი გაგიჟდეს! არც შვილი ახსენებს მამას. მამის რწმენას, მისი ცხოვრების წესს, მის არსებობას ამ ქვეყნად სიკვდილით განუცხადა პროტესტი. ახლა დურმიშხან წილოსანი იშვილოს გვერდით მოისვას და თუ უნდა, ჩაეხუტოსო, ზაზასთვის ასე უთქვამს ლამარას. ხოლო ზაზა სანებლიძე მეუბნება, მე ყველაფერი ვიცი, ვიცი, რაც მოხდა და თუ ოდესმე გაიგებ, ვიღაცამ დურმიშხან წილოსანი მოკლაო, ის მკვლელი მე ვიქნებიო. ვუსმენ, მაგრამ არ მჯერა, ზაზა სანებლიძე კაცის მკვლელს არა ჰგავს, ახლა გამწარებულია, გაუბედურებული და

მისი ნაუბარი უფრო გიჟის ბოდვას მაგონებს.

მე დერეფანში ვდგავარ. ლამარასთან ექიმები შევიდნენ და მალევე გამობრუნდნენ, ლაპარაკ-ლაპარაკით გაუყვნენ გრძელ დერეფანს. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს გაუკვირდათ, ლამარა ცოცხალი რომ დახვდათ. მესამედ და უკანასკნელად შევდივარ ლამარასთან. ლამარა აღარ ტირის, ამომშრალი თვალებით მომჩერებია. ზაზამ, ექიმებს რაღაც უნდა ვუთხრაო, გარბის. ლამარა და მე დაჟინებით ვუცქერით ერთმანეთს, მერმე ახლოს მივდივარ, სულ ახლოს, მერმე ვიხრები და თვალებში ვკოცნი. თვალები ცივი და მშრალი აქვს. ვაკოცე ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... მერმე ისევ შორიდან ვუმზერ. ლამარა ცდილობს, თვალებით რაღაც მანიშნოს. ვერ ვხვდები, რას მანიშნებს. გაცრეცილი ტუჩებიც აამოძრავა, ყელიდან ხმა არ ამოსდის, მაგრამ ტუჩების უმნიშვნელო მოძრაობით მიმახვედრა, წადიო. კი ასეა, მარტო დარჩენას მთხოვს.

დერეფნის ბოლოდან ზაზა სანებლიძე გამალებული მოდის. ჩქარობს, ცალ მხარეს მოირხევა. ჩვენ დერეფნის შუაში ვხვდებით ერთმანეთს. მე ახლა მივდივარ, მინდა საავადმყოფო დავტოვო, მაგრამ არ ვიცი, მართლა დავტოვებ თუ არა, ბოლომდე დარწმუნებული არა ვარ, რომ აქაურობას გავეცლები. მიდიხარ, ოზო, მადლობელი ვარ, მეტს ველარ შეგაწუხებო, მეუბნება ზაზა და დერეფანში გზას აგრძელებს, დაბნეულია, აწეწილი. მე ფეხებს ძლივს მივათრევ, სინდისი მქენჯნის და დანაშაულის გრძნობა მეუფლება, დანაშაულის გრძნობა ლამარას მიმართ. თითქოს მეც მიმიძღვის გარკვეულწილად ბრალი, ლამარამ რომ ასე დაასრულა სიცოცხლე. მე ლამარა მიყვარდა, ნამდვილად მიყვარდა და ახლაც ვიგრძენი იმ სიყვარულის სიცხოველე. მე არ მეყო ბიჭობა და შინაგანი ძალა, ეს სიყვარული ბოლომდე რომ შემენარჩუნებინა. ის, რაც მე ვერ შევძელი, ზაზა სანებლიძემ შეძლო და ამიტომ მის წინაშე ქედს ვიხრი. მაგრამ მგონია, ლამარას გადარჩენა მხოლოდ მე შემეძლო.. მხოლოდ მე შემეძლო.. მხოლოდ მე, სხვას არავის.

დერეფანი თითქმის გავლილი მქონდა, როცა საშინელი ბღავილი გავიგონე. მივხვდი, ყველაფერი გასრულებული იყო. მოვბრუნდი, დერეფანში ხელებგაშლილი ზაზა ჩემკენ მორბოდა ბღავილით, ოზო, ოზო დავილუპეო. მეც აჩქარებული წავედი ზაზასკენ. ზაზა ორივე ხელით მომეხვია და აქვითინდა. მე ძალა და გონი მოვიკრიბე და ზაზას დამშვიდება ვცადე. ცოტა ხანში დეიდების კივილიც გავიგონე, ლამარას პალატაში შესულიყვნენ და დისშვილს გამწარებულები ხმამაღლა დასტიროდნენ.

მალე ორი სანიტარი მოვიდა და ერთერთმა მათგანმა გაგვიცხადა, მიცვალებული მორგში უნდა გადავასვენოთო. ეს რომ გავიგონე, მხოლოდ მაშინ ვიგრძენი მთელი არსებით, ლამარა აღარ არსებობდა. ზაზა, მგონი, სანიტრების მოსვლამ და სიტყვამ მოიყვანა გონს. ლამარას გადასასვენებლად მოსულები უარით გაისტუმრა, უფრო სწორად, ორივენი პალატიდან იფრინა. იმთავითვე ერთ რამეს ვერ ავუღე ალღო: თითქოს კეთროვანი იყო, მომაკვდავს არავინ ეკარებოდა, არც შინაური, არც გარეული. მხოლოდ ორმა ექიმმა მოაკითხა, ისიც რამდენიმე წამით. მე ზუსტად მივხვდი, ექიმებმა შეამოწმეს, ჯერ კიდევ ცოცხალია თუ გარდაიცვალაო და წავიდნენ, აღარ გამოჩენილან. ყველა გაურბოდა, ყველა თავს არიდებდა. რატომ? იმიტომ ხომ არა, რომ ამ პატარა ქალბატონმა თავი მოიკლა ვიღაც გარეწარი სტუდენტების გამო, რომლებიც ხალხის მტრებად და სამშობლოს მოღალატეებად არიან გამოცხადებულნი?! ეჭვის ეს ჭია მიღრღნიდა გულს და ეს გაუგონა-

 

რი ზნეობრივი სიმხდალე გონებას მიმღვრევდა და მაძაბუნებდა.

ზაზას მამას ორი ახალგაზრდა ვაჟი მოჰყვა, ალბათ ახლო ნათესავები. ეს კაცი იმდენად ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, თავდაპირველად ზაზას უფროსი ძმა მეგონა. ახალმოსულები ენერგიულად დატრიალდნენ და ლამარა შინ გადაასვენეს. არავინ გვჭირდება, მიცვალებულს ჩვენ თვითონ მოვუვლით· თქვა ზაზას მამამ, ჩემი რძლით მე ვამაყობო.

პირველ პანაშვიდზე ოცდაათიოდე კაცი მოვიდა, ეტყობა ყველანი ახლო ნათესავები იყვნენ, მეორეზეც — თითქმის ამდენივე. სოლცარია, თანაკურსელთაგან არავინ გამოცხადებულა. ჩემი ვარაუდი მართლდებოდა, უკვე გასაგები იყო, რატომ აარიდეს თავი პანაშვიდებს შეშინებულმა კურდღლებმა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ ლამარას მამა ერთხელაც არ მოვიდოდა. მე ხომ ვიცოდი· როგორ უყვარდა თავისი ერთადერთი ქალიშვილი, როგორ ეფერებოდა და ანებივრებდა და მაინც შვილის დაკრძალვაზე მოსვლა არ ინება.

დავილალე, გამოვიფიტე, დავიშრიტე. აქაურობას ვერ ვცილდები. გავივლი ცოტას, ქუჩაში ვიხეტიალებ და ისევ აქ ვბრუნდები. ჯიბეში რალაც ფული მაქვს, წაველი ბაზარში და ყვავილები ვუყიდე, მშვენიერი წითელი ვარდები.

დაკრძალვის წინა ღამეს მე და ზაზა ერთხანს მარტო დავრჩით, სამზარეულოში შევედით სიგარეტის მოსაწევად. ლამარას კუბოსთან დეიდები სხედან და ჩუმად ტირიან.

— შენ თუ იცნობდი იმ სტუდენტებს? — მეკითხება ზაზა.

— უმრავლესობას ვიცნობდი· მაგრამ ორი მათგანი ჩემი მეგობარი იყო, ატი შელია და გოგი ზედელაშვილი.

— ლამარა?

— რა, ლამარა?

— ლამარა თუ იცნობდა ატი შელიას ან გოგი ზედელაშვილს? ან რომელიმე იმათაგანს, ვინც დაიჭირეს?

— არა, არ იცნობდა.

— ნამდვილად იცი?

— რა თქმა უნდა, ისე რატომ ვიტყვი?

— ფანტასტიკური გოგო იყო!... ქვეყნად არავინ მყვარებია ისე, როგორც ლამარა.

უცებ გავიფიქრე, ატიმ და გოგიმ ეს ამბავი რომ გაიგონ, ნეტავი რას იტყვიან მეთქი.

— მე ხომ ვიცი· ატი შელია და გოგი ზედელაშვილი, ადრე თუ გვიან, დაბრუნდებიან. ერთი სათხოვარი შემისრულე, როცა უნდა დაბრუნდნენ, თუნდაც ოცი წლის შემდეგ, გამაცანი. მეც მინდა ეგეთი მეგობრები მყავდეს.

— ეგ ადვილი სამსახურია, ოღონდ დაბრუნდნენ და იმავე დღეს გაგაცნობ

— ჩვენ ვილოცოთ მათი დაბრუნებისათვის!

„ვილოცოთ მათი დაბრუნებისათვის!“ ჩემი ტოლისაგან პირველად მესმოდა ეს სიტყვები. სიტყვა „ვილოცოთ“ ჩემს ლექსიკონში ანუ ჩემი თაობის სამეტყველო ლექსიკონში არ ეწერა და ახლა რომ გავიგონე, რალაცნაირად ამაღელვა· თან დამამშვიდა, თითქოს ჭრილობაზე სალბუნი დამადეს.

იმავე საღამოს მამამ ჰკითხა ზაზას, თუ ასეთი მეგობარი გყავდა, აქამდე რატომ არ გაგვაცანიო. ჩვენ სულ ახლახანს დავმეგობრდითო, უპასუხა შვილმა. მერმე ზაზას მამა მე მომიბრუნდა და მითხრა, ჩვენი სახლის კარი შენთვის ყოველთვის ღია იქნებაო. მადლობა მოვახსენე და ისევ სინდისმა დამიწყო ქენჯნა, თითქოს ჩემი თავი უზნეობაში ვამხილე. მეჩვენებოდა აქ ყოფნის უფლება არ მქონდა და ზაზას კეთილშობილებას ბოროტად ვიყენებდი. აშკარად ვგრძნობდი, ჩემში რალაცას ვერ მოვერიე, ვერ გავეცალე აქაურობას· თითქოს მოულოდნელად აღმოვჩნდი მოჯადოებულ წრეში, საიდანაც თავის დაღწევა მე არ შემეძლო.

თუმცა იქნებ აქ ყოფნით მე ვცდილობდი იმის მონანიებას, რის გამოც ასე მტკივნეულად მქენჯნიდა სინდისი. მე ვილოცებ, ვფიქრობდი, ჩემი და ლამარას სულების ხსნისათვის ისევე, როგორც ატი შელიასა და გოგი ზედელაშვილის დაბრუნებისათვის. მეც ხომ იქა ვარ, იმათთან, ატისა და გოგისთან, მე მხოლოდ დროებით დამტოვეს გარეთ, სანამ გაიგებენ, რომ საზას არსებობა მთელი შეგნებით ვაღიარე. იქნებ მე თვითონა ვარ თეთრი ცხენი, რომელსაც გადაშენებას უპირებდნენ და ვერ გადააშენეს? თუ ლამარამ თავი მოიკლა იმათ გამო, თავი მოიკლა ჩემ გამოც, რადგან მე ვიყავი პირველი, რომელმაც ლამარას მამა სტუმრებისა და ოჯახის წევრების წინაშე ამხილა. ჩემი აწეწილი და დაბნეული ფიქრებით ვცდილობ ჩემი აქ ყოფნის გამართლებას, თან იმასაც ვგრძნობ, ზაზა სანებლიძეს ჩემი აქ ყოფნა ერთგვარ შვებასა ჰგვრის.

დაკრძალვის დღეს მომსვლელებმა ცოტათი იმატა. ლამარას რამდენიმე თანაკურსელმაც გაბედა მოსვლა, გულწრფელად შეწუხებულებმა შემოუარეს კუბოს და გარეთ გამოვიდნენ. მე, რა თქმა უნდა, ვერ მიცნეს. ჩემდა გასაოცებლად კიბეზე ამომავალი ლიუ დავინახე. მე სადარბაზოში, კართან ვიდექი, თვალი გავაყოლე და როცა ბინიდან გამოვიდა, შევაჩერე, შენ აქ რა გინდა მეთქი. უცებ ვერ მიცნო, რა სხვანაირად გამოიყურები, ავად ხომ არა ხარო, მკითხა გაკვირვებულმა. მერმე განზე გამიხმო.

— ქალაქში ხმაა დარხეული, იმათ გულისთვის ერთმა სტუდენტმა გოგომ თავი მოიკლაო. მეც გამოვიარე, მინდოდა გამეგო, ვინ იყო ის გოგო, ვინც ჩვენი ბიჭების გამო თავი გაწირა. იმასაც ამბობენ არცერთს არ იცნობდაო.

— კი, ეგრე იყო. — დავუდასტურე ლიუს.

ლამარას გადიდებული სურათი უნახავს და ძალზე მოსწონებია, ლამაზი და ჭკვიანი გოგო ყოფილაო. ლიუ ზუსტად ამჩნევს ყველაფერს. სურათზე ლამარა მართლაც ლამაზი და ჭკვიანია, როგორიც ცხოვრებაში იყო. შეშფოთებული მიდის. დარწმუნებულია, რომ მე ავადა ვარ და მკურნალობა მჭირდება. ქუჩაში დაგელოდებიო, მეუბნება ლიუ. მე გავუღიმე და დავამშვიდე, ნუ გეშინია მეთქი.

ლამარას გასვენების დრო მოახლოვდა. სამოციოდე გამსვენებელი მოგროვდა, აქედან უმრავლესობა ქალი იყო. ზაზას მამამ თქვა, მიცვალებული სასაფლაომდე ხელით უნდა მივასვენოთო. კუბოს წამღებნი ცოტანი ვართო, ვიღაცამ შეჰბედა. ჩემ გოგოს კატაფალკზე არ დავასვენებო, ყველას გასაგონად განაცხადა ოჯახის უფროსმა და ამაზე ლაპარაკს წერტილი დაუსვა.

ვაკის სასაფლაო არც ისე შორს იყო, მაგრამ ფეხით მაინც გრძელი და ძნელი გზა გვქონდა გასავლელი. ფალიაშვილის შუა წელიდან მარის (ახლანდელი ილია ჭავჭავაძის) ქუჩაზე ჩამოვასვენეთ პატარა კუბო, რომელიც უფრო ბავშვისას ჰგავდა, ვიდრე უფროსისას და მცირერიცხოვანი პროცესია სასაფლაოსკენ გაუდგა გზას. კუბო ათიოდე კაცს მიგვქონდა, მალ-მალე ვენაცვლებოდით ერთმანეთს და ნელი ნაბიჯით მივიწევდით წინ. ჭირისუფლები, მართალია, ცოტანი ვიყავით, სამაგიეროდ ქუჩის ორივე მხარეს, ტროტუარებზე უამრავი ხალხი იდგა და მზერით მიგვაცილებდა. ეტყობა, ხალხმა იცოდა გამოსვენების დრო და საგანგებოდ გამოვიდა ქუჩაში, ისინი რამდენიმე რიგად იდგნენ და დადუმებულები, თითქოს თანაგრძნობით გამსჭვალულები შემოგვცქეროდნენ. ამ მსვლელობისას ვიღაც ორი ვაჟი გადმოვიდა ტროტუარიდან და შეგვენაცვლა. იმ ორ ვაჟს სხვა ორი მოჰყვა. ვიფიქრე, ალბათ ზაზას ამხანაგები არიან მეთქი, მაგრამ სულ რამდენიმე წამში ქუჩის ორივე მხრიდან

შემოგვემატნენ და შემოგვემატნენ ბიჭები — ჯან-ღონით სავსენი, შეუპოვარნი... კუბოს აღარავინ მიმაკარა, კუბოს გარშემო უკვე ორმოცდაათამდე ვაჟკაცი ტრიალებდა. უკან მოვიხედე. პროცესიაც ერთი ათად გაზრდილიყო და კიდევ ემატებოდა ხალხი. ღმერთო, რა ხდება მეთქი, გავიფიქრე და კუბოსთან მისვლა ვცადე, ვერ მოვახერხე, ყოველი მხრიდან უამრავ ღონიერ ხელს პატარა კუბო ცაში აეზიდა. უცებ მომეჩვენა, კუბო არკი მიჰქონდათ, არამედ თავისით მისრიალებდა ლურჯ სივრცეში და მაღლა აშვერილი ათასი ხელი კუბოს ებლაუჭებოდა, როგორც იმედს, როგორც სასოებას.

გულმა მიმტყუნა, მაგრამ ეს იყო სიხარულის ცრემლი, ცრემლი იმის გამო, რომ სულ არ ჩავშვებულვართ, არ დავცემულვართ, არ დავკნინებულვართ, ჯერ კიდევ ვარსებობთ და იმედით ვსულდგმულობთ. მე ვხედავდი სივრცეში აღმართულ ხელებს, ძლიერ და მაგარ ხელებს, მე მიყვარდა ის ხელები, როგორც მიწის უკვდავი სულიდან ამოზრდილი ტოტები, რომელზეც პაწაწინა იმედივით ესვენა ლამარა და მარადისობისკენ მიემართებოდა.

სასაფლაოს კარიბჭესთან მისულმა ცხენის ჭიხვინი გავიგონე. ეს იყო თეთრი ცხენის ჭიხვინი. არა თუ გავიგონე, ნათლად დავინახე თეთრ ცხენზე მჯდარი მხედარიც, მან ერთი წამით გადმოგვხედა. ლურჯ სივრცეში ხელი აიქნია და გაუჩინარდა.

18

ბარბაცით გამოვედი სასაფლაოდან და მარტო დავუყევი ქუჩას, ცეცხლი მეკიდებოდა, შიგნიდან ვიწოდი. გზაში ვიგრძენი, ვიღაც მომყვებოდა. მიხედვისა მეშინოდა, არ ვიცოდი და არც მინდოდა გამეგო, ვინ მომდევდა. შეიძლება, არც მომდევდა, ისიც ჩემსავით ცუდად გახდა და იქაურობას გაერიდა. უკან არ მიმიხედავს, ჩემთვის მივდიოდი, უფრო — მივბარბაცებდი თუ მივბანცალებდი. თანამგზავრის თანხლებით როდემდე ვივლიდი, სადამდე მეყოფოდა გამძლეობა? ქალაქის კიდიდან ჩემ სახლამდე წარმოუდგენელი გზა მქონდა გასავლელი. ცოტაც და წავიქცეოდი. ახლო-მახლო სხვა არაფერი იყო და ხეს მივეყუდე, სულს მოვითქვამ მეთქი.

— შენ ავადა ხარ, ოზო! — ხმა როგორღაც მეცნო.

ხეს მიყუდებულმა ზურგს უკან გავაპარე მზერა, მაინც ვნახავ, ვინ არის მეთქი და სულ ახლოს ლიუ დავინახე, შეწუხებული და შეშფოთებული.

— შენა ხარ, ლიუ? მე მეგონა, წახვედი.

— იქვე შეგატყვე, სიცხე რომ გქონდა. შენ უნდა დაწვე, ოზო, თავს მოუარო.

— შინ წამიყვანე, ძალიან მიჭირს სიარული, ლიუ.

— წაგიყვან, მაშ, რისთვის წამოგყევი.

ლიუ სამი დღე არ მომშორებია, ექიმი მომიყვანა, მივლიდა, წამლებს მასმევდა, მეზობლებიც დამასია. ცოტათი რომ მოვმჯობინდი, მკითხა, ვინა ხარ, რა ხარ, არც ნათესავი გყავს, არც მახლობელიო. მე გამეღიმა და გავეხუმრე, ჩემი ნათესავიცა და მახლობელიც შენა ხარ მეთქი. უკანასკნელი ფულით ლამარას ვუყიდე ვარდები, ლიუ მაჭმევდა და მასმევდა. ყველი და კარაქი მოიტანა და ჩაის ერთად შევექცეოდით. ეტყობა, ძალიან გიყვარდა ლამარა, სიცხეს რომ აგიწევდა, სულ ლამარას აბოდებდი. მართლა ასე გიყვარდაო, ცნობისწადილს ვერ იკავებდა ლიუ.

— კი, ერთ დროს ძალიან მიყვარდა.

— მერმე რატომ მიატოვე?

— რაღაც მოხდა. ერთად ყოფნა არ გამოგვივიდა და დავშორდით.

— ატისა და გოგის მართლა არ იცნობდა?

— გითხარი, არ იცნობდა მეთქი.

— იმათი გულისთვის, მაშ. რატომ მოიკლა თავი?

— ეგ ძალიან რთული ასახსნელია და იმედი არა მაქვს, რომ მე შევძლებ მაგის ახსნას. გეთანხმები, უცნაური და აუხსნელი რამ მოხდა, მისთვის უცნობი სტუდენტების გამო, ქალმა თავი მოიკლა.

— მეცოდება. რა პატარა კუბო იყო...

ლიუმ ფეხზე დამაყენა და ახლა უკვე მარტოც მტოვებდა. საღამოობით გარეთ გავდიოდი, აივანზე მდგარი მტკვრიდან მობერილი ნიავით ვსულდგმულებდი. ერთი რამ მიკვირდა, სალომე ერთხელაც არ გამხსენებია, არ მომნატრებია, არ მომნდომებია მისი სიახლოვე. ლამარას სიკვდილსა და ჩემს ავადმყოფობას ვაბრალებდი. ცოტას კიდევ მოვმჯობინდები და მერმე ვინახულებ მეთქი, ვფიქრობდი აივანზე მდგარი. ახლაღა გამახსენდა, უნივერსიტეტში მისული რომ დამინახა, როგორ გაუხარდა და ჩამეხუტა. თუ თავს კარგად ვიგრძნობ, ხვალ უნივერსიტეტში უსათუოდ წავალ მეთქი, გადავწყვიტე. ამდენი ხანი ლექციებს ვაცდენ და შეიძლება გამრიცხონ კიდეც, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც კომკავშირელთა საყვარელი არსება ჰიპი დავითაია შეურაცხვყავი.

მეორე დღეს კოლმეურნეობის მოედანზე ხუთ ნომერ ტრამვაიში ჩავჯექი და უნივერსიტეტისკენ წავრიხინდი. უნივერსიტეტთან მისულმა ვიგრძენი, იმ შენობაში შესვლა არ მინდოდა, იქ არავინ მელოდებოდა. არც ატი, არც გოგი, შეიძლება ითქვას, არც სალომე. იქ ჩემთვის მტკივნეული სიცარიელე იყო და ტრამვაიდან გადმოსვლის სურვილიც არ გამჩენია.

არც ჩამოვსულვარ, გავყევი ბოლომდე. მაშინ „ბოლომდე" სტუდქალაქამდე მისვლას ნიშნავდა, იმის იქით ტრამვაი არ მიდიოდა, საერთოდ ყველა სახის ტრანსპორტი სტუდქალაქიდან უკან ბრუნდებოდა, ცხადია, თუ წყნეთში ან ბაგებში ან სასაფლაოზე არ აპირებდა წასვლას. ბოლო გაჩერებაზე ჩამოვედი და პირდაპირ სასაფლაოსკენ გავემართე, თითქოს თავიდანვე ასე მქონდა გადაწყვეტილი. შემოდგომის დღე იყო, ოქტომბერი იწურებოდა, თბილი, წყნარი, ოქროსფერი. სხვაგანაც თუ დგება ასეთი შემოდგომა, არ ვიცი, თბილისში კარგა ხანია დაიწყო ოქროცურვილი დღეები და დასასრული არ უჩანდა, თუმცა ნოემბერი კარს მოგვდგომოდა.

სასაფლაოსკენ მივდივარ. ლამარას დაკრძალვის დღეს ავად ვიყავი და კარგად ვერ განვიცადე, რაც უნდა განმეცადა. სრულად ვერ აღვიქვი, ვერ გავიაზრე ის, რაც მოხდა. არადა მოხდა საშწაული. ლამარა ჩემთვის მიუწვდომელი და მიუღწეველი აღმოჩნდა, ჩემგან შორს წასულს მხოლოდ სიცხიანი მზერით ვაცილებდი.

იმ დღეს სიკვდილის სიდიადე ვიგრძენი და ისიც, რომ ქვეყანაზე მარტოდ მარტო არ დავრჩენილვარ. ქუჩაში ლამარას გასაცილებლად გამოფენილი ხალხი ატისა და გოგის ამოუდგა მხარში, რადგან ნამდვილი ჭირისუფლები ატი შელია, გოგი ზედელაშვილი და მათთან ერთად აყვანილი ბიჭები იყვნენ. მე ვილოცებ მათი დაბრუნებისათვის, უსათუოდ ვილოცებ! გმადლობ, ზაზა სანებლიძევ, კიდევ კარგი, შენ არსებობ ამ ქვეყნად. მე არ მჯერა, რომ შენ კაცის მოკვლა შეგიძლია. თუმცა გამწარებული იმუქრები. ვინც სხვისი გადარჩენისთვის ილოცებს, ის სასიკვდილოდ ვერ გაიმეტებს თუნდაც გარეწარს. მაგრამ... არც ის მეგონა, თუ ლამარა თავს მოიკლავდა. ეს პატარა და პაეროვანი არსება, ქვეყნად სიყვარულისა და სილოცხლისათვის მოსული, თავის თავში თურმე ჯიუტად ატარებდა სიკვდილს.

სასაფლაოზე შევედი. ზუსტად აღარ მახსოვდა, სად დავასაფლავეთ ლამარა, ოდნავ დაბნეული დავდიოდი და ვეძებდი, სადღაც აქვე უნდა ყოფილიყო, ბებერი კიპაროსების მახლობლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს და ბოლოს მივაგენი, თუმცა დიდხანს არ მიძებნია. საფლავის ბორცვთან მამაკაცი ჩემკენ ზურგშექცევით იდგა და მაინც ვიცანი, ეს იყო ლამარას მამა. ერთად ერთი ქალიშვილი არ დაიტირა, პანაშვიდებზე მობრძანება არ ინება, არც დაკრძალვაზე, საქვეყნოდ შეირცხვინა თავი და ახლა ყველასაგან დამალულად მოსულა, სულ მარტო დგას დარბეული და დაბეჩავებული... რისი ეშინოდა, ამაზე უარესი რა ელოდა, რა უნდა დამართნოდა?!

ბებერ კიპაროსებს მოფარებული გავყურებდი ამ ჩია, მხრებში მოხრილ კაცს, რომელიც ქალიშვილის საფლავს დამტერებული გაუნძრევლად იდგა. ჯერ ვიფიქრე, როგორც მოვედი, ასევე ჩუმად გავეცლები სასაფლაოს, ალბათ ასეთ მამასაც აქვს უფლება, თავისი შვილი დაიტიროს მეთქი. მაგრამ იქვე აღმოვაჩინე, ჩემი ფიქრები და ზრახვები ჩემს მოქმედებასა და მოძრაობას არ ემთხვეოდა. იმის ნაცვლად, უკან რომ გავბრუნებულიყავი, თავხედურად გამოვცდი კიპაროსებს და ლამარას საფლავთან მივედი, პირდაპირ მივადექი თავზარდაცემულ მოხუცს. მეგონა, ახლაც გახტებოდა უკან და რევოლვერს დამიძრობდა. უკან კი გადადგა ნაბიჯი, მაგრამ იარაღი არ ამოუღია.

— ვინა ხარ, რა გინდა?!

— ვერ მიცანით, ბატონო ვარლამ?

— ვერა, ვერ გიცანი! — თითქმის იყვირა.

სულ დაპატარავებულა, დაჩიავებულა. წვერმოშვებული დარბეულსა და გაპარტახებულსა ჰგავს, დაღარაჯებული ეჭვიანად აცეცებს თვალებს. მიცნო, როგორ ვერ მიცნო, მაგრამ ისე უჭირავს თავი, თითქოს პირველად მხედავს. მე გულხელდაკრეფილი უტიფრად ვდგავარ და მინდა ეს კაცი აქედან გავაძევო. ფარულად ვებრძვი და წინდაწინვე ვიცი, გავიმარჯვებ, რადგან ის უბრძოლველადაც დამარცხებულია.

— თქვენ ხომ დურმიშხან წილოსანის მეგობარი ხართ? — მეკითხება მოულოდნელად.

— ღმერთმა დამიფაროს! მე არასოდეს ვყოფილვარ დურმიშხან წილოსანის მეგობარი. მაგრამ.. რამდენადაც ვიცი, თქვენ იშვილეთ ეგ ვაჟბატონი.

ლამარას მამამ ერთი ამოიგმინა და ზურგი შემაქცია. ეტყობა, ჩემი სიტყვით გამოწვეულმა ეფექტმა გამიტაცა და უფრო ღრმად შევტოპე:

— სხვათა შორის, თვითონ ავრცელებს ამ ხმებს.

— მოვკლავ! — განწირულის ხმით იყვირა და მოკლე, სწრაფი ნაბიჯით გაეცალა საფლავს, ხეებსა და საფლავებშორის გაუჩინარდა.

ვერ ვიტყვი, ჩემი საქციელით კმაყოფილი დავრჩი მეთქი. ლამარას მამა რომ წავიდა, ჩემი სიტყვაცა და პასუხიც უზნეობად მომეჩვენა და გულზე ნაღველი შემომაწვა. ლამარამ ერთხელ უკვე მაპატია მამამისის შეურაცხყოფა. ახლა რას იზამს, არ ვიცი. ის გავაძევე და მე დავრჩი, თითქოს მარტო მე მაქვს ამ საფლავზე ამოსვლის უფლება. არადა საფლავის ბორცვი მთლიანად დაფარულია ახალი, ცოცხალი ყვავილებით. ეს ყვავილები ერთი და ორი კაცის მოტანილი არ არის, ეტყობა, აქ ხალხი მოდის, ვარდები მოაქვს და სანთლებს უნთებს... ლამარას სულს.

გავლიზიანდი, რისთვისაც ამოვედი სასაფლაოზე, ის გრძნობა ვერ დავიკმაყოფილე. ცხადია, იმისთვის არ ამოვსულვარ, რომ კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავი, ამ ქვეყნად ყველაფერი წარმავალია მეთქი. დაკრძალვის დღეს მომეჩვენა, თითქოს რაღაც დამაკლდა, რაღაც დავკარგე და იმის შევსება და პოვნა მინდოდა.

ნამდვილად არ ვიყავი საბოლოოდ გამოჯანმრთელებული, მაკრიალებდა და მციოდა. ლიუმ არ იცის, სადა ვარ, თორემ გიჟივით მოვარდებოდა და წამიყვანდა. მაინც ვინ არის ეს ლიუ, საიდან გაჩნდა და როგორ მოგვევლინა?

ზოგჯერ მგონია, სულ ჩვენთან იყო, მუდამ ჩვენ შორის ტრიალებდა მისი მზრუნველი სული.

სასაფლაოდან გამოვედი და ტრამვაის გაჩერებისკენ დავეშვი. არც ისეა საქმე, თითქოს უნივერსიტეტი სულ არ მაინტერესებდეს, თითქოს სულერთია, გამრიცხავენ თუ დამტოვებენ. პოლიტექნიკურიდან ხომ გამომაძევეს, ახლა უნივერსიტეტიდან თუ გამრიცხეს, სად წავიდე? სასოფლო-სამეურნეოს მივაკითხო თუ სამედიცინოს? იქნებ ზიზისავით თეატრალურზე ვცადო ჩაბარება?

რა ხდება, უცებ ვერ გავიგე. უნივერსიტეტის წინა ტროტუარი და ეზო გაჭედილია სტუდენტებით. ამდენი სტუდენტი ერთად თავმოყრილი მხოლოდ პარადებზე მინახავს. სადღაც სასულე ორკესტრი უკრავს და ვალსის მელოდია ილვრება. ირგვლივ საზეიმო განწყობილება სუფევს.

უნივერსიტეტის ეზოში შესვლისთანავე ვალიკო ზანგურაშვილი შემეფეთა. რა კარგია, რომ მოხვედი, მითხრა, ორი „მარშიროვკა“ უკვე გააცდინე და დღესაც თუ გააცდენ, უსათუოდ გაგრიცხავენო. ხელი მომკიდა და ისე სწრაფად მიმიყვანა ფილოლოგებთან, აზრზე მოსვლა ვერ მოვასწარი. ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები ქრიამულით შემხვდნენ და მაშინვე კოლონაში ჩამაყენეს.

უნივერსიტეტის შენობიდან ეზოში ჩამომავალ ქვის კიბეზე სასულე ორკესტრი იყო განლაგებული. კიბეზე საქმიანად ადი-ჩამოდიოდნენ გადამდგარი პოლკოვნიკები და პოდპოლკოვნიკები, მთელი სამხედრო კათედრა. შუაში იდგა ამ კათედრის მთავარსარდალი გენერალი, ისიც გადამდგარი.

საშვიდნოემბრო დემონსტრაციისთვის გვწვრთნიდნენ. ასე მარშით, ფეხაწყობილად უნდა ჩაგვევლო ტრიბუნის წინ და თუ იქიდან მოწოდებას ანუ ლოზუნგს გვესროდნენ, ჩვენ აქედან „ვაშას“ ძახილით მივეგებებოდით. შეძახილშიც გვწვრთნიდნენ, ერთხმად და ერთსულოვნად უნდა გვეყვირა: „ვაშააა!“

უნივერსიტეტის შენობის [illegible] გაილო, კიბეზე, სამხედროების გვერდით განლაგდნენ რექტორატი, პარტიული და კომკავშირული მუშაკები.

ერთი წამით ყველაფერი მიყუჩდა. მერმე სასულე ორკესტრმა მარში დასცხო და სტუდენტთა კოლონები ადგილიდან დაიძრა. ფაკულტეტების მიხედვით ვიყავით დალაგებულნი, ზემოდან ანუ კიბიდან ადვილად რომ გაერჩიათ, ამა თუ იმ ფაკულტეტმა როგორ ჩაიარა. ჩვენს კოლონას სამხედროყოფილი, ყოფილი სერჟანტი ჭიჭი დავითაია ხელმძღვანელობდა. იგი გვერდზე მოგვყვებოდა და შენიშვნებს გვაძლევდა, სწორება იყოს, ერთმანეთს ფეხი აუწყვეთო. „ტრიბუნას“ რომ ჩავუარეთ, რომელიღაც პოლკოვნიკმა თუ პოდპოლკოვნიკმა დაგვჭექა, არ ვარგაო. კიბისკენ მზერა გავაპარე და სალომე დავინახე, იქ იდგა მომღიმარი. სალომეს იქ დგომა, თითქოს მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც ელდა მეცა.

ეზო გავიარეთ და ქუჩაში გავედით, ტროტუარს გავყევით მარჯვნივ და უნივერსიტეტის შენობას უკნიდან შემოვუარეთ. კიდევ ერთხელ უნდა გაგვევლო ეზო და თუ უმაღლესი მთავარსარდლობას არ დააკმაყოფილებდა ჩვენი სამხედრო წრთობა, უსასრულოდ მოგვიწევდა წრეების დარტყმა.

ვილაცამ უკნიდან დაიძახა, ჭიჭი, შე ძველოო. ჭიჭი დავითაია შეხტა და მუშტი მოგვიღირა ყველას, რადგან დამძახებელი ვერ აღმოაჩინა, მერმე ისევ ვილაცამ უკნიდან სარმა გამოჰკრა და ჭიჭი დავითაია მიწაზე გაშხლართული დავინახე, სწრაფად წამოხტა, შარვალ-ხალათი ხელით ჩამოიფერთხა და, კითომც არაფერი მომხდარა, თავისი საქმე განაგრძო. სხვები სიცილით იგუდებოდნენ, მე ჭიჭის საცოდაობა არ მაცინებდა, ახლა პანჩურიც რომ ამო-

გექრა. შარვალზე მხოლოდ ხელს ჩამოისვამდა, ხომ არ დამესვარაო.

— ჰიჰი დავითაია, სულს ამოგხდი, შე დამპალო! — არ ასვენებენ სტუდენტები.

„ტრიბუნასთან“ მეორედ გავლის სიკვდილი მერჩია. იქ სალომე იდგა, ზემოდან მადევნებდა თვალს. გახარებული და კმაყოფილი იყო, რადგან მეც ფერხულში ვიყავი ჩაბმული, კოლონაში ვიდექი და ფეხაწყობილი მივაბიჯებდი, ყველასთან ერთად ვყვიროდი „ვაშას“...

— არ ვარგა! — ისევ დაგვჭექა პოლკოვნიკმა, როცა „ვაშა“ არ გამოგვივიდა.

მესამე წრის დასარტყმელად წავედით.

— ერთი, ორი! ერთი, ორი! სწორება რიგებში! — გვიყვირის ჰიჰი დავითაია და გამართული მხედრული ნაბიჯით გვერდზე მოგვყვება. რაც გინდა, ის შეუძახე, გინდ სარმა დაუდე, მისთვის სულერთია, მაინც ფეხზე დგას, შეუპოვრად მიიწევს წინ. — ერთი, ორი! ერთი, ორი! სწორება რიგებში!

უკვე რამდენჯერმე შეიკრა წრე და მეჩვენება, თითქოს ამ წრეში დაუსრულებლად ვტრიალებთ. მაკრიალებს და გული მერევა. დარეტიანებული მივდივარ, მივაბიჯებ... სალომე იქ არის, იქ, ქვის კიბეზე დგას და დამშვიდებული იღიმება, რაჰან კოლონის რიგებში ჩაჭედილს მხედავს, თვინიერად, ფეხაწყობილად მიმავალს. სალომესთვის ალბათ მეც იქა ვარ, იქ, სადაც მისი აზრით უნდა ვიდგე, გათანაბრებული, ნიველირებული, განურჩეველი. იქნებ ამიტომაც შემომცქერის კმაყოფილი... ერთი, ორი! ერთი—ორი! სწორება რიგებშიო, არ მეშვება ჰიჰი დავითაია. ეს „სწორება რიგებში“ მაინც რა ოხრობაა!

— ფილოლოგები, არ ვარგა!

— ისტორიკოსები, არ ვარგა!

— ფილოსოფოსები, არ ვარგა!

პოლკოვნიკებს არ მოეწონათ ჩვენი სწორება, არც ჩვენი შეძახილი. ყველაფერი თავიდან იწყებოდა. „შენ გგონია მარტო მე ვარ პირობით [illegible] გამოშვებული? შენც, ატიც, გოგიც, ლუკაც, სხვებიც... ასობით და ათასობით ადამიანი... თითქმის ყველანი პირობითა ვართ პატიმრობიდან გათავისუფლებულნი, თუ ვაღიარებთ საბას არსებობას, უკანვე დაგვაბრუნებენ.“ „ერთი, ორი! ერთი, ორი, სწორება რიგებში!“ „სულს ამოგხდი, ჰიჰი დავითაია, შე გარეწარო!“ „სწორება რიგებში! სწორება რიგებში! სწორება რიგებში!“

— არ ვარგა!

— არ ვარგა!

— არ ვარგა!

ისევ დაიძრა ბნელი სივრციდან უზარმაზარი ხეები... თავბრუდამხვევი სისწრაფით მოჰქროდნენ და ჩემ წინ იცელებოდნენ. ამჯერად ვიცანი, ნამდვილად ვიცანი... ანანოს თუთის ხეები... უზმოდ გაზრდილმა, ტოტებგაბარჯღულმა თერთმეტმა ხემ თერთმეტჯერ ჩამომიქროლა და ჩემ წინ თერთმეტჯერ გაწვა მოცელილი. ყოველი ჩამოქროლება საშინელ ტკივილს მაყენებდა, როგორც საყვარელი ადამიანის სიკვდილი.

— არ ვარგა!

— არ ვარგა!

— არ ვარგა!

დავიღალეთ და გამოვთაყვანდით „ლაპარაკი! სწორება რიგებში! ერთი, ორი! ერთი, ორი!“ ჰიჰი დავითაია მხრებგამართული მიაბიჯებს. გამოსავათებულებს გვინდა, ეს ჯოჯოხეთი მალე დამთავრდეს. მარშის ხმაზე ვცდილობთ ერთმანეთს ფეხი ავუწყოთ, რიგებში სწორება იყოს, ერთსულოვნად ვიყვიროთ „ვაშა“. „ერთი, ორი! ერთი, ორი!“ ჰიჰი დავითაიას თავი უფრო უბრტყელდება და ცხვირი უსაშველოდ ეზრდება. უკვე დაგვიმორჩილა, თითქმის მოგვათვინიერა. გალაღდა, გათამამდა, ლაპარაკსაც გვიშლის. „ლაპარაკი! სწორება რიგებში!“

— არ ვარგა!

— არ ვარგა!

— არ ვარგა!

წინ, ლურჯ სივრცეში პატარა კუბო მისრიალებს და მაღლა აშვერილი ათასი ხელი ებღაუჭება ამ კუბოს, როგორც პაწაწინა იმედს, როგორც სასოებას. მაღლა აშვერილი ჩემი ხელებიც ვიცანი, რა თქმა უნდა, ატი შელიას და გოგი ზედელაშვილის ხელებსაც ვცნობ, კუბოსკენ აშვერილ ხელებს. „სიარული აღარ შემიძლია, ღიუ, თუ ჩემი დაიკო ხარ, შინ წამიყვანე!“ მაინც მივდივარ, მივაბიჯებ... საიდანღაც სულ ახლოდან ცხენის ჭიხვინი მესმის. ვიცი, ეს თეთრი ცხენია, ვერ ისვენებს. მიწას ტორებს სცემს, ყალყზე დგება და მთელი ხმით ჭიხვინებს... „სწორება რიგებში! ბიჭებო, კიდევ ერთხელ გავიაროთ და მორჩა!“ მცხელა, თავბრუ მეხვევა და ოფლად ვიღვრები.

— არ ვარგა!

— არ ვარგა!

— არ ვარგა!

რკინის გისოსებიან ფანჯრიდან ატი შელია და გოგი ზედელაშვილი იხედებიან, ატი ხმამაღლა იცინის, ჭახჭახი გაუდის მის ხმას, თან თანაგრძნობით მეკითხება, რას გავხარ ბიჭო, რა დღეში ხარ ჩავარდნილიო. ოფლს ხელით ვიწმენდ და მივდივარ, ოღონდ სხვა გზით მივეშურები. ლასლასით ვტოვებ კოლონის აწყობილ რიგებს და ბარბაცით მივაბიჯებ. ხეებს ვეჭიდები, ჩაჩოქილი ისევ ვიმართები და მივდივარ. საით? არ ვიცი. ვიცი, რომ კოლონას თავი დავაღწიე და ბედნიერი კაცივით ვიღიმები. წინ ოღრო-ჩოღრო გზებია. ორმოები, საშინელი დაღმართი, მაგრამ მე იქ აღარა ვარ. იქ, სადაც უნდოდათ, რომ ვმდგარიყავი. ორმოში ფეხი ჩამივარდა, ხელებგაშლილი ვეცემი და უფსკრულისაკენ თავპირის ლეწვით მივექანები. მერმე ზევით მივცოცავ, ბალახსა და ბუჩქებს ვებღაუჭები. წამოდგომა მინდა და ვერ ვახერხებ. ირგვლივ ბნელდება. ტკივილისაგან გონებას ვკარგავ...

არ ვიცი, რამდენი ხანი ვეგდე უგონოდ. ბურანში ჩემი სახელი დამიძახეს, თითქოს ძალიან შორიდან შემომძახეს: „ოზო! ოზო!“ მერმე სახეზე ხელის ტყაპუნიც ვიგრძენი.

— ოზო, ოზო, ნუ გეშინია, მე ვარ, მერაბი, მერაბ ყანჩაველი ვარ, ბიჭო, აქ რა გინდა, აქ საიდან მოხვდი?!

თვალი გავახილე. ბურუსიდან მერაბ ყანჩაველის სახე გამოიკვეთა, შეძრწუნებული დამცქეროდა, თან სველი ჩვრითა თუ ცხვირსახოცით სახიდან მტვერსა და ჭუჭყს მაშორებდა.

გულალმა ვიწექი და ვიღიმებოდი.

P. S. ათას ცხრაას ორმოცდაათი წლის გაზაფხულზე, მგონი, აპრილის შუა რიცხვები იყო, ზაზა სანებლიძემ უნივერსიტეტში მომძებნა, გვერდზე გამიხმო და მკითხა, გაიგე, რა მოხდაო, არა მეთქი, ვუპასუხე და თვალებში მივაჩერდი.

— გუშინ წინ ღამით დურმიშხან წილოსანი მოუკლავთ, შიგ სახეში დაუხლიათ რამდენიმე ტყვია.

— არა, არ გამიგია.

— კი, მოკლეს. — ზაზამ თვალი ამარიდა. — გახსოვს, ერთხელ გითხარი, თუ გაიგებ, რომ დურმიშხან წილოსანი მოკლეს, მკვლელი მე ვიქნები მეთქი.

— ძალიან კარგად მახსოვს.

— ახლა გეუბნები, ოზო. დურმიშხან წილოსანი მე არ მომიკლავს.

— ვიცი.

— დამიჯერე, მე ვერ მოვკლავდი კაცს, თუნდაც ის დურმიშხან წილოსანი ყოფილიყო.

— ნუ ღელავ, მე ვიცი, ვინც მოჰკლა დურმიშხანი.

— ვინ მოჰკლა?!

— შენც კარგად მოგეხსენება და, თუ ღმერთი გწამს, ტყუილად ნუ მალაპარაკებ.

— ღმერთმანი, არ ვიცი.

— ლამარას მამამ.

— ლამარას მამამ?!

— მაშ, რა გეგონა? ამის დასამტკი-

ცებლად საბუთები არ მეყოფა, მაგრამ ეგრეა! შარშან მარტო ავედი ლამარას საფლავზე, თუ გახსოვს, გითხარი კიდეც, იქ ვნახე ლამარას მამა და ორიოდე სიტყვაც ვუთხარით ერთმანეთს. სწორედ მაშინ მივხვდი, დურმიშხან წილოსანის თამაში დამთავრებული იყო.

— ვარაზის ხევში უპოვიათ, კანალიზაციის მილებთან ჩაჩეხილი.

ერთი წლის შემდეგ დავამთავრე უნივერსიტეტი და ასპირანტურაში ჩავაბარე მისაღები გამოცდები. ლუკამაც დაამთავრა უნივერსიტეტი, ოლონდ ალმა-ატაში. ნანისთან დაქორწინებას აპირებს და საქართველოში დაბრუნების იმედს არ ჰკარგავს.

ატი შელიას და გოგი ზედელაშვილს ოცდახუთ-ოცდახუთი წლის პატიმრობა მიუსაჯეს და შორეულ აღმოსავლეთში გადაასახლეს, სასამართლო დახურულ დარბაზში მიმდინარეობდა და ვერავინ გაიგო, რა დააშავეს ბიჭებმა, რატომ დასაჯეს ასე მკაცრად.

დადგა ათას ცხრაას ორმოცდაცამეტი წელი და ადრიან გაზაფხულზე ყველასთვის მოულოდნელად გარდაიცვალა იოსებ სტალინი, მსოფლიოს ხალხთა ბელადისა და მასწავლებლის მზე სამუდამოდ ჩაესვენა. ამ ქვეყნიდან წავიდა ყველაზე დიდი და უცნაური უზურპატორი, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვდა. მთელი საბჭოთა კავშირი და, ცხადია, საქართველოც გლოვობდა ამ უბედურებას.

უნივერსიტეტმაც გამოიგლოვა საყვარელი ბელადი, რომლის სახელსაც მრავალი წლის მანძილზე ამაყად ატარებდა.

სააქტო დარბაზი შავი ძაძებით იყო მორთული. შუა სცენაზე დიდი ბელადის უზარმაზარი სურათი, რა თქმა უნდა, შავ არშიაშემოვლებული, ცოცხალ ყვავილებში ჩაემარხათ. დარბაზში ამ უეცარი და მოულოდნელი გარდაცვალების გამო თავზარდაცემული ადამიანები დამუნჯებულებივით ისხდნენ, ქალებს ცრემლები ღაპაღუპით სცვიოდათ, მამაკაცები სტოიკურად იტანდნენ უმძიმესსა და სატანჯველ წუთებს. გვერდზე, კედლის გასწვრივ პროფესორ-მასწავლებელთა გრძელი რიგი იდგა. ისინი ნელ-ნელა მიიწევდნენ წინ, უხმოდ ადიოდნენ სცენაზე და დიდი ბელადის პორტრეტის მარცხნივ და მარჯვნივ (ოთხ-ოთხნი) საპატიო ყარაულში დგებოდნენ. საპატიო ყარაული ყოველ ორ წუთში იცვლებოდა.

მერმე დაიწყო სამგლოვიარო მიტინგი.

აქ ერთი რამ უსათუოდ უნდა აღინიშნოს: თუ ჩვეულებრივსა და საზეიმო მიტინგებზე ხალხი თავის დამოკიდებულებას ორატორის მიმართ ტაშით და შეძახილებით გამოხატავდა, ამ სამგლოვიარო მიტინგზე უნივერსიტეტელები ემოციებს მხოლოდ ქვითინითა და სლუკუნით ამჟღავნებდნენ. თუ დიდი ქვითინი და სლუკუნი ატყდებოდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ სამგლოვიარო მიტინგზე წარმოთქმულმა სიტყვამ დარბაზში მსხდომთა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. მარტო სიტყვა არ იწვევდა ასეთ რეაქციას, იმასაც ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა, ვინ გამოდიოდა. როცა ცნობილ, საყვარელ და პოპულარულ პიროვნებას გამოაცხადებდნენ, ხალხი მას სცენაზე გამოჩენისთანავე ხანგრძლივი და გულისშემძვრელი ქვითინით ეგებებოდა.

გამოდიოდნენ: აკადემიკოსები, პროფესორები, დოცენტები ანუ დოქტორები და კანდიდატები, ლაბორანტები, ასპირანტები, სტუდენტები და, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის ლიტერატურული წრის წევრი პოეტები. იმ დროს უნივერსიტეტში ყველაზე მეტად ორი ახალგაზრდა პოეტი იყო ცნობილი და პოპულარული. ერთერთი მათგანის გვარი რომ გამოაცხადეს, მთელ დარბაზში ისეთი გულსაკლავი ქვითინი გაისმა, ქვის გულიან ადამიანსაც შესძრავდა და მსოფლმხედველობას შეუცვლიდა. დამწყები პოეტი გამოვიდა და მოკრძალებით წაიკითხა დიდი ბელა-

დის გარდაცვალებაზე სახელდახელოდ დაწერილი ლექსი. მერმე ასევე მოკრძალებით დაუკრა თავი მგლოვიარე საზოგადოებას და სცენიდან ფეხაკრეფილი გავიდა. დარბაზი გაშრა, უკმაყოფილების ჩურჩული დაირხა. მხოლოდ აქა-იქ რამოდენიმე ქალბატონმა, ყოველი შემთხვევისათვის, წაისლუკუნა. შემდეგ ასპირანტსა და აქტივისტს სტუდენტს მისცეს სიტყვა. დარბაზი უკმაყოფილოდ შეიშმუშნა და აჩოჩქოლდა. ის მეორე პოეტი სად არის, რატომ იმალება და არაფერს ამბობსო, წლების მანძილზე ტაშს ტყუილად ვუკრავდით და ვანებივრებდითო. ბოლოს და ბოლოს იმ პოეტის გვარიც გამოაცხადეს. ეს იყო ნამდვილი სახალხო ქვითინი, დარბაზი სლუკუნის გამო შემკრთალსა და დაბნეულ პოეტს ფეხზე ამდგარი შეეგება, მთელ იმედს მასზე და მის გულისამაჩუყებელ ლექსზე ამყარებდა. საბრალო პოეტი ერთხანს გამოშტერებული მისჩერებოდა დარბაზს, მერმე, როგორც იქნა, ხმა ამოიღო, ძლივს-გასაგონად წაილუღლუღა [illegible] სჯობია, სულაც არაფერი ვთქვაო და წელმოწყვეტილმა დატოვა სცენა. უცებ საქშინთნებლად გამზადებული გულები რისხვით აივსო... თუმცა, რაც იქ მოხდა, იმას მე ვერ ავწერ, ეს ჩემს შესაძლებლობებს აღემატება.

ერთი სიტყვით, სტალინი გარდაიცვალა. სტალინს გლოვობდა საქართველოც, რომლის წიაღიდანაც იყო ამოსროლილი თავად — დიდი ბელადი და მასწავლებელი.

ისიც უნდა ითქვას, ვინც ნამდვილად გლოვობდა და ნამდვილად არ გლოვობდა, ყველა გრძნობდა, რომ მთავარი ურემი გადაბრუნდა და უსათუოდ გამოჩნდებოდა გზა, რაღაც სულ სხვა, ახალი, თუმცა რა გზა იქნებოდა, ეს ნათლად არავის ჰქონდა წარმოდგენილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დარეჯან ბატიაშვილი

# ნაბერალა ფიქრები

ზამთრის დღესავით ამოჰქრა სული
სალარნაკეში ჩარგულ მიმოზას,
ვარდიც იქამდე იკლავდა წყურვილს,
ვიდრე მზე ზენიტს გადავიდოდა.

დავაგროვებდი ფიქრის ნიჟარებს,
მაგრამ ოცნება ფრთებს მალავს მისებრ,
ქარმა შემატა დღეებს სიჩქარე,
თუ სტრიქონები თვით გავაშიშვლე?

ზამთრის დღესავით ამოჰქრა სული
ლარნაკს, რომელშიც იდო ყვავილი,
თვალწინ მიჩნდება ხახა უფსკრულის
და წარმავლობის ვრცელი ყამირი...

* * *

მაქილიკებენ ძილისგუდები,
სიზმრის თვალები მეფეთებიან,
ტკბილმეუფობის იაგუნდები
ღამის სადგურთან შერჩნენ ფერიას.

რა უსაზღვროა ღიმილი სივრცის,
უსაუკუნო სინათლის ჰრილი,
ჟამთა სიმტკნარის მდუმარე ლიცლიცს
თავისკენ ითვლის უდაბნოს მწირი.

თუ დავისვენებ ათასში ერთხელ
(სხვა დროს ჩემეულ აღმართს ხნავს ძალა!),
ეწერ გრძნობებში ვეძებდი ვერძებს,
ცეცხლი ედება სიბნელის ჭალას!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ხაფანგი

ხელში შემიკლა სიმარტოვის ლახვართა ქომ,
გაჩირაღდნებულ გულში ქარის პამპლაუშობამ,
ღმერთს ვევედრები, — ჩემი სწრაფვა არ შეაფერხოს,
თუ მონატრებამ სიმებს გული არ აუჩქროლა.

რიგს სად ვუცადო უმწეოთა მოშლილ წისქვილში,
ბევრი ფიქრისგან ცასაც უხურს რის საფეთქელი,
ყოველთვის მცივა დაბადებულს ცხარე ივლისში,
თუ აეშალა ლაპარაკის ქარს საღერღელი.

ყველა მოვიმკე, დათესილი სიკეთის გარდა,
კალოს კიდეზე მოვაქუჩე ეჭვის ფუჩეჩი
და მიხარია, მოთმინების ძაფი არ გაწყდა,
როცა ცრემლის სმით გაიბერა მიწამ მუცელი.

თრთის სიმარტოვე, როგორც ნაზი ვარდის ფურცელი
და მუდარის ხმა კედლებს იქით არ მიდის არსად,
დაკარგულ ტყვის მოგანატრებს სევდა ულევი,
როცა შენს იმედს სიმარტოვე უკუღმა ფარცხავს!

რის მეჩვენება, ამრეზილი მიყურებს მთვარეც,
ვით გავამტყუნო, თუ ეშმაკიც იცინის ძალით?!
მსხვერპლს ყოველნაირს გავიღებდი, თუნდაც ელვარეს,
რომ სიმარტოვის ხაფანგიდან დამეხსნა თავი!

## პაუზის შემდეგ

მიფანტ-მოფანტა შემოდგომის ფოთლები ქარმა,
დაისადგურა ჩემში უტყვმა გულუბრყვილობამ,
ციმციმ ასწიეს მზის სხივებმა მდინარის კალთა,
პაუზის შემდეგ ცეცხლის ქარმა ისევ იდროვა!..

მე მაოცებდა ორლობეთა მორჩილი ტანი
და ერთ წერტილში თავმოყრილი სინათლის გროვა,
რომ ერთი თავით მაღლა იდგა ჩემზე ცის თალი,
ცისფერ ციფერბლატს უდრტვინველი თვალები ჰქონდა!..

* * *

ბრძოლის უნარი, იქნებ, ღმერთმა მიტომ არ მომცა,
რომ პიტალო კლდის ხასიათი ბედს არ გამოჰყვა,
იქნება უნდა ვყოფილიყავ პირმოთნე ცოტა
და რაიმეში ავყოლოდი ქვეყნის ამორძალს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შევინარჩუნე გარეგნულად თუმცა სიმშვიდე.
მაგრამ ჩქარ სუნთქვას ისე ვიქნევ, როგორც მარაოს
და სიმწრისაგან აღარ მახსოვს, რაც წინ ვიფიქრე.
მეხსიერება ახლა უფრო ხშირად მღალატობს!

ბავშვობის მთვარე წუხელ ცაზე ისევ ეკიდა,
მე კი ერთი ღლით წინ წავედ და ისე დავბერდი.
უფრო სიკეთეს ველი მჭრელი მაკრატელიდან.
მაგრამ არაფრით თავს არ მიხრის წლების აბედი!..

თითქოს ჩემს იმედს თიკნის ყურიც არ დააკლდებოდეს.
ისე წავიდა უბოდიშოდ ახალგაზრდობა!
ეს არაფერი! ნეტავ ქარი არ ადგებოდეს,
წლებს ვერ ვაჯობე, გამიდის, რომ წლებმა მაჯობა!

* * *

რა პირით მთხოვდა შერიგებას ორპირი ქარი,
როცა დამცადა იქვნეული სიზმრების დელგმამ.
რამდენჯერ წყალში ჩამიყარა წლის მონაგარი.
მე დღესაც მახსოვს ქარისაგან განცდილი სევდა.

სად იყო იგი, როს წინ მედო დანა და ყელი.
მუხაგულ ტყეში მეველეს მთხოვდა გამხმარი მუხა,
განრისხდა ჩემი უძილობის ქარტეხილები
და ქარი ჩემმა უღბლობამ არ შეაწუხა.

ძნელია, როცა ზედმეტ ბარგად გთვლიან ცხოვრების
გადაგითელენ უმოწყალოდ ოცნების საზღვარს.
მე საფიქრალი მექნებოდა მთა თუ ორხევი,
არ ვაკითხებდი წვიმასა და მით უფრო ქარსაც.

რადგან გამხადეს ღამის ცოდვის სახილებელი,
თეთრადა ყრის გულის ველზე ყვავილი თოვლის.
ვეღარ შევავსე დაპირებით ფიქრთა მეჩხერი.
ლამის ქვეყანა შევიკალი მცირედი თხოვნით.

ამყარა გული ცხოვრებაზე გამქრალმა ქარმა.
და აქვითინდა ჩემ წინაშე, ვით მონოლოგი,
ქარმა ამგვარი დამცირება აღარ იკმარა
და ამოიღოლ თვალში ჩემი სურვილიც ნდობის...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## იმირა მამედლი

### კავკასია ჩვენი (დანგრეული) საერთო სახლი

კვლავ ფრთა გაშალა შავმა ფრინველმა,
დანგრეულია ზნე და მორალი;
დანგრეულია ყველა სიმღერა, —
„ბალამ-ბალამ“ და „ჰარი-ჰარალი“.

დანგრეულია ქალი და კაცი,
დანგრეულია სახლი ვერანი...
...ნანგრევებს იქით გამოჩნდა ხეცა,
მას ვერ დაანგრევს ქვეყნად ვერავინ.

### წერილი ციმბირიდან

მოდი და მნახე
როგორ ვარ მხართეძოზე წამოწოლილი;
ხომ გავიშალე
ლურჯ ტატნობზე ბუხრის ბოლივით...,
ოლონდაც ფრთხილად,
არ დამიმსხვრიო სულის სიმშვიდე,
ნაზი ბროლივით...
შენ სულ ცეცხლივით შეკუმშული გინახივარ მე,
მოდი და მნახე
როგორი ვარ მხართეძოზე წამოწოლილი.

* * *

„მოიქეცით მიღებული ცნობებისა და
ადმინისტრაციის ბრძანებების შესაბამისად!“
ასეც მოვიქეცი ისეც მოვიქეცი,
მაინც არაფერი არ გამოვიდა, —
გაიფიქრა წელანდელი სიტყვები რომ წაიკითხა
კედლის პლაკატზე, —
ეხლა ვიქცევი ისე, როგორც
არსად, არავინ, არასოდეს არ მოქცეულა
თუ არაფერი არ გამომივა,
მაშინ ხელახლა
მოვიქცევი მიღებული ცნობებისა და
ადმინისტრაციის ბრძანებების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირობის გამო

ის დადიოდა ყოველდღე მათთან.
და შელანძღული ბრუნდებოდა
თავის ბუდეში...
და ის თავისთავს ჰპირდებოდა
(თითქმის ყოველდღე):
ალარ ვივლიო მათთან ხვალიდან.
და დადიოდა ყოველდღე მათთან.
და ბრუნდებოდა თავის ბუდეში
და თავისთავთან პირგატეხილმა
ბუდეშივე მოიკლა თავი,
რომ ერთხელ მაინც
დამდგარიყო თავის სიტყვაზე
და აღარ ევლო მათთან ხვალიდან...

## სამსახურში

დაიზეპირეს ერთი-მეორე.
გადაილალნენ ერთმანეთის სახეებით და
გაფითრებულნი ჭერს შეჰყურებენ...
...ჭერი თანდათან იბინდება,
სალამოს ცას გავს,
მის ლურჯ ლაჟვარდებს
არწივივით გაჰკვრია ბუზი;
მრგვალი საათი ისე ჰკიდია კედელზე, როგორც
ჩამავალი მზე დასალიერზე...

## ტექნიკის ეპოქა

ეხლა ცხოვრება ისეთი გახდა,
ისე დამძიმდა პოეტის ვალი,
როგორც გზისპირას დამდგარმა კახპამ
წვივები უნდა გამოაჩინო, —
ეგებ მკითხველმა შეგავლოს თვალი...

## პატრიოტი

ერთი ნაცნობი მყავდა, —
იდიოტი,
ცხოვრების წესით პატრიოტი:
თავისი ქვეყნის რუკას იშლიდა
ლოგინივით.
ზედ იძინებდა, —
თავს სამშობლოში ვგრძნობ,
მთელი ღამე — ასე ამბობდა.
დილით ამდგარი
ლოგინივით აალაგებდა ხოლმე სამშობლოს,
ისე, როგორც გლეხი აკეცს მოწეულ ყანას,
საველე ჩანთაში ჩადებდა და
მერე მთელი დღე თან ატარებდა
მშობელ ქვეყანას...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელი ბატიაშვილი

# მთლიანი

(მოთხრობა)

სასაფლაოს რომ დააღწია თავი, ეკლესიას შემოუარა და გზაზე შედგა ფეხი, მომჩვარული ხორცი ელდანაკრავივით დაუფრთხა და ცხენივით შეუხტა ყალყზე. დაღლილი სხეულის ინერცია რომ შეეჩერებინა, ფეხის ქუსლებმა ღრმად ჩაფლა თავი ქვიშაში.

თავდაპირველად ვერ გაიგო რა მოხდა. ხელიდან დამსხლტარი, შეძრწუნებული სხეულის დამორჩილება სცადა. მხოლოდ მომდევნო წუთმა დაანახა, გზაზე, ძალიან ახლოს, გარდიგარდმო გადაწოლილიყო გველი, მიწისფერი და უზარმაზარი. მზეზე უელავდა ქერცლი. დაინახა, როგორ ტოკავდა, მიიზლაზნებოდა, თითქოს მთლიანად კი არ მისრიალებდა, მზეზე გამომწვარი ქერქის შიგნით ზანტად, ნამძინარევად მიერეკებოდა სხეულს, დაიხახა, როგორ გადადიოდა ქვიშაზე. იდუმალი და მღვრიე, ალაგ-ალაგ როგორ ბურცავდა გარსს, ალარ თავდებოდა.

გზას ორივე მხრიდან ბალახი უტევდა, ღონიერი და ხშირი. ქვიშა გამოეძევებინა. შუა გზაზე მიეხვეტა და გამარჯვებული თავმომწონედ დასცქეროდა ზედ. ამ ქვიშაზე მიგორავდა გზა. მსუყე სიმწვანისაგან გარიყული, უსიცოცხლო, დანაკუწებული.

მარჯვნივ, მაყვლის ბარდებში, იკარგებოდა ქვეწარმავლის დინება. მაყვლის მაღალ მყიფე ღეროებს შორის ნაცრისფერი შუქი ჩამდგარიყო, ბარდებს ალაგ-ალაგ შეეფოთლა თავი და მწვანე ქაფივით მოეგდო თხემზე. შარშანდელი ნაყოფი შემხმარიყო ზედ, ჩაკენკილი, ჩაშავებული. ძლივს შესამჩნევი ყვავილით დაენამა სახე.

აყვავებულმა მაყვალმა მოაგონა, ჯერ ისევ გაზაფხული რომ იდგა, თორემ ამ, მთელის ძალით ანთებულ, გაშმაგებულ ცასა და დაუდგრომელ, შფოთიან სიმწვანეს გაზაფხულისა უკვე აღარაფერი ეტყობოდა. ბალახზე მძიმედ ეშვებოდა ეკლესიის ჩრდილი, მაყვლის ბარდებს იქით, ხევგაღმა, მოშიშვლებულ ქედზე მზე ბუღრაობდა. სწორედ იქ, იმ ქედის კალთაზე უნდა მდგარიყო სახლი მისი მამა-პაპისა, მაგრამ აქედან არაფერი მოჩანდა

გველმა თუ შეაშინა, გატრიალდა და ისევ სასაფლაოზე ავიდა.

ბავშვობაში ამოიყვანა აქ მამამ. მაშინ სახლი ჯერ ისევ იდგა. ხალხი კარგა ხნის წინ ჩასულიყო ქვევით, რკინიგზასთან. აქ, ღვთის ანაბარა მიტოვებულ სოფელს უპატრონობა კი დატყობოდა, მაგრამ ჯერ ისევ უძლებდა არყოფნიდან წამოსულ გამაცამტვერებელ დაყინებას, ჯერ ისევ უნახავდა თავის პატრონს.

ახლა კი, სანამ სასაფლაომდე ამოაღწევდა, მთელი სოფელი ამოიარა და ჩაქცეული კედლების მეტი კერაფერი

ნახა. ჯაგნარს ჩაეგდო ხელში მიწა, ეკალ-ბარდს ამოევსო საცხოვრისი. სოფელი უზარმაზარი მხეცის ხახას დამსგავსებოდა, სიკვდილის წინ კრუნჩხვებატანილს, შემაძრწუნებლად რომ დაეღო და ჩაქცეული კედლები ჭიანაჭამი კბილებივით ამოეყარა სინათლეზე.

კიდევ ერთხელ შემოიარა სასაფლაო, ხავსმოდებული, ჩამლილი, სანახევროდ მიწაში ჩაფლული, აყირავებული საფლავის ქვები, კიდევ ერთხელ დააკვირდა თითოეულს, რომელიმეზე იქნებ საკუთარი გვარი ამოეკითხა, ეჭვი აწუხებდა, ნამდვილად მეცვალაო მხარი, ეს არ უნდა იყოსო მამაჩემის სოფელი. თითოოროლა სიტყვის გარჩევა შეძლო მხოლოდ, შენდობაო... უფსკრულს წაველო... იხსენ უფალოო..., მისი გვარი კი არსად იყო.

სიჩუმე და სიცხე ზუზუნებდა ირგვლივ, ორივე ერთად.

არც ეკლესია ახსოვდა ამხელა.

ერთნავიან ბაზილიკაზე, რომლისათვისაც მოგვიანებით გუმბათიც დაედგათ, ბუჩქნარს მოეკიდა ფეხი და ფერდის რამდენიმე ნეკნი ჩაელეწა. სახურავზე მაყვალი აცოცებულიყო და კედელზე გრძლად ჩამოეშვა თავისი მოქნილი, ბწკალი, ღრმად ჩაბღაუჭებოდა ჩამლილ აგურს. გარშემო ეკალბარდს გამეფებაში არაფერი უშლიდა ხელს და ისიც ღვიოდა ვერცხლისფრად.

ახლოს მისვლისა შეეშინდა.

გუმბათის მხრიდან კარი უნდა ჰქონოდა ეკლესიას, მაგრამ მიდგომა შეუძლებელი იყო. ჩრდილოეთიდან წამოსულ ტყეს ამოექოლა იგი, ზედ მიეყარა ნამატი, ხშირი, გაუვალი ისევ სამხრეთიდან სცადა შემოვლა და ქვით მოკირწყლულ ვიწრო ბილიკს მიაგნო, ბალახში ჩაფლულს. მიჰყვა ქვასა და კიდევ ერთი კარი აღმოაჩინა, პატარა, გარედან გადარაზული.

კართან ახლოს კედელში დატანებული საფლავის ქვა დაინახა და ის გაიფიქრა, ჩამოიშლებოდა და შეუყენებდნენო გასამაგრებლად. უაზროდ გადაავლო თვალი ზედ ამოკაწრულ ქართულს და რაღაც ეცნო. ახლა კი ჩაუსაფრდა თითოეულ ნაკაწრს, „აქ საფლავსა ამას შინა... — და საკუთარი გვარი ამოიკითხა, — ბატას ძე გოგია, ვინ წაიკითხოთ, შენდობა ბრძანეთ“.

კედელს მიეყრდნო, გრილი იყო და ესიამოვნა.

კვირიკესი უნდა იყოს ეს ეკლესია, — გაიფიქრა.

ღმერთის მიმართ დამცინავი თუ შემწყანერებელი, ოდესღაც ღიმილით ისმენდა გულისამაჩუყებელ ლეგენდას სამი წლის ბალღზე, მეც ქრისტიანი ვარ რომ ყვიროდა მსაჯულის ხელებში მომწყვდეული. თურმე კიდევ ახსოვდა მამისაგან გაგონილი

მამა...

მამის გახსენება უპირველესად მამის ღიმილის გახსენება იყო. მამის სახე კი არა, ის ღიმილი შემოუტევდა ხოლმე მარტოდ დარჩენილს, ყოველგვარი სახის, ყოველგვარი თვალების გარეშე, გამოყოფილი ადამიანის სხეულიდან, სივრცის საკუთრებად ქცეული. ეს ღიმილი ჰაერივით ერტყმოდა გარს, უნდოდა თუ არა, იმით უნდა ესუნთქა, იმით უნდა ეცოცხლა. აი, თურმე, როგორი ყოფილხარო, — ღვიოდა მის ალმაცერ დინებაში.

სანამ კაცი ცოცხალი იყო, როგორი მკაცრიც არ უნდა ჩვენებოდა ეს ღიმილი შვილს, თან ყოველთვის ახლდა მშობლის სიყვარული. იგი ცოცხალი ადამიანის ნაწილი იყო. მერე, როცა აღსასრულებელი აღესრულა, თითქოს განგებას მიწას ამოფარებისათვის ვერ გაემეტებინა ღიმილი იგი, როგორც რაღაც ღირსეული, ზევით დაეტოვებინა, მშობლის სითბო თუ გულისტკივილი კი ჩამოეცილებინა და „აი, თურმე, როგორი ყოფილხარო“ — გამანადგურებელ დაცინვად ექცია. იგი ახლა სულის გაუცნობიერებელ სიღრმეებს უმღვრევდა და კაცობას უთელავდა.

მერე, როცა ხევში ჩავიდა, რათა მოპირდაპირე ქედზე ასულიყო და მამის ნასახლარი ეხილა, ისევ გახედა

მიტოვებულ სოფელს და ეკლესიას, ალელდა. ნანგრევებისა და გაშმაგებული სიმწვანის შემყურემ ნათლად იგრძნო, როგორ ამოიბოლქვა მიწიდან, როგორი დაჟინებით წამოვიდა მისკენ ის ლიმილი, როგორ მოჰქონდა მიწის სინესტე, მიწის თავზარდამცემი მუქარა.

— ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ ამ სოფლის მიტოვებაც ჩემი ბრალია? — გამწარდა, — თვითონ არ იყო აქ შექმნილი კოლმეურნეობის აქტიური წევრი? თვითონ არ ჰყვებოდა, მაშინ მთელი ჩვენი ავლადიდება თოთხმეტი გუთანი და ამდენივე ურემი იყო, სახნავ-სათესი მილარზე მოგვიზომეს, ურმით გადაგვყავდა ხალხი, გუთნით ვხნავდითო, — გაიხსენა მამისაგან კანტიკუნტად ამოლერლილი ორიოდ სიტყვა, — ქალი მომწონდა, კომკავშირლობდა, მაუზერით ხელში დარბოდა ალმა-დალმა, მერე, როცა ქვევით, რკინიგზასთან, ჯაგებში ჩაყრილი ხალხი ვნახე, საიდანღაც ძალით გამორეკილი და აქ, შიმშილისა და გვალვის ხახაში შეგდებული, როგორ ეხოცებოდათ ბავშვები... იმ ქალისაკენ აღარ გამიხედავს, ისიც ხომ განკულაკებით იყო გართული...

ისიც იცოდა შვილმა, კაცს მალევე რომ მიეტოვებინა სოფელი, ორი სიტყვით იცოდა.

ხალხმა ქვევით, რკინიგზასთან ჩასახლება გადაწყვიტა და იქ ჩაუყარა საცხოვრისს საძირკველი, სადაც ადრე სიკვდილის კალო ილეწებოდა.

ბევრი იყვირა მაშინ, ბევრი იმუდარა, ნუ იზამთო მაგას, მაგრამ ვინ დაუჯერა. საკუთარი დაც კი აღუდგა წინ, რკინიგზას დახარბებოდა ხალხი.

მაშინ აიკრა გუდა-ნაბადი და გაიქცა.

მოეჩვენა, აზრიალდა სივრცე. ყველაფერი ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ჯიუტად მოიწევდა მისკენ, მამის ლიმილით ხელნაკრავი, მამის ლიმილით ნაბრძანევი, მთებიც, ნანგრევებიც, ეკლესიაც, ყველაფერი მწვანე, უსასრულო, გაუთავებელი, ყველაფერი შემზარავი ფანტასმაგორიითა თუ ბედისწერის სასოწარკვეთით სავსე. სიჩუმეც რაღაცნაირად, ძლივს გასაგონაბდ ჩხრიალებდა, თითქოს ქვიშაც დაძრულიყო, თითქოს ქვიშაც იმას ცდილობდა, გამოსცლოდა ფეხთა ქვეშ.

თვალში საკუთარი ავტომანქანა მოხვდა, მოშორებით იდგა, თითქოს ახლა აღმოაჩინა, ისიც მწვანე რომ იყო, დაცინვით ალაპლაპებული, საშინელი თავისი უაზრობით.

რა ექნა, ისევ მანქანისაკენ წავიდა, ერთადერთისაკენ, რაც განვლილი ცხოვრებიდან ამოჰყოლოდა. თხელლანჩიანი ფეხსაცმელი ეცვა, ქვაზე ეთეთქვებოდა ფეხი.

უნდა სცოდნოდა, პატარა ხომ აღარაა, დიდი ხანია გაიზარდა. ორმოცს გადააბიჯა უკვე. თუ მარტოობა მართლაც არსებობდა ქვეყნად, აქ ელოდა იგი, აქ, სადაც ყველას შეცდომასა თუ დანაშაულს მას მოჰკითხავდნენ, მისკენ მიექცეოდა ბედისწერის ყველა ლული. აქ, ერთი შეხედვით ვერ გააზრებული ლანდშაფტი დღისით, მზისით, თავისი ახირებული კოსმოსით მასზე წამოვიდოდა, ალტკინებული, დამცინავი, ულმობელი. მას კი, სულ სხვა ცხოვრებიდან მოსულს, სულ სხვა სურვილსა თუ მიზანს მიყოლილს, სხვა ვნებით რეტდასხმულს. სხვა კანონზომიერების ნაწილს, თავდაცვის ელემენტარულ საშუალებასა თუ უფლებას აჰყრიდა. მიაგდებდა განვლილი ცხოვრების აზრთან თუ უაზრობასთან და თავშესაფრის ძიებით აწრიალებული ვერაფერს მონახავდა ისეთს, უბრალო სურვილსაც კი, დაე, განუხორციელებელს, დაე, ფანტასტიურს, დაე, სასაცილოს, მასთან საერთო რომ ჰქონოდა და წინ დაეხვედრებინა პასუხად, მეც შენი ნაწილი ვარო, ეთქვა.

არა, მთლიანზე ფიქრს არ იყო მიჩვეული, მთლიანად ანასხლეტს მხოლოდ ის ჰქონდა საფიქრალი და სამუშაო, არაფერი დასხლტომოდა ხელიდან, მთლიანად მიელო ის სიამტკბილობა. მის წილად რომ გამოეყო არსებობას, დიდგულებსა და ქედმაღლებს პირდა-

პირ მარულა ჰქონდათ გამართული, მაგრამ სხვებს რატომ გადასწვდა. ეს პატივაყრილი და სიკვდილმისჯილი სოფელი, მამის ღიმილიც რომ შეთვისებოდა, მისგან, ერთისაგან მოითხოვდა პასუხს.

მთლიანი?

ნუთუ ის კიდევ არსებობდა, ნუთუ კვლავ ფეთქავდა მისი იდუმალი, განუჭვრეტელი არსი. სამყაროს სიღრმეებიდან მოსულს ფესვებს მისას, წყვდიადი რომ მოჰქონდა ალაგ-ალაგ აკიაფებული სხივის ანასხლეტით, ნუთუ არ დამთავრებულიყო, ნუთუ ისევ გრძელდებოდა, ნუთუ უსასრულო გაცნობიერებულ თუ გაუცნობიერებელ საგანთა თუ მოვლენათა არსი თავისი ეფემერული კავშირებით ისევ მოედინებოდა, მოითხოვდა მორჩილებასა თუ სამსახურს.

და თუ მართლაც არსებობდა, ისე შორს იყო, ისე მიუწვდომელი, ისე მოუხელთებელი, ისეთი ტანჯვით იქნებოდა აღსავსე გზა მისასვლელი, ამაზე არც უფიქრია.

ტანჯვა რა სახსენებელია, როცა ასე ახლოს იყო მშვენიერი საღამო, ღვინო, ანკარა და მათრობელა, მორჩილი და თბილი ქალი, ახალგაზრდულ ენერგიაში თავშეუკავებელი აღგაფუნება და მამაკაცობის გაშმაგებული ფლანგვით მიღებული ჯოჯოხეთური სიტკბო.

საზრუნავი კი ერთი იყო მხოლოდ, საღამოსთან ვაჟკაცურად მისულიყავი, საკუთარი პატივმოყვარეობა არ შეგელახა, დასახარჯი გქონოდა, კაცობაში დაეჭვების უფლება არავისათვის მიგეცა და ბოლოს, კარგი ბანიც გეთქვა.

მეტის უფლება იქნებ არცა ჰქონდა, მაგრამ არ დაჰჭირვებია და არც უძებნია, სიმთვრალეში ერთი-ორი ამოოხვრა ჰყოფნიდა მალამოდ მის სულს.

ერთი კია, ბოლო წლებში უცნაური რამ დასჩემდა.

მთვრალს ეჩვენებოდა, ვიღაც უყურებდა ფანჯრიდან.

არც ისე ხშირად ხდებოდა ეს, მაგრამ არც ისე იშვიათადაც, ახლობლებს არ მიექციათ ყურადღება და არ ახარხარებულიყვნენ, ვინ შეგაშინათ ასე მწარედ.

შეშინებაში სულაც არ იყო საქმე. ნეტა შეშინება ყოფილიყო, ძირიანად ამოფხვრიდა, არ აბოგინებდა, არ შეაწუხებინებდა თავს. პირიქით, თითქოს ვიღაც ელოდა, მორჩილი, დაბეჩავებული, მოლოდინით დაღლილი, მოლოდინით იმედდაკარგული. მისგან ელოდა საშველს, მხოლოდ მას, ერთს, შეეძლო შეემსუბუქებინა მისი ტანჯვა, ეხსნა განსაცდელისაგან. თითქოს ვალდებულიც იყო, მისიანი იყო ის ვიღაც, სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი.

სიფხიზლეში არ აწუხებდა. იქნებ, იმედი არა ჰქონდა, მიიხედავდა მისკენ, ხელს გაუწვდიდა, სატანჯველს შეუმსუბუქებდა. სიმთვრალეში მიაკითხავდა, როცა სიკეთისა თუ შეცოდების მარცვალი, თუ ისევ ფეთქავდა მასში, ულვივდებოდა და კვეხნას აწყებინებდა.

იქნებ სიფხიზლეშიც მოდიოდა, იქნებ ჯერ კიდევ მთლად არა ჰქონდა გადაწურული იმედი, მაგრამ ვერა სცნობდა დიდი ხნის უნახავს, არ აგონდებოდა

მივარდებოდა ფანჯარას, გადააგლეჯდა ფარდას, დააკვირდებოდა სივრცეს...

გარეთ კი ღამე იდგა.

შორეული ქედი, სიბნელეს მიცემული, ძლივს ლანდავდა ჩამუქებულ სხეულს. დამძიმებული, თვალებამოლამებული სახლები დროდადრო ელავდნენ ავტომანქანის შუქზე, ამეღვანებდნენ თავის უკმეხ, ბრიყვულად გაჯგიმულ კონტურებს.

— გაჩუმდით, — იყვირებდა, ნაცნობ-მეგობართა ხარხარი შეუშლიდა ხელს.

— ცოლისა ხომ არ ეშინია, — ჩაიქირქილებდა ვიღაც.

ცოლისა, შიში რას მიქვიან, რიდიც არა ჰქონდა. ერთადერთი, რაც ცოლთან აკავშირებდა, მოწყენილობა იყო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს დიმიტრი საერთო არცა ჰყოლოდათ, თითქოს დიმიტრი ცილდან მოვლინებოდა.

როგორადაც კარგად არ უნდა ეგრძნო თავი, როგორი სილაღითაც არ უნდა გადაშლილიყო მისი სხეული, გაახსენდებოდა ცოლი და თითქოს მახათი აძგერესო, ჩაიჩუტებოდა, თითქოს გადაფურცლესო, წაეშლებოდა სახეზე გამომეტყველება. ცოლი კი აუცილებლად გაახსენდებოდა, როდისმე ხომ უნდა დაბრუნებულიყო სახლში.

გაახსენდებოდა მისი კოტიტა, შეშუპებული თუ ქონიანი სხეული ჩაკეცილ-ჩაჭმუჭნული ზურგით, ფეხსაცმლის უშველებელ ქუსლებზე ძლივს რომ გადააქანებდა ხოლმე, სახლშიც მაღალ ქუსლებზე იდგა, ეგონა, ამით უშველიდა თავის სიმატარავეს, აჯაკუნებდა გულისგამაწვრილებლად. გაახსენდებოდა მისი მჭადივით მრგვალი, გადაფითრებული სახე, რომლის შელებვა იყო უპირველესი, რითაც იწყებოდა დღე, რათა, როგორღაც, ფერი მიეცა თავისი მაღალი, განიერი ლაწვებისათვის.

ნუთუ კიდევ მეპრანჭებაო, — გაიოცებდა კაცი.

გაახსენდებოდა ქალის სხულისათვის სრულიად შეუფერებელი ხელის ერთიციცქნა მტევნები, უდღეურ ბავშვს რომ აგონებდა და ხასიათი უფუჭდებოდა.

სახის გამომეტყველება მაინც ჰქონოდა გულითადი, ალერსიანი, უკმაყოფილება და ზიზღი ესვა დღენიადაგ ბეჭდად, მაშინაც, როცა იცინოდა, მაშინაც, როცა უხაროდა.

თავის დროზე, როცა იგი ცოლად მოევლინა შემთხვევისა თუ საკუთარი წუნკლობის წყალობით, მშვენივრად რომ გამოიყენა მავანმა და მავანმა, ხელ წაავალა მისი, დიახაც, კრიალ ლირებული თავი, ძალი შეუწევლი ქადილისა, საკუთარი თავისათვის კბილებქვეშ ამოგდება არ დაუკლია. საყვარელი საჯდომი დიდი უნდა იყოს. მერე, როცა, ასე თუ ისე, შეეჩვია და ყურადღება მოაკლო ქალის აგრერიგად აგორებულ სხეულს, ალბათ მაშინ დაიკლო გაბასერა და ... — სკორეში ჩეჯჯექი, ჩავთბი და მშვენივრადაც ვგრძნობთ თავს, მაგრამ ეს საქმეს ვერ უშველიდა, მართალია, მოსხანება ნელ-ნელა შემოაცვდა ხელში, ბოლომდე ვერ მოინელა, ვერ დაწყნარდა.

შიში რა სახსენებელია, ცოლს გაისტუმრებდა სადმე და არ დააყოვნებდა, სახლში მოაბრძანებდა მორიგ სატრფოს, ცოლის საწოლში ჩააწვენდა.

ტელეფონს გამოთიშავდა, არავის რომ არ შეეშალა ხელი, კარ-ფანჯრებს ჩაიბნელებდა, ჩაგმანავდა, მეზობელი ამისაა, ცნობისმოყვარე რომ იყოს და არსაიდან შემოაპარონ თვალი, სამზარეულოს ფანჯარასაც კი არ დარჩებოდა უყურადღებოდ.

სიამტკბილობას ეძლეოდა, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩაშწარდებოდა როდისმე, მთვრალსა და დაღლილს ის არ მოეჩვენებოდა, ვითომაც რომ მიდგომოდა მის ფანჯარას და ელოდა.

გარეთ კი რიყრაჟი წვალობდა.

შემაძრწუნებელ სიჩუმეში დღის შუქი იბადებოდა და ვერ იბადებოდა, შორს, ოდნავ შენათებული ქედის თხემს მთელი სიმძიმით დაწოლოდა ჯერ ისევ მრუმე ცა, სასწაულის მოლოდინს გაეხევებინა ბატარა ბალი.

მერე ინათებდა ზეცა, ზოლებად ბირეკლევდა ცისფერს და ვარდისფერს, ჯერ ბაცად, ძლივს შესამჩნევად, მერე დაწმენდდა ნათებას, გამოაჩენდა სილრმეს, შემსუბუქდებოდა.

შეუპოვრად აჟივჟივდებოდა ფრინველი.

ამ ჟივჟივს, რატომღაც, თავზარდაცემა მოჰქონდა კაცისათვის.

რაც თავი ახსოვს, სულ ჩუმად იყო მამა, მდუმარებაში წასული კაცი, დღენიადაგ რაღაც ცუდის, რაღაც გამანადგურებლის მოლოდინით სავსე, გამოჩნდებოდა თუ არა, ეჩვენებოდა, მაშინვე ცარიელდებოდა მის გარშემო

ადგილი. მარტოობას იყო შეფარებული. მარტოობა იყო მისთვის ყველაზე სანდო და ერთგული. მოშორებით იდგა და ცხოვრებას არც ემალებოდა, არც უთვალთვალებდა, არც აკვირდებოდა, თითქოს ცხოვრების ყველა ქარაგმა ამოხსნილი ჰქონდა, ყველაფერი ნათელი იყო მისთვის. ახლა კი იდგა და პირდაპირ შუბლში შეჰყურებდა თავისი, უკვე შიშდაკარგული კაცის გამომწვევი ღიმილით, არაფერი აკვირვებდა, არაფერი ახარებდა.

არა და არ გაიხადა ფარაჯა.

ორმოცდაათიანი წლები იწურებოდა.

ბიჭი მშვენიერად გრძნობდა, საიდან უბერავდა ქარი, საით მიაქანებდა ხალხს. უკვე იცოდა, როგორ უნდა აეწყო მომავალი, დროს რომ არ ჩამორჩენოდა, არ გარიყულიყო, პროვინციელი ახირებად არ ჩაეთვალა სხვას მისი, ერთ დროს, შესაძლოა, დიდებაში მყოფი მიჩნევისა და იდეალების ერთგულება. ყავლი რომ გასვლოდა, ნელ-ნელა კარგავდა ფასს და როდისმე, ალბათ, დაცინვის საგნად იქცეოდა.

ახლა ნიჭიერება სწორედ იმაში ვლინდებოდა, როგორ მოიხდენდი უფლებასა და უუფლებობას, როგორი უზრუნველობით შეაფერადებდი დაბეჩავების თალხს.

ბიჭს არავინ ეკითხებოდა, კარგი იყო ეს თუ ცუდი. ცხოვრებამ სინანული უკუაგდო და ყოველგვარი საშუალებებით, ნებადართულით თუ აკრძალულით, დალხენისა და განცხრომისაკენ ჰქნა პირი.

არავინ ეკითხებოდა და არც თვითონ ესმოდა იმდენი, იმით მაინც განცვიფრებულიყო, რა მაღალნიჭიერებით ასრულებდა თავის როლს ისტორია, როგორი ნაღდი იყო თავისი რელიგიის წინაშე, როგორი ჩაკირკიტებით ჰქმნიდა უფლებააყრილი ადამიანებისაგან კარიკატურას, რა ხმამაღლა აცხადებდა, ფეიერვერკით დაამთავრებდა ყოველივეს...

ხალხი კი, ალტკინებული იმით, ათასი ხრიკი რომ აღმოეჩინა და ეჩვევე-
ბიდა, იმით შეიმსუბუქებდა ცხოვრების ტვირთს. თავბრუდამხვევად მიექანებოდა გამდიდრების ... საშუალება მაინც ხომ აღმოეჩინა გამანადგურებელ კანონთა ხვეულებში და ნელ-ნელა იმასაც კარგავდა, რაც მართლა ფასეული იყო და სისხლიანი გამოცდილების მიუხედავად, ჯერ კიდევ შერჩენოდა.

ყველაფერს შემორჩენილს აზრი დაჰკარგვოდა, ზედმეტ ტვირთად ქცეულიყო და შესაძლოა, უსიამოვნებაც მოეტანა, თუ დროზე არ უკუაგდებდი, დროზე არ განთავისუფლდებოდი მისგან.

ამ ფარაჯისა და ღიმილის ახირებულ სიჯიუტეს კი არაფრის გაგონება არ სურდა, ხარხარით ეწინააღმდეგებოდა ცხოვრებასაცა და ბიჭის ოცნებებსაც. ეს ვერ აპატია მამას.

კი, უჭირდათ.

მაშინ ბევრს უჭირდა.

მაგრამ არც ისე იყო საქმე, ერთი უბრალოდ. იაფფასიანი ლაბადა ვერ ეყიდა და სამუდამოდ მოეცილებინა ის სილატაკის სიმბოლო, ბიჭს არასრულყოფილების გრძნობას რომ უღვივებდა.

— ამ ფარაჯაში ვებრძოდი მტერსო, — ჩაიღიმებდა ჩვეული ღიმილით, თითქოს ისევ ბრძოლას ელოდა.

მამიდამ ცოტაოდენი ფული აჩუქა. ჩემს სახელზე იყიდეო რამე., მამას უყიდა ლაბადა. არ ჩამოართვა საჩუქარი, არ ჩაიცვა.

მერე ხიდზე შეხვედრის დღეც დადგა.

გოგოს მიაცილებდა.

ხიდზე შედგეს ფეხი თუ არა, მაშინვე დაინახა, მამა უახლოვდებოდა. ისევ ფარაჯის კალთებს მოაფრიალებდა. იმ ფარაჯისა შერცხვა, თვალს ავარიდებო, გადაწყვიტა, მაგრამ როცა ერთმანეთს გაუსწორდნენ, კაცმა მხრებზე მოჰხვია ხელი და თავისკენ მიატრიალა, გაუღიმა, მერე გოგოს დაუქნია თავი, ხელი უშვა და გასცილდა.

— ვინაა? — ჰკითხა გოგომ.

— მეზობელი, — არც კი დაფიქრებულა, ისე თქვა უარი მამაზე, ვითომ აქაც არაფერიო, აგდებულად ჩაიქნია ხელი.

— რა მშვენიერი ღიმილი ჰქონდა, — თქვა, ისევ გოგომ.

— ნუთუ, — გაიკვირვა და ეწყინა, — რა ჰქონდა მშვენიერი,

ოი, უგუნურებავ, სად უნდა ვეძებდეთ მშვენიერს და სად ვეძებთ, სად არის დამარხული უკვდავება ჩვენი და სადა ვთხრით, რას ვახმართ ჩვენს სიცოცხლეს და რას უნდა ვახმარდეთ, როგორ მივექანებით დანთქმისაკენ და ვხარობთ კიდეც...

თუ ის შეძლო, მამაზე ეთქვა უარი, გოგო ვითომ ვინ იყო, მისი გულისათვის საკუთარი სურვილი ჩაეწიხლა.

მეგობართან იყვნენ დაპატიჟებულნი.

ხელმარჯვნივ ახალგაზრდა ქალი დაუსკუპდა, კეკლუცი, მოალერსე, იმ ქალთან არშიყობას გადააყოლა მთელი საღამო, მთელი საღამო გაოგნებული შეჰყურებდა მის ხელში დაქალებული გოგო.

ის დღე იყო და ის დღე...

გუშინ კი ნაცნობთან მისულმა ფანჯარასთან მდგარი ქალი დაინახა, ჩიტივით მიმწყდარიყო მინას.

ზურგიდან დაინახა და ეცნო.

არაჲ ჯერ არ იცოდა სახელი მისი, ჯერ არაფერი იცოდა იმის მეტი, ეს ქალი ახლობელი რომ იყო, ძალიან ნაცნობი და ძალიან სასურველი, ერთადერთი, რომლისაც ჯეროდა, რომლის ქალური სისუსტე ნამდვილი იყო, არმოგონილი.

საიდან იცოდა ეს მშვენიერი კისერი, ყვავილის ღეროსავით მაღალი და თხელი, თმის მძიმე ტალღები სურნელოვანი ფურცლებივით რომ ეყარა ზედ. საიდან იცოდა ეს მშვენიერი მხრები და მკლავები, ფრთებივით რომ მიეყარა მინაზე, ეს მშვენიერი ტანი, გაფრენისათვის რომ იყო მზად, მაგრამ მინა, დაუძლეველი წინააღმდეგობა, ელობებოდა წინ.

ვინ შემოაფრინა აქ, ვინ შემოიტყუა, ვინ იძალადა... რამდენი სასოწარკვეთა იდგა მასში, რამდენი გულმართლობა და უთვალთმაქცობა, რამდენი უდანაშაულობა, სათნოება და მორჩილების ტრაგიზმი, რამდენი, რამდენი...

უცებ ისე მოწყდა მინას, თითქოს გზა ეპოვნა და წუთის დაკარგვაც აღარ უნდოდა...

არა, გზა კი არ ეპოვნა, ეგრძნო, ის რომ შემოვიდა, ის რომ შემოემატა ოთახის სივრცეს და მღელვარებით დატუმბა ჰაერი, ქალიც, ბეღურასავით ფრთხილი, უმწეო და უქომაგო, სიხარულის იმედი კიდევ რომ შერჩენოდა, კიდევ რომ შერჩენოდა ნდობა. გადაღეღილი შეეგება იმ მშვენიერ წუთს, არც გაკვირვება, არც დაბნეულობა არ იდგა მის მინდორივით ალივლივებულ თვალებში, წყნარი მოლოდინი უბინდავდა შუქს, მზის ამოსვლას ელოდა, ნამი რომ აეციმციმებინა.

თვითონ დაიბნა, ცივად დაუკრა თავი, თვალი აარიდა, ვისთან ერთადაო მოსული, — ის გაიფიქრა, დამალა, რომ იცნობდა, არა და, როგორ იცნობდა, არა და, როგორ უყვარდა...

მერე მალულად, ქურდული ჩასაფრებით დაზვერა თითოეული მისი ნაკვთი, თითოეული მოძრაობა, მისხალ-მისხალ აწონა თითოეული მისი სიტყვა, ულმრთოდ მოწყურებული კაცის სიხარბით შესვა ყველაფერი, არაბუნებრივად დათვრა.

...გიცანი, რა თქმა უნდა გიცანი, ჯერ კიდევ მაშინ, მინას რომ იყავ მიფრენილი, ნუ შემომყურებ ასე, ნუ მაგონებ იმ საღამოს, მაშინაც ასე მიყურებდი... სრულიად არ შეცვლილხარ, უფრო სწორედ, არაფერი დაგიკარგავს, არაფერი გაგიფლანგავს, თანა გაქვს ყოველი დღე. თუ რამ გიცხოვრია, უდარდელი ბავშვობაცა და ახალგაზრდობის ცქაფიც, ქალწულებრივი სიწმინდეცა და ის გულისტკივილიც, მე რომ მოგიტანე... ვერ იძალადა ცხოვრებამ, ვერ შეგილახა სული, ზეციური, ასეთი რა ცვარით დაინამე, გან-

თიადო... არასოდეს ვყოფილვარ შენი ღირსი, შემომხედე და შემიცან, წუმპეში ვგდივარ და იქიდან ვყვირი შენს დიდებას, არა ვარ შენი შეცოდების ღირსი...

სუფრამ აშლა დაიწყო.

ცოლი გაახსენდა.

მოაგონდა ცოლის უკმაყოფილო, ზიზღიანი სახე და მაღალ ქუსლებზე შემხტარი უკიდეგანო სხეული. იმ მშვენებას კი გამცილებელი სხვა ჰყავდა. გაბოროტდა უსაზღვროდ, თვალები აემღვრა, წამოუჭარხლდა სახე, შეთხელებულ სუფრაზე მონახა ვილაც, აღარ ახსოვს ვინ და მართლა წუმპეში ჩაჰყო ცხვირ-პირი.

— თხუთმეტი წლის წინ ჯერ კიდევ ჩემი იყო ეს ქალი, — ჩასჩურჩულა უწმაწური ქირქილით და გახევებული ენით ძლივს მოილოკა გამომშრალი ტუჩები.

თვითონ ეგონა, რომ ჩასჩურჩულა, თორემ იქნებ ცოტა ხმამაღლაც მოუვიდა, იქნებ სხვამაც მოჰკრა ყური, გაკვირვებული და დაცინვით სავსე სახეები ახსოვს გარშემორტყმული...

სახლში აღარ დაბრუნებულა.

დამძიმებული თავი საჭეზე გადაეგდო და არ ეძინა. მთვრალიც კი გრძნობდა, რაღაც საშინელი რომ მოხდა, არა, რაღაც საშინელს აეხადა ფარდა. ცხადად გამოჩნდა ყველაფერი, რაც წლების მანძილზე დაილექა, დაგროვდა, შეერწყო ერთმანეთს, ერთად ათიმთიმდა მისი ბლანტი სითხე, სქელი, წებოვანი ჰაობი, სული შეუხუთა მისმა სიმყრალემ.

ასეთმა რამ გადაუქროლა სილაღეს დახარბებულს, რომ ითარეშა შემაძრწუნებელი თარეშით, რამ გადახლართა ერთმანეთში ყველაფერი, რის განცალკევებასა თუ განწმენდას მრავალნი დაჰირევებია დრონი, რამ გააცამტვერა მრავალთა ტკივილთა შენაჯერი, შენაგროვი, ლალატით გადააკეტინა გზა სიყვარულსა.

რა ბედნიერებაა გიყვარდეს, რა ბედნიერებაა გიყვარდეს ბუნებრივად, გულუბრყვილო, ალალმართალი გრძნობით, როცა არაფერი გაქვს მისაჩქმალი და გადასარაზი, როცა მთლიანადა ხარ გახსნილი ამ ცასა და მიწას შორის, როცა არაფერს ემალები, როცა ყველაფერი, რასაც ხედავ, შენი სულისა და სხეულის ნაწილია, როცა შენა ხარ თვითონ ამ ცისა და მიწის ნაწილი, როცა შენი სიხარული ნაღდია და მართალი, როცა ყველაფერი შენ შემოგხარის და შენ შეჰხარი ყველაფერს, როცა უკვდავი ხარ, მარადიული, როცა ღვთიურია ღვინოცა და ქალიც...

ვის უნდა მიადგეს, ვინ შეიცოდებს, ვინ შეიბრალებს, ვინ გაუწვდის ხელს...

და აი, მაშინ, მთვრალს, გატიალებულს, საჭეზე თავგადაგდებულს, მოაგონდა სოფელი, მოაგონდა სახლი, ბავშვობაში ჯერ კიდევ რომ იდგა, მოაგონდა ლელვისა და კაკლის ხეები, კაკალი ცოტა მოშორებით იდგა, თავ-ალმართზე. აკაკი გვედგაო აქ,—ჩაესმა მამის ხმა, ნათლად დაინახა, ფეხით როგორ მოეფერა მიწას, — ბებიაშენი გადამეკიდა, გინდა თუ არა, მოჭერიო, მაშინ მოვუქნიე ცული ფეხს, ჩავიჩეხე...

სახლს უკან კი ბროწეული ცხოვრობდა.

სახლი ბექობზე იდგა, ბექობიდან, ხევგაღმა, ეკლესია მოჩანდა, პატარა ალმასი.

*დაინახა, ცხადად დაინახა, როგორ* დაუქნია ხელი სახლმა, როგორ ჩაუკრა თვალი, გაბრწყინებული ფანჯარა, როგორ გაუღიმა, მოეფერა შორიდან, მოეალერსა, იგრძნო, მისი ბებერი კედლებიდან როგორ გამოჟონა მონატრებამ.

ღმერთო, როგორ იყო ალერსს მოკლებული ორთავე, კაციცა და სახლიც.

**ნამთვრალევმა აღმართი ძლივს აიარა.** ტაფობზე შედგა.

აქ უნდა მდგარიყო სახლი, რომელიც ეძახდა.

ალგილი ღორღს დაეფარა. მაღალ, გაფარჩხულ ჯაგებს ეკალივით აესხა წვრილი ფოთოლი. სახლის ნაკვალევიც არ ჩანდა.

— ასე როგორ აღიგავათ, — გაიფიქრა ექვით.

მზე გასაქანს არ აძლევდა და მაინც მოახერხა, ხევგაღმა ეკლესიას გახედა.

არც ეკლესია ახსოვდა ამხელა.

მზის სიმძიმემ წონასწორობა დაუკარგა, თვალი დაუბნელა, რეტი დაასხა. ალალბედზე გაიწოდა ხელი და რალაცამ შეაკავა, თითქოს ვილაც ამოუდგა მხარში, რომ არ დაცემულიყო.

გამხმარი ხე შერჩა ხელში, ქვისფერი, ტანმორჩილი.

მერე დაღმართს ჩახედა. მოშორებით კაკლის ხე დაინახა, უზარმაზარი, ეცნო. უკან გამოტრიალდა და ჯაგებს ეცა. წვრილი, დახეთქილ-დაკენკილი შარშანდელი ნაყოფი ისევ ესხა ზედ, ჩაშავებული, ჩამჭკნარი.

— ბროწეული...

მერე გამხმარი ხისაკენ ჰქნა პირი.

— ლელვი... მომკვდარა...

სახლი, სად არის სახლი, —აწრიალდა, ალრიალდა, ჯაგებს შორის ჩაყრილ ხიჭს ეცა, მხეცივით დაუწყო თხრა, თითქოს ხელები კი არა, თათები ჰქონდა, თხრიდა და ღრიალებდა, ღრიალებდა და ადენილ მტვერს ცრემლით იწეპებდა სახეზე, — არ შეიძლება რამე არ დარჩენილიყო, საძირკველი მაინც სადაა...

გაახსენდა, მამიდა ამბობდა მაშინ, ბავშვობაში, — კარ-ფანჯრები უნდა ავყარო, უფროსმა კი აიშენა სახლი, უმცროსს გაუჭირდაო რალაც. ნუ იზამო ამას, — ეხვეწებოდა მამა, — მე მოგცემო ფულს...

ნუთუ იატაკიც აჰყარა, ჭერიც მოხადა, აგურიც წაიღო, ნუთუ არაფერი დაუტოვა თავის ძმისწულს, უკანასკნელი იმედიც წაართვა, ასე როგორ გაწირა...

დაილალა.

თხრა აღარ შეეძლო, პირქვე დამხობილი ეგდო და ტიროდა, მერე ცრემლი გაუშრა და დადუმდა.

გონი კი მაინც ფეთქავდა. მაინც ისროდა იმპულსს.

— ნუთუ ყველაფერი შევთქვლიფეთ, ყველაფერი კუჭ-ნაწლავში გავატარეთ, ნუთუ მხოლოდ მომხმარებლები ვართ და ნაგვის მწარმოებლები. რა უნდა დავუტოვოთ შვილებს, რითი უნდა მოვიწონოთ თავი...

ახლალა გაახსენდა შვილი, მისი მარად მომღიმარი, მშვიდი სახე, ჭირვეულობით არასოდეს შეუწუხებია მშობელი, ახალშობილსაც კი. ლონიერი და ჯანმრთელი იყო ყოველთვის.

ერთხელ, ორი წლისა ძლივს იქნებოდა, ლაპარაკი ჯერ არ იცოდა, ყველას დედას ეძახდა, უცხოსაც კი, სათამაშო თოფი მიაჩეჩა მამას და თვითონ ოთახის ლია კარში აისვეტა.

— მეთამაშება, — გაიფიქრა კაცმა, დაუმიზნა, ესროლა.

დაეცა ბავშვი.

დაიბნა მამა, ვერ მიუხვდა შვილს.

წამოხტა დიმიტრი, ტაშიც თვითონ შემოჰკრა და თავიც თვითონ დაუხარა მადლობის ნიშნად. მერე ორივე ხელი დაუქნია, კიდევ მესროლეო, — მოითხოვა.

დიდხანს ერთობოდა მამა-შვილი ასე.

— ვინ ასწავლა, ან სიკვდილისა რა იცის ამ ლლაპმა, — ელიმებოდა კაცს, — გენიალური არტისტი გამიჩენია...

ახლა, ღორღზე მიგდებულს, სწორედ ეს მოაგონდა და მიხვდა, ბედისწერა რომ უყურებდა თვალებში, დასცინოდა, აფრთხილებდა, — ამასაც იზამ და მერე დაცხრები, დაშოშმინდებიო...

ტყვიანაკრავივით შეუხტა სხეული, ამოუტრიალდა. ისევ შვილის სახეს ხედავდა, მშვიდსა და მომღიმარს, სიხარული ედგა თვალებში. სიხარულით ეძლეოდა სიკვდილს.

ქრისტიანებისა უკვირდა კაცს, ისეთი რა გაუჭირდათ, ბავშვიც რომ აყვირდა, მეც ქრისტიანი ვარო...

ჩემი შვილიც ხომ ყვირის, მერე როგორ ყვირის, მე კი არ მესმის და თოფს ვუმიზნებ. კიდევ ერთხელ იმძლავრა წინაპართა ჯიშმა ჩემმა, ბუნებას დასაკარგად, მიწას ამოფარებისათვის არ ვემეტები. მე ვერაფერი გამაგებინა და ახლა მას კარნახობს, რომ ვუღალატე, სიბნელისაკენ მივათრევ, მინდა ჩემნაირად იქ ავაცმაცუნო მღრღნელივით, ეჩურჩულება, უკანასკნელ ზღვრამდე რომა ვართ მისული. ამიტომ უჩანს თავგანწირვა ზეიმად, ჯიშის გადარჩენა სწადია სულ ერთიციცქნას;. მიკვირს, დედის საშოშივე რად არ შფოთავენ, ის ის არის ჩასახულები, ნუთუ იმათი თავის დაყრევინებით უნდა ლაიწყოს გზა, ალმა მიმავალი, ჩემს 'მაგივრად ისინი უნდა ავიდნენ ეშაფოტზე, მეც ქართველი ვარო...

თვალი გაახილა.

მზე გადასულიყო და აღარ აბრმავებდა.

ზეცას ახედა, ცისფერი დატყობოდა, ღრმა იყო და უსასრულო.

მერე მთები გადმოიარა, ასე ახლოს რომ იდგნენ.

ბოლოს გამხმარ ლელვზე შეაჩერა მზერა,

ლელვის ერთ, სხვებთან შედარებით მსხვილ ტოტს ბაწარი ჰქონდა გამობმული.

— ცხვარი თუ ჩამოჰკიდა ვინმემ გასატყავებლად, — გაიფიქრა, — ვინ ამოსულა, ნეტა ამას მაინც შევხსნი.

წამოდგომა სცადა და გაუჭირდა, ძარღვები დაეჭიმა, ტკივილით აევსო სხეული. ძლივს მოახერხა გვერდზე გადმობრუნება, მუხლს შეაფიფხდა, ხელებით დაეყრდნო მიწას, მაჯები ეტკინა.

მიუახლოვდა, ბაწრისაკენ გაიწვდინა ხელი და გაოცებისაგან გახევდა, ხე ცოცხალი იყო, ფოთოლიც გამოეტანა და ნაყოფიც. ქვისფერი, თუ მიწისფერი იყო ერთიცა და მეორე[illegible]მიწაწვინა, ახალშობილი, ძლივს გამოერღვია ტოტის მკვრივი მერქანი, ჯერ სანახევროდ ისევ საშოში იჯდა.

ფრთხილად შეეხო ბაწარს, არაფერი ვატკინოო ცოცხალს. მერე მოეხვია და შეშუპებული ტუჩები შეახო მის გლუვ ტანს, იგრძნო სინედლე მისი, მთლიანის სიღრმიდან ამოწოვილი და იდუმალი არხებით მომდინარე ცხოველმყოფელი სინოტივე, თავანკარა და ჰეშმარიტი, მასაც რომ მიესალბუნა, ისიც დააწყლურა.

მოულოდნელად გაღვივებული სიახლოვე ისეთი ნამდვილი იყო, თავზარი დაეცა.

— მოვედი, — ძლივს დაიმორჩილა აკანკალებული ყბები.

— ჩემი ნაყოფი უნდა გაგასინჯო, იქნებ მოგეწონოს კიდეც, — იგრძნო, უპასუხა ხემ, თითქოს გაუღიმა კიდეც.

მაშინ აეხილა თვალი,

— მითხარი, შენ იდექი ჩემს ფანჯრებთან, შენ მელოდი?

— ისე როგორ მოვკვდებოდი, — დუდუნებდა ხე.

— მე შენ ვერსად გაგექცევი, — გარშემო შემოურბინა ბავშვივით, ალერსი ღვარად წამოვიდა მისი დაკაწრული, სისხლიანი ხელის მტევნებიდან, — ვიცხოვროთ ერთად, მერე მოვკვდები და დამიტირებ.

— ისე ნუ მომკლავ, შენს შვილს არ გაასინჯო ნაყოფი ჩემი, შვილს.., — მღეროდა ხე.

მერელა მოეგო გონს.

— რა დროს სიკვდილია, — ილრიალა, მუხლზე დაეცა, ძირს აკოცა ხისას, თავდაღმართზე დაექანა, ფეხი აუ-

სხლიტა ქვამ, ხევში ჩააგორა, — რა დროს სიკვდილია, — წამოხტა და მანქანას ეცა, — მართლა კონსტანტინე დიდს ხომ არ ვუცდით, გამწარდა სული....

მზე გადაწურულიყო, მინელებულიყო სიცხე, დამძიმებული თავი წამოეწია მწვანეს, აქოჩრილიყო, აშრიალებულიყო, მთებს აჰყოლოდა ზევით, თან მიჰქონდა ყველაფერი, რაც მიწაზე დაეპყრო, სოფლის ნანგრევებიც, ყასათვლაოც, ახრიალებული მანქანაც, ქვებზე გამწარებით მოხტუნავე და პირზე ქაფმომდგარი, მიიწევდა ზევით, ყველაზე მაღალი მთისკენ, რომელსაც კიდევ უფრო ზევით მიაქანებდა ქართულ წრფელთა ერთობლიობა, ადრე მზის ბული რომ ფარავდა და მხოლოდ ახლა გამოჩენილიყო, აკიაფებული ჩამავალი მზის სხივებით, ეკლესია „ამაღლება“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ბელა შალვაშვილი

### შენ, შენ რა გიჭირს

შენ, შენ რა გიჭირს, აპრილო,
მოხვალ ერთი წლის მერეც,
დაანთებ უუნაპირო
ხეობასა და ფერებს —
ააწყვეტინებ ღელეებს,
ამ აჩქვიფებულ კვიცებს,
მოაქამომდე ზერელეს
აამღელვარებ სივრცეს;
მდელოებს ააზიმზიმებ,
აამქუხარებ არაგვს,
ჰმოალაგებ ზიზილებს
კოხტა პატარძლის დარად;
შეავარდისფრებ ალიონს,
მზისკენ უბიძგებ ფრთოსანს,
მიდიხარ... ესეც ვალია,
მაგრამ კვლავ იცი მოსვლა..
. . .
შენ, შენ რა გიჭირს, აპრილო!

### და... ჯვარი!

აი, ეს მშვიდი სილამაზე უფრო მახელებს,
ღირსჰყო ამგვარი სილამაზით ბუნებამ ქართლი,
წყნარი სინაზე არის ასგზის დიადი მადლი, —
ნელნელ ედება რომლის ძალა ქართლის მნახველებს.

ჰა და, ჰა, ცაში აიწევა, მგონია, ჯვარი,
ჰა და, ჰა, ალაპარაკდება ცხოველი სვეტი...
ველარსად ნახავ შემოგარენს ამგვარად მეტყველს.
აქ სისავსით და სიამაყით იცნობა მტკვარი.

ყოველს აჩნია უფლის ხელის ნატიფი კვალი,
აღარა გინდა ამ გრძნეული გარემოს მეტი,
ყოვლის წინაშე მოიხარო გწადია ქედი..

აქ მეჩვენება ყველა ჩვენი უკვდავი მკვდარი,
ცოცხლებზე უფრო ცოცხლები და უფრორე მეტი...
და ჯვარი, — უფლით დანთებული უქრობი კვარი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტანჯვის დედოფალი

შენი ნაღვლიანი ჭრრრ... შენი სევდიანი ჭრიიი..
ყურს რა, ჩემო მეგობარო, მაგრამ გულისგულს მჭრის;

ჩემო მარტოობის დედოფალო, ჩემო უჩინარო დარდო,
შიშველო ვაება-გოდებავ და ამა გოდებით კარგო!

უჩინარს მოთქმით გხედავ, ვგრძნობ, შენი დარდი რა არჯალია,
თვალით რომ ვერ გხედავ, მიტომაც, ეგ ტანჯვა ათასგზის მართალია.

ეგ მოთქმა მარტოსულის მოთქმაა, ამაღლებული და უბოლოო,
ამ მოთქმას ვერაფრით ისწავლი, მიბაძვით — გააუბრალოებ;

ყოველ სერობაზე იწყება შენი წუხილი და მოთქმა
ამიყოლიებ და ღამეში მარტოდ ჩანს წუხილი ორთა;

თუმცა, შენ რას დაგედარები, დიდო დედოფალო ტანჯვის,
შენი წუხილია გიშრისფერი, ჩემი — მარტოოდენ მარჯნის.

ოჰ, ეს გამგმირავი ჭრრრ, ვაი, ეს გაბმული ჭრიიი, —
ტანჯვის უსასოო დედოფალო, შიშველ იარადა მჭირს.

## ნამდვილი ყოფის დასაწყისი

იდგა ძახველი ვებერთელა, წითლად ღვიოდა,
ისე, იმგვარად ხიმხიმებდა, თითქოს ყიოდა;

თითქოსდა ხეცად ალავლენდა ლოცვას და ოდებს...
მე იმ ძახველის ელვარება აქამდე მომდევს.

თუმცა მზიანი იყო ის დღე, სექტემბრის ათი,
მეჩვენებოდა მაინც ერთობ ქუში და მკაცრი;

ვათვალიერებდით შუაფხოში პოეტის დედას,
პოეტი იდგა ერთიანად ქცეული რეტად.

იმჯერად ისე წყნარი იყო მაინც არაგვი,
ყველა მდინარეს წააგავდა, არაგვს — არაფრით.

იქვე, სახლს უკან, ტყის ნაპირას იდო საფლავი,
პოეტის დედის საიმედო ბინა-საფარი;

თვალწინ არაგვი, იქვე, სახლი, საფლავიც იქვე —
ნამდვილი ყოფის დასაწყისიც ეს იყო იქნებ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე გვერდიგვერდ — დროებითთან მუდმივი ბინა,
ასე მგონია, წინაპრებმა იცოდნენ წინათ..

ოჰ, ის ძახველი, ის არაგვი, ქიქეიკა ფერდა,
ვასაფლავებდით 'პოეტებ' პოეტის დედას.

## რა სხვანაირი იყო

როგორ იოლად იცვლება
ფერი, იერი სახე;
მშვენება გადაიცვალა,
ის მთა ჰგავს სხვა მთის ნახევს;
წყაროს რაკრაკი ჩაუცხრა,
ვერც შენ გიცანი, ხეო...

კორდს ლეგა ფერი დაუკრავს,
მზეც სხვანაირად მზეობს...
რარიგ იცვლება იოლად
ღელე, მინდორი, რიყე...
ჩემი ბავშვობის იორი
რა სხვანირი იყო!

## ვით...

მზე ამოვა, ისე ჩავა,
არ დამცდება სიცილი,
აღარც ძილში ძილისა ვარ,
არც — ღვიძილში ღვიძილის;
სახლში ვარ თუ სადმე დავალ,
თან დამყვება ნისლი,
აღარც ჩემივ თავისა ვარ,
აღარც ვინმე სხვისი.
აღარც ჩემს ნებაზე დავალ,
აღარც — ვინმეს ნებისად,

აღარც სიხარულისა ვარ,
აღარც მწუხარებისა;
დღეთა უამურთა წყება
მითუნდება ულევად,
აღარც მეშემოდგომება,
აღარც მეზაფხულება;
სიმშვიდეა — აღარც ხილად,
ლხენამ სულ მიიძინა...
ვით ვიქციო ძილი ძილად
და ღვიძილი ღვიძილად.

## ყველაფერს ვეტყვი

მიყვარს ზღვისპირა ქალაქები, თანაც, ძალიან, —
უცებ რომ მოვა და უცებვე გადიღებს წვიმა.
აბრეშუმივით მოშრიალე, ლივლივა, მძიმე,
მისი შრიალი, ტყაპატყუპი რომ გიხარია.

ამა ქალაქის ძველ წინაპარს ფაზისი ერქვა,
ევქსინოს პონტოს აქ მოჰყავდა ხომალდი ბერძნის,
თვალი მოეჭრა ბერძენს ოქროს ბრიალა ვერძით...
ჰო, მოჰყვებოდა ხოლმე ოქრო აქ მკვიდრის ერქვანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალზე მართალი სევდა დასდევს ზღვისპირა ქალაქს
და, მითუმეტეს, თუ ამ ქალაქს ფაზისი ჰქვია,
ციცინათელებს ოქრო დააქვთ აშკარად, ღიად:

თითოეული, ჩანს, ამ ოქროს ვიღაცას ჰპარავს...
ჰგონიათ, ალბათ, მათ ქურდობას სიბნელე ჰფარავს...
ყველაფერს ვეტყვი ყველა ნაცნობ და უცნობ ნიავს.

## მომასმენინეთ!

გაისმის წვიმის წკაპუნა ჩქამი,
ვერ მოიჯერა წანწკარით გული,
ფანჯარას ღიას დავტოვებ ღამით,
რომ წვიმის ჰანგებს ჩავჭიდო ყური;
თორემ დღის გაბმულ აურზაურში
ვერ შევისმინე წვიმის ჰანგები, —
ვისთვის უაზრო რამე ხმაური,
ჩემთვის კი — ზეცის გულის ნადები.

ამ წვიმის სილბოს რომ ვაკვირდები,
ჰანგიც ლბილი და ამო ექნება.
მე მისი ჰანგის სმენა მჭირდება,
მომასმენინოთ მაინც, ეგება!
თორემ, ღამემდე თუ გადაიღო,
გული დამწყდება მართლაც ძალიან,
მე წვიმის სილბო მსურს გადავიდო,
მომასმენინეთ წვიმის არია!

## ნუ გეშინით!

სიკვდილის ნუ გეშინიათ, —
ჩვენიანია ისიც,
ისიც ბუნების შვილია, —
ოღონდ, მოცული ნისლით;
მას ძალუძს, აგრე გოლიათს,
იდუმალს შეხსნას კარი,...
და თუ სიკვდილი ბოლოა,
ბოლოც კეთილი არი.

ალბათ მის მერე იწყება
სულ სხვა, ნეტარი ყოფა,..
ხორციელება მიწდება,
სულით იწყება ტკბობა..
მაკრთობს მარტოდენ სირცხვილი —
ჩემი, შენი და სხვისი
და ვერ მაშინებს სიკვდილი, —
ჩვენიანია ისიც.

## მადლობელი ვარ

მადლობელი ვარ ყველა იმათი,
ათასში ერთხელ ვინაც მიხსენებს,
მადლობელი ვარ ნაღდი სიმართლის,
თვალზე რომ მოგგვრის ცინცხალ
სისველეს.
პაწია სითბოს გამეტებისთვის
ვინც ჩადგა ჩემს და სიმძიმილს შუა...
მადლობელი ვარ ჩემი მტრებისაც,
ცოტაოდენი მასწავლეს ჭკუა.

მადლობელი ვარ ცვრიან იების
ჩიტის, რომ მიცვლის მქისე გუნებას,
ქალაქის მკვიდრთა მკაცრ ჩაციებით
ჩემსკენ პირქუშად შემობრუნებას;
მადლობელი ვარ, ჩემს ჭერქვეშ ვინაც
შემოიტანა ხასხასა გული,
მადლობელი ვარ წკაპუნა წვიმის,
რამდენჯერ ჰანგით დამითრო ყური.

მადლობა, ცაო, შენი წყალობით
რამდენჯერ ვნახე უბიწო თოვლი,
ვნახე ათასი ავდარ-დარობა, —
მადლობელი ვარ ყველას და ყოვლის;
ყველაფერს ირგვლივ მადლობას
ვწირავ, —
ნაცნობს და უცნობს, მთასა და ველობს,
დღეს რომ ზარს მცემს და მ[illegible]
წინათ,
იმ კაცსაც, დღეს რომ მდელოსებრ
ჰრელობს.

ეროვნული

## მო, მომაგონეთ!

აჰა, ღიმილი გადამავიწყდა,
სიმღერაზე ხომ სიტყვაც მეტია...
მიმიჩუმათდა გული სამიწე
და მზაფრავს ქარი შარახვეტია.
აღარც სხვებს უჩანთ ღიმილის მსგავსი,
რომ გადამდონ და ამიყოლიონ...
ულიმილობა, ეს სნება ნავსი
რომ მოვისროლო როგორც ფოლიო.
რა ეწამლება შავი ჰირივით
ქალაქს მოარულ ულიმილობას,
მო, გაიღიმეთ. თქვენი ჰირიმე,
დამითქვით თითო ღიმის პირობა;
თორემ წამლეკა ულიმილობამ,
ცივად მოკუმულ ბაგეთა ჰვრეტამ,
გულზე გამიჩნდა დიდი ჰრილობა
და ერთიანად ვქცეულვარ რეტად;
ვაიმე, შავი დღეების მომსწრეს,
ანკი რად მიკვირს ულიმილობა...
და მაინც, უნდა პირობა მომცეთ, —
აღმითქვათ თითო ღიმის პირობა.
გამომიწოდეთ ღიმილი, როგორც
ერთურთს ვუწვდიდით ვარდსა და იას,
ღიმილი არის პატარა გოგო,
ულიმილობა — ვერაგის ტყვია.
მო, მომაგონეთ როგორ იღიმით, —
როგორ ლამაზად, ფართედ და ამოდ...
როგორც შროშანი, როგორც ლილილო,
სულ უმიზეზოდ, არაფრის გამო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ორი უნგრული ბალადა

## კირითხურო კელემენი

(კედელში ჩაშენებული ქალი)

კირითხურო თორმეტი შეყრილა და მსჯელობს,
დევას ციხე-სიმაგრე უნდათ, ააშენონ.
ნახევარ ფუთ ვერცხლს ატანენ, ააშენონ ოღონდ,
ნახევარ ფუთ ვერცხლსა და ნახევარსაც — ოქროს,
დიდი დევას ქალაქში ერთად ჩამოდიან,
დევას ციხის შენებასაც ერთად შეებმიან.
დღისით კედელს აიყვანენ, საღამომდე სკდება,
საღამოს რომ კედელს დგამენ, დილას აღარ ხვდებათ.

კირითხურო თორმეტი ისევ ბჭობს და მსჯელობს,
რა ილონონ, ციხე როგორ ააშენონ.
იფიქრეს და ბოლოს ერთად მოიფიქრეს, რა ქნან,
თან ერთმანეთს შეჰფიცეს, აღასრულონ აღთქმა:
ვისი ცოლიც მათთან ყველაზე წინ მივა,
ხელი სტაცონ, მყისვე შეკრან, დაწვან, როგორც თივა,
დუღაბს შეაზილონ მისი ფერფლი იქვე,
ამ დუღაბით ააშენონ დიდი დევას ციხე.

ჩემო კარგო მეეტლეო, მეეტლევ მაღალო,
ქმარი მომენატრა, ქმართან წამიყვანე! —
კელემენის ცოლი მეეტლეს გასძახებს —
„ეტლში ცხენები შეაბი, ეგ ცხენები მარჯვე,
ეტლში ცხენები შეაბი, მარდად გაისარჯე.
მაშ, წავიდეთ, მაშ წავიდეთ დევას ციხისაკენ!“

ის-ის იყო, გავიდნენ და გაუდგნენ გზასა,
დარი ავდარმა შეცვალა, ცას ღვარცოფი წასკდა.
— ჩემო კარგო ქალბატონო, გთხოვ, დავბრუნდეთ უკან,
ავი რამ ნიშანი სიზმრად ვნახე უკვე,
წუხელ სიზმარი ვნახე — გავიღვიძე ძლივას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითომ კელემენის ეზო-კარში მივალ,
მთელი ეზო-კარი ძაძით შეუმოსავთ,
შუა ეზოში კი ვხედავ ღრმა ორმოსაც.
მისი ვაჟი პატარა იქვე გდია მკვდარი,
არ ახდება კარგად, ვიცი, ეს სიზმარი.
ქალბატონო, ქალბატონო, გთხოვ, გავბრუნდეთ უკან!
— მეეტლეო ჩემო, ასე მხდალი ნუ ხარ!
არ დაზოგო არც ეტლი, არც — ძალი და ღონე,
მიდი, მისცხე მაგ ცხენებს, მიდი, გამაქროლე!

მიფრინავენ, მიქრიან ციხისაკენ ორნი,
კირითხურო კელემენი მათ თვალს მოჰკრავს შორით,
ელდა ეცემა და გულში ნატრობს — „ღმერთო!
ღმერთო, აქ ნუ მოიყვან, გზა უცვალე, შეგთხოვ!
ან ჩემს ქურან ცხენებს მოამტვრიე ფეხი,
ან ბორბლები დაამტვრე ჩემს ეტლს ზათქით, ჰექით,
ანდა ელვის ცეცხლი შარას დააშუქე
და დამფრთხალი ცხენები გააჭენე უკან!"
მიფრინავენ, მიქრიან დევას ციხისაკენ,
კელემენის ნატვრა იმათ ვერც ვერაფერს აკლებს.

— კირითხუროებო, გამარჯვება ყოველს!
გამარჯობა, კელემენ, გამარჯობა! მოველ!—
ესალმება ქალი, ქმარი — ამას ამცნობს:
— ჩემო კარგო ცოლო, შენამც გაგიმარჯოს!
შენი ფეხით მოსულხარ შენივ აღსასრულთან,
ხელი უნდა გტაცოთ, შეგკრათ და ცეცხლს მიგცეთ უნდა.
კირითხურომ თორმეტმა აღთქმა დავდეთ ერთად,
ვისი ცოლიც მოვა სხვებზე უწინ ჩვენთან,
ხელი უნდა ვტაცოთ, შევკრათ და ცეცხლს მივცეთ უნდა,
მისი ფერფლი ფარფატა შევურიოთ დუღაბს.
იმ დუღაბით ავაშენოთ დიდი დევას ციხე,
ამის ფასად თუ შევიძლებთ, რომ არ გასკდეს კიდევ.
კელემენის ცოლი როცა ამას გაიგონებს,
ქმრის მწუხარე სიტყვებს თავის სიტყვას მოაყოლებს:
— დამაცალეთ, დამაცალეთ თქვე თორმეტო მკვლელო!
ეტლი უკანასკნელად მსურს, გზას გავუყენო!
მინდა, დავემშვიდობო ჩემს ტოლ-სწორებს, ყველას,
ჩემს ტოლ-სწორებს, ჩემს პატარა, ლამაზ ბიჭუკელას.
ყველას დასაფლავებაზე სამგზის რეკავს ზარი,
ჩემთვის, საბრალოსთვის კი ეყვანიც არ არის.
კელემენის მეუღლე სახლში მიიჩქარის,
უნდა, უკანასკნელად სახლს შეავლოს თვალი,
უნდა, დაემშვიდობოს თავის ტოლ-სწორს ყველას,
თავის ტოლ-სწორს და ვაჟსაც — ლამაზ ბიჭუკელას.

მერმედ უკან ბრუნდება კელემენის ცოლი,
დიდი დევას ციხისაკენ — ქვითინით და თრთოლვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელს სტაცებენ, შეჰკრავენ, ცეცხლში ჩააგდებენ.
მის ფარფატა ფერფლსა კი დუღაბში ურევენ,
იმ დუღაბით აშენებენ დიდი დევას ციხეს,
მხოლოდ ამის ფასად აჰყავთ, რომ არ გასკდეს კიდევ.

კირითხურო ქელემენი შინ რომ დაბრუნდება,
მისი ვაჟი პატარა წინ მიეგებება:
— რა კარგია, რომ მოხვედი მამიკონა, მამა!
დედაჩემი სადღაა? დედა? — ჰკითხავს ამას.
მამა უპასუხებს, მამა ითმენს გლოვას —
— მოიცადე, შვილო, და — სადამოთი მოვა.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო! საღამოა უკვე!
დედა კი არა სჩანს, არც ვინ მაძლევს ნუგეშს.
მამა, ჩემო მამა! ნუ მიმალავ, მითხარ,
დედაჩემი სად არის? მალოდინებს დიდხანს.
— წადი, შვილო, წადი დევას ციხისაკენ!
დედაშენი იქ არის, კედელს ჩავატანეთ.

მიდის, მიიტირის ბიჭი პაწაწინა,
მიდის, მიიტირის დევას ციხის წინა.
სამგზის ლალად — უყოფს დიდი დევას ციხესა:
— დედა, ჩემო დედა! ხმა გამეცი, მიხმე!
— ხმას ვერ გაგცემ, შვილო! აღარა მაქვს გული,
ამ ქვითკირში ჩამატანეს მსხვერპლად შეწირული.

ეს უთხრა და მიწამაც დააბჩინა ხახა
და პატარა ბიჭი, ჩანთქა, ჩაიმარხა.

## მშვენიერი იულია

(ცაში აყვანილი ქალწული)

მშვენიერი იულია მიდის თურმე ერთხელ
ლილილოთა დასაკრეფად ლილილოთა ველზე.
რომ გვირგვინი დაიწნას და შეკრას თაიგული
რომ გვირგვინი დაიწნას და გაიხაროს გული.

ზემოთ ზეცისაკენ თვალი გაექცევა,
ლამაზი ბილიკი ხედავს, ცით ეცემა,
თან ჩამოსდევს კრავი — თეთრი და ხუჭუჭა,
მზეც და მთვარეც ერთად რქათა შორის უჩანს.
ობილი ვარსკვლავი შუბლზე უკაშკაშებს,
ორი ოქროს რგოლი აქვს ოჰ, ორივე რქაზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჰ, უნთია ორთავ მხარეს წყვილი კელაპტარი.
ბლუჯა-ბლუჯა ვარსკვლავებით მოსჭედვია ტანი.

კრავი თეთრი და ხუჭუჭა ასე ეუბნება:
— მშვენიერო იულია, ნუ შეგეშინდება!
წმინდა ქალწულთ დასისათვის მომეწონე ახლა
და თუ გამომყვები, თან წაგიყვან მაღლა,
ზეციური გუნდისაკენ. წმინდა ქალწულებთან,
რომ შენც დაამშვენო მშვენიერთა წყება.
ზეციურ გასაღებს მივცემ ხელთა შენთა,
მამლის პირველ ყივილზე მოვალ, შემოგხედავ,
მამლის მეორე ყივილზე გითხოვ, დაგიძახებ,
მამლის მესამე ყივილზე ცაში აგიტაცებ.

მშვენიერი იულია დედასთან ბრუნდება
და ყველაფერს მოუყვება: — დედა, ჩემო დედა!
ვნახოთ, ველზე გამოვდივარ ლილილოს საკრეფად,
რომ გვირგვინი დავიწნა და შევკრა თაიგული,
რომ გვირგვინი დავიწნა და გავიხარო გული.
ზემოთ, ზეცისაკენ თვალი გამექცევა,
ლამაზი ბილიკი, ვხედავ, ძირს ეცემა,
თან ჩამოსდევს კრავი თეთრი და ხუჭუჭა,
მზეც და მთვარეც ერთად რქათა შორის უჩანს.
ობოლი ვარსკვლავი შუბლზე უკაშკაშებს,
ორი ოქროს რგოლი აქვს ოჰ, ორივე რქაზე.
ოჰ, უნთია ორთავ მხარეს წყვილი კელაპტარი,
ბლუჯა-ბლუჯა ვარსკვლავებით მოსჭედვია ტანი.

და ის კრავი ხუჭუჭა ასე მეუბნება —
— მშვენიერო იულია, ნუ შეგეშინდება!
წმინდა ქალწულთ დასისათვის მომეწონე ახლა
და თუ გამომყვები, თან წაგიყვან მაღლა,
ზეციური გუნდისაკენ, წმინდა ქალწულებთან,
რომ შენც დაამშვენო მშვენიერთა წყება.
ზეციურ გასაღებს აძლევს ხელთა ჩემთა,
მამლის პირველ ყივილისას მოვა, შემომხედავს,
მამლის მეორე ყივილზე მითხოვს, დამიძახებს,
მამლის მესამე ყივილზე მაღლა ამიტაცებს.

დამიტირე დედაჩემო დაე, მეც გავიგო,
დაე, მეც გავიგო, დედა, როგორ მიგლოვ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თაფლის სანთელს ჩამოგიქნი, შვილო, შვილო, შვილო!
ჩემს ბაღნარში ფუტკარი დგამს ფიჭას სკათა შინო,
სკიდან ფიჭას ამოვიღებ და თაფლს მოვაცილებ,
ცეცხლის ალზე დავარბილებ და ყვითელი ცვილით
შენს სახელზე სანთელს დავდგამ და თან დაგიტირებ.

აი, დაურეკავი რეკავს ზეცის ზარი!
აი, გაუღებელი იღება ცის კარი!
ვაჰმე, იქით მიჰყავთ ჩემი ტურფა ქალი!“

უნგრულიდან თარგმნა დალილა ბედიანიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო სულაბერიძე

# ცხადსიზმარიანა

## ფიცი

ჩემი ასეულის ჯარისკაცებმა ქართული სამარშო სიმღერა არჩიეს. გერმანელებს არ დაუძალებიათ, მაინცადამაინც ჩვენი სიმღერები იმღერეთო. როცა მოვახსენე ობერლოიტენანტს, ქართულად ვიმღერებთქო, გუდ, გუდო, ძალიან საინტერესოც იქნებაო, მაშინვე დამყაბულდა.

მენშევიკური გვარდიის სიმღერა გაიხსენეს. მალევე შეუწყეს ერთმანეთს ხმები და როცა ოცეულები სიმღერით მიაბიჯებდნენ, ოტტო ბეკერი ჩაილაპარაკებდა, გუდ, გუდო.

ერთ დღესაც აბანოში წაგვიყვანეს, რაც ზედ გვეცვა, ყველაფერი გაგვახდევინეს და გერმანული არმიის მწვანე მუნდირები დაგვირიგეს, სქელძირიანი ბათინკები, რომელთა ძირები ნალებითა და რკინებით იყო მოჭედილი. ეს იყო სამთო ბათინკები.

როცა მუნდირებში გამოწყობილი ჯარისკაცები და მეთაურები ოცეულებად დაეწყო, ასეულის მწყობრს სხვა ელფერი დაედო. ნაბიჯიც სხვანაირი რიხით გადადგეს, როცა სმენაზე გაჭიმული ასეულის მწყობრი ადგილიდან დაიძრა.

ერთსულოვნად დასჭექეს სიმღერა. სვიმონ შონიამ მაინც მარჯვენა ფეხი გადადგა პირველად წინ, მაგრამ ამან ველარ დაარღვია ერთ სხეულად ქცეული მწყობრის რიტმი. სვიმონ შონიას ახირებას აღარ ვაქცევდი ყურადღებას.

მოახლოვდა ფიცის მიღების დროც.

ობერლოიტენანტმა ოტტო ბეკერმა მომცა ფიცის გერმანული ტექსტი, ივანემ რუსულად თარგმნა და მე გადმოვაქართულე. აღარ ამახსოვს ახლა ფიცის ტექსტი ზეპირად, მაგრამ არც არის მაინცდამაინც საჭირო დაკითხვის დროს გამომძიებელი კი ჩამაციედა, სიტყვასიტყვით მითხარი ფიცის ტექსტიო, მაგრამ ვერა და ველარ გავიხსენე, ორი კვირა მაწვალა, დაახლოებით მაინც აღადგინეო, ასე ხო არ იქნებოდა, თავადაც წამომეშველებოდა ხოლმე რომელიმე სიტყვით, მიახლოებით ტექსტი მაინც შემადგენინა, ალბათ ამას საბრალდებო დასკვნისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა წითელ არმიაში რო მქონდა ფიცი მიღებული, იმის გატეხვის უტყუარ საბუთად გამოდგებოდა, მოღალატის ბრალდება უფრო ნათელი იქნებოდა (აღარც ეს მიახლოებითი ტექსტი მახსოვს).

ფიცი ფიცია, რომელი არმიისაც არ უნდა იყოს. შეიძლება სიტყვებია განსხვავებული, თორემ შეფიცვის არსი ერთიდაიგივეა ყველა ქვეყნის არ-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მნათობი", № 7-8.

მიისათვის, ამ არსის შინაარსი კი ასეთია — ერთგულად და თავგანწირულად ვემსახურო სამშობლოს. ჩვენი ფიცის ტექსტის განსაკუთრებულობა კი ის იყო, რომ შიგ ეწერა, ერთგულად ვემსახურო გერმანულ არმიასა და ვიბრძოლო საქართველოს განთავისუფლებისათვის.

სანამ ოფიციალურად მოხდებოდა ფიცის მიღება, მანამ გავაცანი ასეულს ფიცის ტექსტი, ვსაუბრობდით კიდეც მის შესახებ, ერთგვარი საერთო თანაგრძნობა გამოიწვია ფიცის იმ მოტივმა, რომლითაც ლეგიონერი ვალდებულებას კისრულობდა, ვიბრძოლო საქართველოს განთავისუფლებისათვისო. ხმამაღლა არ გამოუთქვამთ, მაგრამ ვიგრძენი, ბევრს არ მოეწონა ფიცის სიტყვები, ვემსახურო გერმანულ არმიასო. პროტესტი არავის გამოუთქვამს ამის გამო. სვიმონ შონია თუ მართლა წითელი არმიის კადრის მაიორი იყო, რა თქმა უნდა, მისთვის ძნელი იქნებოდა ამგვარი ფიცის დადება, თუ მალავდა თავის ვინაობას, ალბათ გარკვეული თვალსაზრისიც ჰქონდა ლეგიონში ყოფნის გამო, შეიძლება დროებით თავშესაფარად გამოიყენა, ტყვეთა ლაგერში უაზრო სიკვდილს აქ მოსვლა არჩია, რათა შემდეგ ხელსაყრელი შემთხვევა მოეხელთებია და გაქცეულიყო. ჰოდა, თუ ასეთი აზრით იყო ჩვენთან, რასაკვირველია, ფიცის არცერთი მოტივი მისთვის მისაღები არ იქნებოდა. შეიძლება სიმონისნაირი სხვებიც იყვნენ ასეულში. სვიმონ შონია რაკი მაიორი იყო, რალა თქმა უნდა, კომუნისტიც იქნებოდა. სხვანიც ალბათ და თავიანთი კომუნისტური მრწამსის შენარჩუნება სურდათ. მე ამას, აბა, რანაირად გავარკვევდი, ორას კაცში როგორ გამოვარჩევდი ამნაირებს?! არც განმიზრახავს ამგვარი რამ. გერმანელებს კი აზრადაც არ მოსვლიათ, ლეგიონერთა პოლიტიკური მრწამსის კვლევა-ძიება.

მე სვიმონ შონიაზე გავრცელებულმა ხმებმა მხოლოდ იმიტომ დამაინტერესა, თუ ეს მართალი [illegible]ნს, როგორც მაიორსა და [illegible]ს, მეტი მოკრძალებითა და პატივისცემით მოვეპყრობოდი.

სვიმონმა კატეგორიულად იუარა და აღარ მივძალებივარ. მაგრამ თუ საგანგებოდ მალავდა და არ გამიმხილა, როგორც აღვნიშნე, გასაკვირი არ იყო, თუ მას თავისი თვალსაზრისი ჰქონდა.

ერთია მხოლოდ, არცერთ მათგანს, ასეულიდან არავის ფიცის ტექსტზე რაიმე პროტესტი არ გამოუთქვამს.

შინაგანმა ხმამ ერთხანად მეც შემომძახა:

„ფიცის გატეხვა არ არის რიგიანი, როგორიც არ უნდა იყოს, ხო დადე ეგ ფიცი, იქ, წითელი არმიის მწყობრის წინაშე, ახლა მისი უარყოფა და სხვა ფიცის მიღება არ იქნება კაი კაცობა, კაცი სიტყვისა და ფიცის ერთგული უნდა იყო, ეს წესადა გვაქვს უხსოვარი ხნიდან ქართველებს."

ასეთმა აზრმა ჩემშიაც გაიფაჩუნა, მაგრამ როცა ავწონ-დავწონე, ის დასკვნა გამოვიტანე, რომ მაინცადამაინც დიდი ცოდვა არ იქნებოდა ეს, საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე, რა თქმა უნდა, ცოდვად და დანაშაულად ჩაითვლებოდა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამაც რომ დაარღვია ჩემი გამოსარჩლების წესი?! შიმაგდო ტყვეობაში უპატრონოდ, შიმშილით სული მძვრებოდა და არაფერი ილონა, ილონა კი არა, მოღალატედ გამომაცხადა უკვე. გარდა ამისა შინაგანად ხო ვიყავი შემზადებული, ვერ ვამხელდი ხმამაღლა, აქტიურად ვერ ვებრძოდი, თორემ ისე მუდამ ვგრძნობდი, რომ საქართველო, ჩემი ნამდვილი სამშობლო, საბჭოთა რუსეთის მონობის უღელში იყო შემდგარი. აგერ უკვე გერმანული ძლევამოსილი არმია მიადგა კავკასიონის ქედებს, რუსებს კუდით ქვა ასროლინა და, ჰა და ჰა, საცაა ფეხს შეადგამს საქართველოშიც. ამ მძიმე ულლიდან თავის გამოხსნის

შანსი გამოჩნდა, ჩვენაც თავის მწყობრში ჩაგვიყენა ამ არმიამ და არ გამოვიყენოთ ეს შანსი?! არ დავდოთ ფიცი იმისათვის, რომ ვიბრძოლებთ საქართველოს განთავისუფლებისათვის?! ტყვეობაში უაზროდ შიმშილით სიკვდილს, არ ჯობს თავი გადავირჩინოთ, ცოცხლები დავრჩეთ და თუ საქართველოს ვერ გავანთავისუფლებთ, ეგებ დავბრუნდეთ მაინცა ბოლოსდაბოლოს? ცოცხლები უფრო გამოვადგებით თუ მკვდრები?!

ფიცის მიღებასთან დაკავშირებით ეს მოსაზრებანი ამეკვიატა და საუბრებში გავუმჟღავნე კიდეც ჯარისკაცებს, მეთაურებს. ვმსჯელობდით, გულისყურით მისმენდნენ, ეჭვებსაც გამოთქვამდნენ, ვაი, თუო... და სხვამისთანანი, მაგრამ ძირითადად იზიარებდნენ ჩემს მოსაზრებებს. სვიმონ შონიასთანები, თუ ისინი მართლა კომუნისტური მრწამსით იყვნენ გამსჭვალულნი და აქ ინილბებოდნენ, რა თქმა უნდა, გულში მაძაგებდნენ, მაგრამ აშკარად არაფერი უთქვამთ და მეც არაფრად ვაგდებდი მათ ფარულ გულისნადებს.

ასე, რომ ფიცის მიღების საზეიმო ცერემონიალისთვის ასეული ერთგვარად შემზადებული იყო.

ოცეულის მეთაურებსა და მე თეთრ სირმებშემოვლებული სამხრეებიც მოგვცეს, იმათი უნტეროფიცრებისნაირი სამხრეები.

ფიცის მიღების წინა დღეები განსაკუთრებით მოვანდომეთ ასეულის საერთო მწყობრის საზეიმო მარშით სიარულისათვის დამაბულ მზადებას. განსაკუთრებით გაჭირდა ასეულის მიერ სიმღერის ერთიანად ატაცება, სამხედრო ორკესტრი არ ჰქონდა ბატალიონს, ამიტომ ერთიან სიმღერას უნდა წარემართა საზეიმო მარშით სიარული. გაუჭირდათ ჯარისკაცებს, მაგრამ ბოლოსდაბოლოს მაინც შეძლეს სიმღერის ერთსულოვნად დაქუხება. ფიცის მიღების წინა დღით ობერლეიტენანტი წინ ერთსულოვან სიმღერაზე აწყობილი მკვეთრი ნაბიჯებით რო ჩაიარა ასეულმა, ოტტო ბეკერმა [illegible], გუდ, გუდო!

ბიბლიოთეკა

ფიცის მიღების ცერემონიალზე კი მართლაც ისახელა თავი ასეულმა.

ფიცის ტექსტი ქართულად მე წავიკითხე. საგანგებოდ აღმართულ ფიცრულ ტრიბუნაზე ვიდექით ბატალიონის მეთაური მაიორი, სხვა გერმანელი მეთაურები და ჩვენ, ლეგიონერი მეთაურები. ტექსტი რიხიანად წავიკითხე. ერთ ფრაზას რო წარმოვთქვამდი, შევჩერდებოდი და ლეგიონერები იმეორებდნენ ერთხმად. ასე წარმოვთქვით ფიცის ტექსტი ბოლომდე.

სომხებს სომხურად წაუკითხეს ფიცის ტექსტი.

მერე ტრიბუნის წინ ბატალიონმა საზეიმო მარშით ჩაიარა.

მაიორმა ბატალიონი სამწყობრო მარშისათვის შეამზადა და როცა დაიქუხა, მარშო, ჯერ პირველი ასეული დაიძრა, სიმღერით ჩაიარა ტრიბუნის წინ, რომელზეც სამხედრო სალმით გერმანელი ოფიცრები იდგნენ.

მერე ჩემი ასეული გაემართა. დასჭექეს სიმღერა, მარა, რა დასჭექეს! დაარტყეს მიწას ფეხი, მარა, რა დაარტყეს! წინ მივუძღვოდი საფეთქელთან ხელმიდებული და თან ყურადღება გაფაციცებული მქონდა, ნაბიჯების მიწაზე ბრახუნს ვუყურებდი, მაშინვე მივხვდებოდი, ვისმე რომ ფეხი ასეულისთვის არ აეწყო. სიმღერის რიტმზე გულში ვიმეორებდი, აინ, ცვაი, დრაი, ფიერ... ტრიბუნისკენ თავმიქცეულმა ასეულმა რიხიანად, ბათინკების მიწაზე ერთიანად დარტყმითა და ხმაშეწყობილი ქართული სიმღერით ჩაიარა და, როცა კარგა მანძილით გავცდით ტრიბუნას, მწყობრიდან გამოვედი, გვერდიგვერდ ავედევნე ასეულს და, ყოჩაღ, ყოჩაღ, ბიჭებოთქო ვაქებდი გულიანად მათ, ვაქებდი კი არა, მადლობას ვუხდიდი ყველას.

უკვე ვამაყობდი.

ყაზარმასთან ობერლეიტენანტიც წა-

მოგვეწია, მოვიდა ჩემთან და მითხრა, ჰერ, ვოლდემარ, იჰ კათოლირე, დანკენ შოინ, ზეერ გუდო! (მომილოცავს, მადლობელი ვარ, ძალიან კარგი მწყობრი გვაჩვენა ასეულმაო).

ამჯერად თავად სვიმონ შონიასაც არ დაურღვევია მწყობრის სამარშო წესები.

## ჩემი საიდუმლო

სამ თვეში დამთავრდა ზასლავაში ბატალიონის ფორმირება.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო გერმანული არმიის სულისკვეთებით ანთებული სამხედრო ორგანიზმი. გერმანული არმია დაპყრობით ომებს აწარმოებდა, ევროპა წალეკა, ინგლისს, რომლის დაპყრობაც მთავარი მიზანი იყო გერმანელებისა, გამუდმებით დაუნდობლად ბომბავდა, რუსეთი თხის არვესავით დაარბია და მოსკოვთან, სტალინგრადთან და კავკასიონის ქედებთან ამზადებდა ახალ დაპყრობით იერიშებს, ალბათ ინდოეთისაკენაც კი, მსოფლიო ბატონობის პრეტენზიებით მიემართებოდა ძლევამოსილად, ებრაელებს დაუნდობლად ქლეტდა, „დოიტშლანდ იუბერალესო", მღეროდა ევროპისა და რუსეთის გზებზე და, რა თქმა უნდა, ჩვენ ამ იდეებითა და სურვილებით ვერ აღვიჭურვებოდით, ვერ გავიზიარებდით ამ იდეებს, ვერა და ვერა, რა ჩვენი საქმე იყო მსოფლიო ბატონობა, ვერ გავყვებოდით გერმანელებს ინდოეთამდე.

ჩვენ მხოლოდ მათ ზურგს ამოვეფარეთ, რათა შიმშილით არ დავხოცილიყავით და სიცოცხლე გადაგვერჩინა. ჩემი ასეულის სალდათებისა და მეთაურების გულში ეს ერთი მთავარი მიზანი იყო ჩამარხული. ეს არ იყო ის მხედრიონი, რომელიც ჩვენი მეფეებისა და სარდლების წინამძღოლობით მომხვდურ არაბებსა და სპარსელებს ეხეთქებოდა ხოლმე თავგანწირულად. საბჭოთა არმიაში უეცრად გაწვეულ ამ გლეხებსა და უბრალო კეთილ ადამიანებს სრულებითაც არ ემჩნეოდათ საომარი სულისკვეთება, არც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად აღმართულან და არც ჰიტლერის რასიული თეორიით ჰქონდათ თავები გამოჭედილი. ამგვარი პოლიტიკური მიზანსწრაფვანი მათთვის უცხო იყო, არც არა გაეგებოდათ რა ამისთანეებისა.

მაგარი, ძირებდარკინული ბათინკებით კი მიაბიჯებდნენ რიხიანად მწყობრში, მაგრამ თოფები არა ჰქონდათ მხრებზე გადაკიდებული. ამის მიზეზი ის იყო, რომ გერმანელები ჯერჯერობით თოფებს არ გვანდობდნენ, არც ბრაზობდნენ ამის გამო, შინაგანად ამათი სურვილიც ეგ იყო, ჯანდაბას თოფი და ზარბაზანი, ამჯერად ეს არ არის ჩვენი საქმე, მთავარია ცოცხლებმა მივაღწიოთ კავკასიონის ქედებამდე და მერე, თუ თოვლიანი მშობლიური ქედები გადავლახეთ, კი, ბატონო, მოგვეცით თოფებიც, ავტომატებიც, ბომბებიც და თუ საქართველოს განთავისუფლების გზაზე ვინმე წინ გადაგვეღობება, დედას ვუტირებთ, იქ გვნახეთ, რა ბიჭებიც ვართო! — გულში ასე ფიქრობდნენ.

ეს მშვენიერი მირაჟი — საქართველოს განთავისუფლება — კი გვიზიდავდა, გვაერთიანებდა, რუსეთის იმპერიისაგან განთავისუფლების იდეა ყველას გულში ღვიოდა, სიცოცხლის გადარჩენაც ამისთვის ღირდა. შეიძლება ცალცალკე ვერცერთს ვერ გამოეთქვა ამ მირაჟის მომხიბვლელობის არსი, მაგრამ რუსის ჩექმის ქვეშ რომ ვისრისებოდით მრავალი წელი, ამას ყველა ამათგანი ძალიან კარგად გრძნობდა და იმის მიხვედრილობა კი ყოფნიდათ, — ამას ყველაფერს უწიგნოდაც კარგად ხვდებოდნენ, — რუსის მონობიდან განთავისუფლება რო ჯობდა.

ყოველგვარი პოლიტიკური განათლებისა და ანალიზის გარეშე იზიდავდათ ეს ლამაზი მირაჟი.

ეს მათი შინაგანი., შეიძლება გაუცნობიერებელიც კი, ეროვნული გრძნობის ბიძგები იყო მხოლოდ.

მე შეიძლება ყველა ამათგანზე მაღლა ვიდექი ინტელექტუალურად, სტუდენტი კი ვიყავი, მაგრამ ჩემი ლექსები უკვე იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ გაზეთებში, წიგნი იყო მაინც ჩემი მუდმივი თანამგზავრი ბავშვობიდანვე და ასე თუ ისე წიგნიერებისა რაღაც მეტყობოდა, ეს ჩვენებმა კი არა, გერმანელებმაც შეამჩნიეს, თუმცა მე თავად ჯერ კიდევ უმწიფარ ყმაწვილად ვგრძნობდი თავს, ასეულში ჩემზე გაცილებით უფროსები იყვნენ ბევრნი და ბატონობით რო მომმართავდნენ, თავს უხერხულად ვგრძნობდი, თუმცა ერთგვარ განსხვავებასაც ვამჩნევდი ჩემში მათთან შედარებით. როცა რამეს შემეკითხებოდნენ, მე წიგნებიდან ამოკითხული აზრებით ვპასუხობდი მათ, ქართველ ისტორიკოსებსა და მწერლებს მოვიშველიებდი, ხანდახან ლექსებსაც ჩავურთავდი ზეპირად. მახსოვს, „ვეფხვისა და მოყმის ბალადა" რო წავუკითხე ყაზარმაში მაგიდისთან ერთად შექუჩებულთ, როგორი ტაში დასცხეს, თითქოს ესტრადის სცენაზე მდგარი მსახიობი ვყოფილიყავი. გულისყურითა და ინტერესით მისმენდნენ და ვატყობდი, წიგნიერებით საკმაო უპირატესობა მქონდა მათთან შედარებით. იმასაც მამჩნევდნენ, რო არ ვტრაბახობდი ამით, ცხვირაპრეხილი არ დავყურებდი მათ ზემოდან.

ჰოდა, მეც არ ვიყავი სომარი ჟინით აღტყინებული. არასოდეს მიმართავს მათთვის არც შინაურულად, არც მწყობრში მდგომთათვის ბრტყელ-ბრტყელი საგიტაციო სიტყვებით, ბოლშევიკებით, კომუნისტებით, საბჭოთა კავშირით, ამათი სინსილა გაწყდესო... და სხვა მისთანანი.

თავის გადარჩენისა და სამშობლოში დაბრუნების სულს ვაღვივებდი მათში, როგორაც შემეძლო.

და ყველაფერი ამის გარდა, ვწერდი ლირიკულ ლექსებს, შუაღამისას, მარტო რო დავრჩებოდი ჩემს ოთახში, იმ წუთებში აღარც ლეიტენანტი ვიყავი, აღარც ასეულის მეთაური, აღარც გერმანული მუნდირი მეცვა. გადავბარგდებოდი ჩემს ბურუსიან წარმოსახვებში, გამოვეთიშებოდი ყველაფერს და იბადებოდა დაახლოებით ასეთი ლექსები:

## მარტოხე

მიწას დადნობია ქარვა და ლალები,
ჰქრის და შემოდგომის დარია..,
დაბლა დაფენილი შენი ლალალები
ლალის ლალალების დარია.
ხეთა ნელი რხევა მესმის მე ნანებად
ნეტა უსულოთ რა ასულებს?!
შენი მოშორება რათ არ ენანებათ.
ალვებს, ცის მხიარულ ასულებს?!
შორით მთაგორები აიზმორებიან,
მნათობს დახვდებიან თავაზით.
შენს წინ ქაფიანი კვლავ ის მორევია,
ტალღა ტალღას სდევს, ვით ავაზი.
აღარ ეხარები მზესა და ცივ ნიავს,
აღარც გაზაფხულზე მარტობას...
მიჰქუხს მდინარე და ზვირთნი დასცინიან
სოფლად შენს მწუხარე მარტობას.

პატარა წიგნაკში ვწერდი ამგვარ ლექსებს და სიცოცხლის გადარჩენა რო მინდოდა, იმიტომაც მინდოდა, ეს ლექსები მიმეტანა სამშობლოში.

ყმაწვილობიდანვე ერთი სენი შემეყარა, — როგორც კი დავწერდი ახალ ლექსს, მაშინვე გავრბოდი უახლოეს მეგობრებთან, ქუთაისში ასეთები მყავდნენ ზურაბ ლორთქიფანიძე და გრიგოლ იმედაძე, წავუკითხავდი მათ, მოვისმენდი მათ აზრს და ამის შემდეგ აუცილებლად გავჩნდებოდი ჩემს მასწავლებელთან მიხეილ მახათაძესთან. არ შემეძლო ლექსის გადანახვა რამდენიმე დღით მაინც.

აქ კი არავის ვუმხელდი, ლექსებს რო ვწერდი. ერთხელ შემთხვევით აკაკი ურუშაძეს ვუთხარი, ომამდე ლექსებს ვწერდი და ვბეჭდავდი-მეთქი. ასეულში იმან გაავრცელა ჩემი მგოსნობის ამბავი, იცოდნენ ეს, მაგრამ არასოდეს უთხოვიათ, ლექსი წაგვიკითხეო. ახალი

ლექსის ვისმესთვის წაკითხვის სენით ისე, ვიყავი დაავადებული, აქაც, ვინც არ უნდა ყოფილიყო, რო ეთხოვა, წამიკითხეო, მაშინვე ავუსრულებდი სურვილს. მაგრამ არავინ მთხოვდა ამას. არავინ იყო ჩემ ასეულში ლექსის ტრფიალი. მე თუ წავუკითხავდი ხანდახან რომელიმე პოეტისა ან ხალხურ ლექსს, სიამოვნებდათ, მაგრამ თავად არასოდეს მომთხოვდნენ ხოლმე.

ამიტომაც არავის ვუმხელდი, არავინ ჩანდა ლექსით დაინტერესებული და მეც ვინახავდი ჩემს საიდუმლოს.

სხვადასხვა პოლუსებზე ვიდექით მე და ჩემი ასეული ამ სფეროში, მაგრამ ერთი მიზანი გვაერთიანებდა, — თავის გადარჩენა და სამშობლოში დაბრუნება.

ამგვარი ბატალიონი შეიქმნა სამ თვეში ზასლავაში.

## გუდ, გუდ!

სამი თვის შემდეგ ჩვენი ბატალიონის პირველი ასეული წაიყვანეს ბელორუსიაში, ჩემი მეორე და სომხების მესამე ასეული ჩაგვიყვანეს ერთ დაბურულ ტყეში უკრაინაში. ტყეში გამართული იყო სურსათის შესანახი საწყობები.

ოთხ ყაზარმაში განლაგდა სომხებისა და ჩვენი ასეულები თავიანთი გერმანელი პერსონალით, ერთ, უფრო მომცრო ყაზარმაში — ბატალიონის შტაბი და ერთში — სანიტარული ბლოკი.

ალბათ ადრეც ამ მიზნით ჰქონდათ გამოყენებული რუსებს ეს ლაგერი.

ოთხი ყაზარმის გარდა გარნიზონის ტერიტორიაზე მოთავსებული იყო დამხმარე შენობები — სამზარეულო, თავლა, ათამდე გრძელი პროდუქტების შესანახი ბარაკები. გარნიზონს ირგვლივ შემოვლებული ჰქონდა მავთულხლართები. ბატალიონის შტაბისა და ჩვენ ყაზარმებს შორის საკმაო ზომის მოედანზე ვაწყობდით ასეულებს და აქ ხდებოდა ყოველდღიური საგარნიზონო [illegible] ცერემონიალი.

ერთი თვე გარნიზონის დაცვაში იდგა შტაბის გერმანული პერსონალი. ჩვენი ასეულები ეწეოდნენ საწყობების დატვირთვა-გადმოტვირთვის საქმეს. გარნიზონში, სადაც საწყობები იყო მოთავსებული, შემოდიოდა რკინიგზა, დატვირთულ ვაგონებს ვცლიდით და ვათავსებდით საწყობებში. იტვირთებოდა აგრეთვე ცარიელი ვაგონებიც და იგზავნებოდა დანიშნულებისამებრ.

მეტად მნიშვნელოვანი ობიექტი იყო და ამიტომაც მოეთავსებინათ დაბურულ ტყეში. შერეულ ტყეში მაღალ ფიჭვებში ერია ფოთლოვანი ხეებიც. ჩვენი ყაზარმის უკან მაღალ კოშკზე, რომელიც ტყეს ასცილებოდა, მუდამ იდგა მეთვალთვალე და, თვალს ადევნებდა, ახლომახლო ტყეში ხანძარი არ გაჩენილიყო, რომელიც დაემუქრებოდა საწყობებს.

რა თქმა უნდა, გაუჭირდათ გერმანელებს გარნიზონის დაცვა. ბატალიონის შტაბთან ერთ ოცეულამდე სალდათები და ეფრეიტორები ჰყავდათ, რომელთაც გაუძნელდათ სადღეღამისო მორიგეობა.

ორიოდე კილომეტრში ორი პატარა სოფლის გარდა გარნიზონს ახლო სოფლები არ ესაზღვრებოდა. გარნიზონი საკმაოდ შეფარულად იყო იზოლირებული გარეშე თვალისათვის, მაგრამ რკინიგზა აშკარად ამხელდა, რომ აქ მოთავსებული იყო მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტი. ეს ის დროა, როცა პარტიზანული მოძრაობაც საკმაოდ ფეხმოდგმული მოქმედებდა უკრაინასა და ბელორუსიაში. ჩვენს ახლომახლო პირველ დღეებში არა ისმოდა რა პარტიზანების შესახებ, მაგრამ ყოვლად შეუძლებელი იყო, ამ გაუვალ, დაბურულ, უკიდეგანო ტყეში პარტიზანთა მალული ბუდეები არ ყოფილიყო. პროდუქტების საწყობები კი მათი უპირველესი სამიზნეები იყო.

ახლოს გერმანელების სხვა გარნიზონი არ იმყოფებოდა. რაიონული ცენტრი ოცი კილომეტრით იყო მოშორებული, რომლისკენაც გზა სულ ტყე-ტყე მიდიოდა. რაიონულ ცენტრს ბატალიონის შტაბი მხოლოდ სატელეფონო ხაზით უკავშირდებოდა და ხანგამოშვებით შიკრიკებით.

ასე, რომ საწყობებს მაგარი დაცვა ესაჭიროებოდა.

ალბათ ამაზე საკმაოდ სერიოზულად იმსჯელეს გერმანელებმა. თავად ძალა არა ჰყოფნიდათ. აღმოსავლეთის ფრონტებზე მდგომარეობა ძალიან დაიძაბა, სამხედრო ძალებს იქ უყრიდნენ თავს და ზურგის დაცვისთვის აღარ ეცალათ.

ერთი თვის შემდეგ სომხების ასეულიც სადღაც წაიყვანეს.

გარნიზონში დარჩა მხოლოდ ჩვენი ასეული და ბატალიონის შტაბი.

ობერლეიტენანტმა ოტტო ბეკერმა თავისთან მიხმო.

— ჰერ, ვოლდემარ, — უფრო ხშირად ასე შინაურულად გამესაუბრებოდა, როცა მწყობრის წინაშე ვიდექით, მხოლოდ მაშინ მომმართავდა, ჰერ, ლოიტენანტო, შევერცხლილ ჩარჩოიანი სათვალე შეისწორა, მაინცდამაინც არც უყვარდა სამხედრო მიმართვები, წასდგებოდი თუ არა მის წინაშე, ხელს შემართავდი და სმენაზე გაჭიმული მოახსენებდი, ესა და ეს თქვენი ბრძანებით გამოვცხადდით, არც [illegible] ამის თქმას, გუდ, გუდო, გეტყოდა, არც ჰგავდა სამხედრო წყობაში გამოჯეგილსა და ამით მონუსხულს. შინაგანად სამხედრო მოწოდების კაცს არა ჰგავდა, ასეთებს იშვიათად შეხვდებოდი გერმანულ არმიაში, თავად გერმანელებიც ამჩნევდნენ ამას, მაგრამ მიუხედავად ამისა ვერავინ ბედავდა მის წინაშე ოდნავადაც დაერღვია სამხედრო რიტუალები, როგორც კი შევედი მის ოთახში, ქუდი მოვიხადე, ხელი წინ გავიშვირე და მოვახსენე, მაგრამ მაშინვე შემომაგება თავისი განუყრელი, გუდ, გუდო და დაჯდომა შემომთავაზა. — ჩვენ გადავწყვიტეთ [illegible] პირველი ოცეული შევაიარაღოთ და გარნიზონის დაცვა მივანდოთ, თქვენი აზრით, შეძლებს ოცეული ამას?

— ჰერ, ობერლოიტენანტ, — ვუპასუხე მე, — გაჩენის დღიდან ქართველები სულ თავს ვიცავთ.

— ეგ ვიცი თქვენი ნაამბობიდან.

— ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორია თავდაცვითი ომების ისტორიაა, ჩვენი მეფეები თავდაცვითი ომების დიდოსტატები იყვნენ.

— გუდ, გუდ.

— ასე რომ თავდაცვის ფსიქოლოგიით გვარიანად ვართ აღჭურვილნი. ამ უდაბურ ტყეში უიარაღოთ ასეულის ყოფნა დიდი სარისკო რამ არის, ერთი ოცეული კი არა...

— თავს ვიკავებდით ჯერჯერობით.

— პირდაპირ ვთქვათ, ჰერ, ობერლოიტენანტ, თავს იმიტომ იკავებთ, რომ არ გვენდობით.

— როცა თქვენს სამშობლოში შევაღწევდით...

— მანამდე კი ამ უდაბურ ტყეში პარტიზანები რო თავს დაგვესხან, ხელთ იგდონ გარნიზონი, თქვენ, გერმანელებს ტყვეებად ჩაგთვლიან, ჩვენ, რა თქმა უნდა — მოღალატეებად და მყისვე მიგვახვრეტენ. ეს ყველა ჩვენგანს კარგად აქვს შეგნებული. გარდა ამისა, ფიცი მივიღეთ და ნდობისათვის ამაზე მყარი საფუძველი რაღა უნდა იყოს?!

— ჰერ ვოლდემარ, თქვენ მართალი ბრძანდებით.

— ნუ გაიხსენებთ, ერთი ფიცი რო გავტეხეთ უკვე.

— არა, არა.

— ამჯერად ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვართ, სხვა გზა არა გვაქვს, თქვენს გვერდით უნდა ვიდგეთ მყარად.

— ამაში ეჭვი არ გვეპარება.

[library stamp]

— მაშ, იარაღს რატომ არ გვანდობთ?!

— აკი გთავაზობთ უკვე?! — კითხვითვე მიპასუხა ოტტო ბეკერმა.

— ერთი ოცეული კი არა, მთელი ასეული უნდა შეიარაღდეს. საჭიროების შემთხვევაში, რაც ამ ულრან ტყეში ყოველ წუთსაა მოსალოდნელი, ყველა სალდათსა და ოფიცერს გარნიზონისა და საკუთარი თავის დაცვა თავისივე იარაღით უნდა შეეძლოს.

— ჯერჯერობით ეს ვიკმაროთ.

— ჯერჯერობით ამისთვისაც მადლობელი ვიქნებით, სამომავლოდ კი, გთხოვთ, ბატალიონის შტაბს გააგებინოთ, რომ საჭიროა მთელი ასეულის შეიარაღება.

— გუდ, გუდ! — გაიღიმა ობერლოიტენანტმა და კარამდე მიმაცილა.

## ოტტო ბეკერი მიდის

ობერლოიტენანტმა ჩემი საუბარი ქარს არ გაატანა. კაცმა რომ თქვას, სხვა გზა არცა ჰქონდათ. გერმანელმა კარგად იცის მდგომარეობისა და აზრის აწონ-დაწონვა. გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, ამ ზღურბლთან იდგნენ და ამ მიყრუებულ და ულრან ტყეში არ გაუჭირდათ იმის გათვალისწინება, ჯერჯერობით მიმალულ და მიყუჩებულ პარტიზანებს რა შეეძლოთ ჩვენი გარნიზონისთვის მოემოქმედებინათ, თუ სამალავიდან დაიძრებოდნენ. დაინძრავდი თუ? ვინ გაგაგებინებდა? ვინ შეგატყობინებდა? მოგეპარებოდა ამ ტყეების ალიკვალის ზედმიწევნით მცოდნენი, მოულოდნელად დაგაცხრებოდა და ვინ მოგეშველებოდა?

ობერლოიტენანტისთვის ძნელი იქნებოდა ბატალიონის მეთაურთან, მაიორთან ამგვარ საკითხებზე მსჯელობა. აწოწილი, მაღალი, მხრებში მოხრილი, მაიორი თითქოს დაცლილი იყო ყოველგვარი ადამიანური ემოციისაგან. მარტო სისხლი კი არა ჰქონდა გამოშრალი, გრძნობებიცა და ვნებებიც გამოშრეტოდა ხმელი სხეულიდან. გაღიმებული არ დამინახავს არასოდეს. ცივი, წივანა ხმით ისე გესროდა გამოკვეთილ სიტყვებს, თითქოს ეკლებს გაყრიდა. არც ოფიცრებთან, არც სალდათებთან, მითუფრო ლეგიონერებთან არ შეჩერდებოდა, არ გაესაუბრებოდა, მიკითხვ-მოკითხვას არ დაიწყებდა, საქმეზე თუ რამეს გეტყოდა, შეჩერდებოდა და ისე მოგაყრიდა.

ლმობიერი და თვინიერი ხასიათის ობერლოიტენანტთან შედარებით მაიორი ზედმიწევნით უხიაგი და უკარება ჩანდა.

ის ცოცხალი განსხეულება იყო ჰიტლერის მიერ შექმნილი ფაშისტის მოდელისა.

ჩვენ, ქართველები, რა თქმა უნდა, ვერ შევეგუეთ ამგვარ მოდელს. თუმცა გერმანული მუნდირი ჩავიცვით, დავემორჩილეთ მათი არმიის მკაცრ წესრიგს, მაგრამ ჩვენთან მყოფი ადამიანების ხასიათებიდან გამოსხივებული რასიული უპირატესობის ნიშნები გვაღიზიანებდა. რა თქმა უნდა, აშკარა პროტესტს არ გამოვთქვამდით, ჩვენი მდგომარეობა გვაიძულებდა თავი მოგვეთოკა ამგვარი მღელვარების დროს, მაგრამ ერთმანეთში ჩურჩული კი გაისმოდა, ზოგი იუმორით და ზოგი პირდაპირ უკმაყოფილებას გამოთქვამდა ამის თაობაზე. რასიული ნიშნებით ჩვენგან გამოყოფისათვის ყოველ მათგანს შესამჩნევად გამოკვეთილი ქცევები ჰქონდა. თუ თავს ვიკავებდით და ჯერჯერობით ვურიგდებოდით ამგვარ რამეს, იმის გამოც, რომ მათ შორის იყვნენ ობერლოიტენანტ ოტტო ბეკერის მსგავსი ადამიანებიც, ცოტანი, მაგრამ იყვნენ და მათთან ურთიერთობა გვიიოლებდა საერთო მოვლენებთან შეგუებას.

ამ ტყეში ჩამოსვლიდან ორიოდე თვის შემდეგ მომხდარ ამბავს ბარემ ახლავე გავიხსენებ, რომელიც უფრო ნათლად წარმოაჩენს რასიული თეორიის ერთ დიდ უარყოფით მხარეს საერთოდ. მე არ ვუარვყოფ რასიულ სიწმინდეს, რომლის აღრევა ერს განადგურებით ემუქრება. სისხლის სიწმინდის დაცვა, რომლისთვისაც დასაბამიდან აგრე თავგანწირულად იღწვოდა ქართული ოჯახი, არ ნიშნავს ვიწრო, შებორკილ ნაციონალისტობას, ეს არის თვითგადარჩენის, ეროვნული სახისა და ხასიათის შენარჩუნების აუცილებელი პირობა.

მაგრამ სისხლით უპირატესობა სხვა სისხლის ერზე ყოველთვის გაუგებარი იქნება ქართველი კაცისათვის, რომელიც თავის სამშობლოში საუკუნეების განმავლობაში მუდამ თანასწორუფლებიან თანამემამულედ მიიჩნევდა ყველანაირი ეროვნების ადამიანებს. ისტორიულად ეს ქართული ხასიათის უპირველესი ნიშანი გახლდათ.

ამიტომ გვეუცხოვა ჰიტლერული რასიული თეორიის სიმკაცრე.

აი, ერთი მაგალითი:

ერთ დღეს გარნიზონიდან ახლო მდებარე სოფელში ვიყავი გასული. როცა დავბრუნდი, ყაზარმის გვერდით შემაზრზენ სურათს გადავაწყდი— ხის ტოტზე თოკებშებმულ ფეხებით ეკიდა ჩემი ერთი ჯარისკაცი, იქვე იდგა ჰაუპტფელდფებელი ჰანს (გვარი აღარ მახსოვს). რაშია-მეთქი საქმე, ვკითხე გაოცებულმა.

ჰანსი ერთი კვირის მოსული იყო ჩვენთან, აღმოსავლეთის ფრონტზე დაჭრილიყო, ჰოსპიტალიდან ზურგის სამსახურში გაემწესებიათ და ასე მოხვდა ჩვენთან. ჰაუპტფელდფებელი ასეულში ზემდეგის მოვალეობას ასრულებს, ჩვენ ამ ჩინის გერმანელი არა გვყავდა და რაკი ეს მოავლინეს, ასეულის ზემდეგად დანიშნეს. ამ ჩინის უმცროსი მეთაური გერმანულ არმიაში ოფიცრის რანგთან იყო გათანაბრებული. ჰანსი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, ოცდაათისაც [illegible]ბოდა, სპორტული აღნაგობის, [illegible]მაზი, თეთრი პირისახის, ოდნავ ელამი. ჩვენთან მოსვლის პირველივე დღიდან მყისვე გამოირჩეოდა სამხედრო რიტუალების შესრულებისას, ეტყობოდა კარგად გაწვრთნილიც იყო ამ საქმეში და ისეთი ტანიც ჰქონდა, უხდებოდა სამხედრო ნაბიჯებიც, მისალმებაც, სმენაზე გაჭიმვა და ქუსლის ქუსლზე მირტყმა, ბრძანებების გაცემა, ყველაფერ ამას სპორტული და არტისტული მომხიბვლელობით ასრულებდა. ეს უპირატესობა აშკარად გამოყოფდა მას ჩვენი გარნიზონის ყველა გერმანელისაგან. შევშურდებოდა, სურვილი მოგიჭარბდებოდა, მიგებაძა მისთვის.

მაგრამ — გაულიმარი და ქუში.

მაიორივით გაულიმარი და ქუში.

იდგა ხის ტოტზე ფეხებით თავქვე დაკიდებულ სალდათთან და როცა ვკითხე რა მოხდა-მეთქი, ხმა არ გაულია. იქვე ოცმეთაური აკაკი ურუშაძე იდგა, იმან მითხრა, მაგათ ტუალეტში შესულა და ამიტომ დასაჯა ასეო.

ევროპაში სადაც კი ფეხი შედგეს გერმანელებმა, ყველგან ტუალეტებიც კი ორად გაყვეს, პოლონეთში ერთ მხარეს მიაწერეს „ფიურ პოლენ" — პოლონელებისათვისო, მეორეს მხარეს — „ფიურ დოიტშენ", — გერმანელებისათვისო. ასევე რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში და სხვაგან. სადაც კი დაბანაკდებოდნენ, უპირველესად ამას გააკეთებდნენ. არავის ჰქონდა უფლება გერმანელებისათვის განკუთვნილ ტუალეტში შესულიყო.

ამგვარადაც კი ხაზგასმულად აჩენდნენ თავიანთ რასიულ უპირატესობას. ეს კი დამამცირებლად მოქმედებდა სხვა ერთა ფსიქიკაზე.

აქაც, ჩვენ გარნიზონში როგორც კი ჩამოვედით, ყაზარმის უკან, ფიცრებით შემოჭედეს გრძელი ტუალეტი და

ერთ მხარეს, რომელშიაც ჩამოსაჯდომიც კი იყო გაკეთებული, გააკრეს ფირნიში — „ფიურ დოიტშენ“, მეორე მხარეს — „ფიურ გეორგიენ“.

ხეზე ჩამოკიდებული სალდათი გერმანელების ტუალეტში შესულიყო, ამისთვის წაუსწრია ჰაუპტფელდფებელს და აგრე სასტიკად ამიტომაც დაუსჯია.

ვიცოდი, ამასთან არაფერი გამივიდოდა, ჩვენი ობერლოიტენანტიც იმჟამად რამდენიმე დღის გასული იყო გარნიზონიდან და ამ ფაქტით შეძრწუნებული შტაბში ბატალიონის მეთაურს, მაიორს მივადექი. მოვახსენე, რაც მოხდა, გამოვთქვი ჩემი აღშფოთება ამ ბარბაროსული საქციელის წინააღმდეგ და ვთხოვე, შეეჩერებინა ჰაუპტფელდფებელის ეს ბრძანება.

მაიორმა არაფრად ჩააგდო ჩემი თხოვნა, ბრძანება ბრძანებაა და უნდა აღსრულდესო, მომახალა უხეშად და მეც კუდამოძუებული გამოვბრუნდი.

აბუზლუნდა ასეული. ჰანსმა ჯიუტად შეასრულა თავისი ბრძანება, სალდათი ნახევარი საათი ეკიდა ხის ტოტზე თავდაღმა. მე, ასეულის მეთაურმაც კი ვერაფერი შევძელი ამ არაადამიანურ სასჯელის აღსაკვეთად. შეჩვეული კი ვიყავი იმას, რომ ყველა გერმანელი, რა ჩინისაც არ უნდა ყოფილიყო, სალდათიდან დაწყებული მაიორამდე, ჩვენს ბატალიონში ჩემზე უფროსი იყო, პირველი მე უნდა მივსალმებოდი ყოველთვის მათ, თავიდანვე ისე მივეჩვიე ამას, აღარც კი მოქმედებდა ჩემს თავმოყვარეობაზე, მაგრამ ამ ბარბაროსულმა აქტმა უცებ გამომაფხიზლა, გამაბრაზა, გამადიდგულა.

თანაც ასეულის ბუზღუნი შემომესმა, ზოგმა პირდაპირ, აშკარად შემომჩივლა, პირუტყვებად გვთვლიან, მხეცები ხო არა ვართ, ასე რო გვეპყრობიან. ჩვენი ასეულის მეთაურს ამაზე მეტი არ უნდა შეეძლოსო?!

ობერლოიტენანტ ოტტო ბეკერისთვის მინდოდა მეთქვა ეს ჩემი გულისწყრომა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა ვილაც ჰაუპტმანთან ერთად, გამომიძახა, გააცნო მას ჩემი [illegible] და მითხრა, ჩემს მაგიერად ამიერიდან ეს იქნება თქვენი ასეულის მეთაური, მე სხვაგან გადამიყვანესო.

სახტად დავრჩი, გული დამწყდა. შეჩვეული ვიყავი, ღმობიერი კაცი იყო, თითქმის მამაშვილური ურთიერთობა დამყარდა ჩვენს შორის.

ამ განწყობილებით გავაცილე მეორე დღეს. გადამეხვია, თავისი სავიზიტო ბარათი დამიტოვა, ვარშავაში თუ მოხვდე, მომაკითხეო. ეგეც გამანდო, მე საუბარი მქონდა ჩვენი პოლკის შტაბის უფროსთან, კარგი რეკომენდაცია მივეცი ჩვენს ასეულს და ერთი ოცეული კი არა, მალე მთელი ასეული შეიარაღდებაო.

მთელმა ასეულმა სიყვარულით გავაცილეთ ოტტო ბეკერი.

## შეიარაღება

ახალი მეთაური ჰაუპტმანიც არ გამოდგა ურიგო კაცი. ოტტო ბეკერისთანა ღიმილიანი და უშუალო არ იყო, მაგრამ არც მაიორივით უხეში და უკარება გახლდათ. არ ეტყობოდა, შინაგანად სამხედრო ყაიდისა რო იყო, თუმცა თავი ამაყად ეჭირა, ოფიცრის ღირსებას იფერებდა. ოტტო ბეკერთან რო ვიყავი შეჩვეული, პირველ დღეებში ამასთან შეგუება გამიჭირდა, მაგრამ როცა გულწრფელი ინტერესი გამოამჟღავნა ქართველების შესახებ, მეც დაყვავებით მივყევი და რაკი მოისურვილა, ჩვენი ისტორიული და დღევანდელი ამბები ხატოვნადაც კი ვუამბე. ამასაც არაფერი გაეგებოდა ჩვენს შესახებ. არისტოკრატული მანერები ხაზგასმულად ეტყობოდა მიმოხვრაშიც, ურთიერთობაშიც, მაგრამ ეს ბუნებრივად კი არ გამოსდიოდა, თითქოს არტისტულად განასახიერებდა ამ მანერებს. ხელოვნურობა უფრო ეტ-

ყობოდა, რაც პროვინციულ იერს უფრო აძლევდა. განათლება კი, როგორც მერე და მერე გამომჟღავნდა, საკმაოდ საფუძვლიანი და მრავალმხრივი ჰქონდა.

ალბათ, ამიტომაც მალე გამოინახა ჩვენს შორის საერთო ენაც. მასზე, ეტყობოდა, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ მე მასთან და ის ჩემთან თარჯიმანის გარეშე ვსაუბრობდით. რა თქმა უნდა, ძალიან კარგადაც ამჩნევდა ჩემს სისუსტეს გერმანულ ენაში, მაგრამ, როგორც ოტტო ბეკერმა, ამანაც არ იუკადრისა ჩემთან საუბარი და თარჯიმანი არ ამჯობინა. ალბათ გულში ეამაკიდეც, რომ მე, ვიღაც ქართველი, რომლის შესახებაც ოდნავი წარმოდგენაც კი არა ჰქონდა, მის მშობლიურ ენაზე გამოვთქვამდი არც თუ ურიგო აზრებს.

მაიორი ერთხელაც არ დაინტერესებულა ეკითხა ჩემთვის, ვინ ვიყავით, რანი ვიყავით, ის ისე თვლიდა, ჩვენ თითქოს გერმანიის არმიის ორგანული ნაწილი ვიყავით და რა მნიშვნელობა ჰქონდა იმას, ვინ ვიყავით და რანი ვიყავით.

ობერლეიტენანტმა ოტტო ბეკერმა კი ჩვენგან წასვლის წინა დღეებში მე მთხოვა, ასეულის გერმანელი პერსონალისათვის ქართული ენის გაკვეთილები ჩამეტარებინა. სამჯერ უკვე ჩავატარეთ ასეთი გაკვეთილი. მე, რა თქმა უნდა, მოვახერხე მარტო საყველპურო ქართული კი არა, ზოგი რამ ენის ელემენტარულ გრამატიკულ ნორმებზეც მესაუბრა მათთან. წარმოიდგინეთ ერთგვარი წარმატების ნიშნები უკვე ჩანდა.

ობერლეიტენანტი რო წავიდა, გერმანელებმა მთხოვეს, გაგვეგრძელებინა გაკვეთილები. ჰაუპტმანიც შემოგვიერთდა, საკუთარი დამწერლობაც რო გვქონდა ქართველებს, ეს, რა თქმა უნდა, არ იცოდა, გაოცდა, როცა ვუთხარი, ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში შეიქმნა ამ ენაზე და ამ დამწერლობით პირველი მხატვრული ნაწარმოები „მუშანიკის წამება"-მეთქი. უფრო გაუცხოველდა ინტერესი და ერთი თვის შემდეგ, როცა რამდენიმე სიტყვის დაწერაცა და წაკითხვაც შეძლო, შენიშნა, ყოველი ბგერისთვის თითო ასონიშანი რო იწერება და არა რამდენიმე, როგორც ევროპულ ენებშია. მოეწონა ეს.

ასე, რომ ჰაუპტმანთანაც მოხერხდა ადამიანური ურთიერთობის დამყარება.

ასეულის შეიარაღების თაობაზე ჰაუპტმანთანაც მქონდა საუბარი, ამანაც იცოდა, რომ შეიარაღება გადაწყვეტილი იყო, მაგრამ რატომღაც ყოვნდებოდა ერთმა მოულოდნელმა გარემოებამ კი დააჩქარა ეს საქმე.

ორიოდე კვირა იყო გასული, რაც ნება დაგვრთეს კვირაობით სალდათები და მეთაურები შერჩევით გარნიზონის გარეთ სოფელში გაგვეშვა.

ერთ დღეს ორი ჯარისკაცი საცვლების ამარა დაბრუნდა და განაცხადეს, სოფლის განაპირას. ტყის გასწვრივ რამდენიმე შეიარაღებული კაცი დახვედრიან, გაუხდიათ ტანისამოსი და ასე შიშვლები გამოუშვიათ.

ეს უკვე სიგნალი იყო იმისა რომ ახლომახლო პარტიზანული რაზმები ბუდობენ. ამჟამად ორი გერმანული მუნდირი ჩაიგდეს ხელთ, ხვალ-ზეგ შეიძლება ჩვენი გარნიზონის პროდუქტების საწყობებისაკენაც მოაშურონ.

სასწრაფოდ ჩამოიტანეს თოფები და მთელი ასეული შეაიარაღეს. რუმინული თოფები იყო, უფრო მოკლე, ვიდრე რუსული შაშხანაა. სასწრაფოდ შევუდექით ამ თოფების შესწავლას. ერთ დღეს ამ თოფებით აღჭურვილი ჩვენი ასეული სოფელშიც გავიყვანეთ მარშით. ფართო რკალი მოვხაზეთ, რკინიგზასთან მივედით, სადგურთან შევისვენეთ და გარნიზონისაკენ მიმართული რკინიგზით შემოვბრუნდით.

დემონსტრაცია გავაკეთეთ იმისა, რომ ასეული შეიარაღებულია, ორმა სოფელმა დაინახა ეს და მაშასადამე

ჩვენს გარშემო ხმა გავარდა, რომ გარნიზონი შეიარაღებულია.

პატარა სასწავლო პოლიგონიც გავმართეთ და დაბურულ ტყეში სროლის ხმაც გაისმა.

პირველ ოცეულს დაევალა გარნიზონის დაცვა. ოცეულს მეთაურობდა ზაქრო გოგოძე. ყარაულში მყოფთ ეძლეოდათ თოფის გილზები. ერთი გერმანელი, ერთი ქართველი, ასე სრულდებოდა საყარაულო სამსახური.

დანარჩენ სამ ოცეულს ჯერჯერობით ტყვიები არ დაურიგეს. მაინც ფრთხილობდნენ გერმანელები და ეს არა მარტო მე, ოცეულის მეთაურებსა და ჯარისკაცებსაც აღიზიანებდათ. ზოგი ენაკვიმატობდა კიდეც, გინდა კეტი გვჭერია ხელთ და გინდა უტყვიო თოფიო.

გაილვიძა თავმოყვარეობამ. დაგვავიწყდა, ამ რამდენიმე თვის წინ ტყვეთა ლაგერებში რო ვიყავით. მე ვერც კი გავიფიქრებდი მაშინ, ქართული ეროვნული ლეგიონის ასეულის მეთაური რო გავხდებოდი. ალბათ ასეა ყოველთვის, ნელ-ნელა ივიწყებს კაცი წარსულ ხიფათებს ახალ უკეთეს ვითარებაში მოხვედრილი, მისდაუნებურად ეგუება ამ ახალ ვითარებას და თანდათან მოითხოვს დაკარგული უფლებების დაბრუნებას, ადამიანური იქნება თუ საზოგადოებრივი.

ქართული თავმოყვარეობა და პატივმოყვარეობა ხომ მაშინვე წამოყოფს თავს, როგორც კი საამისოდ შესაფერისი გარემოება შეიქმნება.

ჩვენი თავმოყვარეობა ამჯერად იმითაც დაკმაყოფილდა, რომ შეგვაიარაღეს და ერთი ოცეული ყარაულში დადგა.

### ვასო, ჩემი მეგობარი

ამის შემდეგ გერმანელები მეტი ნდობითაც გვეპყრობოდნენ. მაიორსა და ჰაუპტფელდფებელს ჰანსს, რა თქმა უნდა, სიმკაცრე არ განელებიათ, მაგრამ სხვანი უფრო ლმობიერები გახდნენ. ისინიც, მაიორიც, [illegible] ჰანსიც, ძველებურად აღარ [illegible]ნენ, მაგრამ გამოხედვა მაინც ისევე კუშტი და ცივი შერჩათ. მაიორს, რასაკვირველია, ახლოსაც არ გავკარებივარ. მაგრამ ჰანსთან კი ვცდილობდი ურთიერთობა არ გამემწვავებინა და რამენაირად გული მომელბო მისი, რასაც ნელ-ნელა ვაღწევდი, თუმცა ერთი წუთითაც არ მავიწყდებოდა მის მიერ ფეხებით ჩამოკიდებული ჯარისკაცი.

რაკი მათი ჩვენდამი დამოკიდებულება ოდნავ სასიკეთოდ შეიცვალა, მე აღარ გამჭირვებია ჰაუპტმანის დარწმუნება იმაში, რომ კვირაობით ცოტა უფრო თამამად გაგვეშვა ახლო მდებარე სოფლებში მეთაურები და სალდათები, დაე, დაუახლოვდნენ მოსახლეობას, თუ სადმე ახლომახლო პარტიზანელთა ბუდეებია, შეიძლება ამასაც ყური მოჰკრან, რუსული მეტნაკლებად ეხერხებათ, ესმით, დაახლოებულ ქალებთან სოფლის საერთო სულისკვეთებას მაინც გაიგებენ-მეთქი.

ჰაუპტმანმა ჩემი არგუმენტი მაიორსაც მოახსენა და იმასაც ჭკუაში დაჯდომია ეს მოსაზრება.

მოედვნენ ჯარისკაცები ახლო მდებარე სოფლებს. ბევრი არ იყო სოფელი. ერთ მხარეს კილომეტრნახევარში სოფელ იაკუბოვსკაიას ახლომახლო რამდენიმე ხუტორიც იყო, მეორე მხარეს სამ კილომეტრზე დაშორებულ სოფელსაც მოედვნენ ქართველები.

მალე დაამყარეს ამ სოფლების ქალებთან და ქალიშვილებთან ურთიერთობა. მამაკაცები აღარ ჩანდნენ სოფლებში. რამდენიმე ხანშიშესული და ყმაწვილი შერჩენოდა ხუტორსა და სოფლებს. ამთთანაც არყით გაშინაურება ილლად მოახერხეს ჩვენებმა და წარმოიდგინეთ ზოგი მათგანი მყარადაც დამკვიდრდა ზოგიერთ ხატაში. მათი ქალები აღარაფერს მალავდნენ, პირდაპირ აცხადებდნენ ესა და ეს ჩემი კაციაო.

ამათაც, უკანასკნელმა ქალებმა და კაცებმაც, ქართველები თავისიანებათ მიიჩნიეს, მერე რა, რომ გერმანული მუნდირები ეცვათ, ყოფილი წითელარმიელები რო იყვნენ, ნატყვევარები, ერთგვარი სიბრალულითა და თანაგრძნობითაც კი შეხვდნენ მათ და მალე შეიხმატკბილეს, დაუყვავეს, არაყს დალევდნენ მათთან და მოურიდებლად მღეროდნენ საბჭოურ სიმღერებს: „შირაკა სტრანა მაია“, „ტრი ტანკისტა“, ცეკვავდნენ მათთან ერთად, როგორც შინაურებს, ისე ხვდებოდნენ.

ერთ კვირა დღეს ასეულის ზემდეგმა ვასო გვარჯალაძემ შემომთავაზა, წამომყევი, ერთ კარგ ოჯახს დავუახლოვდი, დედა და ქალიშვილი ცხოვრობენ ერთად, ცოტა არაყი დავლიოთ იქაო.

ვასო და მე უკვე გვარიანად დამეგობრებულნი ვიყავით.

ვასო გულხასიათიანი ბიჭი იყო, მაგარი, ჯმუხი, საშუალო სიმაღლისა, მაგრამ ჩაფსკვნილი, ძვალმსხვილი, წელგამართული, გეგონებოდა რკინას გაკვნეტს, ლურსმანს ორი თითით გალუნავსო და თუ ეს მხოლოდ გეგონებოდა, ასეთ შთაბეჭდილებას გიტოვებდა, მართლაც ასეთი იყო, სულმთლად ასეთი, რა თქმა უნდა, არა ლურსმანი შეიძლება ორი თითით ვერ გაელუნა, მაგრამ ღონე მართლაც მოჭარბებული ჰქონდა კუნთებში და ეს გარეგნულადაც ეტყობოდა. ეს იყო მხოლოდ, არასოდეს მოუხდენია ამის დემონსტრირება, ფიცხი კი იყო, მოძრავი და ჩქარი, მაგრამ ისე არ გაფიცხდებოდა, ვისმესთან მკლავისა ან მუშტის ძალა გამოეყენებია. ზემდეგი იყო ასეულისა, გერმანელებისა და ჩვენი პროდუქტები, პურჭელი, სასმელები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი მთლიანად მას ებარა, ყოველდღიურად ის უნაწილებდა გერმანელებისა და ასეულის სამზარეულოებს საჭირო პროდუქტებს — (გერმანელებს თავიანთი სამზარეულო ჰქონდათ) — და, რა თქმა უნდა, ხანდახან წაჰკიდებია კიდეც ვინმე [illegible] მიზეზთა და მიზეზთა გამო, [illegible]ბოდა ხოლმე, ისე მო[illegible]ვას, ხელსაც კი არ გაიქნევდა არავისკენ.

ღიმილიანი ქერა ბიჭი იყო ვასო. მრგვალი პირისახე და თვალები სულ ღიმილით ჰქონდა გაშუქებული. ერთ წელიწადნახევარზე მეტი ხანი ვიყავით ერთად, სულ მის ხელთ იყო ასეულის საჭმელ-სასმელი, ჩასაცმელ-დასახურავი, საშობაო და სხვა საჩუქრები. არასოდეს არავის შეუმჩნევია, ერთი გრამი რამე დაკლებოდა მის საწყობს. გერმანელები ამის გამო დიდად აფასებდნენ. ისინი მკაცრად სჯიდნენ საერთო ქონების გამტაცებელს. ვასოს სახით ისინი ხედავდნენ ამ მხრივ უპატიოსნეს ყმაწვილს — (ჩემი ტოლა იყო ვასო, ოცდაოთხი წლისანი ვიყავით ორთავენი), — ასეულის ყოველ რგოლში გერმანელი მეთვალყურე გვყავდა მიჩენილი, თავიდან, პირველ თვეებში ვასოსაც მიუჩინეს, მაგრამ მერე გერმანელთაგან ალარავინ ეკარებოდა ვასოსა და მის საწყობს.

გერმანულსაც გვარიანად ამტვრევდა ვასო, იქ მიეჩვია, იქ გაიწაფა, საყველპურო გერმანული უკვე იცოდა, ლაპარაკობდა, ელაპარაკებოდა, გებულობდა ნალაპარაკებსაც და მისი ნაპარაკებიც ესმოდათ გერმანელებს. თარჯიმან ივანეს იშვიათად მოიხმობდა საშველად (ივანეს ჩვენ ვანიას ვეძახდით და შემდგომი თხრობისას მეც აგრე მოვიხსენიებ).

ქართველი მეთაურები ძალიან კარგად ვიყავით ერთმანეთთან შეხმატკბილებულნი. ზაქრო გოგოძე, მიშა თალაქვაძე, აკაკი ურუშაძე, კურტანიძე ძმაკაცურად, ერთსულოვნად ვცხოვრობდით და ვსაქმიანობდით, მაგრამ ამათგან განსხვავებით ჩემთვის უფრო ახლობელი და გულისხმიერი ვასო იყო. უფრო შევეგუეთ და შევეწყეთ ერთმანეთს.

ვასოს ხანდახან იქ დაწერილ ლექსებსაც კი ვუკითხავდი. სხვებს არ ვუ-

კითხავდი. ვატყობდი, რომ ვერ მიმიხვდებოდნენ, ვერ გაიგებდნენ. არაფრად ჩათვლიდნენ იმას, რომ აქ ლექსებსა ვთხზავდი. ვასოს უხაროდა, რა კარგიაო, მეტყოდა, მაგი ერთხელ კიდევ წამიკითხეო, ღიმილით მომთხოვდა ხოლმე მეორედ წაკითხვას.

არც ვასო იყო პოეზიით გატაცებული, ლექსის ავკარგიანობას, მის მხატვრულ ღირსება-ნაკლს ვერც ხვდებოდა, არც უკვირდებოდა არ აინტერესებდა, არც შეეძლო კარგი რითმის, მეტაფორისა და ლექსის სხვა კომპონენტების გამორჩევა. მითხრა კიდეც, ადრე ლექსებს ძალიან იშვიათად ვკითხულობდით. სკოლაში რასაც მასწავლიდნენ, ყველა არა, მარა ზოგი მათგანი ზეპირადაც კი ვიცოდიო. ეს იყო და ეს. პოეზიის ელიტის კაცი არ იყო ვასო.

მე კი მითანაგრძნობდა. შეიძლება იმიტომ მითანაგრძნობდა, ფიქრობდა, გული არ ვატკინოო, შეიძლება ზოგიერთი მართლაც მოსწონდა, ისეთები, რომლებშიც სამშობლოდაკარგული და სამშობლომონატრებული კაცის სევდა იყო გამოხატული. ლექსის სიმბოლურ ნიშნებს ვერ გებულობდა, თორემ პირდაპირ ცხადად გამოთქმულ აზრს ლექსისას კი ხვდებოდა.

იმან კი მართლა გულწრფელად აღაფრთოვანა, როცა გაზეთ „საქართველოში" დაბეჭდილი ჩემი ლექსი ვუჩვენე და ვუთხარი, ეს ფსევდონიმია — ...ური, ეს მე ვარ-მეთქი. გაზეთ „საქართველოს" სისტემატურად ვლებულობდი. როგორც კი ახალ ლექსს დავწერდი, მაშინვე ვუგზავნიდი რედაქციას. ისინიც არ აყოვნებდნენ, ბეჭდავდნენ. როცა გაზეთის მომდევნო ნომერს გავშლიდი და ჩემ ლექსს ვნახავდი დაბეჭდილს, ცას ვეწეოდი სიხარულისაგან, ჩავიკეტებოდი ჩემ ოთახში, არც ასეული მახსოვდა, აღარც გარემონი. რამდენიმეჯერ ჩავიკითხავდი ლექსს. ისევ ის ვიყავი, ნამდვილი, როგორიც ომამდე ყმაწვილობისას, ლექსით გათანგული, ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი, ოღონდ ლექსი, ლექსი დამეწერა, შემეთხზა. მიმეჩვია თვალი ამ ჩინა. გავვარდნილიყავი მიწას ამ ქვეყნის წამეკითხა. მერე რედაქციაში მიმეტანა და თუ დაიბეჭდებოდა, ფრთაშესხმული დავფრინავდი. აი, ასეთად გადავიქცეოდი აქაც, ტყვეობაში, გუშინდელი მტრის არმიაში მყოფი, მწვანემუნდირიანი, ასეულის მეთაური და ოთახში ჩაკეტილი კარგა ხანს ასე დავრჩებოდი, არავის მივიკარებდი. მერე გულს რო ვიჯერებდი, ჩემს პოეტურ სამყაროში მარტო დარჩენილი, ფერად ბურუსში გაბრუებული გონს მოვიდოდი. გამოვერკვეოდი გამოვიდოდი ოთახიდან ,ვასოს მოვენახავდი. შემოვიყვანდი ჩემს ოთახში და გავუშლიდი გაზეთს, ჯერ მე წავუკითხავდი ამურის, ესე იგი ჩემს ლექსს. მერე თავად მივაჩეჩებდი ხელში და. აპა. წაიკითხე-მეთქი.

ალბათ ვასოც მატყობდა, რომ ეს მოვლენა ჩემთვის რაღაც მეტად მნიშვნელოვანი იყო, რა ხასიათზე ვიყავი ამ წუთებში, ამასაც იოლად ხვდებოდა ჩემს ქცევაში, ამ წუთებში რო აღარ ვიყავი მწვანემუნდირიანი, რო აღარ ვიყავი ასეულის მეთაური, რო აღარ მაინტერესებდა სხვა არაფერი, გარდა ამ გაზეთისა და შიგ დაბეჭდილი ჩემი ლექსისა. ამიტომაც მხარს მიბამდა ,ამის ოსტატი იყო ვასო, მხარში ამოდგომისა, თანგრძნობისა, არა მარტო ჩემთან, ყველასთან, განურჩევლად იმისა, აზლობელი იყო თუ არა. და რაკი ამის ჩინებული ოსტატი იყო. აბა, მე როგორ დამაკლებდა რამეს, გამუქდებოდა, გალაღდებოდა. გაზეთშიო, კაცო, ბერლინში დაბეჭდილ გაზეთშიო. რა კარგი ლექსიაო, ეს მარტო შენს დედაზე კი არა, ჩემ დედაზეც არისო დაწერილი.

გადაიკეტა კარი ცის კარები,
სიზმარს მიაყვები ალი შენამდე...
ის ძველისძველი ნაცრისფრებით,
ეჰ, საქართველოვ, ვალად მომელანდე!
წილად მხვდა შენი ძუძუს მოწოვა.

და შენს შვილობას ვიჩემებ კვეხნად.
მოვკვდები სადმე?.. მე ისევ მოვალ,
მე ხელმეორედ გავჩნდები ქვეყნად.
ალბათ დედაჩემს ცრემლი სდის ახლა
და შენს ბალახებს ნამად სხურდება.
ნუ სტირი, დედი, მე მალე გნახავ,
და მალე ისევ გაზაფხულდება.
კვლავ გაიხსნება ცხრა ცის კარები,
მოვიტან ახალ ვარდების გროვას.
ქართლის მირონით ნაზიარები
მე ისევ მოვალ, მე ისევ მოვალ.

თუ ძმა ხარ, ერთხელ კიდევ წამიკითხე. შენ რაღაცნაირად უფრო კარგად კითხულობ, სხვებიც რო წაიკითხავენ, ისინიც ასე იფიქრებენ, რომ მოვკვდე, ხელმეორედ გავჩნდებიო, აბა, დედას შვილი როგორ უნდა მოუკვდესო, წაეტანებოდა ხოლმე თავადაც პოეტურ აზრს ვასო და ენად გაიკრიფებოდა.

როცა ის ასე მეფერებოდა, მითანაგრძნობდა და მეენამრავალფეროვნებოდა, ეს იყო ჩემთვის უმაღლესი ბედნიერება, მაშინ მე მხოლოდ პოეტი ვიყავი, იმ ლექსის შემთხზველი, რომელმაც აგრე მონუსხა ჩემი მეგობარი ქართველი და რა თავში ვიხლიდი მე არ[illegible]ებს იქითურსაც, აქითურსაც, სამხედრო რეჟიმებსა და ქოთქოთს? გამიშვით ჩემს მარტოობაში, ღმერთმა ეს ნიჭი მომმადლა, მაწერინეთ ლექსები და გამომათქმევინეთ ვასოსა და სხვათა გულისნადები, იმათ არ ძალუძთ ეს, ამგვარად გამოთქმის ნიჭი არ უბოძებია მათთვის უფალს. ათასში მე ერთს მიმმადლა და მაცალეთ, რა მეფაშისტება, რა მეკომუნისტება, რა ჩემი საქმეა თოფი და ტყვია, ვის ვესროლო, ვინა მყავს ასეთი მტერი, რო ვესროლო. კაცი არაა ისიც, რა ვიცი, ვინ არის, რა რჯულისა, რა ნაგვამისა, კაცია და არ ჯობია ლექსით გული მოვუფონო, ვიდრე ტყვია ვკრა გულში?!

როცა ვასო მეენამჰევრებოდა, მე მაშინ, იმ წუთს, კი მივშტერებოდი მას, მაგრამ ამგვარი ფიქრები დამტაცებდა ხელს, ამზიდავდა, ვასო ლაპარაკობდა და მე ამგვარ ფიქრების სულით ვიყავი მაღლა ატაცებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ვალია

ჰოდა, ერთ კვირა საღამოს ვასომ მიმიპატიჟა სოფელში, მეგობარი ქალის ოჯახში. კი გავდიოდი უკვე სოფელში, ოჯახებთან ურთიერთობას ჯერჯერობით ვერიდებოდი, მეტწილად თვალყურს ვადევნებდი, ჩვენი ჯარისკაცები ხო არ აშავებდნენ რამეს.

ოცდაოთხი წლის ყმაწვილი ვიყავი. სოფელში მშვენიერი უკრაინელი გოგონები დაყელყელაობდნენ, გადმომიგდებდნენ ხოლმე საამო სიტყვებს, მათ სიტყვებსა და შემოხედვაში გამოწვევა გამოსჭვიოდა, ამას კარგად ვგრძნობდი, მაგრამ ასეულის მეთაურის ღირსება მაკავებდა.

სანამ აქ იყვნენ, სომხების ასეულის მეთაურმა, მაღალმა, შავტუხა, მართლაც მომხიბლავი შესახედაობის ბიჭმა ერთი გოგონა უმალ ხელთ იგდო, ერთ საღამოს იმ გოგონას გულისთვის შფოთი და აყალმაყალიც მოაწყო სოფელში, მაგარი ბიჭი იყო და მილეწ-მოლეწა მოქიშპენი. მაიორმა დასაჯა კიდეც ამისთვის.

როცა იქიდან სომხების ასეული სხვაგან გაამწესეს, ასმეთაურმა ის გოგონა თან წაიყვანა. მიყვარსო, დაარწმუნა გერმანელები, ცოლია ჩემიო და ვერაფერი მოუხერხეს, ვერ გადაათქმევინეს, ვერ ჩამოაშორეს გოგონა. წაიყვანა.

მე კი ჯერჯერობით ვერ ვბედავდი გოგონებთან მიახლოვებას. ბუნებითაც ვიყავი ამ მხრივ გაუბედავი. ვერ ვახერხებდი გოგონებთან სალაპარაკოსა და სასაუბროს მოსაზრებას. ეს — შინ, ქუთაისში, თბილისში.

აქ კი, ეს უკრაინელი სოფლელი ალალი გოგონები თავად გეძახდნენ, გიხმობდნენ, მიგანიშნებდნენ, ხმა ამოიღე, ხმა გამეციო. მითხარი რამეო.

გული მეზიდებოდა მათკენ. ზოგი მათგანი მართლაც მომხიბლავი იყო. სოფელში ადგილობრივი ყმაწვილები თითქმის არც კი ჩანდნენ. არ იყვნენ. წითელმა არმიამ წაირეკა ისინი ომში და დარჩენილან აქ ახალგაზრდა ქალები და ქალიშვილები მოხუცებისა და ბავშვების ამარა.

გერმანელებს არ ეკარებოდნენ, გაურბოდნენ, ემალებოდნენ, მაგრამ, ჩვენ, ქართველები რო გამოვჩნდით აქა, აღმოაჩინეს, რომ ესენი ქართველი წითელარმიელები იყვნენ ტყვედყოფილები, თავისიანებად მიიჩნიეს, რუსულად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს და გაუშინაურდნენ, შეუხმატკბილდნენ ქართველებს.

ვასოს მეგობარი ქალები გულღიად შემოგვხვდნენ.

თეთრად შეფეთქილ ჩვეულებრივ უკრაინულ ხატაში მარტონი ცხოვრობდნენ დედა-შვილი. ეზოში თავლა, საქათმე და სხვა სათავსოები იდგა. ეტყობოდა, მუყაითი ქალი იყო ნადია, ეზოში და ხატაში მზრუნველი დიასახლისის ხელი იგრძნობოდა.

ოცდათხუთმეტი წლის ნადია ვასოზე უფროსი კი იყო ასაკით, მაგრამ გარეგნულად ისე გამოიყურებოდა, უმცროსი გეგონებოდა. შევხედე თუ არა, გულში მოვუწონე ვასოს არჩევანი, ტანთხელი, ქერა ნადია თვალს იტაცებდა.

ქმარი ომის პირველივე დღიდან ჯარში იყო და, რა თქმა უნდა, ახლა არაფერი იცოდა მის შესახებ. ერთადერთი ქალიშვილი, ვალია შერჩენოდა, მერვე კლასის მოსწავლე, თოთხმეტი წლის წრიპა, გაწლიკვული, მაგრამ ახლად ტანაყრილი გოგონა, რომელსაც თვალს შეავლებდი თუ არა, გაიფიქრებდი, სულ ახლახანს გამოსულა ბავშვობიდან. თუმცა ჯერ კიდევ მთლიანად არ მოშორებია ბავშვობის იერი. ლამაზ მომხიბვლელ თვალ-წარბზე და ახლად აკოკრებულ დაბალ, ამობურცულ გულმკერდზე უკვე ბავშვუ-

რობისა ალარაფერი ეტყობოდა, [illegible]ა. ქალიშვილობაში შეუდგამს [illegible] გაიფიქრებდა ხარბი [illegible] ვარე, მაგრამ თუ გაიღიმებდა ან რამეს გეტყოდა, ჯერ კიდევ ბავშვიაო, ამას გაივლებდი გულში.

ამგვარი თვალით შევხედე მეც, როცა ხატაში შევედით და ვასომ ჩემი თავი გააცნო ნადიასა და იქვე მდგარ ვალიას. როცა ვალიას ხელი ჩამოვართვი, უფრო ბავშვად ჩავთვალე და სხვა, მამაკაცური თვალით მისთვის არ შემიხედავს. ოცდასამი წლის ყმაწვილი კი ვიყავი, მაგრამ ვალიაზე ცხრა წლით უფროსი ვერც გავიფიქრებდი მასთან სხვაგვარად მიახლოვებას. ამ ასაკში ცხრა წლით სხვაობა საგრძნობლად ჩანს. ამიტომაც მე უფროსივით ჩამოვართვი ხელი ვალიას და მერე იქ ყოფნის დროს ვცდილობდი თვალი არ შემეჩერებია მასზე, თვალს კი იტაცებდა ეს პაწია გოგონა, ისეთი მინიატიურული, მომხიბლავი სახე ჰქონდა, მართლაც კალმით დახატული გეგონებოდა.

ვასომ ბოთლით არაყი დადგა, თეთრ, ქათქათა სუფრაგადაფარებულ მაგიდაზე და, აბა, შენებურად დამიფაცურდი, ნადიაო, უთხრა დიასახლისს.

ხატის ერთ კუთხეში ღვთისმშობლის ხატი ეკიდა, გარშემო თეთრი, მოქარგული ლენტებით მორთული. კედლის დიდი ბუხრის მეორე მხარეს საკმაო ფართო დასაწოლი იყო გამოშვერილი, ქვემოთ ხალიჩაგადაფარებული ტახტი იდგა. მის წინ კედელთან რკინის საწოლზე საფარგადაფარებულ ლოგინზე ქათქათა, აფუებული ბალიში იდო. ერთი კომოდი, რომელზეც სარკე და რაღაც კოლოფები მზრუნველად იყო დალაგებული და რამდენიმე სკამი — ეს იყო მთელი, საკმაოდ ფართო ოთახის მოწყობილობა.

საუბრისას ნადია რუსულ სიტყვებს იშვიათად, გამოურევდა, მეტწილად უკრაინულად გამოთქვამდა თავის აზრს, მაგრამ ყველაფერი მესმოდა. სუფრას-

თან ვალიაც იჯდა, მაგრამ ის ხმას არ იღებდა, გვისმენდა უფროსებს და ხანდახან, ვასო როცა შეეხალისებოდა, სიტყვით გაეთამაშებოდა, ორიოდე სიტყვით გაეპასუხებოდა ვასოს. რუსულ სიტყვებს ისიც იშვიათად ვაურევდა თავის უკრაინულში.

ვასო ქართული სადღეგრძელოს ჯაიდაზე მოეფერა ნადიას, გაიბადრა ქალი, გაჩახჩახდა, ვასო ხანდახან მკლავს შემოაჭდობდა წელზე, მიეყრდნობოდა დევივით კაცის მხარს ნადია, გაყუჩდებოდა ,მინებდებოდა კაცს, სრულებით არ ერიდებოდა ქალიშვილს, არც ვალია იმჩნევდა რამეს.

არაყი, რა თქმა უნდა, წაგვეხთო ძვალ-რბილზე.

გუნება გამიხალისდა.

ვალიამ კომოდიდან პატეფონი გადმოიღო, ტახტზე დადო, გამართა და გაისმა ჩემი ყმაწვილობის საყვარელი „ტანგო".

დაავლო ხელი ვასომ ნადიას და დაიწყო ცეკვა. მერე მე გადმომძახა, მიდი, შე კაცო, აცეკვე ბავშვიო. თითქოს ამას ველოდი, მე თვითონ ვერ ვბედავდი, გამომეხმო საცეკვაოდ ვალია, არადა, როგორც კი ჩემი საყვარელი ტანგოს ჰანგი წამწვდა ყურთან, ფეხის წვერები შემიქანდა, ავაყოლე საცეკვაო ჰანგს, ერთი წამით გამახსენდა საშუალო სკოლა, ევროპული ცეკვების შემსწავლელი პირველი სტუდია ქუთაისში. მაშინვე რო მივაწყდით ყმაწვილი გოგონები და ბიჭები, თბილისიდან ჩამოსული ვინმე აბულაძე — ამ ცეკვების მრავალგზისი პრიზიორი — ედგა სათავეში ამ სტუდიას. მივაწყდით ყმაწვილები და მერე სად აღარ დავდიოდით ცეკვების სალამოებზე. დავვოსტატდი, აბულაძე თავის მეუღლეს — აგრეთვე ცეკვების პრიზიორს, — მომიჩენდა პარტნიორად და სხვათა საჩვენებლად მაცეკვებდა. მორჩილად მომდევდა ცეკვის ოსტატი ქალი ფოქსტროტსა და ბოსტონში და ბოლოს აბულაძე შესძახებდა მოსწავლე ვაჟებს, აი, ასე უნდა გაჰიროს ტანი ცეკვის დროსო. ვცეკვავდი და ვცეკვავდი მერე [illegible]ლებში, სადაც კი ცეკვები გაიმართებოდა.

ვასოს შეძახილი საკმარისი აღმოჩნდა, წამოვდექი, ვიცეკვოთ-მეთქი, ვთხოვე ვალიას, წამოდგა და ნაფოტივით მომეკრა, სიფრიფანა წელზე ხელი მოვხვიე და ასე მეგონა, გოგო კი არა, მკერდზე პეპლა ამკრობოდეს და მჩატე-მჩატედ მივყევი ტანგოს რიტმს. ნიკაპთან მწვდებოდა ვალიას თავი, თმის მსუყე სუნმა გამაბრუა, ქერა თქმა ჰქონდა, ორ ნაწნავად გადაყრილი მხრებზე. წელზე შემოჭდობილ ხელზე მეხებოდა ნაწნავები და მივაცქერებდი გოგონას ტკბილ ბურუსში. არაფერს ვეუბნებოდი და არც ის იღებდა ხმას.

რამდენიმე ცეკვის შემდეგ წყვილ-წყვილად, თითო თითოდ ხატაში შემოსვლა იწყეს გოგონებმა, კარს შემოაღებდნენ, შემოდიოდნენ და სხდებოდნენ ტახტზე, სკამებზე, ანდა სულაც ფეხზე იდგნენ. იღიმებოდნენ, მე და ვასოს გვესალმებოდნენ, როგორც კი პატეფონი ჩაირთვებოდა, ერთმანეთს დაავლებდნენ ხელს, დაწყვილდებოდნენ და ცეკვავდნენ. ბიჭები არა ჩანდნენ. მხოლოდ გოგონები მოგროვდნენ.

ასეთი წესი აქვთ აქ, სადაც პატეფონი ან გარმონი ახმიანდება, იქ იყრიან თავს ახალგაზრდები. მღერიან, ცეკვავენ.

აქაც ასე შემოილალენ ნელ-ნელა. თავიდან ვერც შევამჩნიე. ცეკვის დროს ვალიამ ხმა ამოიღო, თავი გადაწია, შემომხედა პირდაპირ თვალებში და მითხრა:

— ია ტებე ბაჩილა.

„მე შენ გხედავდიო".

„სად-მეთქი?"

„აქაო"

„აქ ჯერ რო არა ვყოფილვარ-მეთქი?!"

„სოფელშიო“.

„მე არ დამინახიხარ-მეთქი“.

„ასეულს რო ჩამოატარებ, მაშინ გხედავო“.

„რა პატარა ხარ-მეთქი?!“

ბანზე ავუგდე სიტყვა.

„მე პატარა აღარა ვარო“.

„პატარა ხარ, აბა, რა ხარ-მეთქი?“

„მერვე კლასი დავამთავრე და მეცხრეში გადავედიო“.

„მე მეექვსე კლასისა მეგონე-მეთქი“.

„გეგონოს მერეო“.

„აბა, პატარა არა ვარო, რო ამბობ-მეთქი?“

„შენ რო გგონია, მართლა ისე კი არ არისო“.

ამ დროს ჩათავდა ტანგო. პატეფონი დადუმდა. ვალია მომშორდა და მაშინღა შევამჩნიე, ტახტზე რამდენიმე უცნობი გოგონა იჯდა, ვალია მათ მიუჯდა გვერდით. ესენი ჩემ ასაკთან მოახლოვებული ქალიშვილები იყვნენ და მათკენ თვალი გამექცა. მომდევნო ცეკვაზე ერთმა გამიწვია. მომეწეპა მკერდზე, ჩქარ ფოქსტროტს ვცეკვავდით და გოგონამ ათქვირებული ძუძუები მიხახუნა და მიხახუნა გულის ფიცართან. თვალებს ისე მიყუყუნებდა, თითქოს მანიშნებდა, წავიდეთ, გავიპაროთ აქედანაო. „დავაი, დავაი, ხლოპეცო“, ხმადაბლა ჩამძახოდა ყურში და მეც წელზე მოხვეული მკლავით უფრო მაგრად ვიზიდავდი ჩემკენ.

თვალი მოვკარი, ვალია ოთახიდან გავიდა.

როგორც კი ჩამომთავრდა ფოქსტროტი, ოთახიდან მეც გავედი. მთვარე ისე გაჩახჩახებულიყო, მთელი ეზო ნათლით მოეფინა. ვალია ხატაში შესასვლელთან გრძელ მერხზე ჩამომჯდარიყო და მთვარის შუქში გარინდულიყო. ჩემსკენ არ გამოუხედავს. იქვე ჩამოვჯექი მეც.

„კახპაა მაგიო“, — უცებ მომახალა ვალიამ.

„ვინ-მეთქი“, — გავვოცდი მე.

„ვინა და დუნიაო“.

„რომელი დუნია-მეთქი?“

„ახლა რომელთანაც ცეკვავდი“

ადგა ვალია, ჩემ პირისპირ დადგა. უცებ მუხლზე ჩამომიჯდა და მითხრა:

„ერიდე მაგასო“.

„პირველად ვხედავ-მეთქი“.

„ჰოდა, მეორედ ერიდეო“.

„რატომ-მეთქი?“

„ხო ნახე, როგორ აგეწეპაო“.

„მერე რა-მეთქი?!“

„სხვებსაც ეგრე ეწეპებაო“.

„რა ჩემი საქმეა-მეთქი?“

უცებ თავში გამკრა, ამ გოგომ ნამდვილად იეჭვიანა და ეგრე იმიტომ მელაპარაკება-მეთქი. არყით შეხურებულსა და დუნიას ძუძუებით აღგზნებულს თავბრუ დამეხვა. ჩემდაუნებურად მუხლზე მჯდარ სიფრიფანა ვალიას წელზე მკლავები მოვხვიე, ავიშვატე და თავლისაკენ გავაქანე. ყელზე მკლავებით ჩამომეკიდა. თავლაში თივაზე მივაწვინე და ხარბად დავეწაფე მის ვარდის ფურცელივით თხელ ტუჩებს. არ გამძალიანებია. თივაზე გაწოლილს ვეალერსე და ვეალერსე, ნეალერსა თავადაც. „ჩემო პატარა-მეთქი“, ჩავჩურჩულებდი. „ხო აღარ გაეკარები დუნიასაო“, — ჩამჩურჩულებდა ისიც.

უცებ , ვალიაო, გაისმა ხმა. ხატადან გამოსული ნადია ეძახდა ქალიშვილს. ჩვენ გავიტრუნეთ. რამდენჯერმე განმეორდა ნადიას ძახილი. მერე ვასოს ხმა შემომესმა, კარგი, თავი გაანებე, აქ იქნება, მოვაო. ისე მოიხურა ხატას კარი.

ამან გამომაფხიზლა. წამოვდექით. თივა ჩამოვიფერთხეთ. ჯერ მე წავალ და მერე შენაო, თქვა ვალიამ და წაცუნცულდა. ხატის კარი რომ მოიხურა, მეც ჩამოვჯექი — მეროლა გავედი, ცოტახანს კვლავ მერხზე ჩამოვჯექი, მელღვრებოდა მთვარის ქათქათა შუქი, და ახლაღა გავიაზრე, რაც ჩავიდინე, თავზარი დამეცა, თავი რო არ შემეკავებინა, ხო დავღუპავდი ამ ბავშვს-მეთქი?

ვალიასა და თავის მძაფრი სუნი შემყვა ხატაში.

ვალიაც ჩემი აწეწილი ბედისწერის ჩარხმა ჩაითრია, აედევნა ჩემს ბედისწერას და იმჟამად თუ რაიმე ნათელი სხივი მიელაციცა ჩემს სულსა და გულს, ეს მხოლოდ ვალიას გამოსხივებული იყო.

ამ წიგნის დასაწყისში მე უკვე გიამბეთ ქუთაისში ჩემი ყმაწვილური პირველი სიყვარულის ამბავი. სხვანაირი იყო ის სიყვარული, რომანტიული, გაუმხელელი, ხელშეუხებელი, არამიწიერი.

იმდაგვარივე გრძნობა წამკიდა ამ უკრაინელმა გოგონამაც, ამანაც მერვეკლასელმა, მაგრამ უფრო თამამმა, გაბედულმა, თავადვე რო გამიკაფა გზა ხორციელი სიყვარულისკენაც, თუმცა არა ავხორცობისაკენ, არამედ ფაქიზი, უმწიკვლო ვნებათა ღელვისაკენ.

იმ მთვარიანი ღამის შემდეგ გამიკრთა ძილი, ჩემი საფიქრალის არეში მხოლოდ ვალიამ დაისადგურა, სულ იმისაკენ მივილტვოდი, ერთი სული მქონდა, სანამ ვნახავდი. ვნახავდი და გარნიზონში მობრუნება მიჭირდა. ხან რას მოვიმიზეზებდი და ხან — რას, რათა სოფელში მივჭრილიყავი, ვალია მენახა, ორიოდე სიტყვა მეთქვა, ორიოდე სიტყვა გამეგონა მისგანაც. ისიც ისე ლაღად შემომეგებებოდა ხოლმე, აღარც დედისა ერიდებოდა, აღარც არავისი, გაშუქდებოდა, გაინაბებოდა, უცდიდა, რას ვეტყოდი. ვერაფერსაც ვერ ვეტყოდი ხოლმე, ენა დამებმებოდა, სუნთქვა შემეკვრებოდა, გამოვბრუნდებოდი გარნიზონისაკენ. გამომაყოლებდა ნისლიან თვალებს.

ვასომ თქვა, ნადიამ მითხრაო, ვალია სულ ელოდებაო, რა წაუკიდა ამ ბავშვს ასეთი, ვერ გამიგიაო, მეკითხებაო, როდის გამოივლისო, გუშინ ისიც მკითხა, საქართველო სად არის და რა ქვეყანააო.

წავავლე ხელი ამ თემას და მომდევნო შეხვედრისას ენად გავიკრიფე / ვალიას გვერდით მჯდომარემ, საქართველო შავი ზღვის ამა [illegible] მდებარეობს, თოვლიანითაც და მწვანე მწვერვალებითა და მთებით შემოზღუდული-მეთქი. გატრუნული მისმენდა, თავს ვაწონებდი ისტორიული ეპიზოდებით, მეფეთა საქმეებით, დღევანდელი ქართველებით, ბოლოს ისიც დავურთე, აი, ომი დამთავრდება, წაგიყვან და შენივე თვალით ნახავ, მოგაჯადოებს და ველარ მოშორდები-მეთქი.

ერთხელ ნაშუაღამემდე შევრჩით მე და ვასო ნადიასა და ვალიას. ჯერ ჩვეულებრივი ცეკვები გაიმართა. მერე მეზობელი გოგონები ხატადან გაიკრიფნენ.

ბოლოს წამოვდექი და ვასოს ვუთხარი, დროა, გვიანია, წავიდეთ-მეთქი.

სადღა უნდა წახვიდეთო, თქვა ნადიამ, საცაა, გათენდება, რაღა დროს წასვლააო.

„აბა რა ვქნათ-მეთქი?“

„აქ დარჩითო“.

„როგორა-მეთქი?!

„აქ დაიძინეთო“.

„სად-მეთქი?“

„მე და ვასო, აგერ, ჩულიანში გავალთ, შენ და ვალია მაგ ლოგინში ჩაწექითო“. — თქვა ნადიამ და რკინის საწოლზე მიმითითა.

სახტად დავრჩი, ენა ჩამივარდა, თავი უხერხულად ვიგრძენი, რას მეუბნება ეს ქალი-მეთქი, ჩემ ქალიშვილთან დაწექიო, ამას სრულებით არ მოველოდი, არ მოველოდი, რომ გოგონას დედა ასეთ რამეს შემომთავაზებდა, სულ იმას ვცდილობდი, ნადიას არ შეემჩნია ჩემი ვალიასადმი ამგვარი ლტოლვა, სიახლოვე, ხელს რო წავატანდი ხატაში დამარტოხელებულ გოგოს, იმის შიში მქონდა, ნადიამ არ შემოგვისწროსთქო. ამან კი არც აცია, არც აცხელა და წასასვლელად გამზადებულს შემომთავაზა, ვალიას საწოლში დაწექიო. მართალია, მასაც ძლი-

ერი სურვილი ჰქონდა, ალბათ, ვასო რო დარჩენილიყო, ვასოს გვერდით რო გაეთია ღამე, იქნებ ამიტომაც მოინდომა ასე გულიანად ჩემი დარჩენაც, მაგრამ ნუთუ ამის გამო ქალიშვილის საწოლიც დამითმო?!

წამით ჩვენებური, ხევსურული წაწლობაც გამახსენდა. გაგონილი მქონდა, წაკითხული, მაგრამ ეგ სულ სხვა რამ იყო, მთელი ოჯახის თვალწინ ხდებოდა, სტუმარ ვაჟს უდიდეს პატივს მიაგებდნენ, ოჯახის ასულს დაუმეგობრებდნენ ღამით ერთ ლოგინში მიუწვენდნენ, ოღონდ ქალიშვილობის ზღვარი არ უნდა შელახულიყო, ქალვაჟი შუა ხმალსაც კი ჩაიდებდნენო. ისიც გაგონილი მქონდა, ოჯახის ამ მკაცრ წესს რო ვერ იცავდნენ ხშირად. მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელო" წაკითხული მქონდა და კარგად მახსოვდა, რაც მოჰყვა ამგვარ წაწლობას.

მე არც ხევსურული წაწლობის ამბავი მქონდა რიგიანად გააზრებული და გაცნობიერებული, რა ძალითა და ნებისყოფით უნდა ყოფილიყვნენ ყმაწვილები აღჭურვილნი, რომ მთელი ღამე ამ მაცდურ ტანჯვისთვის გაეძლოთ?!

ახლა, აგერ, ამდაგვარ რამეს თავად დედა მთავაზობდა.

ამგვარად გაოგნებული ისევ ნადიას ხმამ გამომაფხიზლა:

„არ დაეტევით თუ რა ორთავე მაგ ლოგინში?!"

ეს თქვა, ვასოს ხელი ჩაჰკიდა და ოთახიდან გაიყვანა.

ვალიამ ლოგინი ჩასაწოლად გააწყო, ლამპა ჩააქრო, ჩაიკისკისა, კაბა გაიხადა და საწოლში შეგორდა.

ერთ ხანს ვიდექი, მოდიო, მომესმა ვალიას ჩურჩული.

მერე გავიხადე და ვალიას შევუწექი.

„თივაზე კოტრიალს ეს არ ჯობიაო?"

„თივაზეც კარგი იყო-მეთქი",—ჩავჩურჩულე მკერდზე მიხუტებულ გოგონას ყურის ბიბილოსთან მიდებული ტუჩებით.

„ახლა შენებურად არ გაგიჟდეო".

„აბა, რა ვქნა-მეთქი?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

„არაფერიო".

. . . . .

ვალიამ ხმაჩაგუდულად შეჰკივლა. ცოტა ხანში ნადია შემოვიდა, პერანგისამარა თავს წამადგა და შეშფოთებულმა მკითხა:

„რა მოხდაო?"

„არაფერი-მეთქი".

„ვალიაო?!"

„აგე, ვალია-მეთქი", — ჩემ კისერთან პირჩამხობილ ვალიაზე მივანიშნე.

„რა მოხდაო?" — გაიმეორა ნადიამ.

„არაფერი-მეთქი", — გავუმეორე მეც პასუხი.

„აბა კარგიო, ჰკვიანად იყავიო".

„ჰო-მეთქი".

ნადია გავიდა.

ვერ გავუბედე, ვერ გავუმხილე, რაც მოხდა.

ვალიაც დუმდა, ჩემ ყელზე პირჩამხობილი.

## ხანძარი

სოფელში კოლმეურნეობის თავლა იწვისო, გამაღვიძეს ნაშუაღამევს, სოფელი შველას ითხოვსო.

წამოვშალე ერთი ოცეული და სოფელს მივაშურეთ.

გრძელ თავლას ხანძარი შემოდებოდა, გარნიზონამდეც აღწევდა ხანძრის შუქი, მაგრამ ახლოს რო მივედით, გამძაფრებული ცეცხლის ალთა ბრიალი თვალებს ჰჭრიდა.

თავლის შორიახლო თივის მაღალი ძნები იდგა, რომელთაც ცეცხლი ჯერჯერობით ვერ მიწვდენოდა და თავლის გადარჩენის იმედი რო აღარ იყო, სოფლელები ხვლა იმასლა ცდილობდნენ, როგორმე ცეცხლი ჩაექროთ და ძნები მაინც გადაერჩინათ.

ამ გაცხოველებულ ფართიფურთში ჩაება მთელი ოცეულის ჯარისკაცებიც.

ვალიას ვერ მოვკარი თვალი, ვერც ნადიას გადავაწყდი ამ აქოთქოთებულ ხალხში. დრო ვიხელთე და მათკენ გავეშურე.

უკვე ერთი თვე იყო გასული იმ ღამის შემდეგ, როგორც კი დროს მოვიხელთებდი, ვალიასკენ გამოვრბოდი. შაბათ-კვირას კი ყოველ საღამოს მე და ვასო ამათთან ვიყავით. ვასო ჩუქანში დაიმარტოხელებდა ხოლმე ნადიას და მე ვალიასთან მარტო რო დავრჩებოდი, გავლაღდებოდი, ენად გავიკრიფებოდი და ვალიას გულს ვუხსნიდი. სოფლის სკოლის რვა კლასის არასრული ცოდნით, აბა, მე რას გამაკვირვებდა ის, თითზე ჩამოსათვლელი წიგნი ჰქონდა წაკითხული, ვატყობდი, სახელმძღვანელოებსაც არ კითხულობდა საფუძვლიანად, ტარას შევჩენკო კი ეგონა, მაგრამ პუშკინისა და ტოლსტოის შესახებ წარმოდგენაც არა ჰქონდა. პუშკინის ორიოდე ლექსი სახელმძღვანელოში წაუკითხავს, მაგრამ არც სათაური ახსოვდა მათი და არც შინაარსი. ძნელი იყო ამდაგვარ რამეებზე მასთან საუბარი, მაგრამ როცა თავი მინდოდა უფრო და უფრო მომეწონებინა, მისთვის გასაგებად ზოგ რამეს ვუამბობდი ქართული ლიტერატურიდან. ნესტანისა და ტარიელის ამბავმა დააინტერესა ძალიან.

ასე, რომ იმ ლამინდელი ამბის ერთი თვის განმავლობაში შეხვედრებმა უკვე დამაახლოვა ვალიასთან. მიმიზიდა მისმა ალალმა, გულუბრყვილო ბავშვურმა სიწმინდემ.

თავიდანვე ნებანება იმიტომ დამყვა და მომენდო, თურმე სოფელში შემოსულს რო დამინახავდა, ასეული რო მიმყავდა მარშით, ან ისე ჩავივლიდი შუკა-შუკა და ორღობეებში, მოვწონებივარ ჩემი ჩინოსნობით, მეთაური რო ვიყავი, იმიტომ, გერმანული მუნდირი კი მეცვა. მაგრამ კოხტად მქონდა ყველაფერი ტანზე და ფეხზე მორგებული და ოდითგანვე გოგონების თანდაყოლილი რომანტიკული გატაცება სამხედრო ოფიცრებისადმი ამასაც გულზე წანთებია. ეს იმდამ[illegible]ი-ლა, ერთად რო ვიწე[illegible]

მაგრამ მერედამერე ვატყობდი, სხვა რამითაც დავაინტერესე ვალია, ჩემი ყმაწვილური ღირსებებით, ჩემი საუბრებით ქართველებისა და საქართველოს შესახებ, თავაზიანობა რო არ მაკლდა და ყოყლოჩინობას რო ვერ მამჩნევდა. გონებრივადაც რო მასზე მაღლა ვიდექი, მასზე მეტი რო წამიკითხავს წიგნები და რალაცრალაცეების ცოდნას რო ვამჟღავნებდი, ეგაც დიდად სიამოვნებდა და ყველაფერ ამითაც დავაინტერესე თანდათან.

ილტვოდა ჩემსკენ. მელოდა გამუდმებით. მეც ველოდებოდი, დრო მომეხელთებინა და შემერბინა მასთან, ორიოდე სიტყვით გავსაუბრებოდი, თვალი მომეკრა, ვიცოდი, იმასაც ეამებოდა ჩემი ნახვა.

რა იყო ეს, რა გვაკავშირებდა ერთმანეთთან, რა ძალა გვეზიდებოდა ერთმანეთისაკენ, ეს ჯერჯერობით არც მას და არც მე სიტყვიერად არ გამოგვეხატავს. ბუნებრივად ვეხმატკბილებოდით ერთურთს, ჩიტებივით ვეღულღულებოდით, ვეჟღურტულებოდით, ვეგუგუნებოდით და სულ ეგ იყო.

ცოლქმრული კავშირი რო გვქონდა ერთმანეთთან, ამასაც არაფრად ვთვლიდით, თითქოს ეგაც ისე თავისთავად, ბუნებრივად მოხდა, როგორც ერთმანეთთან მიახლოვება. ისე ვიყავით ერთმანეთთან, თითქოს ეს არც კი მომხდარიყოს. არც ის მაგრძნობინებდა ამას და არც მე მიმინიშნებია მისთვის ამის თაობაზე რამე.

გულში კი მქონდა მომავალი შეშფოთება, ნადიას არ გაეგო ეს ჯერჯერობით, დედაა და რა ვიცოდი, როგორ გამოხატავდა თავის დამოკიდებულებას ამის გამო, წყევლა-კრულვით შეიცხადებდა თუ დამიყვავებდა. წყევლა-კრულვით რო შეეცხადებია, მე მზად ვიყავი, მიყვარს-მეთქი, ვეტყოდი. ცოლად მინდა-მეთქი შევირთო. თუ გინ-

და ახლავე ჯვარს დავიწერ-მეთქი და ეს იქნებოდა ჩემი გუწრფელი პასუხი.

ამიტომაც შინ, გარნიზონში, ჩემ ოთახში წერილიც დავწერე, რუსულად მაინცდამაინც გამართული წერა არ მეხერხებოდა, მაგრამ ქართულად მოაზრებულის რუსული თარგმანი არც თუ ისე ურიგო გამომივიდა, არც ვალია იყო გაწაფული რუსულ წერა-კითხვაში, მაგრამ ჩემი წერილით მაინც მიხვდებოდა, რისი თქმაც მსურდა. თქმა კი იმისა მსურდა, რომ ვალია ძალიან კარგი გოგო იყო, არა მარტო ლამაზი გარეგნულად, არამედ შინაგანად მომხიბლავი, ხასიათითა და სიქცეულითაც მიმზიდველი, არ ჰგავდა თავის თანასოფლელ გოგოებს, ის უფრო ზრდილი და თავაზიანი, თავშეკავებული და ალალმართალი იყო, თანასოფლელ გოგოებზე კი არა, მთელი ქვეყნის გოგოებზე უკეთესი იყო, რომ მე ასე მეჩვენება და რომ ამაში არა ვცდები. ამიტომაც მიმეჩქარება სულ მისკენ. ასეთი რამ ჯერ მე არ დამმართნია, არც ადრე, არც მერე, სტუდენტობისას, არც არასოდეს, ეს პირველად შემეყარა უკურნებელი სენივით მისკენ ლტოლვის ჟინი, ალბათ სულ ასე ვიქნები, ჩემი გულისა ხო უნდა მჯეროდეს, გული ხო არ მომატყუებს, მით უფრო გონებით განსჯილიც რო სულმთლიანად ეთანხმება გულისნადებს. ჰოდა, ალბათ სულ ასე ვიქნები და სულ ასე მენდომება, ვალია რომ ჩემთან, ჩემ გვერდით იყოს. ომი რას გვიქადის, მე რა ვიცი, მაგრამ ახლა, აქ რო ვარ, ამ დაბურულ ტყეში, ამ სოფლის ახლოს, ვალიას ხატასთან ახლოს, ასე ვფიქრობ, ასე მომსურვებია და ეს სურვილი ხალასი და უმწიკვლოა.

ოდნავ პოეტური ელფერი კი დაჰკრავდა წერილის ფრაზებს, მაგრამ უშუალობასა და გულწრფელობაში წამკითხველი ეჭვს არ შეიტანდა. რო ვწერდი, გადამავიწყდა, რუსულად რო ვწერდი, ისიც აღარ ჩამიგდია რამედ. უკრაინელ გოგონას რო ვწერდი, / გულისთქმას ვუმხელდი, [illegible] ჩემთვის მომხიბლავი [illegible]მლითაც მე მოჯადოებული ვიყავი და რა რჯულისა იყო ის, ამაზე აღარ დავფიქრებულვარ.

ბრმაა სიყვარულით, ამბობენ. შეიძლება მართლაც ბრმაა სიყვარული?!

აი, ეს წერილი დაწერილი მქონდა, როცა მაცნობეს, სოფელში ხანძარიაო, თითქოს გამიხარდა კიდეც. ეს რო მაცნობეს, სოფელში წასვლის საბაბი მომეცა. ხელი დავავლე ამ წერილს, გულისჯიბეში ჩავიდე და ასე მივადექი ხანძარს.

ამათ ხატაში რო შევედი და შიგ არავინ დამხვდა, წერილი ამოვიღე, გავშალე ,მაგიდაზე დავდე, ლამპის ქვეშ ამოვდე წერილის კიდე, რო არაფერს გადმოეგდო იქიდან, გამოვედი ხატიდან და ხანძართან აქოთქოთებულ ბრბოს კვლავ შევერიე.

ჩემი ჯარისკაცები გააფთრებით ებრძოდნენ კოცონს.

ცეცხლის შუქზე თვალი მოვკარი ვალიას, ვედროთი წყალს მიარბენინებდა ცეცხლწაკიდებულ თავლისაკენ, ჯარისკაცს გადასცა წყლით სავსე ვედრო, ჯარისკაცმა ვედრო ცეცხლისკენ მოიქნია, წყალი მოასხა და ცარიელი ვალიასვე დაუბრუნა, ისიც გაექანა წყლისაკენ.

ხანძარი ჩააქრეს ისე, რომ თივის ძნებს ცეცხლი არ მიწვდენია. თავლა მთლიანად დაიწვა, შავი ფერფლიდან ნაპერწკლიან კვამლს ნიავი მაღლა იტაცებდა.

კოლმეურნეობის თავლა დაიწვა.

კოლმეურნეობა არ იყო დაშლილი. გერმანელებს არ დაუშლიათ. ასე უფრო უიოლდებოდათ შეწერილი ხორბლის აღება. უკრაინელი გლეხებიც შეჩვეულ ჰირს ალარსად გაურბოდნენ და ისევ კოლექტიურად ხნავდნენ და თესავდნენ თვალუწვდენელ სტეპებს.

გარნიზონში მობრუნებულთ, სოფ-

ლელების ნათქვამიც შემოგვყვა, თავ-ლა პარტიზანებმა დაწვესო.

ეს უკვე სერიოზული სიგნალი იყო ჩვენს ახლომახლო პარტიზანების გააქტიურებისა.

ხმა მოგვწვდა, ჩვენგან შორეულ სოფლებში პარტიზანები კოლმეურნეობების კომბაინებსა და სხვა ტექნიკას ანადგურებდნენ.

აგერ, ჩვენთან ახლოსაც მოდგნენ და ჩვენ უნდა მეტი სიფხიზლით ვყოფილიყავით.

აღმოსავლეთის ფრონტებზე გერმანელებს გაუჭირდათ, წითლები უტევდნენ, საბჭოთა არმიების შეტევების ამბები უფრო ხშირხშირად გვწვდებოდა.

გერმანელები ჯერჯერობით ახალი ფანტასტიკური იარაღის მოლოდინით სულდგმულობდნენ, ფიურერი მტკიცე პირობით აცხადებდა, ეს ახალი იარაღი მალე იფეთქებდა რუსეთის ფრონტებზე და ძლევამოსილი გერმანული არმიები კვლავ აღიდგენდნენ თავიანთ ღირსებასო.

ჯერჯერობით ეს მხოლოდ დაპირება იყო.

პარტიზანები კი უმიზეზოდ არ გააქტიურებულან.

ხანძრის დანატოვარი ფერფლი მიმოიფანტა სოფელში.

## იოხან

იოხან ჩემი ტოლა იყო, გერმანელთა პერსონალიდან ყველაზე უმცროსი სალდათი, ჯერ არანაირი სამხედრო ჩინი არა ჰქონდა მიღებული. აღმოსავლეთის ფრონტზე გამოუმწესებიათ, ფრონტამდე ვერ მიეღწია, გზად დიზენტერია დამართნოდა, საავადმყოფოში წოლილა და ისედაც კაფანდარა ბიჭი დასუსტებულა. ამიტომაც ფრონტისაკენ აღარ გაეგზავნათ, ზურგის სამსახურში გაემწესებიათ და აგერა ახლა ჩვენთან მოავლინეს.

ხმელი, მხრებში ოდნავ წახრილი როცა მიაბიჯებდა, მარჯვენა ფეხის წვერზე ზე შეიმართებოდა ხოლმე და ერთი შეხედვით ისე ჩანდა, თითქოს მარცხენა ფეხი უფრო მოკლე ჰქონდა. სახეზე წვრილი ჭორფლი ჰქონდა მიყრილი, ღიმილისას ჭორფლი სადღაც უჩინარდებოდა.

იღბლად ბიძას, მამის ძმას, მაიორს გადაჰყროდა, გაეგო მისი ავადმყოფობა, მიუკვლევია საავადმყოფოში, როცა გამოჯანმრთელებულა, გაუხერხებია ბიძამისს ზურგში დატოვება და როცა მაიორი ჩვენსკენ გამოემწესებიათ, თან წამოუყვანია ძმიშვილიც.

ერთად მოვიდნენ ჩვენს ბატალიონში იოხან და ბიძამისი, რომელიც ჩვენი აწოწილი მაიორის ნაცვლად დაენიშნათ ბატალიონის მეთაურად. გარნიზონიდან ისე გავიდა ძველი მეთაური, არც გამოგვემშვიდობა.

იოხანის ბიძა კი მაშინვე წარმოგვიდგა მოედანზე გაწყობილ გერმანელებსა და ჩვენს ასეულს, მოგვესალმა, თავი გაგვაცნო და ბრძანებაც გასცა, ას-ასი გრამი არაყი დაგვერიგებია იმ დღეს სადილზე მთელი ბატალიონის შემადგენლობისათვის.

მაიორმა იოხანი თავისთან, ბატალიონის შტაბში კი არა, ჩვენს ასეულში დააბინავა.

ენაწყლიანი ყმაწვილი გამოდგა იოხანი.

რამდენიმე დღეში გამიშინაურდა, ჰერ ლოიტენანტო, თავიდანვე მომმართა და მერე სულ ასე მესალმებოდა.

ძალიან დაინტერესდა ჩემი ქართული ენის გაკვეთილებით. გულდასმით შეუდგა თავადაც ამ საქმეს. რაკი მას თავიდან უნდა დაეწყო ყველაფერი, მეც არ ვიშურებდი დროსა და მოცალეობას, ჩემ ოთახში ვისხედით ხოლმე და მალე წამოეწია ჩემ „მოწაფე“ გერმანელებს.

ასე შემეჩვია და შევეჩვიე. რაკი ომამდე ისიც სტუდენტი ყოფილა, საერთო ენაც ამიტომაც მალე გამოვნახეთ. ისტორიით იყო გატაცებული,

უნივერსიტეტშიც ამ პროფესიას ეუფლებოდა, მაგრამ თავდავიწყებით უყვარდა კლასიკური მუსიკა. სხვა გერმანელები ჩვენი ასეულისა მეტწილად არმიაში გავრცელებულ და პოპულარულ „ლილი მარლენსა“ და სხვა ამდაგვარებს ღიღინებდნენ ხოლმე.

იოხან თითქმის არც არასოდეს ეტანებოდა ამ მელოდიებს, თუ წაიმღერებდა და წაისტვენდა, უსათუოდ ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიიდან, მთვარის სონატადან ან კრეიცერის სონატის ჰანგებს ან იტალიურ ოპერების არიებს.

ეს გენიალური ყრუ ბეთჰოვენიო, იტყოდა ხოლმე.

ავყვებოდი საუბარში და უხაროდა, კლასიკური მუსიკის ტრფიალი მეც რო აღმოვჩნდი.

ერთხელ მკითხა:

„საოპერო თეატრი თუ გაქვთო?“

მე ვუამბე ჩვენი საოპერო თეატრის შესახებ და ფალიაშვილი რო გვყავს, ქართული ოპერების გამოჩენილი კომპოზიტორი, ეგაც გავაცანი. ოდნავ გაოცდა კიდეც ბიზესა და ვაგნერის, მოცარტისა და ბეთჰოვენის ოპერებიც რო ჩვენდა მოსმენილი და გამორჩეული უვერტიურები და არიებიც რო წავუღიღინე. გაოცდა იმიტომ, რომ ბევრი არაფერი იცოდა საქართველოს შესახებ და არ ელოდა, თუ ევროპული კულტურა ჩვენშიაც ზეობდა.

„პატარა ქვეყნის ბედია-მეთქი“.

„რაო?“

„დიდ ქვეყნებს რო არ აინტერესებს-მეთქი“.

„შვეიცარია ხო გვაინტერესებსო?!“

„შვეიცარია ევროპის გულშია გეოგრაფიულად-მეთქი“.

„გოეთე, ბეთჰოვენიო...“ — მომიგო ნიშნისმოგებით.

„თქვენ არ იცნობთ, თორემ რუსთაველი ისევეა მსოფლიო კულტურის მშვენება, როგორც გოეთე და ბეთჰოვენი-მეთქი“.

ეს მისთვის, რა თქმა უნდა, გაუგებარი იყო, ჩემი გერმანულით. ჰოდა, მე როგორ მოვახერხებდი „ვეფხისტყაოსნის“ მომხიბვლელობის გაცნობას. კი შევეცადე, მაგრამ ეს არ მისცემდა იოხანს იმდაგვარ ცოდნას, რაც მაგალითად მე ვიცოდი გოეთესა და ბეთჰოვენის შესახებ, „ფაუსტი“ და „ვერტერის ვნებანი“ წაკითხული მქონდა უკვე ქართულ თარგმანში, ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიაც — მოსმენილი. იოხანმა კი არაფერი იცოდა ქართული მწერლობისა და ხელოვნების შესახებ და ჩემი ღარიბი ინფორმაციები მაინც იწვევდნენ მასში ერთგვარ ინტერესს.

იოხანი ამ ინფორმაციებით ალჭურვილი ბიძამისს, მაიორსაც ესაუბრებოდა თურმე ჩემზე და ვატყობდი, ბატალიონის მეთაური თანდათან უფროდაუფრო მეტ ყურადღებას მაქცევდა. მისი წინამორბედი აწოწილი მაიორი თუ არაფერს მეკითხებოდა. ეს ხანდახან თავისთან მიმიხმობდა და გარნიზონის ამა თუ იმ საკითხის შესახებ ჩემს აზრს მოითხოვდა.

ერთ დღეს იოხან გულგახეთქილი მოვარდა ჩემთან და თავლისაკენ წამიყვანა. მეორე ოცეულის ერთი ათეული თავლას ემსახურებოდა, სადაც რამდენიმე ცხენი და დროგი გვქონდა გარნიზონის მომსახურებისათვის. იოხან ამ ათეულს კურირებდა.

თავლაში შემზარავი სურათი დამხვდა: ორი თვალებგადმოკარკლული სალდათი საშინლად ზმუოდა, მისეოდნენ მეგობარი სალდათები, მიწაზე გაწოლილთ ძლივს აკავებდნენ და თოკებით ბოჭავდნენ. ექიმი ვიხმე. მაშინვე მიხვდა, სოკოთი არიან მოწამლულნიო, სასწრაფოდ რძეა საჭიროო. ვაფრინე სოფელში ორი სალდათი. ჯერ არ მენახა ასე გაცოფებული ადამიანი, ხუთ კაცს ისე უძალიანდებოდა ორი აზრდაკარგული ჯარისკაცი, დიდხანს ვერაფერი მოუხერხეს, ვერ გაკოჭეს.

თურმე ტყეში გასულან. სოკოები უპოვიათ, ცეცხლზე ქვები გაეხურე-

ბიათ, ასე შეუწვავთ სოკოები, რა თქმა უნდა, შხამიანი ყოფილა. თავლამდე კი მოუღწევიათ და უცებ გადარეულან.

მოიტანეს ბიჭებმა სოფლიდან რძე. რძით ამოურეცხეს კუჭი გათოკილებს და როგორც იქნა დააშოშმინეს.

„კარგი სიმღერა იციან ამათაო“, — თქვა იოხანმა.

„რა სიმღერა-მეთქი?!“

„მღერიან ხანდახან აქა, სიტყვები არ მესმის, რის შესახებაა სიმღერაო, მაგრამ რამდენიმე ხმით შესრულებული მელოდია ძალიან მომწონსო“.

და იოხანმა „მოეუოხე ბატონებო“ წაიღიღინა.

## ჰანსი მოთვინიერდა

პარტიზანებმა თავი წამოყვეს.

ჩვენგან ხუთიოდე კილომეტრით მოშორებულ სოფელში ერთ ღამეს კომბაინი დაუწვავთ. მოვარდნენ ჩვენთან სოფლის უფროსები, მაიორს შესჩივლეს. გვიშველეთ, დაცვა მოგვიჩინეთო. მაიორმა გვიხმო ობერლოიტენანტი და მე. ვითათბირეთ, გადავწყვიტეთ, ერთი შეიარაღებული ათეული გაგვეგზავნა, ოღონდ, თქვა მაიორმა, გერმანელთაგან ვერავის გავაყოლებო. მიბრძანა, შემერჩია ათეული.

ვასოსა და კაკო ურუშაძეს მოვეთათბირე. ერთხმად გადავწყვიტეთ, კოლია ცირამუასთვის მიგვენდო ეს საქმე. კოლია მამაცი და ერთგული ათმეთაური იყო, მართლაც სანიმუშოდ ჰყავდა ათეული ორგანიზებული. თავად ბრგე და მაგარი აგებულების ყმაწვილი იყო, ქერასა და ოდნავ მწითურს საუბარში მეგრული აქცენტი შესამჩნევად ეტყობოდა. თუ მოგენდობოდა, ულალატო და საიმედო მეგობრობას გაგიწევდა. ეს ერთადერთი ჩემი კბილა ბიჭი მყავდა ასეულში და ყოველთვის თავს იკავებდა ჩემს წინაშე, ჩემთან ოთახში რო შემოვიდოდა, მაშინაც სმენაზე გაშეშებოდა, თუმცა მე მუდამ ვცდილობდი მასთან განმარტოებისას [illegible]-გრძნო თავი ასეულის მეთაურის პრე-ტენზიებით. უბრალო მეგობრობა მწყუროდა მასთან და ვასოს მეშვეობით ეს მოვახერხე კიდეც, ვატყობდი, ჩემს გულწრფელობაში კოლიასაც არ ეპარებოდა ეჭვი, მაგრამ ჩემთან განმარტოებისას სმენაზე გაჭიმვა, ბატონობითა და თქვენობით მომართვა ვერა და ვერ მოვაშლევინე. რო დავათვრე, მაშინაც არ შეცდა, არ გადაივიწყა სამხედრო რანგის უფროს-უმცროსობა.

ძნელ საქმეს ვავალებდით ახლა, ეს საბრძოლო დავალების მსგავსი რამ იყო, გარნიზონიდან მოშორებით უცნობ სოფელში მხოლოდ ერთ ათეულს დღე და ღამე უნდა დაეცვა პარტიზანებისაგან სასოფლო-სამეურნეო იარაღები. ამას მხოლოდ კოლიასთანა უშიშარი, გაბედული და გონიერი მეთაური თუ გაუძლვებოდა. ამავე დროს ეს იყო პირველი გაბედული გამოხატულება ნდობისა გერმანელების მხრიდან.

კოლიას წარბიც არ შეუხრია. თოფებით, ტყვიამფრქვევით, ხელყუმბარებით, ტყვია-წამლით კარგად შევაიარაღეთ, ათეულშიც კოლიას მარჯვე ბიჭები ჰყავდა, ისე შეაძმაკაცა და შეათანხმა ისინი ერთმანეთს კოლიამ, ერთი ოჯახის წევრები გეგონებოდა.

სატელეფონო კავშირი ვერ გავმართეთ ამ საგუშაგოსთან და მძიმე საბრძოლო ვითარებაში რო ჩავარდნილიყო ათეული, თავად უნდა ელონათ ყველაფერი, სანამ გარნიზონში როგორმე ხმას მოგვაწვდენდა და მივეშველებოდით.

პარტიზანებმა გააცხოველეს მოქმედება. ერთ თვეში ცირამუას საგუშაგოს რამდენჯერმე თავს დაესხნენ ღამით, მაგრამ ათეულმა მამაცურად მოიგერია ეს თავდასხმები. რა თქმა უნდა, მთლად მიტოვებული არა გვყავდა ცირამუა, ჩავდიოდით, ჩაგვქონდა ტყვია-წამალი და სანოვაგე.

ათიოდე კილომეტრით დაშორებულ

მეორე სოფელში ერთ დღეს პარტიზანულ რაზმს გაევლო. გვაცნობეს ეს და ატყდა გარნიზონის ექიმი ობერლოიტენანტი, დავედევნოთო, მე წინააღმდეგი ვიყავი, ველარ დავეწევით-მეთქი, მაგრამ მაიორი დაიყოლია ექიმმა და იძულებული გავხდი ერთი შეიარაღებული ოცეული გამეყვანა. სოფელში პარტიზანული რაზმის ნაკვალევი დაგვხვდა, მოსახლეობამ ამბავი დაგვახვედრა, სურსათ-სანოვაგე ჩამოკრიფეს და წავიდნენო. აღარ გავდევნებივართ. ახალგაზრდა ექიმი ყოყლოჩინობდა, გავედევნოთო, მაგრამ ჩემი დაჟინებული მოთხოვნით, ამ ულრან ტყე-ღრეში გამოდევნება ძალზე სახიფათო და სარისკოა, მით უფრო ჩვენ ხო დამსჯელი ორგანოს ქვეგანაყოფი არა ვართ-მეთქი, უკან გამოვბრუნდით.

აღმოჩნდა, რომ პარტიზანებს ჩვენგან ოცდაათ კილომეტრში დაბურულ ტყეში თავიანთი ხელშეუხებელი ზონაც კი ჰქონიათ, ტყეშივე დაბანაკებულნი თავისუფლად მოქმედებდნენ თავიანთ არეში. გერმანელები ველარ წვდებოდნენ ამ რაიონებს. რა თქმა უნდა, მოსახლეობასაც მძიმე ტვირთად დააწვა პარტიზანული კერების გაჩაღება, მათგან მოითხოვდნენ სურსათ-სანოვაგეს, ნებით რომ ველარ დაიყოლიებდნენ, სოფლებიდან ძალით მიჰქონდათ, რასაც კი მოიხელთებდნენ.

მოსახლეობამ გერმანელებს დაცვა მოსთხოვა.

ჩვენგან ოცდაათი კილომეტრის მოშორებით ჩემი ასეულის ერთი ოცეულიც დავაბანაკეთ საგუშაგოდ. აკაკი ურუშაძეს მივანდე ეს საქმე და გამოცდილმა მეთაურმა აკაკიმ შეძლო მძიმე შედეგების თავიდან აცილება. ერთხელ მეც ჩავაკითხე, ტყეში მიკარგული შარაგზა მანქანით გავიარე და როცა კაკოსთან მივედი, მირჩია, მეორედ აღარ წამოვსულიყავი, ძალზე სახიფათო იყო ამ გზით სიარული.

საგუშაგო სოფლის შემაღლებულ ადგილზე იყო გამართული, საიდანაც დღითაცა და ღამითაც კარგად ჩანდა პარტიზანული რაზმის ბანაკის ადგილ-სამყოფელი, იქიდან განუწყვეტლივ კვამლი იფანტებოდა ტყის თავზე.

კაკომ გამიმხილა, სოფლელების მეშვეობით პარტიზანებისთვის უცნობებია, ჩვენ, თქვენს სადევნად არა ვართ აქ მოვლენილი, სოფელს ვიცავთ, ახლოს ნუ მოგვეკარებით და ჩვენც არას გერჩითო. არ ვიცი, ამან გაჭრა თუ ველარ ახერხებდნენ, პარტიზანები კაკოს ოცეულის აქ ყოფნისას სოფელს აღარ გაკარებიან.

ამ დაძაბულ ვითარებაში ვალიასკენ ის გავეშურებოდი ტყე-ტყე მოკლე ბილიკებით, თითქოს არც არაფერი ყოფილიყოს ჩვენს გარშემო. უფრო ხშირად ვასოსთან ერთად მივდიოდი, მაგრამ მარტოც გავეშურებოდი.

ერთხელ ერთი კვირა შემაგვიანდა, რაიონულ ცენტრში იჩნიაში მომიხდა წასვლა და როგორც კი დავბრუნდი, მაშინვე, ნაშუადღევს გავეშურე ვალიასკენ. ვალიას მეზობლად ერთი ქალი ცხოვრობდა, რომელიც ჩვენს გარნიზონში მუშაობდა, შტაბს ემსახურებოდა. გზიდან დავინახე, თავისივე ეზოში ჭიდან წყალი ამოჰქონდა, რატომღაც ჭიშკარი შევაღე, შევედი და გავესაუბრე.

ვალია ცხვირაბზუებული დამხვდა ხატაში, სალამზე არ მიპასუხა, იჯდა ტახტზე და ჩემსკენ არც გამოუხედია. გამიკვირდა, რა წაეკიდა-მეთქი. მივუჯექი და წელზე ხელის მოხვევა არ დამანება, წამოხტა და მომახალა:

„რატომ მიატოვე, წადი და იმასთან იკურკურეო".

„რა მოგივიდა-მეთქი?" — შევაჩერდი.

„მე აქ სულმოუთქმელად გელოდებოდიო".

„იჩნიაში ვიყავი-მეთქი".

„იმ კახპასთან რატომ შეჩერდიო?"

„ისე-მეთქი".

„რას ქვია, ისე, ისეო?"

„დამიძახა და შეველი-მეთქი“, — ვიცრუე.

„მე რო გეძახდი, ის ვერ გაიგონეო?“

„შენ როდის მეძახდი-მეთქი?“

„მე სულ გეძახიო“.

„ეგ სხვა არი-მეთქი“.

„არაფერიც სხვა არ არიო“.

„შენ გულში მეძახდი-მეთქი“.

„მერეო?“

„ვერ გავიგონე-მეთქი“.

„მაინცადამაინც უნდა ვიყვიროო?!“

ახლა კი მივეძალე და გაინაბა ჩემ მკერდზე.

„ფრთხილად იარეო“. — თავი არ აუმართავს, ისე ამომჩურჩულა.

„რათა-მეთქი?!“

„ტყე-ტყე საშიშიაო?“.

„აბა, შენთან არ მოვიდე-მეთქი?“

„ჩემთან კი მოდიო“.

„ტყე-ტყე თუ არა, რომელი გზით მოვიდე-მეთქი?“

„პარტიზანები დაეხეტებიანო“.

„ჩემთან რა ხელი აქვთ პარტიზანებს-მეთქი?“

„დაგიჭერენო“.

„ვერ დამიჭერენ-მეთქი“.

ახლა კი ამომხედა ქვემოდან და გაიღიმა:

„ერთი ამ გმირს დამიხედეთო!“

ამ საუბარმაც დამაფიქრა. როგორც ჩანს, ამ სოფლამდეც მოუღწევიათ პარტიზანებს, ვალიამ ბავშვური გულუბყვილობითა და, რა თქმა უნდა, ჩემზე ზრუნვისა გამო მისდაუნებურად გამიმხილა ეს. არ ჩავძიებივარ, არ ჩავკირკიტებივარ, რაკი მაფრთხილებდა, ალბათ მიზეზიც ჰქონდა.

იძულებული შევიქენი გამემკაცრებია ჯარისკაცების სოფლად გაშვება. თითო-თითოს ავუკრძალე წასვლა, წყვილად მაინც უნდა ყოფილიყვნენ, იარაღით სოფელში არ ვუშვებდით.

ჰაუპტფელდფებელმა ჰანსმა ობერლოიტენანტს უთხრა, საერთოდ ნუ გავუშვებთ ნურავის გარნიზონის გარეთო. ჩვენ ბიჭებს სოფლებში თითქმის ოჯახური კერები ჰქონდათ გაჩაღებული და რო აგვეკრძალა გასვლა, ვიცი, ამათი აქ შეჩერება გაჭირდებოდა, დაიწყებდნენ გაპარვას და შეიძლება უარეს დღეში ჩავვარდნილიყავით.

ობერლოიტენანტმა მე უფრო დამიჯერა და არ აკრძალა გარნიზონიდან გარეთ გასვლა.

ვასომ მითხრა, წავიყვანოთ ჰანსი სოფელში, გავრიოთ გოგოებში, ეგება გული მოვულბოთო.

ერთხელაც წავიყვანეთ, დამყვა, არ გამძალიანებია, ჯერ თითო ჭიქა „შნაპსი“ გადავკარით და სოფელს მივადექით. ნადიამ სუფრაც გაგვიშალა. აქაც დავუმატეთ „შნაპსი“ მერე ვალიამ პატეფონიც ჩართო და მოგროვდნენ მეზობლის გოგოები.

დუნიას ჭიქა არაყიც გადაახუხვინა ვასომ და უთხრა, ეს კაცი როგორმე არ მომიწყინოო, ჰანსზე მიანიშნა, გერმანელია, მაგრამ ხო ხედავ რა ბიჭიაო!

მერე რა, გერმანელი როაო, თქვა არაყით შეხურებულმა დუნიამ. კაცი ხოაო?.. მართლაცდა, ჩემთან და ვასოსთან ვერაფერს გაახერხებდა დუნია, სხვა კაცი კი იმჟამად იქ არავინ იყო, ჰანსის გარდა. ჰანსი ახალგაზრდა და ლამაზი მამაკაცი იყო, ამ მხრივ წუნი არ ჰქონდა და მიეჭრა დუნია, აცეკვა და აცეკვა. ჰანსი გამხიარულდა, შეიცვალა, იბუქნავა დუნიასთან, მერე შეუმჩნევლად ხატადან გაიპარა ორთავე.

ნაშუაღამევს როცა მე და ვასო ნადიასა და ვალიას გამოვემშვიდობეთ, ჰანსი ძლივს გამოვიყვანეთ დუნიას ხატადან, იქვე მეზობლად მარტოკა ცხოვრობდა დუნია და თავისთან დაემარტოხელებინა ჰანსი.

ამის შემდეგ გარნიზონში ვეღარავინ ცნობდა ჰანს. მოლბა, გაიღიმა, ჩემთან უკვე ისე ეჭირა თავი, როგორც უფროს ოფიცერთან, ასეულის მეთაურთან, სმენაზე დამიდგებოდა ხოლმე.

ჰანსი მოთვინიერდა.

## ბეწვის ხიდი

მაინც ვერ ავცდი ხიფათს.

ერთხელ ნაშუაღამევს ვასო და ზაქრო გოგოძე მომადგნენ, გამაღვიძეს, ლოგინში მწოლარეს შემომთავაზეს, წავიდეთ სოფელში. თითო ჭიქა არაყი დავლიოთო.

ზაქრო გოგოძეს, პირველი ოცეულის მეთაურს, მარტოხელა ქალი ჰყავდა სოფლის შესასვლელ გზასთან, განაპირა ხატაში.

ზაქრო თხუთმეტი წლით ჩემზე უფროსი იყო. თეთრი პირისახე ნაადრევად დანაოჭებოდა, მაღალი, წელში გამართული დადიოდა მუდამ. თავიდანვე კარგად განეწყო ჩემდამი იმიტომაც, რომ თანსოფლელები აღმოვჩნდით, მამაჩემს იცნობდა თურმე, ახსოვდა კარგად, ზოგი რამ მოიგონა კიდეც მის შესახებ. სოფლის ბევრ ნაცნობ-ნათესავსაც ვიგონებდით ხოლმე. კადრის ოფიცერი ყოფილა და სოფლიდან კარგა ხანია წამოსულია. ცოლ-შვილი ჰყოლია სოფელში, ხშირად იგონებდა მათ. ჩვეულებად ჰქონდა, ისადილებდა, დანაყრდებოდა, წამოდგებოდა და ამოიოხრებდა მაძღარი, ვაიმე, ჩემო ცოლ-შვილოო. კაკო ურუშაძე მაშინვე მიაძახებდა, შე კაცო, როცა მშიერი ხარ, მაშინ არ გახსოვს ცოლ-შვილი, გაძღები და მერე გაგახსენდებაო. ჰოდა, მეც მაგის გამო გამახსენდება ხოლმე ის საცოდავები, მე აქ მუცელს კი ამოვიყორავ, მაგრამ ისინი იქნება მშივრები არიან, გულზე ცეცხლი მედებაო. მერე და მერე იუმორიც მოიშველიეს ვასომ და კაკომ, ნასადილევს ზაქროს დაასწრებდნენ, ვაიმე, ჩემო ცოლ-შვილოო!..

იმერული მიმოხვრით ლაპარაკობდა ზაქრო და შეუტევდა ხოლმე მეგობრებს,, დეიკარგეთ იქით, თქვე გურულო მაიმუნებოო!

წამადგნენ ნაშუაღამევს თავს ვასო და ზაქრო და სოფელში მეპატიჟებიან. გვიანია, ბიჭებო, რა დროს სოფელია-მეთქი, მერედა, სამივენი ერთად რო წავიდეთ, ასეული ვის [illegible]-მეთქი? აიჩემა ზაქრომ, [illegible] ერთი საათით, ჩემ ქალს „სამაგონი“ აქვს, ორიოდე ჭიქა ვხუხოთ და დავბრუნდეთო.

არ მომეშვნენ, ამიყოლიეს, გადავიკიდეთ მხარზე თოფები და წავედით.

ზაქროს ქალთან, სოფლის შესასვლელთან განმარტოებით მდგარ ხატაში თვითნახადი მყრალი არაყი დავლიეთ, გვარიანად შევზარხოშდით, მერე მე და ვასო ჩვენს ქალებთან, ნადიასთან და ვალიასთან წავედით. გაეხარდათ ქალებს.

ორიოდე საათის შემდეგ სოფლის ორღობეში ცხენების თქარათქური გაისმა. ჩვენს ხატასთანაც ჩაიქროლეს. ვალია წამოდგა და სარკმელთან მივიდა. უცებ ნადია შემოიჭრა ოთახში, მას შემოჰყვა ვასო, შეიძლება პარტიზანებიაო, თქვა ნადიამ, თქვენ ჭერზე ადით, მე გარეთ მივიხედ-მოვიხედავ, ალბათ მალე წავლენო.

მე და ვასო თოფებიანად კიბით ავედით ჭერზე, იქ გაშლილ თივაზე მოვკალათდით. მალე ვიღაც ამოძვრა. ცოტა ხნის შემდეგ ნადიაც ამოვიდა, იმათთან არიანო,, თქვა იმ ხატაზე, საცა ზაქრო დავტოვეთ.

წავიდეთ, ეზოს უკანა მხრიდან ტყისკენ გავიქცეთ-მეთქი, ვუთხარი ვასოს, მაგრამ ნადიამ აიჩემა, არ გაგიშვებთ, შეიძლება აქ ახლოს გუშაგი ყავთ დაყენებული, გესვრიანო, დაგვიყვავა, ნუ გეშინიათ, მალე წავლენო.

უცებ კარზე ბრახუნი გაისმა.

მე და ვასომ თოფები მოვიმარჯვეთ.

განმეორდა დაჟინებული ბრახუნი.

ნადიამ თქვა ჩავალ, ვნახავ, ჩვენი ბიჭები იქნებიან, მოველაპარაკებიო.

ჩავიდა ნადია, გამოაღო კარი და შემოსულებმა ნადიას მიაძახეს:

„სად არიანო?“

„ვინაო?“ — კითხვითვე უპასუხა ნადიამ.

„ისინიო?“

„ვინ ისინიო?“

„თქვენი კაცებიო?“

ოთახში შევიდნენ და იქიდან ნალაპარაკევს ველარ ვარჩევდით.

კარგა ხნის შემდეგ ნადია ამოვიდა ჭერზე, ჩვენი ბიჭები არიან, ნუ გეშინიათ. ჩამოდით, თქვენთან ლაპარაკი უნდათო. სხვა გზა არ არიო, თქვა ვასომ, ჩავალ, ვნახოთ, რა უნდათო. ის და ვალია ჩაჰყვნენ ნადიას.

მახეში რო გავებით, ეს ცხადი იყო, მარტო რო დავრჩი ჭერზე, თავის გამოხსნაზე ფიქრში აღარ მესმოდა ქვემოთ, ოთახში რაზე ლაპარაკობდნენ. თავის გამოხსნის გზას კი ველარ ვხედავდი. თოფი რო გავისროლო ჯერ ერთი, რო ამათ ვერა ვხედავ, მერედა, მე ერთმა თოფის გასროლით რა უნდა ვქნა, ზაქრო და ვასო უკვე იმათთან არიან, ვასომ თავისი თოფიც კი აქ, ჩემთან დატოვა?! თოფის გასროლამ შეიძლება ერთადერთი სარგებლობა მოგვიტანოს, გარნიზონში რო გაიგონებენ, იქნება გამოეშურონ საშველად, მაგრამ გაიგონებენ? რომც გაიგონონ, სანამ აქამდე მოაღწევენ, ესენი მოახერხებენ ჩემს განადგურებას, გაიყოლიებენ ზაქროსა და ვასოს და აქედან გადაიკარგებიან. გარდა ამისა, ნადიასა და ვალიასაც არ დაადგებათ კარგი დღე, შეიძლება ცეცხლიც გაუჩინონ ხატას?!

ასე რო ავწონ-დავწონე შექმნილი ვითარება, თოფი კი მოვიმარჯვე, თუ ვინმემ თავი ამოყო ჭერზე, თავს დავიცავ-მეთქი, და გავიტრუნე, ქვემოდან ყაყანი მესმოდა, სიტყვებს ვერ ვარჩევდი.

კარგა ხანს ვიყავი ასე.

მერე ნადიამ ამომძახა, ჩამოდიო, შენთან ლაპარაკი უნდათო.

მე ხმა არ გავიღე.

მერე ვასო ამოვიდა ჭერზე, სხვა გზა აღარ არის, უნდა ჩავიდეთ, ამბობენ, მოლაპარაკება გვინდაო. ნადიამაც ამოყო თავი ჭერზე ამოსასვლელიდან და შემევედრა, ნუ გეშინიათ, ჩვენი ბიჭებია, ნუ გეშინიათო.

მართლაცდა, სხვა გზა არა ჩანდა, გაბრძოლება ამ ვითარებაში მეტად უაზროდ მეჩვენა, კარგი დღე რო არ დაგვადგებოდა, ამაში ეჭვი არ მეპარებოდა, მაგრამ ხავსივით მაინც მოვეჭიდე ნადიას ნათქვამს, ჩვენი ბიჭებიაო და ჩათრევას ჩაყოლა ვარჩიე.

გერმანულ მუნდირში გამოწყობილი, მხარზე ავტომატგადაკიდებული, ხელში პისტოლეტით შუა ოთახში იდგა ხმელი, ლაწვებზე ნაოჭებდაყრილი კაცი, იქვე ახლოს ნაცნობი ყმაწვილი დავლანდე, ამ სოფელში მინახავს, ხელში თვითნაკეთი, ლულაგადაჭრილი თოფით, საცეკვაოდ თავმოყრილ ახალგაზრდებში შემხვედრია, ერთხელ ერთ სუფრასთანაც გადავეყარე.

გერმანულ მუნდირიანი შემომაჩერდა, მერე გააბა ჩხავილი, შე ასეთო, შე ისეთოო, მოღალატეო, მე შენ გიჩვენებ სეირსაო. მივარდა ნადია, პეტრე, შენი ჭირიმე, გეთაყვა, თუ შეიძლება თავი შეიკავე, რის მოღალატე, რა მოღალატე, კარგი ბიჭიაო, მოჰყვა და მოჰყვა ჩემს ქებას. მე იქვე ტახტზე ჩამოვჯექი, გაფითრებული ვასო პისტოლეტიანს გვერდით დაუდგა, ამხანაგო კაპიტანო, — უკვე გაუგია ვასოს, კაპიტანი რო ყოფილა, — ჩვენ მოღალატეები არა ვართ, მდგომარეობამ გვაიძულა, ამგვარ ყოფაში რო აღმოვჩნდით, აჰა, აქა ვართ და გამოვისყიდითო.

შეუდგა თავისებურ მიხრა-მოხრას ვასო, ხედავს, რომ სხვა გზა არ არის, ამათ ხელში ვართ, ველარ გაექცევი, შიშნაჭამია, ეტყობა, გაფითრებულა კიდეცა, როგორმე უნდა შეანელო ამათი რისხვა. ამის ოსტატია ვასო, მოლაპარაკების, გასაუბრების, მიახლოებისა და მოახლოების, ზუსტად ამაზეა ნათქვამი, ამ ბრგე და ახოვან კაცზე, გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი. ტკბილად მოუბარი ენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს ვასოს, ქვას გაადნობს, რკინას მოღუნავს ტკბილმოუბარი და ტკბილმოქართულე. თუმცა ახლა ჩვენს ამ დამპყრობლებთან რუსულად ლაპარაკობს, ქართულ გულში ამოვლებული რუსული სიტყვებიც სხვაგვარად ჟღერენ, ვასოს მიერ ნათქვამი. სხვას ასე არ გამოუვა, მე ვერ ვახერხებ ამგვარად მიდგომ-მოდგომას, ტკბილად მოუბრობის ნიჭი არც მე მაკლია, მაგრამ ვასოსნაირად მაინც ვერ ვახერხებ გველის ხვრელიდან გამოყვანას.

არ ვიცი, ვასოს სიტყვებმა დააშოშმინეს კაპიტანი თუ თავად დაცხრა, უცებ ტახტზე გვერდით მომიჯდა, პისტოლეტი წელზე ქამრით ჩამოკიდებულ ბუდეში ჩადო და ხმა როგორც კი ამოიღო, არყის სუნი ისე ამოყვა პირიდან, კინაღამ სუნთქვა შემიჩერდა, გვარიანად არაყნაყლაპი ყოფილა ეგაც. მე კი, ამათგან დაზაფრულს, მალე გამომინელდა თვითნახადის ხურვება და კაპიტნის პირიდან ამოვარდნილი მყრალი სუნი მძაფრად და არასასიამოვნოდ ამიტომაც ვიგრძენი.

„ლეიტენანტოო! — მომმართა მან.

„გისმენთ-მეთქი“.

„შეძლებ ახლა, აქედან რო წავიდეთ, გარნიზონს აიღებო?!“ — მომახალა, ყველაფერს ველოდი ამისგან და ამას ნამდვილად არა.

„როგორ-მეთქი?!“ — გავიოცე მე.

„შენი ასეული რო მიუსიო, გერმანელებს ვერ დაატყვევებო?!“

„ამას შემზადება უნდა-მეთქი“.

„შეუმჩნევლად წამოშლი ასეულს, მიძინებული გერმანელების დატყვევებას ასეული ვერ შეძლებსო?!“

„ასე უცებ გარნიზონის დაპყრობა ვერ მოხერხდება. ამის გაგება თქვენ, კაპიტანო, არ უნდა გაგიჭირდეთ-მეთქი“.

ცოტა ხანს ორთავე დავდუმდით.

რაკი ასეთი საუბარი დამიწყო, დაძაბულ წუთში მეც მივდიე ამ აზრს, უცებ სხვა გეგმამ გამიელვა თავში.

„მე სხვა რამეს შემოგთავაზებთ-მეთქი“, — მივმართე და ყურები დაცქვიტა.

„რასაო?!“

„ამალამ ეს არ მოხერხდება. გაქცევის სურვილი ჩვენცა გვქონდა, მაგრამ ამ უცხო ტყე-ღრეში ორასი კაცი სად უნდა გადამემალა? თქვენ დღემდე არა ჩანდით, ახლა რაკილა შევხვდით, მოდით, მოვილაპარაკოთ-მეთქი“.

„რა მოვილაპარაკოთო?“

„მოგვეცით დრო ერთი კვირა მაინც, ახლა ჩვენ გაგვიშვით, ჩვენ-ჩვენ სამხედრო ბილეთებს დაგიტოვებთ, შევამზადებთ ასეულს, ერთი კვირის შემდეგ თქვენც მოგვიახლოვდით აქვე სადმე და პირობას გაძლევთ, ასეულსა და გარნიზონს მთლიანად ჩაგაბარებთ-მეთქი“.

„მერე მე რა ვიცი, ამას გააკეთებ თუ არაო?“

„თუ გავაკეთებ, თქვენთვისაც კარგი იქნება და ჩვენთვისაც, თუ არადა, რას კარგავთ? ბევრს არაფერს, ჩვენ სამი კაცი გინდ გყოლივართ და გინდ არა, სამი თოფის მეტი არა გაგვაჩნია რა. თუ პირობა შევასრულეთ, ბევრი არა დაგიშავდებათ რა, თუ არ გავტეხეთ, გარნიზონი თქვენს ხელთ აღმოჩნდება, იქ კი ურიცხვი იარაღი და პროდუქტია-მეთქი“.

ვასო გალურსული მისმენდა, ალბათ ფიქრობდა, ეს რა ამოუდის პირიდან ამ კაცსაო?! მერე უცებ ისიც მიაწვა კაპიტანს თავისი თაფლწასმული სიტყვებით:

„ენდეთ ლეიტენანტს, გვენდეთ, კაპიტანო, ერთი კვირა გვეყოფა ამის მოსამზადებლადო“.

ახლაც ვერ გეტყვით, ახლა, ორმოცდახუთი წლის შემდეგ, როცა ამ წიგნს ვწერ, გულწრფელად შევთავაზე კაპიტანს ეს გეგმა თუ ფანდი იყო თავის დასახსნელად. არ ვიცი, რას მოვიმოქმედებდი შემდეგ, რომ დამთანხმებოდა და გარნიზონში გავეშვი. ერთი კია, საბჭოთა არმიები მედგრად მოიწევდნენ წინ, გერმანელების მარცხი აშკარა იყო, თუმცა ძნელად ვეგუებოდი ამ აზრს,

თუ ჩვენამდეც მოაღწევდნენ და ხელთ გვიგდებდნენ, რაც მოხდებოდა, ეს ნათლად მქონდა წარმოდგენილი. მეორე მხრით, ამ ვითარების წარმოდგენისას, ერთგვარად საიმედოდ გამოიყურებოდა კაპიტნის წინადადება, რაკი საუბარზე წავიდა, პისტოლეტი ბუდეში ჩადო, აღარ მიქნევდა და სიტყვები მოიშველია ჩემთან სალაპარაკოდ, ელვისებურად გავიცნობიერე მის მიერ შემოთავაზებული გეგმა, თუ ასეულს გადმოვიყვანდი მათ მხარეს, თუ გარნიზონის მდიდარ განძეულობას ჩავაბარებდი და გერმანელებს დავატყვევებდი, იქნებ ამით შესაძლებელი გახდებოდა ჩვენი შენდობა, გამოსყიდული იქნებოდა ის, რასაც დანაშაულად გვითვლიდნენ?!

არ ვიცი-მეთქი, ახლაც ვერ ვიტყვი, რას მოვიმოქმედებდი გარნიზონში მიბრუნებისას.

კაპიტანმა გვისმინა მეც და ვასოსაც. მერე გაიარ-გამოიარა. მერე ისევ გვერდით მომიჯდა და მითხრა:

„კარგი, აბა, თავი დავანებოთ ასეულს. კომბაინების დასაცავად რომ ათეული გყავთ საგუშაგოზე, იმ ათეულის წამოყვანა თუ შეგიძლიათ?“

რაკი აღარ გაგვიშვა, აღარ გვენდო, სხვა რა გზა იყო, როგორც კი მივუგე, ეგ კი შეიძლება-მეთქი, მაშინვე წამოიძახა, აბა, წავიდეთ, თორემ შემოგვათენდაო. ნადია ისევ კაპიტანს მივარდა, პეტრე, ამ ბიჭებს მოუარეო. ვალია ჩემთან მოვიდა, კვლავ ჩამომიჯდა ტახტზე და ჩამჩურჩულა ღიმილით, აკი ვერ დამიჭერენო? რატომ დაიტრაბახეო? თითქოს ხუმრობით მითხრა ეს, მაგრამ საყვარელი გოგონას ამ ხუმრობამაც ოდნავ გაკენწლა ჩემი თავმოყვარეობა, არ დამიკვეხნია-მეთქი, ვუპასუხე და წამოდგომისას კვლავ წაიჩურჩულა ვალიამ, ხედავ ამას, გამომივიდა გმირიო!

ვასომ თოფები ჩამოიტანა სხვენიდან, კაპიტანს რო ახლდა, იმ ყმაწვილმა მხარზე გადაიკიდა ორივე თოფი, გავედით ნადიას ეზოდან და შევიარეთ ზაქროს ქალის ხატაში. ზაქრო ტახტზე წამოწოლილი დაგვხვდა, წამოდგა, ვასოსა და მე გვითხრა, ასე ჩემო ბიჭებო, ხო ხედავთ, როგორ მოიწევენ წინ ჩვენებიო? — ჩვენებში საბჭოთა არმია იგულისხმა და დაუმატა, — მალე აქაც მოვლენო.

გულში გამიელვა, ამან ხო არ მოგვიწყო, აბა, აგრე დაჟინებით რატომ აგვყარა შუაღამისას და სოფელში წამოგვიყვანა?!

ზაქრო და ერთი პარტიზანი იქ დარჩნენ. მე და ვასო, კაპიტანი და ორი მისი თანმხლები ყმაწვილი ცხენებზე შევსხედით და ჩორთით გავუყევით ტყის ბილიკს.

გარნიზონთან ახლოს ჩავლისას გავიფიქრე, რა დღეში ჩაცვივდებიან ჩემი ასეულის ჯარისკაცები ხვალ, სულ ჩავჩიჩინებდი მათ, ნუ დავიფანტებით, ერთად ვიყვეთ, ერთად ყოფნით უფრო გადავრჩებით-მეთქი. ხვალ, როცა ამ ამბავს შეიტყობენ, რას იტყვიან?

შემოგვათენდა, როცა იმ სოფელში მივედით, საცა კოლია ცირამუას ათეული საგუშაგოზე იდგა. სოფლის ორღობეში, მოშორებით შევჩერდით, კაპიტანმა გილზებგამოცლილი ჩემი თოფი მომცა, ვასო და ორი პარტიზანი იქვე დატოვა, ჩვენ ფეხით გავეშურეთ საგუშაგოსაკენ.

ორმოცდაათიოდე ნაბიჯი ისე გავიარეთ, სხვა რამ აზრად არ მომსვლია, კოლია ცირამუა იმას გააკეთებდა, რასაც ვეტყოდი, ზაქრო სოფელში გველოდა, ვასო, აგერ, აქ იყო და ცირამუაც თავისი ათეულით თან გამომყვებოდა, მაგრამ ორღობე ჩათავდა თუ არა, დავინახე სასოფლო-სამეურნეო მანქანებით სავსე შემოღობილი ეზო და გრძელ თავლასთან მდგარი ჩვენი ბიჭები. დამინახეს და ეზოში მიმოფანტულები ცირამუასთან შეჯგუფდნენ.

უცებ თვალწინ დამიდგა გარნიზონში დარჩენილი ჩემი ასეულის ორასი კაცი, მეტწილად ჩემზე უფროსები, გლეხები, უბრალო ადამიანები, ბევრი

მათგანი მამისტოლანი, ისიც გამახსენდა, ჩვენს თავს დამტყდარ უბედურებაში როგორ იყვნენ ჩემზე მონდობილნი.

ელვისებურად მოხდა ყველაფერი ჩემ თავში. არავითარ პოლიტიკურ მრწამსს არ უფეთქნია, კომუნისტებიო, საბჭოთა კავშირიო, რუსეთიო. ამათი განსჯით გათანგული არა ვყოფილვარ, არც ამ წუთს წამკიდებია ამა განსჯის ავკარგიანობა.

ორასი კაცის უკუღმართი ბედი დამიდგა თვალწინ, ცირამუას ბრიგადის ჯარისკაცები ერთად შეჯგუფული რომ დავინახე, ისინიც მაშინვე, იქვე წამოიმართნენ, თითქოს მკლავები გამოიშვირეს ჩემსკენ და იბღავლეს, გვიშველეო.

ამ მოლანდებით მივუახლოვდით მათ, კაპიტანი გვერდით მომყვება, იმასაც გერმანული მუნდირი ეცვა.

მივედი მათთან თუ არა, გამარჯობათ-მეთქი შევძახე ქართულად და ქართულადვე მივაყოლე, კოლია, ჩაავლეთ ხელი ამას და გაკოჭეთ-მეთქი. კოლია და ბიჭები არც დაფიქრებულან, მიცვივდნენ, მკლავებზე წააფრინდნენ, მე მივვარდი, ავტომატი და პისტოლეტი ავართვი.

აბა, ბიჭებო-მეთქი, მივმართე მათ, ორმა კაცმა ეს გაკოჭეთ და ხელიდან არ გაგისხლტეთ-მეთქი, ვასოა გზაზე დარჩენილი ორ ცხენოსან პარტიზანთან, კოლია შენ ამ მხრიდან დაუარე, მე მეორე მხრიდან შემოვუვლი და უჩუმრად იმათ მივაცხრეთ-მეთქი. კოლია, მეტყვიამფრქვევე და რამდენიმე კაცი მითითებულ მხრისკენ გაემართნენ, მე რამდენიმე ჯარისკაცი გამომყვა და ეზო-ეზო, სახლების შემოვლით გავეშურე. მივუახლოვდით კიდეც მათ, დავინახე ვასო და ცხენზე ამხედრებული ორი პარტიზანი, ცოტაღა დარჩა, ზურგიდან შემოგვევლო, მაგრამ უცებ აკაკანდა ტყვიამფრქვევი, ცხენებზე მჯდარი პარტიზანები დაფრთხნენ, მყისვე შეაბრუნეს ცხენები და ორღობეში მოკურცხლეს.

ვასო-მეთქი შევყვირე, აქეთ, ეზოში-მეთქი და ვასოც გაფითრებული შემოიჭრა იმ ეზოში, რომლის სახლშიც ვიყავით ჩვენ, მოვარდა ჩემთან, პისტოლეტი მივეცი და გავიჭერით ორღობეში, მაგრამ ორი ცხენიღა დაგვხვდა ღობეზე მიბმული, ესენი ის ცხენები იყვნენ, რომლებზეც მე და კაპიტანი ვისხედით. გადმოცვივდნენ გზაზე მეორე მხრიდან გარშემოვლილი კოლია და მისი მეგობრები.

ეს რა ქენით-მეთქი, ვუსაყვედურე კოლიას, რატომ გაისროლეთ ტყვიამფრქვევი, ხო გითხარით, ჩემ ნიშანს დაელოდეთ-მეთქი?!

მეტყვიამფრქვევეს დაუნახია თუ არა ცხენებზე ამხედრებული პარტიზანები, აღარც ვასო გახსენებია, აღარც ჩემი გაფრთხილება და მიუშვერია ტყვიამფრქვევი მათკენ.

ორი ცხენი დაგვრჩა, დავბრუნდით საგუშაგოზე.

სოფელში დროგი ვიშოვეთ, დროგზე დავსვით კაპიტანი, ქამარი შეხსენით-მეთქი, შეხსნეს ქამარი და უცებ თვალი მოვკარი, მეორე შიგნითა მხარეზე ქამარს მელნით ქართული ასოები ეწერა. დავხედე, ჩემი ჯარისკაცის სახელი და გვარი ამოვიკითხე. ეს ის ჯარისკაცია, რომელიც ერთ დღეს თავის მეგობართან ერთად სოფლიდან საცვლებამარა შემობრუნდა, ესეიგი, ამას გაუძარცვავს ისინი. მიაცხრნენ ბიჭები, მაგრამ შევაჩერე, ხელი არ ახლოთ, მაგას კომენდატურას ჩავაბარებ და ტანსაცმელს იქ გავხდი-მეთქი.

სამი ჯარისკაცი გავიყოლიეთ მე და ვასომ, დანარჩენი საგუშაგოზე დავტოვეთ, კოლიას დავუბარე, მივალთ გარნიზონში და მაშინვე ჩამოგაკითხავთ-მეთქი, საშიში იყო ათეულის მარტო მიტოვება, რაც მოხდა, იმის შემდეგ, მაგრამ მანქანა-იარაღების უპატრონოდ მიტოვებაც არ შეიძლებოდა.

რაიონულ ცენტრში, იჩნიაში კაპიტანი სამხედრო კომენდატურას ჩავაბარეთ, იქვე სხვა ტანსაცმელი გამო-

უნახეს და კაპიტანს ჩვენი ჯარისკაცის მუნდირი გავხადეთ.ჩვენი თანმხლები სამი ჯარისკაცი იმავე დროგით დავაბრუნეთ ცირამუასთან საგუშაგოზე.

მე და ვასო ცხენებზე ამხედრებულები ნაშუადღევს გარნიზონში დავბრუნდით.

კიდევ ერთხელ გავიარე ბეწვის ხიდზე.

## დაბრუნება

საწყობების წინ პატარა ველობზე შეექუჩებინათ მთელი ასეული და მიწაზე მსხდომთ, ერთმანეთზე მიხურხულებულთ გარშემო ავტომატიანი გერმანელები შემორტყმოდნენ. იარაღი ჩამოურთმევიათ, რაღა თქმა უნდა, და მაშინვე, იმწუთსვე, როგორც კი შეთენებულა და ჩვენ გარნიზონში არ აღმოვჩნდით, არც რაიმე ამბავი ისმოდა ჩვენს შესახებ, გამოურეკიათ ყაზარმიდან მთელი ასეული და ამგვარ დღეში დაგვხვდნენ, როცა მე და ვასო გარნიზონის ალაყაფის კარს გავცდით, ცხენებიდან ჩამოვქვეითდით და მიწაზე ჩამჯდარ ასეულს თავს წავადექით.

ძნელი წარმოსადგენიაო, რო ამბობენ ისეთ შემთხვევებზე, რაც მართლა ძნელი წარმოსადგენია, თუ თავად არ შესწრებიხარ, მეც უნდა გავიმეორო ამ შემთხვევისა გამო, სხვაგვარად ვერ გამოვხატავ ამ წიგნის მკითხველის დასარწმუნებლად იმ სურათს, რაც მაშინ ვიხილე საკუთარი თვალით.

დაგვინახეს თუ არა, მაშინვე ერთბაშად წამოდგა მთელი ასეული და ორასმა კაცმა, თითქმის ერთხმად დაიძახეს: ბატონი ლეიტენანტიო!

„ბატონი ვალოდიაო!" — (ასე მეძახდნენ ზოგი ასაკით უფროსები).

„ვასო, ვასოო!"

„ჩვენი ვასოო!"

„მოვიდნენო!"

„გადავრჩითო!"

ეს შეძახილები ერთმანეთში აირია, ხელები გამოიშვირეს და როცა მათთან მივედით, თითქოს შეგვეტაცეს, მოგვეხვივნენ, აგმინდნენ, აწრიალდნენ, თქვენ აგაშენათ ღმერთმაო, ვიცოდით, რო არ მიგვატოვებდითო, არ გაგვწირავდითო, კიდევ კარგი თქვენ გამოჩენამდე არ დაგვხვრიტეს ამ ოხრებმაო, თვალზე ცრემლმორეული ვეხვეოდი, ვეფერებოდი მათ.

ვინ იცის, როგორც კი, აქ შეაქუჩეს ავტომატმოღერებულმა გერმანელებმა, რა არ გაიფიქრეს? ვინ ჩაიხედავდა მათ გულში? ამ უღრან ტყეში რა მოეპრიანებოდათ ჩემზე, ვასოზე და ზაქროზე გულაღრენილ გერმანელებს, ამას ვინ ამოიცნობდა?! ისხდნენ ალბათ ასე, ელოდნენ შავ დღეს და გულში გვთათხავდნენ გვკიცხავდნენ, თავიანთ თავს უშველეს და ჩვენ ამათ ხელში მიგვაგდეს უპატრონოდაო?! არ აიწონება ის ბოღმა, რაც ამათ გულში აზვავდებოდა ამ დილიდან აქამდე, ჩვენ გამოჩენამდე. დავიწყებოდათ გერმანელებს, ესენი რომ გარნიზონს იცავდნენ ყოველდამე ეს რამდენიმე თვეა, ისიც არ გახსენებოდათ, ამ საწყობებთან რამდენი საქმე ჰქონდათ გაკეთებული, დაიწყებდნენ ჯაჯღანსა და წიოკობას და ვინ იცის, ტყვეთა ლაგერებში დააბრუნებდნენ ასევე ამ საცოდავებს თუ შეეზარებოდათ ამ უღრანი ტყიდან ამათი გაყვანა და აქვე სადმე მოუღებდნენ ბოლოა?!

მოვიდნენ ბატალიონის მეთაური მაიორი, მოჰყვებოდნენ მას მთელი შტაბისა და ჩემი ასეულის გერმანელები, ხელი ჩამოგვართვა მაიორმა მე და ვასოს, მომილოცავსო. პარტიზანი რომ დავიჭირე, იმას მილოცავდა, ბატალიონის სახელიც იყო ეს, გააგებინებდა მერე თავის უფროსობას, აი, ამ ტყეში ჩვენ გულხელდაკრეფილი კი არა ვსხედვართ, პარტიზანებსაც ვებრძვითო აქტიურად.

ყველა გერმანელმა ჩამოგვართვა ხელი, შეგვაქეს, მოგვეფერენ, სამხედრო

სალმითა და სმენაზე დგომით გვესალმებოდნენ.

გასცეს ბრძანება, დაიშალენითო და ასეული ნელ-ნელა შელაგდა ყაზარმაში, სულმოთქმულნი, დამშვიდებულნი მიუბრუნდნენ თავიანთ საწოლებს. მაშინვე იარაღიც ჩამოურიგეს ყველას.

სადილობის წინ მაიორმა გერმანელები და ასეული მწყობრში ჩააყენა, მწყობრის წინ საჯაროდ მადლობა გამოგვიცხადა მე და ვასოს და ბრძანება გასცა, სადილობისას ბატალიონის მთელ შემადგენლობას შნაპსით გაუმასპინძლდითო.

მე ქართულად მივმართე ასეულს, ნუ მივატოვებთ ერთმანეთს, ჩვენ დიდმა გასაჭირმა შეგვყარა აქ ერთად და ერთადვე თუ დავძლევთ ყოველგვარ ხიფათს, თორემ ცალცალკე ვერ მოვერევით, ცალცალკე დაფანტვა ახლა მხოლოდ საკუთარ თავზე ზრუნვაა და ეს ამჯერად ლაჩრობასაც უდრის, მე და ვასოს შეგვეძლო ცირამუას ათეული წაგვეყვანა და პარტიზანებს შევვერთებოდით შეიძლება თავის გადასარჩენად დღევანდელ ვითარებაში ეს უფრო სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ ჩვენ ეს არ მოვიმოქმედეთ იმიტომ, რომ თქვენ გაგვახსენდით, ვიცოდით, ჩვენ გამო შეიძლება დიდი უბედურება დაგტეხოდათ თავს, ამიტომ არ მოვიქცევით ასე-მეთქი.

ნასადილევს მე და ვასომ ერთი შეიარაღებული ათეული ვიახლეთ და სოფელში გავედით. ძალიან საშიში იყო ახლა გარნიზონიდან გასვლა, გაგულისებული პარტიზანები შეიძლებოდა ჩასაფრებულიყვნენ და სამაგიეროს გადახდის ჟინით შეპყრობილნი თავს დაგვსხმოდნენ. მე და ვასომ მაინც გავბედეთ სოფელში გასვლა, რადგან ვიცოდით ნადია და ვალია შეშფოთებულნი იქნებოდნენ, ფიქრობდნენ ალბათ, რაკი ჩვენს ხატაში მოხდა ყველაფერი, ვაი, თუ გერმანელებმა პარტიზანების ბუდედ ჩათვალონ და აგვაწიოკონო.

არც ის იყო გამორიცხული, პარტიზანებს ეჭვი შეეტანათ მათში და შურისძიების სურვილით აღგზნებულთ ოჯახი აეფორიაქებიათ, რაკი ჩვენთან იყვნენ დაკავშირებულნი.

დანა პირს არ უხსნიდათ, ისე დაგვხვდნენ ქალები. ხატაში რო შევედით ორივე დედა-შვილი ტახტზე ისხდნენ, დაგვინახეს და წამოიშალნენ, შემოგვეხვივნენ, ვასომ დაუყვავა ნადიას, ნუ გეშინიათო, ოღონდ ისინი ნუ შეგეხებიან და სხვა არავინ შეგაწუხებთო.

მე და ვალია ტახტზე ჩამოვსხედით და გატრუნულ გოგოს ყურში ჩავჩურჩულე, ხო გითხარი, ვერ დამიჭერენ-მეთქი?!

### სიმწრის შვილი

პარტიზანების დარბევა რომ მოგვიხდა, ამის გამო ალბათ ნაწყენიც კი იქნებოდნენ ჩვენი ქალები, შეიძლება სოფლის ყბადასაღებნიც გამხდარიყვნენ, მაგრამ ჩვენ რო გადავრჩით და დავბრუნდით, ეს რო გულწრფელად უხაროდათ, ამაში ეჭვი არ გვეპარებოდა მე და ვასოს. ვასომ მითხრა, წამოსვლისას ნადიამ თქვა, თავს გაუფრთხილდით, ტყე-ტყე სიარულს თავი გაანებეთ ხიფათს არ გადაეყაროთო. ეს ერთგული ქალის გაფრთხილება იყო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მკვეთრად დავუპირისპირდით სოფლის მოსახლეობას, რომელიც, ბუნებრივია, პარტიზანების სულისკვეთებისანი იყვნენ და ამიერიდან ჩვენ მათ აშკარა მტრებად ვესახებოდით, ჩვენი ქალები კი მშობლიური სოფლის გარემოცვას ვერსად გაექცეოდნენ, ნადია მტრებად მაინც არ გვთვლიდა, ალბათ თავისი ოჯახის კაცებად გვთვლიდა და ვერ გვიმეტებდა.

მკვეთრად შეიცვალა გერმანელების დამოკიდებულება ჩვენი ასეულისადმი.

ჩვენი დაბრუნების ერთი კვირის თავზე გარნიზონის მწყობრის წინაშე მაიორმა მე და ვასოს ჯილდოდ მედლები გადმოგვცა. გამოაცხადა, რომ მე ამი-

ერიდან გერმანელი ლეიტენანტის რანგის ოფიცერი ვიქნებოდი და გადმომცა შესაფერისი სამხრეებიც. ასევე ოცეულის მეთაურებს, ეფრეიტორებს.

გერმანელებისა და ლეგიონერების ღირსება და უფლებები თითქმის გათანაბრდა. მართალია, საპირფარეშო მაინც განცალკევებით ჰქონდათ, მაგრამ დამოკიდებულება ასეულის მთელ ქართულ შემადგენლობასთან ისეთივე ჰქონდათ, როგორც ერთმანეთს შორის.

გარნიზონის ახალგაზრდა ექიმს, ობერლოიტენანტს, რომელსაც მანამდე ათვალწუნებული ვყავდი, ახლა სალამს ველარ ვასწრებდი, ღიმილით მომმართავდა ხოლმე, ჰერ, ლეიტენანტოო...

აღმოსავლეთის ფრონტებზე გერმანელებს გაუჭირდათ, ველარ შესძლეს საბჭოთა არმიების შემოტევების შეჩერება. რუსებმა უკრაინის ფრონტი გაარღვიეს, და აიღეს კიევი. გერმანელები უკან იხევდნენ.

ჩვენამდეც მოაღწია ამ შემაშფოთებელმა ამბებმა.

მალე მოვიდა ბრძანება, უნდა აგვეკრა გუდანაბადი და გარნიზონი დაგვეტოვებინა. მაიორმა ბრძანება გასცა, მოვმზადებულიყავით წასასვლელად. დავიწყეთ მუშაობა.

ერთ დღესაც ჩამოაყენეს საბარგო ვაგონების ეშელონი და სანამ შიგ ჩაბარგება სწარმოებდა, მე და ვასო რამდენიმე შეიარაღებულ ჯარისკაცთან ერთად გავეშურეთ სოფელში ნადიასა და ვალიასთან გამოსამშვიდობებლად.

ტყის ბილიკით რო მივისწრაფვოდი ვალიასკენ, მაშინ ვიგრძენი, რა ძვირფასი ყოფილა ის ჩემთვის. გადამავიწყდა, რომ ახლა ძალიან დიდი რისკი იყო ჩემი სოფლად გამოჩენა. პარტიზანები გამწარებულნი მეძებდნენ, შურისძიებით ანთებულნი ცდილობდნენ ჩემს მოხელთებას, ახლა, როცა ასეთი აწეწილი ვითარება შეიქნა, ისინი ხო შეიძლებოდა ამ ახლომახლო მომდგარიყვნენ და დამინახავდნენ თუ არა, გამკოჰავდნენ.

ეროვნული

კაკო ურუშაძე და კოლია ცეროძეც გადამელობნენ, თავი შეიკავე, ნუ მიდიხარო, მაგრამ ვერ შემაჩერეს, მაშინ კოლია თავად გამომყვა ორ ჯარისკაცთან ერთად. გული ვალიასაკენ მეზიდებოდა, სამუდამოდ ვშორდებოდი, მე დასავლეთისაკენ მივყვებოდი გერმანელებს, ის აქ რჩებოდა და მალე საბჭოური არმიები დაეუფლებოდნენ აქაურობას. მერმე სადღა ვნახავდი მე ვალიას?! ოცდაოთხი წლის ყმაწვილს ისეთი ცეცხლი წამკიდა ამ სიფრიფანა გოგონამ, სულ თავისკენ მეზიდებოდა. ახლა ვიგრძენი ეს ძალუმად, როცა განშორების დრო დადგა. აქამდე განშორებაზე არა ვფიქრობდი, რა თქმა უნდა, არც იმაზე მიფიქრია, განშორება გამიჭირდებოდა თუ არა. ეშელონი რო ჩამოდგა და გარნიზონმა შიგ ჩაბარგება დაიწყო, ჩემი ბარგი-ბარხანაც რო ერთად შეიკრა და, ჰა და ჰა, საცაა სამუდამოდ მივატოვებდით ამ არემარეს, მაშინღა მეცა ელდა და, ვალია-მეთქი, გაოცებულმა წამოვიძახე ფიქრში.

და იმავწუთს ვუთხარი ვასოს, სოფელში წავიდეთ-მეთქი.

თვალცრემლიანი შემომხვდა ვალია. ვასომ ნადია გაიყვანა, მარტონი დაგვტოვეს.

„მიდიხარო?!“ — ნუკრის სველი თვალები შემომაშტერა.

„ჰო-მეთქი“.

„მერეო?!“

„რა მერე-მეთქი?“

„მეო?!“

„რა ვქნა-მეთქი?!“

„რა ვიციო“.

„მელოდე-მეთქი“.

„სულ დაგელოდებიო“.

„მეძნელება შენთან განშორება-მეთქი“.

„მეცაო“.

„წითლები რო მოვლენ, თბილისში წადი-მეთქი“.

„რას ამბობო?!“

„მართლა გეუბნები-მეთქი“.

„იქ რა მინდაო?!“

„ჩემ დედასთან და მამასთან მიდი-მეთქი“.

„რატომაო?!“

„იქ დამელოდე-მეთქი“.

გარნიზონიდან წამოსვლისას ქაღალდზე ჩემი თბილისური მისამართი დავწერე. დედაჩემისა და მამაჩემის სახელებითა და გვარებით. იმავე ქაღალდზე ქართულად მივაწერე. დედა და მამა, ბედისწერამ პირველად საცოლედ ეს გოგო ამირჩია. უცხოა, მაგრამ ვიცი, გაიშინაურებთ აქ, მისივე სახლთან ვშორდები, არ ვიცი ჩემი ავი ბედისწერა აწი სად მიმაგდებს და მომაგდებს, შევეცდები ცოცხალი გადავრჩე. იმასაც შევეცდები, როგორმე დაგიბრუნდეთ, თუ თქვენ თავს ამ გოგოსთან ერთად დამახვედრებთ, მაშინ ვიტყვი, ავ ბედისწერას ვაჯობე-თქო, ჩემზე ეს გოგო გიამბობთ-თქო.

ეს ქაღალდი მივეცი ვალიას.

ამ დროს ნადია შემოვარდა ოთახში, ვასოც შემოჰყვა. მოვიდა ჩემთან, მკლავები მომხვია, მკერდზე მიმიკრა და ჩამჩურჩულა:

„ვალია ორსულადააო“.

ეს ისე მოულოდნელი იყო ჩემთვის განშორებით აფორიაქებულმა ვერც მოვისაზრე, რა მეთქვა. ნადია დედაა და ჯერ კიდევ უმწიფარი ერთადერთი ქალიშვილის ამგვარი მდგომარეობის გამო შეშფოთება რო გაისმა მის ხმაში ეს გასაგები იყო ჩემთვის, მე მიდიოდი, გერმანელებს მივყვებოდი და, აბა, უფროსსა და მეტი გამოცდილების ქალს რაღა იმედი ექნებოდა ჩემი დაბრუნებისა?! ხელთ რჩებოდა ორსული ქალიშვილი და მკერდზე კი ვყავდი მიხუტებული, როცა ეს სიტყვები თქვა, მაგრამ ამ სიტყვებთან ერთად მე გარკვევით შემომესმა მისი უთქმელი შეშფოთება, რა მეშველებაო?!“

ამ სტრიქონებს ორმოცდახუთი წლის შემდეგ ვწერ. ამ ამბის შემდეგ ბედისწერამ კვლავ მრავალ ხიფათს შემყარა ომშიაც, გადასახლებაშიაც და მერეც, შინ დაბრუნების შემდეგაც და არსად, უმძიმეს მდგომარეობაშიაც კი ვერ შევძელი ვალიას გადავიწყება. მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ დღემდე გოგონებთან და ქალებთან მრავალი საინტერესო შეხვედრა მქონდა, ვალიას ხატების გაფერმკრთალება ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო.

ეს ჩემთვის პირველი სერიოზული მიახლოვება იყო ქალთან და ისე ღრმად მოიცვა ჩემი ყმაწვილური, უმანკო გრძნობები, რომ ჩემი სულიერი სამყარო უამგრძნობებოთ ახლაც წარმოუდგენელია, ასე მგონია, ეს სამყარო ვალიას ხატების გარეშე დიდად გაღარიბდებოდა. ვერცერთმა ქალმა ვერ ჩააქრო ჩემთვის ამ ხატის შუქი. თუმცა იმავე წელსვე, სულ მალე ვალიასთან განშორების შემდეგ მოულოდნელად გადავეყარე მეორე გოგონას, მარიას, ბელორუსიაში. — ამის შესახებაც შემდეგ მოვითხრობთ, — რომელმაც აგრეთვე ასევე წარუშლელი დაღი დაამჩნია ჩემს სულსა და გულს, მაგრამ ამანაც ვერ ვაანელა ჩემში ვალიას მიერ აღძრული მღელვარება.

ბედისწერამ ყმაწვილობაშივე ასეთი მკაცრი ხვედრი მარგუნა — ჯერ ერთი უცხო ეროვნების გოგონები შემახვედრა და მეორეც, ისე დამაკავშირა მათთან, ათეული წლები გავიდა და ვერ დამიწყვეტია ამ კავშირის ძაფები. ღვთაებრივი გამოდგა ეს კავშირები, მაგრამ ავმა ბედისწერამ არ ინება რომელიმე მათგანით ამეშენებინა ჩემი მომავალი ცხოვრება.

ჩემი ბედისწერის არაადამიანური სიმწარის გზებზე შეხვედრების, იმედების, ილუზიების მრავალი ნანგრევი დარჩა და როცა გულისტკივილით გავხედავ ხოლმე ამ ნანგრევებს, მათში ორი ნათელი სვეტი აიმართება ხოლმე — ვალია და მარია. ეს სვეტები რო არა, აღარც კი გავიხედავდი ამ ნანგრევებისაკენ. ამ სვეტებსა და ნანგრე-

ვებზეა დაშენებული მთელი ჩემი დღევანდელი ცხოვრება.

ეს ყველაფერი მერე და მერე გახდა საგრძნობი და გაცნობიერებული.

იმ წუთს კი, როცა ვალიას ვემშვიდობებოდი, ჩვენი დამოკიდებულება ასე ღრმად არა მქონდა გააზრებული. ეს მაშინ არც შემეძლო, ორსულადაათ, ნადიამ რო მითხრა, ამან გამაოგნა, მაგრამ მთელი სერიოზულობა ამ მდგომარეობისა ვერ წარმოვიდგინე, ვერ მივხვდი, რა მომექმედებინა, რა მეთქვა, შეშფოთებული დედა დამემშვიდებინა თუ ვალია გამემხნევებინა. მივხვდი, ახლა განშორება უმძიმესი იყო, ახლა ვალიას მიტოვება არ შეიძლებოდა, მიჭირდა კიდეც ძალიან, მაგრამ, აბა, რა საშველი უნდა გამომენახა?! პარტიზან კაპიტანთან შეხვედრა რო არა, შეიძლება მართლაც ჩამოვშორებოდი ასეულს და იქ დავრჩენილიყავი, ვალიასთან, მის გვერდით, ჩემთვის უცხო სოფელში, მაგრამ იმ გოგონასთან, ურომლისოდაც, ვიცოდი, ძალიან გამიჭირდებოდა, ახლა ჩემი ამ სოფელში დარჩენა ყოვლად შეუძლებელი იყო.

ვასომ გამოგვიყვანა ყველანი ამ მძიმე მდგომარეობიდან, მოჰკიდა ხელი ნადიას, ჩემს მკერდზე მოკრული თავისკენ მიიზიდა, მხარზე ხელი მოხვია და აუღელვებლად თავისებურად, მაგას რა ჯობიაო, შვილიშვილი შეგეძინება, წითლები აქ დიდხანს ვერ იბოგინებენ, გერმანელები ისეთ იარაღს ამზადებენ, მალე საბჭოეთი მთლად გადაიბუგება, მოვალთ ნადიუშა, ჩვენ ისევ მოვალთო.

მე კი ესღა ამოვღერღე, ჩემს თბილისურ მისამართს ვუტოვებ ვალიას, ჩაიყვანე ჩემ მშობლებთან, კარგები მყვანან, შვილივით შეიხმატკბილებენ ვალიას, დაუტოვე მათ, თუ დატოვება გაგიჭირდება, შენც იქვე დარჩი-მეთქი, იქ დამელოდეთ-მეთქი.

გამოვეთხოვეთ და განშორება ვერ შევძელით, ქალები გარნიზონის ჭიშკრამდე მოგვყვნენ, სოფლის თვალს არ გაერიდნენ, პარტიზანელთა ამწიოკებლებს თვალცრემლიანებმა მოგვყვებოდნენ და ვინ რა იცის, რას იფიქრებდნენ მეზობლები, ისინი რას დაგიდევდნენ, რომ ჩვენ ამ ქალების ძვირფასი კაცები ვიყავით?!

ბოლო მოხვევნისას, ვალიამ ისევ ჩამჩურჩულა:

„მოხვალო?!"

„მოვალ-მეთქი".

„როდისო?"

ოდესმე-მეთქი".

„აბა, დაგელოდებით".

დღემდე მელოდება და დღემდე მივისწრაფვი მისკენ. ორმოცდახუთი წელი გავიდა და მე სულ იმისკენ მივისწრაფვი. იმ დღეს, — გამომშვიდობებისას — ჩვენი ეშელონი გარნიზონიდან გავიდა, საწყობები არ დაგვიცლია, იქვე დავტოვეთ. ორიოდე საათში ერთ საკვანძო სარკინიგზო სადგურში შეგვაჩერეს, მერე მაიორმა გამომიძახა უკან უნდა გაბრუნდე ეშელონით, საწყობები გადმოტვირთე ვაგონებშიო. ალბათ აქ შეაფუცხუნეს უფროსებმა, საწყობები როგორ მიატოვეო და ახლა ასეულს უკანვე აგზავნის. ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე, პარტიზანული ზონაა, ახლა გარნიზონი მათ ექნებათ დაკავებული, სარისკოა იქ შესვლა-მეთქი. არა და არაო, უნდა წახვიდეო.

დავბრუნდით. გარნიზონში მთელი სოფელი შეცვენილიყო, დაეტაცებინათ, რაც კი რამ მოიძიეს, ეშელონის მიახლოებისას გაიფანტნენ ტყეში. პარტიზანები არა ჩანდნენ. რაც შერჩენოდა საწყობებს, სასწრაფოდ ჩავტვირთეთ ვაგონებში.

სანამ ვაგონები იტვირთებოდა, მაცნობეს, გეძახიანო, გარნიზონის ჭიშკართან ნადია და ვალია მოსულიყვნენ, სოფელში გაეგოთ ჩვენი შემობრუნება და გამოქცეულიყვნენ.

„ხო გითხარი, დავბრუნდები-მეთქი?!" — გავეხუმრე ვალიას.

„ეგ რა დაბრუნებააო?!"

ლაპარაკის ძაფი აგვებურდა, მივედ-მოვედებოდით რაღაც-რაღაცეებს, ეშელონი დაიტვირთა, დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, კვლავ გამოვეთხოვეთ ერთმანეთს და კვლავ ჩავჩურჩულე ვალიას:

„მეორედ სამუდამოდ დავბრუნდები, კაი ბიჭი დამახვედრე-მეთქი".

იმ კაი ბიჭზე ფიქრი დღემდე არ მასვენებს. გადავრჩი, ომიდანაც დავბრუნდი, მერე რვა წლის გადასახლებიდანაც ჩამოვაღწიე თბილისამდე. თბილისში არ გამომგზავრებულიყო ვალია, არ დამხვდა ჩემ მშობლებთან, არც არაფერი მოეწერა. მე ნიღაბი ავიფარე, გერმანელებთან ყოფნის ამბავს ვმალავდი, ჩეკისტების ყურს ვერიდებოდი, ამიტომ ველარ მოვიძიე ვალია, გული იმისკენ და შვილისკენ მიმიწევდა. იქ ჩემი ჩასვლა შეუძლებელი იყო, იქ მომხდარი ამბავის გამო შეიძლება სოფლელებს ჩაექოლე კიდეც.

ველარ ავასრულე დანაპირები.

ველარ ვნახე სიმწრის შვილი.

## შკარება

რო გვეგონა, გერმანელების ხიზნობაში ჩვენი ბედისწერის ჩარხი წალმა შემობრუნდა. უეცრად კვლავ უკუღმა იწყო ბრუნვა.

გერმანელები სტალინგრადთან და კავკასიონის მისადგომებთან სასტიკად დამარცხდნენ და ამის შემდეგ ვერა და ვერ შეაჩერეს წითლების შემოტევა. რუსებმა მოსკოვიდანაც იფრინეს გერმანელები და ახლა უკრაინის ფრონტიც გაარღვიეს.

ქართველი ლეგიონერების საქმე გართულდა.

თუ წამოგვეწივნენ და ხელთ გვიგდეს, დახვრეტა არ აგვცდება.

ამჯერად უკრიანას უხიფათოდ გავეცალეთ და ბელორუსიაში ამოგვაყოფინეს თავი.

. პატარა ქალაქ ბორისოვში დაგვაბანაკეს ერთ სამხედრო გარნიზონში.

სამსართულიან ყაზარმაში ჩვენი ბატალიონის პირველი ასეული დაგვხვდა, რომელიც ზასლავადან პირდაპირ აქ გამოემწესებინათ და ტყეში განლაგებულ ტყვია-წამლისა და ჭურვების ვებერთელა საწყობების დაცვაში ჩაეყენებინათ.

მძიმე ვითარებაში შევესწარით ასეულს: ორი დღის წინ საწყობების საგუშაგოებიდან ნაშუაღამევს ერთი ნაწილი ასეულის მეთაურთან ერთად გაპარულა, მავთულხლართები გადაუჭრიათ და ტყისთვის მიუციათ თავი პარტიზანებისაკენ. საწყობებს ეკვროდა უღრანი ტყის მასივი, ოციოდე კილომეტრის იქით პარტიზანული ზონა ყოფილა, საცა გერმანელები ვერც კი ბედავდნენ შესვლას.

ამ ამბავს, რა თქმა უნდა, შეუძრავს გარნიზონი. ვისაც ვერ გაუბედავს და არ გაჰყოლია გაქცეულ ამხანაგებს, იმ დილითვე მოუხსნიათ საგუშაგოებიდან, მიუყვანიათ ყაზარმაში და ასეულის დარჩენილ ნაწილთან ერთად განუიარაღებიათ, ჩაუკეტიათ ყაზარმაში და გარეთ არავის უშვებდნენ.

ამ დროს მივედით ჩვენ.

ბატალიონის მეთაურმა, მაიორმა ნება დამრთო, შევსულიყავი და გავსაუბრებოდი მათ. გვიშველეო, შემომღაღადეს, წასვლა რო გვდომოდა, ჩვენც ხო გავყვებოდით გაქცეულებსო, რაღა გვეშველება, ახლა რომ ისევ ტყვეთა ლაგერში შეგვრეკონო, ანდა ვინ იცის, რას გვიზამენო, შეგვავედრე მაიორს, ნუ დაგვღუპავსო.

მოვახსენე მაიორს ეს ყველაფერი, მეც დავუკარი კვერი, ამათ რა დააშავეს, ხო არ გაქცეულან მე ვუდგები მაგათ თავდებად, მე მენდეთ-მეთქი.

მაიორმა შეისმინა ჩემი თხოვნა, ასეული არ დაშალა, ოღონდ ორივე ასეულის მეთაურობა მე დამაკისრა.

საღამოს მოედანზე დავაწყვე ორივე ასეული, მივმართე მათ სიტყვით, ნუ

დავიშლებით, ნუ მივატოვებთ ერთმანეთს, საბჭოეთი ჩვენ აღარ დაგვინდობს, რაც არ უნდა მოვიმოქმედოთ ახლა, რაკი ამ გზას დავადექით, მივყვეთ ბოლომდი. ღმერთი მოწყალეა, ოღონდ ცოცხლები დავრჩეთ და არ გაგვწირავს, ისევ და ისევ ერთად ყოფნა ჯობია-მეთქი.

შევტოპე, სიტყვებსა და გულისნადებს მივენდე, იმდენად ემოციური ნათქვამი გამომივიდა, როგორც კი დავამთავრე სიტყვა, ყველამ ერთბაშად ამოიძახა, ერთად, ერთად ვიყოთო.

მერე გერმანელებმა მკითხეს, ისეთი რა თქვი, ასე რომ მოჯადოვდნენო?!

იდგა 1943 წლის შემოდგომა.

მალე პარიზიდან ჩვენთან მოავლინეს ლეიტენანტი გურასპედიანი. წარმოშობით სვანი. ტყვედნამყოფი და საფრანგეთში ფორმირებულ ქართულ ლეგიონში მოხვედრილი. ტანსრულს, მაგრამ სპორტული გარეგნობის ჭაბუკს გერმანული მუნდირი პეწიანად მოერგო ტანზე. ორიოდე დღე ერთმანეთის გაცნობას მოვანდომეთ. ჩინებული მოსაუბრე გამოდგა. პირველად შევხვდი ბატალიონში ყოფნისას ჩემი ყაიდის თანატოლს, ეტყობოდა საკმაოდ ნაკითხი იყო, ხელოვნებისა და განსაკუთრებით მუსიკის კარგი მცოდნე და მოყვარული. პირველივე დღიდან ჩვენ გვარიანად გავუგეთ ერთმანეთს, მე ამდენი ხანი ამგვარ თანამოაზრე და თითქმის კოლეგა კაცს ვეძებდი და ერთგვარად სული მოვითქვი მასთან საუბრებით.

გერმანულად და რუსულად ჩემზე უკეთ ლაპარაკობდა და როცა ჰაუპტრის, ჩვენი ასეულის მეთაურს, შევხვდით თავის ოთახში, ის ისე მოიხიბლა მისი საუბრით, კარგა ხანს არ გამოგვიშვა, დაინტერესდა პარიზის ამბებით. გურასპედიანი საუბრისას მეტწილად პოლიტიკურ სფეროში იჭრებოდა და ჰაუპტმანიც ამის მოტრფიალე იყო. აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანელების პრობლემებს ისე თავისუფლად წერენ, ერთიც და მეორეც კრიტიკულ თვალსაზრისსაც კი გამოთქვამდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდგომ ურთიერთობებში [illegible] გურასპედიანი მე ვერ ავიყოლიე ლიტერატურაზე საუბრებში, ერიდებოდა ამგვარ საკითხებს, როგორც შევატყვე, მაინცდამაინც არც იყო ლიტერატურის დიდი მოტრფიალე, მაგრამ პოლიტიკაზე საუბრისას გალაღდებოდა ხოლმე. გერმანელების იმჟამინდელ ვითარებას სკეპტიკურად უყურებდა. მე შინაგანად კი ვგრძნობდი გერმანული არმიების სავალალო მდგომარეობას აღმოსავლეთის ფრონტებზე და აგრეთვე ჰიტლერული რასიული თეორიის უკიდურესობას, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ გურასპედიანის არგუმენტები დამაჯერებლად მიმაჩნდა, მაინც არ ვეთანხმებოდი არ ვიზიარებდი მის უიმედო აზრებს. არ მინდოდა, რომ გერმანული არმიების საბოლოო მარცხის აზრს შევგუებოდი, ეს ხომ ჩვენი ტრაგედია იქნებოდა? ამიტომ მე მაინც ვცდილობდი იმედის ძაფები შემენიშნა და იმას ჩავბღაუჭებოდი, თუმცა ვამჩნევდი, რომ ჩემი საამისო არგუმენტები მაინცდამაინც დამაჯერებლად ვერ გამოიყურებოდა.

ჰაუპტმანი კი ლაღად აჰყვებოდა ხოლმე გურასპედიანს, უფრო მეტად თავად აიყოლებდა განსჯა-გაანალიზებაში და მსჯელობაში ხშირად წამოიძახებდა, ხოლმე, „ჰიტლერ კაპუტ! ჰიტლერ კაპუტო“. ამ საუბრებში ჰაუპტმანი არა ჰგავდა, რასიული თეორიით მოწამლულ გერმანელს. გურასპედიანს ვაფრთხილებდი ხანდახან, ჰაუპტმანთან საუბარში ძალიან ნუ შეტოპავ შენი პოლიტიკით, რა იცი, გერმანელია მაინც მეთქი.

ერთხელ, — ეს მოგვიანებით მოხდა, როცა რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენ პოლონეთის ერთ პროვინციაში მოვხვდით — გურასპედიანმა შემთხვევით გაიცნო ჩვენგან მოშორებით მცხოვრები პოლონეთის ემიგრაციაში მყოფი ორი არისტოკრატული წრის არც ისე

ხანმორეული, კარგად თავშენახული ქალი. ისინი დები იყვნენ, მარტოხელანი და ცხოვრობდნენ თავიანთ მამულში მამისეულ ჩინებულ სახლში. ერთი მათგანი მოინუსხა გურასპედიანით, რომელიც ყოველ შაბათ-კვირას მათთან სტუმრობდა, ღამითაც იქ რჩებოდა. გამოუგზავნიდნენ ხოლმე ეტლს. ეტლით მიბრძანდებოდა და მობრძანდებოდა ეგრე მარტოხელა მანდილოსნებთან გურასპედიანი.

ჰაუპტმანი მაშინვე დათანხმდა, როცა გურასპედიანმა ის ქალბატონებთან მიიპატიჟა. ჰაუპტმანი გალაღებულა უფროს დასთან. ორივე ჩინებულად ლაპარაკობდა გერმანულად და თუ ამასთან ერთად გავითვალისწინებთ იმას, რომ ორივე ასული ჰაუპტმანისა და გურასპედიანის თანამოაზრენი იყვნენ პოლიტიკურ საკითხებში არ იქნება ძნელი მისახვედრი, როგორი ერთსულოვანი საუბრები გაიმართებოდა ხოლმე მათ შორის. თანამოაზრენი იყვნენ ქალებიც და კაცებიც კომუნისტების სიძულვილში და როცა უიმედო პროგნოზებს გამოთქვამდნენ გერმანული არმიების მომავალზე, ამას, რა თქმა უნდა, გულისტკივილით გამოთქვამდნენ.

ორიოდე კვირის შემდეგ ჰაუპტმანი რამდენიმე დღით სადღაც გაემგზავრა, გურასპედიანმა მთხოვა, გამომყევი, მარტო ნუ გამიშვებ, მშვენიერი ქალებია, გაგაცნობ, ჩემი სატრფო, უმცროსი დაა, საწოლ ოთახში გამინაპირებს ხოლმე, უხერხულია, უფროსი და, მარტო რო მივატოვო, აი, ნახე, მოგეწონება, პოეზია უყვარსო.

ფართო მისაღებ ოთახში დაგვხვდნენ დები.

გარეგნულად ისე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, დები კი არა, სხვადასხვა დედმამის შვილები გეგონებოდა. უმცროსი ეკატერინე ვასილიევნა, რომელსაც გურასპედიანი კატიას ეძახდა, შავგვრემანი იყო, შავი თვალწარბი და მხრებზე გადაყრილი თმა აზიური წარმოშობის ქალს უფრო ამსგავსებდა, ვიდრე რუსს, თვალსაჩინო ნაპერწკალივით უკრთოდა და როცა გიცქერდა, თითქოს გწვავდა კიდეც, ფიზიკურად გეხებოდა ეს ნაპერწკალი.

უფროსს ელიზავეტა ვასილიევნა ერქვა. მიმზიდველი ქერა თმიანი, დაზე უფრო მაღალი იყო. ქალიშვილო, ვამბობ, რადგან ორივე და ქალიშვილობის ასაკიდან არც ისე დიდი ხნის, მაგრამ მაინც შესამჩნევად გამოსულნი იყვნენ, უმცროსი ოცდაათისა იქნებოდა, უფროსი ოცდათერთმეტისა. ლიზაო, ასე მიმართავდნენ ელიზავეტას კატია და გურასპედიანი. ლიზას ფართო თვალებს ცისფერი გადაჰკრავდა და როცა გიცქერდა, ისეთი იერი ჰქონდა თითქოს ღრმა ძილის შემდეგ ახლახან გაახილა თვალებიო.

ორსართულიანი სახლის ფასადის მთელ სიგანეს, აივანი გასდევდა, რომელსაც ამშვენებდა ხუთი თეთრი, მრგვალი კოლონა, ერთმანეთთან რიკულებიანი მოაჯირებით შეერთებულნი. აივნიდან პირდაპირ ფართო მისაღებ ოთახში შედიოდი. სწორედ ამ ოთახში დაგვხვდნენ კატია და ლიზა, ისინი გარეთ არ შემოგვხვედრიან, ალბათ გურასპედიანი ისე შინაურად მიაჩნდათ, არ ჩათვალეს ეს საჭიროდ.

მე კი მთლად უცხო არ გახლდით მათთვის, ერთხელ ჩვენ სახლიდან ეტლით ჩამოსვლისას გურასპედიანმა ისინი გამაცნო. როცა ის მათ გვერდით მოკალათდა, კატიამ ისიც კი უთხრა, რატომ თქვენს მეგობარს არ პატიჟობთ ჩვენთანო. გურასპედიანმა მიუგო, მე ხომ არ შევიჭრები თქვენს ფუნქციებშიო? მაშინვე მომაწვდინა ჰაეროვანი სიტყვები კატიამ, ლოიტენანტო, გაგვახარებთ, თუ გვესტუმრებით, იმედია არ გაგვაწბილებთო, მეც, რა თქმა უნდა, მყისვე მივუგე, უეჭველად, უეჭველად ვისარგებლებ თქვენი თავაზიანი მიპატიჟებით-მეთქი.

თავიდან უკარება მეჩვენა ლუიზა, საუბარში უშუალო და გულითად კატიასთან შედარებით ის უფრო თავდაჭე-

რილი იყო და ერთგვარად შებოჭილი არისტოკრატული წრის ქალთა მანერებით. ორივე დამ ჯერ ხელთ იგდეს გურასპედიანი, ისე გაუბეს საუბარი, მე, სავარძელში მჯდარი, თითქოს იქ არც ვყოფილიყავი. გურასპედიანი საკმაოდ გაწვრთნილიყო პარიზის სალონებში მაღალი წრის ქალთა შორის და არ უჭირდა ამათთან ურთიერთობა, მე კი, სანამ ჩემდამი ყურადღებას გაამახვილებდნენ, ვფიქრობდი, ნეტა არ წამოვყოლოდი ჩემ მეგობარს-თქო.

როგორც კი ჩემით დაინტერესდნენ, კატია ღიმილით შემომცინცინებდა, ლიზამ კი ისე გამიბა საუბარი, სიგარეტის ბოლს მიშტერებოდა და ჩემკენ ერთხელაც კი არ გამოუხედავს.

როცა მოსამსახურე ქალმა სუფრა გაშალა და კატიამ მაგიდასთან მიგვიპატიჟა, მე ლიზას პირდაპირ ვიჯექი და ის ჩემსკენ მაშინ გამოაპარებდა თვალს როცა არყიან პატარა ბროლის ჭიქას ბაგეებთან მიიტანდა, პირველივე ჭიქა, თავი გადასწია, და ერთბაშად გამოცალა. ეს რომ დავინახე, შვება ვიგრძენი, გავიფიქრე, არც ისე უკარება იქნება ეს ქალი, როგორც მომეჩვენა.

ჩემი ვარაუდი გამართლდა. იმის შემდეგ, რაც კატიამ და გურასპედიანმა მოიბოდიშეს, სუფრას გაეცალნენ და დაქანებულ ვიწრო კიბით მეორე სართულზე გაუჩინარდნენ, ლიზამ ჩემთან საუბარი უფრო გააცხოველა.

მამა მეფის არმიის პოლკოვნიკი ყოფილა. ოქტომბრის რევოლუციის პირველივე დღეებში ოჯახითურთ მიუტოვებია პეტერბურგი და პოლონეთის ამ პატარა პროვინციაში შეხიზნულა, მცირეოდენი მამული შეუძენია და მას მერე აქაურობას აღარ გაცლია. პოლკოვნიკი და მისი მეუღლე ომის წინა წელს გარდაცვლილან და მარტოხელანი ასე შემორჩენიან კატია და ლიზა მამისეულ სახლკარს უცხოეთში.

მერე უცებ საუბარი პოეზიაზე გადაიტანა. არაყი ისევ თავგადაწეულმა გადაჰკრა, ჭიქა მაგიდაზე დადო და ჩუმად თქვა:

„მე ბავშვი წამომიყვანეს რუსეთიდან, აქ გავიზარდე და არასოდეს არ მინახავს სამშობლოს ცა ღამით. ლერმონტოვის ეს სტრიქონი რომ წავიკითხე, იმავე ღამით გამოვედი გარეთ და შუაღამისას მოკრიალებულ ცაზე მოკაშკაშე ვარსკვლავებს მივაყურადე. არ საუბრობდნენ პოლონეთის ცაზე ვარსკვლავები. ვიფიქრე, ალბათ, იქ, მშობლიურ ცაზე ესაუბრებიან ერთმანეთს ვარსკვლავები, ლერმონტოვმა იქ გაიგონა მათი ჩურჩული. ამ პოეტმა და კიდევ ესენინმა მაგრძნობინეს მშობლიური ცისა და მიწის სურნელი და მიზიდულობის ძალა. ნოსტალგია მახრჩობს ახლა, ერთხელ მაინც მომასმენინა კრიალა ცაზე მოკაშკაშე ვარსკვლავების საუბარი.

თქვენ პოეტი ბრძანებულხართ, გრიშამ გვაცნობათ, — გურასპედიანზე თქვა ლიზამ, — არ გაგიჭირდებათ ლერმონტოვისა და ესენინის ლექსებთან ჩემი ამგვარი სიმპატიების საიდუმლოს ამოხსნათ.

„თქვენ ცაზეც საუბრობენ ვარსკვლავებიო?“ — მკითხა მოულოდნელად.

„დიახ-მეთქი“.

„აქ, პოლონეთის ცაზე რატომ არ საუბრობენო?“

„შეიძლება საუბრობენ-მეთქი“.

„მე რო არ მესმისო?“

„თქვენ ხო პოლონელი არა ხართ-მეთქი“.

„ჰო, ჰო, ალბათ პოლონელებს კი ესმითო.“

„ალბათ-მეთქი“.

„ვკითხე ზოგიერთს და არა, არ მესმისო“

„მშობლიური ცის ვარსკვლავების ხმა რო გაიგონოს, ცოტა პოეტიც უნდა იყოს კაცი-მეთქი“.

„ბრავო, ბრავო, კარგად შენიშნეთო!“ — წამოიძახა ლიზამ, ჭიქა შეავსო ჩემიც და თავისიც, ვარსკვლავების

საუბარს გაუმარჯოსო, თქვა და სულმოუთქმელად გადაჰკრა.

წამოდგა, ოთახის ერთ კუთხეში გრძელ, შავ როიალს მიუჯდა და „მთვარის სონატა“ დაუკრა. კლავიშებზე თავდახრილი თითქოს გამოეთიშა აქაურობის რეალობას და სადღაც, თავის ნალ-ვლიან სამყაროში გადაცურდა. მეც გამიყოლია და მუსიკის ტალღებს აყოლილი ერთგვარი თანაგრძნობით განვიმსჭვალე მისადმი. მივშტერებოდი და აღარ ჰგავდა ის ჩემზე ათიოდე წლით უფროს ქალს, პოეზიისა და მუსიკის შარავანდედით შეიმოსა და, რაღა თქმა უნდა, უკარებას ბუნდოვანი ბურუსიც შემოეცალა.

დაკვრა დაამთავრა, უცბად წამოდგა, ძველებური გრამაფონი მომართა, ტანგოს ჰანგი გაისმა, ჩემსკენ გამოემართა, სხარტად წამოვდექი, ფეხზე მდგარს ცალი ხელი მხარზე დამადო და საცეკვაოდ წამიზიდა.

ორიოდე წრე შემოვხაზეთ როიალთან ახლოს, ვიგრძენი, თანდათან თავის ნებაზე მივყავდი, ნელი ცოცვით ოთახის ღია კარში შემიყოლია და აღმოვჩნდით საწოლ ოთახში. იქვე შემაჩერა, ცალი ხელით ზურგუკან კარი მიხურა, ისე, რომ მე არ მომშორებია და ჩემ მკერდზე აკრულმა ჩამჩურჩულა:

„დავიღალე, მომასვენერ“.

. . . . .

დილით, თვალი რო გავახილე, ლიზა ჰერს მიშტერებოდა, ხელი ჩემ მკერდზე დაედო და გულის ფიცარზე თითებით მსუბუქად ბალანს მითელავდა. შევლიმე და წავჩურჩულე:

„ჰაუპტმანი-მეთქი?“

„რა ჰაუპტმანიო?“ — თვალი არ მოუშორებია ჰერისათვის.

„ჩვენი ჰაუპტმანი-მეთქი?“

„დიდი ჯენტლმენია ეგ თქვენი ჰაუპტმანიო“.

„აბა, როგორი უნდა იყოს-მეთქი?“

„კაცი ცოტა ველურიც უნდა იყო'ო“.

„მე ველური ვარ-მეთქი?“

„მომკლა ჰაუპტმანის პლატონურმა ტირადებმა, თითის წვერებზე ისე მაკოცებდა, ძლივს შეეხებოდა ბაგეებით, თითქოს ცდილობდა, თითები არ ვატკინოო“, — ბანზე ამი[illegible] ლიზამ.

ბიბლიოთეკა

„მე ველური ვარ-მეთქი?“ — გავუმეორე კითხვა.

„აბა, ეგ ბალანი საიდან გაქვსო“ — თქვა და ზედ მკერდზე გადმომემხო.

ეგაც ჩავჩურჩულე:

„თავიდან მეგონა იქნებოდი უკარება-მეთქი“.

გაიოცა:

„რაო?! უკარებაო?!.

## ვიზიტები ბერლინში და ამურის თავგადასავალი

ეს ამბავი მერე მოხდება, რამდენიმე თვის მერე, როცა ჩვენ ბელორუსიასაც დავტოვებთ და პოლონეთში ამოვყოფთ თავს. ჯერ კი ისევ ბორისოვის ამბავს მივუბრუნდეთ, გურასპედიანთან შეხვედრის პირველ და მომდევნო დღეებს.

გაიყო ასეული ორად: ერთი ნაწილი გურასპედიანის მეთაურობით ისევ იმ ტყეში განლაგებულ ტყვია-წამლის საწყობის დასაცავად გაამწესეს, რომლიდანაც ჩვენი აქ ჩამოსვლამდე გაქცევა მოხდა. მაინც გვენდნენ და მოგვანდეს იარაღი, მეტად საპასუხისმგებლო დაცვაში ჩააყენეს ლეგიონერები. შეიძლება ამის მიზეზი უფრო ისიც იყო, რომ გერმანელებს უკვე აღარ ყოფნიდათ ძალები ფრონტებზეც და მეტად ფართო ზურგის არეში სამოქმედოთ, განსაკუთრებით რუსეთის გაუვალ ტყეებსა და ჭაობებში შეხიზნული პარტიზანების მრავალრიცხოვან და გააქტიურებულ რაზმებთან საბრძოლველად, ბელორუსიაში ვეებერთელა ტყის მასივები და მათში მოქცეული დასახლებული ადგილები პარტიზანების მფლობელობაში იყო და გერმანული არმიის დამსჯელი ბატალიონები ახლოსაც ვერ ეკარებოდნენ.

ამ ვითარებაში ეროვნული ლეგიონების ძალთა გამოყენება აუცილებელი შეიქნა და ისინიც გაბედულად იყენებდნენ ამ ძალებს.

ასეულის მეორე ნაწილის მეთაურად მე დავრჩი, ცირამუას ოცეული შიგ ქალაქში განცალკევებულ სამხედრო მნიშვნელობის ოცეულს იცავდა და დღედალამ იქვე იმყოფებოდა, დანარჩენი ნაწილი ყაზარმაში დარჩა და მოთხოვნათა მიხედვით ვმოქმედებდით.

შემოდგომის დღეებს სუსხი შეეპარა. ახლოვდებოდა ზამთარი.

ნოემბერში მოულოდნელად ბატალიონის შტაბში მაიორმა გამომიძახა და მითხრა, ბერლინში უნდა გაგამგზავროთ, საშობაო-საახალწლო საჩუქრებია ჩვენთვის გამოყოფილი და პირადად ჩაიბარე და თან გამოჰყევი, თორემ გზაზე შეიძლება სადმე გაიბნესო, თან გამოგყვებათ ფელდფებელი გოტვალდი, რომელიც ბერლინში ცხოვრობს, შვებულების დღეც დაუდგა და ბარემ მეკვლედაც გამოგადგებათო.

გერმანულ არმიაში საშობაო დღესასწაული განსაკუთრებულად აღინიშნებოდა. დიდი ზეიმი იყო ეს საერთოდ ქვეყანაში და არმიაშიც ამ დღეს უხვად უმასპინძლდებოდნენ სალდათებსა და ოფიცრებს.

საბჭოთა არმიაში შვებულება კი არა, მშობლები რო გაგწყვეტოდა ერთდროულად, დასატირებლად არ გაგიშვებდნენ არც მშვიდობიანობისა და, მით უმეტეს, ომიანობის დროს.

გერმანელი ოფიცერი და ჯარისკაცი წელიწადში ერთხელ ერთი თვით შვებულების უფლებით სარგებლობდა. როცა ეს დღე მოუწევდა, საცა არ უნდა ყოფილიყო, წინა ხაზზე თუ ზურგში, აღმოსავლეთში თუ დასავლეთში, გადაუდებელი საქმიანობაც კი ვერ დააბრკოლებდა, შინ მიემგზავრებოდა.

ფელდფებელი გოტვალდი ჩინებული მეგზური გამოდგა. მინსკში არმიის შტაბში შესაფერისი დოკუმენტები მოგვცეს, აქვე შემოგვიერთდა ერთი აზერბაიჯანელი ლეგიონერი და მატარებლით ბერლინში ჩავედით.

ბერლინი!

იგი მე 1945 წლის მაისშიც ვნახე, მეორედ, საბჭოთა არმიის შიგ შეჭრის შემდეგ, მაშინ ნანგრევებად იყო ქცეული ეს დიდებული ქალაქი, მისი ქუჩები და მაღალი სახლები, ახლა კი 1943 წლის შემოდგომაზე მას ჯერ კიდევ თავისი ძველებური იერი ჰქონდა შენარჩუნებული. მოქალაქეებით გაჭედილ ფართო ქუჩებში სამხედროები მოჭარბებულიყო და ამით თუ ეტყობოდა ომიანობა, თორემ ისე არა ემჩნეოდა რა.

ერთ დღეს გოტვალდი თავის მეუღლესთან ერთად, აზერბაიჯანელი და მე ქუჩაში ტროტუარზე ცქრიალა გოგონებმა შეგვაჩერეს, ალბათ ვეუცხოეთ და ერთ-ერთმა მკითხა, ჰერ ლოიტენანტ, ესპანელი ხომ არა ხართო? ქართველი ვარ-მეთქი, ვუპასუხე, გეორგიენ, გეორგიენო, ერთმანეთს გადახედეს გოგონებმა, შევატყვე, ვერ გაიგეს, მერე მივაშველე, შტალინ, შტალინ-მეთქი, ვთქვი და მაშინვე მიხვდნენ, ატკარცალდნენ, შტალინ, შტალინო, გაიმეორეს, ჩამავლო ხელი იმან, რომელიც პირველი გამომესაუბრა, მთხოვა, აგერ ფოტოსალონია, შენთან სურათი მინდა გადავიღოო და ჩემ პასუხს არც ლაელოდა, შემიტაცა ფოტოსალონში, ყიჟინით შემომყვნენ მეგობრებიც. ფოტოაპარატის წინ დამაყენა, წელზე ხელი შემომხვია, მომეკრა მჭიდროდ, კისკისებდა, გადაგვიღო ფოტოგრაფმა, ახლა უნდა გაკოცოო, დამეწაფა პირდაპირ ტუჩებზე და ფოტოგრაფს ესეც გადაუღია. ფოტოები მაშინვე მოგვცეს, რა თქმა უნდა, ფული მე გადავიხადე. დანკე შოინ, დანკე შოინო, შემომკისკისეს გოგონებმა, ფოტოები ჩაბღუჯეს და ქუჩაში აზავთებულ ხალხს შეერივნენ.

გოტვალდი და მისი ცოლი ღიმილით შემომცქეროდნენ გაოგნებულს, შემომძახა გოტვალდმა, ასეთები არიან ბერლინელი ფროილაინებიო.

გოტვალდმა მე და აზერბაიჯანელი დაგვაბინავა ერთ დიდ სასახლეში, რომლის პირველი სართული იმჟამად გამოყენებული იყო ბერლინში მივლინებაში მყოფი სამხედრო პირების სასტუმროდ.

გოტვალდი და მისი მეუღლე გულღიად გვმასპინძლობდნენ, ხილისანად მიგვყვებ-მოგვყვებოდნენ, გვაჩვენეს

ვილჰელმის სასახლესთან ახლო მდებარე ბერლინის ვეებერთელა კირხენი, ოპერის თეატრი, მუზეუმი, კაფეები.

უპირველეს ყოვლისა გოტვალდმა მოგვაგვარებინა საზობაო სადღესასწაულო საჩუქრების საკითხი, გამოგვიყვეს, დრო დაგვინიშნეს, როდის უნდა ჩაგვებარებინა დატვირთული ვაგონი, მიგვეღო შესაფერისი საბუთები, როდის და რომელ ეშელონს გავყვებოდით.

რამდენიმე დღე დავყავით ბერლინში.

ჩემთვის მაინც მთავარი ის იყო, როგორმე მიმეგნო გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია. მისამართი მქონდა, გოტვალდს არ გასჭირვებია ფრიდრიჰშტრასეზე მისი მიგნება.

როგორ გავიხარე, რედაქციაში ორი ნაცნობი რო შემომხვდა! ლეო ხუროძეს ქუთაისიდან ვიცნობდი, საქალაქო გაზეთის რედაქციაში მუშაობდა, მიხეილ მამულაშვილს — თბილისიდან. ამათთან შეხვედრას აქ არ ველოდი, ესენიც ტყვეობიდან ქართულ ლეგიონებში მოხვედრილან და იქიდან გაზეთში სამუშაოდ გამოუწვევიათ, გამოცდილი ჟურნალისტები იყვნენ, მიხეილ მამულაშვილი რედაქტორის მოადგილედაც შეურჩევიათ.

გამაცნეს რედაქციის სხვა თანამშრომლებიც. მომეხვივნენ, საიდან და საითო, რა ამბავია აღმოსავლეთის ფრონტზეო, იმ დღეს, რაღა თქმა უნდა, აღარსად გამიშვეს, მაამბობინეს ყველაფერი, მე იმათთვის რუსეთის ფრონტის წინა ხაზელი აღმოვჩნდი, ჩამკირკიტებდნენ, რა მოხდა, რა ამბავია, რა მოსდით გერმანელებსაო. მე თავადაც ამის შესახებ ბევრი რამ არ გამეგებოდა, მაგრამ მათთან შედარებით უფრო ახლო ვიყავი აღმოსავლეთის მოვლენებთან და ვუამბე მათ რაც რამ ვიცოდი, განსაკუთრებით ჩვენი ბატალიონის და კერძოდ ჩემი ასეულის თაობაზე.

მათ ბევრი რამ მიამბეს საფრანგეთში მყოფი ქართული ლეგიონების შესახებ. მე ზოგი რამ გაზეთში გამოქვეყნებული წერილებიდან ვიცოდი. მათი ამბავი, ამათ უფრო დაწვრილებით გამაცნეს, მითხრეს, კიდეც, აღმოსავლეთის ფრონტი თქვენთვის საშიშია, წითლებს რო ხელში ჩაუვარდეთ, რა გეშველებათო, დასვი საკითხი, მოითხოვე, რომ თქვენი ბატალიონიც საფრანგეთში ძირითადად ეროვნულ ფორმირებებს შეუერთონო.

მეორე დღეს ლეომ მიმიყვანა კიდეც იმ შტაბში, სადაც ლეგიონების საქმეებს განაგებდნენ, წარმადგინა ერთ ქართველ ემიგრანტთა მაიორთან,— აღარ მახსოვს მისი გვარი და სახელი, — რომელმაც განმარტება დამაწერინა, დაინტერესდა ჩვენი ბატალიონით, რომლის შესახებაც არაფერი იცოდა, თავადაც ჩაიწერა მისი ასავალ-დასავალი, აღმითქვა, დასავლეთში გადაგიყვანთო.

ორი დღე ლეოსა და მიშას აღარ მოვშორებივარ. რაც მქონდა ლექსები, გამომართვეს და დაიტოვეს. ის კი არადა, მთხოვეს, ქართული ლეგიონების ფორმირებას ჰიტლერმა ამაგი დასდო და მოდი, ერთი ლექსით მოვეფეროთ, რამე დაწერეო. შემიყვანეს ერთ ოთახში, აქ დაჯექი, ხელს არავინ შეგიშლის და, აბა, შენ იციო.

დავწერე, დავუტოვე მათ და ერთი თვის შემდეგ მივიღე კიდეც გაზეთის ის ნომერი, რომლის პირველ გვერდზე დაებეჭდათ ლექსი.

როგორც ადრევე მოგახსენეთ, მე არ ვიყავი სამხედრო მოწოდების კაცი, შინაგანად ვერ ვეგუებოდი სამხედრო წესრიგსა და თოფს, ომი რო არა, რომლის ორომტრიალშიც ძალაუნებურად მოვხვდი, სანადირო თოფსაც არ მოვიმარჯვებდი არასოდეს. შემთხვევით არ არის, ჩემი რომანის „ბუდუ ბედიას“ ორმა ძირითადმა მოქმედმა პირმა, ბუდუმ და არჩილმა ტყვედ ჩავარდნამდე ისე გაიარეს საბრძოლო გზები, ხელში იარაღი არ დაუკავებიათ, არ უსვრიათ და არავინ მოუკლავთ. ეს ჩემი შინაგანი რწმენის სიმბოლური გამოხატულება იყო. მე თავად ბავშვობიდანვე არ მიყვარდა თოფი, ტირშიაც არ დავდიოდი.

ლექსის სამსალით მოწამლული თუ მოჯადოებული ვიყავი და სხვა ყველაფერი ჩემთვის უმნიშვნელო რამ იყო.

ომში და კატორღებში გამოკვეთილად გამომჟღავნდა, ლექსი რო იყო ჩემთვის მთავარი მამოძრავებელი ძალა. სისხლიანი ბრძოლებისა და შიმშილ-სიცივის ორომტრიალში თითქოს უნდა გამოგცლოდა კაცს ეს ძალა, მაგრამ არა, ჩემში პირიქით მოხდა, სიკვდილის პირისპირ ეს ერთადერთი ჟინი მაძალგულოვანებდა.

ომისა და კატორღების ვითარებაში არა მარტო ჩემი სიდუხჭირის ლექსად გამოთქმის ჟინმა შემიპყრო, არამედ სრულიად ახალი, მანამდე ჩემთვის უცნობი ჟინიც აღძრა ჩემში — როგორმე ეს სიმწრის ლექსები გადარჩენილიყო.

ამ მხრივ განსაკუთრებული ბედისანი აღმოჩნდნენ ტყვეობაში და ლეგიონში ყოფნისას დაწერილი ლექსები, რომლებიც „ამურის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა ბერლინში ქართველი ლეგიონერებისათვის გამოცემულ გაზეთ „საქართველოს“ ნომრებში.

როცა გერმანელთა მარცხის შემდეგ კვლავ წითლების ხელთ აღმოვჩნდი, ამ ლექსების დედნები და გაზეთის ნომრებიც თან არა მქონდა. 1946 წელს შინ დავბრუნდი, მერე რვა წელიწადი ციმბირის კატორღებში ვიყავი და, რაღა თქმა უნდა, ეს ლექსები გადამავიწყდა, მაგრამ მათზე ნოსტალგია არასოდეს გამნელებია. არც დაპატიმრებამდე, არც განთავისუფლების შემდეგ მათ შესახებ არავისთან მისაუბრია, ახლო მეგობრებსაც არ ვუმჟღავნებდი.

ჩემი დაკითხვის ოქმებშიაც არ წერია მათ შესახებ არაფერი. გამომძიებელს არასოდეს მიუნიშნებია ამაზე და მეც ვდუმდი, მაშასადამე არა იციან რა და მე თავად რაღად დავიმძიმო ბრალდებები-მეთქი. საბრალდებო დასკვნაში ეს ბრალდება არ აღნიშნულა.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ კი ერთხელ ჩეკაში კვლავ გამომიძახეს, იქვე, შესასვლელში, კამენდატურაში ცალკე ოთახში შემიყვანა ერთმა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა ჩეკისტმა, მე ორგანოს თანამშრომელი ვარო, თავი გამაცნო, და გამესაუბრა, მერე უცებ მკითხა, გამოძიების დროს ხო არაფერი გამოგრჩაო. გამცეცხლა. მაშინვე ვერ ვუპასუხე, რაც დაკითხვის დროს გამომრჩა, ეს კი კარგად ვიცოდი, მაგრამ ახლა რაღა საჭირო იყო ამის გამოდევნება? მართალი გითხრათ, ამ მხრივ ბრალეულად იმას კი არა ვთვლიდი, რომ ლექსებს ვწერდი და ბერლინის გაზეთში ვბეჭდავდი, ლექსებში არაფერი იყო ნათქვამი ისეთი, ჩეკა რო გაებრაზებია, მაშინაც გავუმჟღავნებდი ამას გამომძიებელს, რაკი ყველაფერი ვუამბე, ეს რაღა დასამალი იყო, მაგრამ ვერ გავბედე ამის გამხელა იმიტომ, რომ ერთი ლექსი ჰიტლერზე იყო დაწერილი. ამას კი, მივიჩნიე მაშინ, მძიმე დანაშაულად ჩამითვლიდნენ.

ახლა კი, რვა წლის გადასახლებიდან განთავისუფლების შემდეგ უცებ რომ მკითხეს, ხო არაფერი გამოგრჩენიაო, წამს დავიბენი, შევჭოჭმანდი, ვთქვა თუ არა? წამიერი შეყოყმანების შემდეგ რაღაცის მიკიბვა-მოკიბვა დავიწყე და ამასობაში გაფიქრებაც მოვასწარი, ჯანდაბას, ალბათ უკვე გაიგეს, ნახეს, გაზეთებიც ხელთ უგდიათ, ფსევდონიმიც გაშიფრული ექნებათ და ამიტომ მეკითხებიანთქო და გაჯიუტებას აზრი არა ჰქონდა. ჩეკას თანამშრომელს დაწვრილებით ვუამბე ყველაფერი. ჩაიწერა და გამომიშვა.

ვერა და ვერ აღვადგინე მეხსიერებით ის ლექსები.

გადასახლებაში, — კალიმაში, — იქ დაწერილი ლექსები ხელისგულზე დასატევარ პატარა წიგნაკში ჩავიწერე, რომელიც მე თვითონ შევკერე ქაღალდის ნახევებისაგან. პირველ გვერდზე გერმანიაში დაბეჭდილი ლექსების ფსევდონიმი წავაწერე, ოღონდ მივუმატე „სულო“ — შემოკლებულად სულაბერიძე — სულო ამური. ეს იმიტომ, რომ, თუ წიგნაკი გადარჩებოდა, გადარჩენდა ჩემ ფსევდონიმსაც, რომლის მიხედვითაც მომავალში შეიძლება ნი-

ეკვლია ვისმეს ჩემი ბერლინელი ლექსებისათვის.

მახრჩობდა ამ ლექსების ნოსტალგია.

ასე გავიდა მათი გამოქვეყნებიდან, 1942-1943 წლებიდან ორმოცდარვა წელიწადი და, აი, ერთხელ, (

1991 წელს,

მწერალთა კავშირის სამკითხველო დარბაზში შემხვდა ახალგაზრდა მწერალი შუკო ჯიქია.

„ბატონო ლადო, ომის დროს ბერლინში გამოდიოდა ქართული გაზეთი „საქართველოო".

„ვიცი-მეთქი".

„გაზეთში ლექსები იბეჭდებოდაო".

„იბეჭდებოდა-მეთქი".

„მათი ფსევდონიმების გაშიფვრაზე ვმუშაობო".

„ძალიან კარგი საქმისათვის მოგიკიდნია ხელი-მეთქი".

„ჰოდა, რაკი მაგრე მიგაჩნიათ, დამეხმარეთო".

„კი ბატონო-მეთქი".

„რა იცით იმ ავტორებზეო?".

უკვე აღარ იყო საშიში ამგვარი რამის გამჟღავნება და გამხელა, ჩვკას ძველებური ვნებები საგრძნობლად შესუსტებული იყო, მე მართლაც არაფერი ვიცოდი მათ შესახებ, ისინი საფრანგეთში იყვნენ, მე — აღმოსავლეთში, არ შევხვედრივარ მათ, რო რამე მცოდნოდა, ახალგაზრდა კოლეგას, რა თქმა უნდა, არაფერს დავუმალავდი.

„არაფერი-მეთქი".

„მათი ნამდვილი გვარი და სახელი მაინტერესებსო".

„მე მხოლოდ მათი ფსევდონიმები ვიცი-მეთქი".

„ლექსები ხშირად იბეჭდებოდა ურდოელის ფსევდონიმით, ამის გვარი მაინც ხომ არ გაგიგიათო?"

„არა-მეთქი".

„არც ფსევდონიმ ამურის შესახებ იცით რამეო? უფრო მეტად ამ ორმა პოეტმა დამაინტერესაო".

შუკო პირველი კაცი იყო, რომელმაც ამ ორმოცდარვა წლის განმავლობაში პირველმა მიხსენა ამდენიხნის მონატრებული ჩემი ფსევდონიმი. არც არავინ იცოდა ეს და არც არავისგან ველოდი, რო მიხსენებდა. იქვე სკამზე ჩამოვჯექი და შუკოს თვალებში შევაჩერდი.

„შენ საიდან იცი-მეთქი?"

„რაო?!"

„ამური-მეთქი".

„ვიციო?"

„ამური ჩემი ფსევდონიმია-მეთქი".

შუკო ძალიან იშვიათად მინახავს გაღიმებული, ეს რო ვუთხარი, თვალები ღიმილის შუქმა აუელვარა, ისიც იქვე სკამზე ჩამოჯდა და თქვა:

„ამური თქვენა ხართო?!"

„ჰო-მეთქი", — გავიმეორე და მაშინვე ვკითხე: — „საიდან იცი ამურის ლექსები-მეთქი?!"

„მე მაქვს იმ ლექსების ფოტო-პირებიო",

როგორც მოგახსენეთ, შუკო გაულიმარი კაცი მეგონა. ხშირად არ შევხვედრივარ, არ მისაუბრია მასთან, ვიცოდი, რომ პოეტი იყო, მესალმებოდა და ვესალმებოდი, მაგრამ არასასიამოვნო ხმები მესმოდა მის შესახებ და ამიტომაც იმ გულითადობას ვერ ვიჩენდი მასთან, როგორც ეს საერთოდ მჩვევია.

ამგვარი აზრი უფრო გამიმძაფრდა მას მერე, როცა გავიგე, მწერალთა კავშირში გრიგოლ აბაშიძეს კაბინეტში შეუვარდა, საშინლად ლანძღა და აგინა ბინის თაობაზეო. მე თავად არ შევსწრებივარ ამას, ნაამბობით ვიცოდი ეს, საერთოდაც არასასიამოვნო შთაბეჭდილებას გამოთქვამდნენ ამის გამო და, რა თქმა უნდა, მეც ვუერთდებოდი ამ აზრს. ვერ ვეგუები, როცა ახალგაზრდა მწერალი ყველაფერს ერთბაშად მოითხოვს, ამ უკანასკნელ ხანებში ეს საგრძნობლად შეინიშნებოდა ახალგაზრდა მწერალთა შორის, ჩემი ღრმა რწმენით, ნიჭიერ მწერალს, მით უფრო ახალგაზრდას, არაფერი არ ამშვენებს ისე, როგორც თავმდაბლობა და მოთმინება.

მერე და მერე შუკო თვალს მიეფარა, რა თქმა უნდა, ჩემ თვალს, მწერალთა კავშირში იშვიათად შემოივლი-

და, გარეთაც ვერ ვხვდებოდი. ლექსებიც ძალიან იშვიათად იბეჭდებოდა მისი.

პირქუში, გაულიმარი და აყალმაყალის მოყვარული მეგონა ის სულმუდამ.

როცა ეროვნული მოძრაობის ტალღები აგორდა თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე ახალგაზრდობის მსვლელობის დროს მათ რიგებში ვხედავდი ხოლმე შუკოს ხან სამფეროვანი დროშით ხელში, ხან რომელიმე ტრანსპარანტით. იდგა, მიდიოდა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ყალყზე შემდგარ ქართველ პროტესტანტთა შორის ისევე ქუში, გაულიმარი, ხმელი, მოგრძო, ოდნავ ქანგისფერი პირისახისა, არ ყვიროდა, არ ბღაოდა, მკლავებს არ იქნევდა, მაგრამ სულ მათ შორის იდგა, მივხვდი, რომ სულიან-ხორციანა ჩათრეული იყო ამ მოძრაობაში· რედაქციებში, მწერალთა კავშირში აღარ ჩანდა, არ ხმაურობდა, არ ბობოქრობდა, მიტინგებზე მიკროფონებთან არ იდგა არც წარამარა, არც ხანდახან, მგონი სულაც არ მდგარა მიკროფონებთან. მომიტინგეთა და მოლაშქრეთა შორის კი განუშორებლად იმყოფებოდა, ხშირად ვხედავდი იქა და ერთხელაც მთავრობის სასახლის წინ კიბეებზე მოშიმშილეთა შორისაც დავინახე, მე მაშინ დავინახე, როცა კედელზე ფართო ასოებით ეწერა „შიმშილობის მეშვიდე დღე“.

მე რატომღაც ამ ტალღებში გამორჩეულად ვაქცევდი ყურადღებას შუკოს. ვგრძნობდი, რომ სერიოზულად იყო ჩანთქმული ბობოქარ მოვლენებში და თანდათან მეცვლებოდა მის შესახებ ჩემს ცნობიერებაში ჩამოყალიბებული შეხედულება აყალმაყალის მოყვარული კაცისა .აყალმაყალის მოყვარული კაცი არ შეიძლებოდა ასე უხმაუროდ, უმიკროფონოდ, ჩუმად და მარტოსულად დარჩენილიყო მჩქეფარე ეროვნული მოძრაობის აყალმაყალში.

ყური იმასაც მოვკარი, შუკო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის რიგებშიაო. მერე, როცა დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტსა და პრეზიდენტს ოპოზიციური პარტიები და ძალები დაუპირისპირდა, შუკოს ოპოზიციონერთა რიგებშიც ვხედავდი ხოლმე კვლავ უხმაუროსა და უჩინარს.

ამ დროს შემხვდა მწერალთა კავშირში და იქ გამართულ საუბარში, როცა ორთავენი გაოცებულნი სკამებზე ჩამოვჯექით, ამური ჩემი ფსევდონიმია-მეთქი, ვუთხარი და გაიღიმა, ერთბაშად ჩამოერეცხა მის პიროვნებას ყველა ის ბურუსი, რითაც შემოსილი იყო ჩემს წარმოსახვაში.

ერთბაშად შუკო ჩემთვის გახდა მეტად მნიშვნელოვანი და სიმპატიური პიროვნება· ღიმილიც არ შეძლებია თურმე? ულიმილო მეგონა, პირქუში და უკარება. უცებ ისეთი შუქი ჩაედგა თვალებში, მიამიტი და უცოდველი ბავშვისთვის როა მხოლოდ დამახასიათებელი. დიდი ხნის ახლობელივით გავუშინაურდი მაშინვე, კაცი მეუბნება, შენი ლექსების ფოტო-პირები მე მაქვსო, იმ ლექსებისა, რომელთაც ორმოცდარვა წელია ვეძებ, ვნატრობ, ველოლიავები ჩემს გულში, გავუშინაურდი, დავუთბი, წამით ისიც კი გავიფიქრე, რას ვერჩოდი, რა ღვთისნიერი კაცი ყოფილა, ორმოცდარვა წლის წინანდელ ჩემს სიჭაბუკესთან დამაბრუნა, სულ დაკარგული რო მეგონა, იმ ლექსებზე მესაუბრება, ვიციო, წავიკითხეო, მე მაქვსო. მივეხმატკბილე მამაშვილური გულით და გაოცებულმა ვკითხე:

„ჩემი ლექსების ფოტო-პირები შენ საიდან გაქვს-მეთქი?“

პარიზში, ემიგრაციაში იმყოფებაო კაი ქართველი ჭანრი კაშიაო, კომუნისტებს გაექცა და იქ დარჩაო, იმანაო გადაუღია გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნებული ყველა ლექსის, მათ შორის იქ დაბეჭდილი ხალხური ლექსების ფოტო-პირები და აქ მცხოვრებ შვილისთვის გამოუგზავნიაო, მისი შვილი კი ჩემი მეგობარიაო, იქა ვნახე ეს ლექსებიო, გამორჩეულად მიიქცია ჩვენი ყურადღება ურდოელმა და ამურმაო, სხვებმაცაო, რაღა თქმა უნდა.

უნდა გავშიფროთ, უნდა გავიგოთ ამ ლექსების ავტორთა ნამდვილი გვარსახელებით.

ჯანრი კაშიათ.

მეც გამეგონა მისი ამბავი.

ისიც მნიშვნელოვანი პიროვნება გახდა ჩემთვის. კაი ქართველი ყოფილა, აბა, რა?! უნახავს ის გაზეთები, არ დაეკარგოს ქვეყანასო, ისტორიის ნაწილია არეკლილი ამ ლექსებშიცაო, რა ბედენაა, მხოლოდ, პარიზის არქივებში დარჩესო, აუღია, უწვალნია, არავის დაუვალებია, თავისი ნებით, პატრიოტული გულით გადაუღია ფოტო-ასლები და, აგერა, გამოუგზავნია. რა იცოდა, მე რო ასე დარდმორეული დავეძებდი?! მათი გამოქვეყნების შემდეგ ომში კვლავ უამრავ ხიფათს გადავეყარე, ხო შეიძლებოდა, დავღუპულიყავი, აგერ, თურმე მთლად არ ილუპებოდი, შუკოს ჩავარდნია ხელთა და გამოიკვლევდა, არ მოისვენებდა და გამოიკვლევდა, ამური თურმე ლადო სულაბერიძე ყოფილაო.

ჯანრი კაშიამაო, მაცნობა შუკომ.

გაზეთის იმ გვერდების ფოტო-პირები გაუკეთებია, რომლებზედაც ლექსები და მოთხრობებია დაბეჭდილი.

მეორე დღეს შუკომ მომიტანა ეს ფოტო-პირები. გადავშალე ფურცელფურცელ, თვალი შევავლე უპირველეს ყოვლისა ამურის ლექსებს, გამახსენდა, მომაგონდა, გამიხარდა, ჰიტლერზე დაწერილი ლექსი აკლდა მხოლოდ, მაინცდამაინც არც მინანია, როგორც ახლა ვგმობ თავის დროზე ლენინზე და სტალინზე დაწერილ ლექსებს, ასევე ვგმობ ამ ლექსსაც, რა ჩემი საქმეა ჰიტლერი? ჩემი ლექსით ან იმას რა შეემატება და ან მე რას მარგია, როგორც პოეტს?! არა, არ უარვყოფ, ჰიტლერი დიდი პიროვნებაა, ისტორიული და გამორჩეული, გერმანელი გონიერი ერი ტყუილად არავის განადიდებს, ნაპოლეონი უზურპატორი იყო, მაგრამ რამდენი მხატვრული შედევრია დაწერილი მასზე. აგრეთვე ძველბერძნული, რომაული და შუასაუკუნოვანი ევროპის სისხლიან ტირანებზეც რამდენი მნიშვნელოვანი ლექსი და რომანია დაწერილი! ჰიტლერზეც, რაღა თქმა უნდა, ბევრი დაიწერა და კვლავაც დაიწერება, მაგრამ ჩემი მაშინდელი მაამებლური ლექსი მართლა არაფრის მაქნისია.

ჰოდა, არც მინანია, ფოტო-პირებში ეს ლექსი რო ვერ აღმოვაჩინე.

წავედით მე და შუკო, ქსეროქსზე გადავაღებინეთ და ჩემთვის რო დავიგულე ფოტო-პირები, სული მოვითქვი. მეგობარიც შევიძინე ამ შემთხვევის გამო. ადრე ულიმილო, პირქუში და უკარება რო მეჩვენებოდა, ამ ლექსებმა ღიმილი აღმომაჩენია მასში, სათნოება და სიკეთე მომაჩხრეკინა მის სულში. გრიბოედოვზე ერთ საოჯახო იმერულ-სასადილოში შევედით, ღვინო მინდოდა დამელია, ეს ლექსები მინდოდა დამელოცა, შუკოს მინდოდა მოვფერებოდი და მადლობა მომეხსენებია, ღიმილ-ღიმილ უარი მითხრა შუკომ, ახლა ღვინოს ვერ დავლევო. ჩემი ულვინობა ახლა არ შეიძლებოდა, ყელამდე ვიყავი სურვილით სავსე, შუკოსთან გაშინაურების სურვილით. არაო, თავი მოიკლა, ახლა არაო, სხვა დროსაო.

მაინც გავუშინაურდი, ულვინოდაც მოვახერხე, თავადაც ამყვა. სრულებითაც არ ყოფილა შუკო პირქუში და უკარება. ჩემი ფსევდონიმი ხო გაშიფრა, სხვათა გვარ-სახელების ჯგამოკვლევა და დადგენაც განუზრახავს. სასიკეთო და სამადლო საქმისათვის მოუკიდნია ხელი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს-თქო, დავლოცე შუკო.

შინ მივიტანე ფოტო-პირები და შეივსო ჩემი არქივი.

1991 წლის „მნათობის“ მეორე ნომერში ჩემი მცირე განმარტებით დაიბეჭდა ეს ლექსები.

ახლა მისაკვლევი ის წერილი დამრჩა, რომელშიც სხვა ავტორებთან ერთად მეც ვიყავი მოხსენებული. ამ წერილის ავტორი იყო გრიგოლ რობაქიძე, წერილის სათაური გახლდათ „წყაროს თვალი“, ის დაიბეჭდა გაზეთ „საქართველოში“. გრ. რობაქიძე მისთვის

ჩვეული გულისა და სიტყვის მგზნებარებით ეფერება ლეგიონერ პოეტებს, მათ სევდას სამშობლოზე, მათ პოეტურ ელვარებას, თავისებური გამჭრიახი თვალით გამოარჩევს მათი ლექსებიდან მნიშვნელოვანს და თავის კომენტარს უკეთებს.

აი, რას წერს ჩემზე:

„მუსიკალურ არხეულია გულისხმიერი ხილვა ლეგ. ამურის შაირში „სიყვარულის საფლავი". სმენას რჩება ვითარ შუვილი შორეულ ტალღათა ეს ხტილი:

> აქ საფლავია ჩემი ზმანების,
> ორი ალვისხე მისი დებია".

ოცდაოთხი წლის ჭაბუკმა, გრიგოლ რობაქიძის ეს შეფასება როცა წავიკითხე, ცას ვწვდი სიხარულით. ჩემი ლექსების ერთ-ერთი უპირველესი საჯარო შეფასება იყო ეს და მერე ვისი? გრიგოლ რობაქიძე! წაკითხული მქონდა „გველის პერანგი", ზეპირად ვიცოდი ბევრი ადგილი — „ბეხან! ბეხან!.." და სხვანი და სხვანი. ლეგენდები მესმოდა ომამდე გრ. რობაქიძის ემიგრანტულ ცხოვრებაზე.

ეს წერილიც აღმოჩნდა.

მალე, ლექსების ფოტო-პირების შემდეგ, პროფესორმა გურამ შარაძემ, რომელმაც დაუფასებელი შრომა გასწია ქართული ემიგრანტული ლიტერატურის აღმოჩენის მიკვლევის, მოპოვების, პუბლიკაციებისა და ცალკე წიგნებად გამოცემისათვის, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (15 ნოემბერი 1991 წ.) გამოაქვეყნა გრიგოლ რობაქიძის ზემოთნახსენები წერილი „წყაროს თვალი".

ჯანრი კაშია.

შუკო ჯიქია.

გურამ შარაძე.

ამ ადამიანებმა ამომავსებინეს ის სევდიანი სიცარიელე, რომელსაც უმძიმესი ტვირთივით ვატარებდი ორმოცდარვა წელი.

ჩემი თხრობის დრო შევაჩერე და ბარემ ახლავე გიამბეთ ამურისა და მისი ლექსების შემდგომ ბედზე. ახლა კვლავ მივუბრუნდეთ 1943 წლის ბერლინს, იქ ჩემი ყოფნის ბოლო დღეს და შემდეგ განვაგრძოთ მომდევნო ამბები.

თუმცა სხვა რამ საამბობი ბერლინში იმჟამინდელი ჩემი ვიზიტისა გამო ბევრი არაფერი მაქვს. ლექსებისა და „საქართველოს" გარდა, აბა, სხვა მნიშვნელოვანი რამ ომით აბობოქრებულ, ათასი ჯურის ადამიანებით ავსებულ და აბორგებულ ბერლინში რა უნდა მომხდარიყო ჩემთვის საინტერესო?! დავდიოდი, დავეხეტებოდი ქუჩებში, პროსპექტებზე, გოტვალდი და მისი მეუღლე მიწევდნენ მეგზურობას. ამასობაში ვაგონიც დაუტვირთიათ, ეშელონის შემადგენლობაშიც ჩაურთავს და ერთ საღამოს ვაგონი ჩავიბარეთ მე და ჩემმა თანმხლებმა აზერბაიჯანელმა უნტეროფიცერმა, გოტვალდსა და მის მეუღლეს გამოვემშვიდობეთ, — მე შუადღისას რედაქციის თანამშრომლები, მიხეილი და ლეო მოვინახულე, გამოვემშვიდობე მათ, — და ეშელონი აღმოსავლეთისაკენ დაიძრა. ჩვენ შნაპსით, ფრანგული ღვინის კასრებით, ტკბილეულობით, ნამცხვრებითა და მრავალი სხვა საშობაო საჩუქრებით დატვირთულ საბარგო ვაგონშივე მოვთავსდით და გამოვემშვიდობეთ ბერლინს.

მინაწერი:

ბერლინში ჩემი მეორე ვიზიტის შესახებაც ბარემ ახლავე გიამბობთ, რომ აღარ მომიხდეს მერე თქვენი ყურადღების შეჩერება ამის გამო.

1944 წლის გაზაფხულზე, იმის შემდეგ, რაც ძლივს გამოვუსხლტი ჩემი ასეულიანად წითელი არმიისაგან ალყაში მოქცეულ მინსკს, პოლონეთის ერთ-ერთ პატარა დაბასთან დაგვაბინავეს.

მე ვთხოვე ბატალიონის მეთაურს, მაიორს, ბერლინში გამგზავრება, უარი არ მითხრა და ათი დღით მივლინება გამიკეთა.

ამჯერად ბერლინი საგრძნობლად დაბომბილი დამხვდა.

ლეომ კვლავ მიმიყვანა ქართველი ლეგიონერების შტაბში, კვლავ შევხვდი იმ პიროვნებას, რომელმაც ჩემი თხოვნა საფრანგეთში ასეულის გაყვა-

ბიბლიოთეკა

ნის თაობაზე დაიტოვა და ამჯერად ვუამბე მინსკის ალყიდან ძლივძლივობით თავდახსნილი ასეულის შესახებ, რომლის დროსაც მთელმა გერმანელმა პერსონალმა მიმატოვა. კინაღამ დამეშალა ასეული, ბევრი გამეფანტა ამ ოპერაციების დროს. ეგაც დამაწერინეს და დაიტოვეს, აღმითქვეს, სასწრაფოდ მოგიხერხებთ დასავლეთში გადაყვანასო.

უკან რო დავბრუნდი, ათიოდე დღის შემდეგ მაიორმა განაწყენებულმა მომმართა, გერმანულმა პერსონალმა რო მიგატოვა, ეგ რატომ გაამხილე ბერლინშიო. როგორც ჩანს მოუხსენებიათ საცა ჯერ არს და შეუფუცხუნებიათ მაიორი. საყვედური მითხრა მხოლოდ და მეტი არაფერი. სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა, ჯერ ერთი, რომ მე ვუთხარი, დასავლეთში ჩვენი გადაყვანა მოვითხოვე-მეთქი და შევატყე ეს მასაც ჭკუაში დაუჯდა და მეორეც, მან კარგად იცოდა, ასეული მეც რო მიმეტოვებია, მთლად დაიშლებოდა, თავისი შტაბის მეტი არა შერჩებოდა რა და ამის გამო დიდ უსიამოვნებას გადაეყრებოდა. ამგვარად ერთგვარად ანგარიშგასაწევი პიროვნება ვიყავი და მალევე დაივიწყა ეს წყენა.

მესამედაც გახლდით ბერლინში.

1945 წლის მაისში უკვე წითლების ჯარში მყოფი მოვხვდი ეხლა უკვე მიწასთან გასწორებულ ბერლინში, მაგრამ ამაზე შემდეგ გიამბობთ.

## მარია

ბორისოვოდან მინსკთან ახლოს გადმოგვიყვანეს. მინსკიდან ოციოდე კილომეტრის მოშორებით დიდ მაგისტრალთან უსასრულო დაბურული ტყის განაპირას იყო იარაღისა და ტყვია-წამლის დიდი საწყობები. ასეულის მეტი ნაწილი გურასპედიანის მეთაურობით ამ საწყობების დაცვაში ჩააყენეს.

ასეულის შტაბი მოთავსდა ამ საწყობებიდან საკმაოდ მოშორებულ სოფელ კარალიტჩევიჩში.

სოფელს მოზრდილი მდინარე, ჩაუდიოდა, რომელზე გადებულ ხის ბოგირით ხრეშით მოკირწყლული გზა შედიოდა სოფელში, სოფლის მეორე მხრიდან მოკლე გზა პირდაპირ მინსკს უკავშირდებოდა.

სოფელი მდინარის ერთ ამაღლებულ ნაპირზე იყო გაშენებული, მეორე ნაპირი დაუსახლებელი იყო, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ნაპირიდან გვარიანად მოშორებით აგრეთვე შემაღლებულ გრძელ გორაკზე რამდენიმე მოსახლეს, რომელსაც ხუტორად უხმობდნენ.

ხუტორს იქეთ კი დაცემულ ადგილზე აგრეთვე დაბურულ ტყეში საიდუმლოებებით მოცული რაღაც საწყობები იყო, რომელსაც თავად გერმანელები იცავდნენ. ეს ლაგერი ადრეც წითელი არმიის სამხედრო მნიშვნელობის ადგილსამყოფელი ყოფილა, რომელშიც ახლა გერმანელთა გარნიზონი მოთავსებულიყო.

ჩვენი შტაბი სოფელ კარალიტჩევიჩის შესასვლელში მოედნის ერთ მხარეს, მდინარის საკმაოდ შემაღლებულ ნაპირზე დაბალ და გრძელ ძელურ შენობაში დაბინავდა. ეს შენობა ადრე სოფლის კლუბი ყოფილა ამავე ეზოში იდგა მეორე აგრეთვე ხის ძელური შენობა, რომელშიც მოვათავსეთ ერთი ოცეული. ამ ოცეულის ერთ ათეულს სოფლიდან ათი კილომეტრით მოშორებული ხიდის დაცვა მიენდო.

ამ ბელორუსულმა პატარა სოფელმა თავი სამუდამოდ დამამახსოვრა იმიტომ კი არა, რომ აქ ჩემი ასეულის შტაბი იდგა, სოფელში პატრულირებას ვეწეოდით, ხიდს ვიცავდით და მოსახლეობა საღამოთი ხიდის საგუშაგოს საქონელსაც მიუღალავდა ხოლმე დასაცავად, რადგან პარტიზანები უმოწყალოდ ნადირობდნენ მათზე, არც იმიტომ, რომ საკმაოდ შემორჩენოდა სოფელს ახალგაზრდები ხუტორს იქითა გერმანელთა გარნიზონის წყალობით, — იქ აღმოჩენოდა მათ სამუშაო და ამიტომაც აღარ აგზავნიდნენ გერმანიაში, — რომლებიც თითქმის ყოველ საღამოს სოფლის შუაგულში გარმონისა და მეგარმონის გარშემო თავს იყრიდნენ და შუაღამემდე არ ცხრებოდა

მხიარული ცეკვა და სიმღერა, არა მარტო ამით დამამახსოვრა-მეთქი თავი ამ სოფელმა, არამედ უფრო იმით, რომ აქ, ამ გარმონთანა და ამ სოფლის გზაზე გადამეყარა მარია.

როგორც კი თვალი მოვკარი თავმოყრილ მომღერალ და მოცეკვავე ახალგაზრდებთან მარიას, მერე ველარ მოვაშორე მზერა. პირველ დღეებში ალმაცერად ვადევნებდი თვალს, რატომღაც მერიდებოდა, არ შეენიშნა, რო დავინტერესდი მისით, სხვა გოგონებს უფრო თავისუფლად ვესაუბრებოდი, ხელს ჩამავლებინებდნენ, ცეკვის წრეში შემიტაცებდნენ, ამას კი ვერიდებოდი, თვითონ სხვებივით თამამად არ მომჭრია, მე კი ვერ ვბედავდი მიახლოებას.

სხვათაგან გარეგნობითაც გამოირჩეოდა, ბელორუსს არა ჰგავდა, თეთრი პირისახე კი ჰქონდა, მაგრამ შუააზიელის იერი დაჰკრავდა, შეიძლება იმიტომაც, რომ მხრებზე დაყრილი თმა და თვალ-წარბი წაბლისფერი ჰქონდა, გარდა ამისა ნაპერწკლიანი თვალები არც მთლად მონღოლური, მაგრამ ნუშის კურკისნაირად წაგრძელებული და წარბის კიდესთან წაწვეტებული მართლაც მონღოლურ იერს აძლევდა. გაღიმებისას ყბაზე კანი ნაოჭივით გაეკეცებოდა და ეს რო შევამჩნიე, გავიფიქრე, ნეტავი სულ აღარ გაუქრებოდეს ეს ნაოჭისნაირი ნაკეცი-მეთქი.

ერთხელ, როგორც იქნა, გავბედე და ვიხმე საცეკვაოდ. გარმონისტმა გვარიანად გააგრძელა ამჯერად დაკვრა, მე კი გულში ვინატრე, ნეტა მალე დაამთავროს-მეთქი, რადგან ხმა ვერ ამოვიღე, ენა დამება, მისი თმა ლაწვზე მეხებოდა და არც თავად იღებდა ხმას, რამე რო ეკითხა, იქნება მეპასუხა და საუბრის ძაფი გაბმულიყო. არაფერი მკითხა, მართალია ლაწვზე ნაკეცი არ გაშლია, მაგრამ ისე დამთავრდა ეს გრძელი ცეკვა, ერთი სიტყვაც კი არ გაგვიმეტებია ერთმანეთისთვის.

ორიოდე კვირა ასე გავიდა.

ყოველ დილით სოფლის დაღმა დაქანებულ გზას გაუყვებოდა ხიდისაკენ, ჩვენი ალაყაფის კართან ჩაივლიდა, მივაჩერდებოდი, გაღმა ხუტორს უკან მოიტოვებდა და ხუტორიდან ლარივით გაჭიმული გზით გერმანელების გარნიზონში შეიკარგებოდა ხოლმე.

იქ მუშაობდა თურმე თარჯიმნად, გერმანული კარგად იცისო, მომწვდა ეს ხმაც.

ერთ კვირა დღეს, დილით ადრე თვალი მოვკარი, ყვავილებით ხელში დაღმართს დაუყვა ხიდისაკენ. კარგა ხანს ვუთვალთვალე, ხუტორს გვერდი აუარა, გაშორდა და შორეული სოფლისაკენ, რომლის სახლებიც ძლივს მოჩანდა, აიღო გეზი.

მეორე კვირა დღესაც, ასევე ადრიანად ყვავილებით იმავე გზას დაადგა. სულმა წამძლია და შეუმჩნევლად გამოვედევნე. შორი-შორ მივდიე. ხუტორიდან ვიწრო საურმე გზა ჯაგნარებში მიემართებოდა. კარგა ხანს იარა, მეც ჯაგნარს მოფარებული უკან მივყვებოდი. თანაც ვშიშობდი, მოულოდნელად რომ დამინახოს, რას იფიქრებს-მეთქი? არ გამოუხედია უკან. ბოლოს ჩემთვის უცხო სოფლის განაპირას სასაფლაოზე მივიდა, ერთ საფლავზე ყვავილების კონა დადო, ცოტახანს იყო აქ, რაღაც მიასწორ-მოასწორა საფლავთან, მერე კვლავ შორეული სოფლისკენ გაეშურა, პატარა მდინარეზე გადგმულ წისქვილთან შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა, შევიდა წისქვილში.

წისქვილიდან დოლაბის ხრიგინი მესმოდა.

მინდოდა უკან გავბრუნებულიყავი. ჯაგებს მოფარებული რო დავლოდებოდი, მეუხერხულა. უკან გაბრუნებაც ვერ შევძელი. წამს გავიფიქრე, შევალ წისქვილში, უკან მომდევდაო, ამას ხო ვერ იაზრებს, თითქოს შემთხვევით ჩავიარე აქ და წისქვილშიც შევიარე.

მოვიკრიბე გამბედაობა, მივადექი წისქვილს და შიგ შევედი.

ორი დოლაბი გრუხუნობდა. ფქვილის მტვერი ეფარა ყველაფერს. მაღალ ჭერსაც კი. კედლების ძელებსა და ძელებს შუა ღრმულები ამოტენილი იყო ფქვილის მტვრით.

წისქვილის ერთ კუთხეში დაბალ სკა-

მებზე ისხდნენ სამი კაცი, მათ შორის მარია და უცნობი გოგონა. დამინახეს თუ არა, წამოდგა ერთი ზორბა, კალათბურთელი რო ინატრებდა, ისეთი სიმაღლის, ფართო მხარბეჭიანი შუახნის მამაკაცი, მისი დანახვისას სანდრო კანდელაკი მომაგონდა უეცრად, მუხლებამდე ჩაშვებული ფართო შავი პერანგი ფქვილში ამოვლებული გეგონებოდა, შემომეგება და როხროხა ხმით მიმიპატიჟა, ჰერ ლეიტენანტ, პრომშუ, პრომშუო.

მარიამ კი შემომხედა, მაგრამ არ ვიცი, რა გაიფიქრა ჩემ დანახვაზე.

ზორბა მასპინძელმა მათთან მიმიყვანა. დაბალი სუფრა გაეშალათ, სუფრაზე პური, მჟავე კიტრი, კვერცხები ელაგა, ჭიქები და ლიტრიანი ბოთლით არაყი. გვარიანად შეყინყლილებულნი დამიხვდნენ. ხელი ჩამოვართვი ყველას, მარიას გვერდით დამაჯინეს, მაშინვე, სანამ თავადაც დაჯდებოდა, ზორბა მასპინძელმა, რომელიც მეწისქვილე აღმოჩნდა, ბოთლიდან „სამაგონი“ დამისხა ჩაის ჭიქაში, ჰერ ლეიტენანტ, ბიტე, ბიტეო, ჩამიგერმანულა და თან დააყოლა, პრომშუ, პრომშუო· მარიას ლაწვზე დამჩნეულ ნაოჭს თვალი ვკარი, თავპატიჟი არ გამიწევია, ჭიქას ხელი წავავლე, თქვენ გაგიმარჯოთ-მეთქი, ვთქვი რუსულად და არაყი სულმოუთქმელად გადავკარი.

„აქეთ რა ქარმა გადმოგაგდოთო?“ — დავჯექი თუ არა, გადმომჩურჩულა მარიამ.

„გამოვისეირნე, მარტოობას გამოვყევი-მეთქი“.

„მარტოობასო?!“

„ჰო, მარტოობასთქო“.

რაც ამას ვიცნობ, ეს პირველად გაიბა ჩვენს შორის საუბრის ძაფი და ისიც უცებ მეწისქვილემ გაწყვიტა:

„ჰერ ლეიტენანტო!..“

„მე გერმანელი არა ვარ-მეთქი“.

„აბა, ეგ მუნდირიო?!“

„მე ქართველი ვარ და ვალოდია მქვია-მეთქი“.

„მე — ზახარიო· ამას კოლკაო, ამას კიდევ ტარასიო. ეგ კი ჩვენი სოფლის თვალისჩინი ნადეჟდააო. ეგ კი — მარიაო“. — გამაცნო ზახარმა თანამესუფრენი.

„ჰოდა, ეგრე არა ჯობია, ყველას ჩვენჩვენი სახელები გვაქვს. თქვენ კი — ჰერ და ჰერ, ჰერ და ჰერ-მეთქი“.

„ბიჭოს, ეგ ეტყობა კაი კაციაო“, — გადახედა ზახარმა თანამესუფრეებს და ჭიქები არყით შეავსო.

„ეგ კაი კაცისაო!“ — თქვა მეწისქვილემ, ჭიქა დაცალა, კვერცხი აიღო, ძირები ჩაუჩხვლიტა, პირთან მიიტანა და გამოწუწნა·

☐ გაგრძელება იქნება ☐

მეცნიერება

ნოდარ კანდელაკი,
გურამ ცერცვაძე

# ფუნდამენტალური პერიოდული დამოკიდებულებანი და კალენდრული სისტემები ქართულ ასომთავრულ ანბანში

## 1. საკითხის დასმა

მაიას მეფეთა სამარხებში პალენკეს პირამიდის კედელზე მითითებულია შემდეგი კალენდრული ფორმულა: „81 მთვარე შეადგენს 2392 დღეღამეს" ამ კალენდრულ დამოკიდებულებაში მთვარის ქვეშ იგულისხმება მთვარის ე. წ. სინოდური თვე, ანუ დროის საშუალო ხანგრძლივობა მთვარის ორ მომდევნო ახალმთვარეობებს ან სრულმთვარეობებს შორის. თანამედროვეობის ცნობილმა ნორვეგიელმა ეთნოგრაფმა და არქეოლოგმა ტურ ჰეიერდალმა 2392-ის 81-ზე გაყოფის შედეგად გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ მაიას კალენდარში მთვარის სინოდური თვის ხანგრძლივობა 29.53086 დღეღამეს შეადგენს, რაც მისი რეალური მნიშვნელობისაგან — 29.530588 მხოლოდ 24 წამით განსხვავდება. ნიშნავს თუ არა ყოველივე ეს იმას, რომ მაიას ცივილიზაციას ასეთი მაღალი დონის ასტრონომიული ცოდნა გააჩნდა? ამ კითხვაზე ცალსახად პასუხის გაცემა ძნელია. საქმე ის არის, რომ ერთი მხრივ კალენდრული პერიოდების (თვე, წელიწადი) სიზუსტეებს, საზოგადოდ, კალენდრულ ფორმულაში დღეღამეთა გამომხატველი რიცხვის ნიშნების რაოდენობა განსაზღვრავს და ამდენად, ზემოთმოყვანილი ფორმულა „81—მთვარე—2392 დღეღამე" მთვარის სინოდური თვისათვის მხოლოდ ოთხ ზუსტ ნიშანს იძლევა — 29.53, მეორე მხრივ მთელი მსოფლიოს მეცნიერების დიდი ძალისხმევის მიუხედავად მაიას კალენდრული სისტემის საიდუმლო დღესაც ამოცნობილი არ არის, ამიტომ კალენდრული შინაარსის მქონე მაიას იეროგლიფური წარწერების გაშიფვრას დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ([5], 157, 168).

60—70-იან წლებში ჩატარებული მეცნიერული გამოკვლევების შედეგად რ. პატარიძემ დაადგინა, რომ ქართული ასომთავრული ანბანის სახელდებებში დაშიფრული ფორმით ჩადებულია მთვარისა და მზის მთავარი პერიოდები და კალენდრული დამოკიდებულებები, რომელთა შორის უმნიშვნელოვანესია მზის კალენდრული ფორმულა: „128 წელიწადი 31 ნაკიან წელს შეიცავს" (წელიწადის ქვეშ აქ იგულისხმება მზის ე. წ. ტროპიკული წელიწადი, ანუ დროის საშუალო ხანგრძლივობა გაზაფხულის ორ მომდევნო დღეღამსწორობებს შორის). უნაკო წელი 365 დღეღამეს შეიცავს, ხოლო ნაკიანი — 366-ს. ვინაიდან 128=31+97, ამიტომ ამ კალენდრულ პერიოდში ნაკიანი წლები 31×366=11341 დღეღამეს მოიცავენ, ხოლო უნაკონი — 97×365=35405 დღეღამეს. სულ 46751 დღეღამე. ამრიგად, ქართული ასომთავრული ანბანის მზის კალენდრულ ფორმულას აქვს სახე: 128 წელიწადი ˝46751 დღეღამე. 46751-ის 128-ზე გაყოფის შედეგად რ. პატარიძემ გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქართული ანბანის მზის 128 წლიან კალენდარში ტროპიკული წლის ხანგრძლივობა 365.24218 დღეღამეს შეადგენს, რაც მისი რეალური მნიშვნელობისაგან — 365.24220 მხოლოდ 1—3 წამით განს-

ხვავდება. როგორც ვხედავთ, მიღებული შედეგი ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. ცხადია, ეს არაორდინალური ფაქტი დასაბუთებას მოითხოვს, ვინაიდან ხუთნიშნა რიცხვი 46751 ტროპიკული წლის ხანგრძლივობისათვის სიზუსტის თვალსაზრისით მხოლოდ ხუთ ნიშანს იძლევა, რაც უკვე 365.24 დღეღამეს შეადგენს. ამასთან დაკავშირებით ბუნებრივად ისმება კითხვა: ხომ არ არის ქართულ ანბანში უშუალო მინიშნება უფრო მაღალი რიგის სიზუსტეებზე?

დასმულ შეკითხვაზე ამომწურავ პასუხს წინამდებარე წერილი იძლევა.

## 2. კალენდრული ერთეულები და პერიოდები

ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ათასწლეულის წინ დროის გაზომვის სამი ძირითადი ერთეულის (დღეღამე, თვე, წელიწადი) ბაზაზე ჩამოყალიბდა დროის აღრიცხვის სამი ძირითადი სისტემა ანუ კალენდარი—მთვარის, მთვარე — მზისა და მზის.

მოხერხებულობის მიზნით შემოვიღოთ ამ კალენდრული ერთეულებისათვის აღნიშვნები, მოვიყვანოთ მათი ზუსტი ასტრონომიული და კალენდრული მნიშვნელობები მოკლე ისტორიულ ცნობებთან ერთად.

დ—დღეღამე (24 საათი). პირველად შემოღებულ იქნა ძველ ეგვიპტესა და ბაბილონში. ძველ საბერძნეთში იგი ბაბილონიდან გავრცელდა ([1], 11). ისტორიამ შემოგვინახა სოლხანბაბა ორბელიანის ყურადსაღები განმარტება" ესე დღე და ღამე არს ჟამი 24" ([2], 226).

l—მთვარის სინოდური თვე (დროის საშუალო ხანგრძლივობა მთვარის ორ მომდევნო ახალმთვარეობებს ან სრულთმვარეობებს შორის). მისი ასტრონომიული მნიშვნელობაა, 29.530588დ, ხოლო კალენდრული — 29დ, 30დ. ძველმა ეგვიპტელებმა სინოდური თვის სიზუსტე 29,53დ-მდე დაიყვანეს. ბაბილონელებმა იგი უკვე 29.530დ-თი განსაზღვრეს ([3] 48, 55). ჩვ. წ.-მდე 330 წელს ცნობილმა ბერძენმა ასტრონომმა კალიპოსმა სინოდური თვე ექვს ნიშნამდე დააზუსტა ([4], 105), ხოლო გენიალურმა ბერძენმა ასტრონომმა ჰიპარხმა ჩვ. წ. —მდე 125 წელს ფანტასტიკური შედეგი მიიღო — 29.530592დ, ([4], 106).

L — მთვარის წელიწადი (12 მთვარის სინოდური თვე — L=12l) მისი ასტრონომიული მნიშვნელობაა 354,36706დ, ხოლო კალენდრული — 354დ, 355დ.

S — ტროპიკული წელიწადი (დროის საშუალო ხანგრძლივობა გაზაფხულის ორ მომდევნო დღეღამხწორობებს შორის). მისი ასტრონომიული მნიშვნელობაა 365.24220დ. ძველ ეგვიპტეში თავდაპირველად მისი მნიშვნელობა 360დ იყო, რომლის 1/12 მზის კალენდრულ თვეს შეადგენდა: S=30დ. მოგვიანებით ტროპიკული წლის ხანგრძლივობა 5 ე. წ. ეპაგომენური დღის დამატებით 365დ-მდე გაიზარდა ([4], 44—46) ჩვ. წ.-მდე მე-5 საუკუნეში ცნობილ ზოროასტრულ კალენდარში ტროპიკული წლის ხანგრძლივობა უკვე 365.25დ-თი დაზუსტდა ([1], 38,320—321). ტროპიკული წლის ხანგრძლივობის დაზუსტების შემდგომი ეტაპი ისევ ჰიპარქის სახელთან არის დაკავშირებული და იგი 365.24671დ-ს შეადგენს ([4], 106).

19S — (მთვარე — მზის 19 წლიანი ციკლი, რომელშიც განხორციელებულია შემდეგი კალენდრული დამოკიდებულება: 235l 19S). ციკლში მთვარე — მზის ფაზათა ტოლობას შემდეგი ასტრონომიული სიზუსტე გააჩნია:

$$235l = 235 \times 29.530588დ = 6939.68დ$$
$$19S = 19 \times 365.24220დ = 6939.60დ,$$

რომელიც კალენდრულად 6940დ-ში ხორციელდება. 19-წლიანმა ციკლმა ფუნქციონირება დაიწყო ძველ ბაბილონში დაახლოებით 500 წელს ჩვ. წ.-მდე ([3], 144). თარიღების შემცველი დიდი დოკუმენტალური მასალის შესწავლის შედეგად დღეს დადგენილია, რომ ეს უმნიშვნელოვანესი ინტერკალაციური ციკლი საბოლოოდ დარეგულირდა 381 წელს ჩვ. წ.-მდე ([1], 21; [3], 354—355, [5], 120).19-წლიანი ციკლი გამოიყენებოდა ძველ საბერძნეთშიაც, კერძოდ, ასტრონომების მეტონისა და ევქტემონის მიერ 432 წ. ჩვ.-მდე და კალიპოსის მიერ 330 წ. ჩვ.-მდე. როგორც დღეს გაირკვა, ამ ციკლს მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა ჰქონდა და საბერძნეთის ქალაქების კალენდრებში არ გამოიყენებოდა ([3], 115). მთვარე—მზის 19-წლიანი კალენდრული ციკლის დაზუსტების შემდგომი ეტაპი კვლავ ჰიპაქის სახელთან არის დაკავშირებული. ამ მიმართულებით მის მიერ მიღებული შედეგების შესახებ ჩვენ ზუსტი ცნობები არ გვქონდა საუბარი.

ამრიგად, მთვარე — მზის 19 წლიანი ციკლის ფორმულა 235l 19S აკავშირებს რა ერთმანეთთან კალენდრულ ერთეულებს l და S-ს საკმარისად მაღალი სიზუსტით, საშუალებას იძლევა ერთ-ერთი მათგანი მეორით განისაზღვროს და პირიქით. დღეს კარგად ცნობილია, რომ ჯერ მოხდა l-ის დაზუსტება, რაც სავსებით ბუნებრივია, ვინაიდან S-თან შედარებით l მოკლე

პერიოდია და, ამდენად, ამ უკანასკნელის მიმართ დაგროვილი სტატისტიკური მასალის ანალიზი გაცილებით იოლია. ამ მიმართულებით განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ბაბილონელ ასტრონომებს, რომლებმაც ძალზე დიდი ძალისხმევა გაიღეს მთვარისა და მზის დაბნელებათა სტატისტიკის დადგენაში.

დაბნელებათა დაკვირვებების ადრეულ ეტაპზე მათ შეამჩნიეს, რომ მთვარის ორ მომდევნო დაბნელებებს შორის l მთელ რიცხვჯერ თავსდება ([8], 131) ისე, რომ დაბნელებების უმცირესი პერიოდია 6l. გარდა ამისა მათ ისიც შეამჩნიეს, რომ დაბნელებების მიმდევრობები სერიებს ქმნიან, 4—6 დაბნელება თვითოეულ სერიაში. დაბნელებათა სერიების მიმართ დაგროვილი სტატისტიკური მასალის ანალიზმა ბაბილონელებს საშუალება მისცა აღმოეჩინათ არაუგვიანეს VI საუკუნისა ჩვ. წ-მდე 223l სიგრძის პერიოდი „საროსი“, რომლის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

წერილი ორი ნაწილისაგან შედგება. პირველ ნაწილში განხილულია ძირითად კალენდრულ ერთეულებთან და უშუალოდ საროსთან დაკავშირებული განმსაზღვრელი ფუნდამენტალური პერიოდული დამოკიდებულებები და განვითარებულია კალენდრული სიზუსტეების მოდულარული თეორია. წერილის მეორე ნაწილში აღწერილია ქართული ასომთავრული ანბანის სახელდებით — რიცხვით და გრაფიკულ-რიცხვით ჭგუფებში დაშიფრული ფორმით ჩაბეჭდილი ინფორმაციის დეკოდირების პროცედურა. ამდენად, წერილის მეორე ნაწილი, პირველისაგან განსხვავებით, სპეციფიკური ხასიათისაა და მკითხველისგან გარკვეულ ძალისხმევასა და მოთმინებას მოითხოვს.

## 8. საროსი

როგორც ცნობილია, მთვარისა და მზის დაბნელებებს ადგილი აქვთ მხოლოდ მაშინ, როდესაც მთვარის მოძრაობის ტრაექტორია გადაიკვეთება ეკლიპტიკასთან წერტილებში, რომლებსაც მთვარის ორბიტის კვანძები ეწოდებათ. დროის საშუალო ხანგრძლივობას ორ ასეთ მომდევნო კვანძებს შორის მთვარის დრაკონული თვე ეწოდება. მოხერხებულობის მიზნით შემოვიღოთ მისთვის აღნიშვნა d. d-ს ასტრონომიული მნიშვნელობაა 27.21222დ, ხოლო კალენდრული — 27დ, 28დ. ცხადია, მთვარის სხვადასხვა პერიოდებს შორის l-სა და d-ს, ანუ სინოდურ და დრაკონულ თვეებს, მთვარისა და მზის დაბნელებების წინასწარმეტყველების საქმეში ცენტრალური ადგილი უკავიათ. წარმოადგენს რა მთვარისა და მზის დაბნელებათა ე. წ. სერიების უალბათეს პერიოდს, საროსი განისაზღვრება შემდეგი პერიოდული დამოკიდებულებებით: 223l˝242d˝6585 1/3დ. ადვილად დავრწმუნდებით, რომ საროსი საშუალოდ 18S-სა და 10დ—11დ-ს შეიცავს. სწორედ ამით არის განპირობებული ის, რომ ბაბილონურ ლურსმულ წარწერებში საროსი მოიხსენიება როგორც „18“. დაბნელებათა ამ პერიოდისათვის ტერმინი „საროსი“ ძველ საბერძნეთში შემოიღეს. გასამკეცებული საროსისათვის, რომელიც 3×223l=669l-ს შეიცავს, ბერძენმა ავტორებმა შემოიღეს ტერმინი „ექსელიგმოსი“, რაც „სრულმობრუნებას“ ნიშნავს ([8], 118). 54S-იანი დაბნელებათა ეს პერიოდი მოხსენებულია ცნობილ ბაბილონურ ლურსმულ ტექსტში ურუკიდან. უაღრესად მნიშვნელოვანია საროსის განმსაზღვრელ დამოკიდებულებებში დღეღამეთა რაოდენობის 6585დ-ს დაზუსტება 1/3დ-თი. ბაბილონელმა ასტრონომებმა იცოდნენ ეს, რადგან ცნობილი ბერძენი ავტორი გემინი გვამცნობს, რომ გასამკეცებული საროსი 19756დ-ს შეიცავდა ქალდეველთა მიხედვით ([8], 121). მართლაც, საროსის 3-ზე გამრავლების შემდეგ მივიღებთ 3×223˝(3×6585+1)დ, რაც გვაძლევს 669l˝19756დ. როგორც ვხედავთ 669l, ანუ ექსელიგმოსი, დღეღამეთა 5-ნიშნა რიცხვს შეიცავს, ამიტომ 19756-ის 669-ზე გაყოფის შედეგად სინოდური თვისათვის l ჩვენ მივიღებთ l=29.530დ, რაც იმ დროისათვის მართლაც საოცარი შედეგია. მაგრამ კიდევ უფრო მეტ გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ l-ის განსაზღვრისთვის ზემოთჩატარებული გაყოფის შედეგად შემდეგი ნიშნის გათვალისწინებით ვღებულობთ: l=29.53063, რაც l-ის რეალური მნიშვნელობისაგან მხოლოდ 5 წამით განსხვავდება. ყოველივე ეს, ცხადია, დასტურია იმისა, რომ საროსი მართლაც საკმაოდ მაღალი სიზუსტის პერიოდია, მაგრამ საკითხი იმის შესახებ, იცოდნენ თუ არა ბაბილონელებმა l ექვსი ნიშნის სიზუსტით ჭერჭერობით კვლავ ღიად რჩება, რამეთუ კალენდრულ ფორმულას დღეღამეთა 6-ნიშნა რიცხვით სულ ცოტა 2 საუკუნოვანი სიგრძის დაკვირვება ჭირდება. ასეთ გრძელვადიან სტატისტიკას ბაბილონელი ასტრონომები ბუნებრივია, არ აკეთებდნენ. მეორე მხრივ, მეცნიერების ისტორიის ცნობილი სპეციალისტის ფ. კუგლერის მიერ აღმოჩენილი და შესწავლილი უძველესი ასტროლოგიური ტექსტებიდან ცნობილი გახდა, რომ ბაბილონელები მთვარისა და მზის დაბნელებათა გრძელი პერიოდებითაც

სარგებლობდნენ. ზუსტად იგივე პერიოდები გვხვდება ძველ ბერძნულ ასტროლოგიურ ტექსტებშიც ([8], 112). ბუნებრივად იბადება კითხვა, როგორ ადგენდნენ მათ?

დასმულ შეკითხვაზე პასუხს გარკვეული აზრით საროსის შინაგანი სტრუქტურით განპირობებული ე. წ. შიდა პერიოდები იძლევიან, რომლებიც ბაბილონელმა ასტრონომებმა ზედმიწევნით კარგად იცოდნენ ([8], 188). ცნობილია საროსის შემდეგი შიდა პერიოდები: 6l, 41l, 47l, 88l, 135l, 223l. ამრიგად უმცირესი შიდა პერიოდია 6l, ანუ 6 სინოდური თვე, რომლის შემდეგ მოდის 41l. რაც შეეხება საროსის სხვა შიდა პერიოდებს, ისინი შემდეგი წესით მიიღებიან: 47=6+41, 88=47+41, 135=88+47, 223=135+88. ადვილად შეიძლება დავრწმუნდეთ იმაში, რომ მაღალი რიგის შიდა პერიოდები შეიძლება დაბალი რიგის შიდა პერიოდებით გამოისახონ. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია საროსის შემდეგი წარმოდგენა ([6], 18).

$$223=3\times 47+2\times 41$$

საროსის შიდა პერიოდებს შორის ცენტრალური ადგილი უკავია პერიოდს სიგრძით 47l ([8], 125, 184, [7], 121). მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა განპირობებულია ბაბილონელი ასტრონომებისათვის კარგად ცნობილი ფუნდამენტალური პერიოდული დამოკიდებულებით

$$47l\acute{~}51d$$

$$235l=5\times 47l\acute{~}19S$$

როგორც ცნობილია, ბაბილონური დაკვირვებითი ასტრონომიის შესახებ სრული სურათი შეიქმნა 1955 წ. ა. ზაქსის მიერ ასტრონომიული შინაარსის ლურსმული დამწერლობითი ტექსტების გამოქვეყნების შემდეგ. ამ ტექსტებში გამოყენებული იყო შუმერული და აქადური ენები. ჩვ. წ.-მდე პირველი ათასწლეულის განმავლობაში აქადურ ენას თანდათანობით ცვლის არამეული დიალექტი, ხოლო ლურსმულ დამწერლობას — არამეული. მაგრამ ბაბილონური ცივილიზაციის რელიგიურ ცენტრებთან არსებულ სკოლებში უძველესი ენები და ლურსმული დამწერლობა დიდი ხნის განმავლობაში ისწავლებოდა. ლურსმული ასტრონომიული ტექსტები იქმნებოდნენ ჩვ. წ.-ის პირველ საუკუნემდე. სწორედ ამიტომ შემოგვინახა ისტორიამ ტექსტების დიდი რაოდენობა. ამ ტექსტებზე დაყრდნობით დღეს შეიძლება სრულიად გარკვეულად ჩაითვალოს ის, რომ ასტრონომიული მოვლენების სისტემატური დაკვირვებები დაიწყო ბაბილონური ცივილიზაციის ასირიულ პერიოდში და უწყვეტად გრძელდებოდა სელევკიდების ეპოქამდე ([8], 104) დაკვირვებითი ტექსტების მასივში დაბნელებათა ე. წ. დღიურები შეადგენენ ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს. ისინი ქრონოლოგიურ მიმდევრობაში იძლევიან სრულ ინფორმაციას ასტრონომიული დაკვირვებებისა და მოსალოდნელი დაბნელებების შესახებ. ყველაზე ადრინდელი ტექსტი დაბნელებათა დღიურისა გამოაქვეყნეს პ. ნოიგებაუერმა და ე. ვაიდნერმა 1915 წელს. ეს ტექსტი თარიღდება ნაბუქოდონოსორ მეორის მეფობის 37-ე წლით, რაც ჩვ წ.-მდე 568 წელს შეადგენს. ტექსტში ნაწინასწარმეტყველებია მთვარის დაბნელება ჩვ. წ.-მდე 568 წლის 4 ივლისს. დაბნელება, მართლაც, მოსალოდნელი იყო, მაგრამ იგი არ მოხდა. სრულიად აშკარაა, რომ წინასწარმეტყველება დაბნელების შესახებ გაკეთებულია არა 18 წლიანი საროსის ან გასამკეცებული საროსის, ანუ 54 წლიანი ექსელიგმოსის პერიოდებზე დაყრდნობით, არამედ მხოლოდ საროსის შიდა პერიოდებით 6l და 47l. მართლაც, როგორც 6l-ით, ისე 47l-ით ადრე მთვარის დაბნელებას ადგილი ჰქონდა შესაბამისად ჩვ. წ.-მდე 568 წლის იანვარში და 562 წლის სექტემბერში, მაშინ როდესაც 568 წლის 4 ივლისის დაბნელებას საროსის ციკლში წინამორბედი არ გააჩნდა. 47l სიგრძის პერიოდის მეშვეობით ანალოგიურად იხსნება ფ. კუგლერის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტში ნაწინასწარმეტყველები მზის დაბნელება (ჩვ. წ.-მდე 425 წ. 28 ოქტომბერი), რამეთუ ზუსტად 47l-ით ადრე ამ დაბნელებამდე ადგილი ჰქონდა მზის დაბნელებას. პერიოდი 47l იძლევა აგრეთვე ერთადერთ დამაკმაყოფილებელ ახსნას იმისა, თუ რატომ აპირებდა ჩვ. წ.-მდე 688 წელს ასირიელი მეფის ასარხადონის კარის ასტროლოგი მარ-იშტარი მზის დაბნელების დაკვირვებას ძველბაბილონური კალენდრის აბუ თვის 28, 29, 30 რიცხვებში ([3], 99, 184).

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მთვარის ან მზის ორ მომდევნო დაბნელებას შორის თავსდება სინოდური თვეების მთელი რიცხვი, ამიტომ ფორმულაში 47l´51d დაზუსტებას მოითხოვს დრაკონული თვეების რაოდენობა რაღაც m/n სახის წილადი რიცხვით. ამრიგად, მაღალი რიგის კალენდრული სიზუსტეები უნდა ვეძიოთ შემდეგ პერიოდულ დამოკიდებულებაში

$$47l \sim 51 m/n\ d,$$

სადაც m/n უცნობი წილადი რიცხვია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ m=1 და n=237, ანუ წილადი რიცხვი 1/237, ჩვენი პერიოდული დამოკიდებულების ასტრონომიულ მნიშვნელობას წამების სიზუსტით აზუსტებს ([8], 125).

ზემოთმოყვანილ პერიოდულ დამოკიდებულებასთან უშუალოდ დაკავშირებულია პრობლემა, რომელიც მთვარისა და მზის დაბნელებათა ბაბილონური 684 წლიანი პერიოდის ახსნას ეხება. ფ. კუგლერის მიხედვით, დაბნელებათა ეს პერიოდი ძველ ბაბილონურ ასტროლოგიურ ტექსტებში რამდენჯერმე გვხვდება. მანვე დაადგინა, რომ 684 წლიანი პერიოდის ახსნა დაბნელებათა უშუალო დაკვირვებებით შეუძლებელია. მისი ახსნა აგრეთვე შეუძლებელია მთვარის დაბნელებათა ჩვენთვის ცნობილი სხვადასხვა პერიოდების კომბინაციებით, მათ შორის საროსის გამრავლებით. ამრიგად, 684 წლიანი პერიოდი წარმოადგენს ნამდვილ გამოცანას, რომელიც ახსნას მოითხოვს. პრობლემას ნათელი მოჰფინა ბ. ვან-დერ-ვარდენმა ([8], 124—125). იგი თვლის, რომ ბაბილონელებისათვის ამოსავალი იყო პერიოდული დამოკიდებულება $47l \sim 51\,m/n\ d$, რომელშიც m=1, n=180 და მიიღეს $47l \sim 51\ 1/180d$. 180-ზე გამრავლებით მივიღებთ პერიოდულ დამოკიდებულებას

$$(180\times 47)l \sim (51\times 180+1)d.$$

მაგრამ ვინაიდან $235 \sim 19S$, ამიტომ

$$180\times 47l=36\times 5\times 47l=36\times 235l \sim 36\times 19S=684S.$$

ამრიგად, 47l სიგრძის პერიოდის 180-ზე გამრავლებით მიღებულია ერთი შეხედვით ზუსტი 684 წლიანი დაბნელებათა პერიოდი, რომელსაც სინამდვილეში გარკვეული ცდომილება გააჩნია, რადგან 1/180 განსხვავდება ზუსტი მნიშვნელობისაგან 1/237. ბუნებრივად იბადება კითხვა: რა მოსაზრებაზე დაყრდნობით შეეძლოთ ბაბილონელ ასტრონომებს დრაკონულ თვეთა რიცხვის დაზუსტება წილადი რიცხვით 1/180?

## 4. საროსის მოდულარული თეორია

ჩვენ ასონიშნიან ქართულ ასომთავრულ ანბანში სახელდებით — რიცხვითი და გრაფიკულ-რიცხვითი ასტრონომიური სისტემების დეტალურმა ანალიზმა ჩვენ დაგვარწმუნა იმაში, რომ საროსთან (223l) და მის ცენტრალურ შიდა პერიოდთან (47l) დაკავშირებული ფუნდამენტალური პერიოდული დამოკიდებულებები

$$47l \sim 51d$$

$$223l \sim 242d$$

ერთდროული განხილვის საგანს შეადგენენ.

არსებითია ის, რომ 47, 51, 223, 242 ურთიერთმარტივი რიცხვებია, ანუ მათ საერთო გამყოფები არ გააჩნიათ, ეს იმას ნიშნავს, რომ სინოდურ თვეთა გამომხატველი ნებისმიერი C რიცხვი 47-სა და 223-ის წრფივი კომბინაციით უნდა გამოიხატოს. იგივე ითქმის დრაკონულ თვეთა გამომხატველ ნებისმიერ D რიცხვზეც, რომელიც დრაკონული პერიოდების 51-სა და 242-ის წრფივი კომბინაციით უნდა გამოიხატოს. ამრიგად, ადგილი უნდა ჰქონდეს შემდეგ წრფივ დამოკიდებულებებს

$$C=47k+223r$$

$$D=51u+242v$$

სადაც k, r, u, v საძიებელი მთელი რიცხვებია. როგორ ვიპოვოთ მთელ რიცხვთა წყვილები (k, r) და (u, v) წინასწარ დასახელებული ნებისმიერი C და D რიცხვებისათვის? ცხადია, საკმარისია ამოცანა ჯერ გადავწყვიტოთ იმ კერძო შემთხვევაში, როდესაც C=D=1, ანუ უნდა მოვძებნოთ ე. წ. ერთეულის დაშლები

$$1=47k+223r$$

$$1=51u+242v,$$

რომლებიდანაც ჩვენთვის სასურველი შედეგი მარტივად მიიღება პირველის C-ზე და მეორის D-ზე გამრავლებით.

ჩვენს აღფრთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მივაკვლიეთ ასეთ შესანიშნავ ფაქტს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურთიერთმარტივი რიცხვების წყვილები (47, 228) და (51, 242) ერთდროულად დაიყვანებიან ერთეულზე, ანუ ადგილი აქვს ტოლობას

$$47\times 242-51\times 228=1$$

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი C და D რიცხვებისათვის ორუცნობიან განტოლებათა სისტემას

$$47x+228y=C$$
$$51x+242y=D$$

გააჩნია ერთადერთი მთელი ამოხსნა (x, y.) თანამედროვე მათემატიკის ენაზე ზემოთმოყვანილი სისტემის განმსაზღვრელ ოთხეულს

47 228

51 242

მოდულარული ეწოდება. იგივე სამართლიანია ე. წ. შეუღლებულ განტოლებათა სისტემის მიმართაც

$$47x+51y=A$$
$$228x+242y=B$$

რომლის მიხედვით 47l და 228l დაბნელებათა პერიოდებით განპირობებული ფუნდამენტალური პერიოდული დამოკიდებულებები იდენტურნი არიან. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უნდა არსებობდეს 47l˝51d პერიოდული დამოკიდებულების სტანდარტული დაზუსტება m/n წილადი რიცხვით. როგორც შემდგომ დავინახავთ, ეს მართლაც ასეა.

დავიწყოთ იმით, რომ ადგილი აქვს შემდეგ უაღრესად მნიშვნელოვან დებულებას:

საროსი, ანუ პერიოდული დამოკიდებულება 228l˝242d ექვივალენტურია კალენდრული სიზუსტის თვალსაზრისით უფრო მაღალი რიგის პერიოდული დამოკიდებულებისა

47˝51 1/228d,

მართლაც, უპირველეს ყოვლისა შევნიშნოთ, რომ სტატისტიკურად დადგენილი პერიოდული დამოკიდებულება ან კალენდრული ფორმულა შეიძლება გავამრავლოთ ერთზე ნაკლებ წილად რიცხვზე, ვინაიდან პერიოდულ დამოკიდებულებაში მონაწილე კალენდრული ერთეულების საშუალო მნიშვნელობები თანაბრად არიან განაწილებულები წინასწარ დადგენილ შუალედში. საროსის გამრავლებით ერთზე ნაკლებ წილად რიცხვზე 47/228 მივიღებთ

47l˝(47/228)×242d

იმის გათვალისწინებით, რომ რიცხვთა წყვილები (47, 228) და (51, 242) ერთდროულად დაიყვანებიან ერთეულზე და ადგილი აქვს ტოლობას

$$47\times 242=51\times 228+1,$$

გვექნება

47l˝(51×228+1)/228d,

საიდანაც საბოლოოდ ვღებულობთ

47l˝51 1/228d,

დავამტკიცოთ ახლა შებრუნებული დებულების სამართლიანობაც. უპირველეს ყოვლისა შევნიშნოთ, რომ ყოველთვის შეიძლება წილადი რიცხვით დაზუსტებული პერიოდული ან კალენდრული დამოკიდებულების გამრავლება წილადის მნიშვნელზე (დაუშვებელია დაუზუსტებელი პერიოდული დამოკიდებულების გამრავლება ერთზე მეტ რიცხვზე.) ამრიგად, 47l˝51 1/228d პერიოდული დამოკიდებულების გამრავლებით 228-ზე ჩვენ ვღებულობთ

228×47l˝(51×228+1)d

მაგრამ ერთეულის დაშლის გათვალისწინებით

$$51\times 228+1=47\times 242,$$

ამიტომ ადგილი აქვს დამოკიდებულებას

228×47l˝ 47×242d,

ამ პერიოდული დამოკიდებულების გამრავლება წილად რიცხვზე 1/47 (რაც, ცხადია ყოველთვის შეიძლება) გვაძლევს პირდაპირ საროსს

228l˝242d.

ამრიგად, დებულება მთლიანად დამტკიცებულია. ეს დებულება უფლებას გვაძლევს სინოდური თვის ხანგრძლივობა უკვე 6 ნიშნის სიზუსტით გამოვითვალოთ.

როგორც ვიცით, საროსი განისაზღვრება შემდეგი პერიოდული დამოკიდებულებით

$$223l \approx 242d \approx 6585\ 1/3a,$$

რომლის გამრავლებით 47/223 წილად რიცხვზე ვღებულობთ

$$47l \approx 51\ 1/223d \approx (47/223) \times 6585\ 1/3a$$

ვინაიდან ამ ჭეშმარიტი დამოკიდებულებების შუა წევრი დაზუსტებულია წილადი რიცხვით 1/223, ამიტომ უფლება გვაქვს მთელი გამოსახულება გავამრავლოთ წილადის მნიშვნელზე, საიდანაც სინოდური თვის მნიშვნელობის განსაზღვრისათვის ვღებულობთ დამოკიდებულებას

$$47 \times 669l \approx 928532a.$$

როგორც ვხედავთ, 47×669, ანუ 47 ექსელიგმოსი, დღეღამეთა 6—ნიშნა რიცხვს შეიცავს. ეს იმას ნიშნავს, რომ სინოდური თვის მნიშვნელობა ამ კალენდრული დამოკიდებულებიდან 6 ნიშნის სიზუსტით განისაზღვრება და იგი ტოლია 29.5306 a, რაც მისი რეალური ასტრონომიული მნიშვნელობისაგან 29.530588a მხოლოდ 5 წამით განსხვავდება. მიღებულ შედეგს კალენდრული სიზუსტეების თვალსაზრისით უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ცხადია, იგივე ითქმის დრაკონული თვის მნიშვნელობის განსაზღვრის შესახებაც. გამოდის, რომ გენიალურ ბერძენ ჰიპარქამდე სულ ცოტა 150 წლით ადრე ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელებმა იცოდნენ 5 წამის სიზუსტით სინოდური თვის რეალური ასტრონომიული მნიშვნელობა. ასეთი მაღალი კალენდრული სიზუსტეები, ცხადია, პირდაპირი შედეგია $47l \approx 51d$ ფუნდამენტალურ პერიოდულ დამოკიდებულებაში დრ. თვეთა რაოდენობის წილადი რიცხვით დაზუსტების სტანდარტული პროცედურისა, რომელიც, როგორც დავინახეთ, მთლიანად საროსის მოდულარულ თეორიას ეყრდნობა. ეს ფაქტი ჭეშმარიტად ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა.

## ნ. სახელდებითი „ან“ ჯგუფი

ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასონიშანი ასონიშანთა ყველა ფაქტორით მთვარეს წარმოგვიდგენს ([8], 96, 167). ჩვენ დავუმატებდით კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: „ან“ სახელდების რიცხვითი მნიშვნელობა 51 მთვარისა და მზის დაბნელებათა პერიოდია.

სახელდებით „ან“ ჯგუფს აქვს შემდეგი სახე ([8], 119)

ა ბ გ თ კ მ ჟ ს ქ ღ ც ხ ჯ
ნ ნ ნ ნ ნ ნ ნ ნ ნ ნ ნ ნ
ნ ნ ნ ნ ნ ნ ნ ნ ნ ნ ნ ნ ნ

დანართი „ან“ განსახილველ ჯგუფს ორ ნაწილად ყოფს. პირველი ნაწილია თვით ასონიშანი „ა“, ხოლო მეორე ნაწილი წარმოადგენს თორმეტეულს

ბ გ თ კ მ ჟ ს ქ ღ ც ხ ჯ

10-ობითი თანრიგების მიხედვით ეს თორმეტეული სამეულებად იშლება

| ბ | გ | თ | კ | მ | ჟ | ს | ქ | ღ | ც | ხ | ჯ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 3 | 9 | 20 | 40 | 90 | 200 | 600 | 700 | 2000 | 6000 | 8000 |
| ერთეულები | | | ათეულები | | | ასეულები | | | ათასეულები | | |

არსებითია, რომ სამეულები ფიქსირებულია ლიდერებით

| ბ | კ | ს | ც |
|---|---|---|---|
| 2 | 20 | 200 | 2000 |

შევუდგეთ სახელდებით „ან“ ჯგუფის რიგითი ნომრების განხილვას. დავალაგოთ ისინი წარმოჩენილი სამეულების მიხედვით

2 3 9 11 13 18 20 24 25 29 33 35

ასონიშანთა ერთობლიობის განხილვის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება რიგითი ნომრების ჯამს ე. წ. წონას ჩვენ გვაქვს

$$1+(2+3+9)+(11+13+18)+(20+24+25)+(29+33+35)=1+14+42+69+97=1+14+111+97=1+111+14+97=1+111+111=1+222=223$$

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, სახელდებითი „ან“ ჭგუფის წონა უდრის 228-მთვარისა და მზის დაბნელებათა ქალდეის პერიოდს — საროსს.

არსებითია, რომ „ან“ ჭგუფში „ან“-თან ერთად „ცან“-იც მონაწილეობს, ერთი მხრივ, „ა“ და „ც“ რიგითი ნომრებით 1 და 29 მთვარის სინოდურ თვეს წარმოგვიდგენენ. მეორე მხრივ, ასომთავრულად მათ მონათესავე გრაფიკა გააჩნიათ და სწორედ მთვარეს უხვამენ ხაზს. გამოვყოთ 29 ცალკე შესაკრებად საროსის ზემოთმოყვანილ წარმოდგენაში

$228 = 1 + 111 + 111 = 1 + 111 + 29 + 82$

$82 = 2 \times 41$-ის გამოჩენა დადებითი მომენტია, ვინაიდან, როგორც ვიცით 41 საროსის შიდა პერიოდია

ჩვენ გვაქვს:

$228 = 1 + 29 + 111 + 2 \times 41 = 1 \quad 41 + 2 \times 41 = 8 \times 47 + 2 \times 41.$

საროსის უაღრესად მნიშვნელოვანი სერია $228 = 8 \times 47 + 2 \times 41$.

მნასონიშნიანი ქართული ასომთავრული ჰნბანი „ან“ -ით იწყება „ჭან“-ით მთავრდება და მის ცენტრში „ჟან“-ი ზის. იგივე ითქმის „ან“ ჭგუფზეც

ა ბ გ თ კ მ ჟ ს ქ ლ ც ხ ჭ

ცენტრალური ასონიშანი „ჟ“ რიგითი ნომრით და რიცხვითი მნიშვნელობით საროსთან არის დაკავშირებული. „ჟ“-ს რიგითი ნომერია 18, ხოლო რიცხვითი მნიშვნელობა $90 = 5 \times 18$. გავიხსენოთ, რომ ბაბილონელთა მიხედვით საროსი 18-ა. ეჭვი არ არის, სახელდებითი „ან“ ჭგუფი საროსსა და მის შიდა პერიოდებს წარმოგვიჩენს.

დავუბრუნდეთ სამეულთა ლიდერებს

ბ კ ს ც

და განვიხილოთ მათი რიგითი ნომრები

2 11 20 29

ისინი ქმნიან არითმეტიკულ პროგრესიას პირველი წევრით 2 სხვაობით 9.

გავაგრძელოთ ეს მიმდევრობა კიდევ სამი წევრით

2 11 20 29 38 47 56

47-ის გამოჩენა დადებითი მომენტია. სამეული 38, 47, 56 აფიქსირებს 47-ის შემდეგ არითმეტიკულ თვისებებს

ა) განვიხილოთ ნატურალური რიცხვები 38-იდან 56-მდე ჩათვლით. ამ ერთობლიობაში მონაწილეობას მიიღებს 19 რიცხვი და 47 ცენტრალურ ადგილს დაიჭერს.

ბ) $47 = 19 + 28$. მართლაც, ვინაიდან 47 [38, 56]-ის ცენტრია, ამიტომ

$47 = (38 + 56)/2 = (2 \times 19 + 2 \times 28)/2 = 2 \times (19 + 28)/2 = 19 + 28.$

გ) $285 = 19 + 20 + 21 + 22 + 23 + 24 + 25 + 26 + 27 + 28.$ მართლაც, $285 = 5 \times 47 = 5 \times (19 + 28) = (19 + 28) \times (28 - 19 + 1)/2 = 19 + 20 + 21 + 22 + 23 + 24 + 25 + 26 + 27 + 28.$ ამრიგად 285, ანუ მთვარისა და მზის ფაზათა ტოლობების პერიოდი — 19 წლიანი ციკლი არის ჯამი 19-დან 28-მდე ჩათვლით. ეს წარმოდგენა უაღრესად მნიშვნელოვანია და ეფექტური ასონიშანთა ერთობლიობით

რ ს ტ ჳ ფ ქ ღ ყ შ ჩ

ამრიგად, ასონიშანთა ერთობლიობა „რ“-დან და „ჩ“-მდე ჩათვლით თავისი წონით მთვარისა და მზის ფაზათა ტოლობების ბაბილონურ ციკლს იძლევა.

დ) 47-ის ცენტრია 24. ამრიგად, თუ 47 ნატურალურ რიცხვს ერთ რიგად დავალაგებთ, 24 ამ მიმდევრობაში ცენტრალურ ადგილს დაიჭერს. დავუკვირდეთ ზემოთმოყვანილ ასონიშანთა რიგით ნომრებს 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28. ბოლოებიდან თანაბრად დაშორებული რიცხვების ჯამია 47. ამრიგად, 47 როგორც კენტი რიცხვი წარმოადგენს ორი მომდევნო კენტი რიცხვის 23-ისა და ლუწი რიცხვის 24-ის ჯამს $47 = 23 + 24$. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 24 47-ის ცენტრია (გავიხსენოთ, რომ კენტ რიცხვს აქვს სახე $2k-1$, $2k-1 = (k-1) + k$. k ცენტრია. მართლაც, $k = ((2k-1)+1)/2$) ამრიგად, 47-თან ერთად 47 საათიც მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. მისი ცენტრია 24 საათი— ძირითადი კალენდრული ერთეული.

ე) 47 სრულყოფილ რიცხვებთან 6-სა 28-თან მჭიდროდ არის დაკავშირებული. მართლაც, 47 სინოდური თვე, როგორც შიდა პერიოდი, წარმოადგენს შიდა პერიოდების 6-სა და 41-ის ჯამს. ამრიგად, მთვარისა და მზის დაბნელებათა შიდა პერიოდების მიხედვით 47 უკავშირდება სრულყოფილ რიცხვს 6-ს. მეორე მხრივ, $5 \times 47 = 235$ სინოდური თვე მთვარისა და მზის ფაზათა ტოლობების 19 წლიან ციკლს განსაზღვრავს. ამასთან ერთად დამოკიდებულებები $235 = 19 + \ldots + 28$, $47 = 19 + 28$ უფლებას გვაძლევენ დავასკვნათ, მთვარისა და მზის ფაზათა ტოლობების თვალსაზრისით 17 სრულყოფილ რიცხვს. 28-ს უკავშირდება 47-ის კავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის 6-სა და 28-თან ზუსტად ასახავს პითაგორული მოძღვრების დედაარსს სამყაროს აგებულების შესახებ ([8], 295; [7).

საბოლოო დასკვნა ასეთია: ქართული ასომთავრული ანბანის სახელდებით „ან" ჯგუფი წარმოაჩენს ფუნდამენტალურ პერიოდულ დამოკიდებულებებს,

285l˝19S

47l˝51d

223l˝242d

„ან" ჯგუფის განხილვა მთლიანად დამთავრებულია.

## 6. ერთობლიობა „ოჳ"

1976 წელს ო. ნოიგებაუერმა და ა. ზაქსმა გამოაქვეყნეს ლურსმული ტექსტი ([8], 858), რომლის მიხედვით ბაბილონელები მთვარისა და მზის დაბნელებებს უშუალოდ მთვარისა და მზის ფაზათა ტოლობების 19 წლიან პერიოდს უკავშირებდნენ. „ან" — ჯგუფის განხილვამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ეს კავშირი ფუნდამენტალური პერიოდული დამოკიდებულებებითაც დასტურდება

$$5\times 47l = 285l˝19S,$$

$$47l˝51d.$$

იბადება კითხვა: შესაძლებელია თუ არა ასონიშანთა არითმეტიკული მახასიათებლებით ზემოთმოყვანილი დამოკიდებულებების ერთდროული ფიქსაცია? პასუხი დადებითია: ავიღოთ მე-16 ასონიშანი „ო" სათვალავით 70 და „ჳ" 22-ე სათვალავით 400, მაშინ ასონიშანთა წყვილის „ოჳ" რიცხვითი მნიშვნელობა იქნება 70+400=470, ხოლო წონა (რიგითი ნომრების ჯამი) 16+22=38. მაგრამ 470=2×285, ხოლო 38=2×19. ამრიგად, ორი ასონიშნის რიცხვითი მნიშვნელობა უდრის 2×285, ოლო წონა 2×19. როგორც ვხედავთ, დაბნელებათა პერიოდის 47-ის („ოჳ"—470=10×47) ფონზე „ოჳ"-თი წარმოჩინდება ბაბილონური 19 წლიანი ციკლის განმსაზღვრელი დამოკიდებულების ორივე მაჩვენებელი 285 და 19 ერთდროულად უალრესად მნიშვნელოვანი დამოკიდებულებების ერთდროული ფიქსაცია სახეზეა. ახლა ჩვენ დავინახავთ, რომ სინამდვილეში „ოჳ" მთვარისა და მზის პერიოდებთან დაკავშირებით. კიდევ შეიცავს ინფორმაციას. საქმე ის არის რომ „ოჳ" აფიქსირებს მთვარის სინოდური თვის შესანიშნავ შვიდეულს: ახალმთვარეობიდან მე-16 დღეს, რომელსაც ბაბილონელები დაგვიანებულ სრულმთვარეობას უძახდნენ ([3], 129), ხოლო ქართულად მას მცხრალი ეწოდება ([2], 540) სრული მთვარე იკლებს ისე, რომ 22-ე დღეს იგი შედის თავის ახალ ფაზაში მესამე მეოთხედში. ერთი სიტყვით ადგილი აქვს ასეთ სურათს

| | |
|---|---|
| ო | ჳ |
| 16 | 22 |

16 და 22 სიმეტრიულად არიან განლაგებულნი 19-ის მიმართ

$$(16+22)/2=19.$$

სხვანაირად რომ ვთქვათ, 16 და 22 შეადგენენ სეგმენტს ცენტრით 19 სიგრძით 7

16 17 18 19 20 21 22

ცხადია, ამ შვიდეულის წონა 16+17+18+19+20+21+22=7×19-ს შეადგენს. 16-ისა და 22-ის კავშირი 19-თან აშკარაა. არსებითია წარმოდგენილი შვიდეულის შემდეგი დაშლა (16 17 18) (19 20 21 22). მათი წონები მთვარისა და მზის დაბნელებათა ცნობილ პერიოდებს წარმოგვიდგენენ. მართლაც, 16+17+18=51-მთვარისა და მზის დაბნელებათა ცნობილი პერიოდი. ზუსტად ასევე 19+20+21+22=2×41 — საროსის შიდა პერიოდი განპირობებული დაშლით 223=8×47+2×41.

შენიშვნა: (16, 17, 18)-ის ფიქსაცია არ არის შემთხვევითი. საქმე ის არის, რომ ძველად მარტივი რიცხვის 17-ის მიმართ გარკვეული უნდობლობა არსებობდა, რამეთუ იგი ისეთი ორი შესანიშნავი რიცხვის შუაშია, როგორებიც არიან 16 და 18 (ეს რიცხვები და მხოლოდ ისინი იძლევიან შემდეგი ამოცანის ამოხსნას: ვიპოვოთ ისეთი ნატურალური რიცხვი n, რომელიც წამოადგენს მართკუთხედის ფართობს იგივე n პერიმეტრით ([7], 184).

ზემოთმოყვანილი მსჯელობა ჩვენ უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ასონიშანთა წყვილი „ოჳ" და სეგმენტი „ოპჟრსტჳ" ასონიშანთა არითმეტიკული მახასიათებლებით აფიქსირებენ ერთი მხრივ, მთვარისა და მზის და დაბნელებათა უმნიშვნელოვანეს პერიოდებს. მეორე მხრივ, მთვარისა და მზის ფაზათა ტოლობების განმსაზღვრელ მაჩვენებლებს. სეგმენტი „ოჳ" ქართულ ასომთავრულ ანბანში არა თუ ფიქსირებულია, არამედ კალენდრული თვალსაზრისით, ასონიშანთა სახელდებების მეშვეობით უმაღლეს საფეხურზეა აყვანილი.

შევავსოთ სეგმენტი „ჳ“ ქართული ასომთავრული ანბანის ასონიშანთა სახელდებით. ჩვენ მივიღებთ

ო პ ჟ რ ს ტ
ნ ა ა ა ა ა ე
რ ნ ე ნ რ

ვუწოდოთ მას ერთობლიობა „ოჳ“. იგი მოიცავს 19 ასონიშანს, აქედან 7 შეადგენს სეგმენტს „ოჳ“, ხოლო 12 სახელდებითი ნაწილია

ნ ა ა ა ა ა ე
რ ნ ე ნ რ

19=12+7 მომდინარეობს ბაბილონური მთვარე მზის 19 წლიანი ე. წ. ინტერკალაციური ციკლიდან ([3], 114; [4], 105, 108), რომლის თანახმად

$$19S'12\times19l+7l,$$

ანუ 19 მზის წელიწადი შეიცავს 19 მთვარის წელიწადს (19×12=228l) პლუს 7 დამატებით იტერკალაციურ თვეებს, ანუ ემბოლისმიკებს, სულ 228+7=235 სინოდურ თვეს. თვის ჩამატება, ანუ ინტერკალაცია, ხდებოდა ციკლის ყოველ 3, 6, 8, 11, 14, 16, 19 წლებში ([4], 105). იგივე მიმდევრობა მკაცრად იყო დაცული ცნობილ მეტონის ციკლშიც ([4], 105, 108).

„არსებითია, რომ ერთობლიობა „ოჳ-ს 19 ასონიშნის წონა 19-ის ჯერადია და შეადგენს 12×19= 228-ს, რაც აშკარად უსვამს ხაზს 19 წლიანი ციკლის სინოდურ მდგენელს—228l-ს, მართლაც,

$$ო\ ნ—16+14=30$$
$$პ\ ა\ რ—17+1+19=37$$
$$ჟ\ ა\ ნ—18+1+14=33$$
$$რ\ ა\ ე—19+1+5=25$$
$$ს\ ა\ ნ—20+1+14=35$$
$$ტ\ ა\ რ—21+1+19=41$$
$$ჳ\ ე—22+5=27$$

რაც გვაძლევს $30+37+33+25+35+41+27=228=12\times19$.
მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა რიცხვების 30, 37, 33, 25, 35, 41, 27, ანუ სეგმენტ „ოჳ“-ს ასონიშანთა სახელდებების წონათა 19-ზე გაყოფის ნაშთები, როგორც ამბობენ მათი მნიშვნელობების 19-ის მოდულით mod19:

$$30=1\times19+11=11\bmod19:$$
$$37=1\times19+18=18\bmod19:$$
$$33=1\times19+14=14\bmod19:$$
$$25=1\times19+6=6\bmod19:$$
$$35=1\times19+16=16\bmod19:$$
$$41=2\times19+3=3\bmod19:$$
$$27=1\times19+8=8\bmod19:$$

მივიღეთ რიცხვები 3, 6, 8, 11, 14, 16, 18. როგორც ვხედავთ, 18-ის გარდა ეს რიცხვები ემთხვევიან ბაბილონური ციკლის ემბოლისმიკებს. ეჭვსი თანხვდენა შვიდიდან დიდი გარანტიაა იმისათვის, რომ დავასკვნათ: ერთობლიობა „ოჳ“, ბაბილონური 19 წლიანი ციკლის განმსაზღვრელ დამოკიდებულებასთან ერთად (19S′235l) მის ინტერკალაციურ წლებსაც წარმოგვიდგენს, ანუ ციკლს მთლიანად, ყველა ატრიბუტებით. უნდა აიხსნას მხოლოდ გამონაკლისის 18-ის არსი, გავიხსენოთ, რომ ბაბილონში საროსი მოიხსენებოდა უბრალოდ — 18. ამიტომ წარმოჩენილი გამონაკლისი საროსს ხომ ჰრ აღნიშნავს? პასუხი დასმულ შეკითხვაზე დადებითია. საქმე ის არის, რომ თუ 19 წლიან ციკლში ბოლო ემბოლისმიკა არის 18, მივიღებთ 18 მთვარის წელიწადს პლუს 7 ინტერკალაციას, რაც გვაძლევს $18\times12+7=216+7=223$ სინოდურ თვეს, ანუ საროსს. წარმოჩინდა საროსის ახალი, მეტად მნიშვნელოვანი წარმოდგენა იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უშუალოდ ჩამონტაჟებულია 19 წლიან ციკლში და ზუსტად ასახავს იმ გარემოებას, რომ 19 წლიანი პერიოდი და მთვარისა და მზის დაბნელებები ერთმანეთთან უშუალოდ დაკავშირებულია. როგორც აღვნიშნეთ, ეს კავშირი არსებითია და იგი სხვადასხვა სახით იჩენს თავს. რაღაც ფორმით მას ბაბილონური ასტრონომებიც ხმარობდნენ მზისა და მთვარის დაბნელებათა წინასწარმეტყველების საქმეში ([8], 358). ამრიგად, 235 სინოდური თვე ორ დაშლას უშვებს;

$$235=228+7,$$
$$235=223+12.$$

პირველი მათგანი, ჩვეულებრივი ბაბილონური ციკლია: 19 მთვარის წელიწადი ანუ $12\times19=228$

სინოდური თვე პლუს 7 დამატებითი თვე. მეორე დაშლა წარმოგვიდგენს საროსს: 18 მთვარის წელიწადი, ანუ $18 \times 12 = 216$ სინოდური თვე პლუს 7 დამატებითი თვე. სულ $216 + 7 = 223$ სინოდური თვე — საროსი და პლუს 12 სინოდური თვე, ანუ ბოლო მე-19 მთვარის წელიწადი. როგორც ვხედავთ საროსს 223-მდე 5 სინოდური თვე აკლია: $228 = 223 + 5$. ეს დამოკიდებულება ერთობლიობა „ოჳ"-ში მისი შუა სტრიქონის ხუთი „ა"-თი შესანიშნავად არის მონიშნული.

შევუდგეთ ახლა ერთობლიობა „ოჳ"-ს უშუალოდ სახელდებითი ნაწილის განხილვას. არსებითი აღმოჩნდა მისი, როგორც სათვალავები:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 50 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 5 |
| 100 | 50 | 5 | 50 | 100, | | |

ისე რიგითი ნომრები:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 14 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 5 |
| 19 | 14 | 5 | 14 | 19. | | |

ერთობლიობა „ოჳ"-ს სახელდებითი ნაწილი 12 ასონიშანს შეიცავს, ხწრაფად იშიფრება მათი სათვალავები, გამოვთვალოთ მათი ჯამი, ანუ გავიგოთ ჩვენი 12-ეულის რიცხვითი მნიშვნელობა. $50 + 1 + 1 + 1 + 1 + 5 + 100 + 50 + 5 + 50 + 100 = 1 + 1 + 1 + 1 + 1 + 360 = 5 + 360 = 365$. ამრიგად, გვაქვს 12-ეული მნიშვნელობით 365 ისე, რომ, ხაზი აქვს გასმული $365 = 360 + 5$. მიღებული მონაცემები ასეთ ბუნებრივ ინტერპრეტაციას უშვებენ 12 თვე, ანუ 360 დღეღამე პლუს 5 დღეღამე ე. წ. ეპაგომენი. ამრიგად, ერთობლიობა „ოჳ"-ს სახელდებითი ნაწილი წარმოგვიდგენს ტროპიკულ წელიწადს ეგვიპტური კალენდრის მიხედვით. ეს შედეგი ნათელს ჰფენს უკვე ჩვენი 12-ლის წონასაც (რიგითი ნომრების ჯამს). ჩვენ გვაქვს

$$14 + 1 + 1 + 1 + 1 + 1 + 5 + 19 + 14 + 5 + 14 + 19 = 1 + 1 + 1 + 1 + 1 + 90 = 90 + 5 = 95.$$

95 კანონიკური ფორმით ჩაიწერება მე-18 ასონიშნით „ჟ", რომლის სათვალავია 90 და მე5 ასონიშნით „ე" სათვალავით 5: „ჟე". ასონიშანთა ამ წყვილის წონა, ცხადია, იქნება $18 + 5 = 23$. ვინაიდან, ერთი მხრივ, $5 \times 19 = 95$ თავისთავად კალენდრულ პერიოდს წარმოადგენს და, მეორე მხრივ, ამ პერიოდში ყოველი ოთხწლეული სამი უნაკო და ერთი ნაკიანი წლებისაგან შედგება, ამასთან ასეთი ოთხწლეულების რაოდენობა 23-ია ($95 = 4 \times 23 + 3$), ამიტომ 95-ის კანონიკური წარმოდგენა „ჟე", რომლის წონაა 23, შემდეგ კალენდრულ ფორმულას იძლევა: 23 ნაკიანი წელი ყოველ 95 წელიწადში. ამ პერიოდულ დამოკიდებულებაში კალენდრული სიზუსტეების შეფასებამ გვიჩვენა, რომ საქმე გვაქვს უმაღლესი კლასის მზისა და მთვარე — მზის კალენდრებთან, მართლაც, წარმოჩენილი კალენდრული ფორმულა ნაკიანი და უნაკო წლების ხანგრძლივობების გათვალისწინებით შემდეგნაირად ჩაიწერება

$$95S = (23 \times 366 + (95 - 23) \times 365)a.$$

იმის გათვალისწინებით, რომ $366 = 365 + 1$, გვექნება

$$95S = (23 \times (365 + 1) \times (95 - 23) \times 365)a.$$

ელემენტარული გარდაქმნებით ვღებულობთ

$$95S = (95 \times 365 + 23)a,$$

საიდანაც ტროპიკული წლის ხანგრძლივობისათვის საბოლოოდ გვექნება

$$S = (365 \times 23/95)a = 365 \quad 23/95a,$$

რომლის ათწილადური წარმოდგენა $S = 365.24210$ a შვიდი ნიშნის სიზუსტით ემთხვევა რეალურს.

მოვუყაროთ თავი ერთობლიობა „ოჳ"-ში ჩვენს მიერ წაკითხულ ინფორმაციას, უპირველეს ყოვლისა ნიშანდობლივია, რომ ამ ერთობლიობაში არის რა ეფექტურად ფიქსირებული ფუნდამენტური პერიოდული დამოკიდებულებები, ხაზგასმულია უშუალო კავშირი მთვარისა და მზის დაბნელებებსა და ფაზათა ტოლობების 19 წლიან პერიოდს შორის. ამასათან ერთად ასონიშანთა ამ ერთობლიობის სპეციალურ დაჯგუფებაში განხორციელებულია უმაღლესი რიგის სიზუსტის მზისა და მთვარე — მზის 95 წლიანი კალენდრული ციკლები. არსებითია ის, რომ ერთობლიობა „ოჳ"-ში დაშიფრული ინფორმაციის ამოცნობის ყველა ეტაპზე განსაკუთრებულ როლს თამაშობს ამ ერთობლიობის სამი სტრიქონიდან ცენტრალური სტრიქონის 5 „ა". ამასთან დაკავშირებით საკმარისია გავიხსენოთ, რომ დაშიფრული ინფორმაციის ამოცნობის პროცესში 5 a, 5 l და 5 S წარმოჩინდნენ როგორც კალენდრული ერთეულები შემდეგ დამოკიდებულებებში

$$365a = 360a + 5a$$

$$228l = 223l + 5l$$

$$95S = 5 \times 19S = 5 \times 18S + 5S.$$

პირველი ხუთკუთხა რიცხვი 5, როგორც პირველი $4k+1$ ტიპის მარტივი რიცხვი, კვადრატების ჯამია $5=4+1$, და ამდენად, იგი მზის — 1 და მთვარის — 4 გამომხატველი რიცხვების გაერთიანებას წარმოადგენს ([8], 58; [2], 470, 478; [5], 40). [illegible]თია, რომ ქართულში ეს ხორციელდება ასონიშნებით „და“ და ასომთავრული გრაფიკით მზესა და მთვარეს წარმოგვიდგენს. ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ „ააააა“ აფიქსირებს ერთობლიობა „ოჳ“-ს. ხმოვნები „აეიო“ და „ასონიშნები“ ციფ ახდენენ მესამე სტრიქონში გარკვეულ წყვეტებს, რაც ბუნებრივია იწვევს პირველი სტრიქონის, ანუ ანბანის, შესაბამის დაშლებს, რომელთა შორის „ოპჟრსტჳ“ გამოირჩევა ორი ნიშნით: 1. მისი მეორე სტრიქონი „ა“-ს მაქსიმალური რაოდენობით შეიცავს, 2. მისი მესამე სტრიქონი სიმეტრიულია: „რნენრ“.
ამ ორი ნიშნის გათვალისწინებით ერთობლიობა „ოჳ“- პირველ სტრიქონში წარმოჩინდება ასონიშანთა ხუთეული „პჟრსტ“ ცენტრით „რ“, რომლის წონაა $5\times19=95$. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ ასონიშანთა ეს ხუთეული გამოყოფილია გრაფიკულადაც. ზემოთ დავინახეთ, რომ კალენდრული პერიოდი 95 ეფექტურად არის ფიქსირებული ერთობლიობა „ოჳ“-ს სახელდებით ნაწილში. ეხლა თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 95-ს კანონიკური ჩაწერა უშუალოდ უმაღლესი კლასის კალენდარს იძლევა, მაშინ გასაგები ხდება ძალისხმევა, რომელიც ქართული ასომთავრული ანბანის შემქმნელებმა ასონიშანთა „ოჳ“ ერთობლიობაში მისი ფიქსაციისათვის გაიღეს.

როგორც ვხედავთ, ის რაც ასონიშანთა „ან“ ჯგუფში კოდირების სპეციალური სისტემით არის მიღწეული, ერთობლიობა „ოჳ“-ში განხორციელებულია მაღალი კლასის კალენდართან ერთად. ყოველივე ეს დასტურია იმისა, რომ ჩვენს მიერ დამუშავებული და განვითარებული სპროსის მოდულარული თეორია, შესაძლებელია არა იმ ფორმით, როგორც ეს წერილის პირველ ნაწილშია წარმოდგენილი, ქართული ანბანის შემქმნელებმა ეჭვგარეშეა იცოდნენ მათი მათემატიკურ-ასტრონომიული ცოდნის დონე, როგორც ეს ამ წერილის მეორე ნაწილიდან ჩანს, ჩვ. წ.-მდე —V—IV საუკუნეების ბაბილონური დაკვირვებითი და არითმეტიკული ასტრონომიის ფუნდამენტალური მნიშვნელობის მიღწევებზეა დაფუძნებული და ის რაც ქართულ ანბანში დაშიფრული ფორმით სამარადისოდ არის ჩაბეჭდილი, ამ მიღწევების მწვერვალს წარმოადგენს. ამიტომ სავსებით სამართლიანია ის აზრი, რომ ქართული ასომთავრული ანბანი კაცობრიობის განვითარების ისტორიის ჩვ. წ.-მდე V-IV საუკუნეების მიჯნაზე უნდა იყოს შექმნილი.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ 85 ასონიშნიანი ქართული ასომთავრული ანბანის წარმომავლობისა და შემოღების თარიღის დადგენა და მასში მაღალი რიგის კალენდრულ სიზუსტეებთან დაკავშირებული დაშიფრული ინფორმაციის თვისობრივი შეფასება ეკუთვნის რ. პატარიძეს. როგორც ვხედავთ, ეს შედეგები რაოდენობრივმა ანალიზმაც სავსებით დაადასტურა.

## ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა


1. ე. ბიკერმანი. ძველი სამყაროს ქრონოლოგია. „მეცნიერება“ მოსკოვი, 1975 (რუს.).
2. სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1966.
3. ვან-დერ-ვარდენი. მეცნიერება რომელიც იღვიძებს. ტ. 2. „მეცნიერება“, მოსკოვი, 1991 (რუს.).
4. ს. სელეშნიკოვი. კალენდარისა და ქრონოლოგიის ისტორია. „მეცნიერება, მოსკოვი, 1977 (რუს.).
5. ი. კლიმიშინი. კალენდარი და ქრონოლოგია. „მეცნიერება“, მოსკოვი, 1985 (რუს.).
6. ვ. ბრონშტენი. როგორ მოძრაობს მთვარე? „მეცნიერება“, მოსკოვი, 1990 (რუს.).
7. ვან-დერ-ვარდენი. მეცნიერება რომელიც იღვიძებს. ტ. 1. „მეცნიერება“. მოსკოვი, 1959 (რუს.).
8. რ. პატარიძე. ქართული ასომთავრული. „ნაკადული“, 1980.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუკა ჩუბინიძე

# მინდვრის ბატონის ლეგენდა

„ადამიანს აშინებს მარტოობა. სულიერი მარტოობა კი ყველა სხვა სახის მარტოობასთან შედარებით შემაძრწუნებელია".

ბალზაკი.

ამქვეყნად ზოგიერთი ადამიანი ცდილობს საკუთარ შინაგან სამყაროში არსებული ლტოლვა და სურვილი ჭეშმარიტების ძიებისა ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებასთან ურთიერთობით სრულყოს და გამოკვეთოს. ასეთი ურთიერთობანი ალბათ ადამიანური ყოფიერების ძალზედ საჭირო და საინტერესო სფეროა. ამიტომაც გადავწყვიტეთ გ. გეგეშიძის რომანზე „ცოდვილზე" საუბარი, სადაც ძალდაუტანებლად, სიმწყობრით, „იკრიბებიან" სხვადასხვაგვარი ხასიათები და განწყობილებები, რომელთაც, ბუნებრივია, მწერლის მიერ შექმნილი პერსონაჟები ქმნიან. ნაწარმოებში მათი გამოჩენა მოულოდნელიცაა და ერთგვარად დამაინტრიგებელიც. ყოველ მათგანს გარკვეული მხატვრული ფუნქცია აკისრია. მათში მწერლისეულ იდეათა და პოზიციათა პერსონიფიცირება შემოქმედებითი პრინციპების დაურღვევლად მიიღწევა. გ. გეგეშიძის მხატვრული ქმნილების გმირები ცდილობენ სხვებს, თანამცხოვრებთ დაუმტკიცონ თავიანთი არსებობის წესის უზენაესობა. მაგრამ ეს ერთი მხარეა მათი (ალისა, ელამი ძუკუ, იასონი, წვერებიანი ებრაელი, ანტონი...) ადამიანური პოზიციისა — გარეგნული მხარე, თითქმის გაუცნობიერებელი. მიუხედავად ამისა, საბოლოოდ ყოველი მათგანია მოსურნე შეძლებისდაგვარად გაერკვეს ცხოვრებისა და მერე საკუთარი თავის ლაბირინთებში.

რომანის გმირები თითქოს უნაპიროდ ტკბებიან სიცოცხლით, თუმცა ეს მხოლოდ ერთი შეხედვითაა ასე. უცნაური სევდა დაჰყვება თითოეულ მათგანს — მარტოობის სევდა, მათ ძალზე სწყურიათ ერთმანეთთან ურთიერთობა, მაგრამ ძალა და საშუალება არ შესწევთ „ბედნიერი" ყოფის დასამკვიდრებლად...

მარტოობის საკითხი კარდინალური პრობლემაა ადამიანური ყოფიერებისა, მხოლოდ ტექნოკრატიული ეპოქა როდი ჩაფიქრებია გაუცხოების არსს. თვით ელინისტურ მწერლობაშიც კი გამოიკვეთა ამ ფენომენით დაინტერესება. თუმცა დიდხანს მიაჩნდათ, რომ მათი კულტურა მხოლოდ მზის შუქით და ადამიანის უძლეველობის რწმენით იყო აღბეჭდილი... უფრო მეტიც, თავისუფლების მოპოვება ადამის მიერ (კირკეგორი) მისი მარტოობის დასაწყისია, მუდმივი ძიებაა პირველსაწყისთან დასაბრუნებლად. თავისუფლება ადამიანთათვის იქცევა ერთგვარ სული-

ერ ხლართად, რომლისგანაც ზოგი გზის გაგნებას ცდილობს, ზოგი კი თავქუდმოგლეჯილი გარბის. მარტოობის პრობლემის გენეზისის კვლევა არ არის ამ წერილის მიზანი, უბრალოდ იმის აღნიშვნა კი გვმართებს, რომ „ცოდვილის" პერსონაჟი ვამეხ გურამიშვილი მარტოობის განცდით სავსე პიროვნებაა. მისთვის მარტოობის, როგორც სულისკვეთების ღრმა ანალიზიდან იწყება საკუთარი თავის შეცნობა და გარკვეული ინდივიდუალური ფასეულობების ჩამოყალიბება.

სანამ რომანში არსებულ ჩვენთვის საინტერესო იდეაზე გავამახვილებდეთ ყურადღებას, აუცილებელი გვგონია ნაწარმოების ზოგიერთ პერსონაჟთა შესახებ ორიოდე სიტყვის თქმა, რადგან მათი ურთიერთობების ფონზე უკეთ იკვეთება მთავარი გმირის ხატი.

გ. გეგეშიძეს აინტერესებს ადამიანი, მისი პიროვნება, ამიტომაც მის ნაწარმოებში პერსონაჟის გამოჩენა ეგზისტენციალური საწყისით იჩენს თავს. ბუნებრივია, რომ ყოველ მათგანში მეტნაკლებია სიმძაფრე სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობისა. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ანტონი, რომელიც ქალაქში ჩამოსულ უცხო კაცს ვამეხ გურამიშვილს ხვდება. ვამეხი ანტონმა მაშინ გაიცნო, როდესაც მათ წინ ველოსიპედით ჩაიქროლა ახალგაზრდა ქალ-ვაჟმა (ალისა და იასონი) და ახალგაზრდა უცხომ — ვამეხ გურამიშვილმა ქალის მუხლისთავებს ჰკიდა თვალი. უცნობს არ გამოპარვია ვამეხის განწყობა და ეკითხება მას: — „გიყვარს ქალები?" და მათ შორის საუბარიც გაიბა. თანდათან ირკვევა, რომ გამხდარ კაცს — ანტონს ფრიად სერიოზული მიზნები ამოძრავებს. ერთი შეხედვით უბრალო დიალოგი ორი უცნობისა გადაიზრდება ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობის პრობლემამდე. რაც შეეხება ვამეხს, იგი ის კაცია, რომელმაც საკუთარი ძმა მოკლა შემთხვევით, ბრმა ტყვიამ შეიწირა გურამ გურამიშვილი. თუმცა ეს ამბავი რომანში საკმაოდ გვიან ცნაურდება... აღსანიშნავია, რომ ვამეხი გამოქცეული კაცია [illegible] ნებით უცხო ქალაქში [illegible], იგი ქალაქელთა მეხსიერებაში თანდათან მკვიდრდება და არაცნობიერად იკავებს ადგილს მათ მეტაფიზიკურ თუ რეალურ აზროვნებაში.

ახალგაზრდა კაცის გამოჩენა პროვინციულ ქალაქში არავის დარჩენია შეუმჩნეველი. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქელთა შესახებ თავიდან არაფერი ვიცით, ერთი რამ ცხადი ხდება, ერთფეროვნება, სიმდორე ცხოვრებისა არ უნდა იყოს მათთვის უჩვეულო მოვლენა. ამის შეგრძნებას ვამეხის ხაზგასმული ინდივიდუალობაც აძლიერებს. იბადება განცდა, რომ უცნობი კაცი არა მარტო ქალაქელთაგან, არამედ საერთოდ ადამიანთაგანაც კი განაპირებულა. ვინ არის იგი და რა სურს მას? — ეს კითხვები მკითხველს ალბათ უნდა აეკვიატოს, რადგან ვამეხის გამორჩეულობა და უცნაურობა აშკარად თვალშისაცემია. მწერალი წინასწარ ამზადებს მკითხველს იმისათვის,რომ მან ყურადღებით ადევნოს თვალი ახალგაზრდა კაცის ყოველ ნაბიჯს.

ქალაქში ყველაფერი ვიღაცის მიერ დადგენილი წესისა და რიგის მიხედვით ხდება, ცხოვრებისეული პეიზაჟები აქ უცვლელია. ერთ-ერთი პეიზაჟი — ფსიქიურად დაავადებული კაცის უსუსურობით ტკბობაა. ამგვარი „წარმოდგენა" თითქმის ყოველდღე იმართება და არცთუ ისე ცოტა მაყურებელი ჰყავს. ამ პროვინციულ ქალაქში ყველა კარგად გრძნობს თავს. ყველას თავისი ფუნქცია გააჩნია და ამიტომაც ახალგაზრდა კაცის მიერ მეირას გამოქომაგებას დისონანსი შეაქვს ქალაქელთა „რიტმულ ცხოვრებაში". ვამეხის მიერ „ძველი ბიჭების" ცემამ გაზარდა ქალაქის ცენტრში ადამიანთა რაოდენობა, მეირამ ისარგებლა კონფლიქტით, აიღო თავისი ქუდი და ლუღლუღით გაეცალა სახიფათო ადგილს დანამომარჯვებულ ვამეხ გურამიშვილს ვერაფერი გაუბედეს. ბიჭები მიმოიფანტნენ დამკ-

ვირვებლები და მაცქერალნი კი სახტად დარჩნენ, რაღაც შეიძრა მათ ცნობიერებაში, მაგრამ არა იმიტომ რომ თანაგრძნობის ჩაკლულმა სურვილმა იფეთქა, უბრალოდ ვამეხის საქციელი აღიქვეს, როგორც გარეგნული სახეცვლილება ყოველდღიური ცხოვრებისა, ისინი რაიმე სულიერი დასკვნების გამოსატანად არ შეკრებილან. თუმცა გარკვეული მეტამორფოზა მოხდა, თუნდაც გარეგნული თვალსაზრისით მაინც და ეს არ არის მარტივი სიახლე... თან ეს შავტანსაცმლიანი კაცი დიდი უცნაური ვინმე უნდა იყოს, იგია შემოქმედი უმნიშვნელო, მაგრამ ფაქტად ქცეული მოვლენისა — „წესრიგის დარღვევისა“.

ზოგიერთი პერსონაჟი თავისებურ გაუცნობიერებელ დასაყრდენს ეძებს უცხო კაცში, მათში გამოკრთომას იწყებს ღრმად ჩაფლული პიროვნული მოთხოვნილებები უკვე ვამეხთან დაახლოებული ყველა გმირი აღიარებს მის ერთგვარ უპირატესობას. ვამეხისადმი ნდობა სახიფათო ზღვარს უახლოვდება. იგი ზღაპრული რაინდის თვისებებით იმოსება. მაგალითად, ელამი ძუკუ თვლის, რომ ვამეხი ყველაფერში მართალია. ელამი ძუკუ არსებული საზოგადოების სოციალურ-იერარქიული ცნობიერებისათვის „უბრალო“ კაცია, ჩვეულებრივი მძღოლი, და ის რაც მას აწუხებს და სტკივა სხვებისთვის შეუმჩნეველი რჩება. იგი თავისი პროფესიის წყალობით არარესპექტაბელურ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის. ძუკუს აინტერესებს ყოფიერების საზრისი, ცდილობს კიდეც საკუთარი პრინციპებიდან იქნეს მართული ადამიანთა ურთიერთობანი. იგი ხმამაღლა აცხადებს არსებობის წესად მართლად ცხოვრებას, სიმართლის გამარჯვების აუცილებლობას. სხვა საკითხია თუ რა არის სიმართლე კონკრეტულად არსებული საზოგადოებისათვის და თვით ძუკუსთვისაც. როგორც თანდათან გამოჩნდება ძუკუსთვის სიმართლის ცნება უცხო ბიჭთან ასოცირდება... რაც შეეხება ალისას, იგი საოცრად მომხიბვლელი ქალია, ერთგვარად გამოუცნობი და ამდენად მიმზიდველიც, მას ძუკუს მსგავსად ხმამაღლა [illegible] გაუცხადებია საკუთარი [illegible] კრედო, მაგრამ უცხო კაცის გამოჩენისთანავე საოცარ ლტოლვას გრძნობს მის მიმართ.

შავტანსაცმლიან ახალგაზრდასთან საზოგადოების ურთიერთობა თანდათან, თავად ამ ახალგაზრდისთვის არასახარბიელოდ ვითარდება. იგი ხომ სრულიად სხვაგვარი ყოფისთვის ემზადება. ვამეხის ირგვლივ მყოფი ადამიანები უცნაურ წრეს ქმნიან, რომელშიც „რაინდი“ ჰყავთ მოქცეული და ხელებიც მისკენ გაუშვერიათ დახმარების თხოვნის თუ თანადგომის დასტურად. ასეთ სიტუაციაში ძნელია იმ მიზნის აღსრულება, რომლისთვისაც ვამეხი გზად გაემართა. მას სურს გარკვევა იმისა თუ რა მოხდა, რას ნიშნავს იყო ცოდვილი და საკუთარი ძმის მკვლელი. ეს ადამიანები კი ამის საშუალებას არ იძლევიან. ვამეხისათვის გამოცხადებული სოლიდარობა ყალბია, საკუთარი უუნარობის მისაჩქმალად მოფიქრებული... ვამეხი ის კაცია თავისი სულიერი აღნაგობით, „ცოდვის“ ჩადენამდეც გამძაფრებული ემოციებით და შთაბეჭდილებებით რომ ცხოვრობდა და ყოველთვის არსებობდა მის წინაშე გზაზე შედგომის აუცილებლობა. უბრალოდ ერთმა შემთხვევამ დააჩქარა და ფაქტად აქცია მისი არაცნობიერი სურვილი, ამიტომ მის გარშემო შემოკრებილმა საზოგადოებამ თავი უნდა ანებოს გაწვდილი ხელებით სიარულს, რათა მან გაარკვიოს და განსაზღვროს გასავლელი გზის დასაწყისი, მხოლოდ დასაწყისი, რადგან მთელი გზის გასრულება უბრალოდ წარმოუდგენელია, ერთი კაცის სიცოცხლე არ ეყოფა.

ერთგან მწერალი ერთი მოვლენის საშუალებით საოცარი სიზუსტით აფიქსირებს იმას, რომ სიტყვა, რაციო, ლოგიკა უძლურია განცდათა მასშტაბურობის გადმოსაცემად. იმას, რასაც ერთი ადამიანი განიცდის დიდი სიმძაფრით სრულიად უცხოა მეორისთვის და გაუ-

გებარი, თუმცა მეორე ყოველთვის ცდილობს ექვმიუტანლად აღიაროს ვნებით შეპყრობილი ადამიანის ტკივილების ცოდნა. ეს არის ერთგვარი ეგოიზმი, შესაძლო მომავალში საკუთარი ტრაგიზმის დროს საპასუხო თანალმობის მოლოდინი. ამას ამჩნევს ვამეხ გურამიშვილი კოწია ექიმისა და დამწუხრებული ძუკუს ურთიერთობაში.

ძუკუს შვილობილის თაურის სიკვდილი გააცხოველებს ვამეხში ყოფიერების რეალურობასა და ილუზორულობაზე ფიქრს, რადგან: „— რა არის იყო დღეს? კაცი შეიძლება ბედნიერი იყო. ლამაზი, ცოცხალი, მაგრამ დღეს რას ნიშნავს ეს იყო? არაფერს! აბსოლუტურად არაფერს!“ თაურიას ქელეხში მოფუსფუსე ადამიანისათვის ყველაფერი მნიშვნელოვანი გამხდარა გარდა ერთისა — თაურიასი და მისი სიკვდილისა. ისინი გარკვეულ რიტუალს ასრულებენ, რაც არ უნდა უცნაური იყოს თვით ელამი ძუკუც, თაურიას მამობილიც კი არ ფიქრობს თაურიაზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ ვამეხ გურამიშვილის სულში უეჭველად მზარდ შინაგან მოვლენებს, ამგვარი სიტუაციის ხილვისას კიდევ ერთი ნიუანსი ემატება, რომელიც მას ალბათ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარება. ახალგაზრდა ყმაწვილკაცის ქელეხის აღწერისას გ. გეგეშიძე კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ყალბი საზოგადოებრივი ფასეულობების, იძულებითი მორალურობის კანონზომიერებისა და მოვალეობის რანგში აყვანის უბადრუკობას: „საშინლად გაუკვირდებოდა თაურიას ყველაფერი ეს რომ ენახა“.

უცხო კაცის ტკივილი ტკივილადვე რჩება, თეორიული გააზრება და თუნდ გამწვავებული აღქმა სამყაროსი, როგორც მწერალი ამბობს არ შველოდა ვამეხის განცდებს. რეალობა მაინც სასტიკი რჩებოდა. რას ეძებს ეს კაცი? თუ ზოგადი თვალთახედვით შევაფასებთ ვამეხის სულიერ კონვულსიებს, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ იგი ცდილობს თვითდამკვიდრებას, თვითდადგინებას, რაც ასე საჭიროა ღირსეული ყოფისა და ცხოვრებისათვის. გზის დასაწყისი სწორია და მართებული. იგი მარტოდ-მარტო შეუდგა აღმართს, თითქოს ცარიელ სივრცეში მოხვდა და თავად ადგენს დროის განზომილებას, ახლად ამკვიდრებს გარკვეულ ფასეულობებს და ღირებულებებს ანუ თავიდან იბადება თავსგადახდენილი ტრაგედიის წყალობით და ცდილობს საზოგადოებაში დამკვიდრებულ წეს-ჩვეულებებს გარედან შეხედოს. მისი გაუცნობიერებელი სურვილია საერთოდ არ არსებობდნენ ისინი, რადგან ასე უფრო ადვილი იქნება და ცხადი სამყაროში არსებულ მოვლენათა შეფასება თუ გააზრება, მაგრამ რეალობა ფაქტის კვალობაზე ფიქსირდება და იგი დამთრგუნველ გავლენას ახდენს პიროვნების ჩამოყალიბებაზე. განთავისუფლების გზა — ასე შეიძლება დავარქვათ ვამეხის მიერ არჩეულ გზას.

გარკვეულ ეტაპზე თავისი ცხოვრებისა იგი ანებებს ხოლმე თავს მეტაფიზიკურ ჭვრეტას სამყაროსას და მოქმედების აუცილებლობის აღიარებამდე მიდის, რადგან დაასკვნის, რომ სხვათათვის ბედნიერების მინიჭება ყველაზე კეთილშობილური მისიაა. ფიქრი და პასიური ჭვრეტა ვერაფერს შეცვლის, სხვა საკითხია რამდენად მოიაზრება ფიქრისა და ჭვრეტის კატეგორიაში ქვეყნიერების გარდაქმნაზე ზრუნვა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ვამეხი არ არის კატეგორიული აზროვნებისა, ორჭოფობა მისი თანამდევი თვისებაა. სიკვდილი ფილოსოფიური პრობლემაა და არა მარტო ფილოსოფიური. უეჭველია იგი არაფილოსოფოსთაც უნდა აღელვებდეთ. ნებისმიერ ადამიანს თავისი დამოკიდებულება აქვს ყოფიერების დასასრულთან. ფაქტიურად ეს დამოკიდებულება განაპირობებს ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრებისეული მრწამსის შექმნას. ამ მიმართებაში მოიაზრება რელიგიური აღმსარებლობანიც, რადგან სიკვდილის წინაშე შიში სხვადასხვაგვარი რწმენის ადამიანებს

ერთი საერთო დილემის წინაშე აყენებს: — საით მიმართონ ფიზიკური და სულიერი ენერგია, რას დაეყრდნონ, რა აირჩიონ ერთგვარ მყარ ნიადაგად. მაგრამ არის ისეთი სიტუაციები ყოფიერებაში, როდესაც ძნელდება სიკვდილზე ფიქრი. ასე მოხდა თაურიას დაკრძალვის დღეს. სასაფლაოს ირგვლივ ხარობს ბუნება; აქ შეკრებილი ადამიანები ნიშნს უგებენ მიცვალებულს. საამკარაოზე გამოსულა ცოცხალი კაცის უპირატესობის განცდა გარდაცვლილის წინაშე. ამ განწყობილებას კიდევ უფრო აძლიერებს ალისას გამოჩენა. ალისას: „ზედმიწევნით კოხტად შეკერილი, წელში ვიწროდ გამოყვანილი, ახალი შავი კაბა ეცვა... ტუჩები ბაცი ფერის პომადით შეეღება. თეთრი და ნაზი სახის კანი ჰქონდა... მისი სხეული უალრესად სასიამოვნო სურნელებით გაჟღენთილიყო და ეს ყველამ იგრძნო, როცა ის ახლოს მოვიდა“. მდედრის ბუნება ხაზგასმულად ეწინააღმდეგება სიკვდილს, მისი სხეულის სიმშვენიერე გარანტიაა სიცოცხლის მარადიულობისა და სიკვდილზე გამარჯვებისა, ალისას სხეული იმ ერთ წამს, როცა იგი შეიგრძნეს ადამიანებმა უეჭველად აქრობს ყველა ეჭვსა და დარდს, თან დემონსტრაციულად მიუთითებს სიცოცხლის უძლეველობაზე. მათ ასე სჯერათ, ასე სწამთ, მათი ნება ჯიუტად ეპოტინება სასურველს. ვამეხიც გადაწყვეტს, რომ შეუძლებელია სიკვდილის ფენომენის წვდომა, პასუხგაუცემელია ის კითხვები რომლებიც ადამიანის არსებობის მიზანს ეხება, და იქნებ სიბრძნე, სწორედ ურთულესი კითხვების წინაშე თავშეკავება და ამ კითხვების მარადიულ სიძნელესთან შეგუებაა. აუცილებელია საკუთარი ტკივილებისა და ეგოიზმის დათრგუნვა, ცუდია საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებით შეფასება, რადიკალური გარდაქმნა ყოფიერებისა შეუძლებელია.

პირველად ალისა შეამჩნევს უცხო კაცის მძაფრ სულიერ მდგომარეობას. ძალიან მნიშვნელოვანია ვამეხის წუხილი ალისასთან საუბრისას გამჟღავნებული: „— ვინ იცის რა ცოდვა მაწევს“. იგი თითქოს აღიარებს ამას — უარყოფს კიდეც ჩადენილ ცოდვას, უკეთ რომ ვთქვათ ჰოჰმანებს, გარკვეული მყარი პასუხის გაცემა უჭირს. ეს ერთადერთი შემთხვევაა როცა ასე მკაფიო დაეჭვებით შეხედავს თავისი სულიერი მოუსვენრობის ერთ-ერთ მიზეზს. მანამდე ხომ საკუთარი თავისთვის არაფერი ემეტებოდა, თვლიდა, რომ იგი ულირსი შვილია ქვეყნიერებისა და არა აქვს პირადი ბედნიერებისათვის ბრძოლის უფლება. ეხლა, ეხლა კი სასურველი ქალი შესძლებს გადაწყვეტილება მიღებული კაცის ნების დათრგუნვას და ისევ წარმოაჩენს ვამეხის მიერ განგებისად თითქოსდა უარყოფილ ჭეშმარიტ მეს. თურმე ძნელი ყოფილა სიცოცხლის ხელაღებით უარყოფა, გულს უჭირს ამგვარ აზრთან შეგუება. უყვარს ვამეხს მისი წილი სიცოცხლე, მან ჯერ კიდევ სასაფლაოზე იგრძნო ეს, იქ იგრძნო, სადაც წესით საწინააღმდეგო განწყობილება უნდა დაუფლებოდა. ხანდახან ვამეხს, როგორც მწერალი ამბობს წვრილმანი ფიქრებიც წამოუვლის ხოლმე, რაც სრულიად ბუნებრივია და რითაც კიდევ ერთხელ ესმება ხაზი ადამიანში, ტრანსცენდენტურ სურვილებთან ერთად საკმაოდ ყოფითი, ბანალური, ფრიად ეგოისტური სწრაფვების არსებობასაც.

ვამეხი კარგად იცნობს საკუთარ თავს და ამიტომაც უჭირს ანტონის სულისკვეთების გაზიარება. ანტონი, როგორც თვითონ ამბობს — ცხოვრების დამკვირვებელია. იგი აღმოსავლური რელიგიებისა და ფილოსოფიის ენაზე ცდილობს ვამეხთან საუბარს. უფრო მეტიც, თავი ამ ფილოსოფიის აღმსარებლადაც მოაქვს. ოღონდ პრაქტიკულ ცხოვრებაში ანტონი ფრიად პრაგმატულად გამოიყურება და უმაღლეს სულიერ ნეტარებასთან არცთუ ისე დიდი საერთო აქვს. იქნებ მისი აზრები ერთგვარი ნილაბია, რათა იმ საზოგადოებას, რომელმაც იგი ზამთარ-ზაფხულ ეკლესიის

დანგრეულ შენობაში არსებობისთვის გარიყა და გაიმეტა სამაგიერო მიუზღას, გარკვეულწილად დაუპირისპირდეს. იგი თავის თავს არწმუნებს, რომ განსაკუთრებულად ცხოვრობს და ჩვეულებრივ მოკვდავთ არ ძალუძთ ამის შეცნობა. როდესაც შეპირვებულ ანტონს ვამეხი ფულს შესთავაზებს იგი დათანხმდება, იმ მიზეზით, რომ მას სიამაყე, როგორც ადამიანური განცდა არ გააჩნია. ვამეხი კი თვლის რომ ცუდია, როცა კაცი კეთილშობილურ სიამაყეზე უარს ამბობს იმ საბაბით თითქოს მისი სული უფრო მაღლა იდგეს ამ მცნებებზე. მოკლედ ანტონის პიროვნულ ფილოსოფიას ეწინააღმდეგება ვამეხის აზროვნება. იგი არ ენდობა მას, თვლის, რომ მეირა უფრო გულწრფელია ვიდრე ანტონი. ანტონის „ფილოსოფია" უაღრესად საინტერესოა, ანგარიშგასაწევია, რომ არა ეს უცნაური სიტყვები „თითქოს" და „ვითომ", რომლებიც არ სცილდება ვამეხს ანტონზე ფიქრისას და ნდობის საფუძველს აცლის მათ ურთიერთობას. მიუხედავად ყველაფრისა ანტონია ალბათ ერთადერთი გმირი, რომელიც არ ცდილობს ვამეხის პიროვნების ალქმას (სხვებს აღმოაჩნდათ ამის სურვილი, მაგრამ ვერ ახერხებენ) მას შეიძლება ითქვას ყველაზე ნაკლებად აინტერესებს უცხო კაცი.

გ. გეგეშიძე განუწყვეტლივ ამძაფრებს ობივატელური კონფიერების ასახვას. ძალზედ ტრაგიკული სურათი იხატება, ადამიანის სული სალცარ დეგრადაციას განიცდის, იგი სულ უფრო და უფრო შორდება პიროვნული თავისუფლების საზღვრებს და გაუკულმართებულ კონფიერებაში ინთქმება. ამის დასტურად გამოდგება ჟურნალისტი ქალი, რომლის პიროვნული ხატის ჩვენებით გ. გეგეშიძე კიდევ ერთ პრობლემას წამოჭრის პრობლემებით პირთამდე სავსე საზოგადოებისათვის. ლეილა ალისასთან მეგობრობს, მასთან საუბრისას ამჟღავნებს, რომ კლავს არაცნობიერი სურვილი ლაღად და თავისუფლად ცხოვრებისა. ალისასაგან განსხვავებით მას თავისუფლად სექსუალური პარტნიორიც ვერ აურჩევია და თავის სხვებივით მოთხოვნილებებს ნარედაქციო სტატიების წერაში ხარჯავს... ის ადამიანები, რომლებიც ვამეხ გურამიშვილს ახვევია გარს, საკუთარი სახის გამჟღავნებისას სალცარი ზედაპირულობითა და ილუზორული აზროვნებით გამოირჩევიან. რომელ ქალაქშიც არ უნდა მოხვდეს ვამეხი, ყველგან ერთი და იგივე გარემო შერჩება ხელთ — დახავსებული და ახლის არ მოსურნე.

ვამეხს ცუდათ ენიშნა მისკენ გასროლილი ტყვია: „ის ელოდა რაღაცას, ელოდა იმას, რაც აუცილებლად უნდა მომხდარიყო", ვამეხის სულიერი წონასწორობა კვლავ ირღვევა, ერთხელ აღებული გეზი საკუთარი ნების უზენაესობისაკენ რომ მიიკვლევდა გზას, კვლავ ირღვევა და კარგავს ორიენტირს. ისევ აღიარებს ეხლა უკვე მტკიცედ, რომ ბედისწერის ხელში იგი სათამაშოა და მეტი არაფერი. ვამეხი თვლის, რომ ტყვია მას შამილამ — ნაცემმა, შეურაცხყოფილმა ბიჭმა ესროლა. მას მიიჩნევს სულიერი გაურკვევლობის მიზეზად, საერთოდ მისი ცხოვრების აბსურდად ქცევაში შამილას სდებს ბრალს. თუმცა ცხადია შამილა და მისი „ავანტიურა" სრულიად არაფერ შუაშია. როგორც ჩანს ვამეხი გადამწყვეტი ნაბიჯის გადასადგმელად ემზადება. ამიტომ კიდევ ერთხელ ცდილობს რაიმემ დააკავოს, რაიმემ შეაჩეროს, რადგან განხეთქილება, რომელიც მასა და საზოგადოებას შორის წარმოიშვა მეტად მძიმეა. მან უნდა გაწყვიტოს ადამიანებთან დამაკავშირებელი ყველა ძაფი. უკვე მომზადებულია მის ცნობიერებაში ყოფასთან შეუგუებლობა და ისეთი მარტივი წინაღობა, როგორიც შამილას სახით წარმოდგება ვამეხისმაგვარი კაცისთვის ვერაფერი დაბრკოლებაა. გარეგანი ხელშესახები ფერიცვალებები რითაც სავსეა ყოველდღიურობა მის აბობოქრებულ ვნებას ვერ მისცემს კალაპოტს. ამიტომაც მიხვდება საბოლო-

ოდ, რომ რასაც ის უფრთხის, ყველაზე ნორმალური მდგომარეობაა, უჩვეულო, მაგრამ ღირებულის წვდომისათვის აუცილებელი... კოლექტიური ძიებანი მას ვერ უშველის, თავდაპირველი სიმპტომი ცოდვილიანობის მტანჯველი განცდისა ისევ იჩენს თავს.

ვამეხის დიდი სულიერი დაბნეულობა იწყება მაშინ, როცა იგი საკუთარი ძმის უნებლიე მკვლელი ხდება. მისი მტკიცე ნებისყოფა, თვითდაჯერება და პიროვნული მრწამსი იმსხვრევა. იგი მარტოდ აღმოჩნდება უამრავი ბარიერის წინაშე და მიუხედავად ალისას ნუგეშისა, რომ მკვლელი არაა, ვერ მორევია მკვლელობის კომპლექსს. ემპირიული თვალსაზრისით იგი ბოროტმოქმედია. სამართალი და მორალი მძიმე უროსავით ეხეთქება მის გონებას და შეუხრელად აფიქსირებს ვამეხ გურამიშვილის დანაშაულს. ვამეხი უმკაცრესად ისჯება, „მკვლელები არ უყვარს საზოგადოების „ჯანსაღ ნაწილს". ეს კარგად უწყის" უცხო კაცმა და მისი ცოდვის შემდგომი ცხოვრებაც მსხვერპლშეწირვას ემსგავსება, თითქოს ცოდვის გამოსყიდვას ცდილობს, საკუთარ თავს ზვარაკად ამზადებს. ამის შესახებ ითქვა კიდეც: „ვამეხი მოევლინა, როგორც ქრისტე, — განმწმენდი და გამპატიოსნებელი". ვამეხი ხომ მთაზე ასვლისას იღუპება, უსასრულო სივრცეში მოხვედრილი, სადაც მშველელის მოხმობა სრული უაზრობაა. ქრისტეს სახის მხატვრული ინტერპრეტაცია უძველესი დროიდან მომდინარეობს და ეს არ არის უცხო მოვლენა ლიტერატურული აზროვნებისათვის. იმასაც აღვნიშნავთ, რომ ამგვარი ცდები ყოველთვის მარცხით დამთავრებულა, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ არის მთავარი. ზევით ნახსენები შედარება მაინც ზოგადი და ამოუწურავი გვგონია.

ვამეხი არ არის სამყაროს გამოსწორებისათვის მებრძოლი კაცი, ის უფრო საკუთარ თავს ებრძვის და თავის თავის წინაშე მაღლდება. მან იცის რომ ამ ყოფიერებაში მისი თავი ასაღორძინებელია, აღორძინების გზები და საშუალებები კი ყველამ თავისით უნდა იპოვოს, ის არავის მოუწოდებს, არავის თრგუნავს. ვამეხის ცოდვა არის არა ემპირიული, თუმცა იგი კონკრეტულ რეალობაში მოხდა, არამედ სიმბოლური. იგი უნდა გადაილახოს, ჩადენილი აქტი ერთგვარი ბიძგია აღმავლობისკენ. ცოდვის აქტი მწერლის მიერ გაიაზრება მხატვრულ-სიმბოლური სულისკვეთებით, ცოდვა ხდება არა გაუთავებელი, პასიური მონანიება, არამედ გარდასახვის აუცილებლობის შეგრძნების მქონე ქმედება. ამითაც არის გაპირობებული გმირის გამოკვეთილი პერსონალიზმი. იგი ბადებს სულიერი აქტივობის მძაფრ შეგრძნებას. მისი სიკვდილიც სამყაროსეული დინამიზმის შემადგენელი ნაწილია.

ძმისმკვლელობა მწერლისთვის ერთგვარი სქემაა, სიმბოლური მნიშვნელობის მქონე, საბაბია ვამეხ გურამიშვილის, როგორც პიროვნების, პერსონალისტის პოზიციათა გასარკვევად. მას აინტერესებს არა ძმისმკვლელი კაცის ფსიქოლოგია, არამედ ძმისმკვლელობის ფილოსოფიურ-რელიგიური მიზეზის პოვნა.

ვამეხისათვის ფიზიკური არსებობაც კი არ არის ბედნიერების მომტანი, არა იმიტომ, რომ სიცოცხლე და მიწიერი მოთხოვნილებანი უსარგებლო მცნებებია, უბრალოდ მას არა აქვს საშუალება თუნდაც ამ მხრივ დაკმაყოფილებულად იგრძნოს თავი. ფიზიკური ყოფნა ინსტიქტის დონეზეც კი კარგავს თავის აზრსა და დანიშნულებას.

ვამეხი და მისი ძმა ერთნი არიან, ერთ საწყისში მოქცეულან. ვისაც ის კლავს ის თავადვეა. ძმა ეს იგივე ვამეხია. იგი თავის თავში უფროსი ძმის სახით ანადგურებს მთელის ერთ ნაწილს — ფიზიკურს და ემზადება მეორის — სულიერის მოსასპობად, რათა შეიძლოს სრულიად ახალი ვამეხ გურამიშვილის აღორძინება. ვამეხში ხომ ერთიც და მეორეც არასწორად თანაარსებობდა. ეს არის რომ მასში დაგრო-

ვილი ძველი სულიერი ენერგიისაგან დაცლას უფრო მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე ფიზიკური გარსისაგან განთავისუფლებას. მიწიერი (უფროსი ძმა) და სულიერი (ვამეხი) მთელი არსებით მიესწრაფვის ახალ განზომილებას. თუ მიწიერი ბუნების შეცვლა შესაძლებელი გახდა ძალის მეშვეობით, სული ვერ იტანს ერთი ხელის მოსმით მეტამორფოზას. ამიტომაც იბრძვის ნერვების დაწყვეტამდე ვამეხ გურამიშვილი, რომლისთვისაც მიუხედავად იმისა, რომ კარგად ხედავს თუ როგორ გაუბადრუკებულა ყოფიერება, უცხოა ყოველგვარი რადიკალიზმი. ის არჩევანის პატივისმცემელი კაცია.

ვამეხი მარტოობისთვის განწირულა, ეს მძიმე ხვედრიცაა და ამასთანავე დიდი პატივიც, რომლითაც „საზოგადოება“ აჯილდოებს პიროვნებებს. ისინი ვინც უდიდესი სიძულვილით ექცევიან დაუმორჩილებელ ადამიანს და სამუდამოდ ცდილობენ მისგან ჩამოშორებას კანონზომიერი, მარადიული თავდაცვის ინსტიქტით მოქმედებენ, რადგან სწორედ მათ მიერ განწირული კაცია ყოველთვის ცვლილების შემოქმედი, გაყინული ცნობიერების გამღლობი. შემცვლელად აქ მარტოდმყოფი კაცი გვევლინება, რომელიც დიდი სიღრმით ჰვრეტს მოვლენებს და სხვათათვის ზედაპირული ეთიკური თუ მორალური სჯანი დიდ პრობლემატურობით იხარშებიან მის აზროვნებაში.

ბალზაკისეულმა მარტოობის ფენომენმა მოგვიანებით ტრანსფორმაცია განიცადა. თუმცა ფრანგმა მწერალმა ცხადლივ დაადასტურა, რომ მარტოობა ადამიანის თანამდევი თვისებაა. მისი შემაძრწუნებლობა კი თავად ქრისტემ იგრძნო, თავისი მისიის აღს[illegible]. არ არის შემთხვევითი, [illegible] მარტოდ ხვდება განსაცდელს. ბალზაკისაგან განსხვავებით გერმანელი ფილოსოფოსი იტყვის: „ვისაც არ უყვარს მარტოობა — მას არ უყვარს თავისუფლება, რადგან მხოლოდ მარტოობის ჟამს შეიძლება იყო თავისუფალი“.

ნაწარმოების ბოლოს ნახსენებ ლეგენდაში მინდვრის ბატონის ასული, ხელშეუხებელ პირველყოფილ სიწმინდეს განასახიერებს. მხოლოდ ერთ ვაჟს შეუღწევია მინდვრის ბატონის სამფლობელოში, მაგრამ მან ვერ შეძლო მისი ქალიშვილის შეპყრობა და იმ ვაჟის შემდგომი ბედიც არავინ უწყის. ამ ვაჟის ბედით დაინტერესება აუცილებელია, მისი ბედის მივიწყება გახლავთ ტრაგიზმი ცხოვრებისა, უფრო სწორედ მის ბედში იკვეთება ტრაგიზმი, ხოლო ადამიანების ინფანტილურობა თავად მათთვის იქცევა უძნელეს და ურთულეს წინააღმდეგობებად. მხოლოდ გლეხებს ახსოვთ მინდვრის ბატონის ასულის ამბავი, მათ მიწას, სოფელს, ბუნებას შემოუნახავს წარსული, რომელიც უთუოდ მომავლად უნდა გაცნობიერდეს. აქედან მიწიდან, ბუნებრიობიდან, სიწრფელიდან უნდა ამოიზარდოს ის ყვავილები, რომლებიც უამრავ მინდვრის დედოფლებს დაიმშვენებენ. სურვილი მაინც უნდა იყოს, იმედიც აუცილებელია. და კიდევ ერთი, აუცილებელია ჩვენი ზედაპირული საზოგადოებრივი ცნობიერების უარყოფა, ამისათვის კი ქართული ცნობიერება არ უნდა გაუუცხოვდეს ვამეხ გურამიშვილის სულისკვეთებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აპოლონ ცანავა

# შკვდავი ფესვები

## ამირანის გარშემო

კავკასიის ქედზე მიჯაჭვული გმირის, საქართველოს ეპონიმის ამირანის გარშემო სხვადასხვა სახის დიდძალი ლიტერატურა არსებობს როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.

ამჟამად მკითხველებს მინდა ვესაუბრო გამომცემლობა „ნაკადულის“ მიერ 1991 წელს გამოქვეყნებული როსტომ ჩხეიძის წიგნზე — „ამირანის თქმულება“ (პირველი გამოცემა), რომლის რეცენზენტებია — ზურაბ კიკნაძე და თამაზ ჩხენკელი.

სამეცნიერო აპარატურის გარეშე, მასობრივი მკითხველებისათვის განკუთვნილი როსტომ ჩხეიძის აღნიშნული ნაშრომი, ადრე, 1991 წელს წარდგენილი იყო ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის დასაცავად. ავტორმა ეს ხარისხი 1992 წელს მოიპოვა. წიგნიც ამ დროს გამოვიდა ბაზარზე, თუმცა, გამოცემის თარიღად 1991 წელი უზის. მე ორჯერ მომიხდა ამ წიგნის რეცენზირება, ერთხელ, დაცვის წინ, როგორც საკვალიფიკაციო ნაშრომისა, მეორედ, წიგნად დაბეჭდვის შემდეგ. როსტომ ჩხეიძე, როგორც მეცნიერი, მწერალი — კრიტიკოსი, ესეისტი და მთარგმნელი კარგადაა ცნობილი ჩვენი საზოგადოებრიობისათვის.

„ამირანიანი“ ქართული ფოლკლორისათვის იმავე რანგის ქმნილებაა, რაც „ვეფხისტყაოსანი“ ქართული მწერლობისათვის. ქართული ეროვნული კულტურის ეს ორი მწვერვალი ხალხის მიერ საქართველოსთანაა ასოცირებული.

ამირანის პრობლემას დიდი ხანია იკვლევს ქართული მეცნიერება, მაგრამ დღემდე დადგენილი არაა რა ტიპის ნაწარმოებია იგი — მითოლოგიური, საგმირო თუ საგმირო-ზღაპრული. დაუდგენელია ამირანიანის უძველესი და შემდეგი პერიოდის პლასტები, მისი ადგილი მსოფლიოს მითო-ეპიკურ ძეგლებს შორის და ა. შ.

როსტომ ჩხეიძის ნაშრომის ძირითად მიზანს შეადგენს დაადგინოს, უფრო სწორად, აღადგინოს ამირანის თქმულების პირვანდელი პლასტები. პირვანდელ პლასტებად მკვლევარს მიაჩნია ის ოთხი ეპიზოდი, სადაც შენარჩუნებულია გაქვავებული ტრადიციული ფორმები; ესენია:

1. ნადირობის ეპიზოდი — თვითონ ნადირობა, ჯადოსნური ირემი, ცადაწვდილი და უკარსარკმელო კოშკი, მისი შელეწვა მზის სხივის მონიშნულ ადგილას (და აქ ნაგულისხმევი: მზისთვის გზის გახსნა).

2. გველეშაპთან ბრძოლის ეპიზოდი — ამირანის გადაყლაპვა, ურჩხულის დაბრუნება ბუნაგში — წყლის სტიქიასთან კამათის მოტივი: თუ საიდან დააღწიოს გმირმა თავი ურჩხულის წიაღს. მისი შიგნეულის გამოჭრა და ისე გამოსვლა სამზეოზე. ახალშობილის გარეგანი სახე: გაცვენილი თმა-წვერი, წყალში ამოვლება და ხელახლა შემოსვა თმით.

3. ყამარის მოტაცების ეპიზოდი — ცაზე ჩამოკიდებული კოშკი, ქალის დედ-მამის ზეცაში ყოფნა, ჯადოსნური ჯამი, ლაშქრის დადევნების სცენის შინაგანი კოსმიური გააზრება — წარმოსახული ძველი რაფსოდული სტილისთვის ნიშანდობლივი პარალელიზმის ხერხით, ქალის ღალატი მამის წინაშე: საიდუმლოს გამხელა სატრფოსათვის, ღრუბელთბატონის დამარცხება ამირანის მიერ.

4. ღმერთთან შერკინების ეპიზოდი — ღმერთის გამოწვევა საჭიდაოდ, ამირანის დაბმა მთელ მიწაში ფესვგადგმულ ხეზე, გამომწყვდევა გამოქვაბულში, გამოქვაბულის კარის წელიწადში ერთხელ გაღება და კვლავ დახშობა.

ავტორის აზრით „ამირანის თქმულებას თავის დროზე უნდა ეარსება არა მთლიანი სიუჟეტის (დაბადებიდან მიჯაჭვამდე), არამედ ეპიკური თქმულების სახით: როცა სხვადასხვა პოეტური ტრადიცია ერთი გმირის ირგვლივ ქმნის სრულიად დამოუკიდებელ საგმირო სიმღერებს".

ნაშრომში ძალზე კარგადაა ნაჩვენები ამირანის სიმბოლური სახება საერთოდ და, კონკრეტულად, აკაკისთან და ვაჟასთან. აკაკის რწმენით, „ამირანი იტაცებდა ცეცხლს და აფუძნებდა კულტურას, სწორედ ის იყო ქართული ცივილიზაციის შემქმნელი და ამიტომაც მოსდევდა ამ ცივილიზაციას მთელი ისტორიის მანძილზე. როგორც ხანგრძლივი იყო ეს ცივილიზაცია, უშორეს წარსულში ჩაკარგული თავისი ფესვებით, ისევე შორს იკარგებოდა ამირანის თქმულების პირველანდრეზიც. ამიტომაც წარმოსდგება მისი სახება ასე სრულყოფილად ქართული ეროვნული სულის მარადიულ ემბლემად... აკაკი არ თხზავდა ამირანის სახეს, მას ეს სახე ეროვნული სულის წიაღიდან ამოჰქონდა, რათა მისივე გამოხატულებად ექცია". არსებითად, ვაჟას თვალსაზრისიც ამავე აზრის შემცველია, „ორ დიდ პოეტს ერთდროულად ამოაქვს ზეპირსიტყვიერებიდან ერთი და იგივე გმირის სახება და მსგავსი გააზრებით (თუმც მკვეთრად განსხვავებული მხატვრული ხერხებით) ქმნიან ერთსა და იმავე სიმბოლიკას, განმსჭვალულს ეროვნული თავისუფლების რწმენითა და სულისკვეთებით". აკაკისა და ვაჟას „ტრადიციების" კვალობაზე ავტორი ძალზე მიზანდასახულად განიხილავს ქართველი მეცნიერების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ამირან-პრომეთეს, ამირან-გილგამეშის, არტავაზდის, უმცროსი მჰერის თუ სხვა ეპიკური გმირების ურთიერთობაზე. ასევე საინტერესოა ამირანის, როგორც ვეგეტაციური ღვთაების სახის გააზრებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი თვალსაზრისები. აგრეთვე, ცეცხლის მოტაცების, მზისთვის გზის გახსნის და სხვა მოტივები.

როსტომ ჩხეიძე განიხილავს ამირანის თქმულების ასახვის ფაქტს ნივთიერი კულტურის ძეგლებზე და არ იზიარებს ქართულ მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ მცხეთა—სამთავროს გათხრებისას ნაპოვნ ბრინჯაოს სარტყელზე გამოსახული იყოს ამირანისა და მისი ძმების ნადირობის სცენები (მ. ჩიქოვანი, მ. ხიდაშელი). ამ პრობლემაზე ჩვენ აქ კამათს არ გავაგრძელებთ, ვიტყვით, რომ ბატონი როსტომი კიდევ ერთხელ უნდა დაუფიქრდეს ამ პრობლემას. ამირანის თავგადასავალი არამც და არამც არ შეიძლებოდა რაიმე სახით არ ალბეჭდილიყო კულტურის ძეგლებზე. რაც შეეხება მცხეთა—სამთავროს

ბრინჯაოს სარტყელს, სტეფანწმინდაში ნაპოვნ პლასტიკურ ქანდაკებებს, თუ თრიალეთურ ვერცხლის სასმისზე გამოხატულ ნადირობის საწესჩვეულებო-რიტუალურ სიუჟეტებს, მათი გაანალიზება უფრო მეტ ჩაღრმავებულ კვლევა-ძიებას მოითხოვს. დავუშვათ, რომ მ. ჩიქოვანის კვლევა-ძიების შედეგები ბატონი როსტომისათვის ნაკლებად დამაჯერებელია, მაგრამ რა ვუყოთ ქალბატონი მანანა ხიდაშელის სადოქტორო ნაშრომს („ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეული რკინის ხანაში", თბ., 1982)?. ჩემი ღრმა რწმენით, ამირანის ეპოსის ცალკეული ეპიზოდი უსათუოდ აისახა ნივთიერი კულტურის ძეგლებზე. ამ ფაქტის უარყოფა შეუვალი დასაბუთების გარეშე სასურველ შედეგს არ მოგვცემს. ამით შეიძლება ამირანოლოგიური პრობლემატიკის სფერო ხელოვნურად დავავიწროვოთ.

ავტორი საგანგებოდ ჩერდება ქართული მედიცინის ისტორიის მკვლევარის პროფ. მ. შენგელიას გამოკვლევაზე ამირანისა და გილგამეშის ქმედებათა ტიპოლოგიური მსგავსების თაობაზე. მ. შენგელიას ნაშრომში შეიძლება ზოგი რამ სადაო იყოს, მაგრამ თქმა იმისა — „ამ მიმართულებით კვლევის გაგრძელება არასასურველადაა მიჩნეული", ჩემი აზრით, არ გამოხატავს ჭეშმარიტებას. ტიპოლოგიური მსგავსების დადასტურება ამირანისა და გილგამეშის ეპოსის პერსონაჟებსა და პასაჟებს შორის ძალზე საჭირო საქმეა, ამის საუკეთესო დადასტურებაა შალვა ნუცუბიძის „ქართული ფილოსოფიის ისტორიის" პირველი ტომის პირველ თავში დაბეჭდილი ვრცელი გამოკვლევა. ამიტომ, პირადად მე, არ შემიძლია გავიზიარო ბატონ ზურაბ კიკნაძისა და ბატონ როსტომ ჩხეიძის თვალსაზრისი ამ საკითხზე. ბატონი როსტომი წერს: „მსგავსების ძიება ამირანისა და გილგამეშის პიროვნებებს შორის, როგორც წარმოშობის, ისე ინდივიდუალური თვისებების მხრივ ის, რომ ორივე [illegible]ცია, დედა ღმერთი ჰყავს [illegible]მიანი და ორივეში დედის თვისებები ჭარბობს — რაიმე ნიშანდობლივ საერთოს ვერ გვიჩვენებს და, არსებითად, ტიპოლოგიური მსგავსების ფარგლებს არა სცილდება". აქვე იმოწმებს ამირანისა და გილგამეშის ბუნებისათვის დამახასიათებელ თვისებას, ხალხის შეწუხებას, ზვაობას. ავტორი არასწორად მიიჩნევს ასეთ თვისებათა შედარებას მ. შენგელიას მიერ. „განა კახური ვარიანტი გამოდგება იმის სამტკიცებლად, რომ ამირანი გილგამეშივით თავიდან ხალხის შემაწუხებელია?" — კითხულობს ავტორი. არადა, ამირანი გილგამეშივით ზვაობს, ხალხს აწუხებს, მას ხომ ზოგიერთი მკვლევარი ბოროტ ჰარიმანადაც მიიჩნევდა?. ერთი სიტყვით, მე არ მიმაჩნია დამაჯერებლად პატივცემულ როსტომ ჩხეიძის მტკიცება იმის თაობაზე, რომ „გილგამეშისა და ამირანის ეპოსთა შედარების უმართებულობა ზ. კიკნაძემ გამოთქვა მეთოდოლოგიური პრინციპის საფუძველზე", რომ „გილგამეშიანი" პიროვნული შემოქმედების ნაყოფია, მისი შედარება — ჟანრული თვალსაზრისით სავსებით გამართლებული — შეიძლება მხოლოდ ეპოსთან, ვთქვათ, „ვეფხისტყაოსანთან", და არა თქმულების დღევანდელ ვერსიებთან. ამრიგად, ავტორის აზრით, „იმ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ამირანის ამბავი წარმართულ ეპოქაში არამარტო თქმულების სახით არსებულა, არამედ საგმირო ეპოსადაც ყოფილა ჩამოყალიბებული, დღევანდელი ვერსიები კი უშუალოდ ამ ეპოსის ნაშთი უნდა იყოს... ერთნაირად ეცლება სამი საყრდენი, როცა ქრისტიანობამდელი ეპოქის ნივთიერი ძეგლებიც, იაკობისა და უფლის ანგელოზის შერკინების ბიბლიური სცენაც და გილგამეშის აქადური ეპოსიც ამირანული პრობლემატიკის მიღმა რჩება".
თუ ამას დავუმატებთ ამირანის დედ-მა-

მად მიჩნეული დალისა და მონადირის თავგადასავლის ამირანული პრობლემატიკის მიღმა დატოვებას, შეიძლება ვთქვათ, რომ ბატონი როსტომი ძალზე სარისკო დებულებებს გვთავაზობს, რომელთა გაზიარება საჭოჭმანოა.

წიგნის ავტორი დამაჯერებლად და საინტერესოდ მსჯელობს „ამირანიანისა“ და „ამირანდარეჯანიანის“ ონომასტიკონის საკითხებზე, არგონავტების მითსა და ფარნავაზის თავგადასავალზე, ლიტერატურულ-ფოლკლორულ წყაროთა ურთიერთობაზე. „უფრო ბუნებრივი და სარწმუნო ეს უნდა იყოს, რომ: „ამირანდარეჯანიანის“ შექმნამ და მერე კი მისმა გახალხურებამ გამოიწვია ადრინდელ ვერსიათა განახლება და ხელახლა გამოცოცხლება“. ყველაზე რთული პრობლემა სწორედ იმ პირვანდელი სახის აღდგენაა, რომელიც წინაქრისტიანულ, წარმართულ საქართველოში არსებობდა. ამიტომ საჭიროა ყველა ვერსიისათვის საერთო ძირითადი სტრუქტურის დადგენა-გამოყოფა, მათი თანმიმდევრობით დალაგება და ა. შ.

ავტორი სწორად იქცევა, როცა ამირანის თქმულების ვერსიების განხილვიდან გამორიცხავს ადრინდელი მკვლევარების მიერ მოხმობილ სამურზაყანოში ჩაწერილ თქმულებას არაამხეტუზე. შემდეგ კი თანმიმდევრობითაა გაანალიზებული ოთხი საყრდენი სტრუქტურული ერთეული — ფინალი. დაბადება. გმირული ლვაწლი და მიჯაჭვა (გმირის გაამაყება). ვერსიების შეპირისპირებისა და არსებულ მოსაზრებათა შეჯერების შემდეგ ავტორი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ფინალის საერთო-ქართული კომპოზიციური ჩარჩო დასმული გამოქვაბულის სახით ბოლოვდება. „თქმულების ფინალური სცენა ესაა — დასმული გამოქვაბული და მახლობლად მოწრიალე, მხარზე ლვედგადაკიდებული კაცი... გმირის ტანჯვაკვნესა კი გრძელდება და მისი ბედის შეცვლა მოსალოდნელი არა ჩანს“. გმირულ ლვაწლში ავტორი ვრცლად განიხილავს ამირანის მიერ ვეშაპებთან და დევებთან ბრძოლის, ყამარის მოტაცების, ლრუბელთ-ბატონთან შეჭიდებისა და სხვა საკითხებს.

ბატონი როსტომი არ იზიარებს ქართულ მეცნიერებაში მიღებულ თვალსაზრისს (აკაკი წერეთელმა რომ დაამკვიდრა) იმის თაობაზე, რომ ამირანმა ღმერთს ცეცხლი მოსტაცა და ადამიანებს მოუტანა. ეს აქტი პერსონიფიცირებულია ამირანის მიერ ზეციურ კოშკში დამწყვდეული ლრუბელთბატონის ასულის ყამარის მოტაცების ეპიზოდში. მეც ვიზიარებ დისერტანტის უარყოფით დამოკიდებულებას ერთ-ერთ ქართულ ვარიანტში გამოთქმული ეპიზოდის თაობაზე, რომელშიც მართლაც მიტმასნილია ცეცხლის მოტაცების გამო ამირანის დასჯის ეპიზოდი. მაგრამ, საერთოდ, ყამარის ცეცხლთან პერსონიფიცირება ისეთი რანგის ეპიზოდია თქმულებაში, რომ მისი უარყოფა, თითქოსდა, „მთქმელები, მკვლევარებისაგან განსხვავებით, ყამარს არ გააზრებენ ცეცხლის პერსონიფიკაციად, ვერანაირ მსგავსებას ვერ ხედავენ ცეცხლსა და ყამარს შორის“ — დამაჯერებელი არაა. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ეპიზოდის საერთო მიზანდასახულებას, რომ ლრუბელთ-ბატონის (იგულისხმება მეფე-ქუხილის, ე. ი. ცეცხლის გამჩენის) ასული ყამარი (ცეცხლის ინსიგნია) იმყოფება, უფრო სწორად, გამომწყვდეულია ზეციურ კოშკში, რომელიც ჯაჭვითაა დაკიდებული ცაზე, ამირანი იტაცებს ყამარს, ამასთან, იგი გველეშაპს გვერდს გამოჰრის და გამონაჭერზე ჩელტს დააფარებს, რათა გველეშაპის მიერ გადაყლაპულმა მზემ (ცეცხლმა) მალე გამოწვას იგი და ქვეყანას დაუბრუნდეს. ამდენად. შეიძლება დავასკვნათ, რომ ამირანის ერთ-ერთ ქართლურ ვერსიაში წარმოდგენილი ცნობა („თვითონ ქრისტემ მიმაჯაჭვა!!. იგი ყოველთვის

მაფრთხილებდა, არ გაბედო აქედან ცეცხლის წაღებაო, მაგრამ თავი ვერ შევიკავე და, რაკი ვიცოდი, ადამიანებს ცეცხლი სჭირდებოდათ, კიდეც ჩამოვიტანე. ასე დავიტეხე თავს ღვთის რისხვა") ძალზე ხელოვნური ჩანს, მაგრამ იგი უსათუოდ გამოხატავს საერთო განწყობილებას, აკაკისეული ტრადიციის ძალმოსილებას იმის თაობაზე, რომ ამირანი იტაცებს ცეცხლს, ამკვიდრებს ცივილიზაციას, რომ იგი კულტურული გმირია.

ძალზე საინტერესოდაა წარმოდგენილი ზღაპრულ ეპოსთან (ზღაპრულ მოტივებთან) ამირანის ეპიზოდების ორგანული კავშირი (ძმების სიკვდილი, ამირანის თვითმკვლელობა, უკვდავების ბალახი, მკვდრების გაცოცხლება და ა. შ.) ასევე მოწონებას იმსახურებს ცამცუმის, ანდრეროზის, ამბრისა და სხვა ეპიზოდების სტრუქტურული ანალიზი, რომლის საფუძველზე იკვეთება „ამირანის სულიერი ყოფის თანდათანობითი რღვევა, მის მიერ ასეთი მკრეხელური ნაბიჯის გადადგმა — ორთაბრძოლაში თვით ქრისტე ღმერთის გამოწვევა". ავტორის მტკიცებით, მთელი ამბავი იმ ქრისტიანული ტენდენციითაა განმსჭვალული, რომ „ასეთი ნაბიჯი ერთბაშად არ გადადგმულა, ამირანის მთელი საგმირო მოღვაწეობის მანძილზე მწიფდებოდა. ამის მიზეზით კი მისი ცხოვრება, გარეგნული გამარჯვებებისა და ელვარების მიუხედავად, ბედის ულმობელი ტრიალით ტრაგიკული ფინალისაკენ მიექანებოდა". სწორედ ამ თვალსაწიერიდან ძალზე საინტერესოდაა განხილული არსენა ოძელაშვილის უკვდავი სახე, რომ იგი „არის იმის ნიმუში, თუ ყველაზე უკიდურესი ფორმით როგორ გამოიხატება ქრისტიანული ღმერთისა და ადამიანის ჭიდილი". ეს მოსაზრება ჩვენ მისაღებად მიგვაჩნია, მაგრამ დამაჯერებელი არაა ავტორის შემდეგი თვალსაზრისი: ლექციებზე — ამბობს ბატონი როსტომი — ზურაბ კიკნაძე „განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა არსენას დაპატიმრებისა და აბანოს სცენას და ასაბუთებდა, რომ ესაა პოემის ცენტრალური ეპიზოდი, რაც უძველესი წარმოდგენების გველეშაპთან ბრძოლას ენაცვლება... საპყრობილედან თავდაღწევა გველეშაპის წიაღიდან ამოსვლის ანუ ხელახლა დაბადების ტოლფასია, მითუფრო, რომ წყალში განბანვას მოსდევს გმირის სულიერი ფერისცვალებისა და ხელახლა აღორძინების აქტი", დაბოლოს, თურმე „სულიერ ფერისცვალებას გარეგნულად თავისებურად უსვამს ხაზს არსენას მიერ შენიღბვის მიზნით რუსი გენერლის სამოსის გადაცმა".

ნაშრომში განხილულია ქრისტესთან ორთაბრძოლის ეპიზოდი, რომელიც, ავტორის თქმით, „ყველაზე პრინციპული მნიშვნელობისაა ამირანის თქმულების გასარკვევად". მართლაც, ამ თავში ვრცლად და კონკრეტულ მასალებზე დაყრდნობითაა ლაპარაკი ამირანოლოგიის კარდინალურ საკითხზე — „ამირანის თქმულებას უძველეს, ქრისტიანობამდელ ხანაში შექმნილად მივიჩნევთ თუ შუასაუკუნეებში" წარმოშობილად. ავტორი, პირველ რიგში, ადგენს საერთო ქართულ სტრუქტურას, შემდეგ კი ეძებს კომპოზიციური ქარგის ადრეულ და გვიანდელ შრეებს. ჩვენი შენიშვნა აქ შეეხება ავტორის მიერ ბადრისა და უსუპის (ამირანის ძმების თუ ძმობილების) მონაწილეობის უარყოფას ამირანის თავგადასავლის ძირითად ბირთვში (ისევე როგორც დალისა და მონადირისა). ბატონი როსტომი წერს: „რაც შეეხება ბადრისა და უსუპის ფუნქციას სიუჟეტის განვითარებისათვის, ძნელი ასახსნელია, თუ რატომ უნდა განვაზოგადოთ ამ პერსონაჟთა დანიშნულება და მათი არსებობა აუცილებლად მივიჩნიოთ თხრობის ბუნებრივი მსვლელობისათვის. ამ კუთხით — განაგრძობს ავტორი — დღევანდელ ვერსიებზე, განსაკუთრებით მათს ძირითად საგმირო ეპიზოდებ-

ზე... დაკვირვება ცხადყოფს, რომ ეს პერსონაჟები არა მარტო ნაკლებ ბუმბერაზობას სჩადიან ანუ ამირანის ფონზე გამოიყურებიან შედარებით მკრთალად, არამედ მათი მონაწილეობა მოქმედებაში ძალზე პირობითი ჩანს, შეიძლება ითქვას, რომ ხელოვნურად არიან მიტმასნილნი". ამჟამად აქ კამათს არ გავაგრძელებთ, ვიტყვით, რომ ეს ძალზე პრობლემატური საკითხია. ბადრი და უსუპი არამც და არამც „ხელოვნურად არ არიან მიტმასნილნი" თქმულების სიუჟეტურ სტრუქტურასთან და ამ საკითხს მომავალში კვლავ ჩაღრმავებული კვლევა-ძიება სჭირდება. ავტორი პირდაპირ ამბობს „უსუპისა და ბადრის გაჩენა ვერსიებში უნდა გამოეწვია, ერთი მხრივ, ქრისტიანულ სამების პრინციპს (სხვათა შორის, ამ პრინციპითაა... შექმნილი ფრიდონის სახე „ვეფხისტყაოსანში") და მეორე მხრივ, საფალავნო რომანის გავლენით. ბადრისა და უსუპის სახეები საფალავნო რომანამდე რომ შექმნილიყო... მაშინ „ამირანდარეჯანიანში" ეს ვითარება რამენაირად იჩენდა თავს". ამასთან ერთად, ავტორის აზრით, „ამირანის ამბის ქრისტიანული სულისკვეთებითა და ტენდენციებით გამსჭვალვა ისედაც საფიქრებელს ხდის, რომ მთქმელები ამირანის ძმებს სწორედ ამ კუთხით მოუძებნიან რაღაც ფუნქციას". კი ბატონო, ძალზე ძლიერი საბუთია „ამირანდარეჯანიანში" ბადრისა და უსუპის მოუხსენებლობა, მაგრამ გადამწყვეტი არაა. რაც შეეხება ქრისტიანიზაციის შემდეგ მოეძებნა „რაღაც ფუნქცია" ბადრისა და უსუპის ეპოსის სტრუქტურაში, თანაც, ქრისტიანული სამების გავლენით, მიმზიდველი მოსაზრებაა, მაგრამ ამირანის თავგადასავალი ქრისტიანული სამების კი არა, წარმართული ტრიადის თუ ტყუპების გარეშე ვერ წარმოიდგინება. ერთი სიტყვით, ამგვარი აზრთა ჭიდილი ამირანოლოგიის პრობლემატიკაში მუდამ იქნება კვლევა-ძიების შემდგომი წინსვლის საწინდარი. ასევე საეჭვოდ მიმაჩნია ბატონი როსტომის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „დალი-მონადირის სცენა თავისი არსით, ვარიაციაა გველეშაპთან ბრძოლის ეპიზოდისა და თანაც, საკმაოდ გვიანდელი".

მეტად საინტერესოდაა გაანალიზებული ამირანის მითის, მჭერის, დარეჯანის წარმომავლობა, სხვადასხვა თვალსაზრისები მეცნიერებაში (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, პ. ინგოროყვა) და მიღებულია ,ჩემის აზრით, დამაჯერებელი დებულება იმის თაობაზე, რომ „არც „ამირანი და არც დარეჯანი არ არის სპარსული სახელი, ორივე ქართულ გარემოში არის შექმნილი სპარსული მასალის საფუძველზე". დამაჯერებელია „ამარანტისა" და „ამირანის" ურთიერთობის საკითხის ანალიზი, რომ „ამარანტას" არა აქვს კავშირი „ამირანთან". საბოლოო დასკვნა ასეთია: „თქმულების ყველა ვერსიისათვის საერთო სახელი ამირანი შექმნილია საგმირო-საფალავნო რომან „ამირანდარეჯანიანის" გავლენით, მაგრამ მაინც არ შეიძლება მთლიანად მწიგნობრული წარმომავლობისად მივიჩნიოთ, რადგან აქ სავარაუდოა, რომ სპარსულ იერით შეფერილ სახელში შემორჩენილი იყოს კვალი თუ ანარეკლი გმირის თავდაპირველი სახელისა".

ავტორი საფუძვლიანად განიხილავს პრომეთესა და ამირანის წინაალმდეგობრივი სახის სხვადასხვა ფორმით შეფასებას ცალკეული ეპოქის მიხედვით. მთქმელებისა თუ მწერლების ამბივალენტური დამოკიდებულება პრომეთე-ამირანის, კერძოდ კი ამირანის სახის გაგების საქმეში, ავტორის აზრით სხვაგანაა საძებარი. ჩვენ ვიზიარებთ დებულებას იმის თაობაზე, რომ „წმინდანად ქცეული ამირანი მთელს თავის მომხიბვლელობას ჰკარგავს" მონანიების საზღაურად, მისი განთავისუფლება პრომეთესასა ჰგავს. „ამირანის მორჩილებით ასევე ერთბაშად გაცამტვერდება მისი თქმულების ზნეობრივი არ-

სიც. ოღონდ საქმე ისაა, რომ გარკვეული მხრივ თუ ამ მოვლენას ზოგადეროვნული თვალთახედვით გავიზიარებთ, ამგვარი შეთანხმების ძიებას ამირანსა და ქრისტეს შორის თავისი მნიშვნელობა ექნება. ჩვენი ყოფის თავისებურებიდან გამომდინარე, თუ ამირანისა და ქრისტეს სახელებს განვაზოგადებთ, როგორც ეროვნულ იდეალებისა (მამული და ენა) და სარწმუნოებას, მაშინ მკაფიოდ გამოჩნდება, რომ ეს ორი კონცეფციური ხაზი ხელს კი არ უშლის ერთმანეთს, არამედ გადაჭდობილნი უნდა იყვნენ, რათა ჯაჭვის დამსხვრევის იმედი არ მოგვეშალოს". ამის კვალობაზე განიხილავს ავტორი ვაჟას ცნობილ ლექსს — „სიზმარი ამირანისა" და შემდეგ კი მესტვირულ „არსენას ლექსს". სწორედაა გაანალიზებული მოკვდავი და აღდგენადი ღვთაებების ბედისათვის დამახასიათებელი ნიშნების (ჯაჭვის გამსხვილება-დაწვრილების თუ გამოქვაბულის გაღება-დახურვის) ციკლური პროცესები. „ღმერთი, რომელმაც ამირანი კლდეზე მიაჯაჭვა ანუ გამოქვაბულის ბინადრად გასწირა — წერს ბატონი როსტომი — წარმართული ღვთაებაა. ქრისტე მას მხოლოდ მექანიკურად შეენაცვლა. თუმცა ქრისტეს სახელის გამოჩენამ მონათვლისა და გაწბილებული ამირანისთვის ლონის მომატების პასაჟები მოიყოლია, ამირანიც კეთილი გმირიდან ხალხის შემაწუხებელ არსებად გადააქცია... მაგრამ შენაცვლების მექანიკური ხასიათი მაინც ზედაპირზევე ამოტივტივდა და არსის — თუნდ ნაკლებ მნიშვნელოვანი — სახეცვლილება არ გამოუწვევია". ასევე დამაჯერებელია მტკიცება, რომ „პირველადი ხის პალოა, სიცოცხლის ხის ასოციაციას რომ იწვევს, მჭედლების გამოჩენა — მეორეული". პალოზე ჩიტის დაფრენა და პალოს ისევ მიწაში ჩასობა „ეს უკვე მესამე ფენაა და როკაპის თქმულების გავლენით უნდა იყოს ამირანის ამბავზე გადაჭდობილი". რაც შეეხება მიჯაჭვასთან დაკავშირებულ ყურშას (გოშიას), ავტორის აზრით, „გვიანდელი ფენის კუთვნილება ჩანს, რადგან მონადირისა და მისი ერთგული ძაღლის ურთიერთობის ამბავი სრულიად დამოუკიდებელი ეპიკური ციკლია".

საინტერესოდაა გაანალიზებული ამირანის თქმულების სამი ეპიზოდი (ცამცუმის კოშკი, ბრძოლა შავ გველეშაპთან, ყამარის მოტაცება), რომელთა ალნაგობის არქაული იერი ეჭვს აღარ იწვევს. უძველესი ფორმები აქაც ტრადიციის ძალითაა შემორჩენილი, გადარჩენილი ჟამთა დინებას, როგორც მიჯაჭვის ეპიზოდი. სამივე დასახელებული ეპიზოდი მაღალმეცნიერულ დონეზეა გაანალიზებული და მათზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით, აღვნიშნავთ, რომ ავტორის მტკიცებით, „ამირანი თავდაპირველად ერთ-ერთი ღმერთი კი არ ყოფილა და თანდათანობით — საკრალური სამოსელის შემოძარცვის შედეგად — გადაქცეულა ადამიანად, არამედ ჯერ ადამიანი გახლდათ და, როგორც გამორჩეულმა გმირმა, შარავანდედით შემოსვასთან ერთად თანდათანობით შეიძინა მოკვდავი და აღდგენადი ღვთაების ნიშნები. მაგრამ ამ ნიშნებით შემკობის მიუხედავად, ამირანი ხალხის ხსოვნაში ბოლომდე გმირად დარჩენილა და ხატად ამიტომაც არ გადაქცეულა, ნიშიან სამლოცველოც ამიტომ არ დაუარსებიათ მის სახელობაზე". მსგავსი მოსაზრება, ადრე ჩვენს გამორჩეულ მწერალ-კლასიკოსს ბატონ ოთარ ჩხეიძეს ინტუიციური განსჯის შედეგად ჰქონდა გამოთქმული. აი, ისიც: „მთქმელებს ამაყებთ მორიგეს წინაალმდეგ ამბოხებული ადამიანი; ამიტომაც დასტოვეს ის ადამიანად, ხატად არ აქციეს, როგორც კოპალა და იახსარი, თუმცა მათზე ბევრად მეტ მდევსა და გველეშაპს მოუღო ბოლო. ის გმირად დარჩა, სიმბოლოდ მარადიული სიკეთისა", ბატონი ოთარი ცამდე მარ-

თალია, მაგრამ ბატონმა როსტომმა, როგორც ამირანოლოგმა, შეუვალი დასაბუთებით უნდა ყუარყოს ჩვენს მეცნიერებაში გამოთქმული მყარი მოსაზრება ამირანის მითოლოგიური წარმომავლობის თაობაზე. თავდაპირველად ამირანი, ჩვენი ღრმა რწმენით, ჩვეულებრივი ადამიანი კი არ იყო, არამედ კულტურული გმირი, დემიურგი, ღვთაებრივი ძალით აღჭურვილი, ეპოსად ამირანის თქმულება გვიან გაფორმდა.

ჩვენს მიერ რეცენზიის დასაწყისში დამოწმებული ამირანის თქმულების პირვანდელი სახის აღსადგენად ავტორის მიერ მოხმობილი ის ოთხი ეპიზოდი, რომელთა შესახებ ნაშრომის მთელ მანძილზეა მსჯელობა, მეტად შთამბეჭდავია, დამაჯერებლადაა წარმოდგენილი და გაანალიზებული. აქ ქართული მასალების ზედმიწევნით ცოდნასთან ერთად მოხმობილია მეტად მდიდარი მასალები მსოფლიო მითოლოგიისა და ლიტერატურის ისტორიიდან. ძირითადი პრობლემის, რომლის გარკვევასაც ეძღვნება წიგნი, ძალზე მაღალმეცნიერულ დონეზეა შესრულებული. მიზანი უდავოდ მიღწეულია .გამოყოფილია ოთხი მთავარი საყრდენი ეპიზოდი (პასაჟი), რაც თქმულების ძირითად ბირთვს წარმოადგენს და შექმნილია წინაქრისტიანულ პერიოდში (ეს პასაჟებია: ნადირობა: გველეშაპთან ბრძოლა; ყამარის მოტაცება; ღმერთთან შერკინება).

როგორც აღვნიშნეთ, როსტომ ჩხეიძის წიგნი „ამირანის თქმულება“ ძალზე მნიშვნელოვანი შენაძენია ქართულ მეცნიერებაში.

სულითა და გულით უნდა მიულოცოთ ჩვენს ახალგაზრდა მეცნიერს ასეთი კარგი ნაშრომის გამოქვეყნება და წარმატებები ვუსურვოთ მომავალ მუშაობაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით კოშორიძე

# „თურქი მესხები" და მათთან დაკავშირებული პრობლემები

სამცხე-ჯავახეთის სადღეისო პრობლემებს შორის ყველაზე მთავარია ე. წ. „თურქი მესხების" ყბადაღებული საკითხი. როგორც ცნობილია „თურქი მესხები", „მესხი თურქები" და „მესხეთელი თურქები" (თურქულ პრესაში „ახალციხელი თურქები") გამოგონილი და ხელოვნურად შეთითხნილი ტერმინებია. ვინაიდან საქართველოს ძირძველ და განუყრელ ნაწილ მესხეთში, რომელიც ამ რეგიონის ისტორიული სახელწოდებაა, წარმომავლობით ქართველი იგულისხმება და არა სხვა ვინმე. მესხი ანუ მესხეთი იმ მხარის პირვანდელ ტომთა კრებსითი სახელია და ეს წმინდა ქართული მხარე არასდროს არ იყო სხვა ვინმესი და მათ შორის თურქების.

ისე როგორც ყველგან, მესხეთშიც ადგილი ჰქონდა ემიგრაცია-იმიგრაციას, მაგრამ იქ ძირითადად აბორიგენული ქართული მოსახლეობა ცხოვრობდა და იგი ეთნიკურადაც და პოლიტიკურადაც ყოველთვის ქართული ქვეყანა იყო. 1595 წელს თურქებისავე შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვითაც მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველებს შეადგენდნენ, რაც კარგად ჩანს ოჯახების უფროსების წმინდა ქართული სახელებიდანაც. ამ რეგიონში ქართველობა შემცირდა ჯერ თურქეთის მიერ მისი დაპყრობის (XVII ს.) და შემდეგ განთავისუფლების დროს (1828 წ.), როცა ქართველი მოსახლეობისაგან დაცლილ ამ მიწა-წყალზე 1829-1831 წლებში სომხები, ხოლო 1841-1848 წლებში რუსი სექტანტები — დუხობორები მასობრივად იქნენ ჩასახლებული.

ისტორიულად დადგენილია, რომ თურქების სამშობლო შუა აზიაა. იქიდან არიან წამოსული მათი შორეული წინაპრები — თურქული მოდგმის მომთაბარე-მეჯოგე ტომები. მათ სხვისი ტერიტორიების დაპყრობის შედეგად მცირე აზიაში XIII საუკუნის ბოლოს შექმნეს თურქეთის სახელმწიფო. ჯერ კიდევ ადრე 1045 წელს, როცა მეზობელი სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოსპობით მუსლიმანური სამყარო მომძლავრდა და საზღვრისპირა მესხეთს გაუმეზობლდა, იქაც დაიწყო მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელე. იგი სწრაფი ტემპით წარიმართა მას შემდეგ, როცა თურქებმა XVI საუკუნის ბოლოს მესხეთის დაპყრობა და ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ძალით გამაჰმადიანება, ასიმილაცია შეძლეს. თუმცა ქართველი მუსლიმანები თავიანთი კულტურითა და ტრადიციული წეს-ჩვეულებებით თურქებისაგან დიდად განსხვავდებოდნენ. მათი ოჯახური ყოფა დიდი ხნის მანძილზე კვლავ ქართული იყო. ახალციხის საფაშოში სახელმწიფო ენად თურქულის გაბატონების მიუხედავად მათი უმნიშვნელო ნაწილი მაინც საკუთარ ოჯახებში ქართულად საუბრობდა. ატარებდნენ ქართულ გვარებს, გამოირჩეოდნენ სტუმართმოყვარეობით და საერთო განვითარების თვალსაზრისით. ამიტომაც თავიანთ თავს თურქს, ან თარაქამას კი არა „იერლის" (მკვიდრი მუსლიმანი ქართველი) უწოდებდნენ. ყოველივე ამას უცხოელი მოგზაურებიც (შარდენი, გიულდენშტედტი...) აღნიშნავდნენ და წერდნენ, რომ მათ ოსმალებისა რომ არ ეშინოდეთ კვლავ ქრისტიანობას დაუბრუნდებიანო.

სამცხე-ჯავახეთის მუსლიმანური მოსახლეობის ნახევარზე მეტი გამაჰმადიანებულ-გათათრებული ქართველი იყო. დანარჩენი თურქული მოდგმის ხალხი (თურქი, ქურთი...) სუნიტი მუსლიმანების მიმდინარეობას მიეკუთვნებოდა. ეს უკანასკნელნი, როგორც კოლონიზატორები XVII—XVIII საუკუნეებში კომპაქტურად ჩასახლდნენ ასპინძისა და ახალციხის რაიონების მთის ზონის პატარ-პატარა 10-12 კომლიან სოფლებში. დიდი განსხვავება არსებობდა მათსა

და ბარის მკვიდრ მოსახლეობას შორის. განსაკუთრებით ჩამორჩენილები იყვნენ ქურთები და თარაქამები. გამაჰმადიანებულმა ქართველებმა თურქობის მიღებით ნამდვილ თათრებზე უფრო მეტად შეიჯავრეს თავიანთი ყოფილი თანამოძმეები და სრულიად სამართლიანად თათრების სახელი დაიმკვიდრეს.

მოსახლეობის გამუსლიმანება აჭარაში და სამცხე-ჯავახეთში ერთგვაროვანი არ იყო, ვინაიდან მესხეთის მთებით ბუნებრივად დაცულმა აჭარამ შედარებით იოლად შეინარჩუნა საკუთარი თვითმყოფადობა, ეროვნული ერთობა, ქართული ტრადიცია, წეს-ჩვეულება, კომპაქტური ქართული დასახლებები და საბოლოო ჯამში მტკიცედ დაიცვა ქართველობა. ბუნებრივად არახელსაყრელი საზღვრისპირა მდებარეობის სამცხე-ჯავახეთი კი რაკი საფაშოს ცენტრი გახდა მოსახლეობის გასახლება-ჩასახლება და მომხდურთა დაწოლა გაძლიერდა. ბუნებრივია შედეგიც მისთვის გაცილებით ცუდი და საბედისწერო გამოდგა. აჭარაში მარტო რელიგია შეიცვალა, ქართული მოსახლეობის ეთნიკური ნიშნები ძირითადად ისევ ძალაში დარჩა და მისი წყალობით გამთლიანებული შემორჩა. რაც შეეხება სამცხე-ჯავახეთის ადრიდანვე შედარებით ჭრელ მოსახლეობას, მისი გარკვეული ნაწილი დამპყრობლებმა (თურქსელჩუკები, მონღოლები, ოსმალები) გადაარჯულეს და იმთავითვე ქართველობას დაუპირისპირეს.

1944 წლის 15 ნოემბერს საქართველოდან, კერძოდ სამცხე-ჯავახეთიდან შუა აზიაში (ყაზახეთის, ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთის და უზბეკეთის რესპუბლიკები) გასახლებულთა შესახებ ამ ბოლო პერიოდში ბევრი რამ დაიწერა, მაგრამ დღემდე ზუსტად არ არის დადგენილი მათი რაოდენობა, მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებულია საარქივო მასალებიც (საქართველოს პარტ-არქივი, ფ. 25, აღწ. I, საქმე 142, ფურც. I. 8; სოც. მშენებლობის სახელმწიფო არქივი ბ.), ფ. 600, აღწ. 18, საქმე 91). მაგალითად, გაზით „სახალხო განათლების" (1988 წ. 28 ივლისი, გვ. 10-11) მიხედვით ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის (ყოფილი ბოგდანოვკის); აგრეთვე ხულოს, ქედის, ქობულეთის, ბათუმის რაიონებიდან და ქალაქ ბათუმიდან გაუსახლებიათ 15568 ოჯახი ანუ 69868 სული. მათგან სამცხე-ჯავახეთის ზემოთ ჩამოთვლილი 5 რაიონიდან 13804 ოჯახი ანუ 62 ათასი სული, მაშინ როცა ამ რაიონებში იმდროისათვის 87987 სულამდე მუსლიმანი აღირიცხებოდა. აქ აშკარა გაუგებრობაა. ამ ამბების მოწმე და თვითმხილველი ვარ და კარგად ვიცი, რომ ამ რეგიონიდან წარმომავლობის განურჩევლად ყველა მუსლიმანი იქნა გასახლებული.

ზემოთ აღნიშნული მონაცემები არ ემთხვევა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" (1989 წ. 28 ივლისი, გვ. 6) მოთავსებულ მასალას, რომელშიც გასახლებულთა საერთო რაოდენობა 90 ათასამდეა ნაჩვენები. მათგან სამცხე-ჯავახეთის რაიონებში 16080 ოჯახი ანუ 77974 სული (ცალკეული რაიონის მონაცემების შეჯერების შედეგად უფრო მეტი — 15989 ოჯახი ანუ 83210 სული). ე. ი. მოტანილი სტატისტიკური მასალები ერთიდაიგივე წერილშიც კი არასწორად და დიდი სხვაობითაა წარმოდგენილი. სხვაგან (გაზ. „მამული", 1990 წ. 9 იანვარი, გვ. 14) მათი საერთო რაოდენობა 94 ათასამდეა (სამცხე-ჯავახეთის რაიონებიდან — 48790). გაცილებით მეტი 100—130 ათასი სულია მითითებული სხვა გაზეთებშიც. მწერალი ე. ნარიმანიშვილი წერილში — „ზოგი რამ თურქი მესხების" შესახებ" („ცისკარი", 1991 წ. № 11—12, გვ. 297) მათ ამჟამინდელ რაოდენობას 400 ათასით განსაზღვრავს, ხოლო თურქი ისტორიკოსი ნეჯათი დოღრუ 200 ათასით (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 1992 წ. 20 მაისი). ასეთივე განსხვავებული (150 ათასიდან 400 ათასამდე) მონაცემები გვხვდება რუსულენოვან ჟურნალ-გაზეთებშიც, ჟურნალ „Вопросы истории"-ს 1991 წლის № 9-10 ნომერში (გვ. 212—217) მოთავსებულ სტატიაში — „Месхетинские турки" ე. ბ. პანეში და ლ. ბ. ერმოლოვი მათ პირვანდელ რაოდენობას 115500 კაცით განსაზღვრავენ და მას წითელ არმიაში გაწვეულ 40 ათას კაცს უმატებენ. იმავე ავტორებს იგივე საკითხზე სხვა წერილიც — «Турки-месхетинцы (историко-этнографический анализ проблемы) жур. «Советская этнография» № 1, 1990 г. აქვთ გამოქვეყნებული. ყველა ეს რიცხობრივი მაჩვენებელი 3-4 ჯერაა გაზრდილი და მათში სხვა ადგილებიდან გასახლებულებიცაა ნაგულისხმები.

მოსახლეობის 1931 და 1939 წლების აღწერების და იმდროინდელი სოფლების ხიდიდეთა მონაცემების შეჯერების საფუძველზე 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გასახლებულ მაჰმადიანთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 70 ათასამდე (ამჟამინდელი 100 ათასამდე) უნდა განისაზღვროს. რაც შეეხება გასახლებული ქართველი მაჰმადიანების რაოდენობას, იგი ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით და თანაც ფრაგმენტული მონაცემებით, თუნდაც ქართული გვარებით, ერთი ან ორი რაიონის მაგალითზე თითქმის შეუძლებელია. ამიტომაც ამ საკითხზე 1989 წლის 30 მაისს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში" გამოქვეყნებული მასალა ახალციხის რაიონის შესახებ არ არის ამომწურავი და სრული. იმდროისათვის არსებული წესის თანახმად შესრულებული ეს მასალებიც არაობიექტურია. მასში იგრძნობა ზერელობა და ზემოდან მითითებების შედეგად ნამდვილი ვითარების აშკარა

შემამაზება. ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონების ქართველ მაჰმადიანთა სოფლების 1944 წლის დასაწყისის აღწერა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებასთან იყო დაკავშირებული. მის მიხედვით ამ რაიონების ქართველ მაჰმადიანთა ზოგიერთ სოფელში აზერბაიჯანული სკოლების ნაცვლად ქართული სკოლები უნდა გაეხსნათ. მთავრობის კომისიის მიერ მომზადებული პროექტი — „ახალციხის, ადიგენისა და ასპინძის რაიონებში მცხოვრები გამაჰმადიანებული ქართველებისათვის ქართულ ენაზე სწავლების შემოღებისა და ამ რაიონების მოსახლეობის კულტურული მომსახურების შესახებ" განხილული და დამტკიცებული იქნა 1944 წლის 15 იანვარს. მის მიხედვით 1944—1950 წლებში უნდა დამთავრებულიყო ამ რაიონების 44 სკოლაში სწავლების ქართულ ენაზე გადაყვანა (სოც. მშენებლობის სახელმწიფო არქივი. (თბ.), ფ. 600, აღწ. 1, საქმე 7040 ფურც. 8-7, 80-48. მასშია სია იმ სოფლებისა, სადაც ქართულად ლაპარაკობდნენ და ქართული სკოლების გახსნა თვით მოსახლეობას სურდა). იგი არ განხორციელდა, ვინაიდან სსრ კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა 1944 წლის 31 ივლისს მიიღო საიდუმლო გადაწყვეტილება საზღვრისპირა სამცხე-ჯავახეთის რაიონებიდან მუსლიმანური მოსახლეობის შუა აზიაში გასახლების შესახებ, ხოლო იმავე წლის 20 ოქტომბერს შესაბამისი ბრძანება გამოსცა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმაც (პარტიული არქივი (თბ.), ფ. 25, აღწერა 1, საქმე 142, ფურც. 18).

ცვალებადი და არაზუსტი ცნობები გვხვდება ქართველი მოსახლეობის ხელოვნურად გაზრდის მიზნით დაბეჭდილ ზოგიერთ მასალებშიც. ზოგჯერ იმასაც კი წერენ, რომ XII საუკუნის საქართველოში 12 მილიონი სული ცხოვრობდა. ანდა დღეისათვის რესპუბლიკის გარეთ სხვა ქვეყნებში, მაგალითად, თურქეთში ორ-სამჯერ მეტი ქართველია, ვიდრე თვით საქართველოში. არ შეიძლება არ აღინიშნოს გაზეთ „სახალხო განათლებაში" (1990 წლის 28 აპრილი, გვ. 14) მოთავსებული აშკარად კურიოზული ცნობაც. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. გოგოლაძე წერს, რომ 1829 წელს პასკევიჩის მიერ სამცხე-ჯავახეთში ჩამოსახლებული 25-80 ათასი სომეხიდან დღეს უკვე 800 ათასია. ნამდვილად ამ რეგიონის მთელი მოსახლეობა 200 ათასამდე ძლივს აღწევს. ბუნებრივად იბადება კითხვა — რისთვისაა საჭირო ასეთი არასწორი და თანაც გაზრდილი მონაცემები? იგი ხომ შეიძლება შემდგომში ჩვენს საწინააღმდეგოდ იქნეს გამოყენებული. მახსენდება 1958 წელს ქალაქ ახალციხეში ოფიცერთა კულტურის სახლის მშენებლობისას მისი ეზოდან 1829—1881 წლებში სომხების გადმოსახლების ხელმძღვანელის კარპეტა ეპისკოპოსის ცხედრის სომხურ სასაფლაოზე გადასვენების მომენტი, როცა მის საფლავში რუსულ-სომხურენოვანი წარწერიანი ტყვიის აბრა (ზომა 28—26 სმ. ინახება ახალციხის მუზეუმში № 8848) აღმოჩნდა. იგი დამსწრე სომხობამ ჯერ უბრალოდ ჩათვალა, როგორც ადგილობრივი მუზეუმის მეცნიერ-მუშაკს, მუზეუმში დასაცავად გადმომცა, მაგრამ როცა წარწერაში გადმოსახლებული სომხების რაოდენობა (8 ათასი კომლი) ამოიკითხეს, იგი ურთიერთზე გადაცემით მაშინვე სადღაც გადამალეს. მის მოძებნას ორი დღე მოვუნდით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ ერისათვის მეტად მტკივნეული ამ პრობლემების შესახებ წერა დიდ სიფრთხილეს და ობიექტურობას მოითხოვს. ასეთი საპასუხისმგებლო საკითხების შესახებ ზერელედ და ზედაპირულად მსჯელობა დაუშვებელია. თავიანთი აქტუალობის გამო მათ სპეციალისტ ისტორიკოსის ჩაღრმავებული კვლევა-ძიება სჭირდება.

საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან მუსლიმანური მოსახლეობის გასახლების მიზეზები მართალია არცერთ დოკუმენტში არ არის მითითებული, მაგრამ ზოგიერთში მაინცაა მინიშნებული, რომ ისინი საზღვრების დაცვისა და უშიშროების მიზნით იქნენ გასახლებული. ამიტომაც სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იგი ხელოვნურად და დაუსაბუთებლად არ შეიძლება მივაწეროთ ამა თუ იმ პიროვნებას. მწერალ რეზო ჯაფარიძის მიერ გაზეთ „კომუნისტში" 1990 წლის 1 აპრილს გამოქვეყნებულ სტატიაში — „წიგნები დავწვათ თუ ვიკითხოთ?" — აღნიშნულია, რომ „სტალინს განზრახული ჰქონდა თურქეთისათვის ტერიტორიული პრეტენზიები წაეყენებინა მის მიერ სხვადასხვა დროს მიტაცებული ქართული და სომხური მიწების დასაბრუნებლად. და თუ საქმე შეიარაღებულ კონფლიქტამდე მივიდოდა, არ უნდოდა, კომუნისტური იმპერიის სამხრეთ საზღვარზე სამცხე-ჯავახეთში საშიში პროთურქული ელემენტი ჰყოლოდა". ეს შეიძლება ასეც ყოფილიყო, მაგრამ მისი ძირითადი მიზეზი უცილობლად სხვაც იყო. აღნიშნული აქცია ნამდვილად იმდროინდელმა საერთო სიტუაციამ განაპირობა და არა რაიმე პირადმა ამბიციებმა, ან ტერიტორიულმა პრეტენზიებმა. თუმცა თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწების უკან დაბრუნების საკითხი 1945 წლის 14 დეკემბრის გაზეთ „კომუნისტში" აკადემიკოსების ნ. ბერძენიშვილისა და ს. ჯანაშიას წერილში — „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ" იყო დასმული. იგი 1947 წლის ოქტომბერში გაერთიანებული ერების გენერალუ-

ჩეჩენ-ინგუშეთში, ჩრდილოეთ ოსეთში, კომის ასსრ-ში, მოლდავეთში, აზერბაიჯანში... გაბნეულიყვნენ. სახელდობრ, სმოლენსკის ოლქში ჩასახლდა 2811, კურსკის ოლქში — 2286, ორლოვის ოლქში — 4152, ვორონეჟის ოლქში 2111 სული („იზვესტია" 15—06—1989 წ. 18—09—1989 წ.; 21—08—1990 წ.). ყველაზე მეტი, დაახლოებით 40 ათასი სული ჩასახლდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, მაგრამ ყარაბაღის მოვლენებთან დაკავშირებით გართულდა მათი დაბინავება.

1970-იანი წლებიდან საქართველოს რამდენიმე რაიონში (ზუგდიდის, ოზურგეთის, ჩხოროწყუს, ონის, სამტრედიის, ხაშურის, ქარელის) ჩასახლებული იქნა 186 ოჯახი, ანუ 1211 სული („კომუნისტი", 27—06—1989 წ.), მაგრამ მათი ორი მესამედი ისევ თურქად, აზერბაიჯანელად და ყაზახად დაიწერა. აგრეთვე წამოაყენეს უკანონო და გაუმართლებელი პრეტენზიები, რის გამოც დიდი ნაწილი უკან წავიდა. ისინი ყველა გასიზნულთან ერთად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა იმპერიის დაშლით გამოწვეულმა ანარქიულმა და არასტაბილურმა ვითარებამ.

სამცხე-ჯავახეთის გასახლებული მუსლიმანური მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, პროთურქული ორიენტაციის მიუხედავად, კვლავაც დაჟინებით უკან დაბრუნებას მოითხოვს. მცირე ნაწილი, რომელიც წარმოშობით თურქებად იწოდება, მომხრეა თავიანთ სამშობლო—თურქეთში გადასახლებისა. სამცხე-ჯავახეთში ჩასახლების მსურველთა მოთხოვნები ჩვენის აზრით მიზანშეუწონელი და გაუმართლებელია, ვინაიდან: ჯერ ერთი, რა უყოთ იმ ძირძველ და იმავე 1944 წელს ისეთივე ძალდატანებით ჩასახლებულ (უფრო მეტად რაჭა-იმერეთიდან. იმავე დროს მოხდა ახალქალაქის რაიონის ერთ-ერთ უძველეს ქართულ სოფელ ქარცეპში სომხების ჩასახლება) ქართულ მოსახლეობას, რომლებიც მკვიდრებად იქცნენ და არავითარ შემთხვევაში არ სურთ მათი უკან დაბრუნება, მათთან ცხოვრება; მეორე, დღეისათვის ეს რეგიონი თავისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით, საწარმოო ობიექტების ნაკლებობითა და საზოგადოებრივი მეურნეობების ნაკლებშემოსავლიანობით ანუ სიღარიბით ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა რესპუბლიკაში. სწორედ ეს პრობლემები — დაბალი ეკონომიკური მაჩვენებელი და სიღარიბე, განსაკუთრებით უმუშევრობა, აპირობებს იქაური მოსახლეობის ჭარბი შრომითი რესურსების სეზონურ და მუდმივ მიგრაციას, მესამე, სამცხის ყველა ნასოფლარის აღდგენა და დასახლება გაუმართლებელი (ჯავახეთში არაა მათგან მიტოვებული არც ერთი ნასოფლარი), ვინაიდან ისინი ამდენ მოსახლეობას ვერ უზრუნველყოფენ საარსებო საშუალებებით და ნორმალური ცხოვრებისათვის საჭირო პირობებით. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი რესპუბლიკა და თვით სამცხე-ჯავახეთი მცირემიწიანია. სახნავ-სათესი ერთ სულ მოსახლეზე მოდის: სამცხეში 0,18 ჰა., ხოლო ჯავახეთში — 0,15 ჰა., აღნიშნულთან ერთად მხედველობაშია მისაღები საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობაც. ტერიტორიულად მუსლიმანური სამყაროთი შემოზღუდულ ისედაც მცირეტერიტორიის მქონე საქართველოს არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია საზღვრების გახსნა და დასასახლებლად ყველა მსურველის მოწვევა. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდება ჩვენი მომავალი თაობა და ხელოვნურად გართულდება ისედაც მრავალმხრივ გართულებული უამრავი სადღეისო პრობლემები.

რეპატრირებულთა უკან-მესხეთში დაბრუნება დაუშვებელია იმითაც, რომ ისინი ადგილობრივ მოსახლეობასთან მშვიდობიანად ვერ იცხოვრებენ. ამის დასტურია მათი ერთად ცხოვრების ავბედითი წარსული. განსაკუთრებით 1918—1919 წლებში მომხდარი ტრაგიკული ამბები, როცა მესამე ძალის მოიმედე ადგილობრივმა მუსლიმანურმა ბანდებმა რეგიონის ისედაც მცირერიცხოვან ქართველ მოსახლეობას ვანდალური ბრძოლა გამოუცხადეს. გადაწვეს, გაძარცვეს და გაანადგურეს ქართული სოფლები, მხეცურად დახოცეს ათასობით უმწეო ადამიანი.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების დღეს სამცხე-ჯავახეთის მუსლიმანთა ადგილობრივმა ბანდებმა საკუთარი „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის ტერიტორიის მთავრობა" შეაკოწიწეს ახალციხეში და მუსლიმანური მოსახლეობის სახელით თურქეთს მიმართეს, რომ ახალციხის და ახალქალაქის მაზრების „მუსლიმანური მოსახლეობა ძირითადად თურქული წარმოშობისაა" და გთხოვთ დაგვიცვათ ქრისტიანული მოსახლეობის ძალმომრეობისაგან, შეგვიერთეთ და თქვენ საკუთრებად გამოგვაცხადეთო. მათ მიბაძეს დაშნაკების ნაციონალისტური პოლიტიკით დაბრმავებულმა სომხებმაც და საკუთარი დროებითი მთავრობა შექმნეს ახალქალაქში, მაგრამ ორივე ეს უცბად შეთითხნილი „მთავრობა" რამდენიმე დღეში საპნის ბუშტივით გაქრა. ამ ტრაგიკული ამბების დროს ჩვენმა მამებმა და პაპებმა მშობლიური ადგილებიდან სხვაგან გასიზვნის შედეგად უდიდესი ტანჯვაწამების საფასურად შეძლეს ფიზიკური არსებობის შენარჩუნება. ამის დასტურია თვითმხილველთა უამრავი გადმოცემები და დღემდე შემორჩენილი წერილობითი მასალები.

1918 წლის გაზაფხულის ამბების შესახებ ექვთიმე თაყაიშვილი იმავე წლის 29 აპრილს ნიკო მარს პეტერბურგში წერდა: „მდგომარეობა აქ ეხლა ჯოჯოხეთურია, ყოველმხრიდან საფრთ-

ხე მოდის, ბათუმს, ყარსს ოსმალიანობა, ქართლ-კახეთში და რკინის გზებზე ანარქია და სისხლის ღვრაა. ცხინვალის მხრით ოსები დაიძრა"... „მტრის ბრჭყალებში აღმოვჩნდით. ოსმალების მიერ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ ქრისტიანული მოსახლეობა აიყარა და „შიგნითა რაიონებში შემოიხიზნა". მომხდურებმა „საუკეთესო მაზრები წაგვგლიჯეს" (ნ. მარისა და ექ. თაყაიშვილის მიმოწერა, თბ., 1991, გვ. 801, 807—810.). ესეიგი ე. წ. „თურქი მესხების" მამებმა და პაპებმა ქართველობის მიმართ გაცილებით მძიმე ბოროტება ჩაიდინეს, ვიდრე 1988 წლის ივნისში მათ წინაშე ფერღანის ტრაგედიის დროს უზბეკებმა. ამაზეა ნათქვამი — ღმერთი სამაგიეროს შენ თუ ვერა, შენს მომავალს მაინც გადაუხდისო.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ქართული ეროვნული მოძრაობისა და დემოკრატიული საქართველოს მტრულმა ძალებმა იმავდროულად რეგიონალური ეთნოკრიზისები შექმნეს აფხაზეთშიც, ქვემო ქართლშიცა და შიდა ქართლშიც. მათ „დაყავი და იბატონეს", ანუ ციხის შიგნიდან გატეხვის პოლიტიკის მომარჯვებით საქართველოს განაპირა რეგიონების მოსახლეობა ერთმანეთს წაკიდეს და მათ შორის სისხლისმღვრელი ნაციონალური შიდა ომები გააჩაღეს. შემდეგში ყველა ეს აშკარად ანტიქართული ანუ პრომუსლიმანური რეაქციული ბანდების გამოსვლები გლეხთა აჯანყებებად მონათლეს. რაც შეეხება ყველა ანტიქართულ ძალებს, მათ მფარველად მხოლოდ თურქეთი გამოაცხადეს. ფაქტობრივად 1918—1921 წლების ამბებშიც საბჭოთა რუსეთი აქტიურობდა და თურქეთთან ერთად განგებ აღვივებდა ანტიქართული ძალების წინააღმდეგობებს და საქართველოს ერთიანობის საწინააღმდეგო ბრძოლებში მთავარ როლს ასრულებდა. 1914—1918 წლების მსოფლიო ომში დამარცხებული თურქეთი ქემალისტური რევოლუციისათვის მხარდაჭერით საბჭოთა რუსეთმა არა მარტო იხსნა, არამედ 1921 წლის 16 მარტს დადებული ხელშეკრულებით გადასცა ართვინის, არდაგანისა და ოლთისის ოლქები, ფოცხოვის თემი და ბათუმის ოლქის ნაწილი (ბორჩხა, მაკრიალი, მაჭახელა) 10 ათასზე მეტი კვ. კმ. ფართობი, 150 ათას სულზე მეტი მოსახლეობით. ამავე დროს აზერბაიჯანს დაეთმო ზაქათალის ოლქი (ისტორიული საინგილო), სომხეთს ბორჩალოს მაზრის სამხრეთი ნაწილი, ხოლო რუსეთს აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილი — პილენკოვო. ე. ი. თურქეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს და რუსეთს სულ გადაეცათ 15 ათას კვ. კმ-ზე მეტი ქართული მიწები, 200 ათასამდე სული მოსახლეობით.

საქართველოს მიმართ ამჟამადაც ასეთივე გეგმებით მოქმედებენ ანტიქართული ძალები. ყველასათვის ადვილი მისახვედრია, რომ მიმდინარე ეთნოკრიზისები ყოფილი საბჭოეთის ხელმძღვანელთა ხელშეწყობით [illegible] გადიდკაცებული თანამდებობის პირების მიერაა მოწყობილი. აქ ხალხის უდიდესი უმრავლესობა არაფერ შუაშია. ეროვნული უმცირესობების მიმართ სრულიად არასწორი პრივილეგიებისა და გადაჭარბებული სტუმართმოყვარეობის საფასურად აუნაზღაურებელი ზარალი მივიღეთ. ეს ასე ხდება იმიტომაც რომ ჯერ კიდევ ყველამ არ იცის ისტორიული ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ ქართულმა მიწამ შვილივით შეიფარა მრავალი ჯურის ადამიანი ათასწლობით აცხოვრა და ამრავლა ისინი. ამიტომაც საჭირო და აუცილებელია ყველამ შეიგნოს, შეისისხლხორცოს ვინ ვინ არის, საიდან მოვიდა, როგორ მომრავლდა საქართველოში და რა მოვალეობა აკისრია ამ მადლიანი მიწის წინაშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დღეისათვის მთელ საქართველოში მტკიცე აზრია შემუშავებული იმის შესახებ, რომ უაღრესად რთულ და აუარებელი შინაგანი პრობლემებით დამძიმებული ჩვენი რესპუბლიკა, კერძოდ სამცხე-ჯავახეთი დამატებითი მოსახლეობის მიღებას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებს. ამიტომაც ამ რეგიონის მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობასთან ერთად მეც, როგორც ამ კუთხის მკვიდრი და ისტორიკოსი კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი და ვარ ე. წ. „თურქი მესხების" უკან თავიანთ ძველ სამოსახლოებში დაბრუნებისა. ჩემი ეს პოზიცია აისახა აღნიშნული რეგიონის უახლესი ისტორიისადმი მიძღვნილ 1989 წელს დაცულ სადოქტორო დისერტაციაში, რაც ბუნებრივია ყოფილი საბჭოთა იმპერიის მესვეურებს არ მოეწონათ და 1991 წლის 26 თებერვალს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ხელახალი დაცვა მომიწყეს, მაგრამ რაკი სასურველი პასუხი ვერც იქ მიიღეს, დისერტაციის დამტკიცება უმაღლეს საატესტაციო კომისიაში („ВАК"-ში) განგებ დიდხანს გაჭიანურეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ დროს მოსკოვში ერთ-ერთმა რუსმა პროფესორმა ირონიით მომმართა — „თქვენი პრეზიდენტივით შეიცვალეთ აზრი და ყველაფერი კარგად დამთავრდებაო". მართლაც ე. წ. „თურქი მესხების" უკან დაბრუნებისა და მათი სამცხე-ჯავახეთში ჩასახლების თავდაპირველი მომხრე და აქტიური ინიციატორი ზ. გამსახურდია იყო, მაგრამ მან სიტუაციის ალღო აქაც უცბად აუღო, საკითხი საპირისპიროდ შეაბრუნა და იგი სხვებს გადააბრალა.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მწარე წარსულის განცდებითა და მომავლის შიშის გრძნობებით შეპყრობილი სამცხის მოსახლეობის მოთმინებადაკარგული ნაწილის მიერ 1990 წლის

თებერვლის ბოლოს ე. წ. „თურქი მესხების“ უკან დაბრუნების მსურველთა საწინააღმდეგოდ თბილისში მოწყობილ საპროტესტო მიტინგს მართალია ემოციებიც ახლდა, მაგრამ რაკი იქ გამოთქმული საყვედურები მათი მომავალი საარსებო და სასიცოცხლო პირობების გართულებით იყო გამოწვეული, პრესის ფურცლებზე საჯაროდ გაკიცხვა—„გონებას მოუხმეთ ვანდალებივით ნუ იქცევითო“ — გაუმართლებლად გვეჩვენება, ვინაიდან ულიმღამო ცხოვრებით ისედაც გატანჯულ და შეწუხებულ ხალხს დახმარების ნაცვლად ზოგ-ზოგები ხელოვნურად ახალ პრობლემებს უმზადებდნენ. ვის ჭირდებოდა ისედაც დაძაბული მდგომარეობის კიდევ უფრო დაძაბვა და საწინააღმდეგოს ქადაგება—თითქოს გასახლებული თათრები მშრომელი ხალხია და მესხეთს ააყვავებენო. მართალია, ჩვენი წინაპრების მსგავსად ისინიც გამრჯე და მშრომელი ხალხი იყო, მაგრამ რატომ არ კითხულობენ ახლა როგორი ხალხია და ნამდვილად რა მიზნები ამოძრავებთ. ანდა საქართველოში მათი ჩამოსახლების ზოგიერთი მოთავე არ უნდა ფიქრობდეს იმაზე, რომ შეიძლება კვლავაც განმეორდეს 1918—1919 წლების ტრაგედია. რა გარანტია აქვთ თუნდაც იმისა, რომ განაწყენებულ ამ ხალხსა და ადგილობრივ ქართველებს, განსაკუთრებით მათ სამოსახლოებზე მცხოვრებლებს შორის არ მოხდება შეტაკებები. ამის საფუძველს იძლევა ის, რომ შუა აზიაში დაბადებულმა და იქ აღზრდილმა ამ ხალხმა თავისივე სარწმუნოების ადგილობრივ მცხოვრებლებთან ვერ გამონახა საერთო ენა და ჩვენთან როგორღა მოახერხებს მშვიდობიან ცხოვრებას. ანდა ნუთუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ ჩვენში მიმდინარე პროცესები ისე გამწვავდებოდა, რომ ქართველი—ქართველის, ძმა—ძმის წინააღმდეგ ბრძოლას დაიწყებდა და მახვილს აღმართავდა, გაჩაღდებოდა ყაჩაღობა, ბანდიტიზმი და გაუგონარი უკეთურობა. სწორედ ეს პრობლემა აწუხებს სამცხის ქართველ მოსახლეობას. რაც შეეხება ამ რეგიონში მცხოვრებ სომხებს, მათ თავიანთი გეგმები აქვთ და ამიტომაც ჭერჭერობით დუმილს ამჯობინებენ და მაყურებლის პოზიცია უკავიათ.

სამცხე-ჯავახეთის ადგილობრივ მოსახლეობას არაფერს ეკითხებოდნენ ე. წ. „თურქი მესხების“ უკან დაბრუნების საკითხის განხილვისას. მკვიდრ ქართველ მოსახლეობას საერთოდ რომ არავითარ ანგარიშს არ უწევდნენ, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ამ რეგიონს XVII საუკუნიდან დაწყებული არ ყავდა და სამწუხაროდ არც ახლა მყავს საკუთარი ინტელიგენცია და ადგილობრივი მკვიდრი გამგებელნი. ისინი მკვიდრთა ინტერესების საზიანოდ ყოველთვის ზემოდან ინიშნებოდნენ და პირადი გამდიდრება — დაწინაურებისათვის დედაქალაქში მუდმივ საცხოვრებლად გადასვლისათვის იბრძოდნენ. ამიტომაცაა, რომ მათგან მთელი XIX—XX საუკუნეების მანძილზე ამ მადლიან მიწაზე არც ერთი არ დამარხულა. სამცხე-ჯავახეთს არც ერთი ქართველი წარმომადგენელი არ ყავდა რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში, არ გააჩნდა მკვიდრთაგან არჩეული უმაღლესი საბჭოს დეპუტატები. ისინი ყოველთვის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდლები და რეგიონში მცხოვრები ნაციონალისტური უმრავლესობის — სომხების წარმომადგენლები იყვნენ, თანაც მხოლოდ მწველავები და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები. ისინი რისი შემძლენი იქნებოდნენ და რას გააკეთებდნენ ამ რეგიონისათვის ყველასათვის ნათელია. ქართველები აქ ასერიგად მომრავლებულ უცხოტომელთა შორის ყოველმხრივ იზღუდებოდნენ, რაც ბუნებრივია იწვევდა მშობლიური ადგილებიდან მათ აყრა-გადასახლებას.

გულახდილი ვიყოთ და პირდაპირ ვთქვათ, საუკუნეების მანძილზე საზღვრისპირად მცხოვრები ადგილობრივი ქართველები უაღრესად მძიმე პირობებში ყოველთვის დარაჯობდნენ სამშობლოს უზიზღროებას, მის მატერიალური კულტურის ძეგლებს. მტკიცედ იცავდნენ ქრისტიანობას, ქართულ ენას და ამჟამადაც უცხოტომელი ზღვა ხალხის პირისპირ მდგომნი კვლავაც მტკიცედ იცავენ წინაპრების უმანკო სისხლით გაპოხიერებულ მადლიან მიწას, ქართულ ჭილაგს , მაგრამ მათ საქეთილდღეოდ დღემდე რა გაკეთებულა, ან რა კეთდება? ჯავახეთის ქართველი მოსახლეობა და თვით ჯავახეთი მხოლოდ აჭარაში მომხდარმა ბუნებრივმა სტიქიამ გაგვახსენა და არა ათწლეულების მანძილზე იქ დაგროვილმა პრობლემებმა. მიწისძვრისა და მეწყერული მოვლენების შედეგად იქაც იყო შემაძრწუნებელი ფაქტები. მაგალითად, სოფელ კოთელიაში ხალხმა რამდენიმე წელი წყალში მდგარ აშკარად ავარიულ სახლებში იცხოვრა, მთლად დასანგრევად განწირულ სოფელ ნაქალაქევიდან დღეისათვის ათობით ოჯახი სხვაგანაა გაზიზნული, გასასახლებელია 100-ზე მეტი კომლი, მეწყერული პროცესები იწყება სოფლებში—არალსა და უდეში, მაგრამ არაფერი კეთდება მათ დასახმარებლად; ანდა ჯავახეთის ქართულ სოფლებში აჭარლებისათვის აშენდა ლამაზი ორსართულიანი სახლები, ხოლო მათ გვერდით აფრიკელების, ან ინდიელების სადგომებივით დგანან ადგილობრივთა მიწური სახლები, სადაც ხალხი პირუტყვთან ერთად ცხოვრობს. სახლების გასათბობად და საჭმლის დასამზადებლად კვლავაც პირუტყვის ნაკელს — „წივას“ ხმარობენ. რაც შეეხება აბანოს, იგი მათთვის აუსრულებელი ოცნებაა და ჭერ კიდევ პრიმიტიულად გობებში ბანაობენ. ოპო-

ნენტები გვეტყვიან, დღეისათვის მიწურ სახლებში ცხოვრება და გასათბობ საშუალებად „წივისა" და პირუტყვის ფიზიოლოგიური სითბოს გამოყენება ყოვლად გაუმართლებელი და სამარცხვინოაო. სწორია, მაგრამ ეს ყველაფერი ფაქტობრივად ასეა. მოდით და ამის შემდეგ ცხოვრებისაგან ასე გაწამებულ-გატანჯულ ხალხს, თბილ სახლებსა და კაბინეტებში მჯდომებმა, დედაქალაქიდან უკიჟინოთ „დაიცავით ჰუმანურობა და ვანდალებივით ნუ მოიქცევითო".

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნუთუ ათჯერ და ასჯერ უკეთესი არ იყო წინასწარვე გვეზრუნა ამ რეგიონში ადგილობრივი ქართველების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და მათი ადგილზე დამაგრებისათვის. მოხდა კი პირიქით, საერთო უყურადღებობამ და დაუდევრობამ გაპარტახებამდე მიიყვანა და მკვიდრი ქართველებისაგან თანდათანობით დაცალა ჩვენი სახელოვანი მეფეების, მხედართმთავრების და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა წმიდათა-წმიდა სავანე ჯავახეთი; 1970 და 1979 წლების მოსახლეობის აღწერის პერიოდში ახალქალაქის რაიონში ქართველების რაოდენობა 3926 სულიდან 3067 სულამდე შემცირდა და მთელი მოსახლეობის მხოლოდ 4,4%-მდე შეადგინა, ხოლო 1979—1989 წლებში 4,8 პროცენტამდე დავიდა, 3—4 ჯერ შემცირდა სკოლებში კლასებისა და მოსწავლეების რაოდენობაც.

ჯავახეთის დემოგრაფიულად გაჯანსაღების მიზნით მართალია ქართულ სოფლებში (აფნია, გოგაშენი, კოთელია, ოკამი, პტენა, ჩუნჩხა) 1988—1989 წლებში აჭარაში მეწყერით დაზარალებული მოსახლეობისათვის აშენდა 848 საცხოვრებელი სახლი, კიდევ უნდა აშენებულიყო 168 სახლი, მაგრამ აშენებულებიც უპატრონობა—უყურადღებობის გამო დაინგრა და გაპარტახდა. მაშინ როცა რაიონის 20-ზე მეტი ადგილობრივი ქართველი ოჯახი ჯერ კიდევ მიწურ ხინებში ცხოვრობს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მგეგმავებისა და მშენებლების დაუფიქრებლობის შედეგად საცხოვრებელი სახლები პირუტყვის ბოსლებისა და სხვა დამხმარე სათავსოების გარეშე აშენდა, მაშინ როცა გლეხკაცისათვის პირველ რიგში იგი იყო აუცილებელი. ამიტომაც აჭარლები მათში ვერ ჩაესახლდნენ. მსგავსი არასახარბიელო მდგომარეობაა ნინოწმინდის რაიონშიც, სადაც რუსი დუხობორებისაგან შესყიდული ასობით სახლი ჯერაც არაა მიზნობრივად გამოყენებული. ეს კარგი წამოწყება აქაც ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. მაშინ როცა ამ რაიონში სულ ცოტა ხნის წინ 3—4 ათეული სული ქართველი ძლივს მოითვლებოდა. ახლა მათმა რაოდენობამ 4—5 ათეულს გადააჭარბა. 1988 წელს პირველი ქართული სკოლა გაიხსნა დაბა ნინოწმინდაში. ამ უაღრესად პატრიოტულ და კეთილშობილურ საქმიანობას უდიდესი ამაგი დასდო მერაბ კოსტავას სახელობის მოსახლეობის განსახლებისა და საადგილმამულო საზოგადოების ფონდმა, მაგრამ დაწყებული ენთუზიაზმი, ინტერესი და ძალისხმევა თანდათანობით შენელდა და იგი ამ ბოლო დროს შეჩერდა კიდეც. ჰაერში გამოკიდებული დარჩა მყვირალა ლოზუნგი — „ავაღორძინოთ ჯავახეთის ქართული სოფლები". აგრეთვე უყურადღებობისა და დაუდევრობის გამო 1829—1831 წლებში არტაანის ოლქის სოფელ ველიდან გადმოსახლებული ბავრის (ამ სოფლიდან იყო გასული საუკუნის ბოლო პერიოდის ცნობილი პუბლიცისტი, მწერალი და თავდადებული მამულიშვილი სოლომონ ასლანიშვილი, რომელიც ბავრელის ფსევდონიმით ატარებდა), გულიკამის, კარტიკამის, ტურცხის და ხულგუმოს ქართველი კათოლიკები. მათ აქვთ ქართული გვარები: ასლანათი (ასლანიშვილი), იგითხანათი (იგითხანიშვილი), ბერუქათი, სუმბულათი... ისინი მოექცნენ რა სომხურ გარემოში, დაუჯერეს ყალბ მტკიცებას — თითქოსდა ქართველი კათოლიკები საერთოდ არ არსებობენ და საქართველოში მცხოვრები ყველა კათოლიკე სომეხია — თანდათანობით გასომხდნენ მათი ახალგაზრდობის ნაწილი 1980-იან წლებშიც ახალქალაქის ქართულ სკოლაში სწავლობდა.

ამრიგად, სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მუსლიმანური მოსახლეობის მასობრივად გასახლება მართალია ყოვლად გაუმართლებელი, დასაგმობი და ადამიანთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით საერთაშორისო სამართლის კანონიერების აშკარა დარღვევა იყო, მაგრამ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა დღევანდელ რთულ პირობებში ძნელი და პრაქტიკულად შეუძლებელია, ვინაიდან იგი დაკავშირებულია ყოფილ სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე მდგომარეობის სტაბილიზაციასთან. თუმცა აუცილებელია მათი ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნული შემადგენლობის, სხვა ერებთან კავშირურთიერთობის, უკან დაბრუნების მსურველთა საერთო რაოდენობის და იმავე 1944 წელს საქართველოს მთის ზონიდან ადიგენის, ასპინძისა და ახალციხის რაიონებში ქართველი მოსახლეობის ისეთივე ძალდატანებით ჩასახლების საკითხების შესწავლაც. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი ხელალებით უკან დაბრუნება არანაკლები შეცდომა და დანაშაული იქნება. შესაძლებლობის ფარგლებში უკან დაბრუნების ნება უნდა დაერთოს იმათ, ვისაც ქართული ეროვნული ცნობიერება არ დაუკარგავს და სურვილი აქვს რამდენიმე კომლობით და არა კომპაქტურად ჩასახლდეს ქართულ დასახლებულ პუნქტებში და სოფლებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლორდ რაგლანი

# ტრადიციული გმირი

რამდენიმე წლის წინათ ოიდიპოსის თქმულების შესწავლა მომიხდა და ანალიზისას გამაოცა იმ ფაქტმა, რომ ამ თქმულების არაერთი ადგილი საოცრად ჰგავდა თეზევსისა და რომულუსის თქმულებათა ცალკეულ ადგილებს. შევისწავლე სხვა ბერძნული თქმულებებიც ტრადიციულ გმირებზე და როცა ისინი ცალკეულ ეპიზოდებად დავყავი, შევნიშნე, რომ ყველა თქმულებაში ან, ასე თუ ისე, უმეტესად მაინც, ერთი და იგივე შემთხვევები მეორდებოდა.

აქვს თუ არა ამგვარ შემთხვევებს რაიმე მნიშვნელობა თუ უბრალო დამთხვევებია, რაც, შესაძლოა, ყოველ ადამიანს გადახდეს თავს, ამ საკითხს მოგვიანებით დავუბრუნდები. ჯერ მინდა გიჩვენოთ, რომ მსგავსება არსებობს, ამისათვის კი საჭიროა მათი აღნუსხვა და ცხრილებად დალაგება. თვალსაჩინოებისათვის საანალიზოდ გამოვიყენოთ თორმეტიოდე შედარებით სრულად მოღწეული თქმულება, რათა გმირთა მოღვაწეობის ცხრილები შევადგინოთ, ყველაფერს თავთავისი ადგილი მივუჩინოთ და ტიპიურად ჩავთვალოთ ის შემთხვევები, რაც თქმულებიდან თქმულებაში მეორდება. ზოგიერთი ეპიზოდი სასწაულებრივია, ზოგიც შედარებით უფერულად გამოიყურება, მაგრამ შევამჩნიე, რომ ყველა ეპიზოდი საერთო მოდელის ნაწილი იყო, რადგან მჯეროდა, ასეთი მოდელი არსებობდა და უმნიშვნელო ეპიზოდებიც კი ამ ძირითად მოდელს ეკუთვნოდა. როცა მოდელს მივაგენი, ის აზლა კლასიკური სამყაროს მიღმა არსებულ თქმულებებზე შევამოწმე და, ვიმედოვნებ, შედეგები თქვენც ჩემსავით გაგაოცებთ. ტრადიციული გმირის თავგადასავალი ასეთნაირად შეიძლება დავანაწევროთ:

1. დედა სამეფო საგვარეულოს წევრია.

2. მამა მეფეა და

3. ხშირად დედის ახლო ნათესავი, მაგრამ

4. გმირი არაჩვეულებრივად ჩაისახება და

5. ხშირად ღმერთის შვილადაც მიიჩნევენ.

6. დაბადებისთანავე ცდილობენ მის მოკვლას, ხშირად ამას მამა უპირებს, მაგრამ

7. გადამალავენ და

8. იშვილებს და აღზრდის უცხო ცოლ-ქმარი შორეულ ქვეყანაში.

9. არაფერი ვიცით მის ბავშვობაზე.

10. როცა დავაჟკაცდება, გმირი ბრუნდება ან მიდის თავის მომავალ სამეფოში.

11. რომელიმე მეფეზე, გოლიათზე, გველეშაპზე ან გარეულ ცხოველზე გამარჯვების შემდეგ

12. ცოლად ირთავს მეფის ასულს,

ვინც მისი წინამორბედის ქალიშვილია და

13. მეფედ ეკურთხება.

14. ერთხანს უშფოთველად მეფობს და

15. კანონებსაც გამოსცემს, მაგრამ

16. მოგვიანებით ან ღმერთი განუ-რისხდება ან ქვეშევრდომები აუჯანყდებიან და

17. ტახტიდან ჩამოაგდებენ და ქალაქიდან აძევებენ.

18. მისი სიკვდილი საიდუმლოებითაა მოცული.

19. ხშირად მთის მწვერვალზე აღესრულება.

20. მისი ვაჟები, თუ ჰყავს, მის შემდგომ ტახტზე ვერ ადიან.

21. მის ცხედარს არ მარხავენ, მაგრამ მიუხედავად ამისა

2. აქვს ერთი ან რამდენიმე წმინდა სამარხე.

## ოიდიპოსი

დედა, იოკასტა, (1) მეფის ასულია, მამა (2) — მეფე ლაიოსი, ვინც დაიფიცებს, ცოლთან არ შევალო, მაგრამ (4) ფიცსა ტეხს მთვრალი, შესაძლოა (5) დიონისედ სახეცვლილი. ლაიოსი (6) ცდილობს ოიდიპოსის მოკვლას, მაგრამ (7) მას გახიზნავენ და (8) კორინთოს მეფე ალზრდის. (9) მის ბავშვობაზე არაფერი ვიცით, მაგრამ (10) როცა დავაჟკაცდება, თებეში ბრუნდება. დაამარცხებს მამას და სფინქსს (11). (12) ცოლად ირთავს იოკასტას და (13) გამეფდება. (14) რამდენიმე წელს უშფოთველად მეფობს, მაგრამ (16) მოგვიანებით მას შავი ჭირის მოვლინების მიზეზად ჩათვლიან (17), ტახტიდან ჩამოაგდებენ და განდევნიან. (18) მისი სიკვდილი საიდუმლოებითაა მოცული, (19) გარდაცვალების ადგილად ათენის მახლობელ ციცაბო ქვაფენილს მიიჩნევენ. (20) მის შემდგომ გამეფდა კრეონი, ვინც იგი ტახტიდან ჩამოაგდო და (21) თუმცა მისი დაკრძალვის ადგილი უცნობია, (22) აქვს რამდენიმე წმინდა სამარხი.

მოდელის 22 შემთ[illegible]-ლებაში 20 გვხვდება.

## თეზევსი

დედა, ეთრა, (1) მეფური შთამომავლობისა, მამა კი (2) — მეფე ეგეოსია, ვინც (4) მოტყუვდება და ისე იჭერს კავშირს ქალთან. თეზევსი (5) პოსეიდონის ვაჟადაც ითვლება. დაბადებისთანავე (6) გადამალავენ, რათა პალანტიდებს არ ჩაუგდონ ხელთ და არ მოაკვლევინონ. (8) ალზრდის პაპა (დედის მხრიდან). (9) არც მის ბავშვობაზე ვიცით არაფერი, მაგრამ (10) როცა დავაჟკაცდება, ათენში მიდის, (11) გზად ურჩხულებს ჰკლავს. ცოლად ირთავს (12), რიგრიგობით, მეფის ორ მემკვიდრე ასულს, (13) ადის მამის ტახტზე, მამისა, ვისი სიკვდილის (11) მიზეზიც თვითონაა. ერთ ხანს (14) უშფოთველად მეფობს და (15) კანონებს გამოსცემს, მაგრამ (16) მოგვიანებით სახელი გაუტყდება, (17) ათენიდან აძევებენ და (18) თვითონ გადმოხტება თუ აგდებენ (19) მაღალი კლდიდან, ბრძანებით (20) მენესთევსისა, ვინც მის შემდგომ გამეფდება, ოღონდ მისი ნათესავი არაა. თეზევსის დაკრძალვის ადგილი უცნობია (21), მაგრამ ვარაუდობენ, რომ მისი ძვლები დასვენებულია (22) ათენის წმინდა სავანეში.

22-დან 20 შემთხვევა.

## რომულუსი

დედა, რეა, (1) მეფური შთამომავლობისაა, მამა (2) მეფე ამულუსია, ვინც (3) ქალის ბიძაა და (4) მას იარაღასხმული ხვდებოდა. რომულუსი (5) მარსის ვაჟადაც ითვლება, დაბადებისთანავე (6) მამა ცდილობს მის მოკვლას, მაგრამ (7) გადამალავენ და (8) უცხო ცოლ-ქმარი იშვილებს და ალზრდის

შორეულ ადგილას. დავაყკაცდება თუ არა (10) თავისი დაბადების ადგილს უბრუნდება, (11) ჰკლავს მამას და ჯადოსნობით დაამარცხებს ძმას. (12) აარსებს რომს და გამეფდება. მისი ქორწინება ბურუსითაა მოცული. მოგვითხრობენ, რომ ტახტზე ასვლის მერე საგმირო საქმეებს ჩაიდენს, (15) გამოსცემს კანონებს, მოგვიანებით კი (16) სახელს გაიტეხს. როცა ქალაქს მიატოვებს, (17) მას მერე, რაც ტახტიდან ჩამოგდებას დაუპირებენ, (18) ცად ამაღლდება ცეცხლოვანი ეტლით. მის შემდგომ უცნობი გამეფდება (20). ცხედარს ვერ იპოვნიან (21) თაყვანს სცემენ ტაძარში.

17 შემთხვევა.

### ჰერაკლე

დედა, ალკმენე, (1) მეფური შთამომავლობისაა, მამაა (2) მეფე ამფიტრიონი, ვინც (3) ალკმენეს ალალი ბიძაშვილია; ოღონდ ჰერაკლე (5) ზევსის ვაჟადაც ითვლება, ზევსი (4) ქალთან ამფიტრიონად სახეცვლილი შედიოდა. დაბადებისთანავე (6) მის მოკვლას ცდილობს ჰერა. დავაჟკაცდება თუ არა, (11) საგმირო საქმეებს ჩაიდენს და გამარჯვებებს მოიპოვებს, რის მერეც მიდის (10) კალიდონში, სადაც ცოლად ირთავს (12) მეფის ასულს და (13) ძალაუფლებას იგდებს ხელთ. (14) რამდენიმე წელს უშფოთველად ცხოვრობს, მაგრამ შემდეგ კაცთაკვლა აიძულებს, (17) გაიქცეს ამ ქვეყნიდან. იგი გაუჩინარდება დასაფერფლი კოცონიდან (18) ოეტას მთის წვერზე (19) მისი ვაჟები არ არიან მისი მემკვიდრენი (20). ცხედარს ვერ პოულობენ (21), თაყვანს სცემენ ტაძარში (22).

17 შემთხვევა.

### პერსევსი

დედა, დანაე, (1) მეფური შთამომავლობისაა, მამა (5) ზევსია, ვინც (4) ქალს ოქროს წვიმის სახით [illegible]ბოდა. პაპა (6) ცდილობს დაბადებისთანავე მოჰკლას იგი, [illegible] დამალავენ და (8) აღზრდის მეფე სერიფოსი. არაფერი ვიცით (9) მის ბავშვობაზე, მაგრამ როცა დავაჟკაცდება, სძლევს ურჩხულებს და თავისი დაბადების ადგილს უბრუნდება (10). ჰკლავს მამას (11) თუ ბიძას, ცოლად ირთავს მეფის ასულს (12) და (13) გამეფდა. (14) მისი მეფობის შესახებ არაფერი ვიცით, (18) ჰკლავს, თუმცა ერთი ვერსიის მიხედვით, ტახტზე მისი შემცვლელი. მისი ვაჟები არ არიან მისი მემკვიდრენი (20). დაკრძალვის ადგილი უცნობია (21), თუმცა (22) თაყვანს სცემენ რამდენიმე სავანესთან.

16 შემთხვევა.

### იაზონი

დედა, სახელი უცნობია, (1) მეფის ასულია, მამაა (2) მეფე ეზონი; ბიძა, პელეასი, (6) ცდილობს დაბადებისთანავე მოჰკლას იგი, მაგრამ (7) გადამალავენ და (8) სხვა მხარეში აღზრდის ქირონი. არაფერი ვიცით (9) მის ბავშვობაზე, მაგრამ დავაჟკაცდება თუ არა, მიდის სამოგზაუროდ, რომლის დროსაც (11) მოიპოვებს ოქროს საწმისს, ცოლად ირთავს (12) მეფის ასულს, ჰკლავს (11) თავის ბიძას და (13) გამეფდება. (17) ჩამოაგდებენ ტახტიდან და ქალაქიდან აძევებენ. მისი სიკვდილი (18) საიდუმლოებითაა მოცული, მის შემდგომ მისი ვაჟები (20) არ მეფდებიან. დაკრძალვის ადგილი (21) უცნობია, მაგრამ აქვს რამდენიმე სამარე (22).

14 შემთხვევა.

### ბელეროფონი

დედა, ევრიმედე, (1) მეფის ასულია, მამაა (2) მეფე გლოკუსი, მაგრამ (5) ითვლება პოსეიდონის ვაჟადაც.

არაფერი ვიცით (9) მის ბავშვობაზე, მაგრამ დავაჟკაცდება თუ არა, (10) მიემგზავრება თავის მომავალ სამეფოში, (11) სძლევს ურჩხულს, (12) ცოლად ირთავს მეფის ასულს და (13) გამეფდება. (14) მისი მეფობის თაობაზე არაფერს გადმოგვცემენ, მაგრამ მოგვიანებით (16) ღმერთები აითვალწუნებენ და (17) განდევნიან. ამის შემდეგ მისი ბედი (18) ბურუსითაა მოცული, თუმცა შესაძლოა (19) ცად ამაღლებას ცდილობდეს. მისი ვაჟები (20) მის შემდგომ არ გამეფდებიან; მისი დაკრძალვის ადგილი უცნობია (21), მაგრამ თაყვანს სცემენ კორინთოში (22).

16 შემთხვევა.

## პელოპსი

დედა, დიონე, (1) ქალღმერთია, მამაა მეფე ტანტალუსი (2), ითვლება (5) პოსეიდონის ვაჟადაც. მამა (6) ჰკლავს მას და მისგან კერძს მოამზადებს, მაგრამ ღმერთები კვლავ შთაბერავენ სულს. არაფერი ვიცით (9) მის ბავშვობაზე, მაგრამ (10) დავაჟკაცდება თუ არა, თავის მომავალ სამეფოში მიემგზავრება. (11) ამარცხებს და ჰკლავს იქაურ მეფეს, (12) ქორწინდება მის ქალიშვილზე და (13) გამეფდება. ძალზე ცოტა გვსმენია (14) მის მეფურ საქმეებზე, ვიცით მხოლოდ (18) რომ იგი წარმართავდა ოლიმპიურ თამაშობებს. არაფერი ვიცით (18) მის სიკვდილზე, (20) მისი ვაჟები არ ადიან ტახტზე და (22) აქვს წმინდა სავანე ოლიმპიაში.

14 შემთხვევა.

## ასკლეპიოსი

დედა, კორონისი, (1) მეფური შთამომავლობისაა, მამაა (5) აპოლონი, ვინც (6) კინაღამ მოჰკლავს დაბადებისას. მას (7) გადამალავენ და (8) აღზრდის ქირონი სამშობლოდან მოშორებით. როცა დავაჟკაცდება, (11) სძლევს სიკვდილს, მოიხვეჭს ძალაუფლებას (13) და გამოსცემს [illegible]ის კანონებს, მაგრამ (16) [illegible]დებს ზევსს, ვინც (18) მას ელვით გააცამტვერებს. სამარხი უცნობია (21), მაგრამ მიეწერება რამდენიმე საფლავი (22).

12 შემთხვევა.

## დიონისე

დედა, სემელე, (1) მეფური შთამომავლობისაა, მამა (5) ზევსია, ვინც (3) სემელეს ბიძაა და მას ეცხადება (4) ქუხილის სახით. (6) დაბადებისთანავე მისი მოკვლა სურს ჰერას, მაგრამ (7) სასწაულებრივად გადარჩება და (8) შორეულ ადგილას გახიზნავენ, არაფერი ვიცით (9) მის ბავშვობაზე, მაგრამ როცა დავაჟკაცდება (10), სამოგზაუროდ მიდის აზიაში, (11) მოიპოვებს გამარჯვებებს და მმართველი ხდება (13). ერთხანს (14) წარმატებით განაგებს და გამოსცემს (15) სამეურნეო კანონებს და ა. შ., მაგრამ მოგვიანებით (17) განდევნიან. (18) გარდაიცვლება, მაგრამ მერე (19) ოლიმპოზე ადის. ჩანს, (20) შვილები არა ჰყავს. არც სამარხი აქვს (21), მაგრამ მის სახელზე არსებობს მრავალი სავანე და ტაძარი (22).

19 შემთხვევა.

## აპოლონი

დედა, ლეტო, (1) მეფური შთამომავლობისაა, მამა (5) ზევსია, ვინც (3) ქალის ალალი ბიძაშვილია. დაბადებისას (6) ჰერა საფრთხეს შეუქმნის, მაგრამ ლეტო (7) თავს უშველის და შვილსაც გადაარჩენს. (8) აღიზრდება დელოსზე. არაფერი ვიცით (9) მის ბავშვობაზე, მაგრამ როცა დავაჟკაცდება, მიდის დელფოში (10), სადაც ჰკლავს პითონს (11), გამეფდება (13) და გამოსცემს (15) მუსიკის და ბევრ სხვა კანონებს.

სულ ესაა, რაც მასზე შემოგვრჩენია, 11-ოდე შემთხვევა.

## ზევსი

ვაჟია რეასი და კრონოსისა, ქალღმერთისა და ღმერთისა (1 და 5), ვინც და-ძმანიც არიან. (3). დაბადებისთანავე (6) მის მოკვლას ცდილობს მამა, მაგრამ (7) გადამალავენ და (8) აღიზრდება კრეტაზე. არაფერი ვიცით (9) მის ბავშვობაზე, მაგრამ როცა დავაჟკაცდება, გაემგზავრება (10) ოლიმპოზე, (11) ამარცხებს ტიტანებს, (12) ცოლად ირთავს თავის დას, (13) მამას ჩამოაგდებს ტახტიდან და თვითონ გამეფდება. ხდება ერთმმართველი (14) და კანონებს გამოსცემს (15). აქვს წმინდა სავანე კრეტაზე, მთის მწვერვალებზე.

15 შემთხვევა.

## იოსები

დედა, რახელი, (1) პატრიარქის ქალიშვილია, მამა, იაკობი, (2) პატრიარქია და ქალის ალალი ბიძაშვილი (3). დედა იხსნის მას (4) მანდრაგორას ჭამით. ბავშვობაში ძმები (6) ცდილობენ მის მოკვლას, მაგრამ იგი ეშმაკობით გადარჩება (7) და აღიზრდება (8) ეგვიპტეში. როცა დავაჟკაცდება, გაიმარჯვებს სიზმრის ახსნისა და ამინდის წინასწარმეტყველების შეჯიბრში (11). ცოლად შეირთავს მაღალი წარმოშობის ქალბატონს (12) და ხდება (13) ეგვიპტის მმართველი. ქვეყანას ააყვავებს (14) და კანონებს გამოსცემს (15) მაგრამ მისი ცხოვრების ბოლო ხანებზე არაფერი ვიცით.

12 შემთხვევა.

## მოსე

მისი მშობლები (1 და 2) ლევიტელთა მთავარი ოჯახის წევრები და (3) ახლო ნათესავები იყვნენ. (5) ითვლებოდა ფარაონის ასულის ვაჟადაც. ფარაონი (6) მის მოკვლას ცდილობს დაბადებისთანავე, მაგრამ (7) გადამალავენ და (8) საიდუმლოდ აღზრდიან. (9) მის ბავშვობაზე არაფერი ვიცით, მაგრამ როცა დავაჟკაცდება, კაცს მოჰკლავს (11) და თავს შეაფარებს მედინაში (10), სადაც (12) იქორწინებს მმართველის ასულთან. ეგვიპტეში დაბრუნებული (11) მრავალ ჯადოსნურ გამარჯვებას მოიპოვებს ფარაონზე, რის შემდეგაც მმართველი გახდება (13). ერთხანს (14) წარმატებულია და კანონებს გამოსცემს (15), მაგრამ მოგვიანებით ჰკარგავს იაჰვეს სიყვარულს, გადააყენებენ (17) წინამძღოლობიდან და (18) საიდუმლო ვითარებაში უჩინარდება (19) მთის მწვერვალზე. მისი ვაჟები (20) მის შემდგომ წინამძღოლები არ არიან. სამარხი არა აქვს (21), მაგრამ აქვს უამრავი წმინდა სავანე (22).

21 შემთხვევა.

## ელია

(11) წვიმის მოყვანის შეჯიბრში გამარჯვების მერე იგი დიქტატორი შეიქნება (13). წარმატებული დროების შემდეგ (14) შეთქმულებას (16) მოუწყობენ. გაიქცევა ბერშებაში (17) და მოგვიანებით (18) საიდუმლო ვითარებაში უჩინარდება. მისი შემცვლელი, ელიშა, (20) ნათესავად არ ერგება. დაკრძალული არაა (21), მაგრამ აქვს (22) წმინდა სავანე.

მისი დაბდების გარემოებანი უცნობია, სულ ეს 9 შემთხვევაა ცნობილი.

## ზიგურდი ან ზიგფრიდი

დედა, ზიგლინდა, (1) მეფის ასულია, მამა (2) მეფე ზიგმუნდი ძმაა ზიგლინდასი (3) ვინც მასთან (4) სხვა ქალად გადაცმული შედის. როცა დავაჟკაცდება, (11) ჰკლავს გველეშაპს, (12) ცოლად ირთავს მეფის ასულს და (13) მმართველი ხდება. ერთხანს (14) წარ-

მატებით განაგებს, მაგრამ მოგვიანებით (16) შეთქმულებას მოუწყობენ და მოჰკლავენ.

სულ 9 შემთხვევაა, მაგრამ მჯერა, რომ ეს ამბავი მხოლოდ ნაკლული სახითაა მოღწეული.

### არტური

დედა, იგრეინი, (1) მეფის ასულია, და მისი ქმარია (2) კორნუოლის ჰერცოგი, თუმცა ითვლება (5) ვაჟად ათერ პენდრაგონისა, ვინც (4) ქალთან ჰერცოგად გარდასახული შედიოდა. ბავშვობაში საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ მიუხედავად ამისა (7) გახიზნავენ და (8) ქვეყნის შორეულ ნაწილში აღზრდიან. (9) მის ბავშვობაზე არაფერი ვიცით, მაგრამ (10) დავაჟკაცდება თუ არა, მიემგზავრება ლონდონში, მოიპოვებს (11) ჯადოსნურ გამარჯვებას და (13) გამეფდება. სხვა გამარჯვებების შემდეგ ცოლად ირთავს ჯინევრას, (12) მრავალი მაგიდის მემკვიდრეს. ამის მერე (14) უშფოთველად მეფობს, მაგრამ მოგვიანებით (17) საზღვარგარეთ მიემგზავრება და (16) მისი არყოფნისას ტახტიდან ჩამოაგდებენ. (18) კვდება საიდუმლო ვითარებაში. მისი ვაჟები (20) მის შემდგომ არ მეფობენ.

16 შემთხვევა

### ნიკანგი

ნიკანგი თეთრი ნილოსის, შილაქის, ტრადიციული გმირია და მისი თქმულება, გარკვეული თვალსაზრისით, მიესადაგება ჩვენს მოდელს. იგი მეფის ვაჟია (2) და (1) დედა, ნიკაია, როგორც ჩანს, ნიანგის ასულია. არაფერი ვიცით ((9) მის ბავშვობაზე, მაგრამ როცა დავაჟკაცდება, ძმა ამარცხებს და მოკვლას უპირებს, ამის გამო იგი სხვა ქვეყანაში მიდის და იქ (12) მეფის ასულს შეირთავს, (11) არაერთი ჯადოსნური და ნამდვილი გამარჯვების შემდეგ გამეფდება, ერთხანს წარმატებით მეფობს (14) და (15) კანონებს გამოსცემს, მაგრამ მერე ხალხი აუმბოხდება (16). სასოწარკვეთილი (18) საიდუმლო ვითარებაში უჩინარდება. მისი ცხედარი დაკრძალული არაა (21), თუმცა აქვს (22) წმინდა სავანე.

12 შემთხვევა*.

ტრადიციული გმირის ცხოვრების ეპიზოდებად დაყოფამ,—მე 22 ალვნუსხე, მაგრამ ადვილად შეიძლებოდა კიდევ დამემატებინა, — მაფიქრებინა, რომ ტრადიციული გმირის თქმულება არის არა რეალურად არსებული ადამიანის ცხოვრების ეპიზოდები, არამედ რიტუალური ეპიზოდები რიტუალურ პერსონაჟთა ცხოვრებისა. აუცილებელი არ არის აქედან ის დავასკვნათ, რომ არცერთი ის გმირი, რომელიც მოვიხსენიე, სინამდვილეში არ არსებობდა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ, თუ სინამდვილეში არსებობდნენ, მათი მოქმედება უმეტესად რიტუალური ხასიათისა გახლდათ, ან სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათი თქმულებები ისეთნაირად შეცვალეს, რათა ამ მოდელს მისადაგებოდა.

ამ საკითხს ქვემოთ კიდევ მივუბრუნდები. ჯერ მინდა გადავხედოთ ამ ეპიზოდებს, რომელთაც ტრადიციული გმირის ცხოვრების ტიპიურ ეპიზოდებად ვთვლი, და მათ დანიშნულებაზე გარკვეული მოსაზრება შევიქმნათ.

---

* ამ ნაშრომის ხელახალი გამოცემისას (წიგნში: „გმირი") ლორდ რაგლანმა გარკვეული ცვლილებანი შეიტანა და ნიკანგის თქმულების 12 შემთხვევა 14-მდე გაზარდა. გარდა მოსეს ცხოვრებისა, სადაც 21 შემთხვევა 20-მდე შემცირდა, სხვა გმირთა თქმულებებში გაიზარდა: ოიდიპოსის თქმულებაში გახდა 22 (ნაცვლად 20-ისა); რომულუსისა — 18 (16); პერსევსისა 18 (16); იაზონისა — 15 (14); ბელოპსისა 14 (13); ზიგფრიდისა — 11 (9) და არტურისა — 19 (16). ამას გარდა, ახალ გამოცემაში დაემატა სამი გმირი: იავანელი გმირი უოტო განანგი (18 შემთხვევა), კელტი გმირი ლუ ლუგუფუსი (17) და რობინ ჰუდი (13).
(შენიშვნები ალან დანდესისა).

უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ეპიზოდები სამ ჯგუფად იყოფა: 1. შემთხვევები, დაკავშირებული გმირის დაბადებასთან II. ტახტზე ასვლასთან და III. სიკვდილთან. ისინი შეესაბამებიან სამ ძირითად რიტუალს: დაბადების, ინიციაციისა და სიკვდილის. ამას ქვემოთ უფრო ვრცლად შევეხები, ახლა კი რიგით მივყვეთ.

უპირველესად შევნიშნავ, რომ გარდა მოსეს თქმულებისა, სადაც გმირი არ არის ჭეშმარიტად მეფური წარმოშობისა, ყველა სხვა თქმულების გმირი სამეფო გვარის შთამომავალია. თითქმის ყოველთვის დედის უფროსი ვაჟია და, იმას გარდა, როცა მამა ღმერთი ჰყავს, მამის პირმშოა. როგორც წესი, მცირე გამონაკლისის გარდა, გმირის მამა ცოლს ორჯერ არ ირთავს. აქ, რა თქმა უნდა, გასაკვირი არაფერია — უამრავ მეფეს ჰყოლია უფროსი ვაჟი ერთი ცოლისაგან, მაგრამ ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ ეს მოდელის ნაწილია. არსებობს ზღაპრის ტიპი, სადაც გმირი, რომელიც მეფის ასულსა და ტახტს მოიპოვებს, ღარიბული წარმოშობისაა, მაგრამ, ჩემი ვარაუდით, ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ამ ტიპის ზღაპრებში ნაამბობია ძირითადი ეპიზოდები, ხოლო გმირის დაბადებას მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება.

იმის ძიებას, რომ გმირის მშობლები უმრავლეს შემთხვევაში ახლო ნათესავები არიან, მივყავართ ფართოდ გავრცელებულ ჩვეულებამდე, რისი ძალითაც მეფეები საკუთარ დებს ირთავდნენ ცოლად, რაზეც სხვაგან უკვე მქონდა საუბარი.*

ტრადიციული გმირის დაბადება ყოველთვის არაჩვეულებრივია. ვთქვათ, ჰერაკლეს დაბადება — ღმერთი იღებს გმირის მამის სახეს, რაც მოგვაგონებს, რომ ფარაონი გარკვეულ დროს დედოფალთან ღმერთის სახით შედიოდა. ჩვენს თქმულებებში ღმერთის სახეცვლილებანი მკვეთრად განსხვავებულია. იგი შესაძლოა მოგვევლინოს ქუხილად, გედად ან ოქროს წვიმად. შეიძლება დავასკვნათ, რომ ღვთაებრივ წარმოშობას, რაც გმირს მიეწერება, არაფერი აქვს საერთო გმირის საგმირო საქმეებთან, მაგრამ ის უკავშირდება მეფის ასულისა და მისი ღმერთად გადაცმული ქმრის ურთიერთობის რიტუალს. ბუნდოვანია, როგორ შეეძლო კაცს ოქროს წვიმად გადაქცევა, მაგრამ შესაძლოა ამგვარი ახსნაც გამოიძებნოს, რომ დაბნელებულ ოთახში მზის სხივები მხოლოდ კაცს ეცემოდა.

ახლა მივადექით გმირის დაბადებას, რაც ყოველთვის საერთო მოდელის ნაწილია. ყველამ ვიცით ფინიკური რიტუალი, რომლის დროსაც უფროს ვაჟს წვავდნენ — მოლოქს სწირავდნენ მსხვერპლად. ჩვენს თქმულებებში ჩანს ბავშვის მსხვერპლად შეწირვის ანარეკლი, ზოგ შემთხვევაში ბავშვს ცხოველი ცვლის. ხშირად მამა ცდილობს ბავშვის მოკვლას. ამ შემთხვევას აბრაამსა და ისაკამდე მივყავართ. სხვა გმირების მსგავსად, მოსეს მოკვლასაც დაბადებისთანავე ცდილობენ, მაგრამ აბრაამისა და ისაკის ამბავი მიგვანიშნებს, რომ ერთი ხანობა ებრაელები ამ ადათს სქესობრივი მომწიფებისას ასრულებდნენ. შევნიშნავთ, რომ, როგორც ისაკის ნაცვლად ვერძი შეწირეს, ასევე გამოეცხადა მამას იაკობი კრავის ტყავში გახვეული, ხოლო იოსების კვართი თხის სისხლით იყო გაქლენთილი, შესაძლოა ვარაუდი გამოვთქვათ, რომ როცა ბავშვის მსხვერპლად შეწირვის რიტუალს ასრულებდნენ, მას ახვევდნენ შეწირული თხის ტყავში, რომელსაც თავისივე სისხლში ამოავლებდნენ. ასეთი რამ ზოგიერთ ჩვენს მიერ ჩამოთვლილ თქმულებაშიც გვხვდება, ვთქვათ, პელოპსის თქმულებაში, აგრეთვე ფართოდ გავრცელებული ერთ-

* რაგლანი გულისხმობს წიგნს „იოკასტას დანაშაული", ლონდონში, 1933 წ.

გული ძაღლის თქმულებაში.* რომულუსის, მოსეს და პერსევსის თქმულებებში, ისევე, როგორც იაპონურ მითში, ბავშვი წყალზე ტივტივებს. როგორც ჩანს, მსხვერპლშეწირვა სხვადასხვაგვარად ხდებოდა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ ადათს მამა ასრულებდა.

ჩვენი გმირები გაივლიან სიკვდილის გზას. ყველანი შორს მიჰყავთ და მათ ზრდის სხვა მეფე, ან როგორც იაზონისა და ასკლეპიოსის თქმულებებში — ქირონი. ეს ბოლო შემთხვევა იოლი ასახსნელია, თუ ვივარაუდებთ, რომ ქირონი იყო ტიტული, რაც უფლისწულის აღმზრდელს ენიჭებოდა, მაგრამ უმეტესად სხვა ქვეყნის ან ქალაქის მეფე გვევლინება გამზრდელად. ეს კი რამდენიმე მოსაზრებას აღგვიძრავს. პირველი ის, რომ ჩვეულების თანახმად, მეფეები ვაჟებს სხვა მეფესთან აძიძავებდნენ, როგორც ვკითხულობთ ჰაკონ ადელშტაინისეულ აღზრდის გადმოცემაში; მეორე, რასაც სხვაგან ვეხები** და რაც მტკიცედ მჯერა, ისაა, რომ უფლისწულები ტახტზე ცვლიდნენ თავიანთ სიმამრებს, რომლებიც იშვილებდნენ ხოლმე მათ. ეს კი იმის აუცილებლობას იწვევდა, რომ უფლისწულები დაბადების ადგილს შორდებოდნენ. მესამე, მეორის საპირისპირო, ის გახლავთ, რომ უფლისწულებს მამისეული ტახტის დაკავების უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ ამას მაინც აღწევდნენ, ოღონდ დედაქალაქიდან მოშორებით იზრდებოდნენ და ამიტომაც მათ უცხოელებად თვლიდნენ. ეს საკითხი გაცილებით ღრმა კვლევას საჭიროებს, ვიდრე აქ წარმოვიდგინეთ.

ამას მოსდევს მეცხრე შემთხვევა, როცა არაფერი ვიცით გმირის ბავშვობაზე. ეს შესაძლოა უმნიშვნელოდაც მოგვეჩვენოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მრავალი და მრავალი დიდი ადამიანის ცხოვრებაზე არაფერი გვსმენია. ასეთ დროს არც მათი დაბადების გარემოებებზე ვიცით რამე. შეიძლება ვიცოდეთ მისი დაბადების ადგილი და თარიღი და მეტი არაფერი. ტრადიციულ გმირებთან დაკავშირებით საქმე სხვაგვარადაა. მათი დაბადება მთავარი რგოლია უაღრესად დრამატული ეპიზოდების სერიაში. ამგვარი ეპიზოდები, რომლებიც მრავალი დეტალით უკავშირდება ერთიმეორეს, იშვიათად ან სულ არ გვხვდება რეალურად არსებული ადამიანის ცხოვრებაში. ტრადიციულ გმირს ყველაზე საოცარი ამბები გადახდება დაბადებისას; ასევე ყველაზე საოცარი ამბები გადახდება დავაჟკაცებისას, მაგრამ დაბადებასა და დავაჟკაცებას შორის შუალედში არაფერი ხდება. როგორც მე მგონია, ტრადიციული გმირი არის არა ისტორიული პიროვნება, არამედ რიტუალური, ასე რომ, როგორც საყოველთაო წესი, ბავშვები დაბადებისა და მომწიფების, ანუ ინიციაციის, ადათ-წესებს შორის არავითარ რიტუალში არ მონაწილეობდნენ. ტრადიციული გმირის თქმულება, თუ სწორად მესმის, არის გადმოცემა მისი რიტუალური ზრდისა, და ამის გამო მართებული ჩანს, რომ გმირის ცხოვრების ის ხანა, როცა თვითონ გმირი არ აღწევს რიტუალურ განვითარებას, ამოუვსებელი რჩება. ამ ამოუვსებელ ხანას — გმირის ბავშვობას —მე შევადარებდი ასევე ამოუვსებელ ხანას მას შემდეგ, რაც გმირს მეფედ აკურთხებენ.

დავაჟკაცებული გმირი მისი აღზრდის ადგილიდან იმ ქვეყანაში რომ მიემგზავრება, სადაც უნდა გამეფდეს, რა თქმა უნდა, ეს იმავე პრობლემის ნაწილია, რომელიც მერვე შემთხვევად

---

* ლუელინისა და მისი ძაღლის თქმულებაში ძაღლი თავის პატრონის შვილს იხსნის გველისაგან, როცა მამამ ძაღლის გასისხლიანებული პირი იხილა, შეცდომით იფიქრა, ბავშვი ამას შეუჭამიაო და მოკლა ერთგული ცხოველი

** რაგლანი აქ კვლავ ზემოხსენებულ ნაშრომს გულისხმობს.

განვიხილე. საოცარია, რომ, როგორც უკვე მივუთითე, გმირი თითქმის ყოველთვის მგზავრობისას მოიპოვებს გამარჯვებებს ან მაშინვე, როგორც კი დანიშნულების ადგილს მიაღწევს. გზა უცხო ქვეყნიდან სამეფო ტახტამდე გმირის ზრდის, პროგრესის გზაა და ყველა მისი ბრძოლა და გამარჯვება ამ ზრდას უკავშირდება.

ამას მოჰყვება გმირის გამარჯვებები და მინდა ყურადღება გავამახვილო იმაზე, რაც ეს-ესაა ვახსენე, სახელდობრ, ტრადიციული გმირი, ისტორიულ გმირ-მეფეთაგან განსხვავებით, ყოველთვის ტახტზე ასვლამდე იმარჯვებს. ამას გარდა, შესამჩნევია, რომ ტრადიციული გმირი დიდ ბრძოლას არასოდეს იგებს. ლაშქარი იშვიათად ჰყავს, ან თუ ჰყავს, არსად ჩანს, რომ წვრთნიდეს ან მეთაურობდეს. ისტორიული მეფე, როგორც მეომარი, მთავარსარდალია და ასეა არამარტო ველურ ტომებში, არამედ ცივილიზებულ ერებშიც. როცა დიად ისტორიულ გამარჯვებებზე ვფიქრობთ, ვიხსენებთ სხვადასხვა რანგის გამარჯვებებს, ვთქვათ, არგირასპიდებისა, მეათე ლეგიონისა და ასე შემდეგ. მაგრამ ტრადიციული გმირი არასდროს არ არის მთავარსარდალი. ყოველი მისი გამარჯვება, რომელთაც რეალურ ბრძოლებში მოიპოვებს და არა ჯადოსნური შერკინებისას, არის ცალკეული შეტაკებანი მეფეებთან, გველეშაპებთან ან, განსაკუთრებით, გარეულ ცხოველებთან. იგი არასდროს ერკინება ჩვეულებრივ ადამიანებს ან ჩვეულებრივ ცხოველებსაც კი. ადგილს იმ მეფისა, ვისაც ებრძვის, თვითონ იკავებს. ოიდიპოსისა და რომულუსის თქმულებებში გმირები საკუთარ მამებს ებრძვიან, სხვა თქმულებებში კი — მომავალ სიმამრებს, შესაძლოა, გოლიათი ან ურჩხული, რომელსაც გმირი ებრძვის, სახეცვლილი მეფე-გამგებელი იყოს ან სხვაგვარად რომ ვთქვა, მეფე იძულებული იყო ეტარებინა განსაკუთრებული სამოსი ან ნიღაბი, რათა ტიტული და სიცოცხლე დაეცვა. ამ საკითხს ქვემოთ დავუბრუნდები, ჯერ ჯადოსნური ბრძოლის თაობაზე მოგახსენებთ, რომელიც რეალურ ბრძოლაზე უფრო მნიშვნელოვანი ჩანს. ოიდიპოსი ტახტს იმის მეოხებით მოიპოვებს, რომ გამოცანას ამოხსნის, ხოლო თეზევსი იმის მეოხებით, რომ ლაბირინთს დააღწევს თავს. სამი ებრაელი გმირის ჯადოსნური გამარჯვებები წვიმის მოყვანას უკავშირდება. იოსები სწორად იწინასწარმეტყველებს ამინდს, მოსე ურაერთ გამარჯვებას მიაღწევს, რომელთაგან ერთ-ერთი წვიმის მოყვანაა, ელიაც წვიმის მოყვანის შეჯიბრში ამარცხებს წინასწარმეტყველებს. ბუნების მოვლენებზე ძალაუფლება ყველაზე ნიშანდობლივია ღვთაებრივი მეფეებისათვის და, როგორც ჩანს, ტახტის პრეტენდენტს ხშირად წვიმის მოყვანის გამოცდა უნდა გაევლო. ჩვენი გმირი ტახტამდე ორი გზით უნდა მივიდეს. მან უნდა მოიყვანოს წვიმა და გამოიცნოს გამოცანა; უნდა დაამარცხოს მეფე-გამგებელი. გადაჭრით ვერ ვიტყვით, შებრძოლება ნამდვილი იქნებოდა თუ რიტუალური. არაერთხელ მეფეს უთუოდ სიკვდილით დასჯიდნენ ძალაუფლების დაკარგვიდან გარკვეული დროის შემდეგ. შესაძლოა მეფესა და მის მეტოქეს შორის სამართლიანი ბრძოლაც იმართებოდა თანაბარი იარაღით, მაგრამ ამის დამადასტურებელი საბუთები ძალზე არადამაჯერებელია. რამდენიმე თქმულება გვიამბობს, რომ მოხუც მეფეს რიტუალურად ჰკლავდნენ, მის შემცვლელს უნდა მოეკლა ცხოველი — მგელი, ტახი ან გველი, რომელთა სხეულშიც, მათი წარმოდგენით, მოხუცი მეფის სული იყო გარდასახლებული.

განსაცდელთა გადალახვისა და გამარჯვებების მოპოვების შემდეგ გმირი ცოლად ირთავდა თავისი წინამორბედის ქვრივს ან ქალიშვილს და ტახტზე ადიოდა. წესის თანახმად, ტახტის

მემკვიდრეობა ქალის მხრიდან გრძელდებოდა; დედოფალს, რომელიც გამეფდებოდა, ან მემკვიდრე მეფის ასულს, შეეძლოთ ახალი ქმრისათვის გადაელოცათ ტახტი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, ყოველი მამაკაცი, ვინც დედოფლის შერთვას მოახერხებდა, კიდეც გამეფდებოდა. ერთადერთი გზა, რომლის შემწეობითაც ყოველ მამაკაცს შეეძლო კანონიერი მეფე გამხდარიყო, დედოფლის შერთვა იყო. ამგვარი ვარაუდი თქმულების მიღმა გვახედებს და გვაფიქრებინებს, რომ ახალი მეფე ტახტზე უფლებებს თავისი ჩამომავლობით, აღზრდითა და გამარჯვებებით განამტკიცებდა. ჩანს, მეფესაც და დედოფალსაც თავთავისი ღირსება უნდა ჰქონოდათ. ჩვენ არ ვიცით ახალი დედოფალი ნამდვილად იყო თუ არა გარდაცვლილი მეფის ქალიშვილი, ისევე, როგორც არ ვიცით, ახალი მეფე ნამდვილად იყო თუ არა თავისი წინამორბედის ვაჟი. შესაძლოა ორივე შემთხვევაში შვილად აყვანის რიტუალი შეესრულებინათ. ასეა თუ ისე, ფაქტი, რომ ჩვენი გმირი ირთავს მეფის ასულს და, იმავდროულად, ტახტზე ადის, შორსაა იმის მტკიცებისაგან, რომ მეფედ იგი ცოლის მეოხებით ეკურთხება. შესაძლოა ეს იმასვე მიუთითებდეს, რომ სხვა წყაროებიდან ვიცით, რომ ჰ ი ე რ ო ს გ ა მ ო ს* წარმოადგენდა არსებით და უაღრესად მნიშვნელოვან მომენტს მეფედ კურთხევის რიტუალში. არ მსმენია არცერთი შემთხვევა ამა თუ იმ ეპოქასა და ქვეყანაში, სადაც კაცი ტახტზე მხოლოდ დედოფლის შერთვის მეოხებით ასულიყოს, რადგანაც მას აუცილებლად რაიმე ღირსება უნდა ჰქონდა, იქნებოდა ეს მისი წარმოშობა, ბრძოლა თუ გამოცდის გავლა. ჩვენს გმირებს ყველას აქვს ეს ღირსებანი. დღესაც ევროპაში ქორწინებაში [illegible] არასოდეს მივყავართ ტახტის [illegible] უფლისწულებს ან მეფის ასულებს, რომლებიც უღირს პიროვნებებზე იქორწინებდნენ, უარესი ემართებოდათ, ისინი არამარტო თავიანთი მეუღლეების ტახტზე აყვანას ვერ ახერხებდნენ, არამედ თვითონვე ჰკარგავდნენ უფლებას ტახტზე. ძნელია ადამიანმა დაიჯეროს, რომ ადათები ნაკლებ მკაცრი იყო იმ საუკუნეებში, როცა მეფისა და დედოფლის რიტუალს გაცილებით მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ჩვენი გმირი ირთავს თავისი წინამორბედის ქვრივს ან ქალიშვილს, რაც ნაწილია ტახტზე ასვლის რიტუალისა, შემდეგ კი რას მოღვაწეობს? სავარაუდოა, რომ იგი ტახტისაკენ მიმავალ გზაზე სიმამაცესა და მიზანსწრაფვას ამჟღავნებს — იპყრობს, ჰქმნის იმპერიასა და დინასტიას, აგებს ტაძრებსა და სასახლეებს, აქვს ვეება ჰარამხანა და, საერთოდ, იმგვარად იქცევა, როგორც ისტორიული დამპყრობელი ან ცდილობს ასე მოიქცეს. ტრადიციული გმირი ამ შემთხვევაში, ისევე, როგორც ყველა დანარჩენ შემთხვევაში, სრულიად განსხვავდება ისტორიული გმირისაგან.

იგი არასოდეს იბრძვის, არასდროს აფართოებს თავისი სამეფოს საზღვრებს, არაფერს აშენებს, ასე რომ, სრულიად არაფერს საქმიანობს. მისი ზეობის ერთადერთი მოწამე, — რაც ტრადიციული თქმულებისას ცალკე განიხილება და რაც იწყებს და ამთავრებს ტრადიციული გმირის მოღვაწეობას, — კანონთა კრებულია, რომლის შექმნაც გმირს მიეწერება. ასეა თუ ისე, კანონთა კრებული ნაყოფია ასეული და ათასეული წლების თანდათანობითი განვითარებისა და არაფრისდიდებით არ შეიძლება იყოს ერთი ადამიანის შექმნილი. ვინმეს, ერთ კაცს, იუსტინიანესა თუ ნაპოლეონს, შეუძლია შეჰქმნას კანონები ან შეცვალოს მათი

* ეს ბერძნული გამოთქმა ნიშნავს წმინდა ანუ საკრალურ ქორწინებას, რომლის დროსაც ერთი ან ორივე მონაწილე მსახიობი ღმერთებს განასახიერებდა. ეს ქორწინება ხშირად მინდორში სრულდებოდა.

მოქმედების არე, მაგრამ არასოდეს არავის უმტკიცებია, რომ კანონთა კრებული ან მისი ნაწილი, უექველად მეფეთა ნაკარნახევი ყოფილიყოს. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ასე არასდროს მომხდარა. სხვა მხრივ, როგორც სერ ჯეიმზ ფრეზერმა თვალნათლივ გვიჩვენა, ჩვენთვის ცნობილი ათი მცნება მოსეს არ უკავშირდება, თუმცა თავდაპირველი ათი მცნება, იმის მიუხედავად, თუ ვინ შექმნა, სრულიად განსხვავებული იყო. სავსებით აშკარაა ის გარემოება, რომ ტრადიციულ გმირს კანონთა კრებულის შექმნას იმიტომ მიაწერენ, დაასაბუთონ კანონთა უძველესი და ღვთიური წარმომავლობა. ამას მოსდევს მნიშვნელოვანი შემთხვევა, როცა ტრადიციული გმირი, ჯადოსნური ზღაპრისა და ისტორიული გმირებისაგან განსხვავებით, მოღვაწეობას იმით ამთავრებს, რომ სამეფოდან განდევნიან და საიდუმლო ვითარებაში ჰკლავენ. ასე ემართება ჩვენი გმირების უმრავლესობას; როცა ასე არ ხდება, მაშინ, ჩვეულებრივ, გაურკვეველია, თუ რა ბედი ეწიათ. იოსების თქმულებაში არც კი ვიცით, რა ხდება მამამისის სიკვდილსა და თვითონ იოსების სიკვდილს შორის. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განდევნა და საიდუმლოებით მოცული სიკვდილი ტრადიციული გმირის ბედისწერაა. ტრადიციული გმირისათვის ნიშანდობლივია, რომ იგი ბრძოლაში არასდროს მარცხდება. რადგანაც ტახტს ჩვენი გმირი ბრძოლაში გამარჯვების წყალობით მოიპოვებს, შესაძლოა ვინმემ იფიქროს, დაკარგვით ბრძოლაში დამარცხების გამო ჰკარგავსო, მაგრამ ასე არასოდეს ხდება.

ოიდიპოსი ჰკლავს მამას და ირთავს დედას. ვინმემ შესაძლოა იფიქროს, რომ ერთ-ერთი მისი ვაჟთაგანი, ან სხვა რომელიმე უფლისწული, მოჰკლავდა ოიდიპოსს და შეირთავდა იოკასტას, ხოლო თუ იოკასტა ამ დროს ძალზე დაბერებული იქნებოდა, მაშინ — ანტიგონეს. კრეონი, მიუხედავად იმისა, რომ ტახტზე ოიდიპოსს ცვლის, ამას იმით ახერხებს, რომ ოიდიპოსის წინააღმდეგ ორაკულს აამხედრებს. მრავალი სხვა თქმულებაც ვიცით. სადაც გმირს ღმერთი დასცემს და მაშინ მას ყველაზე უარესი ბედი ელის. შესაძლოა ეს იმით აიხსნას, რომ როცა გმირი ბერდება და მის მეფობას ყავლი გასდის, — სერ ჯეიმზ ფრეზერი მიუთითებს წინაისტორიული საბერძნეთის რვა წელიწადზე, — იგი მარცხდება ჯადოსნურ შერკინებაში. უნდა აღინიშნოს, რომ გმირის დაცემა აღზევების მწვერვალიდან უეცარია და არა თანდათანობითი. ცხოვრების ერთ ხანაში განსაკუთრებით ძალოვანი და სახელმოხვეჭილი გმირი მერე ღმერთსაც განარისხებს და ხალხსაც აიმხედრებს.

შემდეგი გარემოება, რაც უნდა აღინიშნოს, ისაა, რომ ბედისწერას გმირი ყოველთვის მიჰყავს თავისი ქალაქიდან, ხშირად მას დევნიან, ზოგჯერ თვითონვე მიემგზავრება წმინდა მისიის შესასრულებლად. მერე გმირი ადის მწვერვალზე, რაც თავს იჩენს, ვთქვათ, ოიდიპოსის, თეზევსის, ჰერაკლეს, ბელეროფონის, დიონისესა და მოსეს გადმოცემებში. თუ აქვე გავიხსენებთ ცეცხლოვან ეტლს, რომლითაც ელია და რომულუსი გაუჩინარდნენ, და ელვას, რომელმაც ასკლეპიოსი იმსხვერპლა, შესაძლოა დავასკვნათ, რომ, ჩვეულების თანახმად, მეფე-გამგებელს სწვავდნენ—ცოცხლად ან გარდაცვლილს—კოცონზე, მთის მწვერვალზე რომ ანთებდნენ და სჯეროდათ, მეფე ცეცხლის ალსა თუ კვამლს აჰყვება და ცად ამაღლდებაო. ცხადია, ცხოველი თუ ადამიანი, რომელსაც მისი შემცვლელი ჰკლავდა, ძველებურ სახეს ველარ შეინარჩუნებდა და სულ სხვა სახეს იღებდა.

ის შემთხვევა, რომ ტახტზე გმირის შემდგომ იშვიათად ადიოდა მისი შვი-

ლი, შეიძლება აიხსნას იმით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ტახტის მემკვიდრეობა ქალის მხრივ გრძელდებოდა. თუ მეფეს ვაჟი არა ჰყავდა, მაშინ ქალიშვილი შეცვლიდა. თუ მეფე მხოლოდ რვა-ცხრა წელიწადი ზეობდა და ცოლს მეფედ კურთხევისთანავე ირთავდა, სრულიად შეუძლებელი იქნებოდა მის შემდგომ ტახტზე მისი შვილები ასულიყვნენ, რადგან ამ დროს მცირეწლოვანნი იქნებოდნენ, მაგრამ მათ შეეძლოთ მამის შემცვლელი შეეცვალათ, რაც ხანდახან ხდებოდა კიდეც. ძნელია თვალი მივადევნოთ კრეონის ცხოვრებას, მაგრამ ჩანს, რომ იგი უსწრებდა და კიდეც ცვლიდა ოიდიპოსს და მის ვაჟებსაც. ცნობილია, რომ პერსევსმა მოჰკლა პროტუსი და მის ნაცვლად გამეფდა, პერსევსი კი მოჰკლა და შეცვალა პროტუსის ვაჟმა. ეგისთე ჰკლავს და ცვლის აგამემნონს, ეგისთეს კი ჰკლავს და ცვლის ორესტე. მსგავსი ამბები გვხვდება თეზევსისა და იაზონის თქმულებებში. სპარტაში იყო ორი მმართველი ოჯახი, რომლისგანაც მეფეები წარმოსდგებოდნენ და შესაძლებლად მეჩვენება, რომ წინარე ისტორიულ ხანაში თვითოეულ ქალაქს ჰყოლოდა ორი მმართველი ოჯახი, რომლებიც მონაცვლეობით აიყვანდნენ ტახტზე მეფეს.

გმირის მოღვაწეობა იმით მთავრდება, რომ თუმცა, როგორც ამბობენ, საიდუმლო ვითარებაში უჩინარდება, აქვს ერთი ან რამდენიმე წმინდა სავანე. შევეცადე დამემტკიცებინა, რომ გაუჩინარებას კრემაცია იწვევდა, მაგრამ თუკი მეფეებს წვავდნენ, მაინც ძნელად თუ ექნებოდათ საფლავი ან სამარე, იმ სიტყვების ჭეშმარიტი გაგებით, რადგანაც ვიცით, რომ ყოველი რელიგიის შეხედულებით, დასაკრძალავად ყველაზე აუცილებელი გახლდათ ძვლები, ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე ძვალი მაინც იმ პიროვნებისა, ვის სახელზეცაა საფლავი. ბევრი დაწერილა ბერძენთა ჩვეულებებზე, რომელიც ეხება მკვდართა გა[illegible]ლებასა და მათს სხვა სამყ[illegible]რებას, მაგრამ იმის გა[illegible] მსურს, უკავშირდებოდა თუ არა სამეფო დინასტიის არსებობა ტრადიციულ გმირთა თქმულებებს. ამ თქმულებების შესწავლიდან ირკვევა, რომ მაშინ, როცა უბრალო ადამიანებს ასაფლავებდნენ, მეფეთა ნეშტს წვავდნენ, მაგრამ გულმოდგინედ არა, რათა ძვლები გადარჩენილიყო და მათი დამარხვა შეძლებოდათ. მჯერა, რომ ეს თვალსაზრისი, — თუმცა განსხვავებულ საფუძველზე, — წამოაყენა დორფელდმა, ასე ამ 30 წლის წინათ, თუმცა მისი ნაწერი არ მინახავს. ასეა თუ ისე, მსგავსი ჩვეულებანი გვხვდება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

იმედი მაქვს დაგარწმუნეთ, რომ მსგავსებანი სხვადასხვა ტრადიციულ გმირთა თქმულებებს შორის ისე ბევრია, შეუძლებელია უბრალო დამთხვევები იყოს. მათი ახსნა შესაძლებელია რიტუალების გათვალისწინებით. ხომ არ უნდა დავასკვნათ, რომ ყველა ეს გმირი მითოლოგიურია? ჩემი აზრით უმრავლესობა ნამდვილად მითოლოგიურია, მაგრამ ეს სხვა საფუძველზე დაყრდნობით დავასკვენი. უეჭველია ამას ადასტურებს ის ფაქტი, ახლახან რომ ჩამოვაყალიბე. როცა გადმოგვცემენ, ალექსანდრე მაკედონელი ზევსის ვაჟი იყოო, ზევსისა, ვინც გველად გარდასახული შესულა დედამისთან, მაკედონელს მითოლოგიურ პიროვნებად არ მივიჩნევთ. არც მაშინ ვფიქრობთ ასე, როცა ამოვიკითხავთ, რომ კიროსის პაპას (დედის მხრიდან) დაბადებისთანავე მისი მოკვლა უბრძანებია. არც კიროსის ამბავს მივიჩნევთ მითიურად. საბოლოოდ ვასკვნით (ყოველ შემთხვევაში, მე ვასკვნი), რომ პირ[illegible]რობით ან იმის შეგნებით, გმირის მოღვაწეობა რაღაც გარკვეულ მოდელს უნდა შეესაბამებოდესო, ჭეშმარიტად ისტორიული გმირის თავგადასავალში მითოლოგიური ეპიზოდები შეიტანეს.

აქედან ის გამომდინარეობს, რომ უფრო ადრეული გმირები მითოლოგიურნი უნდა ყოფილიყვნენ, სხვაგვარად მითოლოგიური ტიპი ვერ აღმოცენდებოდა. ერთადერთი შესაძლო არჩევანი, რაც მე დაუჯერებლად მეჩვენება, ისაა, რომ ოიდიპოსი ნამდვილად ისტორიული პიროვნებაა, ვინც მოჰკლა მამა, შეირთო დედა და ასე შემდეგ, მაგრამ ეს ყოველივე დადგენილი რიტუალის ნაწილია.

რაც შეეხება ოიდიპოსის თქმულების ფროიდისეულ ახსნას, სულ ცოტა რომ ვთქვა, შეუსაბამოდ მეჩვენება, რადგან იგი ყურადღებას მიაქცევს მხოლოდ ორ შემთხვევას, სულ მცირე 22 შემთხვევიდან, და ვხედავთ, რომ თქმულების დანარჩენი ნაწილი არ შეიცვლება, გმირი დედას შეირთავს, დას თუ თავის ბიძაშვილს.

შეცდომა, — რაც ყველას შეიძლება მოგვივიდეს, მაგრამ, რაც შემეძლო, ვეცადე თავიდან ამერიდებინა, — იქნებოდა, რომ ყურადღება გაგვემახვილებინა თქმულების ერთ განსაკუთრებულ ასპექტზე და სხვა დანარჩენი მხედველობიდან გამოგვრჩენოდა. ასეთი შეცდომა ბევრ კლასიკოს მეცნიერს მოსვლია. როცა ჰომეროსსა და ანტიკურ დრამატურგებს იკვლევენ, კლასიკოსი მეცნიერები დაჟინებით ამახვილებენ ყურადღებას არა იმაზე, რაც ტრადიციულ გმირს მიეწერება, რაც მას ჩაუდენია, არამედ იმ სიტყვებზე, რასაც ტრადიციულ გმირს პოეტები ათქმევინებენ. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით სწავლობენ ისინი გმირთა ხასიათებს და ივიწყებენ, რომ დიად პოეტთა მთელი ხელოვნება გმირებისათვის ახლებური სიცოცხლის შთაბეჭდვაა: ვშიშობ, კლასიკოსი მეცნიერები რომანტიკულად უფრო არიან განწყობილნი, ვიდრე მეცნიერულად. როცა კითხულობენ „ილიადასა" და „შვიდნი თებეს წინააღმდეგ" და ემოციით ალივსებიან, ვერ გაუგიათ, რომ ეს ისეთივე ემოციაა, რასაც განიცდის პატარა ბიჭი, რომელიც „განძთა კუნძულს" ხელიდან არ უშვებს, [illegible] ცრუისტორიის პირბადით [illegible] პირბადეს არქმევენ „გმირულ ხანას", სადაც ცხოვრების მთავარ ნიშნებს გამოხატავს ცალკეული შერკინებანი, შეყვარებულთან ერთად გაქცევა და გველეშაპები. ჩემი აზრით, უფრო გონივრულია ვივარაუდოთ, რომ ოდესღაც არსებობდა „კომიკური ხანა", რომლის დროსაც სიტყვაცა და ტანისამოსიც გადაბრუნებულია, და „ტრაგიკული ხანა", როცა შეყვარებულები ყოველთვის ნაადრევად კვდებიან. სამივე ხანის ჩვეული ცოდნა მომდინარეობს პოეტებისაგან და პოეტებს კი არ აინტერესებთ ისტორიული სიმართლე, ყოველ შემთხვევაში, ძალზე ცოტას აინტერესებს. ისტორიკოსები ვარაუდობენ, ადამიანებს რეალური ფაქტი ურჩევნიათ გამონაგონსო, მაგრამ რომ გაისარჯონ და უახლოეს ბიბლიოთეკაში შეიარონ, დარწმუნდებიან, რომ მათ ვარაუდს იოტისოდენა საფუძველიც არ გააჩნია. ჰომეროსს იმიტომ კი არ კითხულობენ, თითქოს მის მკითხველებს ისტორიის ზედმიწევნით შესწავლა სურდეთ, არამედ იმიტომ, რომ იგი მშვენიერ ამბებს მოგვითხრობს და მას მაშინაც წაიკითხავენ, თუნდაც გაირკვეს, მის ნაამბობს უმცირესი ისტორიული საფუძველიც კი არ გააჩნიათ.

### ალან დანდესის მინაწერი

მსგავსად ოლრიკის ამავე კრებულში დასტამბული წერილისა, რაც ეპიკურ კანონებს ეხებოდა, ფიტსროი რიჩარდ სომერსეტის, მეოთხე ბარონ რაგლანის, ამ ესეიში დადგენილია 22 ელემენტისაგან შედგენილი კლასიკური მოდელი, რომელიც დაფარულია ყოველ ცხოვრება-გადმოცემაში, ეროვნულ გმირთა უამრავ თქმულებაში. პირველად ეს გამოკვლევა ავტორმა წარუდგინა ინგლისის ფოლკლორისტთა სა-

ზოგადოებას 1934 წელს, 1936 წელს კი მცირეოდენი გადამუშავების შემდეგ შეიტანა წიგნში „გმირი. შესწავლა ტრადიციისა, მითოსისა და დრამისა".

თავდაპირველად რაგლანმა მოდელი გამოიყენა ოიდიპოსის, თეზევსის, მოსესა და მეფე არტურის ცხოვრებათა ანალიზისას, გამოჰყო საერთო ელემენტები, ყველა ამ თქმულებაში რომ მეორდებოდა, და მათ შორის განსაცვიფრებელი მსგავსება დაინახა: მეორდებოდა 12-ზე მეტი ერთნაირი ნიშანი. რაგლანმა ამის მიხედვით ის დაასკვნა, რომ გმირების ციკლი არ იყო ისტორიული. მისი ვარაუდით, არცერთი ეს გმირი ისტორიული პიროვნება არ ყოფილა და, ამდენად, მათი ცხოვრება ისტორიულ ვითარებას კი არ ასახავდა, არამედ დაბადების, ინიციაციისა და სიკვდილის რიტუალს. შესაძლოა ტრადიციული გმირი ყოფილიყო შთამომავალი სამეფო გვარის, რაც ღვთის მიწიერ ხატად მიაჩნდათ.

რაგლანის გამოკვლევამდეც ცდილობდნენ გმირთა ციკლის მოდელთა დადგენას. 1864 წელს იოჰან გეორგ ფონ ჰანმა აღნუსხა ის მსგავსებანი, რაც სხვადასხვა თქმულება-გადმოცემებში შეამჩნია. ყოველ შემთხვევაში, ეს სქემა შეიძლება ჩაითვალოს წინამორბედად იმ ზღაპართა ტიპების სისტემისა, რაც შემოილო ენტი აარნემ 1910 წელს. ერთ-ერთი ფორმულა, კერძოდ, მეოთხე, ეხებოდა ახალშობილ გმირს. მოგვიანებით, თეორიულ ნაშრომში, გადმოცემებს რომ ეძღვნებოდა, ფონ ჰანმა ცხრილის სახით წარმოადგინა საერთო სქემა, სადაც განსაზღვრა გმირის პერიოდული განდევნა და დაბრუნება. მან 14 გმირის ბიოგრაფიის მიხედვით (ოიდიპოსის ჩათვლით) შექმნა 16 ელემენტისაგან შემდგარი სისტემა, რაც 4 ძირითად ჯგუფად დაჰყო: დაბადება (1—3), სიჭაბუკე (4—9), დაბრუნება (10—13) და დამატებითი შემთხვევები (14—16). სქემა სრული სახით ასეთია:

1. გმირი უკანონოდ იბადება.
2. დედა მეფის ასულია.
3. მამა ან ღმერთია ან უცნობელი.
4. დაბადებისას დაჰყვება ნიშნები, რაც გვაუწყებს მის აღზევებას.
5. ამის გამო მას თავს ანებებენ.
6. უვლიან ცხოველები.
7. ზრდის უშვილო ცოლ-ქმარი.
8. აქვს უზრუნველი სიჭაბუკე.
9. მსახურობს უცხო ქვეყანაში.
10. ბრუნდება გამარჯვებული და კვლავ უცხოეთში მიდის.
11. ამარცხებს თავის ყოფილ მდევნელებს და ისე აღზევდება, რომ ქვეყნის მმართველობას მოიპოვებს და დედ-მამას ათავისუფლებს.
12. აარსებს ქალაქებს.
13. მისი სიკვდილი არაჩვეულებრივია.
14. მას ამხილებენ სისხლის აღრევის გამო და სრულიად ახალგაზრდა კვდება.
15. კვდება შურისძიებით, შეურაცხყოფილი მსახურის ხელში.
16. იგი მკვლელია თავისი უმცროსი ძმისა.

ხუთი წლის შემდეგ, 1881 წელს, ალფრედ ნატმა წარმატებით გამოიყენა ფონ ჰანის სქემა მცირეოდენი ცვლილებით, 16 ელემენტი 14-მდე შეამცირა კელტური თქმულებების მიხედვით, და გააანალიზა ფინის, კუხულენისა და არტურის ციკლები. ნატმა, ფონ ჰანის მსგავსად, თავისი აღმოჩენა ცხრილის სახით ჩამოაყალიბა.

ოტო რანკის ფსიქოანალიტიკური გამოკვლევა, „გმირის დაბადების მითოსი", 1909 წელს გამოქვეყნდა, ოღონდ იგი ეყრდნობოდა ფონ ჰანის უფრო ადრეულ, 1864 წლის, ნაშრომს. 1928 წელს რუსმა ფოლკლორისტმა ვლადიმერ პროპმა გამოსცა „ზღაპრის მორფოლოგია", სადაც გვთავაზობს რუსული ხალხური ზღაპრების ფაბულათა ანალიტიკურ სქემას. პროპის სქემა შედგება 31 ელემენტისაგან, რომელთაც მან ფუნქციები უწოდა და, შესაძლოა,

აქ ყველაზე სრულად იყოს წარმოდგენილი გმირის ცხოვრება.

რაგლანის შემდგომ კიდევ რამდენიმე გამოკვლევა გამოქვეყნდა. 1949 წელს ჯოზეფ კემპბელმა „ათასსახიან გმირში“ გმირის ცხოვრება სამ ნაწილად დაჰყო: გამოცალკევება (სეპარაცია), ინიციაცია და დაბრუნება, მაგრამ მკვლევარი არცერთი გმირის თქმულებას არ აანალიზებს. მისი მოდელი გამოჰყოფს ცალკეულ შემთხვევებს ბევრი გმირის ცხოვრებიდან. კემპბელი მიუთითებს რანკის გამოკვლევას, იმასაც სქოლიოში, ხოლო ფონ ჰანს, პროპსა და რაგლანს არც კი იხსენიებს.

გმირის ცხოვრების უფრო გვიანდელი მოდელი ეკუთვნის ჰოლანდიელ ფოლკლორისტს იან დე ფრიზს. დე ფრიზი ახსენებს ფონ ჰანისა და რაგლანის ნაშრომებს, მაგრამ [illegible] უვლის გვერდს რანკს, [illegible] და კემპბელს და 10 ელემენტისაგან შემდგარ მოდელს გვთავაზობს:

1. გმირი დაივიწყეს.
2. იგი დაიბადა.
3. სიჰაბუკეში საფრთხე ემუქრება.
4. გაიზარდა.
5. მას ვერაფერს ავნებენ.
6. ებრძვის გველეშაპსა და სხვა ურჩხულებს.
7. საცოლეს დიდი საფრთხის გადალახვის მერე მოიპოვებს.
8. ჩადის ქვესკნელში.
9. ბრუნდება იქ, საიდანაც გამოაძევეს და ამარცხებს მტრებს.
10. კვდება.

ინგლისურიდან თარგმნა
**როსტომ ჩხეიძემ**

---

**შეცდომის გასწორება**

ჟურნალ „მნათობის“ № 7-8-ში რედაქციის მიზეზით დაშვებულია შეცდომა: დავით გოგოჭურისა და ივანე ლიქოკელის წერილში „მკითხველმა განსაჯოს“ 172-ე გვერდის I აბზაცის მომდევნო ოთხი აბზაცი (სიტყვებამდე — „ამ უშველებელი „წინადადებიდან“...) უნდა იკითხებოდეს 176-ე გვერდზე დაბეჭდილი პირველი ლექსის შემდეგ.

რედაქცია ბოდიშს უხდის ავტორებს ამ სამწუხარო შეცდომისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე, რ. ამაშუკელი, მ. ბერძენიშვილი, გ. გვერდწითელი, ალ. გომიაშვილი, გ. დოჩანაშვილი, გ. კალანდია, მ. ლებანიძე, ე. მაღრაძე, ლ. მრელაშვილი, გ. ნატროშვილი, ს. პაიჭაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პატარიძე, ჯ. ჩარკვიანი, ნ. წულეისკირი, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი), რ. ჯაფარიძე.

ფასი 5 მან.
ხელმომწერთათვის 2 მან.

ინდექსი
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6 11/1

«М Н А Т О Б И»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ